# მნათობი

ეროვნული ბიბლიოთეკა

12

1974

# მნათობი

ყოველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 50-ე | № 12 | დეკემბერი, 1974 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

## შინაარსი

ფრიდონ ხალვაში. ლექსები . . . . . . . . . . . . . 3
გრიგოლ აბაშიძე — ცოტნე ანუ ქართველთა დაცემა და ამაღლება. რომანი. გაგრძელება . . . . . . . . . . . . . . 7
თენგიზ კაკუშაძე — ლექსები . . . . . . . . . . . . . 56
გურამ პეტრიაშვილი — ნერგი. ლექსი . . . . . . . . . . 60
მიხეილ მრევლიშვილი — ქინი სიცოცხლისა. მოთხრობა . . . . . 61
ბორის ანდრონიკაშვილი — მოთხრობები . . . . . . . . . 71
ნოდარ ნარსია — ლექსები . . . . . . . . . . . . . 82
აკაკი ვასაძე — ლექსები . . . . . . . . . . . . . 84
ალი ისაევ-ავარსკი — შვილი. ლექსი. ავარიულიდან თარგმნა თედო ბექიშვილმა . . . . . . . . . . . . . . 88
გურამ დოჩანაშვილი — სამოსელი პირველი. რომანი. გაგრძელება . . . 90
სულხან ქეთელაური — მფრინავი ცისარტყელები. რომანი. დასასრული . . 130

### კრიტიკა და პუბლიცისტიკა

ჯანსულ ღვინჯილია — სამი ახალი მოთხრობის გამო . . . . . . . 157
სიმონ ყაუხჩიშვილი — ეტიმოლოგიური ძიებანი . . . . . . 170
ჰანს ზედლმაირი — აღმოსავლური რომანული სტილი . . . . . . 173
ერემია ქარელიშვილი — დაუვიწყარი შტრიხები . . . . . . 179

### წიგნების მიმოხილვა

რევაზ ჩხარტიშვილი — ნოდარ ჯალაღანიას ლექსების ახალი კრებულის გამო . . . . . . . . . . . . . . 183
ჟურნალ „მნათობის“ 1974 წლის ნომრების შინაარსი . . . . . . 187

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მთავარი რედაქტორი გიორგი ნატროშვილი

სარედაქციო კოლეგია:

ი. აბაშიძე, რ. ამაშუკელი (პ/მგ მდივანი), დ. ბენაშვილი, დ. გამეზარდაშვილი, მ. ლებანიძე, ე. მაღრაძე, ბ. ქლენტი, ა. სულაკაური, ა. ქუთათელი, ს. შანშიაშვილი, დ. შენგელაია, ვ. წულუკიძე, ო. ჭილაძე, რ. ჯაფარიძე, გ. ჯიბლაძე.

ტექრედაქტორი რ. ჩაკვეტაძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 12.

ტელეფონები: რედაქტორის — 93-55-11. პ/მგ. მდივნის — 93-55-13, განყოფილებების — 93-55-15, 93-55-17, 93-55-20.

გადაეცა ასაწყობად 14/X-74 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 10/XII-74 წ., ანაწყობის ზომა $7^1/_4 \times 12$, ქაღალდის ფორმატი $70 \times 108^1/_{16}$. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 13, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 16,8. საალ.-საგამომცემლო თაბახი 12.

უე 00062. ტირაჟი 14.050. შეკვ. №3742.
საქ კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა
თბილისი, ლენინის ქ. № 14.

© „მნათობი", 1974 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

*ფრიდონ ხალვაში*

# კეთილი იმედის ზღვა

1973 წლის 16 დეკემბერს ბათუმის რეიდიდან შორეულ ნაოსნობაში გავიდა გემი „გიორგი ლეონიძე“. მეც თან გავყევი. ნახევარ წელიწადს ვმუშაობდი ქართველ მეზღვაურებთან, ვასრულებდი კაპიტნის პირველი თანაშემწის მოვალეობას.

„გიორგი ლეონიძემ“ ღუზა ჩაუშვა მსოფლიოს მრავალ პორტში — კანარის კუნძულებზე, სინგაპურში, იაპონიის ოთხ პორტში, ავსტრალიაში, ალექსანდრიაში.

ეს ლექსები შედის ჩემს ახალ კრებულში „კეთილი იმედის ზღვა“.

ავტორი

## შუქურა

გაიხსენ მკერდი, ჩაღვარე ბნელში
სინათლე წითელ სისხლივით სუფთა.
მიშველოს შტორმში გზაამცდარს შენმა
დედის თვალივით მართალმა შუქმა.

გხედავ, შუქურა! წყვდიადის სქელი
სიღრმიდან ისრი იმედის ისრებს,
როგორ დაგეჭებ და როგორ გელი,
როგორ გიყურებ და როგორ გისმენ.

გხედავ, შუქურა!
კიდიდან კიდე
შენი წითელი ხმა გადაივლის,
მადლია, ეულ კუნძულზე იდგე
და გასცე ცეცხლი ამირანივით!

მაისი, 1974
მარჯნის ზღვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ალბატროსთან შეხვედრა

მოგსალმებია, ალბატროსო, მგოსანი ფრთოსანს,
მაღალ სტრიქონებს გაელვებად შვენოდი მიწყივ,
ნუ მიწყენ მე შენს სამეფოში უეცარ მოსვლას,
შენ არ გეგონოს, რომ პოეტებს გადაავიწყდი.

ახლა ოცნება მეც შენს ფრთებზე ჩამოვასვენე,
როდი ვენდობი გადარეულ ზვირთების ხარხარს,
მაგრამ აქ, სადაც ოკეანე მცემს და მასველებს,
შენ ერთი ძველი საიმედო ნაცნობი მყავხარ.

დღე აფრასავით დაისით რომ გაგიქუფრდება,
მზის მადევარი ფრენ მიმქრალი სხივების სევდად,
შენ, ალბატროსო, გიყვარს შენი თავისუფლება,
რისთვისაც ტანჯვა ადამიანს ყოველთვის სდევდა.

შენ, ალბატროსო, გიყვარს შენი თავისუფლება,
გძულს მტაცებლობა...
        სივრცეები გასხია ფრთებად,
ქარზე გაწოლილს აგიყოლებს დაუსრულებლად
ტანდარხეული ოკეანის გადაფერდება.

შეშურებია კაცს სილაღე შენი ფრენისა,
სურვილებისთვის შენი ფრთები მიუზომია,
თუმცა ფერფლიდან აზრი მისი აღსდგა ფენიქსად,
სიცრუესა და სიმართლეს დღეს მაინც ომი აქვთ.

გემშვიდობები, ალბატროსო, მგოსანი ფრთოსანს,
გული ზღვებიდან მონატრებულ მიწისკენ მიწევს,
ქოჩორა ზვირთთა მოფერება და ფრთების მოსმა
გიხდება ისე, შორეულო, ვერ დაგივიწყებ.

აპრილი, ინდოეთის ოკეანე

## სიზმარი გაზაფხულისა

ჩამოხეოდათ ჩვენს მწვერვალებს თოვლის ქურქები,
ბარს დუბეები გაეშალა ვარდში, იაში,
მამულიშვილნი ბრუნდებოდნენ სპარსეთ-თურქეთით
და იჩოქებდნენ საყვარელი მიწის წინაშე.

მდინარეები ოთხივ მხრიდან მოიმღეროდნენ,
ქარაფებიდან ლანქერებად ჰქუხდა ლოდოსი

ეროვნული ბიბლიოთეკა

და სუფრასავით გაშლილ ველთა ლხენა-ღრეობა
ქვეყნის თავიდან გაისმოდა ქვეყნის ბოლოში.

არეულიყო ერთმანეთში ნაცნობ-უცნობი,
ცისარტყელები უხდებოდათ მხრებზე ირიბი,
უნახავ ძმათა ნახვას გული ვეღარ უძლებდა,
ტიროდა ყველა, სიხარული იყო ტირილი.

ხალხი ისდიდა ჩადრებივით პირზე კაეშანს,
უკან მიჰქონდათ, რაც მტერს ჰქონდა ჩვენზე ნართმევი,
რელიგიათა, ჟამთა უნდო ზღვართა გარეშე
უბრუნდებოდა სამუდამოდ ქართველს ქართველი.

მაისი, 1974. ბოსფორი

## რეიდი

მეზღვაურისთვის მომქანცველი ყველაზე მეტად
არის რეიდზე, ბოლაზებში დარდივით დგომა.
ოცდაათი დღე — ოცდაათი ათასი ტონა
ტვირთია გემში, თვითეულს რომ აწვება ზედა.

ვერსად გადიხარ, ნაპირებს კი სულ ახლო ხედავ,
თავ-ბედს იწყევლი და გეწყება ნერვების წყდომა.
მეზღვაურისთვის მომქანცველი ყველაზე მეტად
არის რეიდზე, ბოლაზებში დარდივით დგომა.

მაისი, 1974. ალექსანდრიის რეიდი

* * *

ისე გავიდა გაზაფხული ვეღარ ვიხილე
თოვლების ლხვობა და იების ამოჩქერება
და თეთრ ხანძრებში მოგუგუნე სოფლის ხეხილებს
დააკლდათ ჩემი გაოცება და მოფერება.

მაისი, 1974 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ტროპიკული ღამე

ჩრდილები წყალში წვეთავდა,
როგორც დაღვრილი მელანი,
კარგად ვერაფერს ვხედავდით,
მაინც ვხედავდით ყველანი, —

მთოვარი იჯდა კიჩოზე,
და თავისთავზე თბებოდა,
ნისლი მუხლებზე დაჩოქვით
რაღაცას გვეუბნებოდა.

ოცნება ნელა ბოლავდა
სიზმრისფერ ღამის სურათში
და მე მძინარე ხომალდით
ოკეანეში ვცურავდი.

იანვარი, 1974
ინდოეთის ოკეანე

## ნაცნობი

სად დამეკარგე? ეს რა ყოფილა
ხსოვნა მხურვალე შენი ხელების.
აშენებულან და დამხობილან
დღეები, როგორც სასახლეები.

მაინც ჯიუტად ვდგავარ ჭიშკართან,
გზათა გარბენა ისევ მწადია,
ეს წელიწადიც, ჩვენ რომ გვიყვარდა,
სწორედ იმგვარი წელიწადია.

ოღონდ ტყის თხელი კენწეროებით
მთები ბურუსისფრად რომ ბოლავდა,
ვით გაფრენილი ცად წეროები,
უფრო და უფრო დამიშორავდა.

რა ვქნათ, თუ მიწა გადაიტკეპნა
და სხვა ფერებით მორთეს მინდვრებმა?
გამოდი ისევ ევკალიპტებთან,
შენი დანახვა რომ მომინდება.

მაისი, 1974

## გემი „გიორგი ლეონიძე" შინისაკენ

გემს ახარებდა სივრცის დაპყრობა,
დასიცხულ მკერდზე ატლანტიკას გრილად ივლებდა,
მაგრამ ის მაინც ძლიერ ნატრობდა,
იქ, საქართველოს ლურჯ კალთაზე თავის მიდებას.

მოსდევდა გუნდი ღონიერი ალბატროსების,
მობეზრდა ქარი, გზები ერთფერი,
მაგრამ ამაყი პატიოსნებით
უძლებდა ავდრებს, როგორც ქართველ პოეტს შეჰფერის.

ხვეტავდა ხვავებს ტროპიკების მზეთა, ოქროთა,
წინ თვით ტალღებიც თავებს იხრიდნენ,
გემს შინ ყოველი მეზღვაურის გულით მოჰქონდა
სამშობლოს ნატვრა, როგორც სიმ[illegible]იდრე.

მაისი, 1974

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გრიგოლ აბაშიძე

# ცოტნე
# ანუ
# ქართველთა დაცემა და ამაღლება

რომანი

* * *

ახალთახალი ვენეციური ხომალდებით ბრუნდებოდა ცოტნე. ქვის სატყორცნებითა და საალყო მანქანებით აღჭურვილი ხომალდები გამოცდილ ვენეციელ მეზღვაურებს მოჰყავდათ საქართველოსკენ. უცხო ნავსადგურებში გაკვირვებულნი ხვდებოდნენ მანამდე უცნობ ქართველთა არმადას, მზირის თვალით ჩხრეკდნენ ხომალდების ავკარგსა და შურით აყოლებდნენ მზერას საომარი გემების გრძელ მწკრივს.

ცოტნე ცდილობდა საქართველოს სამეფოს მტერთა ნავსადგურებისათვის ერიდებინა ხომალდების ქარავანი, გვერდს უვლიდა მათ და მხოლოდ წყლისა და საგზლის მარაგის შესავსებად ჩერდებოდა ბერძენთა და თურქთა სანაპირო ქალაქებში.

რაც უფრო უახლოვდებოდა მშობელ მხარეს, მით უფრო ემატებოდა მღელვარება. მეწინავე ხომალდის ბანაკიდან ხშირ-ხშირად მოხედავდა ხოლმე შავ ზღვაზე წყნარად მოქანავე იალქნების თეთრ ღრუბლებსა და ანძების ტყეს და გული სიამაყით ევსებოდა.

იმ დღეს დილიდანვე კარგი ამინდი დაიჭირა. შემოდგომის მზე თბილად ილვრებოდა ზღვისპირს იქით ამართულ საქართველოს მთაგორებზე. სუსტი სიოც კი არ ჰქროდა, ზღვა წყნარი იყო და სარკესავით სწორი წყლის ზედაპირის სიმშვიდეს არაფერი არღვევდა.

ფაზისის შესართავს უახლოვდებოდნენ.

შორიდანვე შენიშნა ცოტნემ: ზღვის პირი ხალხით იყო სავსე. ნავმისადგომზე ხელმწიფე ასულიყო.

გვერდით რუსუდანი ედგა და ირგვლივ დიდებულები ერტყნენ.

როგორც კი თვალსაწიერზე მეწინავე ხომალდი გამოჩნდა, ლაშამ ხელი ამართა და სალამი შეაგება.

ჯერ იყო და ტაშმა იქუხა. მერე იმ ზღვა ხალხმა იხუვლა და ნაპირს მოაწყდა. ცხენოსანი და ქვეითი მანდატურები ძლივს აკავებდნენ მოწოლილ ხალხის ტალღას, შეჩერდითო, გაჰყვიროდ-

გაგრძელება. იხ. „მნათობი" № 11.

ნენ და თავადაც თვალი უცხო სანახაობისაკენ გაურბოდათ.

თეთრი გედივით ყელმოღერილი მოსრიალებდა მეწინავე ხომალდი. ცოტნე კიჩოზე იდგა და ნაპირს თვალს ვერ აშორებდა.

აგერ მეფე და მისი დაი, ხელმწიფის სახელოვანი ვაზირები, მხარგრძელი და ახალციხელი, გაგელი და ციხისჯვარელი, ცოტნეს ტოლმეგობრები — ბექა და თორღვა... ხელს უქნევენ და სალამს უგზავნიან. ცოტნეს სიამაყისა თუ სიხარულისაგან თავბრუ ეხვევა. წამით თვალს ხუჭავს და ეჩვენება, რომ ზღვაზე კი არა, სადღაც მაღლა მისცურავს, ცაში, მზით განათებულ თეთრ ღრუბლებში. იმ ღრუბლებს ზემოთ, მზის ტახტზე დიდი თამარი ზის, გვერდით ცოტნეს პატარა დაიკო მოუსვამს და ერთარსებად ქცეული ორი თამარი ხელის ქნევით კიდევ უფრო მაღლა უხმობს ოდიშის ჭაბუკ მთავარს.

ცოტნეს თითქოს მძლავრი ფრთები გამოსხმოდეს, მთელ სხეულში გასაოცარ სიმსუბუქეს გრძნობს, ფეხის წვერებზე იწევს და სადაცაა, მყარს უნდა მოსწყდეს.

წამიც და ორი მძლავრი ფრთა აიტაცებს ცოტნეს.

—ვაშააა! ვაშააა!

გაისმა უცებ დამხდურთა გუგუნი და ცოტნე გამოფხიზლდა.

ზღვაში შეცურებული უამრავი ნავი მიაწყდა მეწინავე ხომალდს. პირველივე ნავიდან თვითონ ხელმწიფე აბრძანდა ხომალდზე და ცოტნეს გადაეხვია.

ლაშამ სათითაოდ დაათვალიერა ხომალდები. დიდხანს ტკბებოდა მათი ცქერით, ბავშვსავით ხელს უსვამდა. ეფერებოდა ლამაზად შემკულსა და გამართულ გემებს.

ბოლოს ირგვლივ ვენეციიდან დაბრუნებული ახალგაზრდები შემოიკრიბა და აღფრთოვანებულმა მიმართა:

— ავაშენებთ, ბიჭებო, ასეთ ხომალდებს?

— ავაშენებთ, ხელმწიფევ!.. ავაშენებთ!

ერთხმად იხუვლეს უცხო გემსაშენებში გაწვრთნილმა ჭაბუკებმა და მეფეს თვალში სიამაყის შუქი ჩაუდგა.

—თუ ამის აშენებას შევძლებთ, მაშინ შავი ზღვა გადამთიელი მეკობრეებისაგან მოისვენებს და ეს ზღვაც მისი იქნება, ვინც მისი უმთავრესი ნაპირის პატრონია.

— აგრე იქნება, მეფევ, თქვენი გამარჯვებითა და დღეგრძელობით!

მეფეს გული აუჩუყდა, თვალმოწყლიანებული ჯერ ცოტნეს გადაეხვია, მერე მის ბიჭებს სათითაოდ ჩამოართვა ხელი, ყველა შეაქო და გაამხნევა.

სამ დღეს ცლიდნენ ვენეციიდან ჩამოტანილი საქონელით სავსე გემებს.

გორად დაღგა საკუთრივ ქართველთა მეფისათვის დოჟისა და დიდებულების მიერ გამოგზავნილი ძვირფასი ძღვენი და მოსაკითხი.

ურმები და ჯორკიდებული დაიძრა გრძელ რიგად თბილისისაკენ.

საჩუქრებითა და საბოძვრით აავსო ოდიშის მთავარმა დამხვდურნი და შინაურნი.

საგანგებოდ შეკრიბა დარბაზი მეფემ.

ოდიშის მთავარმა წვრილად მოუთხრო დარბაზს მეფის ელჩიონის საქმიანობა ვენეციაში, დოჟთან დადებული ხელშეკრულებებისა და სხვადასხვა გარიგებათა შინაარსი.

დარბაზმა ელჩიონის საქმიანობა მოიწონა და შეთანხმებები დაამტკიცა.

საქმეს ლხინი მოჰყვა. აულებელი სუფრა, სახიობობა და შექცევა, ნადირობა და ბურთი ერთიმეორეს ცვლიდა

— ცოტაც კიდევ მოვღონიერდეთ და იერუსალიმისკენ დავიძრებით! — დრო და დრო ეტყოდა მეფე და, ცოტნე თავადაც კარგა ხედავდა, როგორ მოდიოდა დესპანი დესპანზე რომის პაპისაგან,

როგორ ეხვეწებოდნენ დასავლეთის ჯვაროსნები ერთმორწმუნე ქართველთა მეფეს საღვთო ომში შეწევნასა და ხელის გამართვას.

მეფის დავალებით წარგზავნილი ვაჭრები ყაბარდოდან და ჩერქეზეთიდან ცხენის ჯოგებს მოერეკებოდნენ, ხორასნიდან ქარავნებს სამხედრო საჭურველით დატვირთული იარაღი მოჰქონდათ და თავათ საქართველოში ფოლადის წრთობასა და იარაღის დამზადებაზე იყო გადასული უთვალავი ბრძმედი და სამჭედური.

მეფის ელჩებს ლეკეთსა და ჯიქეთში განუწყვეტელი მისვლა-მოსვლა ჰქონდათ. იქაურ მთავრებთან შორეული ლაშქრობისათვის ჯარის დაქირავების თაობაზე გამართული მოლაპარაკება იმედის მომცემად მიმდინარეობდა და უკანასკნელი სიტყვა ქართველთა მეფეზე იყო.

მეფე კი არ ჩქარობდა, სამზადისს აძლიერებდა, თავის სარდლებთან ერთად ლაშქრობის გზებსა და პირობებს სწავლობდა და შესაფერის დროს უცდიდა ჯვაროსანთა პირისპირ მდგომი სარკინოზებისათვის ზურგში დასარტყმელად.

მდიდარი, წელგამართული ქვეყანა, ერთი შეხედვით, თითქოს უზრუნველად ცხოვრობდა და ამ უზრუნველობის პირველი მაჩვენებელი კარის ახალგაზრდობის უდარდელობა, დაუსრულებელი დროსტარება და შექცევა იყო.

ცოტნეც ერთხანს ისევ აიყოლეს ტოლ-მეგობრებმა.

— მოვასწროთ ,ვიდრე ჩვენი მეფის მსგავსად სიყვარულის ბადეში არ გავბმულვართ და საქალეთი ერთადერთ სატრფოთი არ შემოგვზღუდვია. — უთხრა ერთხელ ნაქეიფარმა თორღვა პანკელმა...

— ეგ როგორ? ჩვენი მეფე რა საშაგალითოა?

— არ იცი, განა? თავისი აზნაურის ულამაზეს ცოლს ეტრფიალა მეფე. ის ქალი ყმას წაჰგვარა, ახლა სასახლეში ჰყავს და, მორჩა, მის პატრონს აღარც სხვა ქალისკენ გახედვა უნდა, აღარც სხვა რამ სოფლის სიკეთე და სიამოვნება.

გაუკვირდა ცოტნეს: ქალი ისეთი რა უნდა იყოს, რომ მთელი დანარჩენი საქალეთი დაგავიწყოს და გემოსმიმყოლ კაცს ქვეყნის ყველა სიკეთეზე ხელი აგალებინოსო. გაუკვირდა, მაგრამ მალე მისი ჯერიც დადგა და საკუთარ თავზე გამოცდით იწამა ტრფიალების ძალა...

ბექა ჯაყელმა იწვია ცოტნე თავის მამულში. ქეიფითა და შექცევით განვლეს გზა და, ციხისჯვრის ჯაყელთა სასახლეში რომ შევიდნენ, მაშინ გაება ცოტნე!

ჰიშკართან გამოგებებულ მასპინძლებს გადაეხვივნენ ბექას მეგობრები. ყვარყვარეს ღონიერ მკლავებში გათანგულმა ცოტნემ უცებ მოჰკრა თვალი ბექას დედის უკან მდგარ ჩვიდმეტიოდე წლის გოგონას. ყვრიმალებისკენ მონგოლურად გაზიდული თაფლისფერი თვალები უცნაური ცეცხლით უჟუჟუნებდა გოგონას, შაქრისფერ სახეზე მოკლე, სწორი ცხვირიც მაცდუნებლად უცინოდა და ტუჩზე ეშმაკური ღიმილი დასთამაშებდა.

როგორც კი ცოტნემ თვალი თვალში გაუყარა, გოგონას სახეს ალი ეცა, თავი დაღუნა და ბექას დედის ზურგს ამოეფარა.

ცოტნემ სიმხურვალე იგრძნო მთელს ტანში, საფეთქლებში სისხლი მოაწვა და მუხლებმაც კინაღამ უმტყუნეს.

ე, მანდ არ წავიქცეო, გაიფიქრა და ქალიშვილს თვალი მოარიდა. სუფრაზე მოწმესავით იჯდა ოდიშის მთავარი. არაფერს ამბობდა და პირს არაფერს აკარებდა. სხვათა კითხვებზე პასუხს მოკლედ, დაუფიქრებლად აძლევდა და გონს მხოლოდ მაშინ მოდიოდა,ის გოგონა სუფრისათვის კერძის შემოსამატებლად რომ გამოჩნდებოდა. ორივე წითლდებოდა და ორივე თავს ძალას ატანდა, რომ ერთმანეთისთვის არ შეეხედათ, მაგრამ თვალები, მათი თვალები

თავისთავად, მათ დაუკითხავად ეძებდნენ ერთმანეთს.

ცოტნე ღვინოს დაეძალა. შეზარხოშებულმა სარგის თმოგველს გადაულაპარაკა:

— ეს ბავშვი ვისია, სარგის? — ვითომ სხვათაშორის, ხმადაბლა იკითხა ცოტნემ.

— რალა ბავშვია, საქმარშვილოდ მოწიფული ქალი! — გაიცინა სარგისმა— ყვარყვარეს ძმიშვილია, ბექას ბიძაშვილი. მამა ადრე დაეღუპა და ყვარყვარეს სახლში იზრდება .ადრე ნახული გეყოლება, მაგრამ მაშინ პატარა იყო.

— რაო, ცოტნე, ხომ არ მოგწონს, ჰა? — თვალი ჩაუკრა თორღვა პანკელმა.

ცოტნე კიდევ უფრო წამოწითლდა, არ იცოდა რა ექნა და სად წასულიყო.

უხერხული დაბნეულობიდან თამადის სიტყვებმა გამოიყვანა:

— ეს ღმერთმა ჩემს საყვარელ რძალსა და ძმიშვილს გაუმარჯოს, ჩემს ძვირფას ეფემიას ჯანმრთელობა და დღეგრძელობა, ჩემს შვილთაგან ჩემთვის განურჩეველ კრავაის — კარგი ბედი და კარგი მომავალი.

ეფემიამ შვილი თავისთან იხმო და ორივე თავმდაბლად უხდიდნენ მადლობას ოთხივ მხრიდან ფეხზე წამომდგარ ვაჟკაცებს.

ცოტნემ სასმისი ასწია და ეფემიამ რომ მშვიდი ღიმილი შეაგება, ისევ დაიბნა.

— იცოცხლეთ, ქალბატონო! — ძლივს ამოთქვა და ღელვის ჩასახშობად უმალვე ყანწი მოიყუდა.

ჯიხვი რომ დაცალა და დაჯდა, თვალი დედა-შვილისაკენ გააპარა.

ეფემია ისევ ცოტნეს უყურებდა, მუშტრის თვალით სინჯავდა და აკვირდებოდა. ცოტნე ისევ დაიბნა და ეფემიას სახეზე ისევ წელანდელი მშვიდი ღიმილი გაკრთა.

როგორ გაზრდილა და დაქალებულა კრავაი! თითქოს გუშინ იყო მუხლზე რომ უჯდა ცოტნეს და სასაცილოდ ეტიტინებოდა! ნეტავ იმ დღეს, რა ხარხეინად უჩლექდა ენას მაშინ ცოტნე... ახლა კი რამდენის თქმა სურს და ენა ვერ მოუბრუნებია!

მეორე დილას, გვიან ამდგარი სტუმრები ხელ-პირის დასაბანად მოიწვიეს.

ცოტნეს თავი უბრუოდა. წინა დღისა არაფერი ახსოვდა იმის გარდა, რომ უზომოდ სვა და უგონოდ დათვრა.

კიბესთან კრავაი იდგა, ცალ მკლავზე პირსახოცი გადაეკიდებინა და მეორე ხელით სტუმრებს წყალს უსხამდა.

რცხვენოდა ცოტნეს გუშინდელი დათრობის გამო და, თან იმის შიშიც აფორიაქებდა, ზედმეტი ხომ არაფერი ჩავიდინე და სიტყვის ან ქცევის მოუზომავობით კრავაის თვალში ხომ არ დავმცირდიო.

კრავაისკენ გახედვას ერიდებოდა, ფეხს ითრევდა და ხელ-პირის დასაბანად მისვლას არ ჩქარობდა. ყველამ რომ დაიბანა, რაღა გზა ჰქონდა, თავჩაღუნული კიბისკენ წავიდა.

— დილა მშვიდობის! — თავაუწევლად თქვა და ხელები წყალს მიუშვირა.

— დილა მშვიდობის, მთავარო! — თამამად მიესალმა ქალიშვილი.

— ჩემს დღეში ამდენი არ დამილევია, არ ვიცი, რა ღმერთი გამიწყრა,— ხელს იბანდა და ისე, ხმადაბლა, თავაუღებლად ამბობდა ცოტნე.

— მერე მაგით რა დაშავდა, კარგად მოილხინეთ და ჩვენც გაგვამხიარულეთ.

ცოტნემ თავი ასწია.

კრავაი გულწრფელად უღიმოდა.

— ბოდიში უნდა მოგიხადოთ, — დარცხვენილად თქვა ცოტნემ.

— ტყუილად ნანობთ, ძალიანაც კარგი იყავით!

— საერთოდ არა ვსვამ და, გუშინ დავითვერი მაინც და მაინც, როცა ყველაზე მეტად მჭირდებოდა ფხიზლობა.

— გუშინ რატომ გჭირდებოდათ ყველაზე მეტად ფხიზლობა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შენ რომ მოგწონებოდი! — გაბედა ცოტნემ და უმალვე ინანა, რადგან ნათქვამი, ცოტა არ იყოს, უხეშად ეჩვენა. კრავაი გაწითლდა, წყლის დასხმა შეწყვიტა, თავდახრილმა პირსახოცი უსიტყვოდ გაუწოდა და სამზადისკენ გაიქცა.

— დიდი მადლობა... — დაადევნა ცოტნემ გაქცეულს.

ცოტნე ერთიანად აფორიაქებული იყო.

რაღაც მანამდე უცნობი განცდა დაუფლებოდა, ძლიერი და მოურეველი. ის განცდა სიცოცხლის სიყვარულით ავსებდა, ღონეს მატებდა და ფრთებსასხამდა; ამავე დროს ბავშვივით გულუბრყვილოს ხდიდა და პირველქმნილ სიწმინდეს უბრუნებდა.

იგი ხვდებოდა, რომ მის ცხოვრებას ახალი, ნათელი აზრი ეძლეოდა, მის ყოველ ნაბიჯს ამამაღლებელი და გამაკეთილშობილებელი მიზანი ემატებოდა.

კრავაი თავად იყო სიწმინდისა და მშვენიერების განსახიერება და, რაკი ერთხელ მიუახლოვდა სინათლისა და სიკეთის ამ წყაროს, გრძნობდა, უმისოდ ველარ გაძლებდა.

ცოტნე ხედავდა, რომ ციხისჯვარში მისი დარჩენა აღარ შეიძლებოდა, მაგრამ იმასაც კარგად გრძნობდა, რომ იქიდან წასვლაც არ შეეძლო.

საღამოს დერეფანში შეეჩეხა პირისპირ მარტო მომავალ კრავაის.

— ხვალ მივდივართ, კრავაი.

— რა გეჩქარებათ, მთავარო! — მოიწყინა კრავაიმ და თვალი გაუსწორა.

— თავი შეგაწყინეთ, საქმეც ბევრი გვაქვს. — ამოოხვრით თქვა ცოტნემ და მცირე ყოყმანის შემდეგ დასძინა, — ნეტავი შენც მოდიოდე, თბილისს...

— მე?.. ვისთან უნდა წამოვიდე თბილისს?

— თუნდაც ჩემთან...

კრავაი წამოწითლდა.

— რა ბედნიერი ვიქნებოდი... შენც რა ბედნიერს გაგხდიდი...

— კრავაი, კრავაი! — გაისმა ეზოდან.

— დედა მეძახის, — უცებ გამოერკვა დაბნეული გოგონა, თავი ასწია და სიხარულის შუქით გაბრწყინებული თვალები იმედიანად მიანათა ცოტნეს.

— მოვდივარ, დედა! — გასძახა და გაიქცა.

სატახტოში დაბრუნებულმა ცოტნემ სარგისსა და თორღვას გაანდო გულისნადები. მეგობრებმა არჩევანი მოუწონეს და თვითონვე შესთავაზეს სამსახური:

— დღესვე მივდივართ ბექასთან და ყვარყვარესთან.

— როგორ გაიხარებენ!

— სიხარულით ცას ეწევიან!

— მაყრები ხომ ჩვენ ვიქნებით! ოღონდ შენ ბევრი არ გააჭიანურო, ქორწილი მალე გამართე.

მეფეთა ღირსი ქორწილი გადაიხადა ცოტნემ. ოდიშის დიდებული სასახლე პატარძლის შემოსვლამ გააცოცხლა და გააბრწყინა, ჭერი ამაღლდა და კედლები განზე გაიწია.

ბედნიერების მწვერვალზე ასული ცოტნე ამქვეყნიური დიდებისა და სიამის ყველა ხარისხს მიწვდენოდა და სიყვარულის მძლავრ ფრთებს აყოლილი ცაში დაფრინავდა.

ასე გაიარა თაფლის თვეებმა სწრაფად და უზრუნველად. მადლიერი მეფე განგებ არ ეძახდა. ფაზისიდანაც იშვიათად აწუხებდნენ: გემსაშენი და ნავსადგური სწრაფად შენდებოდა, შინ და გარეთ ყველგან ბედნიერად წარიმართებოდა მთავრის საქმე.

მაგრამ განცხრომას მიცემულ ცოტნეს ერთ დღეს ცუდ გუნებაზე გაეღვიძა. აბნეულ, უამური სიზმრიდან აღელვებული შავი ზღვის მრისხანე ტალღები ედგა თვალწინ, მისკენ რომ ვეშაპებივით ხახადაღებულნი მოიწევდნენ. სიზმრიდან სხვა არაფერი ახსოვდა, მაგრამ ესეც საკმაო იყო, მოსვენებისა და სიმშვიდის დასაკარგავად.

მთავარმა უმადოდ ისაუზმა, ცხენზე შეჯდა და მცირე ამალით ფაზისისკენ გაემართა.

გემსაშენზე სრული წესრიგი დახვდა, სიცოცხლე დუღდა და გადმოდიოდა.

მთავრის მოსვლით გახარებული ანთია ენად გაკრეფილი დაატარებდა მთავარს მშენებლობის უბნებზე.

— ამისთანა ნავსადგური ვენეციასა და გენუასაც არ ექნება, მთავარო, ხოლო ამის უკეთეს ხომალდებს ახლა დედამიწის ზურგზე ვერსად ააშენებ.

ცოტნე ანთიას უთქმელადაც ხედავდა, ზღვაოსნობის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით აღჭურვილი გემსაშენი და ნავსადგური როგორ თვალის მომჭრელად იმართებოდა და იკაზმებოდა. საქართველოს საზღვაოსნოს მომავლის ამ საფუძვლის ცქერით ცოტნეს გული სიამაყით ევსებოდა, ლურჯად მოლივლივე ზღვას აღტაცებული გაჰყურებდა და პალიასტომის უბეში შეფარებულ უზარმაზარი ხომალდების სწორუპოვრობაში ოცნებით სჭვრეტდა საქართველოს ხვალინდელი ძლევამოსილების საწინდარს.

გულის ძილში ჩავარდნილი ცოტნე უჩვეულო ხმაურმა გამოაღვიძა.

სადღაც ახლო ცეცხლის ალი ტრიალებდა და სარკმლიდან დამაბრმავებელი შუქი მოდიოდა.

ჰაერი დამწვრის სუნით იყო გაჟღენთილი.

ცოტნემ ხმალს ხელი დაავლო და გარეთ გავარდა.

გემსაშენსა და ნავსადგურში ხანძარი მძვინვარებდა.

— თავდასხმაა!

— მტერი დაგვეცა!

— ღალატია!

გაისმოდა აქა-იქ.

თავპირდაბურული ვიღაც შაოსნები ანთებული ჟინჟღილებით დაჰქროდნენ და ყველაფერს ცეცხლს უკიდებდნენ.

ძილდამფრთხალი დამხვდურები გარეთ გამორბოდნენ, ხმალდახმალ ბრძოლაში ებმებოდნენ და მშველელს მოუხმობდნენ.

ხანძარი მხოლოდ ნაპირზე გაშმართულ შენობებს კი არ ნთქავდა, შორს გაწეულიყო და, ზღვისპირას მოქუჩებულ ხომალდებსაც მოდებოდა.

გაოგნებულ ცოტნეს მოეჩვენა, რომ მარტო სანაპირო კი არა, თვითონ ზღვაც იწვოდა, ხანძარი ზღვის სიღრმეშიც შეჭრილიყო, ფაფარგაშლილი მძვინვარებდა, უზარმაზარი ტალღებივით ყალყზე დგებოდა, ცამდე ადიოდა და ნაპირს აწყდებოდა.

ცოტნე ადგილს მოსწყდა და იქით გაიქცა.

როგორც იყო, ზღვისპირს მიაღწია.

აგერ ცეცხლმოდებული გემიდან გადმოხტნენ ანთებული ჟინჟღილებით და იქვე მდგარი ხომალდისაკენ გაიქცნენ ცეცხლის წასაკიდებლად.

ცოტნე წინ გადაუდგა.

— შეჩერდით, რას სჩადით! — შეჰყვირა და ხმალი ამართა.

ჟინჟღილიანი ხმალს წაეტანა, მაგრამ ცოტნემ აღარ აცალა, თვითონ დაასწრო და თავგაპობილი ძირს დასცა.

უცებ ბეჭში რაღაც ჩაესო. მაშინვე თვალთ დაუბნელდა, მიწაზე დაემხო და თითქოს ცა ჩამოენგრაო, დამაყრუებელ გრუხუნში ჩაიძირა.

სიკვდილს გადარჩენილ ცოტნეს, როდის-როდის შეეტყო მომჯობინება.

რაც გონს მოვიდა, ძილში სულ ცად ასულ ხანძრის სვეტებს ხედავდა, ჯოჯოხეთის მოგიზგიზე ალი აბოდებდა და, ცხადში მისკენ უზარმაზარ ტალღებად წამოსული ცეცხლი ელანდებოდა.

მეფე ყოველდღე კითხულობდა ცოტნეს ამბავს. ბოლოს მოახსენეს, მთავარმა იმდენად მოიკეთა, ქვეყნისა და ოჯახის ავკარგზე წუხსო.

ხელმწიფე მარტოდმარტო შევიდა დადიანის საწოლში. სასთუმალთან დაჯდა და მიძინებული სნეულის გაღვიძებას დაელოდა.

ცოტნემ თვალი გაახილა. ერთხანს

ჰერს მიაშტერდა. მერე თავი მოაბრუნა და მეფე რომ დაინახა, გაფითრდა: ჭაბუკი მეფე გატეხილი და უჩვეულოდ გუნებადამძიმებული ეჩვენა.

ყბა აუკანკალდა და თვალზე ცრემლი მოადგა.

— დავიღუპეთ, ხომ მეფევ-ბატონო?

მეფემ თვალი აარიდა და თავი ჩაღუნა.

— სულერთიანად მოსპეს, არა?

— სულერთიანად მოსპეს, ერთი ხომალდიც არ გადარჩენილა.

— გემსაშენი და ნავსადგურიც განადგურდა?

— განადგურდა, ნაცარტუტად იქცა.

— ბარემ მეც იქ მოვმკვდარიყავი! — ცოტნეს ყელში ბურთი მოაწვა.

— სამ დღეს იწვოდა იქაურობა. მე რომ ჩაველი, კიდევ იდგა ბოლი.

— ვერავინ შეიპყრეს ან კვალი არ დარჩათ?

— ვინ შეიპყრობდა? იქაურობა დაჭრილ-დახოცილებით აავსეს, თქვენგან ფეხზე აღარავინ დატოვეს, ღამით მოპარულებმა ბნელი საქმე მოათავეს, ღამითვე ხომალდებზე დასხდნენ და სიბნელეში გაიპარნენ.

— თითქო იტალიურად უხმობდნენ ერთმანეთს.

— მომხდურები რომ იტალიელები იქნებოდნენ, უმაგისოდაც ნათელია, ოღონდ ამოსაცნობი ის არის, რომელი იტალიელები იყვნენ.

— ასეთი თავდასხმა და ამოდენა დაცვის განადგურება მხოლოდ ვენეციელ ან გენუელ მეკობრეებს შეეძლოთ. ვენეციელებმა ხომალდები თვითონ მოგვყიდეს და გემსაშენის აგებაშიც ხელს გვიმართავდნენ... ისინი არ იზამდნენ.

— იზამდნენ, მთავარო, ისინიც იზამდნენ. ზღვაზე ერთი მეტოქე ჰყოფნით და, მეორის გამოჩენა, რა გულზე ეხატებათ?!

— ეგეც საფიქრებელია, მაგრამ ეს საქმე უფრო გენუელების ნაავკაცარი მგონია.

— შეიძლება აგრეც იყოს, მაგრამ ჯერჯერობით ვერაფერს ვიტყვი. რაც შინ და გარეთ მზირი და მსტოვარი გვყავს, ყველა ფეხზე დავაყენეთ, მაგრამ ეჭვის და ვარაუდის მეტი ჯერ ხელთ არაფერი გვაქვს.

— მაინც ასე უგრძნობლად როგორ მოგვეპარნენ. გუშაგები ბლომად გვეყენა და ჩვენც ყველას იარაღი გვქონდა.

— როგორც ჩანს, ბევრნი იყვნენ, და გემებიც საუკეთესოდ გამართული ჰქონდათ. მაგრამ მთავარი მაინც, ეტყობა, ღალატი იყო.

— ღალატი? — წამოენთო ცოტნე.

— ჰო, ღალატი და შინა გაცემა.

— ვის უნდა ეღალატა?

— მტრის ეგრე მომზადება და სწორ გზაზე დაყენება უღალატოდ არ იქნებოდა.

— ეჭვი ვისზე გაქვთ, მეფევ?

— რაღა ეჭვი უნდა! იმ ღამესვე უგზო-უკვლოდ გაჰქრა ნიკიფორე ბერძენი, არც მკვდრებში აღმოჩნდა და არც ცოცხლებში.

— ნუთუ ნიკიფორემ გაგვყიდა?

— რა გიკვირს, მთავარო? თავისი სამშობლო გაჰყიდა და შენსას დაინდობდა?

— არა, ეგ არავის დაინდობდა... კონსტანტინოპოლიდან მაშინ გაიპარა, როცა ბერძენთა სატახტოს ყველაზე მეტად უჭირდა. ხან პიზას ემსახურებოდა და ხან გენუას, ვინც მეტს აძლევდა, იმის მზეს ფიცულობდა და ძველი ბატონის საიდუმლოსაც იმას უკაკლავდა. ჩვენც იმიტომ მოგვეყიდა, რომ სხვაზე მეტი მივეცით, მაგრამ ან კი როგორ არ მივცემდით, მაგისთანა გემთმშენებელს! ეგეთი ოსტატი ვენეციაშიც არ მოიძებნება!

— ოსტატებში ტოლი არ ჰყავდა, მაგრამ არც მსტოვრებში და გამცემებში ჰყოლია ტოლი.

— ნეტავ როდის მოასწრო გაპარვა? იმ დღეს საღამომდე ჩემთან იყო, არ მომშორებია...

— შეიძლება სულაც თავდამსხმელებთან ერთად გაჰქრა. მომხდურებმა

თავიანთ დაჭრილ-დახოცილთაგან ერთიც არ დატოვეს ხმელეთზე, წასვლის წინ შეუგროვებიათ და გემებით წაუყვანიათ, რომ კვალი არ დარჩენოდათ!

— ეგეც გამოცდილ მეკობრეთა წესია, ბოროტების კვალს ეგრე შლიან ხოლმე.

— კარგი იყო, მცირე რამ სამხილი მაინც დარჩენოდათ! მაგრამ ჩვენი მტრად გადაკიდება ხელს არც ვენეციას აძლევს და არც გენუას. ეს თავდასხმა ისე ფრთხილად და დიდხანს მომზადებული ჩანს, მის მომწყობთ, ალბათ, ვერასოდეს ვერ აღმოვაჩენთ. ხელთ საბუთი არა გვაქვს რა, ცარიელი ეჭვით კი ვერც ვერაფერს დაამტკიცებ, ვერც ვერავის გაამტყუნებ! ეს კია, რომ, რაც ეს საქმე გახმაურდა, ვენეციისა და გენუის კარი ერთიმეორეს ასწრებს ჩვენს წინაშე დაბეზღებას, ერთმანეთს სწამებენ ფაზისის განადგურებას და ბრალდებას ანგარიშგასაწევი საბუთებითაც ამაგრებენ.

ორივე სდუმდა ერთ ხანს.

მერე, როგორც იყო, ცოტნემ გაბედა გულის ნადების გამხელა;

— ახლა რა უნდა ვქნათ, მეფევ, სულ უნდა ავიღოთ ხელი შავ ზღვაზე, სხვას შევატოვოთ ხელში?

— სულ არა, მაგრამ ერთ ხანს ველარ შევძლებთ, ესოდენ დიდი ხარჯის გაღებას; იმოდენა გემსაშენისა და ნავსადგურის გამართვასაც ბევრი დრო და სახსარი უნდა და, ჯერჯერობით ვერც სამაგისოდ მოვიცლით. ახლა უმჯობესად ის მიმაჩნია, ბაღდადზე გალაშქრების სამზადისი დავაჩქაროთ. ამ ლაშქრობის საზღაურად ჯვაროსნებს საომარი ხომალდები გამოვართვათ, ხოლო როცა ხალიფას დავამარცხებთ და იმის ხომალდებსაც დავისაკუთრებთ, შავ ზღვაზე ბატონობის მოცილეც აღარავინ გვეყოლება და მაშინ თავიდან, ახალი ძალით დავიწყებთ, ერთის კი არა, რამდენიმე გემსაშენის შენებას. ხომ გჯერა ჩემი, ცოტნე? — მეფემ თვალი თვალში გაუყარა დადიანს. იმ თვალებში ცოტნემ გამხნევების, იმედის მიცემის თხოვნა ამოიკითხა.

დადიანმა იცოდა, მეფეს ყოვლის შემძლე დიდებულებთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა ჰქონდა. კარზე და სახელმწიფო საქმეებზე ძველებურად განუსაზღვრელი გავლენის შენარჩუნებისათვის მზრუნველი დიდებულები ყოველნაირად ცდილობდნენ ჯერ გამოუცდელი ჭაბუკი მეფისათვის ხელ-ფეხი შეებორკათ, მისი თამამი განზრახვებისათვის ფრთები შეეკვეცათ და როგორმე ლაშა მათი სურვილის მორჩილ აღმასრულებლად ექციათ. ამ ბრძოლაში მეფის ყოველი მარცხი და წაფორხილება მის აშკარა და ფარულ მტრებს ძალასა და გავლენას მატებდა.

მეფე ჯიუტობდა. თავისას არ თმობდა, მაგრამ ბედი თითქოს მის წინააღმდეგ მოქმედებდა, ყველა დიდ შემართებასა და წამოწყებაში ხელს უცარავდა, შრომას წყალში უყრიდა და განხორციელებამდე მისულ ოცნებას ულმობლად უმსხვრევდა.

საქმე იქამდე მიდიოდა, ჭაბუკ ხელმწიფეს პირადი ბედნიერებით დატკბობისა და წმინდა სიყვარულით შერთულ ცოლთან სჯულიერი ქორწინების ნებასაც არ რთავდნენ.

მეფე მაინც თავისას არ იშლიდა, არც უკანონოდ გამოცხადებულ ტრფობაზე იღებდა ხელს, არც ქვეყნის მართვის ერთხელ არჩეული გზიდან გადადიოდა. ამ გზაზე მეფეს ცოტნესთანა მამულიშვილების ერთგულება და თანადგომა-ლა ამხნევებდა და ოდიშის მთავარი მიხვდა, რომ სწორედ ახლა სჭირდებოდა მეფეს ასეთი გამხნევება ყველაზე მეტად.

— მჯერა, მეფევ, შენი, როგორ არ მჯერა! შენი წინამძღოლობით ბაღდადსაც ავიღებთ და ათ ფაზისსაც ავაშენებთ!

— მარცხმა გული არ უნდა გაგვიტეხოს ცოტნე, ჩვენ ახალგაზრდები ვართ და სულ წინ უნდა ვიხედებოდეთ. გამარჯვების წყურვილით ვიცხოვ-

როთ, მარცხის წინაშე ქედს ნუ მოვიხრით და მომავალი ჩვენი იქნება — ძლიერი, ახალგაზრდა საქართველოსი!

ცოტნე მონუსხულივით უსმენდა აღგზნებულ ლაშას. ჭაბუკი მეფის რწმენა, გულგაუტეხლობა და მხნეობა მასაც გადაედო და ისიც ოცნებამ გაიტაცა.

მხრებზე ისევ იმ ფრთების გამოსხმას გრძნობდა, ვენეციიდან დაბრუნებული რომ კინაღამ ცაში აიტაცა. ფრთა ისევ და ისევ ზემოთ ეწეოდა და ცოტნეს სჯეროდა, რომ შორს და მაღლა გასაფრენად უნდა დაძრულიყო.

მაგრამ თურმე ოცნების იმ ფრთებს გაშლა არ ეწერა... და, აი, თითქმის სამი ათეული წლის შემდეგ ფრთებმომტვრეული და ოცნებადამსხვრეული ცოტნე, ალამუთის ალყიდან ბრუნდება სნეული და ჯანღონე დაკარგული, გულგატეხილი და ცხოვრებაზე ხელჩაქნეული.

იმ ათწლეულებს მარტო ახალგაზრდობა კი არ გაჰყოლია ცოტნესი, მომავლის რწმენა, სამშობლოს დიდებაზე ოცნებაც თან წაუღია!

როგორ არ ჰგავდა ახლანდელი ცოტნე ვენეციიდან დაბრუნებულ, მოწინავე ხომალდის კიჩოზე მდგარ ჭაბუკ ამირბარს, სიამაყითა და სიხარულით აღსავსე მეზღვაურს, ცისკენ გასაფრენად რომ იყო მზად.

საქართველოსაკენ ურმით წამოსულ, ლოგინზე დაკრულ, სალმობიერით მიხუსტებულ ვაჟკაცს, სნეული გალევია, მხრებამდე ჩამოზრდილ თმაში ჭაღარა მოძალებია და სახეში სინათლე გასდის.

როგორ სიცოცხლესა და სიკვდილზე ოცნებობდა ცოტნე და ,მისი უფეროლად გავლილი ცხოვრება კინაღამ შორეულ ალამუთის ალყაში დასრულდა უსახელოდ, ბედის მწარე დაცინვით — მუცლის აშლილობითა და ფაღარათით.

იქ, ცხრა მთას იქით რომ ასე საცოდავად კვდებოდა, თავისითავი კიდევ ენანებოდა ესოდენ უსახელო სიკვდილისათვის, მაგრამ, როგორც კი სიკვდილის კლანჭებს დაუძვრა და მომჯობინება იწყო, ირგვლივ საშინელი სიცარიელე იგრძნო.

ცოტნე მიხვდა, რომ მისი დიდების ყველაზე მაღალი მწვერვალი უკვე დიდიხნის განვლილი ის დღე იყო, როცა იგი ვენეციიდან წამოსხმულ ხომალდთა ქარავანს ფაზისის ნავსადგურში მიუძღოდა. რისთვისღა უნდა იცოცხლოს ცოტნემ ამიერიდან, თუ აქამდე განვლილ მის ცხოვრებას, სიცოცხლის საუკეთესო წლებს, ვერც ერთი გაბედული ოცნება, ვერც ერთი ნატვრა და იმედი ვერ აუხდენია და განუხორციელებია. ორმოც წელს ისე გადაცილებია ოდიშის მთავარი, სიჭაბუკისა და ვაჟკაცობის ულამაზესი დრო ისე გაუვლია, თავისი ოცნების ვერცერთ მწვერვალს ერთხელაც ვერ მიახლოებია, ვერც გმირობა რამ ჩაუდენია სხვებზე აღმატებული და ვერც ქველისა და ქვეყნისათვის თავდადებულის სახელი დაუმკვიდრებია იმ სათაყვანებელ ხალხში, რომლის დიდებისათვის სიცოცხლის გაწირვას ბავშვობიდანვე თავისი არსებობის უპირველეს გამართლებად სახავდა.

უფეროლად გაიარა ცხოვრებამ.

განა გასაკვირი არ იყო, რომ სისხლისმღვრელი ომებისა და ხალხთა საშინელი შეჯახებების წლებში, მაშინ, როცა სამშობლოს ამდენი უბედურება ატყდებოდა თავს, საქართველოს ერთ-ერთმა უწარჩინებულესმა და უსათნოესმა შვილმა მოსაწყენი და უფერული ცხოვრებით იცხოვრა?!

კიდევ უფრო გასაოცარი ის იყო, რომ ცოტნე დადიანი საქართველოში დატრიალებულ საშინელებათა შუაგულში ბრუნავდა სულმუდამ და, მაინც ვერსად და ვერაფერში ვერც ხმალმა იელვა მისმა განსაკუთრებული ელვარებით, ვერც სიტყვა და სიბრძნე გაბრწყინდა გამოსარჩევი ელვარებით.

იქნებ ცდასა და გარჯას დააკლო ცოტნემ, იქნებ თავი დაზოგა და ღონე

შემოინახა დღეგრძელი, უზრუნველი ცხოვრებისათვის?!

არა, ამას ვერავინ იტყვის, რადგან სიკვდილისათვის თავი არასოდეს არ აურიდებია და სამშობლოს განსაცდელის შორით მაცქერალი, არხეინი მოწმე არასოდეს ყოფილა. ცოტნე საქართველოს გადასაბუგავად დანთებული ხანძრების ცეცხლში ბრუნავდა და ეს მხრებზე დაფენილი ჭალარაც უფრო იმ ხანძრების ფერფლის და ნაცრის კვალი არი, ვიდრე დროით მოსული ხცე და სიბერით გათეთრება.

ის პირველი ხანძარი, ის ჯოჯოხეთური ცეცხლის ალი, რომელმაც ფაზისის ნავსადგურთან და გემსაშენთან ერთად ცოტნეს პირველი გაბედული ოცნებაც დაფერფლა და დანთქა, მთელ მის შემდგომ ცხოვრებას ლანდივით განუყრელად სდევდა თან, ყოველი ახალი იმედისა და ოცნების ჩასახვისთანავე ხელახლა ღვივდებოდა, ყალყზე დგებოდა და იმ იმედსა და რწმენას შეუბრალებელი ულმობლობით ფერფლავდა.

ფაზისის განადგურებიდან ორი წელიც არ იყო გასული, საქართველოს რომ მონგოლთა პირველი ტალღა მოაწყდა. ცოტნე ქართველთა ლაშქრის იმ ნაწილში იბრძოდა, რომელმაც მტერს მძლავრად შეუტია, უკუაქცია და სალტოლვად მიქცეულს დაედევნა. მონგოლებმა სუბუდაი სარდლის მეთაურობით, მაშინ თურმე მათთვის ჩვეულებრივი ხერხი იხმარეს, განზრახ ილტვოდნენ და ქართველები რომ კარგა შორს გაიტყუეს, მზირად ჩასაფრებულმა ძლიერმა რაზმმა მტრის დევნით გატაცებულებს ზურგში დაჰკრა ჯებე-ნოინის წინამძღოლობით. ორ ცეცხლს შუა მოქცეული ქართველები თავგამეტებით იგერიებდნენ, მაგრამ მტრის ორმხრივ შემოტევას ვერ გაუძლეს და უწესრიგოდ იწყეს უკან დახევა.

სწორედ იმ ომში დაიჭრა მძიმედ ძლიერად მებრძოლი ქართველთ მეფე. ცოტნეს გვერდით დაეცა მისი განუყრელი მეგობარი ბექა ჯაყელი — ციხისჯვარელი; ქართველთაგან ურიცხვი გაწყდა და, ბევრმა სახელოვანმა ვაჟკაცმა დასდო თავი იმ დღეს ხუნანის ველზე. თვითონ ცოტნე მკერდში დაჭრილი ჩამოვარდა ცხენიდან და მხოლოდ გვიან, ქსენონში შეიტყო, რომ ომის ბედი არცერთი მხარის სასარგებლოდ არ გადაწყვეტილიყო.

იმ ომში საკმაოდ შეთხელებულმა მონგოლთა ლაშქარმა საქართველოს დედაქალაქის დასაპყრობად წამოსვლა ველარ გაბედა, ღონის მოსაკრებად და დასასვენებლად მუღანში გამოზამთრება არჩია.

როგორც უეცრად გამოჩნდნენ მონგოლები, ისევე მოულოდნელად გაეცალნენ საქართველოს, გაზაფხულზე საომრად მომზადებულ ქართველთა ლაშქართან სახიფათო შებმას თავი აარიდეს, ჩვენი მიწა-წყალი უომრად გაიარეს, კავკასიონის კარი განვლეს და რუსეთის ველებზე გავიდნენ.

ცოტნე ჭრილობისაგან განიკურნა, მაგრამ იმ ომში მტერზე გამარჯვების გემო ვერა ნახა და, თუმცა არც ქართველები დამარცხებულან, მაინც გაჩიანის ბრძოლა უამურ მოგონებად დარჩა.

მონგოლების წასვლიდან წელიწადიც არ იყო გასული, რომ მეფემ და დარბაზმა შირვანშასათვის რუსუდანის მიცემა გადაწყვიტეს.

ცოტნე თავად რუსუდანმა ინდომა მაყრად და მეჯვარედ, ბაგავანს მისული მეფე დიდს გასაკაზმავად ემზადებოდა და სწორედ მაშინ მოხდა უბედურება.

სანადიროდ გავიდა მეფე და მისი ამალა.

ბაგავანის ირგვლივ გადაჭიმულ ლელიანში მარტო კანჯარი და ჯეირანი როდი ეგულებოდა ლაშას. ცხელ, უდაბურ ველზე თურმე ვეფხიც ბევრჯერ შეხვედრია იქაურ მონადირეებს და ლაშა იმას ნატრობდა, ეგებ, ახლაც გადავეყაროთ ჯიქსა და ვეფხსო.

საქართველოში ფოცხვერი არა ერთხელ უნადირნია მეფეს. ჯიქსაც ბევრჯერ შებმია, მაგრამ ვეფხი მის სამკვიდ-

რომში არსად იყო, არც მთაში და არც ბარად.

ყმადნაფიც შირვანში სტუმრობა მარტო იმისთვის ჰქონდა ოცნებად ქცეული, ვეფხვებზე ვინადირებო.

ყოველ ზაფხულს ხარკსა და ძღვენს რომ მოართმევდა ხოლმე, შირვანშა გულით იწვევდა ჭაბუკ მეფეს ვეფხვებზე სანადიროდ. ლაშა რომ თავის თავს კუთვნებოდა, ერთ წუთსაც არ დაფიქრდებოდა, პირველსავე დაძახილზე სანადიროდ ამხედრდებოდა და შირვანშაჰთან ერთად უდაბნოს გადინადირებდა.

მაგრამ საქართველოს მეფის ცხოვრება ისე იყო აწყობილი, რომ საქვეყნო და პირადი საქმეები, ნებას არ აძლევდა თავის სურვილზე ემოგზაურა სხვათა მიწა-წყალზე და თვეობით ტახტისა და თავისი საბრძანისიდან შორს, მოწყვეტილი ყოფილიყო.

როცა შირვანშაზე რუსუდანის გათხოვება გადაწყდა და სასიძოს შესახვედრ ადგილად ბაგავანი დაუსახელეს, მეფე წუთსაც არ დაფიქრებულა, მაშინვე დასტური მისცა. ამ დასტურის მთავარი, მაგრამ გაუმხელელი საბუთი ის იყო, რომ მეფეს ბაგავანის სამხრეთით კანჯრითა და ჯეირანებით სავსე ველები ეგულებოდა და იქაურ უდაბნოს ბინადართა შორის ვეფხვიც იხსენიებოდა.

აგერ ორი დღეა ბაგავანში იშვებენ და ილხენენ მეფის დის რუსუდანის მაყრები. ლაშას საქორწილო სამზადისისაგან განზე დგომა როგორ შეეძლო. პირიქით, ყველაფერი მისი ბრძანებით კეთდებოდა და მცირე წვრილმანებშიაც თვითონ ერეოდა. მაგრამ როგორც კი საქორწინო კაზმვა აეწყო და სამზადისი თავისი წესითა და რიგით წარიმართა, ლაშამ დრო იშოვა.

მონადირეთაგან საუკეთესონი იახლა მეფემ და მრავალრიცხოვანი ამალით სანადიროდ გაემართა. გვარიანად გამოძინებული და კარგ გუნებაზე გაღვიძებული ცოტნე მხნედ და გულლაღად იყო, გათენებიდან სულ ელექსებოდა, ემღერებოდა.



მინდორზე რომ გავიდნენ, ამირანის ლექსი აეკვიატა:

სანადიროდ წამოვიდნენ ამირან და
ძმანი მისნი,
მთას ირემი წამოუხტათ, ოქრო იყო
რქანი მისნი...

მღეროდა გულში ცოტნე და თვალს აცეცებდა იმის მოლოდინში, რომ სადღაც ირემი არ წამოხტომოდა და მშვილდზე ისრის გამართვა არ დაგვიანებოდა.

ფრინველი ბლომად ინადირეს. ნანადირევით დამძიმებას ერიდებოდნენ და ისარს ეგრე ადვილად აღარ იმეტებდნენ სატყორცნად, ხოხობი და დურაჯი ცხვირწინ წამოუფრინდებოდათ, მაგრამ თვალსაც არ აყოლებდნენ.

მოშუადღევებული იყო, კანჯრის გუნდში რომ აიღეს ბუკისა და ძაღლების ყეფის ხმაზე დამფრთხალ ჯოგს თავი დაუარეს, წინ გაიგდეს და ცხენდაცხენ დაედევნენ.

ცოტნე გვერდიდან არ მოშორებია მეფეს. ორივე დაუცდომლად ისროდა და ისრის ყოველ ტყორცნაზე გაქცეული კანჯარი ეცემოდა ძირს. ნანადირევს მისათვლელად მსახურებს უტოვებდნენ, თვითონ ისევ გულხეთქებით მიმქროლავ კანჯრების ჯოგს მისდევდნენ, მშვილდზე ისარს ხელახლა მართავდნენ და... ისევ ეცემოდა განგმირული ნადირი, ისევ ზოლად მისდევდა სისხლის კვალი უდაბნოს ცხელ ქვიშას და თხელდებოდა, მეჩხერდებოდა დაღლილობისაგან ენაგადმოვარდნილი, თავგანწირვით მიმქროლავი ცხოველების გუნდი.

გაუთავდა ცოტნეს ისარი. ჰენებით დაწინაურებულს ისრის მიმწოდებლები უკან ჩამორჩენოდნენ და ახლო აღარავინ ჩანდა.

მოსახვევთან შეაჩერა ცხენი და უნაგირზე სანახევროდ შემოტრიალებულმა მეფეს დაუწყო ძებნა. თითქო მიწას ჩაეყლაპოს, რამდენიმე წუთის წინ მის მხარდამხარ მომქროლავი ხელმწიფე

ეროვნული ბიბლიოთეკა
სახელმწიფო რესპუბლიკ

ალარსად ჩანდა. ცოტნემ ცხენი გვერდზე მიაყენა და კანჯრის ჯოგს დადევნებულ მონადირეებს გზა მისცა. მიჰქრიან ივანე მხარგრძელი და ვარამ გაგელი, ეგარსლან ბაკურციხელი და სარგის თმოგველი, თორღვა პანკელი და ჰერეთის ერისთავი, მიჰქრიან და სტყორცნიან ისარს და ისევ ეცემა მოკლული ნადირი ცხელ ქვიშაზე, ისევ თხელდება კანჯრის ჯოგი და ბოლო არ უჩანს ნადირთ ხოცვას და დევნას. თავის წინ გაატარა ცოტნემ ყველა დიდებული, მეფის ყველა ახლობელი და ყველა მონადირე, მეფე კი არსადა ჩანს.

ალბათ მოსწყინდა ნადირის დევნა ხელმწიფეს და სადმე შეისვენაო, გაიფიქრა ცოტნემ და ცხენი უკან შემოაბრუნა. უნაპირო ველს გახედა, კაცის ჭაჭანება არსად იყო.

ცოტა რომ გაიარა, ნანადირევით დატვირთულ მსახურებს გადაეყარა.

— ხელმწიფე ხომ არ გინახავთ? — იკითხა და თან ფერდგაგლეჯილ კანჯარს დააცქერდა.

— მეფე წინ არის, — თავდაჯერებულად თქვა მსახურთაგან უფროსმა.

— წინ იყო, მაგრამ, ვგონებ შესვენება ინება და ჩამორჩა, აქეთ არსად ჩაუვლია?

— არა, მთავარო, აქეთ არსად უნებებია ჩავლა.

— აქეთ არსად გამოჩენილა, თორემ დავინახავდით, წინ იქნება, მეფის ლურჯას სხვათა ცხენები ვერ დაეწეოდნენ, — დაბეჯითებით მოახსენა მსახურთაგანმა და ცოტნე შეფიქრიანდა.

მართლაც და სად უნდა წასულიყო მეფე? ცხენი რომ შეეყოვნებინა და ჩამორჩენილიყო, ამ ტრიალ მინდორზე ყველა ნახავდა. ალბათ მართლაც წინ გაჰქროლა და, რატომ ეს ვერ მოიფიქრა ცოტნემ, რომ მეფე ყველაზე შორს და ყველაზე წინ ეძებნა?!

დადიანმა ცხენი უკანვე შეატრიალა და ლაფშა მიწას გააკრა.

მიჰქრის ცოტნე, გზადაგზა ხედავს მინდორზე შეჩერებულ მონადირეებს, ნანადირევთან დაქვეითებულ მსახურებს, უკან შემობრუნებულ დიდებულებს.

აგერ, სარგის თმოგველი უქნევს ხელს მის წინ გაქროლებულ ცოტნეს, მხარგრძელთან და გაგელთან ერთად მომავალმა ბაკურციხელმა ხელით რაღაც ანიშნა ოდიშის მთავარს, მაგრამ ცოტნემ ვერაფერი გაიგო და მოლანდებასავით გაუქროლა წინ მეფის ახლობლებს.

ერთხანს ასე უკან მოუხედავად აჭენა ცხენი. მერე, ლელიანი რომ მოხშირდა და ტიტველი ველი დაილია, კანჯრების კვალიც დაიკარგა.

სანახევროდ დამშრალ ტბას გადაადგა ცოტნე და ცხენი შეაჩერა.

წინ ლელშემომდგარი უზარმაზარი ტბის მეტი არა იყო რა, მარჯვნივ სიცხისაგან გავარვარებული კლდეები აყუდებულიყვნენ, ხოლო მარცხნივ გაუვალი ლელი ამართულიყო კედლად.

წამით დაფიქრდა ცოტნე, ვერ გადაეწყვიტა მარჯვნივ წასულიყო და კლდეკლდე ევლო, თუ უკან გაბრუნებულიყო.

ცხენს სადავე მიუშვა და ლაფშამ თვითონ გაიკვლია გზა უზარმაზარ ლოდებსა და გორმახებში. რაკი ცხენმა თვითონ აირჩია გზა, ცოტნემ აღარ დაუშალა და ცხოველის გუმანს მიჰყვა. ერთხანს ასე იარა, ცხენს მინდობილმა, გახურებულ კლდეებში. მერე ლაფშა წყურვილმა თუ ალღომ იმ კლდეების ხვეულებიდან გამოიყვანა და ისევ ტბას გაუსწორდნენ.

წყლის დანახვაზე აჭიხვინებულმა ლაფშამ ტბისკენ აუჩქარა ნაბიჯს, ფრუტუნით დახარა თავი და დაეწაფა.

ცოტნემ სადავე მოსწია, ჭენებისაგან გაქაფული ცხენი ერთბაშად წყურვილის მოსაკლავად არ მიუშვა, წყალი სვენებ-სვენებით დაალევინა. მერე დაიქვეითა, ლაფშას მოსართავები მოუშვა და ლაგამი წაუყარა. ცხენმა წყლით გული იჯერა, თავი აიღო, ყური ცქვიტა და გაილურსა. მერე ერთი თავი დაიქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნია, დაიფრუტუნა, ყელი მოიღერა და შესჭიხვინა.

უკანიდან, კლდეების მხრიდან გაისმა ცხენის საპასუხო ჭიხვინი და ცოტნემ პირი იქით იბრუნა.

სადღაც, ახლო ესმოდა ცხენის ჭიხვინი. ლაფშამ თავი აიღო და იქით წავიდა. ცოტნე ცხენს მიჰყვა.

კლდეებს გასცდნენ და ღელით მოზღუდულ ტრამალს გადაადგნენ. ტრამალზე მეფის ლურჯა დაყიალობდა, აღვირს მიწაზე მიათრევდა და დრო და დრო განწირულის ჭიხვინით უხმობდა ვილაცას.

ცოტნემ მეფის ლურჯა იცნო და ცუდად ენიშნა. კლდეებზე სირბილით დაეშვა და, ის იყო, ლურჯას შეპყრობა დააპირა, რომ წინ წასული ლაფშა ადგილზე შედგა და ტორით მიწას დაუწყო ცემა.

ცოტნეს გულმა ცუდი უგრძნო. სუნთქვაშეკრული ფეხისთრევით მიუახლოვდა ლაფშას და მოულოდნელობისაგან გაქვავდა: სისხლის გუბეში გულაღმა იწვა თვალდახუჭული ლაშა.

ზარდაცემული ცოტნე გახევებული იდგა, გონდაკარგულივით დაჰყურებდა მეფეს და ახლო მისვლისა ეშინოდა. ვაი, თუ ცოცხალიც აღარ არისო, ფიქრობდა სასოწარკვეთილი და არ იცოდა, რა ეღონა.

როგორც იყო, ნაბიჯი გადადგა, ლაშასთან ჩაიჩოქა და ფრთხილად მისწვდა მეფის მაჯას.

მაჯა სუსტად, ხამუშ-ხამუშ სცემდა. მეფე ცოცხალი იყო.

ცოტნემ სისხლის გუბეს დახედა. იმ გუბიდან სისხლის კვალი ბაწარივით გაბმულიყო ცხელ ქვიშაზე და ღელიანისაკენ მიდიოდა.

მეფეს სწრაფად უნდოდა შველა, ბევრი ფიქრის დრო არ იყო.

ცხენის ფეხის ხმა მისწვდა ცოტნეს ყურს. თავი მიიბრუნა და შვებით ამოისუნთქა:

მხარგრძელი და ახალციხელი, ბაკურციხელი და თმოგველი გამოჩნდნენ. ტბასთან მოიჭრნენ, დაიქვეითეს და მეფეს თავს დაადგნენ.

ახალციხელი ღელიანისკენ წაგრძელებულ სისხლის კვალს დააკვირდა.

— ღელიანს ალყა შემოარტყით! — უბრძანა მხლებლებს.

მსახურები ბრძანების ასასრულებლად დაიძრნენ.

მეფე ხელდახელ გამართულ საკაცეზე დააწვინეს და ბაგავანისკენ წაიყვანეს.

ღელიანში დაჭრილ ვეფხს წააწყდნენ მეფის მსახურები. მუცელგაფატრული ვეფხი სულს ლევდა და მსახურებმა მაშინვე დაასკვნეს, რომ მეფე და ვეფხი საბედისწეროდ შებმოდნენ ერთმანეთს.

ალბათ ყველა ირწმუნებდა ამ ნათქვამს, ღელიანშივე მოკლული ასასინი რომ არ ეპოვათ. ისმაილიტს სასიკვდილო ჭრილობა ხმლით ჰქონდა მიყენებული. ამ ამბავმა სულ დააბნია ყველაფერი: ზოგნი რომ ვეფხს თვლიდნენ მეფის მოკლულად, სხვები იმას ამტკიცებდნენ, რომ მტრებისაგან საქართველოს მეფის მოსაკლავად მიგზავნილი ასასინი მეფის ხმლით იყო მოკლული.

ლაშას გულმკერდი სწორედ იმ ადგილას იყო გაგლეჯილი, სადაც მონგოლის ისრით მიყენებული ჭრილობის ნაკვალევი აჩნდა დაღად.

კარვახნის წინ ძლივსძლივობით პირშეკრულმა ნაჭრევმა ისევ დაალო პირი და საშველი აღარ დაადგა, სისხლის დენა არ შეწყდა და დაფლეთილი, ნაიარევი არ დაცხრა.

მეფის ფარულმა მტრებმა მიზეზი იშოვეს რუსუდანისა და შირვანშას ქორწინების ჩასაშლელად. რა დროს სასიძოს ლოდინია, მეფე ხელიდან გვეცლებაო, აბუზღუნდნენ და სასწრაფოდ ხელმწიფის თბილისისაკენ წაყვანა მოითხოვეს. წამოიყვანდნენ კიდევაც მეფეს, მაგრამ მკურნალმა ფეხი მოიდგა და გადაჭრით განაცხადა:

— როგორც კი ადგილიდან დაძრავთ, სისხლის დენა იმატებს და თბილისამდე სული არ ჩაყვება, თუ მეფის სიკვ-

დილი არ გინდათ, აქ უნდა იწვეს გაუნძრევლად, ჩემს დასახმარებლად სხვა ხელოვანი მკურნალებიც იხმეთ თბილისიდან და, აქ ვცდით ყველა ღონესა და წამალს.

მეფის მკურნალის ამ ნათქვამის ანგარიშგაუწევლობა ველარავინ გაბედა და ხელმწიფის სიცოცხლის სასწორზე შეგდება ვერავინ იკისრა.

მარტო თბილისიდან კი არა, შირვანიდან და ადაბადაგანიდან, ანისიდან და ტრაპიზონიდანაც კი დაიბარეს ექიმები. ყველა წამალი და ღონე სცადეს, მაგრამ მეფეს საამქვეყნო პირი აღარ ჰქონდა, მომჯობინების მაგივრად დღითიდღე ილეოდა და სუსტდებოდა.

იმ დღეს დილიდან კარგ გუნებაზე გაიღვიძა მეფემ.

— ცოტნე და სარგისი სად არიან?— იკითხა ლაშამ, ოდნავ რომ მოიხედა.

— აქ გახლავან, ღამეებს ათევენ თქვენს კარავთან, — მოახსენეს და მეფეს სახეზე კმაყოფილების ღიმილი გაკრთა.

— მიხმეთ! — ბრძანა ლაშამ და ხელით ანიშნა.

მეფის კარავში ცოტნე დადიანი და სარგის თმოგველი შემოვიდნენ გაკრძალულნი, მუხლებზე დაეცნენ და ხელმწიფე მოიკითხეს.

— დასხედით, — სელზე ანიშნა შემოსულთ ლაშამ და გაუღიმა.

გალახულებივით წამოდგნენ. სნეულის ცქერას მის საწოლთან დამხობა ერჩიათ, რადგან მეფისკენ თვალის გაპარებაც კი შიშითა და შფოთით ავსებდა ერთგულ მოყმეებს.

ლაშა ძვალი და ტყავიღა იყო. იგი ლანდსაც აღარ გავდა სიცოცხლითა და ხალისით სავსე იმ ხელმწიფისას, სულ რამდენიმე დღის წინ, რომ სანადიროდ მიუძღოდათ და გაფრენილ ნადირს ისრის ერთი ტყორცნით სცემდა ძირს უსულოდ. გალეული, ფერდაკარგული მეფის დანახვისთანავე ორივემ ეს გაიფიქრა, ნეტავ სული სადღა უდგასო. მერე თანდათან შეეჩვივნენ ცოცხალმკვდარი მეფის სიახლოვეს ყოფნას და გარემოების შესაფერისად იწყეს სნეულის გამხნევება.

— მადლი უფალს, რომ წამლებმა გარგეს და კვლავ იწყო ქართველთა ბედნიერების მზემ ამობრწყინებად,— მაღალფარდოვანად თქვა თმოგველმა და თავს ძალა დაატანა, რომ იმედიანი ღიმილი მოეშველებინა.

ლაშამ ხელი ჩაიქნია.

— ამაოება ამაოებათა, და ყოველივე ამაო... საიდანაც მოვედით მუნვე მივიქცევით და არ არის მთქმელი იმისა, თუ რატომ მოვედით, ან რატომ მივდივართ, — მწარე ღიმილით თქვა ლაშამ, მერე ცოტა შეისვენა, თვალი დახუჭა და მისუსტებული ხმით ოდნავ წაიმღერა:

არას გვარგებს სიმძიმილი,
უსარგებლო ცრემლის დენა;
არ გარდავა გარდუვალად,
მომავალი საქმე ზენა...

— ეგრეა სარგის? სწორად ვთქვი?

— ეგრეა ხელმწიფევ, სწორად ბრძანეთ; მაგრამ რუსთველი იმასაც დასძენს:

წესი არის მამაცისა მოჭირვება,
ჭირთა თმენა!...

— აკი ვითმენ, სარგის... ვითმენ, მაგრამ რისთვის ?— ამოიკვნესა ლაშამ და ტკივილისაგან სახე დაემანჭა. თმოგველს თვალზე ცრემლი მოერია, ცოტნეს გახედა — დადიანს თავი ხელებში ჩაერგო და მხრები უთრთოდა. ცოტნესაგან რომ ელოდა გულის გამაგრებას, თურმე თვითონ ის ყოფილა გასამხნევებელი. შეეშინდა, მეფე თვალს გაახელს და მტირალები არ გვნახოსო; ცრემლი მოიწმინდა და ოდიშის მთავარს მკლავზე ხელი მოუჭირა.

ცოტნემაც ცრემლი შეიმშრალა და თავი დაღუნა, რომ ნამტირალევი სახე მეფისათვის აერიდებინა.

— ალბათ ეს იყო განგება და ბედისწერა, ჩემო ცოტნე... როგორ გამოეყო ის ერთი კანჯარი ჯოგს და როგორ გამიყოლია. ისე მიხვეულ-მოხვეულით

ირბინა, დამიზნება და ისრის ტყორცნა ვერ მოვასწარი. კლდეებში შემიტყუა და...—ვაი!.. — ამოიგმინა უცებ ლაშამ და მკურნალი ლოგინისაკენ გაჰქანდა.

ხელმწიფე ტკივილისაგან დაიგრიხა. შუბლზე ჭირის ოფლი დაასხა, მიყუჩდა და თითქმის აღარ სუნთქავდა.

ექიმმა წამალი აყნოსა. ლაშამ ღრმად ამოისუნთქა და უცებ ძილში წასულივით მოეშვა. ფერდაკარგული ცოტნე და სარგისი ფეხაკრეფით გამოვიდნენ მეფის საწოლიდან.

იმ საღამოს მეფემ ზიარება ითხოვა, დისა და დიდებულების თანდასწრებით ანდერძი ბრძანა და განისვენა.

მეფის სიკვდილის გამო ბევრი მითქმა-მოთქმა იყო. მგოსნებმა ასასინის მახვილით მეფის მოკვლის ჭორი არაფრად ჩააგდეს, ჭაბუკი მეფისა და ვეფხის შებმის ამბავი, ლექსებად გამოთქვეს. ხალხმა ის ლექსები ზეპირად ისწავლა და თაობიდან თაობას თქმულებად დარჩა ვეფხებთან მეომარი მეფის გმირობისა და ლამაზი სიკვდილის ამბავი.

ლაშას მიცვალება და რუსუდანის გამეფება, სხვას, მეფის დასთან ცოტნესავით ახლობელს, დიდად გაახარებდა, მაგრამ ოდიშის მთავარს მეხად დაატყდა სამშობლოს ეს უბედურება.

სამშობლოს ძლიერებისათვის ოცნებას კიდევ ერთი ბოძი წაექცა და ცოტნემ ფაზისის განადგურებაზე მეტად ჭაბუკი მეფის დაღუპვა განიცადა.

მაგრამ ქართველებისთვის დიდი თამარის შემდეგ ქალის გამეფება ახალი და ცუდის მომასწავებელი არ შეიძლებოდა ყოფილიყო. რუსუდანს ვაზირები და დიდებულები მხარში ამოუდგნენ, ქვეყნის მშვიდობიანი, ძლევამოსილი ცხოვრება გრძელდებოდა და, ცოტნე ერთგულად ემსახურებოდა ტახტსა და დაზე უფრო საყვარელ გვირგვინოსანს.

ამასობაში კრავაიმ ნანატრი ქალ-ვაჟი შესძინა ოდიშის მთავარს და ისევ გაივსო სიხარულითა და ბედნიერებით ცოტნეს გული.

ეს ბედნიერება ალბათ დაუსრულებლად გაგრძელდებოდა, საქართველოს ბედი რომ უეცრად ჩარხუკუღმა არ დატრიალებულიყო.

მოულოდნელად მონგოლებისაგან დევნილი ხვარაზმშა მოადგა საქართველოს სამეფოს საზღვრებს.

ქართველები ხვარაზმის დამპყრობ მონგოლებზე ერთხელ გამარჯვებულად თვლიდნენ თავს და ეჭვიც არავის ჰქონდა, რომ იმ მონგოლთაგან ლტოლვილ სულტანს კუდით ქვას ასროლინებდნენ და, საქართველოსკენ ავად გამოხედვის სურვილს სამუდამოდ დაუკარგავდნენ.

მაგრამ მოხდა ის, რასაც არავინ ელოდა და ვერავინ წარმოიდგენდა: საქართველო გარნისის გადამწყვეტ ბრძოლაში დამარცხდა, ხვარაზმელებმა თბილისი აიღეს და მოაოხრეს.

და ისევ ავარდა ჯოჯოხეთური ხანძრების ალი, ფაზისი რომ მოსპო. ცოტნეს თვალწინ ახლა უკვე მარტო ოცნება კი არ დაიმსხვრა, არამედ იმ ოცნების საფუძველთ საფუძველი, ას წელიწადს ნაშენი საქართველოს დიდება და ძლიერებაც დაემხო.

რუსუდან მეფემ ლაშქარს რომ ივანე მხარგრძელი უთავა და სეფე დროშაწამძღვარებული გარნისისკენ გაისტუმრა, თვითონ დღედღეზე მოლოგინებას ელოდა. ვითარცა მკვიდრსა და ახლობელს ცოტნეს ცრემლით შეევედრა, არ დამტოვოო და, მთავარსაც მეტი რა გზა ჰქონდა, დედოფლის კარზე დარჩა.

ახლადმოლოგინებული დედოფალი ლიხთიმერეთს ისე სწრაფად გაიხიზნა და ისე ჩქარა შემოვიდნენ დედაქალაქში ხვარაზმელები, ქართველებმა სამეფო სალაროს წაღებაც ვერ მოასწრეს და მტერს აურაცხელი ქონება ხელთ ჩაუვარდა.

თბილისისათვის ბრძოლაში დაიჭრა ცოტნე დადიანიც. საკაცეზე დაწოლილი რომ მიჰყავდათ, შორიდან ხედავდა ოდიშის მთავარი თბილისის ცაზე ატყორცნილ ხანძრის სვეტებს და გულ-

ჩამწყდარი სტიროდა სამშობლოს დიდების დაცემას.

მეორედ ეკიდა ბეწვზე ცოტნეს სიცოცხლე. ზოგჯერ გადარჩენის იმედს ჰკარგავდა და წყალწაღებულივით ხავსს მოეჭიდებოდა: დაე, მოვკვდე, სამშობლოსთვის თავდადებას ვოცნებობდი და, მადლობა ღმერთს, ასრულდა ჩემი ნატვრა და ოცნებაო. ასეთ წუთებში ივლიანე მოძღვრის ჩაგონება გაახსენდებოდა, თვალს მიხუჭავდა და გმირთა გულ-ღვიძლის მკორტნელი არწივის მოსვლას ელოდა.

მაგრამ ამირანის არწივი არ მოდიოდა და ცოტნე ხვდებოდა, რომ მის მიერ ჩადენილი ვაჟკაცობა ის გმირობა არ იყო, რომლისთვისაც არწივს უნდა მოენახულებინა და გულღვიძლის კორტნის სიამე განეცდევინებინა.

მხოლოდ ერთხელ მოესმა დაჭრილს ამირანის არწივის მძლავრი ფრთების ტყლაშუნი.

დაპყრობილი ხალხების შეუნელებელი წინააღმდეგობით გაბოროტებული ჯალალედინი ხან ხლათს აწყდებოდა, ხან თბილისს, ხან თავრეზს გარბოდა აჯანყების ჩასაქრობად, ხან შემახას. მამის სამკვიდროს დაბრუნებისა და ხვარაზმშას უნაპირო სამეფოს აღდგენის იმედი თანდათან იწურებოდა და, მონგოლთა მხედრობასთან გადამწყვეტი შებმის ჟამი არ დგებოდა. კიდევ კარგი, მონგოლები ჯერ შორს იყვნენ, თორემ ხვარაზმის ლტოლვილ სულტანს მათთან შესაბრძოლებლად აღარც ლაშქარი ჰყავდა, აღარც ოქრო გააჩნდა, რომ ჯარი დაექირავებინა და აღეჭურვა.

მართალია, საქართველოს დედაქალაქის აღებამ, ერთხანს წელში გამართა, მაგრამ, რომ იტყვიან, ზღვა კოვზით დაშრაო, თბილისში ხელთნაგდები ქართველთა მეფის სალაროც მალე დაცარიელდა, რადგან ყოველდღე ბლომად აკლდებოდა და შესავსებად არაფერი ემატებოდა. იმ ნადავლის დიდი ნაწილიც ისევ საქართველოში ფეხის მოსაკიდებლად იხარჯებოდა, ისევ აჯანყებულ ქართველთა დამორჩილებისათვის აღმა-დაღმა ლაშქრის გზავნასა და წყობას ხმარდებოდა.

საქართველოს მეფეს ქვეყნის ნახევარი კიდევ ხელთ ეპყრა და იმ ნახევრიდან ხვარაზმელთაგან დაპყრობილ მეორე ნახევარს მუდმივ მოდიოდა ჯარი და საჭურველი. სანამ საქართველოს სამეფოს მთლიანად არ დაიმორჩილებდა, ჯალალედინი თბილისში მოსვენებულ ჯდომაზე ვერ იოცნებებდა. ეს რომ ასე იქნებოდა, იმ თავითვე მიხვდა სულტანი, მაგრამ ვერ იქნა და ლიხთიმერეთში ვერ შევიდა, ძნელად გადასასვლელ უღელტეხილებში ჩასაფრებული ქართველების სიფხიზლეს ვერ გაუსხლტა და, არაერთხელ ქუთაისის ასაღებად გალაშქრებული, უკან პირში ჩალაგამოვლებული მობრუნდა.

რაც დრო გადიოდა, შფოთი მატულობდა და ჯარის შესანახავი ოქრო ძნელი საშოვარი ხდებოდა. ხვარაზმშას ისედაც ცეცხლი ედებოდა ქუთაისს შეფარებულ ქართველთა მეფის გახსენებაზე და ახლა, როცა დაცარიელებული სალაროს შევსება უპირველეს საზრუნავად ექცა, ლიხთიმერეთს გალაშქრების მომხრეთა მუდმივი შეგონება თანდათან ერთადერთ გამოსავლად ესახებოდა.

— თბილისში ქართველთა მეფის საჭურჭლის მხოლოდ უმცირესი ნაწილი ჩაგვივარდა ხელთ, ქართველთა მთავარი განძი ქუთაისთან, მთებშია თურმე საიდუმლოდ დაცული.

— ის განძი რომ ხელთ ვიგდოთ, თუგინდა მთელ საისლამოს შეაიარაღებ და იმოდენა ჯარს დაიქირავებ, მონგოლებს ერთიანად წალეკავენ.

— ქუთაისის აღებით, თბილისშიც ფეხს მოიმაგრებ, საქართველოს დედოფალს ცოლად დაისვამ და ამით ქართველობას დაიმორჩილებ. მერე თვითონ ქართველებსაც შენს ლაშქარს შეუერთებ და მონგოლების წინააღმდეგ აბრძოლებ.

მსგავსი შეგონებანი ჯალალედინს

ცეცხლზე ნავთს უსხამდა, ქუთაისზე გალაშქრების წამქეზებლებს ყური მიუგდო და ლიხთიმერეთის დაპყრობაზე ფიქრით ძილი გაუტყდა.

რკინის ჯვრისა და რიკოთის უღელტეხილებზე არაერთგზის ნაგემებმა მარცხმა სულტანს სხვა, ნაკლებ ცნობილი გზების ძებნა ჩააგონა... ერთგულ ემირებთან ერთად რუკების ჩხრეკა დაიწყო, ქართველებშორის გზების მცოდნეთა გამოკითხვას ფრთხილად შეუდგა.

— კიდევ ყოფილა მესამე გადასასვლელი, სურამის გადასასვლელზე ძნელიც არის თურმე და გრძელიც, მაგრამ იმ უღელტეხილიდან ლიხთიმერეთში მტრის ჯარი არასოდეს გადასულა, ქართველები იქიდან საფრთხეს არ ელიან და ამიტომ იქ არც ჯარი ჰყავთ, არც სიმაგრეები აქვთ ნაშენები. თუ ფრთხილად და საიდუმლოდ ვიმოქმედებთ და იმ მესამე უღელტეხილიდან გადავალთ, ლიხთიმერეთში ჩვენი გამოჩენა მტრისთვის მოულოდნელი იქნება და ფიქრიც რომ არ ექნებათ, ისე შევესევით ქუთაისს.

— მაინც რამდენად უფრო გრძელი იქნება ეგ გზაო, იკითხა და, როცა აღმოსავლეთის უნაპირო ველების მპყრობელი ხვარაზმშას შვილს რაღაც უმნიშვნელო განსხვავება უთხრეს, იმ გზის სიგრძეზე ლაპარაკი სიცილად არ ეყო.

მეორე გაფრთხილება — გზის სიძნელეზე უფრო ანგარიშგასაწევი იყო; მაგრამ ჯალალედინს გული მუდამ მეტი ხიფათისაკენ მიუწევდა და საშიშროება ახლაც არაფრად ჩააგდო.

— ქართველები ვერც იმას იფიქრებდნენ, რომ გარნისს ავიღებდით, ამ ძნელ გზასაც დავძლევთ და გულარხეინ ქართველებს ერთხელ კიდევ შევაგნებინებთ, რომ გულადი მეომრისათვის აუღებელი ციხე და გადაულახავი უღელტეხილი არ არსებობს.

რაკი ჰერეთხევით ლიხთიმერეთს გადასვლის რჩევა ჭკუაში დაუჯდა, ჯალალედინი სალაშქროდ მომზადებას შეუდგა. გადასასვლელისკენ საიდუმლოდ გაგზავნა მზვერავები და წინასწარ ხმა დაარხია არზუმისკენ უნდა გავილაშქროო. ნამდვილად კი ლაშქრის გაკაზმვას მორჩა თუ არა, ბორჯომის ხეობისკენ მხოლოდ ჯარის ერთი ნაწილი გაგზავნა. იმ ჯარსაც ღამით უკან შემობრუნება და გომიდან ჰერეთხევისაკენ იმ გზით სვლა უბრძანა, რომლითაც თვითონ მიდიოდა უმთავრესი ლაშქრით.

ლიხთიმერეთში ჯალალედინის განზრახვა დროზე შეიტყეს. უკვე მეფის ვაზირად აღზევებულმა ცოტნე დადიანმა საიდუმლოდ ჯარის წვევა და კაზმვა იწყო და როცა თბილისიდან ხვარაზმელი სულტანი სალაშქროდ დაიძრა, ქართველებს უღელტეხილის ვიწროები უკვე შეკრული ჰქონდათ.

ჯალალედინის ლაშქარი მრავალრიცხოვანი იყო და რიცხვით მცირე ქართველობას მასთან ვაკეზე გამკლავების იმედი არ ჰქონდა. მაგრამ თუ მტერს ვიწროებში დაესხმოდნენ თავს, იქ დიდი ლაშქარი გაშლას ვერ შესძლებდა და ყველაფერს სისწრაფე და თავდასხმის მოულოდნელობა გადასწყვეტდა.

ქართველებმა თავიანთი მხედრული ანგარიში სწორედ ამ მოულოდნელობასა და ადგილის სიმარჯვეზე დაამყარეს.

ხეობის ორივე მხარე ხშირი ტყით იყო დაფარული. მთის მდინარეს ისე ვიწრო გზა მიჰყვებოდა, ორი აჩაჩა ურემი ერთმანეთს გვერდს ვერ აუვლიდა. ღრმა ხეობაში ჩავარდნილი მდინარე დაკლაკნილი მიედინებოდა. გზა ხან მდინარეს მოჰყვებოდა, ხან აღმა-აღმა ფერდობს გასდევდა და ზოგჯერ ისე მაღლდებოდა, ხევის ძირამდე თვალის ჩაწვდენის შეგეშინდებოდა.

ხვარაზმელთა ლაშქარმა სამხრობისას მიატანა ვიწროებს. მრავალრიცხოვანი ქვეითი და ცხენოსანი ერთხანს შეგუბდა, მერე ბაწარივით გაიჭიმა და ასე დაწვრილებული წყობით შეჰყვა ხეობას.

თავათ ჯალალედინი მეწინავე რაზმს მიჰყვებოდა. თუმცა წინ გაგზავნილ

მზვერავებს ჩქარ-ჩქარა მოჰქონდათ ამბავი, რომ გზა თავისუფალი იყო და ხიფათი არსაიდან ელოდა, გამოცდილი სარდალი მიხვდა, ესოდენ ვიწრო ხეობაში ამოდენა ლაშქრით შემოსვლა მეტისმეტი სითამამე იყო.

ხეობაში ბინდი წვებოდა, მთავარი აღმართები და ძნელად გასასვლელი ვიწროები ჯერ კიდევ შორს იყო. ბნელ ღამეში იმ გზების გავლა ერთიორად გაჭირდებოდა და მტრის თავდასხმის საფრთხეც გაცილებით საშიშად ეჩვენებოდა ჯალალედინს.

სარდლებს მოეთათბირა და როგორც კი ხეობაში ცოტა გაშლილ ადგილს მიაღწია, შეჩერება ბრძანა.

კარვები გამართეს და ცეცხლი დაანთეს. სულტნის კარავი მაღლობზე დადგეს. შუაღამემდე სუფრას უჯდა ჯალალედინი. ნაშუაღამევს თავის ტკივილმა შეაწუხა, დასაწოლად წამოდგა, გუშაგებს ჩამოუარა, და ემირები სასტიკად გააფრთხილა, მორიგეობით ეფხიზლათ; მერე კარავში შევიდა, მსახურს არ უხმო გასახდელად. თაჯი და ქამარ-ხანჯალი სასთუმალთან დაიდო და ერთი პირი გაუხდელად დაწოლა დააპირა. ლოგინზე გაიშოტა და ღიღხანს ამაოდ იტრიალა. ვერ იქნა და ვერ მოისვენა, ცალკე სიცხე აწუხებდა და ცალკე თავის ტკივილი. სხვა ვერაფერი მოიფიქრა და ტანსაცმელი გაიძრო. ცოტა შვება იგრძნო. ფიქრმა წაიღო და ძილი ისე მოეპარა, ვერც გაიგო.

დღისა და ღამის გაყრის საათი რომ დგებოდა, ხეობაში მძიმე სიჩუმე ჩამოწვა. ის დრო იყო, ერთ პირ ძილს რომ წყალიც იძინებს, ჩამქრალი ცეცხლი აქა-იქ კიდევ ინავლებოდა, ხეზე ფოთოლი არ ირხეოდა და მძინარეთა სუნთქვაც აღარ ისმოდა.

ძილისგან თავწართმეული გუშაგები თითქოს გაქანებული ზვავის ხმაურმა გამოაღვიძა.

ხეობის ორივ მხრიდან დამაყრუებელი შლიგინი ატყდა. საღლაც ცხენებმა დაიჭიხვინეს და ფერდობებზე უთვალავი ქვეითი და ცხენოსანი დაეშვა, მიშველი ხმლების ქნევით, სტვენით და ყიჟინით.

მძინარე ლაშქარს შეესივნენ, ერთი ნაპირიდან მეორემდე ხმლის ქნევით გაიარეს და წამში ყველაფერი ერთმანეთში აირია — ქვეითი და ცხენოსანი, მძინარი და გაღვიძებული, მომხდური და დამხდური. თავდამსხმელებმა ორგან შუაზე გაჰკვეთეს ბანაკი, მერე ალყაში მოქცეულებს დაერივნენ და უწყალოდ დაუწყეს ჟლეტა.

ხმალამოწვდილი ემირები თავისიანებს უყვიროდნენ და ამხნევებდნენ. არეული ჯარის დაწყობას ცდილობდნენ და ხმალს გამეტებით იქნევდნენ. მაგრამ ხეირიანად გამოუფხიზლებელი ხვარაზმელები გასაქცევს ეძებდნენ და დამფრთხალი ჯოგივით ხან ერთ მხარეს აწყდებოდნენ, ხან მეორეს. ბოლოს თავქვე მიეძალნენ, მიაწვნენ და ბრძოლაც შენივთდა.

ცოტნე ცხენდაცხენ იბრძოდა, ხმალს მარჯვნივ და მარცხნივ აელვებდა და ბრძოლის შუაგულისკენ მიიწევდა.

იქ, შუაგულში ჯალალედინის ემირებს წყობა შეეკრათ და თავგამეტებით იბრძოდნენ. სულტანიც ნამდვილად იქ არისო, გაუელვა ცოტნეს ფიქრმა და ცხენი იქით მიმართა. ორი თავჩალმიანი შეუხვდა პირისპირ, ერთს ხმალი მოუქნია და მეორეზე ცხენი მიაგდო. ორთავეს განწირული ღრიალი აღმოხდათ, და ცოტნემ უკან მოხედვაც ვერ მოასწრო, რომ შუბი აძგერეს. ეტყობოდა, ცხენიც დაჭრეს, ლაფშამ გამყევანად დაიჭიხვინა, ყალყზე შედგომა სცადა და ცხენოსნიანად ხევში გადაიჩეხა.

ცხენიდან გადმოვარდნილ ცოტნეს წამით მოეჩვენა, რომ უძირო ხრამში ჩაეშვა. ჭაში ჩაგდებულ ქვასავით მძიმედ მიექანებოდა ბნელ უფსკრულში. უსასრულო სიღრმეს ბოლო არ ჰქონდა, შეჩერება არსად შეიძლებოდა. დაქანებული ცოტნე ხელ-ფეხს ამაოდ ასავსავებდა. წყვდიადში თვალი ვერაფერს ხედავდა და დამაყრუებელი შუილის მეტი

ყურში არაფერი ესმოდა. ის შუილი ზღვაურივით ხან ერთბაშად მოაწყდებოდა ყურს, ხან თითქოს უკან იხევსო, ნელნელა წყნარდებოდა და ნაზ. სმენის დამამებელ შრიალადღა აღწევდა ცოტნეს გონებამდე.

მერე სადღაც დაეცა, მთელმა სხეულმა სისველე იგრძნო და პირველად ეს ეგონა, ზღვაში ჩავვარდიო. ის სისველე ბადაგივით სქელი და თბილი იყო, სხეულში ჟრუანტელივით გაატანა, ძვალსა და რბილში მომთენთავად გაუჯდა, ეამა და ესალბუნა.

კიდევ ცოტაც და, ყველაფერი ისე დატრიალდა, თავი ტყვიასავით დაუმძიმდა და შეგრძნობისა თუ შეცნობის უკანასკნელი კვალიც წაიშალა.

თვალი მეორე დღესღა გაახილა. მდიდრულად მორთულ კარავში მზერა უღონოდ შემოატარა. ყველაფერი ეუცხოვა, ალბათ სიზმარს ვხედავო, გაიფიქრა და თვალი ისევ დახუჭა.

— გღვიძავს, მთავარო? მადლობა უფალს, რომ უკეთა ხარ და ისევ მოგვხედე! — ჩაესმა ნაცნობი ხმა.

ცოტნემ თვალი გაახილა: ტახტის ბოლოს, ძვირფას ნოხზე ჩაჩოქებული გუგუტა იმედჩამდგარი თვალით შეჰყურებდა და ძილად მივარდნილი პატრონის თვალის გახელას ცის გახსნასავით ელოდა.

— გუგუტა! — წაიჩურჩულა ცოტნემ და თვალი ისევ მილულა.

— აქა ვარ, მთავარო! — წამოხტა ერთგული ყმა, სასთუმალთან მიიჭრა, ჩაიჩოქა და ჩაჰკითხა:

— ხომ უკეთა ხარ, ბატონო? ექიმები ამბობენ, გადარჩენილია და აწი აღარაფერი უჭირსო.

ცოტნემ თავი უღონოდ გადააქნია.

— კი, ბატონო, ნამდვილად ასეა, ჭრილობა ღრმა არ ყოფილა, მუზარადში ძლივს გაუტანებია ურჯულოს ხმალს. ჰაი, დედასა, რომ იქ არ ვიყავი, თორემ ხმლის დასაკრავად შენსკენ როგორ მოვუშვებდი?

გუგუტა ბატონისაგან ალბათ კითხვას ელოდა, სად იყავიო, და რაკი ცოტნე არ შეეკითხა, თვითონვე გააგრძელა მოყოლა.

— ის იყო, ინათლა და, მზის პირველ სხივებზე ამ კარვის გუმბათიც გაბრწყინდა. მე კარვის სილამაზემ მომტაცა თვალი და როგორც კი ვიღაცამ დაიძახა, ხვარაზმშა იქ არისო, ყველაფერი დამავიწყდა, ცხენს სადავე მივუშვი და ხმალამოღებული აქეთ გამოვქანდი. გზა სულთნის მცველებმა გადაგვიღობეს და ხელჩართული ბრძოლა გაგვიმართეს. ვიდრე იმათ გავუსწორდებოდით, შევყოვნდით. სულთანმა ცხენზე ამხედრება მოგვასწრო, და გაჰქუსლა. რას ვიფიქრებდით, თუ საცვლების ამარა, უხმლოდ და უხანჯლოდ გაქცეული მოლანდება ხვარაზმშა ჯალალედინი იქნებოდა. სულთნის კარავში შემოვცვივდით, ახალ აშლილ ლოგინზე ჯალალედინი აღარ დაგვხვდა. ეს ოქროს ქამარ-ხანჯალი სასთუმალთან იდო, სამეფო თაჯი და სულთნის ძვირფასი ტანსაცმელი სკამზე ეწყო ხელუხლებლად.

სიჩქარისაგან უბედურს ვეღარც ჩაცმა მოესწრო, ვეღარც გვირგვინის დადგმა და იარაღის ასხმა. მარგალიტებითა და პატიოსანი თვლებით გაწყობილმა თაჯმა ყველას თვალი მოგვჭრა. ირგვლივ შემოვეხვიეთ და ბავშვებივით დავუწყეთ ხელით სინჯვა. ამასობაში ვიღაცამ დაიძახა: სულთანი გაიქცა, არ გაუშვათ, დაეწიეთო. ისევ გიჟებივით გამოვვარდით კარვიდან, ცხენებს მოვახტით და გამოვედევნეთ, მაგრამ ცამ აიტაცა თუ მიწამ ჩაყლაპა, ვეღარაფერი შევიტყეთ, ვეღარც თვალი მოვლანდეთ და ვეღარც კვალი ვიპოვეთ მისი. მაინც, რა ცხენი ჰყოლია ამისთანა, რომ აგრე ჩიტივით გააფრინა. ფეხად კი გაგვასწრო იმ რჯულზე ხელაღებულმა, რომ გვემარჯვა და ერთი წუთით ადრე მოვსულიყავით, ამ კარავში მწოლარეს დავადგებოდით თავს და ნამდვილად ცოცხალს შევიპყრობდით. საწყენია, ხელიდან გაგვისხლტა, მაგრამ ისე გულგახეთქილი გაიქცა, აქეთ პირს აღარ იზამს. ახლა

რამდენი ტყვე და ალაფი დაგვრჩა! მარტო ეს თაჯი რადა ღირს, ხვარაზმშაჰების გვირგვინი!

გუგუტამ თაჯი კრძალვით აიღო და ცოტნეს მიუტანა.

— არც ამოდენა ალმასები და მარგალიტები მინახავს ჩემს დღეში და არც ამოდენა ლალ-ზურმუხტები. აღტაცებით თქვა გუგუტამ და თაჯი მაღლა ასწია.

ცოტნემ თვალი უხალისოდ გაახილა, თაჯს გულგრილად შეხედა, ხელი ჩაიქნია და ისევ მიხუჭა თვალი.

ნაომარ ველზე მთავარანგელოზი გამოსულა, ცეცხლოვან მახვილს იქნევს და დაღუპულთა სულებს ჰკრეფს. აგერ, ცოტნეს წუხანდელ მსხვერპლთ, შერგილისეული ხმლით განგმირულ ხვარაზმელ ჯარისკაცებს დასწვდა, სულები ამოართვა და ცოტნესკენ მოხედვაც არ ინება, ისე დააპირა გზის გაგრძელება.

ცოტნემ კრძალვით შეახო ხელი ცეცხლოვან ფრთაზე და ჩურჩულით შეევედრა:

— ძალდიდებულო მთავარანგელოსო! წამიყვანე, ჩემი დროც მოსულია.

მთავარანგელოსი შეჩერდა, ოდიშის მთავარს შუბლზე დააცქერდა და უარის ნიშნად თავი გაიქნია:

— არა, შენი დრო ჯერ არ დამდგარა, შუბლზე გაწერია, რომ წინ კიდევ დიდი გზა გაქვს.

— აღარ მინდა, დავიღალე ამ გზაზე სიარულით. მადლობა ღმერთს, საქართველოს ამაოხრებელი იძლია, სამშობლოს მტერს გულმართლად შევაკვდი და სხვა ამ ქვეყნისა აღარაფერი მმართებს.

— მტრის შეკვდომაზე ადვილი რა არის?! გახედე ბრძოლის ველს. შენს გარდა სხვაც რამდენი შეაკვდა მტერს! განა ასე უსახელო სიკვდილზე ოცნებობდი ამდენ ხანს? ეს იყო შენი მოწოდება?

მთავარანგელოსის ხმას ზარი და სიმკაცრე მოემატა და ცოტნე შეკრთა, ეს ხმა სადღაც ადრე გაეგონა.

— ბრძოლის ველზე ჩვეულებრივი სიკვდილით სამშობლოს წინაშე ვალის მოხდა იოლი საქმეა. შენ უფრო დიდი ვალი გაქვს მოსახდელი ღვთისა და ერის წინაშე. ეცადე, ის ვალი ბოლომდე წმინდად მოიხადო.

მარტო ხმა კი არა, ახლა ნათქვამიც ეცნაურა ცოტნეს და გაახსენდა—სწორედ ამ სიტყვებს, ამ ხმით ეუბნებოდა ვაზირყოფილი ვარდან დადიანი, როცა მონასტრიდან უკან ისტუმრებდა.

ეს ხმაცა და შეგონებაც კირიონ მოძღვრისა არის, მაგრამ მთავარანგელოსის ბაგით, რატომ მეტყველებს ნავაზირალი ბიძა?!

მთავარანგელოსმა დაჭრილ ცოტნეს ჯვარი გარდასახა, ფრთა ფრთას შემოჰკრა და გაფრინდა. ცოტნემ თვალი გააყოლა მძლავრი ფრთების ტყლაშუნით მიმქროლავ ანგელოსს და უცებ მოეჩვენა, რომ ცაში ანგელოსი კი არა, არწივი მიფრინავდა.

— ამირანის არწივი! ამირანის არწივი!

ზედ ყურთან ჩასძახის ივლიანე მოძღვრის ნაცნობი ხმა ცოტნეს.

— ჰო, მაგრამ, როდის? როდის?! — აღმოხდა ცოტნეს სასოწარკვეთილი ძახილი, — როდის მოფრინდება ჩემი გულ-ღვიძლის საკორტნად ეგ არწივი, მოძღვარო, მეტი ლოდინი აღარ შემიძლია... დავიღალე...

— ვიდრე გულ-ღვიძლი ქვეყნის ვარამით არ აგევსება, ვიდრე სისხლი ერის საზრუნავით არ მოგეწამლება, ის არწივი შენთან არ მოფრინდება...

— მოფრინდება კი ოდესმე?

— მოფრინდება... უთუოდ მოფრინდება! საწუთროს ხელით მოწვდილ შხამს, მშობელი ხალხის უბედურებით სავსე თიალას, როცა ბოლომდე შესვამ, მაშინ მოვა ის არწივი შენთან...

— ნუთუ კიდევ მეტი უბედურება უნდა ვნახო ჩემი ხალხისა?! მაგ სასჯელს სიკვდილი სჯობს, უფალო! აღარ მინდა, აღარ შემიძლია ჩემი ხალხის

უბედურების ცქერა! — ცოტნეს გული ამოუჯდა და ცრემლები ღაპაღუპით გადმოცვივდა.

ამირანის არწივმა ირაო შეჰკრა ცოტნეს თავზე, მერე მხარი მოიქნია, ფრთების ტყლაშუნით გასცურა და უმალვე თვალს მიეფარა.

ეს იყო და ეს, ამის მეტად ცოტნეს აღარც ამირანის არწივი მოჩვენებია, აღარც მისი ფრთების ტყლაშუნი და საყვარელი მოძღვრის ხმა სმენია სიზმრად.

სიზმრებიც ისეთივე ჩვეულებრივი ესიზმრებოდა ოდიშის მთავარს, როგორიც ცხოვრება ჰქონდა. ეს ცხოვრება ჩვეულებრივ მოკვდავთა ყოველდღიურ ზრუნვასა და ფუსფუსს ზემოთ ვერ მაღლდებოდა და დღე დღეს ისე მისდევდა, არაფერი ღირსსახსოვარი და გამოსარჩევი არ რჩებოდა ?ადამ ამაღლებულსა და განსაკუთრებულზე მეოცნებე ვაჟკაცის სულს.

მონგოლები ისევ გამოჩნდნენ საქართველოს სამხრეთით. ჯალალედინი ერთხელ კიდევ დაუსხლტა ხელიდან მოსისხლე მტრებს, მაგრამ სიკვდილი ფეხდაფეხ მიჰყვა და, ვიღაც უბირი ქურთის ჰერქვეშ უსახელოდ დაასრულა უიღბლო სულთნის სიცოცხლე.

ხვარაზმელთა წასვლის შემდეგ საქართველომ სულის მოთქმაც ვერ მოასწრო, მონგოლთა ახალი ძლიერი ტალღა დაიძრა და ჩვენ ქვეყანასაც დაუოკებელი ძალით მოაწყდა.

რუსუდან მეფემ თავის დროშის ქვეშ მთელი საქართველოს ლაშქრის მოკრება და კარზე მომდგარი მტრისთვის წინააღმდეგობის გაწევა ვერ შესძლო, თბილისი მიატოვა და ისევ ლიხთიმერეთს მიაშურა.

სანამ მონგოლები მოვიდოდნენ, საქართველომდე მათი უძლეველობისა და შეუბრალებლობის ხმამ მოაღწია. ლტოლვილები და მზვერავები ყველას არწმუნებდნენ, რომ მონგოლებისათვის წინააღმდეგობის გაწევას აზრი არ ჰქონდა, რადგანაც თვითონ უფლის მიერ იყვნენ მოვლენილნი მთელი მსოფლიოს დასაპყრობად. ამ ხმებს მონგოლთაგან მრავალი ძლიერი სამეფოს განადგურებისა და დამორჩილების მაგალითებით ამაგრებდნენ და მონგოლების მორიგ მსხვერპლს წინასწარ უნერგავდნენ მარცხის გარდუვალობას.

ქართველი მთავრების უმრავლესობა ამ ხმებს აჰყვა და, საერთო ძალით მტრის მოგერიების ცდის ნაცვლად, საკუთარი თავის გადარჩენის უიმედო გზა აირჩია — მიუვალ ციხეებში ჩაიკეტა და მთელი სასოება იმ ციხეთა მიუდგომლობასა და, მონგოლთათვის თავის შეწყალებაზე დაამყარა. თვითონ სამეფოს ამირსპასალარმა, ათაბაგმა ავაგ მხარგრძელმა ქვეყნის გაერთიანებული სამხედრო ძალის მეთაურობაზე და მტრისთვის ბრძოლის გამართვაზე უარი თქვა და, კაენის ციხეში გამაგრდა. მხოლოდ ციხისჯვარელმა და ბაკურციხელმა გამოიღეს ხელი და თავიანთ მიწაწყალზე მონგოლები უომრად არ შეუშვეს. მაგრამ, როცა დანარჩენი საქართველო ბრძოლაზე ხელს აიღებდა, მათი წინააღმდეგობაც ხანმოკლე და უნაყოფო იყო, ბოლოს და ბოლოს მათაც დამპყრობლებს მორჩილება გამოუცხადეს. ციხეების კარები გაუღეს და თავს მათი მ[illegible]არკეობა იდვეს.

როცა ერთიანი ბრძოლისაკენ ცოტნეს მოწოდებას არავინ გამოეხმაურა და ჯარით ციხისჯვარელის მიშველებამაც შედეგი ვერ მოიტანა, ოდიშის მთავარმა მთელი ძალღონე ლიხთიმერეთში გადასასვლელი გზების გამაგრებას მოახმარა.

მონგოლების არაერთ ცდას, ლიხთიმერეთშიც გადასულიყვნენ და დასავლეთ საქართველოც დაეპყროთ, მარცხზე მარცხი მოჰყვა.

დამპყრობლებმა, რაკი ძალით ვერაფერი გააწყეს, საქართველოს მეფის ვაზირთან, ცოტნე დადიანთან მოლაპარაკება გამართეს და ლიხთიმერეთს ხელუხლებლობის საფასურად ყოველწლიური მძიმე ხარკის გაღება დააკისრეს.

ლიხის მთის გადაღმა მონგოლი არ ჭაჭანებდა და ეს დიდი სიკეთე იყო. ამ სიკეთისათვის მეფე და ხალხი ცოტნეს უმადლიდა, მაგრამ თვითონ ოდიშის მთავარი დიდად სწუხდა სამშობლოს ესოდენ დაქვეითებისა და შეჭირვების გამო.

მძიმე ხარკი აუტანელ ტვირთად აწვა მოსახლეობას, ხალხის მიერ შექმნილი დოვლათი მონგოლთა გადასახადს ვერ აუდიოდა. ქვეყანა ღარიბდებოდა და უკან-უკან მიდიოდა. მაგრამ მეურნეობის მოშლა და ხარკი იმდენად არ ამწარებდა ხალხს, როგორც მონგოლთაგან დაწესებული სამხედრო ბეგარა. ყოველ ათ სულზე ორი სული მეომარი უნდა გამოეყვანა საქართველოს. მონგოლები საქართველოში ბეგარით შეკრებილ ჯარს უცხო ქვეყნებში ერეკებოდნენ საომრად და, გაწყდა ქვეყანა წელში. სამხედრო ბეგარა განსაკუთრებით დაუმძიმდათ ქართველებს უკანასკნელ წლებში, მას შემდეგ, რაც ისმაილიტების მიუვალი სიმაგრის ალამუთის ასაღებად დაიწყეს ომი მონგოლებმა. ქართველებს ციხესიმაგრის იერიშზე წინ ერეკებოდნენ და სულაც არ აწუხებდათ მათი გაჟლეტა. ამ დიდ მსხვერპლს კიდევ ჰაერის გაუსაძლისობითა და სასმელი წყლის უვარგისობით გაჩენილი სალმობა ერთვოდა. მუცლის აშლილობა და მრავალი სხვა სნეულება ბუზებივით ხოცავდა ქართველებს და ალამუთის ალყიდან შინ ნახევარიც ვეღარ ბრუნდებოდა.

უმეფო, ცალკე სამთავროებად დაქსაქსულ ქვეყანას მოსვენება არ ჰქონდა. ვისაც არ ეზარებოდა, ყველა საქართველოს აწიოკებდა, მონგოლებს დაპყრობილი ქვეყნის დაცვა არ ენაღვლებოდა და, ყველა კუთხე მხოლოდ თავისი თავის იმედით უმკლავდებოდა მოსეულ მტრებს.

მონგოლებმა ქვეყნის ცალკე სამთავროების მართვა ისევ ძველ მთავრებს მიანდეს, ქვეყანა სამხედრო ვალდებული მოსახლეობის რიცხვის მიხედვით დუმნებად ან ათ-ათიათასებად დაჰყვეს და დუმნების მეთაურ მთავრებს დუმნისთავები უწოდეს. ამრიგად, საქართველოს სამეფოს ამაყი მთავრები უცხო დამპყრობთა მოხარკეები შეიქმნენ და მათზე დამოკიდებული მსახურების ხარისხამდე ჩამოქვეითდნენ. გარეგნულად ისევ ძველებური პატივი შეინარჩუნეს მთავრებმა, მაგრამ მონგოლები თავს ისე წამოასხდნენ, მათ საგამგეო ქვეყანაშიც თითქმის აღარაფერს ეკითხებოდნენ. ვისაც ქვეყნის ჭირვარამზე გული არ შესტკიოდა, მას არც ეს თავმოყვარეობის შელახვა აწუხებდა. ცოტნესავით პატიოსან მამულიშვილებს კი სიცოცხლე მობეზრებული ჰქონდათ და სიკვდილი ენატრებოდათ.

აი, ახლა, ალამუთის ლაშქრობიდან ბრუნდებოდა დასნეულებული ცოტნე. მისთვის უკვე სულერთი იყო სალმობას გადარჩებოდა თუ არა, რადგან წინ, მომავალში აღარავითარ სიხარულს აღარ ელოდა, სამშობლოს ბედნიერებაზე ხელი ჩაქნეული ჰქონდა და ამ გარემომცველ წყვდიადში, რომ ერთადერთი ნათლად საყვარელი ცოლ-შვილი აღარ ჰყოლოდა, ალბათ სნეულებას თავს დაუდებდა და ამ ქვეყანასთან ანგარიშს გაასწორებდა.

ცოტნეს ურემს, ერთ მხარეს, ცხენდაცხენ მოჰყვებოდა ციხისჯვარელი. უკვე მიმცხოვნებულ ნავაზირალს, დაღლილი ქურანისათვის სადავე ნებაზე მიეშვა და თავჩაღუნული ცხენზე თვლემდა.

მეორე მხარეს სარგის თმოგველი მოჰყვებოდა ურემს, ისიც ცხენდაცხენ, მოწყენილი და გალახულივით მხრებჩამოყრილი.

მათ კვალზე შორიახლო მოდიოდნენ ომითა და გრძელი გზით, უჭმელობითა და უძილობით გასავათებული მოლაშქრეები. ქვეითები და ცხენოსნები, ერთნაირად შებერტყილები და ქანცგაწყვეტილები მოლასლასებდნენ ამტვერებულ გზაზე.

რამდენიმე ურემზე დაჭრილები იწვნენ, ქვეშ თივა ან ჩალა ეგოთ და ზემოდან ნაბდის ძველები ეხურათ.

თავჩაღუნული მოლაშქრეები დრო-ძადრო დუმილს არღვევდნენ, ხმას უწევდნენ და ყაყანს სტეხდნენ. მერე ისევ დაცხრებოდნენ, თავთავიანთ ფიქრს მიეცემოდნენ და გაუთავებელი გზის დასალევად ერთხელ კიდევ ცდილობდნენ ფეხის აჩქარებას.

— აღარ დაილია ეს ტიალი გზაი! — ამოიკვნესა გულზე ხელდაკიდებულმა ვაჟკაცმა, წამით შეჩერდა, შუბლზე ოფლი მოიწმინდა და გრძელ გზას გახედა.

— უმალ ჩვენ დავილევით, ვიდრე ეს გზა დაილეოდეს!—წაიბურდღუნა მეორემ.

— დალეულნი არა ვართ? მეტს რაღას დავილევით?! იქით რამდენი წავედით და, აქეთ რამდენიღა ვბრუნდებით, — სინანულით თქვა მესამემ და ამხანაგებს თვალი მოავლო.

— ნახევარი აღარა ვართ, — დაასკვნა პირველმა.

— ჩვენი სოფლიდან ოცნი ვიყავით და ხუთნიღა ვბრუნდებით.

— მეც ეგ მიკლავს გულს, და შინ დაბრუნება აღარ მიხარია. რა უნდა ვუთხრა ან ჩემს მშობლებს, ან ბიძაშვილებსა და სახლიკაცებს, თვრამეტი ბიჭიდან შვიდნიღა ვბრუნდებით. ექვს მეზობელთან ერთად ორი ალალი ბიძაშვილი და ერთი ღვიძლი ძმაც იქ დავტოვე.

— ასე უნდა ვიჟლიტოთ ყოველ წელიწადს? როდის გათავდება ეგ ალამუთის ომი, ან რა გვესაქმება ქართველებს ისმაილიტების ციხეს რომ ვაწყდებით!

მოლაშქრეებმა ერთხანს კიდევ იყაყანეს, ალამუთის ომის მომგონებსა და ქართველების იქ გამრეკავებს წყევლაკრულვა გაუგზავნეს, მათი გინებით ცოტა გული მოიოხეს და ნელნელა ჩაწყნარდნენ.

— გესმოდა, სარგის? — მისუსტებული ხმით შეეკითხა ცოტნე და ბალიშზე წამოიწია.

—მესმოდა... გუნებაში ალბათ ჩვენც გვწყევლიან და გვაგინებენ...

— განა არ გვეკუთვნის! ახიც არი, კარგად თუ გვიკურთხებენ.

— იქნებ მართლაც ახი იყოს, — მოფხიზლდა ციხისჯვარელი, — ეგებ კიდევაც გვემართლებიან, მაგრამ ჩვენ რა ღონე გვაქვს და რა შველა შეგვიძლია!

— ჩვენ მათი პატრონები ვართ, ვაზირო, მათ ბედზე ზრუნვაც ჩვენ გვმართებს.

— ნამდვილად გვმართებს, მაგრამ ღონე რომ არ შეგვწევს?

— იქნებ ღონეც გამოინახოს, ჯერ ხომ არ გვიფიქრია!

— რაც უნდა იფიქრო, თავს ზევით ვერ ახტები და მონგოლების უღელს ვერ მოიცილებ.

— უნდა მოვიცილოთ, ყვარყვარებატონო! — ხმადაბლა თქვა ცოტნემ და ლოგინზე კვნესით წამოიწია, — უნდა მოვიცილოთ და ქვეყნის ერთიანობა აღვადგინოთ. ხომ ხედავთ, ვისაც არ ეზარება, ყველა ჩვენ გვაწიოკებს, ასე დაქსაქსულებს რომ გვხედავენ.

ყვარყვარემ და სარგისმა ერთიმეორეს გადახედეს, მერე მათ უკან მომავლებს მოჰხედეს, ხომ არ გაუგონიათო. მოლაშქრეები საკმაოდ მოშორებით მოდიოდნენ და ისევ ერთმანეთში ყაყანებდნენ.

— მონგოლებთან ხუმრობა არ გაგვივა, მთავარო, ნებით ეგენი არ დაგვეხსნებიან და ძალა კიდევ ჩვენ არა გვაქვს, — თითქმის ჩურჩულით თქვა ყვარყვარემ.

— ხომ მაინც ვწყდებით და ვიხოცებით...

— კი, ვწყდებით და ვიხოცებით.

— ბარემ, მაგ მონგოლებს შევაწყდეთ, თუ შეწყდომაა, ალამუთთან რა გვესაქმება!

— მთლადერთიანად გინდა რომ მოვისპოთ და გადავშენდეთ?

— მაინც ნელ-ნელა გადაშენება არ აგვცდება და ხელი რომ გამოვიღოთ, ერთიმეორეს, რომ მხარი მივცეთ, იქნებ ვერც ეგრე ადვილად მოგვსპონ.

— ვინ იცის, შეიძლება ეგრეც მოხ-

დეს. საქმეს მოფიქრება, აწონდა-წონა უნდა, — გაქექილად მისცა მხარი სარგის თმოგველმა.

— თქვენ ჯერ კიდევ ახალგაზრდები ხართ და სისხლი გიდუღთ. მე მონგოლებთან თქვენზე მეტი სისხლი მიღვრია და თქვენზე უკეთ ვიცნობ მაგათ. მაგათი მომრევი ახლა ქვეყნად აღარავინ არი!

— ცდა ბედის მონახევრეა...

— თუ ღმერთიც შეგვეწევა!..

— რას ამბობთ, მთელი ქვეყნისა და ხალხის ბედის ცდაზე შეგდება როგორ იქნება... ამის უფლება არა გვაქვს.

— მაშ ასე გულხელდაკრეფილნი ვიყოთ და მოწმეებივით ვუყუროთ, როგორ ნელნელა ვნადგურდებით?!..

გზაზე გლეხები გამოჩნდნენ და მთავრებმა საუბარი შეწყვიტეს.

წინ ბალღები მორბოდნენ.

მთელი სოფელი გამოსულიყო ომიდან დაბრუნებულთა შესაგებებლად.

ურმები და ცხენები შეჩერდნენ.

ჯერ ბავშვები შემოეხვივნენ ლაშქრიდან მობრუნებულებს, მერე ქალები მიაწყდნენ და შეიქნა ხვევნა-კოცნა, ერთიმეორის მოკითხვა, ცრემლის ღვრა და გადაძახილი.

ცოტა კიდევ და ვიღაცამ შეიცხადა, ვიღაცამ კივილი გააბა და ვიღაც გულწასული დაეცა მიწაზე.

— ჩემი შალვა რა იქნა, ბიჭო? — მოთქვამდა სახედახოკილი დედაკაცი და დამნაშავესავით თავდახრილ, დიაცივით ახლუკუნებულ მოლაშქრეს ანჯღრევდა.

— ვაი ჩემს მოსწრებას, შვილებო... — გოდებდა მეორე და აფშლუკუნებული ბერიკაცები ქუდებით იწმენდნენ დაპა-ღუპით წამოსულ ცრემლს.

— ჩემი ამირანა სად დასტოვე, შინ რა პირით მოდიოდი...

ყვარყვარემ ცრემლმომდგარი თვალით მოხედა ცოტნესა და სარგისს.

— ღამის მეც ამომიჭდეს გული მაგათი საცოდაობით... წავიდეთ, — თქვა და ცხენი დასძრა.

ურმები და ცხენები ნელა დაიძრნენ.

— ეგ არი შენი პასუხი, ხელმწიფის კაცო? — დაადევნა ტირილით ხმაჩახლეჩილმა დედაკაცმა.

— ყეენივით რომ ცხენით დაბრძანდები, ჩვენი შვილების სასაკლაოზე წარეკვისათვის კი იზრუნე, მაგრამ რატომ უკან დაბრუნებისთვის არაფერი გააკეთე!

— ვაი ჩემს მოსწრებას, შვილებოო... თავიანთ ცოლ-შვილს და სხვისა რა ენაღვლებათ!

მიწა გახეთქოდათ და შიგ ჩავარდნილიყვნენ, ის ერჩიათ მთავრებს ამის გაგონებას. შეურაცხყოფილებმა, გულჩაწყვეტილებმა თავი ჩაღუნეს და ცხენებს ფეხი აუჩქარეს, რომ იქაურობას სწრაფად გასცლოდნენ.

დაბრუნებულთა გრძელი რიგი თანდათან მოკლდებოდა და თხელდებოდა, მოლაშქრეები თავთავიანთ სოფლებში რჩებოდნენ, გზის გამგრძელებლებს დაქვრივებულთა და დაობლებულთა ზუზუნი მოაცილებდა, ისედაც დაღლილ-დაქანცულებსა და გულგატეხილებს ის ზუზუნი გუნებას კიდევ უფრო უმღვრევდა, შინ მისვლა აღარავის ახარებდა და, ისე ფეხისთრევით მისდევდნენ დაუსრულებელ გზას, თითქოს მონატრებულ სახლ-კარში მისვლა კი არა, საშინელ სამსჯავროს წინაშე წარდგომა ელოდათ.

თმოგვის გზის გადასახვევთან გამოეთხოვათ სარგისი.

— როგორც გითხარი, თავადო, ცოტნე ჩემსას დარჩება, ვიდრე მოიკეთებდეს. ცოლ-შვილსაც აქ მოვგვრით და შენ იცი, თუ ხშირ-ხშირად მოინახულებ.

— მოვინახულებ, როგორც კი მამულისა და ოჯახის საზრუნავს მოვრჩები ამდენი ხნის დაკარგული კაცი, მაშინვე ციხისჯვარს გეწვევით.

— აბა, გზა მშვიდობისა!

— მშვიდობით მენახეთ!

ერთმანეთს გადაეხვივნენ, სარგისი თავის ხალხს გაუძღვა და თმოგვის გზას დაადგა.

ცოტაც გაიარეს. ცოტნემ გადახრილ მზეს შეხედა.

— ციხისჯვარს ალბათ კარგა დაღამებამდე მივატანთ.

— მე ეგ მინდა, იმიტომ არ ვჩქარობ. ღამის სიბნელეში ჩუმად დაბინავდებიან და შინმოუსვლელთა ოჯახების აწიოკებას არ ვნახავთ.

— ხვალ ხომ გათენდება... ხვალ სად წავუვალთ იმათ მოთქმასა და ყვედრებას...

— ვერსად ვერ წავუვალთ... უნდა გავუძლოთ და მოვითმინოთ.

— როდემდის? ვაზირო, როდემდის...

— ალბათ სიკვდილამდის, მთავარო, ვაჟკაცი იმისთვის ყოფილა გაჩენილი, რომ განსაცდელს გაუძლოს და აიტანოს!

მთავრის მშვიდობით დაბრუნების მახარობლად გუგუტა გაჩნდა დადიანთა სასახლეში.

კრავაი სიხარულით ცას ეწია, მახარობელი უხვად დააჯილდოვა და ლხინი გადაიხადა.

მეორე დღეს შინმოუსვლელ ალამუთელ მოლაშქრეთა ოჯახები თავისი ფეხით დაიარა, ქვრივ-ობლებს მიუსამძიმრა, ნუგეში სცა და საბოძვარი უბოძა.

ციხისჯვარელის სახლში ქმრის შეყოვნებას არ გაუკვირვებია, მაგრამ მეორე დღეს რომ გუგუტას ცოტნეს შეუძლებლობაზე სიტყვა დასცდა, კრავაი შეშფოთდა. ხატზე აფიცა გუგუტა, მაგრამ მეტი ვერაფერი ათქმევინა. რაკი ერთხელ აფორიაქდა, ველარ დაწყნარდა, საყოლში სასწრაფოდ გამგზავრება გადასწყვიტა და თადარიგს შეუდგა. საგზალი და ძღვენი გაამზადებინა და თვითონაც წასასვლელად გაიკაზმა. გზებზე გახშირებული მეკობრეობით დაშინებულმა, თან რჩეული ვაჟკაცების რაზმი იახლა და მამლის ყივილამდე სამცხისაკენ გაემართა.

გრძელი გზით დაქანცულებმა რკინის ჯვარი გადაიარეს და ჩავაკებამდე გზის პირად გამართულ ფუნდუკში შეისვენეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრავაის ცხენს ნალი აძრობოდა. იქვე სამჭედლოში მჭედელს მიგვარეს, დანარჩენ ცხენებს საპალნე მოხსნეს, მოსართავები მოუშვეს და ლაგამწაყრილებს ბალახი მიანებეს.

ქალბატონმა მწვანეზე სუფრის გაშლა ბრძანა. ბალახზე ლურჯი სუფრა გაფინეს, საჭმელ-სასმელი ჩამოარიგეს და კრავაი მიიპატიჟეს.

ის იყო, მთავრის მეუღლე ბალიშზე დაბრძანდა, პირჯვარი გადაიწერა და პური გასტეხა, რომ დაბლიდან ჩორთით მხედრები ამოიჭრნენ, სამჭედლოსთან დაიქვეითეს და ყაყანი შეჰქმნეს.

— მონგოლთა რაზმია! — ლუკმა ყელში გაუჩერდა გუგუტას.

— მარბიელები არიან თუ?.. — იკითხა ფერწასულმა კრავაიმ, — მე გაგეცლებით, ეცადეთ, დროზე წავიდეთ. — ბრძანა ქალბატონმა, კალთა დაიფერთხა და ფუნდუკისკენ წავიდა.

მხლებლებს პურს რაღა აჭმევდათ. ისინიც წამოდგნენ და სუფრის ალაგებას შეუდგნენ.

— თქვენ, ჰეი! — შორიდან გამოსძახა ხელმათრახიანმა მონგოლმა.

ოდიშელებმა მონგოლებისკენ იბრუნეს პირი.

მონგოლთა ასისთავი მათრახის ქნევით წამოვიდა, ფეხზე წამოშლილ ქართველებს მოუახლოვდა და დოინჯით გამოეჭიმა.

— კარგ დროს მოვსულვართ, დილას აქეთ პირში ხემსი არ ჩაგვსვლია! რაო, გეწყინათ ჩვენი მოსვლა?

— რასა ბრძანებთ! — მოუქცია მათებურად მონგოლურის მცოდნე ოდიშარმა.

— თუ არ გეწყინათ, ჩვენთან ერთად დასხედით და შეექეცით, — თქვა ასისთავმა, ქალბატონის ბალიშზე მოირთხა და დანარჩენებს გასძახა, მოდითო.

მონგოლები ძუნძულით მოვიდნენ, ბალახზე დასხდნენ და საჭმელს მშიერი სვავებივით მიეტივნენ.

— ღვინო დაასხით! — თავაუღებ-

ლად ბრძანა საჭმლით პირგამოტენილმა ასისთავმა.

გუგუტამ ანიშნა და ოდიშარმა ყმაწვილმა სასმისები შეავსო.

ასისთავმა გაქონილი ტუჩები სახელოთი მოიწმინდა, სასმისი თვალდახუჭულმა მოიყუდა, შეუსვენებლივ დაცალა, ერთხანს ყელში გადასული ღვინის გემოთი ტკბებოდა .სახეზე კმაყოფილების ღიმილი უთამაშებდა. ტუჩები ხმამაღლა გააწკლაპუნა, თვალი გაახილა და ცარიელი სასმისი სუფრაზე ისროლა.

— თქვენ არც სჭამთ, არცა სვამთ?— შეუბღვირა გუგუტას.

— როგორ არა! — გამოსცრა გუგუტამ და სასმისი ასწია.

ერთხანს თავწახრილებმა სვეს და ჭამეს. მონგოლები სასმისს სასმისზე ცლიდნენ და, ღვინო მალე მოეკიდათ.

— ის ლამაზი ქალი ვინ არი? — იკითხა კარგად დანაყრებულმა და უკვე შეზარხოშებულმა ასისთავმა.

გუგუტამ წაუყრუა.

— არ იტყვი, ის ქალი ვინ არი? — შეუყვირა გაბრაზებულმა მონგოლმა.

— დუმნისთავის, ცოტნე დადიანის მეუღლეა, — აღირსა პასუხი გუგუტამ და სასმისი შეუვსო.

მონგოლმა მაშინვე დაცალა, ისედაც გაწვრილებული თვალები მთლად მიწურა და გუგუტას მაცდური ღიმილით მიაჩერდა.

— ეგ ქალი ჩვენთან სუფრაზე არ მოვა?

გუგუტამ ისევ წაიყრუა, სასმისი შეუვსო და მონგოლს კერძი მიუწია.

ასისთავმა სასმისი ასწია და თან პირში ლუკმა იგდო; რაღაცის თქმას აპირებდა, ლუკმა სასულეში გადასცდა და ხველა აუვარდა.

— ძუკუ, — ჩუმად უთხრა გუგუტამ მწდედ მდგარ ყმაწვილს, — მიდი, ქალბატონს უთხარი, ახლავე ცხენზე შებრძანდეს და გაიპაროს.

ძუკუმ თავი დაუქნია.

— შენც გაყევი:.. ჩვენ გზაზე დაგეწევით, თუ მშვიდობა იქნა.

ასისთავს ხველა არ ეხსნებოდა, გადაბჟირებული თვალთაგან ცრემლებს ჰყრიდა და სულს ვერ ითქვამდა.

— დალიე! ღვინო გადაიტანს, — უთხრა გუგუტამ და სავსე სასმისი მიაწოდა.

მონგოლმა დალია, წამით სული მოითქვა, მაგრამ ხველა ისევ აუვარდა და ლამის ჯიგარი ამოაყოლა.

ჭარხალივით წამოწითლებულ ასისთავს ჭირის ოფლს ასხამდა. სხვა ვერაფერი იღონა და ისევ სასმისს წაატანა ხელი.

დალია, ერთი ღრმად ამოისუნთქა და შვება იგრძნო.

— ლუკმა დამამაღლა ვიღაცამ! — წაიბურდღუნა, სახელოთი ოფლი მოიწმინდა და ისევ ჭამა განაგრძო.

ისევ დაუსხა გუგუტამ და მონგოლმა ისევ დალია... გვარიანად შემთვრალი მონგოლები ყურის წამღებად ყაყანებდნენ და ერთმანეთს სიტყვის თქმას არ აცლიდნენ.

გუგუტა ეკლებზე იჯდა. ცალი თვალი გზისკენ ეჭირა.

— მაშ არ მოვა ჩვენთან ის ქალი? — იკითხა ასისთავმა და სასმისი ასწია.

— შეუძლოდ არი, ვერ მოვა, — უპასუხა გუგუტამ და უცებ სანახევროდ გზისკენ იბრუნა პირი: თავდაღმართზე ცხენოსნებმა გაიელვეს. გუგუტამ კრავაის ფაშატს მოლანდა თვალი და შუბლი გაეხსნა.

— მიირთვი, კარგი ღვინოა! — გაუღიმა ასისთავს და სასმისი გაუწოდა.

ასისთავს წაქეზება აღარ უნდოდა, ღვინო მაშინვე გადაჰკრა და ზეზე წამოდგა.

— როგორ ამბობენ მუსულმანები? თუ მაჰმადი არ მივა მთასთან, მთა უნდა მივიდეს მაჰმადთანო, არა?!

— დიახ, ეგრე ამბობენ.

— ჰოდა, რაკი თქვენი ქალბატონი არ კადრულობს აქ მოსვლას, ჩვენ თავათ ვეახლოთ, — ენის ბორძიკით თქვა მთვრალმა ასისთავმა, გუგუტას მხარს დაეყრდნო და ფეხის ბანდალით ფუნდუკისკენ წავიდა.

გუგუტამ თავისიანებს ანიშნა მზად იყავითო. ასისთავი სასვენიაში შეიყვანა .ნახევრადცნობადაკარგული მონგოლი საწოლზე დაეშვა.

— სად არი ქალი? — ამოიბურდღუნა და ლოგინზე გაიშოტა.

— ახლავე მოვიყვან! — თქვა გუგუტამ ,ოთახიდან გავიდა, კარი კლიტით დაჰკეტა და გასაღები ჯიბეში ჩაიდო.

დანარჩენი მონგოლები ისევ ღრეობდნენ. კრავაის მხლებლები ცხენებზე ამხედრდნენ და ერთიმეორის მიყოლებით ჩუმად გაშორდნენ იქაურობას.

ცხენხეთქებით მოვიდა კრავაი მამის სამკვიდროში. დაქვეითებულმა სადავე მსახურს მიუგდო. და შემოგებებული შინაურებისკენ ზარზაცით წავიდა. შიშით გულამოვარდნილს ისედაც ეტირებოდა, ხვევნა-კოცნამ და მოალერსებამ გული კიდევ უფრო აუჩუყა, ელდითა და დაღლილობით ღონემიხდილს მუხლმა უსუსტა და ზღურბლზე ჩაიკეცა.

როგორც იყო გონს მოეგო. ბიძას თავგადასახდომი უამბო და ციხისჯვარელთა სასახლე ფეხზე დადგა.

ყვარყვარემ ცხენების შეკაზმვა და კრავაის მხლებელთა მისაშველებლად გამზადება ბრძანა; წელზე ხმალი მოირტყა და ის იყო ქურანს უნდა მოხტომოდა, რომ ჭიშკარს გუგუტა და მისი ოდიშარები მოადგნენ.

— სულ ჭენებით მოვქროდით, მაგრამ ქალბატონს ვერ დავეწიეთ, ამდენხანს უკვე ფუნდუკში გამომწყვდეული ასისთავიც უკან გამოგვიდგებოდა და, სადაცაა აქ გაჩნდებიან... ჩვენი აქ დარჩენა არ ივარგებს, ვაზირო, უსიამოვნებას შეგამთხვევთ, დაღლილი ცხენები გამოგვიცვალეთ და ახლავე ოდიშის გზას გავუდგებით, — სულმოუთქმელად, სხაპა-სხუპით ლაპარაკობდა გუგუტა და შუბლზე ოფლს იწმენდდა.

— რას ამბობ, ამ უკუნეთ ღამეში როგორ გაგიშვებთ! — იწყინა ციხისჯვარელმა.

— დადევნებული მონგოლები მოვლენ და ჩვენ რომ გვნახავენ...

— მოვლენ და მეც აქ დავხვდები! პირველად როდი მოდიან! — შუბლი შეიკრა ყვარყვარემ და მსახურთუხუცესს გასძახა:

— ავახშმე და მოასვენე ოდიშელი სტუმრები.

ციხისჯვარელის მთელი სახლობა ფეხზე იდგა, შუაღამე გადასული იყო, მაგრამ არ წვებოდნენ, ყოველ წამს მონგოლების გამოჩენას ელოდნენ.

კრავაი ტანგაუხდელი იჯდა ცოტნეს სასთუმალთან, მონატრებულ ქმარს ბავშვივით ეტიტინებოდა, მთის და ბარის ამბებს უყვებოდა და ღმერთს მერამდენედ სწირავდა მადლობას ცოტნეს გადარჩენისათვის.

— ეგ სნეულება არაფერია, რაკი ომს გადურჩი, მოგივლით და მალე დაგაყენებთ ფეხზე.

— ომში იმდენი ქართველი არ დაღუპულა, რამდენიც სალმობიერმა იმსხვერპლა, მოწამლული წყალია იმ დასაქცევში ,დალევა და კუჭის აშლა ერთია! სხვაზე მეტი ქართველები იხოცებოდნენ, ხაშმმა და წყალმა გაგვავლო მუსრი.

— მადლობა უფალს, ცოცხალი დაბრუნდი... გაისად ალბათ დაგეხსნებიან და მოვრჩებით ამ შიშსა და გულის ტრიალს.

— ვინ დაგეხსნება, კრავა! სანამ მონგოლთა უღელი გვადგას, ჩვენი საშველი არ იქნება. ალამუთის ომი გათავდება, სხვა ახალი ხოცვა-ჟლეტა დაიწყება. ეგენი ომით ცხოვრობენ და სხვაზე არაფერზე ფიქრობენ.

ეზოდან ხმაური მოისმა.

ძაღლები აყეფდნენ და სასახლეში ფაცი-ფუცი შეიქნა.

კრავაი სარკმელთან მიდგა.

— შინ შემოდით, ქალებო! — ხმადაბლა იძლეოდა განკარგულებას ციხისჯვარელი, — კარი არ გაუღოთ და თუ შემოამტვრევენ, მაშინ მივეტივნეთ.

ფერწასულმა კრავაიმ ცოტნეს მოხედა.

იდაყვებზე დაყრდნობილ მთავარს მიწისფერი დადებოდა და მთელი სხეულით ცახცახებდა.

— დაწექი, მთავარო, დამშვიდდი, შენი ჭირიმე — მიუალერსა კრავაიმ.

— რაღა ცხოვრებაა, ადამიანს გზაზე მშვიდობიანად ველარ გაუვლია და ღამე თავის ჭერქვეშ თვალი ველარ მოუხუჭავს.

ალაყაფის კარზე რახა-რუხი ატყდა. მერე ყვირილი გაისმა, ეტყობოდა, ჭიშკრის გაღებას თხოულობდნენ.

გახელებული ძაღლები თავგადაკლულები ჰყეფდნენ და გალავნის მაღალ კედელს ახტებოდნენ.

დიდხანს იყვირეს და ურტყეს რკინის კარს. მერე თანდათან ჩაწყნარდნენ, ჭიშკარსაც დაეხსნენ და ყვირილიც შეწყვიტეს.

ერთხანს კიდევ იყაყანეს, მერე ცხენების ფეხის ხმა გაისმა და ძაღლებიც რომ დაცხრნენ, ციხისჯვრის აფორიაქებულ სასახლეში ისევ სიმშვიდე გამეფდა.

ცოტნეს საწოლში ყვარყვარე შემოვიდა, შეშფოთებული და ფერდაკარგული.

— მობრძანდი, ვაზირო! — ნაძალადევი ღიმილი მიაგება ცოტნემ.

კრავაიმ სელი დაუდგა ბიძას. ერთიანად აშლილ ციხისჯვარელს, ეტყობოდა, ცოტნესთან მარტო საუბრით უნდოდა გულის მოოხება, იქაურობას თვალი გალახულივით მოავლო და კრავაის დამნაშავესავით შეხედა.

— თქვენ დაბრძანდით და ისაუბრეთ, ბიძავ-ბატონო, მე დედასთან გავალ, — მიუხვდა კრავაი მარტო დარჩენის სურვილს, ქმარს ლოგინი გაუსწორა და ოთახიდან გავიდა.

— აღარც დღე არი მოსვენება ამ ყაჩაღთაგან და აღარც ღამე. აღარც შინ გვასვენებენ და აღარც გზაზე გვაჭაჭანებენ. ჯავრით გულს ვასკდები და ვერაფერი ღონე მიპოვია. ეს ღამეები კი ისედაც არ მძინავს, ხან ერთი უბნიდან მესმის გოდება და ხან მეორიდან... შინმოუსვლელებს გლოვობენ უბედურები.

ბიბლიოთეკა

— მე კი ვერაფერს ვგებულობ, ამდენი ხნის ნამგზავრსა და სალმობით დასუსტებულს დაბანგულივით მძინავს.

— გუშინწინებზე მონგოლთა ასისთავი ყოფილა და ხარკი მოუთხოვია. შენი სიდედრი ცრემლით შეხვეწნია, ნუ დაგვარბევთ, სადაცაა ვაზირი გამოჩნდება და ყველაფერს თავად მოაგვარებსო. ერთი კვირის ვადა მოუცია, ხვალ-ზეგ ისევ კარს მოგვადგებიან და აღარ ვიცი, რა წყალში ჩავვარდე, ისედაც აწიოკებულ და გაძვალტყავებულ ხალხს რაღა ხარკი უნდა გამოვართვა.

— ნებით, ალბათ, არც აღარას მოგვცემენ, გაწყდა წელში გლეხობა, სარჩოს მომყვანი მიწის მუშა ალამუთში იჟლიტება, შინ დარჩენილებს პირში ლუკმას ვაცლით და მონგოლებთან მიგვაქვს.

— მორიგ ბეგარაზე მოლაშქრეებსაც ველარ შევაგროვებთ, ტყეებში გარბიან ყაჩაღად, თუ სიკვდილია, ბარემ აქ მოვკვდებით და ორიოდე მონგოლს მაინც ჩავაძაღლებთო.

— გაისადაც ხომ იმდენივე მეომარი უნდა შევკრიბოთ, რამდენსაც ყოველწლიურად ვკრებთ.

— შეწერილი ეგრეა და სად წაუხვალ.

— მერედა იმ გამწარებულ ხალხს, რომ ერთი გადავსძახოთ, ჩვენი სისხლის მსმელი მონგოლები გავრეკოთო, ხომ ქუდზე კაცი გამოვა და თავგამოდებითაც იომებს!

— იომებენ, თავს გადადებენ, მონგოლთა განდევნისა და საქართველოს გაერთიანებისათვის.

— ჩვენც ავდგეთ და ამ გზას დავადგეთ... დავსხდეთ და ვიანგარიშოთ, მონგოლთა ჯარი რამდენია ჩვენში და თითოეულ ჩვენგანს რამდენი მეომრის გამოყვანა შეუძლია.

— ვითომ ყველა მოგვემხრობა? — ჩურჩულით იკითხა ყვარყვარემ.

— მოგვემხრობაო? აბა, სხვა რა გზა აქვთ, ჩვენი არ იყოს! სურამელსა და ბაკურციხელს სული კბილით უჭირავთ, გულის ნადები გავანდე თუ არა, ახლავე შევუდგეთო! მაგათაც ჩვენსავით აწუხებს უმეფობა და ქვეყნის დაქსაქსულობა, მონგოლთა უღელი და გარეშე მტერთაგან რბევა.

— მხარგრძელები? მხარგრძელები ძნელად დასაყოლიებელი ხალხია, სიფრთხილეს არჩევენ და უტკივარ თავს არ აიტკივებენ.

— მაგათ მე მოველაპარაკები, ლიხს იქეთა საქართველოს მომხრობაც ჩემზე იყოს.

— ვთქვათ ,ყველაფერი ეგრე წალმა წარიმართოს, საქართველოს ციხეებში ჩაყენებული მონგოლთა ჯარი დავამარცხოთ და გავანადგუროთ, მერე რაღას ვიზამთ, ჰულაგუ ყაენი რომ უთვალავი ლაშქრით მოგვადგება, მარტო ჩვენ აღვუდგებით წინ იმოდენა მხედრობას?

— მარტო რად ვიქნებით, სხვებიც ჩვენსავით აჯანყდებიან და მხარს მოგვცემენ.

— ჰოდა, ჯერ· იმ სხვათაგან უნდა გვქონდეს აჯანყების პირობა.

— შირვანელებსა და ადარბადაგანს, ხლათსა და იკონიას, ყველას უნდა შევუთანხმდეთ და ერთად უნდა დავკრათ.

— ეგრე რომ აეწყობოდეს, მაგას რაღა აჯობებს.

— უნდა ავაწყოთ, ვაზირო, ჩვენვე უნდა ვითავოთ შეთქმულების აწყობა.

— სხვებსაც ვკითხოთ რჩევა, საძნელო საქმეს ვკიდებთ ხელს და აჩქარება არას გვარგებს.

— არც უნდა ავჩქარდეთ... მთავარია, ჩვენ ვირწმუნოთ და სხვებიც დავარწმუნოთ, რომ ქვეყნის გადარჩენის ერთადერთი გზა ეს არი, როცა ამ რწმენით ვიმოქმედებთ, მერე აღარც მტრის ძლიერებისა შეგვეშინდება, აღარც თავის გაწირვის.

— განა ჩემი თავი მაფიქრებს, ცოტნე!

— ვიცი, რაც გაფიქრებს... ყველაფერი კარგად ავწონდავწონოთ, ავი და კარგი ერთად ვიანგარიშოთ და ფრთხილად შევუდგეთ ქვეყნის გადარჩენის საქმეს.

ცოტნემ მარჯვენა გაუწოდა.

ციხისჯვარელმა ხელი ჩამოართვა.

პირჯვარი უსიტყვოდ გადაიწერეს და თვალაცრემლებულები ერთმანეთს მოეხვივნენ.

* * *

ხანგამოშვებით დაიწყეს ციხისჯვრისკენ დენა ერისთავებმა და ერისთავთ-ერისთავებმა. ოდიშის ავადმყოფი მთავრის მონახულების საბაბით მოდიოდნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხის მეთაურები, ძღვენი და მოსაკითხი მოჰქონდათ. მცირე ამალის თანხლებით ღამღამობით შემოდიოდნენ ციხისჯვარს, ცოტნესა და ყვარყვარესთან საიდუმლოდ ჩაკეტილნი, ჯერ მონგოლთა უღლის აუტანლობაზე ლაპარაკით იწყებდნენ, მერე აჯანყების აუცილებლობაზე გადაწყვეტილებას ღებულობდნენ, მტრისა და საკუთარ ძალებს ითვლიდნენ, სავარაუდო მოკავშირეების შესაძლებელ დახმარებასაც ანგარიშობდნენ და ღამითვე, გათენებამდე ისევ უჩუმრად მიდიოდნენ, როგორც მოვიდნენ.

მონგოლებს ყური და თვალი ყველგან ფხიზლად ჰქონდათ და თავადთა ეს მსვლელობაც არ გამოპარვიათ. რამდენიმეჯერ ხარკისა და ბეგარის საბაბით მოაკითხეს ციხისჯვარელს, სხვათაშორის, ისიც იკითხეს, ამდენხანს რატომ ვერ გამოჯანმრთელდა ოდიშის მთავარიო.

ცოტნე უკვე გამომჯობინებული იყო და სიძეცა და სიმამრიც გრძნობდნენ, რომ მონგოლებს გეში აღებული ჰქონდათ და მთავართა და ერისთავთა ციხისჯვარს მოსვლა საშიში ხდებოდა.

— რამე უნდა მოვიგონოთ, რომ საქართველოს მთავართა მოსვლა საეჭვოდ არ ეჩვენოთ მონგოლებს, — გა-

ანდო თავისი შიში ყვარყვარემ ცოტნეს.

— რაც მე კარგადა ვარ, ჩემი მონახულების სურვილი ველარაფერი საბაბია მთავართა აქ მოსასვლელად.

— შენი ავადმყოფობით აღარავინ მოტყუვდება. ვიფიქრე, ვიფიქრე და ეს მოვიფიქრე: ხარკის შეკრებას ამ ორ დღეში მოვრჩები და, გადავწყვიტე, მონგოლებს თვითონ მიჰართვა.

— მერე რა, რომ ხარკს მიართმევ?

— ცოტას კიდევ მოვისესხებ და მომავალი წლის ანგარიშშიაც მივუთვლი ხარკის ნაწილს.

— ეგ რისთვის?

— სარწმუნოდ ვიცი, სხვა საერისთაოებს ჯერ ამ წლის გადასახადიც არ გადაუხდიათ, ნოინებს ვეტყვი, თუ საქართველოში ხარკის დროზე შეკრება სურთ, ეგ საქმე მე მომანდონ და, ვადაზე ადრე ჩაბარებას უზრუნველვყოფ.

— მერე მოგანდობენ?

— რატომაც არა! თუ კი ვინმე ჩვენგანი ამგვარ უნამუსობას იკისრებს, ჯილდოსაც არ დაპირდებიან? თუ ეს საქმე მომანდეს, მერე ჩემთან მთავრების შეკრება ბუნებრივი იქნება და მონგოლებს საეჭვოდ აღარ მოეჩვენებათ.

— სცადე, ვაზირო, ღმერთმა ჰქნას, გენდონ და გერწმუნონ. მეც, რაც ოქრო თანა მაქვს, შენი ჭირის სანაცვლო იყოს, — გაამხნევა ცოტნემ ციხისჯვარელი, — მაინც როდის აპირებ ანისს წასვლას?

— ორ-სამ დღეში, როგორც კადასახადის აკრეფას მოვრჩები.

— ჰო და, შენ რომ ანისს წახვალ, მე ოდიშის გზას დავადგები. ჩემს აქ დარჩენას სარგებელი აღარა აქვს, ლიხსაქეთა მთავართაგან, ვინც მომსვლელი იყო, უკვე მოვიდა და შეგვითანხმდა.

— მხარგრძელები?

— მხარგრძელები ამპარტავნები არიან და აქ არ გვეახლებიან. იქნებ შენ მიაკითხო იქით, თუ არადა, მე მოვინახულებ ცოტახნის შემდეგ. მანამდე ლიხთიმერელ ერისთავებს გადმოვიბირებ, და ეგებ ფული და სახსარიც ვიშოვო, ხომ იცი, იარაღიც [illegible] გვაქვს და სხვაც ბევრი ხარჯი გვექნება.

— ფული საჭიროა, — დაუმოწმა ციხისჯვარელმა, — ურიის ვალი უნდა ავიღოთ და სამზადისს არაფერი დავაკლოთ.

— ჰოდა, მეც დრო მინდა, ლიხთიმერელ ერისთავებსაც ეგრე ადვილად ვერ დავიყოლიებ, ისინი მაინც თავთავისთვის არიან, ხარკსა და ბეგარას იხდიან და მონგოლთაგან სხვა შეჭირვება არ იციან. ამიტომ დახანება აღარ ივარგებს. ოდიშის გზას გავუდგები.

— შენი ნებაა, სიძე-ბატონო, როგორც ქვეყნისა და შენი საქმისათვის იყოს უმჯობესი, ისე მოიქეცი, — დაეთანხმა ციხისჯვარელი.

— როცა ლიხთიმერელ ერისთავებს მოვიმხრობ, შეთქმულების ერთად თავის მოყრაც აუცილებელი იქნება და, ეგებ არაერთხელაც.

— აუცილებლად უნდა შევიყარნეთ, აჯანყების დრო და ადგილი უნდა დავთქვათ და ყველა პირობაზე საბოლოოდ შევთანხმდეთ. თუ ჩემმა სიტყვამ და ხერხმა გასჭრა, ხარკის შეგროვების საბაბით უფლება მექნება საქართველოს მთავრები ერთად შევკრიბო ხოლმე და მაშინ ვინ დაგვიშლის საიდუმლო მოლაპარაკებას.

ლიხთიმერეთს დაბრუნებული ცოტნე ერთხანს მამულისა და სამთავროს საქმეებით გაერთო, გურია და აჭარა მოიარა და იქაურობა რომ განაგო, სასახლეში ჩაიკეტა. ერთთავად სულ შინ იყო ოდიშის მთავარი, სანადიროდა და სტუმრადაც აღარ მიდიოდა. სამაგიეროდ მასთან იწყეს მოსვლა ლიხთიმერელმა ერისთავებმა.

სამ დღეს დაჰყო სტუმრად მოსულმა რაჭის ერისთავმა დადიანების სასახლეში: იმ სამი დღის განმავლობაში არც სანადიროდ გასულან, არც ბურთითა და ცხენოსნობით შექცეულან .ისხდნენ მარტოდმარტონი გამოკეტილ ოთახში

და, კაცმა არ იცოდა, რას ლაპარაკობდნენ ასე დაუსრულებლად და მოუწყინრად. მესამე დღეს კარის მოძღვარს პარაკლისი გადაახდევინეს. ნაშუადღევს ერისთავი ხვევნა-კოცნით გამოეთხოვა მასპინძელს და რაჭისკენ გაუდგა გზას.

ორი დღის შემდეგ აფხაზეთის მთავარი ეწვია დადიანს, უამალოდ, ორიოდე მხლებლით.

— გზად მოვდიოდი, მთავარო, ქუთაისიდან და შენი უნახავი ვეღარ წავედი. აქამდისაც უნდა მენახე სალმობიერი, მაგრამ ხომ იცი, ჩვენი უცალობის ამბავი, — მოიბოდიშა აფხაზმა მთავარმა.

ნავახშმევს, როცა სტუმარმა გული გადმოუშალა და მონგოლთაგან უკიდურესი შევიწროების გამო ცრემლიც გადმოღვარა, ცოტნემ შეთქმულების განზრახვაზე სიტყვა შეაპარა.

— ნეტავი მაგ დღეს მოვესწრებოდე და მთელ აფხაზეთს გამოვიყვან, ქუდზე კაცს.

— შენი იმედი ყოველთვის მქონდა, მთავარო, ვიცოდი, საქართველოს ერთიანობისა და თავისუფლებისათვის თავს არ დაიზოგავდი. თქვენგან, აფხაზეთიდან დაიწყო ბაგრატოვანთა გვირგვინქვეშ სრულიად საქართველოს გაერთიანება ლეონ აფხაზთა მეფის დროს და, ახლაც, აფხაზების შეწევნა და მონაწილეობა გადამწყვეტი უნდა იყოს მონგოლთა შემუსვრასა და განდევნაში.

— აკი მოგახსენე, მთავარო, ქუდზე კაცი გამოვა-მეთქი.

— ეგ ხომ მჯერა, რომ აგრე იქნება, მაგრამ შენი იმედი კიდევ სხვაფრივაცა გვაქვს, ჯიქებიც უნდა მოგვაშველო.

— ჯიქები ბათო ყაენის ყმები არიან, მოგეხსენებათ. იქ ჩვენ ხელი არ მიგვიწვდება!

— იქაურ მთავრებს ოქრო მივცეთ და ჯარი დავგვიქირავონ.

— ეგ შეუძლებელია, ბათოს ნოინების უნებართვოდ, ჯიქეთში საომრად კი არა, ქორწილსა და ადაპში ვერ ბედავენ შეკრებას.

— ბათო ყაენის კარზედაც ვფიქრობთ საიდუმლო მოლაპარაკებას, ამბობენ ჩრდილოეთის ულუსი შურით შესცქერის სამხრეთის ურდოს გაძლიერებასო.

— ეგ აგრეა, მაგრამ ბათო ყაენი ფრთხილია და, ჰულაგუც ვერ ბედავს ჯერჯერობით მისი უზენაესობის უგულებელყოფას...

— მაინც უნდა ვცადოთ. ოქროს ურდოს დახმარებას არა ვთხოვთ, მაგრამ ილხანთა ბატონობიდან ჩვენს თავდახსნას, რომ კარგი თვალით შეხედოს, ჩვენთვის ესეც დიდი მხარდაჭერა იქნება.

— ეს კი ვიცი ჯიქი მთავრებისგან, რომ ჩრდილო ულუსელებს აფხაზეთსა და მთელ ლიხთიმერეთზე თვალი უჭირავს...

— სრულიად საქართველოზედაც არ იტყვიან უარს, მაგრამ ჩვენთვის რა ბედენაა ერთი ბატონით მეორის შეცვლა. ჯერჯერობით ჩვენი გულისთვის ბათო და ჰულაგუ არ წაიკიდებიან, მაგრამ თუ ჩვენი აჯანყება გაიმარჯვებს და საქართველოდან მონგოლებს გავრეკავთ, ეგებ ბათომ ილხანთაგან ჩვენი მიწა-წყლის ხელახლა დაპყრობა აღარ ინდომოს.

— არ ინდომებს, თუ ჰულაგუსთან ომს აპირებს.

— სწორედ იმისთვის გვინდა გავმართოთ საიდუმლო მოლაპარაკება ბათოს კართან, რომ ოქროს ურდოსაგან ჩვენი შეთქმულების ხელის შეწყობის თუ არა, წახალისების იმედი მაინც გვქონდეს.

— დიდი სიფრთხილე უნდა მაგგვარ მოლაპარაკებას, ბათო ეჭვიანი და ცბიერია თურმე და, ძნელად ვისმე გაანდობს ილხანთან თავისი მომავალი დამოკიდებულების გეგმებს.

— ვიცი, მთავარო, ბათო ყაენთან ამგვარი მოლაპარაკება ცეცხლთან თამაშია, მეც ადვილად ვერავის ვანდობ ამ საქმეს და, თუ როგორმე ჩვენი ნოინებისგან საიდუმლოდ ოქროს ურდოს წასვლა მომიხერხდა, თვითონ ვიკისრებ შეთქმულთა დესპანობას.

კრავაი შეშფოთებული უყურებდა მთავართა და ერისთავთა გახშირებულ მისვლა-მოსვლას. სასურველ სტუმრებს სიხარულით ხვდებოდა, გულუხვად მასპინძლობდა და ზრუნვას არ აკლებდა. მაგრამ მისი მონაწილეობა ამით იწყებოდა და მთავრდებოდა იმ ფარულ მოლაპარაკებაში, რომელიც ცოტნესა და მის საპატიო სტუმრებს ჰქონდათ.

სულ ფიქრში წასულსა და შუბლგაუხსნელ ქმარს რომ ხედავდა, თავადაც საგონებელში ვარდებოდა. ეჭვით რაღაცას ხვდებოდა, გრძნობდა, რომ ლიხთიმერელი დიდებულების საიდუმლო მოლაპარაკებაზე ქვეყნისა და მისი ოჯახის ბედი დიდად უნდა ყოფილიყო დამოკიდებული. ქალური ალღოთი და უტყუარი გუმანით ხვდებოდა, რომ ახლო ხანში დიდი მოვლენები უნდა დატრიალებულიყო. რამდენადაც იმ მოვლენების შუაგულში მისი ქმარი იდგა, იმდენად, ოდიშის მთავრის ოჯახის ბედი და მომავალიც იმ ამბებში ჩათრეულად ეჩვენებოდა და კრავაის მოსვენება ეკარგებოდა.

ცოტნე ფრთხილობდა, საგანგებოდ, ყველას გასაგონად ხუმრობდა, კარგად რომ გავხდი, ახლა შეწუხდნენ ჩვენი ერისთავები ჩემი სნეულებითო. ეს მოგონილი არხეინობა კიდევ უფრო არწმუნებდა კრავაის, რომ მისი ქმრის მიერ წამოწყებულ საქმეს დიდი საქვეყნო მნიშვნელობა ჰქონდა. ქმრისადმი უსაზღვროდ ერთგულს გული წყდებოდა, რომ ცოტნე მისთვის საიდუმლოს განდობას არ ჩქარობდა, ჩვეულებრივად რჩევას არ ეკითხებოდა და მისგან შველასა და ხელის შეწყობას არ თხოულობდა. მერე მრავალგზის გამოცდილი მაინც არ ჰყოლოდა ცოტნეს თავისი ერთგული თანამეცხედრე, რომელსაც შეეძლო საიდუმლოს შენახვაც და კეთილი, გონივრული რჩევის მიცემაც რამდენჯერ ყოფილა კრავაი ცოტნესა და მის მტრებს შორის მშვიდობის ჩამომგდები მოციქული! მის იშვიათ ქალურობასა და გამჭრიახობას, კეთილ გულსა და გარეგნულ მომხიბლაობას რამდენჯერ მოუნადირებია ცოტნეს მოპირდაპირეთა გული და ძნელად მოსაგვარებელი საქმე რამდენჯერ უმტკივნეულოდ მოუგვარებია.

ახლა კი, როცა რაღაც დიდი საზრუნავით შეპყრობილი ცოტნე მოსვენებას ვერ პოულობს, დღისით მღელვარებას ვერ ერევა და ღამეებს თეთრად ათენებს; ახლა, როცა ყველაზე მეტად სჭირდება გამგები და ერთგული მესაიდუმლე, ცოტნე ისე იქცევა, თითქოს კრავაი მის გვერდით არ იყოს და ქმრის ბედნიერებისათვის ყოველგვარი მსხვერპლის გასაღებად თავი გადადებული არ ჰქონდეს!

დაკვირვებული მეუღლე იმასაც ატყობდა, რომ ქმარსაც აწუხებდა ცოლისათვის საიდუმლოს გაუნდობლობა. ორჯერ თუ სამჯერ, ცოლთან მარტო დარჩენილმა, რაღაც გადაკრული ლაპარაკი წამოიწყო, ეტყობოდა, წინასწარ ფიცის ჩამორთმევაც უნდოდა კრავაისათვის, მაგრამ თითქოს გონს მოეგოო, უცებვე გადაიფიქრა. სიტყვა ბანზე ააგდო და საუბრის საგანი შეცვალა.

ნამდვილად ხატზე აქვს დაფიცებული საიდუმლოს გაუმხელად შენახვაო, დაასკვნა საბოლოოდ კრავაიმ და ამით ცოტა დამშვიდებულს ქმრისაგან წყენა გაუნელდა.

სომეხი დიდვაჭარი მარტიროსი პირდაპირ დაბარებულივით მოადგა კარს საგონებელში ჩავარდნილ ცოტნეს.

ღმერთს ნამდვილად ჩვენი საქმის კეთილად წარმართვა სურს, იმან გამომიგზავნა სწორედ საჭიროების დროსო, დაასკვნა ოდიშის მთავარმა და დიდვაჭარს გაეგება.

— მარტიროსს ვახლავართ, მარტიროსს! რა ხანია ლიხთიმერეთი არ მოგინახულებია, მობრძანდი, ჩემო მარტიროს!

— ჩემი მდაბალი სალამი ოდიშის მთავარსა და ქართველთა მეფის ვაზირს! — ძველებურად მიესალმა მარტიროსი.

— ალბათ, ჩემი სნეულების ამბავი შეიტყე და საიქიოს შენს მევალეებთან წერილის გატანება გადასწყვიტე!

—არა, მთავარო, ეგეთ საქმეზე თქვენისთანა სახელოვან დიდებულს როგორ შევაწუხებდი, ქარავანს მოვუძღვი ფაზისიდან, ტმუტარაკანიდან მოვდივარ. ზოგი რამ უცხო საქონელი ბარემ გზაზევე მინდა გავასაღო შენს კარზე, და ხომ იცი, შენი ამდენი ხნის უნახაობაც მაწუხებდა.

— მცირე ძღვენიც მოგართვით, მთავარო, თქვენ და თქვენს ქალბატონს. მადლობა ღმერთს, რომ საღ-სალამათადა ხართ ჩვენს სასიხარულოდ და მტრების თვალის დასავსებად!

— გმადლობ, ჩემო მარტიროს! ახლა აღარა მიშავს რა, მგონია, მოვრჩი.. მობრძანდი, — სასახლისკენ გაუძღვა ცოტნე.

მარტიროსის ბიჭებმა ძღვენი მოართვეს. მთავარმა და ქალბატონმა მოსაკითხი მოიწონეს, დიდვაჭარს მადლობის სიტყვები უთხრეს და მარტიროსის პატივსაცემად უხვი სუფრა მოაღებინეს.

— ერთი კვირაა, ზღვა-ზღვა, გემით მოვდივარ. ღელვა დაგვედარა და კინაღამ თევზებს დარჩათ ჩემი მონაგარიცა და ბებერი სხეულიც, — ჰყვებოდა ენაწყლიანი მარტიროსი, — ძლივს შემოვასწარით თქვენს ფაზისში, მაგრამ გავწვალდით, ნავის მისადგომის პოვნა გაჭირდა. აფსუს, მთავარო! მე მახსოვს, მანდ რა ნავსადგურს აშენებდით.

ცოტნეს მტკივან ადგილზე დააჭირა მარტიროსმა და მთავარს მიწის ფერმა გადაჰკრა.

— მაშინ შენც ბეწვზე გადარჩი სიკვდილს, არა?

— ჰო, ეგრე იყო! — ხელი ჩაიქნია ცოტნემ.

— ვინ ჩაიდინა ეგ ბოროტება, მგონი დღესაც არ იცით!

— ძველი ამბავია, მაგაზე ლაპარაკი აღარ ღირს!

— როგორ არა ღირს, მთავარო, ეგ ბოროტება რომ არ მომხდარიყო, საქართველო ახალი ვენეცია იქნებოდა და ზღვაზე თქვენი ბატონობით, ჩვენც სარგებელი გვექნებოდა.

— რაღა დროს მაგის გახსენებაა, მარტიროს, — მწარედ გაეღიმა ცოტნეს, სასმისი ასწია და სტუმრის ბედნიერ ფეხზე მოსვლა დალოცა.

— გძინავს, კრავა? — იკითხა ძილგატეხილმა ცოტნემ.

— არა, ბატონო, როცა შენ არ გძინავს, მე რა დამაძინებს!

— ერთი რჩევა მინდა გკითხო.

— მიბრძანე, ბატონო, — სმენად იქცა კრავაი.

— ფული მჭირდება და საკმაოდ ბლომადაც. რატომ და რისთვის, ნუ მკითხავ. საქვეყნო საქმეა და ხატზე მაქვს დაფიცებული, არ გავთქვა. ჭკვიანი ქალი ხარ და არ მიწყენ.

— წყენას ვინ გაგიბედავს, — ამოოხვრით თქვა კრავამ.

— ეს დიდვაჭარი უფალმა ჩემს ბედად მოიყვანა, ფულის სესხებაზე, მგონი, უარს არ მკადრებს, მაგრამ სულ ცარიელი სიტყვითაც არ მენდობა.

— ჩემი სამკაულები მივცეთ,—გულწრფელად, შეუყოყმანებლად თქვა კრავამ.

— შენ თუ გაიმეტებ... მე მიძნელდებოდა თქმა.

— გავიმეტებო? აბა რაღა დღისთვის მინდა, თუ შენ არ მოგახმარ და საქვეყნო საქმისათვის არ გავწირავ.

— არა, სულ გაწირულიც არ იქნება, დავუგირავებთ და უკანვე გამოვიხსნი, როგორც კი მამულს ან სხვა ქონებას გავყიდი.

— შენ მაგისა ნუ გეფიქრება, მთავარო, ის ჩემი განძი შენი ნაბოძებია და ღმერთმა შენვე მოგახმაროს სასიკეთოდ.

— გმადლობ, ჩემო კრავაი, ვიცოდი, რომ აგრე მეტყოდი,—მოეხვია ცოტნე.

— ჩემი განძი კი არა, სიცოცხლეც შენი სანაცვალოა, როცა დაგჭირდეს, ისიც ასე კეთილი გულით მიიღე და შეიწირე, — ეჩურჩულებოდა კრავაი

და ცრემლმომდგარი თვალებს უკოცნიდა.

მეორე დღეს, მარტვილი რომ მოილოცა და კარგადაც დანაყრდა, სომეხი დიდვაჭარი მთავრის წვევით ცალკე ოთახში განმარტოვდა ცოტნესთან ერთად.

— სწორედ კარგ დროს მომინახულე, მარტიროს-ბატონო. აქ რომ არ მოსულიყავი, იქ უნდა გხლებოდი, ანისს.

მარტიროსმა ყური ცქვიტა, მიხვდა, რაც უნდა მოჰყოლოდა ამ ჩვეულებრივ შესავალს.

— განა რისთვის დაგჭირდა ჩემი ბებერი თავი, მთავარო?

— ოო, ძალიან დამჭირდი, მარტიროს, შენს იქით გზა არა მაქვს და შენ იცი, თუ არ გამაწბილებ. სხვა დროსაც გაგიმართავს ხელი ჩემთვის და ვალი ყოველთვის ვადაზე დამიბრუნებია.

— რამდენი გჭირდება? — პირდაპირ მოუჭრა დიდვაჭარმა.

ცოტნემ მისთვის საჭირო თანხა დაუსახელა.

მარტიროსი მოულოდნელობისაგან შეხტა, ყურს არ დაუჯერა.

— ეგ რა ამბავია? ლაშქარი უნდა დაიქირავო? — გულთმისანივით აღმოხდა მარტიროსს.

— რაც მონგოლი ყაენი გვყავს მფარველად, უფალი იყოს მისი შემწე, ქართველებს ლაშქრის დაქირავება კი არა, საკუთარი ჯარის გამოყვანაც აღარ სჭირდება. ხარკი მაქვს გადასახდელი და, შენ რას დაგიმალავ, ქალიშვილს ვათხოვებ.

— ჰოო, ეგ კარგი საქმეა, მოსალოცი... მაგრამ ამდენი არ დაგჭირდება.

— მჭირდება, მარტიროს. დანა და ყელი ერთადა მაქვს. არ იფიქრო, ცარიელი სიტყვის იმედად ვიღებდე ამ ვალს, ჩემი ცოლის განძეულობას მოგართმევ გირაოდ... კრავაი! — გასძახა ცოტნემ.

კარი გაიღო და კრავაი შემოვიდა. კი არ შემოვიდა, შემობრწყინდა სახიერი და მოხდენილი მთავრის მეუღლე. სტუმარს თავი დაუკრა და რომ გაუღიმა, კინაღამ დადნა ბევრისმნახველი დიდვაჭარი.

კრავაი მაგიდასთან მივიდა, ცოტნეს გატენილი ქისა გაუწოდა და გაბრუნება რომ დააპირა, მარტიროსს ისევ მომხიბლავი ღიმილი მიაფრქვია, თავი ოდნავ დახარა და ოთახიდან გავიდა.

გამოცდილმა დიდვაჭარმა იმ წამშივე დასდო ფასი კრავაის ძვირფას ტანსაცმელსა და მოკაზმულობას, მის წარმტაც გარეგნობასა და იშვიათ მომხიბლაობას.

ამის პატრონს რა ფული ეყოფაო, გაიფიქრა და უკვე გულმომბალმა ღიმილით მიმართა ცოტნეს:

— რა ვადით იღებ ამოდენა ვალს, მთავარო?

— ერთი წლით, წლის თავზე დაგიბრუნებ.

ცოტნემ ქისა დააპირქვავა და მაგიდაზე პატიოსანი თვლები, ოქროს ბეჭდები და სამაჯურები, ყელსაბამები და საყურეები დახვავდა.

— ეს განძი მაგ ფულზე მეტი უნდა ღირდეს, გარაოდ გაძლევ.

— გირაო არ მინდა, ქალბატონის სამკაულს გირაოდ როგორ მივითვლი! — ხელით მისწია საუნჯე მარტიროსმა, — აქედან მხოლოდ ამ ერთ ალმასს ავიღებ. — მარტიროსმა დიდრონი ალმასი დაიდო ხელის გულზე, — ამასაც უკან დაგიბრუნებთ, როცა გავსწორდებით... ახლა, თან მაგდენი არა მაქვს, ნახევარს მოგართმევ. ნახევარს ანისს რომ იქნებით, ნოინებთან, მაშინ მოგითვლი.

ცოტნემ შეატყო დიდვაჭრისაგან ახლა მეტს ვეღარაფერს მიიღებდა, ხელწერილი დაუწერა და სესხის ნახევარი მიითვალა.

ბათო ყაენის კარს წასვლა ვერ გაბედა ცოტნემ. ბათო განგებ აყოვნებდა ოქროს ურდოში საქმის გასარიგებლად ჩასულ მეფეებსა და მთავრებს, ზოგჯერ წლამდე აჩერებდა თავის კარზე

და, მაინც, საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად ყარაყორუმს გზავნიდა მთავარ ყაენთან.

ოდიშის მთავარმა კათალიკოზი და არგვეთის ერისთავი წარავლინა ოქროს ურდოს, დიდი ძღვენითა და საიდუმლო დავალებით.

აგერ ნახევარი წელი მიიწურა, ელჩები ვეღარც შინ ბრუნდებოდნენ, ვერც საიმედოს რასმე იტყობინებოდნენ. ამასობაში მარტიროსისაგან აღებული ოქრო დატრიალდა და ოდიშისაკენ ზღვითა და ხმელეთით დაიძრა ფარულად შეძენილი იარაღი. თავის მხრივ, ციხისჯვარელის ხერხმაც გასჭრა და ყვარყვარეს ხარკის შეკრების ზედამხედველობა მიანდეს, ნავაზირალმა ქართველი მთავრების ციხისჯვარს მოხმობა გაახშირა.

საქმე თითქოს კეთილად წარიმართებოდა.

მონგოლები ალამუთის ომით იყვნენ გართულნი და საქართველოსთვის იმდენად აღარ ეცალათ. ქართველი მთავრები იკონიისა და ხლათის სულთნებთან, შირვანელებთან და ადარბადაგანელებთან შეთქმულების ძაფს აბამდნენ და ილხანთაგან დაპყრობილი ყველა ხალხები ერთიანად იმსჭვალებოდა ერთობლივი აჯანყების ფიქრით.

* * *

ასპასიას მოსწრებაში კოხტისთავს იმდენი სტუმარი არასოდეს ჰყოლია.

უკვე მიმცხოვნებული ციხისჯვარელი თვითონ ამოვიდა კოხტის ციხეში, თან ფრინველი და ოთხფეხი, ფქვილი და ღვინო მოჰყვა ურმებითა და ჯორკიდებულით.

სამცხის ერისთავმა მოსვლისთანავე ყველას გასაგონად გამოუცხადა ციხისთავს:

— ხვალ მთავრები და ერისთავთ-ერისთავები გვესტუმრებიან, აბიათარ, მონგოლთათვის ხარკის შეგროვება უნდა გავარიგოთ და, მთელ დღეს ჩვენი სტუმრები იქნებიან. მასპინძლობის თადარიგი შენ და შენმა ცოლმა დაიჭირეთ. დილიდანვე გუშაგები დავუყენოთ, რომ უცხო და გარეშე არავინ მოვიდეს და მონგოლთა წინაშე ჩვენი ვალდებულების შესრულებას ხელი არ შეუშალოს.

მსახურები ცოტა ეახლებინათ. ისინიც ციხის უკანა მხარეს — სამზადსა და სახაბაზოში დააყენეს და მაშინვე თითოეულს იმდენი საქმე მიუჩინეს, გარეთ გასახედავად კი არა, თავის მოსაფხანად ვერ მოიცლიდნენ.

დილიდან კანტი-კუნტად იწყეს მობრძანება მთავრებმა, თან ამალად თითო-ოროლა მხლებელი მოსდევდათ მხოლოდ. იმათაც მაშინვე მსახურებთან გზავნიდნენ, ციხის შიგნით. თავად ციხის ეკლესიაში შედიოდნენ და საყდრის კართან დადგენილი შუბოსანი გუშაგები კარს უმალვე ჰკეტავდნენ.

ასპასია თითოეულის გამოჩენაზე გამორბოდა, შორიახლო დონჯშემოყრილი დგებოდა, მომსვლელ-დამხვდურთ თვალს გაფაციცებით ადევნებდა და თან ცდილობდა მათი ნათქვამიდან არაფერი გამოჰპარვოდა.

ყველაზე ადრე სარგის თმოგველი მოვიდა. ასპასიას ბევრჯერ ჰყავდა ნახული ციხისჯვარელთა სახლში ყვარყვარეს ენაწყლიანი ნათესავი.

ნავაზირალი ძმურად გადაეხვია მისი დაღუპული შვილის კბილა თმოგველს, ერთიმეორე შინაურულად მოიკითხეს და ეკლესიისკენ წავიდნენ.

სარგისი დამხვდურებს ცნობდა, ყველას თავს უკრავდა და ესალმებოდა.

ასპასიას რომ გაუსწორდა, ახლობელსავით გაუღიმა და ოდნავი თავდახრით მიესალმა.

კარგახნის შემდეგ ხცემორეული წვეროსანი მობრძანდა. მხცოვანის ვინაობა ასპასიამ იმით გაიგო, რომ სტუმრის შესაგებებლად გამოსულმა აბიათარმა საყდართან მდგარ გუშაგს გასძახა:

— ქართლის ერისთავი მობრძანდა, ბატონს აცნობეთო.

ეგარსლან ბაკურციხელი და შოთა ჰერეთის ერისთავი, თორღვა პანკელი და ვარამ გაგელი, თითქმის ერთიმეო-

რის მოყოლებით მოვიდნენ. სხვაზე გვიან რაჭის ერისთავი გამოჩნდა.

მოსულთაგან ზოგს სცნობდა ასპასია, ზოგის ვინაობას თავის გულმართალ ქმარს ეკითხებოდა და აბიათარიც სიტყვას არ იშურებდა საქართველოს სახელოვან მთავართა მამულისა და ყმის სიმრავლეზე, მეფის წინაშე დამსახურებასა და სამშობლოს ერთგულებაზე.

შუადღე კიდევ არ იყო, აღმართზე რომ ამოაგელვა ცხენი ოდიშის მთავარმა.

— ცოტნე, შვილო! უკვე აღარ გელოდი! — გულში ჩაიკრა ციხისჯვარელმა ცხენიდან ჩამომხდარი სიძე.

ოდიშის მთავარი ორმოც წელს გადაცილებული ძლივს იქნებოდა, მაგრამ უფრო ხნიერად გამოიყურებოდა — საფეთქლებთან ჭაღარა მორეოდა, წერწეტა წელი, ადრე რომ გაწყვეტაზე ჰქონდა, გავსებოდა, ფართო მხარბეჭი ოდნავ მოხროდა და ნაბიჯი დამძიმებოდა.

— მაინც ძველებურად გონების წამღებია,—დაასკვნა თავის გულში ცოტნეს მიშტერებულმა ასპასიამ და მთავრის მოახლოვებაზე იგრძნო, რომ მუხლები აუკანკალდა.

— ნეტავ თუღა მიცნობს?.. ნეტავ თუ მიცნობს? — მკითხაობდა თავის გულში ასპასია და გული ბაგა-ბუგით უცემდა. რატომღაც უნებურად, ტანზე და ხელ-ფეხზე დაიხედა, ახალგაზრდობა გაიხსენა და გული ჩაწყდა, რომ ადრინდელის ლანდიც აღარ იყო, დაბერებული და დაუშნოებული დედაკაცი.

ნეტავ არ მიცნოსო, ინატრა და წამით თვალებზე თავსაფრის ჩამოფარება დააპირა. უმალვე გადაიფიქრა და ჩამოსაფარებლად წაღებული ხელით თავსაფარი კიდევ უფრო გადაიწია, შუბლი და თვალ-წარბი კიდევ უფრო მეტად გამოაჩინა.

ცოტნემ უეცრად ოქროს ჯვარს მოჰკრა თვალი დოინჯშემოდგმული ქალის ჩავარდნილ გულმკერდზე.

ასპასიამ დანაშაულზე წასწრებულივით იტაცა ხელი ოქროს ჯვარზე და უბეში ჩაიცურა.

ცოტნემ ვერც მოასწრო წამიერი მოლანდებისათვის მნიშვნელობის მიცემა, გზა დინჯი ნაბიჯით განაგრძო და ასპასიას გვერდი ისე გაუარა, ზედაც არ შეუხედავს. ასპასია იქვე ჩაიკეცა, იგი მიხვდა, რომ მონგოლებს დათქმულ ნიშანს ველარ მისცემდა, ცოტნეს ვერ დაღუპავდა.

ციხის ეკლესიაში პატარა მრგვალ მაგიდას უსხდნენ შეთქმულნი. ბჭობას მონგოლთა წინააღმდეგ შფოთის პირველი წამომწყები და აჯანყების თესლის პირველი ჩამგდები ყვარყვარე ციხისჯვარელი წარმართავდა. ეს პატივი მას მარტო მასპინძლის უფლებით კი არ რგებია. იგი სხვა შეთქმულებს ხანითაც აღემატებოდა და მონგოლების წინააღმდეგ ბრძოლებშიაც სხვაზე მეტი გამოცდილება და დამსახურებაც ჰქონდა.

— საქართველოს მთავართაგან უმთავრესნი და უწარჩინებულესნი აქა ვართ შემოკრებილნი. მონგოლთა უღლის სიმძიმემ და სამშობლოს უბედურებამ ყველანი ერთ აზრზე და გადაწყვეტილებაზე დაგვაყენა — უნდა ავჯანყდეთ, დამპყრობლები ჩვენი ქვეყნიდან განვდევნოთ და საქართველოს ძველი დიდება აღვადგინოთ. საქართველოს ყველა მთავარი და ერისთავი, აზნაური თუ ეკლესიის მსახური, ვაჭარი თუ მიწის მოქმედი ერთი ოცნებითაა შეპყრობილი — დროზე გავრეკოთ მონგოლები და ვიხსნათ ჩვენი ხალხი მოსპობისა და გადაგვარებისაგან. გავლენიან მთავართაგან მხოლოდ ორი გვაკლია დღეს — საქართველოს სამეფოს ამირსპასალარყოფილი ავაგი და შანშე მხარგრძელი. ავაგი ყარაყორუმის გზას გაუდგა დიდიხანია და მისი ასავალ-დასავალი არავინ იცის.

— წასვლამდის გავანდეთ ჩვენი განზრახვა და არა ერთგზის ვცადეთ მისი გადმობირება, მაგრამ ყველას მოგეხსენებათ, როგორ შორს დაიჭირა. გაგთ-

ნებაც არ ისურვა მონგოლთა წინააღმდეგ შფოთისა და ამბოხის. ამ საქმის წამომწყებთ გიჟები და წინდაუხედავები, ხალხისა და ქვეყნის დამღუპველები გვიწოდა, — შეაშველა სიტყვა ცოტნემ.

— ავაგისაგან ჩაგონებული შანშეც შორს გაგვიდგა. ვერ იქნა და ვერ გავტეხე, აჯანყების აუცილებლობა ვერ შევასმინე, — ხელი გაასავსავა ვარამ გაგელმა.

— აქ მოსვლამდე მეც საგანგებოდ ვეწვიე შანშეს. დიდხანს ვუმტკიცე, რომ თუ დროზე არ მოვიშორებთ მონგოლთა უღელს, ქვეყანა დაიღუპება. წელში გამწყვეტი გადასახადი და ამაოხრებელი ბეგარა, შორეულ ლაშქრობაში საქართველოს შვილთა დაუსრულებელი ჟლეტა, მალე სრულიად გაანადგურებს ჩვენს ხალხს და, რაც დრო გავა, არათუ აჯანყების თავი აღარ გვექნება, ჩვენი არსებობაც სათუო გახდება-თქო. ამაო იყო ჩემი მტკიცება და შეგონება და, არც მიკვირს, თუკი თავის საყვარელ ბიძას ქვეყნისა და ტახტის წინაშე ესოდენ დამსახურებულ ვარამ ბატონს არ ერწმუნა, მე რას დამიჯერებდა შანშე მხარგრძელი! — ხელი ჩაიქნია ოდიშის მთავარმა.

— ერთთავად სულ ავაგის ნათქვამს იმეორებს შანშე: როცა ერთი გვირგვინი გვაერთიანებდა, მთელი საქართველო ერთ მეფესა და დროშას ემსახურებოდა, მაშინ ვერა გავაწყეთ რა მონგოლთა წინააღმდეგო .ახლა, როცა ცალცალკე სამთავროებად დავიქსაქსეთ, ერთი წინამძღოლი აღარა გვყავს და ჩვენს მთავარ ციხეებში მონგოლთა ჯარი დგას, ჩვენი ყოველი შფოთი და შეთქმა წინასწარ არის დასამარცხებლად განწირულიო.

— ეგ ბრალი და დანაშაული თვითონ ამირსპასალარის კისრად რჩება, ვარამ ბატონო! იმის მაგივრად, რომ ავაგი, ვითარცა სამეფოს ამირსპასალარი, თვითონ გაძღოლოდა მტერზე სრულიად საქართველოს ერთიან ლაშქარს, თავის ციხესა და მამულში ჩაიკეტა და მონგოლებთან ვაჟკაცურ ომს, ქედის მოხრა არჩია. თქვენც კარგად იცით, და გახსენება არ მინდა იმისა, თუ რა ძვირად დაუჯდა ჩვენს ქვეყანასაც და თვითონ ავაგსაც დანარჩენი საქართველოსაგან განცალკევება და მტრისადმი დამორჩილება, — შეკავებული მრისხანებით თქვა ციხისჯვარელმა.

— უგუნურებმა არც მერე დამიჯერესო, აღმოსავლეთის დასაპყრობად მოსულ ურიცხვ ლაშქარს ტყუილად შეაწყვიტეს ხალხი და თავთავიანთი ქვეყანა ააოხრებინესო, — დაუმატა გაგელმა.

— შანშეც ავაგივით მხდალია და გაუბედავი, — აღშფოთება ველარ დაფარა ციხისჯვარელმა.

— მაწყენინა კიდეც შანშემ, — განაგრძო ცოტნემ,—მონგოლთაგან ჩვენ ვართ ესოდენ გამწარებულნი, ლიხს აქეთა მთავრები, მაგრამ ჩვენს ბედს ეგრე იოლად მაინც არ ვაგდებთ სასწორზეო. თქვენ, ლიხსიქითელ მთავრებს მონგოლები თავზე არ გასხედან და, მაინც არ ისვენებთ, ჩვენს მაგივრად რა თავს იდებთო?!

— ეგ როგორ გაკადრა?

— საქართველო რამ გაჰყო, ყველას ერთი ჭირი გვჭირს და ერთიმეორის სატკივარი გვტკივა.

— ბარაქალა, შენს მოთმინებას, ეგ როგორ აპატიე?!

ერთპირად აღშფოთდნენ მთავრები.

— თავი ძლივს შევიკავე. სიტყვა აღარ გავაგრძელე და წამოსვლისას ეს ვუთხარი, ხელს მაინც ნუ შეგვიშლი, თუ ჩვენთან არ იქნები-მეთქი.

— თქვენ შანშეს ხასიათი არ იცით,

— მშვიდად თქვა ვარამ გაგელმა, — ჩვენს სამტროდ არაფერს გააკეთებს, მაგრამ როგორც კი ჩვენს გამარჯვებას დაინახავს, მაშინვე ჩვენს მხარეზე დადგება და ჩვენთან ერთად იბრძოლებს.

— ღმერთმა ჰქნას, ეგრე იყოს, მანამდე კი სიფრთხილე გვმართებს, ნურც რამე საიდუმლოს გავანდობთ, ნურც შეთქმულების გეგმას, — დაასკვნა ცოტნემ.

— რაკი ყველანი ერთ აზრზე და გადაწყვეტილებაზე ვდგავართ და აჯანყება ყველას ერთადერთ ხსნად მიგვაჩნია, დროა შეთქმულების დამამთავრებელი გეგმა განვბრჭოთ და ყოველი წვრილმანი გავითვალისწინოთ, — განაცხადა ციხისჯვარელმა და მაგიდაზე დიდი რუკა გაშალა.

კარგახანს ანგარიშობდნენ. მონგოლთა ჯარებისა და შეთქმულთა ხელქვეით მყოფ ქართველთა რაოდენობის ნამდვილსა და სავარაუდო გამოთვლას, რომ მორჩნენ, დათქვეს ვინ სად გამოსულიყო და, საერთო აჯანყების დღედ იმ დღის სწორი დანიშნეს.

ბჭობის დასასრულისათვის სუფრა უკვე გაშლილი იყო.

ინახად მსხდომთ მწდეებად მსახურები ადგნენ თავს. ყველანი ასპასიას მისჩერებოდნენ თვალ-წარბში, კერძი მისი განკარგულებით მიჰქონდათ, თეფშებს მისი ბრძანებით ცვლიდნენ.

— ასპასია! ასპასია! — ესმოდა აქეთიქიდან ცოტნეს და გაოცებული მთავარი თვალს ვერ აშორებდა წლებისა და სიბერისაგან მოღუნულს, მაგრამ მაინც ციბრუტივით მბრუნავს, ერთიანად გათეთრებულ ქალს.

— ეს ქალი ვინ არი, ყვარყვარე ბატონო? — ხმადაბლა ჰკითხა გვერდით მჯდომ ციხისჯვარელს დადიანმა და ასპასიაზე ანიშნა.

— ციხისთავის ცოლია, აბიათარის.

— ქართველია?

— არა. კაცმა არ იცის მაგის ფესვი და ძირი. . მამა, მგონია, ბერძენი ჰყოლია და სახელიც ბერძნული ჰქვია — ასპასია.

— დიდიხანია აბიათარსა ჰყავს?

— არა, ახლახან შეირთო. აქ, კოხტისთავს სახლობენ და ჩემსას იმიტომ არ გინახავს. ადრე თბილისელი ტურფა ყოფილა და ძალიან ლამაზსაც ამბობდნენ. შენ ხომ არ გეცნობა, ჰა? — თვალი ჩაუკრა და გაუღიმა ციხისჯვარელმა.

ასპასიამ ალბათ იგრძნო მისკენ მიპყრობილი მზერა, პირი მთავრებისკენ იბრუნა და ქვეშქვეშ გამოხედვით ცოტნეს თვალი თვალში გაუყარა.

იმ თვალებში ოდნავ კიდევ ბჟუტავდა ძველი ეშხი და ფერფლწაყრილი ცეცხლი. ცოტნეს გულში რაღაც ჩაწყდა და ეტკინა. ასპასიას მწუხარე მზერას ვეღარ გაუძლო და დამნაშავესავით თავი ჩაჰკიდა.

— ღმერთო, ჩემო, როგორ დაბერებულა და გამოცვლილა, — წაიღო ფიქრმა ცოტნე,—მართლაც რომ ლანდი აღარ არი იმ ასპასიასი! ანკი როგორღა იქნება, ჩემზე უფროსს კი არა, ჩემი ხნის ქალს ვეღარ შეხედავს კაცი ნდომითა და სურვილით და, ასპასია ხომ ჩემზე უფროსი იყო! ასე მიდის და იცვლება ყველაფერი, ცხოვრება თვალსა და ხელს შუა თავდება და აღარავინ იქნება მოწმე და მომთხრობი იმისა, რომ ჩვენც ოდესღაც ლამაზები ვიყავით და ლამაზად ვიცხოვრეთ.

— მაგრამ ვიცხოვრეთ კი ლამაზად? — ეკითხება თავის თავს ცოტნე და პასუხად თავის მიერვე განვლილ გზას ავლებს თვალს. იმ გრძელ გზაზე ბევრი რამ იყო ლამაზი და მიმზიდველი, მაგრამ ცოტა ღირსსახსოვარი და მნიშვნელოვანი, წარუვალო და არდასავიწყებელი.

კაცი მაინც კაცია და, მისი სახელი გარეგნობისა და მოხდენილობის გამო კი არ მოიხსენება, კაცს გმირობა და ქვეყნისათვის თავდადება, უფლისა და ხალხის სამსახური ამშვენებს და უკვდავყოფს და, თუ აქამდე ეს ვერ შესძლო, ვინ იცის, ეგებ კიდევ ღირს ჰყოს ცოტნე განგებამ უკვდავი საქმის ქმნად, სამშობლოსა და ქრისტეს სჯულისათვის თავგანწირვად! ვინ იცის! ვინ იცის! ღმერთმა ჰქნას, — პირჯვარს იწერს ფიქრში ცოტნე და თავს გაუბედავად სწევს.

ასპასიას მკერდზე ოქროს გრძელი ძეწკვი ბრწყინავს და გარდასული მშვენიერების საცოდავი ლანდი ხელით აწვალებს ცოტნესაგან ოდესღაც დაუფიქრებლად ნაჩუქარ ჯვარს.

ციხისჯვარელმა რომ ხარკის შეგროვების ზედამხედველობა იკისრა და ამაზე ნოინების თანხმობა მიიღო, ეგონა, მონგოლები მოატყუა.

მაგრამ ნოინები აგრე გულუბრყვილოები როდი იყვნენ! ქართველთა მეფის მოუსვენარი ნავაზირალი ნებაზე მიუშვეს და მზირები მიუჩინეს. ჯერ კიდევ შეთქმულების დაწყებამდე ბევრად ადრე შეგზავნეს ასპასია ციხისჯვარელის კარზე ყვარყვარეს მეუღლის მოახლედ. ასპასიას ციხისჯვარელისა და მასთან მიმსვლელ-მომსვლელი მთავრებისათვის თვალყურის დევნება დაავალეს და, უპატრონო დედაკაცი ერთგულად ასრულებდა ბატონების ამ დავალებას.

მერე, ის იყო, ციხისჯვარელის ხანში შესული მსახური მოხიბლა, მეორედ დაქვრივებულ აბიათარს გადაეკიდა და თავი ცოლად შეართვევინა.

შეთქმულება რომ აეწყო, ციხისჯვარელმა აბიათარი, როგორც ერთგული და მისანდოთაგანი, კოხტის ციხისთავად დაადგინა, და, ასპასიას შემგზავნებსაც ეს უნდოდათ; კოხტისთავზე ციხისჯვარელისა და სხვა ქართველი ერისთავების ყოველ გამოჩენას უმალვე ტყობილობდნენ და მათი ყოველი ნაბიჯი იცოდნენ.

ახლაც, შეთქმულთა ამ შეკრების განზრახვა წინასწარ ჰქონდათ ასპასიასაგან შეტყობილი მონგოლებს.

მონგოლებისათვის დალამებამდე უნდა ეცნობებინა მსტოვარს მთავართა შეკრების ამბავი, თორემ, ვინ იცის, ეგებ დაშლილიყვნენ და თავიანთ სახლებისკენ წასულიყვნენ, ასე ერთად და სრულად შეკრებილი შეთქმულები. მონგოლები ამბის უცნობლობას არ აპატიებდნენ უბედურ მზირს, ცხენის ძუაზე გამოაბამდნენ და არაადამიანური წამებით მოჰკლავდნენ.

ასპასიას თივა და ჩალა ციხის ქონგურზე ატანილი ჰქონდა, ცეცხლს ერთ წამში დაანთებდა და მონგოლებს დათქმულ ნიშანს მისცემდა კოხტისთავისკენ წამოსასვლელად.

ამას ისე ჩუმად და ოსტატურად გააკეთებდა, ვერც გუშაგად დაყენებული ციხისჯვარელის კაცები შეამჩნევდნენ, ვერც ციხის ეკლესიაში საიდუმლოდ შეკრებილი შეთქმულები შეიტყობდნენ რასმე. ბოლოს იქნებ შეეტყოთ კიდეც, მაგრამ უკვე გვიან იქნებოდა, ხმელი თივა და ჩალა უცებ აბრიალდებოდა და უცებვე დაიწვოდა.

ციხისთავის ცოლს ყოველივე კარგახნის მოფიქრებული და აწონილ-დაწონილი ჰქონდა, ქონგურზე ცეცხლის დანთებასა და მონგოლთათვის ნიშნის მიცემას აქამდესაც ყველასათვის უგრძნობლად მოარჩებოდა, მაგრამ ცოტნეს იქ ყოფნა აჩერებდა ასპასიას. ცეცხლის დანთება და მონგოლ ცხენოსანთა მოვარდნა ერთი იქნებოდა, შეთქმულები მტრის ხელთ ჩაცვივდებოდნენ და თათართა სისასტიკის ამბავი რომ იცოდა, მთავართაგან ცოცხალი ალბათ ვერავინ გადარჩებოდა. სიყრმიდანვე ცხოვრებისაგან განაწამებს, გზააბნეულსა და გამწარებულ ასპასიას გული არავისზე აუჩვილდებოდა, მაგრამ მისთვის ოდესღაც საოცნებო ხატად დასახულ ცოტნეს დასაღუპავად ვერ იმეტებდა, მისდამი ადრინდელი ტრფიალების ცეცხლს გულის მივიწყებულ კუნჭულში კიდევ ეძინა და თუმცა ასაკსა და გამომხდარ ხანს იმ ცეცხლის ხელახლა ანთების ხალისი გაექრო და დაეკარგა, ასპასია მაინც საკუთარს თავს უფრო ადრე გასწირავდა, ვიდრე ცოტნეს გაიმეტებდა დასაღუპავად.

დრო გარბოდა, შეთქმულთა სერობა არ თავდებოდა, ასპასია შფოთავდა და წრიალებდა.

ასპასიას მოფიქრებული ჰქონდა, რა უნდა ეთქვა ცოტნესათვის, რომ მთავარს დიდხანს დარჩენა აღარ ესურვებინა, აჩქარებულიყო და ოდიშისთვის მიეშურებინა.

მაგრამ მარტო მოფიქრება რას შველოდა! მთავარი თქმა იყო და თუ სათქმელად ვერ დაიმარტოხელებდა, რა უნდა ელონა!

უცებ ცოტნე წამოდგა და ასპასიას

გული გაუნათდა. ოდიშის მთავარმა, ალბათ მოსანამუსებლად, გვერდით გაუხვია და ცოტა ხნის შემდეგ უკან რომ დაბრუნდა, თვალცრემლიანი ასპასია მიეჭრა:

— მაპატიე, მთავარო! მერჩივნა ენა გამხმობოდა ცუდი ამბის შეტყობინებას.

ცოტნე გაფითრდა.

— რა მოხდა? მონგოლები ხომ არ გამოჩნდნენ?

— არა, მაგის შიში ნუ გაქვთ, — დაამშვიდა ასპასიამ, — თქვენს სახლში, რაღაც ცუდი ამბავია, გზად ოდიშელმა მეჯოგეებმა გამოიარეს და შეწუხებულებმა თქვეს, თქვენი სასახლიდან მოთქმა ისმოდაო.

— რას ამბობ? ნუთუ... მაგრამ რატომ მე არ შემატყობინეს?.. ის მეჯოგეები როდინდელი წამოსულები იყვნენ?

— გუშინ წამოსულან, ცხენოსნები გახლდნენ. ალბათ ამბის მცნობელიც მალე მოვა, მაგრამ თქვენ არ შეშინდეთ... თუ შინ ყველა კარგად დატოვეთ, ასე უცებ რა უნდა მომხდარიყო,— ვითომ ანუგეშა ასპასიამ.

— შვილი დავტოვე ავადმყოფი, — თქვა ცოტნემ და თვალზე ცრემლი მოადგა.

— გმადლობ, ასპასია, ამბის ცნობისთვის! — თავი დაუქნია ცოტნემ და სუფრისკენ შებრუნდა.

ერთიანად აფორიაქებულმა ცოტნემ ნაბადი მხარზე მოიგდო და ციხისჯვარელს მიუახლოვდა.

— უნდა წავიდე, ყვარყვარე ბატონო, შინიდან ცუდი ამბავი მოსულა... ეგეც არ იყოს, ათიათასი მეომრის შეკრებას და მომზადებას დრო უნდა, — თვალზე ცრემლმომდგარმა უთხრა მასპინძელს და გამოსამშვიდობებლად ხელი გაუწოდა.

— ცუდი რა ამბავია? — იკითხა გაოცებულმა ყვარყვარემ.

— არ ვიცი, შვილი დავტოვე ავადმყოფი... — ცოტნემ ხელი გაასავსაკა და წასასვლელად კარისკენ დაიძრა.

— მეც მოვდივარ, მთავარო, წამოეწია რაჭის ერისთავი კახაბერი, — მეც შენსავით შორი გზა და მცირე დრო მაქვს ჯარის შესაკრებად.

— მოითმინეთ, ფიცვერცხლი ვსჭამოთ, ერთმანეთს შეთქმულების ერთგულება და პირის სიმტკიცე შევფიცოთ, — დაიძახა თორღვა პანკელმა.

ცოტნე შეჩერდა.

— ფიცი მივიღოთ და ისე წავიდეთ, — გადაულაპარაკა რაჭის ერისთავს და უკან მობრუნდა.

თორღვა პანკელმა ბარძიმში ხანჯლით ვერცხლი ჩათალა და იქ მყოფები იხმო: თითოეულ მათგანს საჩვენებელი თითი უსერა. შეთქმულებმა გასერილი თითები ერთიმეორეს მიადეს და წამოსულ სისხლს ბარძამი შეუშვირეს.

სისხლის დენა რომ შესწყდა, თორღვამ თასი აიღო და ფიცი თქვა.

მისი სიტყვები ერთხმად გაიმეორეს, პირჯვარი გადაიწერეს და რიგრიგობით თასს დაეწაფნენ.

ფიცის დადებას მორჩნენ ცოტნე და კახაბერი ,იქ მყოფთ დაემშვიდობნენ.

ცხენებზე ამხედრებულ მთავრებს პურ-ღვინო მოართვეს, მხლებლებმა ცხენებს საგზლით გატენილი ხურჯინები აჰკიდეს და გზის დასალოცავად გამცილებლებმა სასმისები ასწიეს:

— გზა მშვიდობისა! თქვენს წასვლას და ჩვენს დარჩენას!

— გზა კეთილი და ფეხი ბედნიერი!

— ჩვენს საქმეს გაუმარჯოს!

— საქართველოს გამარჯვებისა იყოს! წმინდა გიორგიმ უწინამძღვროს ჩვენს საქმეს! — ერთიმეორეს იმედიანი ღიმილით შეხედეს და სასმისები დაცალეს.

ცოტახნის შემდეგ ოდიშის მთავარი და რაჭის ერისთავი თავიანთი მხლებლებით თავქვე დაეშვნენ.

დარჩენილები ისევ სუფრას მიუსხდნენ.

ასპასიას გულზე მოეშვა. დათქმული ნიშნის მიცემაზე რომ ხელი აიღო, იმის შიში არ ასვენებდა, ვაითუ სხვა ვინმესგან შეიტყონ მონგოლებმა მთავართა

შეკრების დრო და ადგილი და მოულოდნელად დაგვესხან თავსო.

იმდენად თავისი თავი არ აფიქრებდა, არც მისგან უკვე გაყიდული მთავრები ენაღვლებოდა. ერთადერთი ის ადარდებდა, მისთვის ერთ დროს საოცნებო ცოტნე არ ჩავარდნოდა მტერს ხელში.

მონგოლთათვის შეთქმულთა შეკრების შეტყობინებაზე რომ უარი თქვა, იცოდა რა რისხვასაც მოელოდა, მაგრამ ეს გადაწყვეტილება ცოტნეს გამოჩენისთანავე უყოყმანოდ მიიღო. ოდიშის მთავრისათვის სამაგიეროს სიკეთის გადახდის საშუალება ეძლეოდა და ეს ნაბიჯი სიცოცხლის ფასადაც რომ დაჯდომოდა, უკან ვერ დაიხევდა.

ოდიშისა და რაჭის პატრონები კარგა შორს იქნებოდნენ, ასპასიამ უკვე ღვინომოკიდებული მთავრების სუფრა რომ დასტოვა შეუმჩნევლად.

ციხის ქონგურზე ცეცხლი აბრიალდა.

სანამ წათვლემილი გუშაგები ცეცხლის დანთებას გაიგებდნენ, კარგა ხანმა გაიარა.

აბრიალებულ კოცონს ჩასაქრობად რომ მიცვივდნენ, უკვე გვიან იყო. მონგოლთა ჯარები კოხტისთავისკენ მოჰქროდნენ.

## თორღვა პანკელი

კოხტისთავის შეთქმულთა შორის მემატიანე თორღვასაც ასახელებს: „კუპრი შოთა ,თორღვაი, ჰერ-კახნი...“

თუმცა მემატიანე ამ შეთქმულს გვარითა და სადაურობით არ გვაცნობს და მხოლოდ სახელით იხსენიებს, უნდა ვიფიქროთ, რომ იგი მონგოლთა დროინდელი ერისთავი თორღვა პანკელია, რომელიც ულუ დავითის კარზე მესტუმრე ჯიქურის აღზევების ჟამს გახდა მეფის მალემრწმენობისა და მისი მესტუმრის დაუნდობლობის მსხვერპლი.

ამას არა მხოლოდ შეთქმულთა ჩამოთვლის რიგი გვაფიქრებინებს (თორღვა დასახელებულია ჰერეთისა და კახეთის ერისთავებთან ერთად), არამედ თვითონ სახელი თორღვაც.

თორღვა საგვარეულო სახელი იყო პანკისის ერისთავებისა და იგი პანკელთა არაერთ თაობაში მეორდებოდა.

შთამომავლობისათვის ამ სახელის გადმომცემი სულ პირველი თორღვა მითიური გმირი ყოფილა. მისი ლეგენდარული თავგადასავალი დღემდე შემოუნახავს თუშ-ფშავ-ხევსურთა შორის გავრცელებულ ერთ ხალხურ ლექსს.

ობლობაში გაზრდილი თორღვა სანადიროდ ყოფილა. ერთგან ყინული ჩატეხია და ვეშაპთან ჩავარდნილა. ვეშაპს შეცოდებია, დამტვრეულისთვის მოუვლია, ფეხზე დაუყენებია და დაძმობილებია. გამოთხოვებისას ვეშაპს ჯაჭვი უჩუქნია.

იმ ჯაჭვს საოცარი თვისება ჰქონია: სადაც დაარტყამდნენ, თურმე სულ იქ მიიხვეტებოდა და ხმალი და ისარი შიგ ვერ ატანდა.

ჯადოსნური ჯაჭვის იმედით გალაღებულ თორღვას თურმე ცა ქუდად აღარ მიაჩნდა და დედამიწა ქალამნად.

თორღვას ხელმწიფის შთამომავლობაც დაუჩემებია, რადგან ჯერ კიდევ ყრმას:

„დიდებულობა დაუთქვეს, ბეჭებს
უნახეს ჯვარიო,
მარჯვნივ მზე წერებულიყვა,
მარცხნისკენ მთვარის ნალიო.

გაამაყებული თორღვა ფშავ-ხევსურთ არ დახსნია, მათთვის მძიმე ბეგარა შეუწერია:

„ფშავლებ უმატეთ ბეგარსა, თითო
ტარიგი ცხვარიო,
თითო ნაცრიან ტომარა,
მთაზე დაჳყარა მშრალიო,
საკარგყმოდ შამიკრიფიდით ლაღის
[illegible] არწივის მხარით.

შეწუხებული ფშაველები ხვეწნით რომ ვერას გამხდარან, დამუქრებიან:

„ვინაც შენ მოგცეს ბეგარი, მამა წაუწყდეს მკვდარიო!“ ერთხელ, ნასვამ თორღვას მდინარეში ბანაობა მოსურვებია, ტანთ გაუხდია და ჯაჭვის პერანგი წყლის პირას დაუგდია. სანამ თორღვა ბანაობდა, მდინარის ტალღას ჯაჭვი წაუღია. თორღვა და მისი მხლებლები ჯაჭვს დასდევნებიან, მაგრამ ამაოდ.

ატირებული თორღვა სწორედ იმ დროს გადაჰყრია ფშაველ მონადირეებს. რაკი მფარველი ჯაჭვი აღარ ჰქონია, ფშავლებს ბევრი აღარ დაუცლიათ, ნაბიჭვარ ჩოთლას მიზანში ამოუღია და უძლეველი გმირი ჭვარტლიანი ისრით მოუკლავს.

* * *

იმ ზღაპრულ თორღვას ჩამომავალი, ულუ დავითისაგან გამდგარი თორღვა პანკელი ახლა მთის მიუვალ ციხეში იყო გამაგრებული.

სამშობლოს დიდებისათვის დაუღალავ მოღვაწეს, ლაშასა და რუსუდანის დროინდელ ბრძოლებში სახელოვნად ნაომარსა და მონგოლებთან ბოლომდე შეურიგებელ კოხტისთავის შეთქმულს გვირგვინოსან ბაგრატიონთან სამტრო რა უნდა ჰქონოდა, მაგრამ მიმნდობი კაცი რომ ანგარსა და უსინდისო ადამიანების გარემოცვაში მოხვდება, იმაზე საბრალო არავინ არის, ან თავისდაუნებურად სხვის ცოდვაში ჩაადგმევინებენ ფეხს, ან ისეთ ბადეში გაახვევენ, სიკვდილს სანატრელს გაუხდიან.

ტახტისაგან გამდგარ პანკელს მოციქული მოციქულზე მოუდიოდა, მეფე თბილისში იბარებდა, უვნებლობის ფიცს უთვლიდა და პატიებასა და წყალობას აღუთქვამდა.

თორღვამ იცოდა ულუ დავითის ხასიათი: თავად უმანკო იყო და უეშმაკო; დასმენას ვინც მოასწრებდა, იმას დაუჯერებდა, მყისვე რისხვით აენთებოდა; ხიქმეში ჩარევასა და გამოძიებას არ დაიწყებდა, შესმენილს ახლოს აღარ მიიკარებდა და ან სულ მოიკვეთავდა, ან მაშინვე სასტიკად გაუსწორდებოდა.

მუდამ სხვისი ნებითა და ჩაძახილით მოქმედ ულუს ერთი ჩვეულება ჰქონდა, დრო და დრო ვინმე უნდა ამოეჩემებინა, ქვეყნისა და საკუთარი გულის სადავეები ხელთ უნდა მიეცა და სულით ხორცამდე მის სიტყვასა და საქმეს უნდა მინდობოდა. მერე, ხანი რომ გამოხდებოდა, ამნაირ რჩეულსაც, როგორც ადვილად შეიყვარებდა, ისევე უცებ შეიძულებდა ხოლმე და, მოსისხლე მტერსავით ახლო აღარ გაიკარებდა.

შესმენილ-დაბეზღებულთ მეფის ამ ხასიათის იმედი ჰქონდათ, მალემრწმენი ხელმწიფის გულის მობრუნებაც ისევე სწრაფად შეიძლებოდა, როგორც სამტროდ აღგზნება, მაგრამ საამისოდ ჯერ შემსმენის ორგულობა უნდა ერწმუნებინა ულუ დავითს, კარზე ახალი ძლიერი მედროვე უნდა გამოჩენილიყო, რომელიც თვითონ ჩაიგდებდა ხელთ სხვათა ნების აღმასრულებელ ულუს, მის მიერვე განდიდებულ ქვეყნის გამგებელზე მეფეს გულს აუყრიდა და, მასაც ისევე დაამხობდა, როგორც მისი წინამორბედები ამხობდნენ ერთი მეორეს.

იმ ჟამად კი ულუ დავითი გონიერსა და ცბიერს, მაგრამ საქვეყნო საქმისათვის თავდადებულ ვაზირს — მესტუმრე ჯიქურს ჰყავდა მონუსხული. ჯიქურზე ბავშვივით შეყვარებული და მის ნებას მთლიანად მინდობილი მეფე მესტუმრის სიტყვას ვერ გადავიდოდა, მის მიერვე შესმენილ თორღვას ტახტისაგან განდგომას არ აპატიებდა და, თუ ხელთ იგდებდა, განუკითხავი სასჯელი არ აცდებოდა.

* * *

კოხტისთავის შეთქმულების გაცემამ, რომ გული გაუტეხა და ადამიანთა მიმართ ნდობა დაუკარგა, იმედგაცრუებულმა და რწმენადაკარგულმა თორღვამ მეგობართა და ამხანაგთ ზურგი აქცია, თავის მამულში განაპირდა და ჩა-

კეტა. ამასობაში პირველი ცოლი დაჰკარგა.

როგორც კი უშვილო თანამეცხედრე გამოიგლოვა, და თვალში გამოიხედა, ალავერდობაზე ხორნაბუჯელთა ახალგაზრდა ასულს გადაეყარა, ტრფობით აღეგზნო და ოცი წლით უმცროსი ულამაზესი ქალი ცოლად მოიყვანა.

ომში გულმხეცი და კლდესავით მაგარი ბუმბერაზი, ყველა მთიელივით ცოტა ტლანქი და მოუხეშავი თოროღვა, სიყვარულის თილისმამ შეკრა, მოალბო და მოათვინიერა, იმ ხნის კაცი თავისი ახალგაზრდა ცოლის აჩრდილად იქცა და იმის იქით ქვეყანა მოიკვეთა.

მშვენებაალმატებულ ცოლს საალერსოდ ციცნას ეძახდა, მთელ ქვეყანას ერჩია, ცივ ნიავს არ აკარებდა და დედოფალსავით ინახავდა.

პანკელის ულამაზეს ცოლს თავის გამოჩენაც უყვარდა, მოხდენილი ჩაცმა-დახურვა იცოდა და რაგინდ დიდსა და მდიდრულ შეკრებილობაში ყოფილიყო, ყველას ის უნდა შეემჩნია, ათას ქალში ის უნდა გამოერჩიათ და მერე თვალი ველარ უნდა მოეწყვიტათ.

ციცნას დამაბრმავებელმა სიტურფემ და ღირსეულმა თავდაჭერამ მეფის კარზე პირველი გამოჩენისთანავე მიიპყრო განსაკუთრებული ყურადღება.

ტახტზე მორჰმით მსხდომ ხელმწიფესა და დედოფალს მუხლმოყრით რომ ეთაყვანა და გვირგვინოსნებმა მოწყალე, ტკბილი სიტყვით ფეხზე წამოაყენეს, ციცნამ იგრძნო დედოფლის გულის ტკენა: თავად მშვენებით სწორუპოვარი მონგოლთა ასული შურით სავსე თვალით უყურებდა ერისთავის ნორჩ მეუღლეს და, თუმცა გაღიმებას ცდილობდა, მისი აღმატებული სიტურფის გამო წყენას ვერ მალავდა.

ამაყმა ციცნამ, იმის მაგივრად, რომ თავი მოესაწყლებინა და დედოფლის მონა-მორჩილებისათვის მზადყოფნა ეჩვენებინა, გამოწვევა მიიღო და დედოფალს თვალი თვალში მედიდურად გაუყარა.

ორი ულამაზესი ქალის ჩუმი, უსიტყვო პაექრობა დიდხანს გაგრძელდებოდა, ერთი მათგანი გონს რომ არ მოსულიყო და თავისი მდგომარეობის შესაფერისად არ ეთქვა:

— ჩვენს ერთგულ ყმას, პანკელს, ფრიად ქმნულ კეთილი ცოლი ჰყოლია. მისი სიახლოვე დიდად გვეამება და ამიერიდან, ჩვენს კარზე ყოფნისას მისი ადგილი ჩვენს ფერხთით მორთმეულ ბალიშზე იქნება.

დედოფალმა ნაძალადევად გაიღიმა და ერისთავის ახალგაზრდა თანამეცხედრეს თავი დამადლებულად დაუკრა.

ციცნას ცეცხლი მოეკიდა, მაგრამ ბრაზი დაიოკა, წყენა არ შეიმჩნია და ბალიშზე დაეშვა.

გვირგვინოსნის ფერხთით რომ ჯდებოდა, დედოფალს ერთი კიდევ შეხედა, მწარე დამცინავი ღიმილი ესროლა და სათქმელი უთქმელად მიახვედრა:

— ბედს რა ვუთხრა, თორემ შენც თვითონ ხედავ, ვის უფრო დაშვენდებოდა ტახტზე ჯდომა და, ვის კიდევ ფერხთით მორთხმაო!

* * *

მესტუმრე ჯიქურის ძალა და ხელისუფლება დედოფლის კეთილგანწყობილებაზე იყო დამოკიდებული. ჯიქურისადმი მეფის ბრმად მინდობის გზა დედოფლის გულსა და გონებაზე გადიოდა და, მესტუმრეს მანამ შეეძლო ხელმწიფის უსაზღვრო ნდობით სარგებლობა და ქვეყნის მართვა, სანამ სამეფოს პირველ ვაზირს დედოფალი მფარველობდა.

ამიტომ დედოფლის ყოველი სურვილი უმალვე სრულდებოდა და, ჯიქური სულ იმის ცდაში იყო, მბრძანებლის გულისნადებს მისწვდომოდა, მისი გაუმხელელი ფიქრი და ზრახვა მისსავე თვალებში ამოეკითხა.

ჯიქური მიხვდა, რომ პანკელის ცოლის იმ მედიდურმა ცქერამ იმწამსვე გადასწყვიტა მაცქერალისა და მისი გულუბრყვილო ქმრის ბედი. მხოლოდ

ორი ადამიანი ვერ ჩასწვდა ლამაზი ქალების უსიტყვო ბრძოლის ფარულ აზრს — ულუ დავითი და მისი ერთგული ყმა — თორღვა პანკელი. პირველს უზომო მინდობილობა და უეშმაკობა უბრმავებდა თვალს, მეორე — უსაზღვრო სიყვარული და იმ სიყვარულის წინაშე უღონობა.

დარბაზობის შემდეგ დედოფალმა მესტუმრე ჯიქური იხმო.

— მშვენიერი ცოლი ჰყოლია პანკისის ერისთავს, თანაც ახალგაზრდა.

— არც ისე ახალგაზრდა, დედოფალო, თქვენზე უმცროსობა არ ეთქმის, — აამა ჯიქურმა.

— ალბად უზომოდ მდიდარია პანკელი, რომ მისი ცოლი ესოდენ ძვირფასი სამკაულებით მოუკაზმავს!

— არც პანკელზე ითქმის მდიდარი, დედოფალო, ქონება იმდენი არა აბადია რა, მაგრამ, ამბობენ, ზოგჯერ ქარავნებს ესხმის თავს და მეკობრეობით შოულობსო.

— მერე შენ სადა ხარ? განა ქარავნების ძარცვა და მეკობრობა დიდი ჩინგიზის იასით არ ისჯება?

— ისჯება, დედოფალო, და, ამიერიდან პირველივე ქარავნის გაძარცვა პანკელს მოეკითხება.

დედოფალმა თავის დახრით დაუდასტურა მესტუმრეს გადაწყვეტილების სისწორე.

— შვილი რამდენი ჰყავს პანკელს, — იკითხა ცოტახნის შემდეგ დედოფალმა.

— უშვილოა, მბრძანებელო, — ფრთხილად თქვა ჯიქურმა, რომ თავად ბერწსა და უშვილობით გამწარებულ დედოფალს არ წყენოდა.

— აგერ ხუთი წლის გათხოვილია, რა ღონე არ სცადეს, რა სალოცავი არ მოილოცეს, მაგრამ არ იქნა და შვილი არ გაუჩნდათ!

უშვილო დედოფალს ჰჯირივით ეჯავრებოდა ყველა ბერწი და უშვილო ქალი და, უმისოდაც პანკელის ცოლის სიძულვილით აღძრულს, ესლა უნდოდა!

— ურჩიოს მეფემ უშვილძირო ცოლის გაშვება თავადს, სანამ დროა, უძეოდ გადაგებასა და სამკვიდროს დაკარგვას, ალბათ, ლამაზი ცოლის დაკარგვას ამჯობინებს პანკელი.

— ალბათ, ეგეც უნდა ვცადოთ, დედოფალო, დაუმოწმა მბრძანებლის გულისწადილს მიწვდენილმა ჯიქურმა.

* * *

მესტუმრე ჯიქური ხვდებოდა დედოფლის გულისნადებს, უნდოდა შურით აღძრული მბრძანებლის ერთგულება ერთხელ კიდევ დაემტკიცებინა, მაგრამ პანკელის საგამგეო ქვეყანაში, თითქოს ჯიბრზე, მეკობრეობა სულ მოისპო, ვაჭართა ქარავნებს არავინ აწუხებდა და, თორღვასთვის შარის მოსადები მიზეზი არ ჩნდებოდა. ვერც დედოფლის მეორე რჩევის შესაბამისად მოქმედება აღმოჩნდა ადვილი აღსასრულებელი. ახალგაზრდა ცოლის სიყვარულით გონდაკარგული პანკელი, ქვეყნის დაქცევას უფრო იოლად აპატიებდა კაცს, ვიდრე მისთვის სათაყვანებელი ცოლის ავუგად ხსენებას. უშვილობა კი არა, ყველაზე დიდი ცოდვაც რომ შეეწამებინათ, თორღვა მრჩეველს ენას ამოგლეჯდა, ან ზედ შეაკვდებოდა.

ჰკვიანი ჯიქური მაინც არ კარგავდა ქალბატონის საწადელის ასრულების იმედს, არ ჩქარობდა და შესაფერის შემთხვევას უცდიდა.

ამასობაში კი ციცნასა და დედოფალს შორის ჩამოვარდნილი გაუცხადებელი მტრობა და ქიშპი მატულობდა და ღრმავდებოდა: პანკელის მეუღლე მეფის დარბაზობაზე ძველებურზე მეტად და საჩინოდ მორთულ-მოკაზმული ცხადდებოდა, თავი გამომწვევად ეჭირა და დედოფალს წონასწორობის დაკარგვამდე აღიზიანებდა.

ასე, ალბათ, დიდხანს გაგრძელდებოდა, გათამამებულ ციცნას ერთ წინდაუხედავ ნაბიჯს რომ არ აევსო დედოფლის მოთმინების ფიალა.

* * *

კარის მოძღვარი ხშირად უკითხავდა ქრისტეს სჯულზე მოქცეულ მონგოლ დედოფალს ძველი და ახალი აღთქმის წიგნებს. თავისი უშვილობით დანაღვლიანებული დედოფალი სულ იმის ფიქრში იყო, რა ღონითა და წამლით ეშველა სიბერწისათვის, რომ გვირგვინოსან თანამეცხედრეს გვარის გამგრძელებელი და ტახტის მემკვიდრე ღირსებოდა. ძველი აღთქმის წიგნის კითხვისას დედოფლის ყურადღება იაკობისა და მისი ცოლების უცნაურმა ურთიერთობამ მიიპყრო. კარის მოძღვარი აუღელვებლად კითხულობდა: „ხოლო იხილა, რაქილ, რამეთუ არა უშვა იაკობს და, ეშურვა რაქილ ლიას, დასა თვისსა და ჰრქვა იაკობს, მომცენ შვილნი, თუარა აღვესრულო მე. ხოლო განურისხნა იაკობ რაქილს, და ჰრქვა მას: ნუ ნაცვლი ღვთისა ვარ მე, რომელმან დაგაკლო შენ ნაყოფსა მუცლისასა. და ჰრქვა რაქილ იაკობს: აჰა, მხევალი ჩემი ვალლა. შევედ მისა მიმართ: და შობდეს მუხლთა ჩემთა ზედა, და შვილ ვისხნე მე მის მიერ. და მისცა მას ვალლა მხევალი თვისი ცოლად მას და შევიდა მისსა იაკობ და მიუდგა იაკობ და მიუდგა ვალლა მხევალი რაქილისი და უშვა იაკობს ძე და, თქვა რაქილ, მისაჯა მე ღმერთმან და შეისმინა ხმისა ჩემისა და, მომცა მე ძე, ამისთვის უწოდა სახელი მისი დან. და მიუდგა მერმე ვალლა მხევალი რაქილისა და უშვა ძე მეორე იაკობს და რქვა რაქილ: თანაშემეწია მე ღმერთი, თანასწორ ვექმენ დასა ჩემსა და რა ძალ ვიდევ და უწოდა სახელი მისი ნეფთალიმ.

ხოლო იხილა რა ლია, რამეთუ დადგა შობისაგან, მოიყვანა ზელფა მხევალი თვისი და მისცა იაკობს ცოლად, და შევიდა მისსა მიმართ იაკობ და, მიუდგა ზელფა მხევალი ლიასი და უშვა იაკობს ძე...“

ძველი აღთქმის ეს მაგალითი ქრისტეს სჯულის აღმსარებელმა მონგოლმა დედოფალმა ღვთისათვის სათნოდ და შეწყნარებულად ჩათვალა, საყვარელ ქმარს ცრემლით შესთხოვა, მემკვიდრის, ძის შესაძენად მოეყვანა მხევალი ვინმე.

ულუ დავითმა ფრიად გაიხარა, რადგანაც ისიც დიდად შეწუხებული იყო უშვილობით. დედოფალს მადლი გადაუხადა და ხატზე ფიცით აღუთქვა, რომ, როგორც კი მემკვიდრე მიეცემოდა, მხევალს განუტევებდა.

ამის შემდეგ მეფემ მოიყვანა ოსის მშვენიერი ასული და წლისთავზე ვაჟი შეეძინა.

ტახტის მემკვიდრეს პაპის სახელი — გიორგი უწოდეს. მთელი სამეფო დღესასწაულობდა უფლისწულის დაბადებას, ერთ კვირას აუღებელი ლხინი იყო და, მეფე უხვად გასცემდა საბოძვარსა და წყალობას.

ვაზირები და დიდებულები, მთავრები და ერისთავები ხელმწიფის კარზე მისვლასა და მილოცვას ერთიმეორეს ასწრებდნენ. მილოცვასა და ძღვენს მეფე და დედოფალი ღებულობდნენ და ტახტის მემკვიდრის ნამდვილ დედას არავინ კითხულობდა.

სწორედ აქ მოიქცა ყველასაგან გამორჩეულად პანკელის მეუღლე და ქმარიცა და თავისი თავიც დასაღუპავად გასწირა.

ხელმწიფესა და დედოფალს რომ ეთაყვანენ და შესაფერისი ძღვენიც მიართვეს, ციცნამ ყველას გასაგონად უფლისწულის მშობელი დედა მოიკითხა, გულზე პატიოსანი თვლებით შემკული ჯვარი დაჰკიდა, დედოფალივით გადაჰკოცნა, ტახტის მემკვიდრის შეძენა მიულოცა და მასაც და მის ძესაც ხანგრძლივი ბედნიერება და მეფესთან ერთად დღეგრძელობა უსურვა.

შეურაცხყოფილი დედოფალი ცდილობდა რისხვა დაეოკებინა, მაგრამ თავს მაინც ვერ მოერია, ტირილი წასკდა და დარბაზიდან გავარდა.

თორღვა და მისი ცოლი მხოლოდ მაშინ გამოერკვნენ, როცა დიდებულებმა ზურგი აქციეს და, მათგან უფ-

რო ახლობელმა სასახლის დაუყოვნებლივ დატოვება ურჩიეს.

ალბათ პანკელისა და მისი მეუღლის ბედი იმ დღესვე გადაწყდებოდა, მეფეს ბათოყაენისაგან რომ ელჩი არ მოსვლოდა.

ბათო სასწრაფოდ იბარებდა ქართველთა მეფეს ოქროს ურდოში.

ულუსა და მის თანამეცხედრეს იმ დღეს იმდენი საზრუნავი გაუჩნდათ, პანკელისა და მისი თავხედი ცოლისათვის აღარ ეცალათ.

ამასობაში, თორღვასა და მის მეუღლეს გულშემატკივარმა კარისკაცებმა და ახლობლებმა თავის გარიდება ურჩიეს.

მეფე და დედოფალი ბათოყაენის ელჩთან გვიანამდე ისხდნენ ნადიმად.

ლხინი რომ დაიშალა და სტუმარმასპინძლები გაიყარნენ, მეფემ მესტუმრე ჯიქურს პანკელისა და მისი ცოლის მოყვანა უბრძანა.

ჯიქურმა პანკელის სამყოფელს ალყა შემოარტყა, მაგრამ უკვე გვიან იყო, ერისთავი და მისი ცოლი კარგახნის წინ გაპარულიყვნენ.

გაქცეულებს ვეღარც მდევარი დაეწია.

ოქროს ურდოს გამგზავრებულმა მეფემ მესტუმრე ჯიქურს ბრძანება დაუტოვა, რადაც უნდა დასჯდომოდა, პანკელი ერისთავი და მისი ცოლი ხელთ ეგდო.

* * *

მას აქეთ, არც მესტუმრე ჯიქურს მოუსვენია და, არც თორღვა პანკელს. ჯიქური ახალ-ახალი საბაბით ცდილობდა პანკელის მიტყუებას, თორღვა ახალსა და ახალ მიზეზს პოულობდა, რომ თბილისში, მეფეს არ ხლებოდა.

შემდეგ, როცა მეფე დაბრუნდა ურდოდან და, ყველა ქართველი მთავარი და ერისთავი ეახლა მისალოცად, თორღვა იყო ერთადერთი დიდებულთაგანი, რომელმაც ულუ დავითის დაბრუნებას ყური წაუყრუა, არც თვითონ ეახლა და, არც ძღვენი და მოსაკითხი გაუგზავნა.

მესტუმრე ჯიქურის უმოქმედობით განაწყენებული დედოფალი მეფეს დღედაღამ ჩურჩნიდა, პანკელის განდგომას ათასგვარად აზვიადებდა და ულუ დავითს სულ იმას ჩასძახოდა, მოღალატე ერისთავს დროზე გასწორებოდა.

ბათოს მიერ წყალობითა და ნიჭით აღვსილი, თავის სამკვიდროში სვებედნიერად შემოქცეული დავითი პირველ დღიდანვე გაორგულებული თავადის შემოსარიგებლად მოციქულს მოციქულზე გზავნიდა, პანკელს უვნებლობასა და პატივით ამაღლებასაც კი ჰპირდებოდა, მაგრამ თავის მხრივ თორღვაც თავისი გაალმასებული ცოლის ჩაგონებით მოქმედებდა, მეფის მინდობას ვერ ბედავდა და ათასგვარი შესაწყნარებელი, თუ არც ისე საპატიო მიზეზით, მეფის კარზე გამოცხადებას თავს არიდებდა.

ასე მანამ გაგრძელდებოდა, სანამ პანკელი მეფისა და მესტუმრის მოგზავნილ მშვიდობის მოციქულებსა და მოსყიდული მკვლელების მოგერიებას შეძლებდა, მაგრამ მოხდა ის, რასაც არც მეფის კარი ელოდა, არც თავად პანკელი. მის ნაცვლად, რომ თორღვას გასწყდომოდა მოთმინების ძაფი და მეფესთან შერიგების უკეთესი გზა ეძებნა, მის ახალგაზრდა ცოლს აღარ ეყო მოთმინება. მიუვალ მთებში მიუდგომელ ციხეებში გამომწყვდეული ცხოვრება თავიდანვე არ იზიდავდა ციცნას და, ახლა, როცა ქვეყნისაგან განდგომა ასე გახანგრძლივდა, ერისთავის ახალგაზრდა მეუღლე ჯერ მოწყენამ შეიპყრო, მერე მოუთმენლობამ. რა ოხრად უნდოდა ციცნას თავისი ახალგაზრდობა და უბადლო მშვენიერება, სიმდიდრე და მორთულ-მოკაზმულობა, თუ ღირსეული დამფასებელი არ ეყოლებოდა და, იმ უმაღლეს წრეებში ვერ გამოჩნდებოდა, რომლის აზრი და მოწონება ყველა ქალისათვის სავალდებულო იყო! ნუთუ იმისათვის გახდა ჯერ კიდევ ნორჩი ციცნა მამისტოლა კაცის ცოლი, რომ მისი იგავმიუწვდო-

მელი მშვენიერება ამ უცნაური მთიელების მეტს ვერავის დაენახა და, უცხო დესპანებით თუ შინაური დიდებულებით სავსე სამეფო კარის მაგივრად, ერთთავად ციხეში გამომწყვდეულს თვალსა და ხელს შუა გაჰპარვოდა თავისი ახალგაზრდობა.

არა, ამას ვერ შეურიგდებოდა ციცნა. იგი იმიტომ არჩევდა იშვიათ სამკაულსა და ლამაზ ტანსაცმელს, რომ მისი სიტურფე სხვათა მოსაწონად და შურის აღმძვრელად გამოჩენილიყო, თორემ მთის მიუვალ ციხეში გამომწყვდეულს, ან მშვენიერება ვისთვის უნდოდა, ან ძვირფასი მოკაზმულობა და ჩაცმა-დახურვა.

რაკი ერთხელ მოერია მოწყენა, რაკი სასახლის მაღალი წრის ნატვრა თანდათან განუქარვებელ სევდად ექცა, ვერ იქნა და, ველარ მოისვენა.

დედოფლისა და მესტუმრე ჯიქურისა რომ არ შინებოდა, ამდენხანს არ დააყოვნებდა, ქმარს წინ გაუძღვებოდა და მეფეს ძვირფასი ძღვენითა და ცრემლით გულს მოულბობდა. მაგრამ მეფეს საკუთარი აზრი არ ჰქონდა და, მხოლოდ დედოფლის ან მესტუმრის ჩაგონებით მოქმედებდა. დედოფალი კი, არამც და არამც, ციცნას აღმატებულ სილამაზესა და ქედმოუდრეკლობას არ აპატიებდა. განა დედოფალმა არ იცოდა, რომ პანკელს მეფის ორგულობა აზრადაც არ მოსვლია?

დედოფალს პანკელის მეუღლის მშვენიერება აღიზიანებდა და უფრო ალბათ მის დაღუპვას ესწრაფოდა, ვიდრე თორღვასთან ანგარიშის გასწორებას. ქალური ალღოთი მიხვედრილ ციცნას სჯეროდა, რომ დედოფალი შურს მასზე იძიებდა. ამიტომ ვერ ბედავდა მეფის კარზე ხლებასა და პატიების თხოვნას.

მაგრამ აღარც მთაში გამდგარს შეეძლო ცხოვრება და საგონებელში ჩავარდნილი ციცნა დღედაღამ იმის ფიქრში იყო, რა ეღონა მალემრწმენი მეფისა და შურით აღძრული დედოფლის მრისხანების დასაცხრობად.

* * *

ნადირობიდან დაბრუნებულმა თორღვა პანკელმა ციხეში შესვლისთანავე ცოლი მოიკითხა. უგუნებოდ არისო, მოახსენეს და შეშფოთებული ერისთავი ხელ-პირის დაუბანელად და, ტანსაცმლის გამოუცვლელად შევიდა თანამეცხედრის საწოლში.

ციცნა ნამტირალევი დახვდა და ერისთავს გულზე ცეცხლი მოეკიდა.

—შენს თვალზე ცრემლს რა უნდა, შენი წყენა ხომ არავინ გაბედა, რომ ახლავე ასწილად მივაგო სამაგიერო? — იკითხა თვალებამღვრეულმა, გულწრფელად შეწუხებულმა პანკელმა და ცოლს მოეხვია.

ციცნამ ლამაზი თავი ფართო მკერდზე მიადო, გული ამოისკვნა და ატირდა.

მიამიტი ვაჟკაცი ლამის ერთიანად დაიშალა, თავადაც გული აუჩუყდა და საცრისოდენა თვალებზე ცრემლი მოეძალა.

— ვაიმე, რა ვქნა! — აბურდღუნდა ერისთავი, — არ მეტყვი, ანგელოზო, ვინ გაბედა შენი წყენა?..

— აღარ შემიძლია, თორღვა, აღარ შემიძლია... — აქვითინდა ციცნა და ერთიანად მიეკრა ბავშვივით ალალად შეწუხებულ ბუმბერაზს.

— რაო, რა აღარ შემიძლიაო?! — სმენად იქცა ერისთავი.

— აქ ყოფნა, ციხეში გამომწყვდეული ცხოვრება აღარ შემიძლია, თორღვა... ნუთუ ვერ ხვდები, რა ძნელია, პატიმარივით ციხეში ჩაკეტვა... და ქვეყნისაგან მოწყვეტა... თბილისში მინდა, თორღვა, იქ ყოფნა მინდა, სადაც ყველა არი...

ყველაფერს ელოდა პანკელი, მაგრამ ცოლისაგან თუ თბილისს წასვლის სურვილის განცხადებას მოესწრებოდა, ეს კი არ ეგონა.

დედოფლისა და სამეფო კარის ხსენებაზე პირიდან ლანძღვა-გინებისა და წყევლა-კრულვის მეტი არა ამოდიოდა რა და, რას იფიქრებდა, თუ

უცებ იმ კარზე გამოჩენის ნატვრა აატირებდა!

— თუნდაც დღესვე წავიდოდით თბილისს, მე ჩემი თავი არ მენაღვლება, მაგრამ შენ რომ ვინმემ აუგი რამ გაკადროს, ხომ იცი ზედ შევაკვდები, — გაცხარდა თორღვა და ხმლის ვადას ხელი წაატანა.

— შევურიგდეთ მეფეს, თორღვა, უვნებლობის ფიცს მოგვცემს და მივენდოთ.

—მე დედოფლისა მეშინია, შენ რამე ხიფათს არ გადაგკიდოს, თორემ ჩემი თავი წყალსაც წაუღია.

— ეგ მე მომანდე, თორღვა, მე ვიშოვი იმისთანა თავდებს, რომ არც მეფემ გვაკადროს აუგი და არც დედოფალმა.

— მაგას რა აჯობებს, საყვარელო! გონიერი ქალი ხარ და ისა ჰქენი, რაც ჰკუამ გაგიჭრას — მოეხვია გულდაარხეინებული თორღვა.

საყვარელი ცოლის ალერსმა ერთ წამში დაავიწყა ბუმბერაზს ამ ქვენის ყველა ჯავრი და საზრუნავი.

* * *

ცოლის საწოლიდან გამოსულ თორღვას ხორნაბუჯელი თავადის მოსვლა მოხსენდა.

მეფემ და მისმა მესტუმრემ ვისი მიგზავნა არ ცადეს პანკელთან. თორღვას ყველა ახლობელი და მისანდო კაცი მოილიეს, პანკელმა მათი მოციქულობა არ შეიწყნარა, მათი ფიცი და თავდებობა არ ირწმუნა და მეფის შესარიგებლად თბილისს წასვლაზე ყველა ცივი უარით გაისტუმრა. ნათესავთაგან მხოლოდ ციცნას ალალი ბიძაშვილი შალვა ხორნაბუჯელი არ ცდილა მეფისა და პანკელის შერიგებას. შალვას ციცნა ღვიძლ დაზე მეტად უყვარდა და არ უნდოდა მისი უბედურების მონაწილე გამხდარიყო. მამით ობოლი ციცნა სანახევროდ ხორნაბუჯელთა სახლში იზრდებოდა და, როცა მის დაუკითხავად მამიდაშვილმა პანკელის ცოლობა გადასწყვიტა, შალვას ისე ეწყინა, თითქოს მისი სიკვდილის ამბავი გაეგოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პანკელსა და ხორნაბუჯელს ერთიმეორის მომიჯნავე მამულებზე ეჭირათ თვალი და სულ მუდამ დავა და უსიამოვნება ჰქონდათ.

თორღვას უშვილობა ხორნაბუჯელს იმ მამულების ხელში ჩაგდების იმედს უნერგავდა და ახლა, ციცნა რომ მამისტოლა პანკელს ცოლად მიჰყვებოდა, შალვას არა მარტო დასავით საყვარელი მამიდაშვილი ეკარგებოდა, არამედ თორღვას უშვილობაზე დამყარებული იმედებიც ემსხვრეოდა.

ერთი გაწევა გაიწია, ციცნასა და თორღვას ქორწინების ჩაშლა სცადა, მაგრამ არაფერი გაუვიდა, თავის ნათქვამა ციცნა გაკერპდა და ერთხელ მიღებულ გადაწყვეტილებაზე ხელი ვერავინ აალებინა.

შალვამ, როგორც იყო, მამიდაშვილის ქორწილი მოითავა და მერე პანკისისაკენ პირი აღარ უქნია. თავისზე ბევრად უფროს სიძეს არც თვითონ პატიჟებდა და არც იქით აწუხებდა სტუმრობით; მეფის კარზე ან მხედრობასა და საქვეყნო საქმეში როცა ხვდებოდა, თორღვასთვის დამადლებული სალმის მეტს არაფერს იმეტებდა და უზაკველ პანკელს ალალ-მართალი ღიმილი პირზე აცივდებოდა.

ხანი რომ გამოხდა და ციცნას შვილი არ ეყოლა, ხორნაბუჯელს ისევ დაუბრუნდა პანკელის უძეოდ გადაგებისა და მისი მამულების დაპატრონების იმედი.

მეფესა და ერისთავს შორის ჩამოვარდნილმა შფოთმა ეს იმედი კიდევ უფრო განუმტკიცა.

შალვა შორიდან ადევნებდა თვალს მესტუმრე ჯიქურის მცდელობას, თავად პანკელის ცოდვაში ჩადგომა არ ინდომა და მოთმინებით ელოდა თორღვას დამხობას, რომ შემდეგ უახლოესი ნათესავისა და ციცნას მეურვის უფლებით უშვილძირო ერისთავის ქონება და მამული ხელთ ეგდო.

მესტუმრე ჯიქურის მიერ რამდენი-

მეჯერ შემოთავაზებული მოციქულობა უარყო და ბოლომდე არ ფიქრობდა კარისგან გამდგარი სიძის საქმეში ჩარევას. მაგრამ სწორედ ორი დღის წინ ციცნას წერილი მიიღო. ციცნა ძველ სიყვარულსა და ერთობას აფიცებდა, სასწრაფოდ მოენახულებინა განსაცდელში ჩავარდნილი მამიდაშვილი.

ხორნაბუჯელს ციცნასადმი სულ როდი ჰქონდა განელებული ნათესაური სიყვარული, როცა პანკელის დამხობას ოცნებობდა, მისი მეუღლის დახსნის ფიქრიც არ სტოვებდა და, ახლა ციცნას წერილი რომ მიიღო, გულწრფელად შეწუხდა.

არ წასვლა არ შეეძლო, მაგრამ მეფისაგან გამდგარ ერისთავთან სტუმრობაც სახიფათოდ ეჩვენა და, რომ არც წვადი დაწვოდა და არც შამფური, მესტუმრე ჯიქურს ეახლა, მამიდაშვილის ბარათი აჩვენა და რჩევა ჰკითხა.

ჯიქურსაც ეს უნდოდა, ხორნაბუჯელს მეფის მოციქულობა და პანკელის თბილისში ჩამოყვანა დააკისრა.

შალვამ მოციქულობა კი იკისრა, მაგრამ გულში გადაწყვეტილი ჰქონდა, თუ თვითონ ერისთავი და მისი მეუღლე არ შეეხვეწებოდნენ მეფესთან შერიგებას, როგორც სხვა აღრინდელი შუამავლები, ისიც ხელცარიელი გამობრუნებულიყო.

მაგრამ თუ ციცნა და თორღვა მეფის წინაშე შუამდგომლობას თხოვდნენ, ხორნაბუჯელს ამ შემთხვევისათვისაც ჰქონდა შესაფერისი ნაბიჯი მოფიქრებული: დამორჩილებულ ერისთავს მეფესა და მესტუმრე ჯიქურს მიჰგვრიდა, ხოლო თავის მამიდაშვილს ხორნაბუჯის ციხეში განარიდებდა, რადგან ციცნას სიცოცხლე ისევე საჭირო იყო შალვას მიზნის მისაღწევად, როგორც თორღვას სიკვდილი.

პანკისის ერისთავი დიდად გაახარა ხორნაბუჯელის სტუმრობამ. ცოლის ეს უახლოესი ნათესავი თავისი სტუმრობითა და ყურადღებით არასოდეს ანებივრებდა და, მისი გამოჩენა მეფისაგან გამდგარი ერისთავის ციხე-სიმაგრეში, ახლა კიდევ უფრო დასაფასებლად ეჩვენა, როცა ჯიქურის შიშით დამფრთხალი თავადები, პანკელის ამბავსაც აღარ კითხულობდნენ.

ერთიმეორისა და შინაურების მოკითხვას, რომ მორჩნენ, თორღვა სუფრის თადარიგს შეუდგა, ხოლო სტუმარი თავის მამიდაშვილთან ჩაიკეტა და საიდუმლო საუბრისთვის განმარტოვდა.

* * *

სანამ პურობად დასხდებოდნენ, ციცნამ მეუღლე იხმო:

— მეფისა და ჩვენი ოჯახის ერთნაირად ერთგული ჩემი ბიძაშვილი კისრულობს ხელმწიფის წინაშე თავდებობას. თუმცა შალვას საკუთარ თავზე მეტად ვენდობი, მაინც პირობა ჩამოვართვი, ხორნაბუჯელთა და პანკელთა საერთო სალოცავზე — ალავერდის წმინდა გიორგის ხატზე შემოგვფიცოს უვნებლობა.

— მარტო ალავერდისა კი არა, რომელ ხატზედაც გინდათ, იმაზე დავიფიცებ, რომ მეფის კარზე თქვენი თმის ერთი ბეწვიც არ ჩამოვარდება და, თუ ერისთავი ხელმწიფის წინაშე გულწრფელად მოინანიებს განდგომას, მეფე წყალობასა და ნიჭსაც ბევრს მოგაგებთ, — მტკიცედ თქვა ხორნაბუჯელმა.

— რას იტყვი, ერისთავო? — შეჰღიმა ციცნამ.

— მე რაღა უნდა ვთქვა, — ღიმილად დაიფრქვა მიმნდობი პანკელი, — კარგად განგიზრახავთ და მე, როგორც ყოველთვის, ახლაც შენი რჩევისა და ნების ამსრულებელი ვარ. თუნდაც ხვალვე წავიდეთ ალავერდს. შალვა ბატონმა ფიცი მოგვცეს და მეფის კარს წაგვიძღვეს.

□ გაგრძელება იქნება □

ეროვნული ბიბლიოთეკა

*თენგიზ კაკუშაძე*

## სხივდაფენილი

მზის ნამსხვრევებმა, მზის ნამსხვრევებმა,
მზის ნამსხვრევებმა სული ამივსო,
ნელა მოცოცავს ჩრდილი ვეება,
ჯერ კი წლები დგას სადარბაისლო.
ესაა ჩემი მარგალიტები,
შეხიზნებული ხსოვნის გრეხილებს,
წლებს, როგორც მტვრიან თაროდან წიგნებს,
მოკრძალებით რომ ამალებინებს.
მოკრძალებით რომ გადიფურცლება
წლები, დაღვრილი ნათელ წინწკლებად,
მოგროვებული მზის ნამსხვრევები
თბილი ნიავით შემომიწყრება.
ვიგონებ სოფელს, ვიგონებ ქალაქს,
დრო გამიწყვიტეს ამ მზის ნიშნებმა,
წლები მიდიან, დროს სივრცე ფარავს,
ეს კი არასდროს ჩამოიშლება,
ეს მზის სხივებით ნაგები ყორე,
რომ მიფაქიზებს სიცოცხლის მორევს.

## გამოსავალი

რქებმოტეხილ ხარს,
ფრთებდამწყდარ ფრინველს,
რაღაც ზიარი აქვს ჩემი იღბლის,
შემორჩეული ეჭვები მივლის
და შემოცვეთილ რწმენის
ქერქს მიღრღნის
ვწევარ უაზროდ,
ვწევარ გულაღმა,
ღამე შემოდის და ავსებს ბინას,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვერაფრით მივწვდი
ხალისს უნახავს
და შეშფოთება კედლებზე გმინავს.
თითქოს მოისპო
მზე და ნიავი,
არც სიჩუმეა და არც ყაყანი,
როგორც ცოდვილი,
ქარონის ნავით,
ჯოჯოხეთში ვარ გადასაყვანი.
გამოსავალი — განწყობილება
ლექსის ვერშექმნის,
განწყობილება გახდა ლექსისა,
მოშინაურდნენ ისევ წუთები,
რომლებიც,
თითქოს შემომესხვისა.

## ისევ მივედი

ფიქრი,
ხანდახან წამებს, წუთებს თვლის.
ზოგი რამ ახდა,
ზოგი არ ახდა,
გულისტკივილთა დასტურისათვის
ისევ მივედი იმ მყუდრო სახლთან:
ისევე ენთო
ბრწყინვალე ჭაღი,
მაგრამ სხვაგვარად ენთო უწინ ის,
აღარ უცინის,
აღარ უღიმის,
ის ჩემს იმედებს
აღარ უცინხს.

## შ ე ნ

შენ ნაწვიმარზე მოჩახჩახე მზის გამოსვლა ხარ,
ღია სარკმელში შემოსული ნიავი გრილი,
აუხდენელი და მსუბუქი სიზმრის ხილვა ხარ,
როცა უჩემოდ მომიტაცებს შუადღის ძილი.
ახალ ნათოვში გავლებული ნაკვალევი ხარ,
რომ იკარგება ნაძვების ტყეში,
შენი ხილვისას,
შენზე ფიქრი ისე იშლება,
როგორც ბინდისას,
გასროლილი თოფის ხმა მთებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შუაგულ ტყეში მობუტბუტე წყაროს ტალღა ხარ,
თეთრი ღრუბელი,
ჩამავალ მზის შუქის შემყურე,
დღემდი ვცოცხლობდი?
მე მგონია მსურდა მეცოცხლა
და შენ კი თურმე აუხდენელ სიზმრად მეხურე.

## ირგვლივ გინთია

შენს დავიწყებას რა მოახერხებს,
ირგვლივ გინთია წასული წლები,
ჩამოსაჯდომი არ დარჩა მერხი
და შენს ლოდინში ფეხებზე ვწყდები.
დაცარიელდა ძველი დარბაზი
და აღარ ბოლავს ძველი ბუხარი,
ასახულია შენს თეთრ კაბაზე,
წლები, ოცნება და საწუხარი.

## გუშინ და დღეს

ადამიანთა აზრები გუშინ
თვალს ვერ აჩვევდნენ ბნელს და სინათლეს,
დაგროვებული ნების მარწუხში,
დღეს შუქურებად წამოიმართნენ.
აზრი რომელიც გუშინ ბოლავდა,
დღეს ნაპერწკლების სიუხვით მღერის,
ამიტომ იქცა რწმენა ფოლადად,
სიკეთე სურდა ხალხისთვის ლენინს.

## შენს ირგვლივ

მატარებელი მოჰყვება მუქი
ღამის თორმეტზე
აღმართზე ქოშინს,
გამოთიშული უეცრად შუქი
ტყის პირად ხეთა აჩრდილებს მოშლის.
მთვარე შორს იყო,
მეორე მხარეს
და არ ვიცოდი სოფლის სახელი,
იყო ზრახვები ათას მაგვარი,
მაგრამ არ ჩანდი თანამზრახველი.
გემუდარები,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოჰყვე ზრახვების
დაუმთავრებელ ბილიკებს ნათელს,
შენს ირგვლივ ცხოვრობს ძველი საგნები
და სინანული ღამეებს ათევს.

## ოღონდ ახლა

ქარი როგორც ზარი ბნელ სივრცეში რეკავს
და უმატებს ბრწყინვას მნათობების ცეკვა.
როგორც გულის ცემა ისე ბრუნავს სფერო,
ო, ეს საოცრება როგორ დავიჯერო.
მთები ბნელზე ბნელი და ნაფლეთი ღრუბლის,
ქარი ცაში ადის, ქარი ქუჩებს უვლის.
ადუღაბებს ნერვებს სინანულის კირი,
მნათობები ცეკვავს, ქარი ისევ ტირის.
გათენდება ალბათ დამტვერილი დილა
ოღონდ ახლა, ოღონდ ახლა ჩამაძინა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გურამ კეტრიაშვილი

# ნ ე რ გ ი

ჩამეძინა მინდორში ერთხელ...
რომ გავიღვიძე,
ვნახე
    დაბნეულ
        ვიღაც
            მებაღეს
ზედ ჩემს მკერდზე
პაწაწინა
    ნერგი
        დაერგო...
მე გამიკვირდა,
წამოვიწიე,
მაგრამ ნერგმა
    საცოდავად
        ამოიკვნესა
და კვლავ დავწექი.
შევყურებდი...
შემდეგ
    ხელი
        შევახე ფრთხილად
ნერგის ხათუთ ტანს,
მის ერთადერთ
    პაწია
        ფოთოლს.
და გამეღიმა....
ვწევარ მას შემდეგ
დამავიწყდა:
    ვინა ვარ,
        რა ვარ,
რასა ვფიქრობდი,
სად მივდიოდი,
რას ვაპირებდი.
იზრდება ნერგი
და მას შევხარი.
მოდიან სხვები
და ისინიც
    ნერგს შეჰხარიან,
მე ვერ მხედავენ
ალბათ უკვე
    ვიქეცი
        მიწად.
შევყურებ ნერგს
და შორს,
    შორს,
        მაღლა
დიდ ლურჯ თაღს ვხედავ
კრიალას,
    ლამაზს.
მე აღარ მახსოვს
    სახელი მისი...
მაგრამ რატომღაც მიხარია,
რომ ნერგის წვერო
იმ სილურჯისკენ
გამუდმებით,
    ილტვის
        ჟიუტად.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მიხეილ მრევლიშვილი

# ჟინი სიცოცხლისა

*მოთხრობა*

ვ. ს......ს

საღამოს ათი საათია. სავარძელში ვზივარ და ზანტად ვუყურებ „საუცხოო შვიდეულის“ აფორიაქებულ ცხოვრებას. ხანდახან ტელე-ეკრანი აციმციმდება და გამოსახულება საცრისებურ უჯრედებში იხლართება. ჩემი „ჯადოსნური სარკე“ ცელქობს, ალბათ ოსტატის ხელია საჭირო, — გავიფიქრე მე და თვალები მივლულე.

ასე ვიჯექი ერთ ხანს გაუნძრევლად და ვგრძნობდი, როგორ ილვრებოდა სხეულში სისუსტე და როგორ ედებოდა მთელ ტანს უძლურება: — რა მემართება? ეს, უთუოდ, დაძაბული მუშაობის და ღამეების თევის ბრალია... არაფერია... — დავიმშვიდე თავი, სავარძლიდან წამოდგომაც ვცადე; მაგრამ უხილავმა ძალამ განძრევის საშუალება არ მომცა და მხოლოდ უმწეოდ შევავლე ქუთუთოებდამძიმებული მზერა ცისფრად მოფარფატე ოთახს.

კაბინეტიდან მკაფიოდ მესმის „მერსედესის“ კლავიშების მწყობრი კაკუნი. იქ ჩემი ვაჟი დისერტაციას ბეჭდავს. ნაშრომი ბიოფიზიკის სამყაროშია შეჭრილი და ჩემთვის „ტერა ინკოგნიტას“ წარმოადგენს. ისა სჯობია მემორიალის პროექტს დაუბრუნდე, დავალება გრანდიოზულია და მთაწმინდის პანთეონის ორივე ფერდობს უნდა აჰყვეს.

აქ იქნება ასახული მრავალტანჯული ისტორია ჩვენი ერისა, განახლებული საქართველო, სამამულო ბრძოლის ველზე დაღუპულთა ობელისკები, მოწინავე მშენებელთა საქმიანობა, მხვნელ-მთესველთა შეუპოვრობა, კოსმონავტთა სამყაროში აელვარება, ბელადთა, მეცნიერთა, შემოქმედთა ქანდაკებანი. ერთი სიტყვით, მთაში შეჭრილი ისტორია ჩვენი ქვეყნისა.

მთელი ჯარი მოქანდაკეთა, მხატვართა და ხუროთმოძღვართა მემორიალის გეგმას უცდის და მე კი აქ, ზარმაც მოწაფესავით, ამერიკული „შედევრით“ თავს ვირთობ და ყველაფერს უნიათობას ვაბრალებ.

მინდა ავდგე... უნდა ავდგე... სავარძლის რბილ სახელურებს დავეყრდენ, ძლივს ავითრიე წელი და ავდექი. მაგიდაზე დაგრაგნილი ნახაზების გროვა ელაგა. ნახაზებს თვალი ავარიდე.

ივლისის უკანასკნელ რიცხვებში განსაკუთრებით ცხელოდა. იმ ღამესაც

აუტანელი ბუღი იდგა. ფაფასავით შედედებული ჰაერი სუნთქვას მიკრავდა. დამძიმებული ნაბიჯი მთვრალი კაცივით მერეოდა. მოულოდნელად ზურგს უკან თოფი გავარდა მეხივით. ამ ხმაურზე მოვიცელე ნამგალგამოკრულ თავთავივით...

— ვინ მესროლა?.. — გამკრა აზრმა. დავაპირე წამოდგომა, მაგრამ ამაოდ. სხეული არ დამემორჩილა.

თვალებს ბურუსი გადაეკრა. ბურუსი თეთრი ლეჩაქივით. ამ ბურუსში აცურავდნენ გამოუცნობი ლანდები. როგორც ეტყობა, ვიღაც ტელეფონს მივარდა. ვიღაცას ლანდმა ხელი დამავლო და ამწია.

— ვინ მესროლა?

— რას ამბობ, მამი!.. — ჩამესმა ყურთ ჩემი ვაჟის შემკრთალი ხმა.

— რა ვიცი, შვილო, — წავილუღლუღე უმწეოდ და ავტირდი.

— დამშვიდდი, მამი, შენ და ცრემლი, ვის გაუგია!.. გამამხნევა ვაჟმა. აივანზე გამიყვანა და იქვე ტახტზე დამაწვინა.

მთვარიანი ღამის ბურუსი. ამ ბურუსში ამოტივტივებული, გაფითრებული სახე შეშინებული თვალებით, ჩემსკენ იხრება. ვგრძნობ ძალიან ხშირ და თბილ სუნთქვას. ეს სუნთქვა უნებურ შორეულს აცოცხლებს... თავდახრილი დედიკო პატარა საწოლთან ჩამუხლულა და ცდილობს თავისი ალერსიანი და თავგანწირული სუნთქვით გამათბოს ქრქოლას ატანილი ბალღი...

დედა იმავ ბურუსში იძირება...

თავდახრილმა სახემ ნაძალადევად გამიღიმა. თითებმა შუბლზე თმა გადამივარცხნა და ლოყაზე თბილი ნამი დამეცა... ერთი... ორი... სამი... „ტირის“ — გავიფიქრე და ვიგრძენი, როგორ დაგორდა კურცხალი ლოყაზე და როგორ გალხვა გაღეღილ მკერდზე.

— შენ აქ საიდან?..

— დამირიკეს.

— იცი, განმარტებითი ბარათი ვერ დავამთავრე...

მეგობარი გვერდით მომიჯდა, დაიხარა, შუბლზე მაკოცა და მუდარით შემეპასუხა:

— მაგაზე ნუ... ახლა მაგისი დრო არ არის!

— მართალია, ახლა არაფრის დრო არ არის... — გავიმეორე მორჩილად და მზერა დაბინდულ ჭერს მივაპყარ. ბინდი ერთბაშად თეთრმა ბურუსმა გაჰფანტა. აივანზე ჩართულმა შუქმა ლივლივა ღრუბლის ფანტელები შემომახვია. ჩემი მეგობრის შეშინებული თვალები თეთრ სუდარაში გაეხვია. ეს ღვთაებრივი სისპეტაკე ზარების რეკვამ შეაკრთო, ჯერ მდორემ და დაბოხებულმა, მერე მწივანამ და წკრიალამ.

— სად რეკავენ ზარები?.. — შევეკითხე შედედებულ არარაობას.

— რას ამბობ, მამი, რა ზარები? — მომესმა ყრუდ შეშინებული შვილის ხმა.

— ნუთუ არ გესმის დიდი ზარების ხმებში ჩაქსოვილი პატარების წკრიალა ხმები.

მოულოდნელად ბურუსი საექიმო დახმარების წივილ-კივილმა შეაკრთო.

ჩემს წინ აღმართულ, მოციმციმე ბურუსის ფონზე ტივტივებდნენ მახლობლების სილუეტები, თეთრ ხალათებში შესუდრული ჩემთვის უცნობი ლანდები. ერთი მათგანი გამოეყო ამ ლანდებს და ჩემ საწოლთან მოიკალათა. დაკვირვებით ამხედ-დამხედა, მერე თვალებში ჩამაშტერდა, თითებით მაჯას შეეხო და ტუჩები ააცმაცუნა.

— დარეჯან, წნევა გავუსინჯოთ!

დარეჯანმა ვერცხლის სვეტს მზერაააყოლა, შუბლი შეიკრა, კიდევ მოსინჯა ვერცხლის სვეტის ნელი ციაგი და ექიმს რაღაც წასჩურჩულა.

— ნემსი! — მოკლედა ბრძანა ექიმმა და მერე ისევ მე მომიბრუნდა, — როგორ გრძნობთ თავს?

— ძალიან სუსტად, ექიმო...

— თავის ტკივილს არ უჩიოდით?

— არასოდეს.

— წნევას?

— არ გამისინჯავს.

— შუილს ყურებში?

— ზარებს რეკავდნენ ამ რამდენიმე წუთის წინ!

— გასაგებია.

დარეჯანი, ნემსით ხელში, მომიახლოვდა. ტკივილი ვერ ვიგრძენ. ექიმი ექთანს მიუბრუნდა. ვერ გავიგონე რა უთხრა. დარეჯანი ისევ ბურუსში მიიმალა. ექიმი ფეხზე წამოდგა. თხელი საფარი გადამხადა, თან შემეკითხა რა და როგორ. მე ყველაფერი ვუამბე დაწვრილებით.

— მაშასადამე, გონება არ დაგიკარგავთ, ეგ კარგია. სახის ნაკვთებიც წესრიგშია, საუცხოოა. აბა ამ ჩაქუჩს გააყოლეთ თვალები, აი ასე...

— ექიმო, გარშემო მხოლოდ ბურუსია სხვა არაფერი. აი, თქვენც ლანდად მეჩვენებით. რას ნიშნავს ეს?

— ჯერჯერობით მხოლოდ სისუსტეს, ორგანიზმის გადაღლილობის შედეგად. ჩვეულებრივად ნევრასთენიას. ახლა ვნახოთ, რაც მთავარია ამჟამად — კიდურები! აბა, ერთი, მარცხენა ხელი ავწიოთ.

ავწიე და თავისუფლად ამოვისუნთქე.

— აბა, ახლა მარცხენა ფეხი ავწიოთ და მუხლში მოვხაროთ.

ავწიე და მუხლში მოვხარე.

— ყოჩაღ... კარგია, მოდი ახლა დავისვენოთ, კიდევ ერთი ნემსი მივიღოთ და მერე მარჯვენა გავსინჯოთ, კარგი?..

რაღაც საეჭვო სითბო იყო ექიმის ამ ბოლო სიტყვებში.

დარეჯანმა პროცედურა გაიმეორა. ტკივილი ვიგრძენ და უნებურად ავკვნესდი.

— ძალიან მწარე წამალია, ჩქარა გაგივლით. — დამამშვიდა დარეჯანმა და გამშორდა.

— აბა, ახლა მარჯვენა ხელი ავწიოთ ყოჩაღად! — მომესმა კვლავ ერთ ხანს ბურუსში მიმალული ექიმის ხმა და ლანდი ჩემსკენ დაიხარა.

ვეცადე ხელი ამეწია, მაგრამ ამაოდ. უსიცოცხლოდ გაშეშებულ მარჯვენას ძვრა ვერ ვუყავი. ექიმმა ახლა მარჯვენა ფეხზე მიმითითა. ამ ცდამაც ფუჭად ჩამიარა. ექიმმა შუბლი შეიკრა. კიდურების სახსრების და თითების სინჯვას შეუდგა გულმოდგინედ.

სადარბაზო შემოსასვლელში ზარის წკრიალი გაისმა. ვიღაცამ კარი გააღო. ბურუსი თითქო გაირინდა. დარეჯანი ექიმის ყურთან დაიხარა: — პროფესორი! — წაიჩურჩულეს ტუჩებმა. ექიმი წელში გასწორდა და ერთბაშად ექიმიცა და ექთანიც ბურუსში გალხვა. დავრჩი მარტო.

„პროფესორი?.. რა საჭიროა პროფესორი... განა რა მჭირს?.. იქნება ვკვდები და ვერა ვგრძნობ... მაგრამ არა... სუნთქვა არ მიჭირს... არა მტკივა რა..."

ელექტროშუქით განათებულ მღვრიე ნისლში ჩუმი ბაასი შემოიჭრა. სმენა დავძაბე. გავირინდე. ჩუმი ბაასი თითქმის ჩურჩულში გადავიდა. დაძაბული სმენა იჭერდა ცალკე სიტყვებს.

— ... დახმარება?

— თხუთმეტ წუთში...

— წნევა?..

— ორას სამოცი ასოცზე.

— მაჯა?

— აჩქარებული...

— გონება?..

— არ...

— ... დიაგნოზი?

— ...

— ესე იგი, ჰუმიპარეზი ტვინის მარჯვენა სფეროში, არა?

— დიახ...

— ვნახოთ!

ორივენი მომიახლოვდნენ:

— ჩვენ ხუროთმოძღვარს გაუმარჯოს!.. რა დაგემართა, ვაჟკაცო?.. რა დროს წოლაა, გეთაყვა! რას უჩივი, აბა მითხარი?

— სულს ვუჩივი, ჩემო ელიზბარ, სული სადღაც მიიპარება...

— აბა, ეგენი არ იყოს, სული ჩვენ ხელში არ არის?.. არ გავუშვებთ და გათავდა!.. აბა, ერთი, ხელი მომეცი ვაჟკაცურად, არა, ეგ არა, მარჯვენა!

— მარჯვენა არ მემორჩილება, ჩე-

მი სხეულის ნახევარი გარდაიცვალა, პატივცემულო პროფესორო, ალბათ მეორე ნახევარიც ძალიან ჩქარა დაგიკრავთ თავს... — წავიდუდღუნე სუსტად და ღიმილს დავაპირე, მაგრამ ღიმილის მაგიერ სახე ცრემლმა დანამა.

— რა გატირებს, არა გრცხვენია?.. შენი სახის ვაჟკაცური იერი და ცრემლები? აღარ გახსოვს გარიჟრაჟი ტაბახმელაზე, დუდუკების ტკბილი დუდუნი და ჩვენი კოხტა კინტაური. რა დრო გავიდა მას შემდეგ!

— იყო და არა იყო რა, ელიზბარ... — წავიდუდღუნე სუსტი ხმით.

— ფიქრი ნუ გაქვს, შენზე უარესი ავადმყოფი მოგვირჩენია. შენ რა გიშავს, ხელსა და ფეხს ისე ალგიდგენთ, კინტაურს კი არა, ტვისტს იცეკვებ! — დამიყვავა ახალგაზრდობის მეგობარმა.

— ეჰ!.. — ამოვიოხრე უიმედოდ.

— ოღონდ გახსოვდეს, მკურნალობაში შენ თითონ უნდა დაგვეხმარო!.. თვითშთაგონება უებარი წამალია შენისთანა ავადმყოფისთვის. მართალს არ ვამბობ, კოლეგა? — მიუბრუნდა ელიზბარი „სასწრაფოს“ ექიმს.

— დიახ! — დაუდასტურა ექიმმა.

— ნევროლოგია, გეთაყვა, უკუნეთია... მის გამოუვალ ჯურღმულში დღევანდელ ფსიქოთერაპიას იმედიანი შუქი შეაქვს, ავადმყოფმა ამ შუქს ხელი უნდა შეუწყოს ნებისყოფის გაკაჟებით და გრძნობების დამორჩილებით, დიახ!.. აბა, ძმობილო, მოემზადე, უნდა გულდასმით გაგსინჯო...

პროფესორმა კარგა ხანს მსინჯა და მერე ისევ იმედიანი ხმით მომმართა:

— ჩემი აზრით, საშიში აქ არაფერია, ყველაფერი რიგზე იქნება!

— მამშვიდებ არა, ელიზბარ?..

— არც მიფიქრია... მაგრამ, მაინც, სიფრთხილეს თავი არ სტკივა... უპირველეს ყოვლისა, სრული სიმშვიდე გჭირდება. ჰოდა, აი, ჩემს კლინიკაში წაგიყვან, ცალკე ოთახში დაგაწვენ, ისე მოგივლით — ერთ-ორ თვეში წამოგაყენებთ... რას იშმუშნები, არ მოგწონს?

— ელიზბარ, არა ჯობია შინ მოვკვდე?.. — წავიზლუქუნე უგულოდ.

— აბა, რას ამბობ, უფიქრდები? — ხმას აუწია პროფესორმა.

— ზარებს რეკავენ, ელიზბარ!..

— სადა რეკავენ, ანჩისხატში თუ სიონში?..

— რეკავენ...

— როგორც გატყობ, დაგვიწყნია სეითის* გაკვეთილები.

— დამავიწყდა...

— „ბიჭო, პარიზი ქალაქია თუ მდინარე?“.. — „მდინარე, მასწავლებელო!“. „—სადის, დურაკ!“.. — ჩაიცინებდა ტუჩებში პატივცემული სეითი და შენი გვარის პირდაპირ მსუქან ერთიანს ჩახატავდა დავთარში. აღარ გახსოვს?

ზარების რეკვა მიწყნარდა. ტუჩზე ღიმილი ამეკრა. ბურუსში მომღიმარი პროფესორის თვალებმა შემოანათა.

— გახსოვს, ელიზბარ, წიწაკა? — წავიბუტბუტე სუსტი ხმით.

— ამას უყურეთ, მშვენივრად ახსოვს ყველაფერი და კიდევ მაინც უჩივის ბედს!.. — მაგრამ კმარა, მგონი დაგღალე, — თქვა ელიზბარმა, მხარზე ხელი მომიცაცუნა და წამოდგა.

— თქვენ, კოლეგა, იმედია ჩვენს მანქანას დაელოდებით. მე კლინიკაში გავივლი და ყველაფერს მოვაწესრიგებ. — ამ სიტყვებზე ელიზბარმა ექიმს მკლავში ხელი ჩასჭიდა და ორივე ბურუსში გაუჩინარდა.

დავრჩით მარტო — აივანი, მე და ბურუსი. სასადილოდან მოისმოდა ჩუმი ბაასი. დაძაბულ სმენას ხვდებოდა წინადადების ნაფლეთები. მეხსიერებას შემორჩა სამიოდ სიტყვა: „ბეწვზე“, „ღრმად“ და „ჰემიპარეზი“.

ესე იგი, ჩემი ბედი არცთუ იმდენად იოლია როგორც ელიზბარს ჰგონია. მაშ რას ნიშნავს სიტყვა „ბეწვზე“?.. სიტყვას — „ღრმად“ აზრი ვერ ვუპოვე. „ჰემიპარეზი“ ექიმების დიაგნოზია. როგორც მახსოვს, ტვინის სისხლის მიმოქცევის მოშლასა ნიშნავს.

* სეით იაშვილი — ცნობილი პედაგოგი იყო.

მაშასადამე, ჩემი ავბედი სიცოცხლე მართლაცდა ბეწვზე ჰკიდია. იმიტომ იყო ელიზბარი შემკრთალი და შეცბუნებული. აღარ იცოდა რა ეთქვა, იქ სკოლის ამბებს გადაწვდა, აქ კიდევ ფსიქოთერაპიას.

კაცმა რომ თქვას, მაცდურია ჩვენი ბატონი მედიცინა. თავის განაჩენს მუდამ მიმზიდველ სიტყვებში ჰხვევს და ყურისთვისაც საამოდ ჟღერს: ჰემიპარეზი, ინსულტი, ინტუბაცია, ინფარქტი, კოლაფსი და კიდევ მრავალი... მაგრამ მათ უკან იმალება ერთი აჩრდილი და დაჟინებით ჩაგჩურჩულებს იდუმალ სიტყვას „მემენტო მორი".

— დიახ, ბატონო ელიზბარ, მემენტო მორი!..

* * *

იასამნის სუნი... საიდან მოდის ასეთი მძაფრი იასამნის სუნი?.. თვალები გავახილე და მზერა მობინდულ ჭერს შევავლე. ჭერზე მზის ლაქა ციაგობდა.

— როგორ გრძნობთ თავს? — შემეკითხა ვიღაცა და ჩემსკენ გადმოიხარა.

— ვინ მომიტანა ბროლის ჭიქა და იასამნის ყვავილები?

— თქვენმა ვაჟმა და უცნობმა მანდილოსანმა...

— თქვენ კეთილი ანგელოზი ხართ...

— სამწუხაროდ, მხოლოდ ექთანი, — გაიღიმა ქერათმიანმა.

— არა, მტრედი, მშვიდობის ტოტი რომ მოაქვს!

— რა გაეწყობა, აგრე იყოს, ოღონდ თქვენ ნუ ინერვიულებთ.

— ახლა მივხვდი საიდან მოდის ასეთი მძაფრი იასამნის სუნი...

— არა... გეშლებათ... იასამანმა რა ხანია გადიყვავილა, მანდილოსანმა, ნამტირალევი თვალები ჰქონდა, თეთრი ვარდები მოგართვათ, სხვა არაფერი.

— მაშ იასამნის მძაფრი სუნი?

— ალბათ წამლების სუნია. ჩვენ რა ხანია ვბაასობთ, ეს კი სასტიკად აკრძალული გაქვთ. პროფესორმა რომ გაიგოს, თქვენს მტრედს მოხსნიან და დარჩებით უანგელოზოდ! — ჩაიცინა ექთანმა და იდაყვიდან სისხლის საზომი ამომაძრო. გასინჯა და შეშინებულმა გადმომხედა. თან შპრიცს დაუწყო შევსება, ათრთოლებული თითებით.

სეტყვის ობოლი მარცვალივით მძიმედ დაეცა თუნუქზე შუშის ამპულა და შეაკრთო გარსგამდგარი, შეტბორებული სიჩუმე.

— ვერცხლის წყალი ზევით მიიწევს. საკვირველია, ამ სიცხეში, სად გაცივდით ასე სასტიკად!.. წავალ, მორიგეს დავუძახებ. პნევმონიისა მეშინია... — წაიჩურჩულა ექთანმა და ფეხაკრეფით გამშორდა.

დავრჩი მარტო. მზის ლაქა ჭერზე გახუნდა და თანდათან გაუჩინარდა. ტანი მეწვის. ყელი მიშრება. მარცხენა ხელით ვერ ვპოულობ სავსე დოქურას. მარჯვენა არ მემორჩილება. მინდა ოდნავ წამოვიწიო და ძალა არ მყოფნის. სასიგნალო ღილაკს მინდა თითი დავადო და ვერ ვწვდები. მინდა ვიყვირო და ჩემი ხმა იქვე, საწოლთან იღვრება.

— რაო, რა თქვა ქერათმიანმა ექთანმა? „პნევმონიის მეშინიაო". ნეტა რას ნიშნავს პნევმონია?.. „პნევმონია" ვიცოდი და სწორედ ახლა გადამავიწყდა. გამახსენდა აღელვებული ექთანის შეშინებული თვალები. ალბათ, ეს სიტყვა განწირული ადამიანის ბედს ნიშნავს. ჯანაბას!.. მთავარია ბოლო მოეღოს ყველაფერს!.. ვიწვი!.. სად დაიკარგა დოქურა... წყალი!.. პ ნ ე ვ მ ო ნ ი ა... კარგადა ჟღერს...

* * *

ჩემს საწოლთან ვიღაცის ლანდი აფართფატდა, მერე უცბად ისკუპა და სასთუმალთან აყუდებულ სავარძელში მოიკალათა:

— ვერ მიცანი? — შემეკითხა უცხო სტუმარი.

— ვერა.

— დამაკვირდი.

დავაკვირდი... უცბად კანკალმა ამიტანა.

— შენ... მე?..

— დიახ... მე შენ!

— სისულელეა, ტყუპის ცალი არასოდეს არა მყოლია!

— რა შუაშია აქ ტყუპის ცალი?..

— მაშ ვინა ხარ, ან აქ რა გინდა?

— შენი ლანდი ვარ, შენთან ერთად დაბადებული. მუდამ კვალდაკვალ მავალი შენი გზითა და ბილიკებით. „ლამე შობს დღეს, ლამე ნთქავს მას“. ეს გარდუვალი კანონია ამაოების. დიდხანს ველოდი შენს ლამეს და აღსრულდა!

— მაშ შენ ჩემი აღსასრული ხარ?

— სულიერი და უსულო, ამ თვალუწვდენელ სამყაროში, იმისათვის არის გაჩენილი, რომ ოდესმე ფერი იცვალოს!

— მერე შენ რა?

— მე რა, გავიფანტები ეთერში... თავისუფლად ამოვისუნთქებ.

— ამისათვის ღირს ჩემი დაღუპვა?!. მე ხომ მაინც ხელოვანი ვარ...

— იყავი!..

—. თუკი ჩემი განუყრელი თანამგზავრი ხარ, როგორც ამბობ, უსათუოდ გეცოდინება ჩემი გეგმით აშენებული სასახლე, ეპოქალური შედევრი დღევანდელი ხუროთმოძღვრების!

— ეგ რომელი, ჯვარედინის გადაკვეთაზე რომ იდგა?

— დიახ!

— დაანგრიეს. ხელს უშლიდა მშენებარე ახალ სასახლეს.

— ბოლოს და ბოლოს, ავტორი ვარ მთაწმინდის მემორიალის!

— უარყვეს... ზღაპარიაო.

— ვინ გამცარცვა?!

— დრომ, ოსტატო, ყველაფერი წარმავალია!

— დრო რა შუაშია, ხეოფსის პირამიდებმა ათასწლეულებს გაუძლეს!

— ნუ გეშინია, მაგათაც წაშლის გრიგალი. წელთაღრიცხვა პატივმოყვარე ცდუნების მოგონილია. ჟამთაღრიცხვა არ არსებობს სამყაროსათვის. უკუნეთი უთავბოლოა. უკუნეთი უჟამთასვლოა!

— მაშ ვისა აქვს ჟამთასვლის ბოლო?..

— სულიერის და უსულოს გარდაცვალებას. ცთომილი მოსწყდა ცის ტატნობს და გარდაიცვალა. ზღვები აორთქლდნენ და ღრუბლებმა წარმოშვეს წარღვნა. ქარებისაგან გამოფიტულმა მწვერვალებმა მეწყერის ღორღით დაფარეს თვალუწვდენელი ველები. არ გინახავს მეხისაგან დამწვარი ტყე?.. საზარელი სანახავია!.. უსიცოცხლოდ გარინდული, გადატრუსული მუხები ჩაშავებული გულ-მკერდით და წვეტმომწვარი შუბებით გაშეშებულ მეომრებს ჰგვანან, თითქო მტრის ცეცხლმა მოულოდნელი საფარიდან მოუსწრო მათ.

— მაშ შენის აზრით, აღსასრულო, ეს ქვეყანა მხოლოდ ნგრევაა?

— ჭეშმარიტად, მხოლოდ ნგრევაა?.. ბალღი თიხიდან აკოწიწებს რაღაც ურჩხულებს, რომ მერე ქვები დაუშინოს თავის ოცნებას. ლურჯი პლანეტის მეუფე ადამიანი, წვითა და დაგვით აშენებს, რომ დაანგრიოს!

— არა, რომ უკეთესი ააშენოს!

— კაცი წვალობს და ჯახირობს, რომ როგორმე ნება მიიღოს სადმე საფლავის გათხრისა.

— არა და არა, აღსასრულო, კაცი წვალობს და ჯახირობს, მხოლოდ კეთილი საქმისათვის, მომავლის საკეთილდღეოდ!

— მამაშენი არ იბრძოდა მომავლის საკეთილდღეოდ?

— მერე?

— არ დაუდგეს დიდი ძეგლი თლილი ქვისაგან?

— მერე?

— მერე ცხოვრებამ მოითხოვა დიდი შარაგზის გაყვანა სასაფლაოზე. ლარივით სწორი უნდა ყოფილიყო ფართო ახალგზა. თარაზოზე სწორად ის ძეგლი წამოჯდა მაინცდამაინც. ძეგლი აიღეს. გზა მოკირწყლეს. ისეთი სწორი და ლამაზია, რომ შეხედო, გაგიხარდება!

— მერე მაგითი რა გინდა სთქვა?

— არაფერი... დაჰქრიან ახლა იმ ქუჩაზე ათასნაირი მანქანები. დაჰყავთ

ხალხი. დააქვთ ბარგი და ბარხანა. ცხოვრება დუღს და გადმოდუღს... აი, შენი ცხოვრების გაცვეთილი იგავარაკი! — ჩაიხითხითა ჩემმა ლანდმა და სავარძლიდან ჩემ საწოლზე გადმოინაცვლა.

— აღსასრულო, მამაჩემის უკვდავება ძეგლში კი არა, ჩემშია! არ შეიძლება შენი მრწამსი პირუკუღმა შემოვაბრუნოთ?.. დღე შობს ღამეს და დღევე ნთქავს მას!.. რა იქნებოდი, უსუსურო, ცოცხალს რომ არ ეტმასნებოდე, ეთერში გაფანტული არარაობა... ერთი პატარა ამოსუნთქვა... სხვა არაფერი... ამას წინათაც მომეპარე მოულოდნელად, წამაქციე, მაგრამ მაინც ვერ ჩამიკალ ძალა და ჟინი სიცოცხლისა!

— ხომ დაგაბი! — გესლიანად მომიგო ლანდმა და ხელები აატუთურა.

— უნდა ამხსნა!.. — ვუბრძანე ლანდს და ჩემმა ხმამ მევე შემაკრთო.

აგუგუნდნენ საავადმყოფოს კედლები და გაისმა მოგუდული ექოს ძახილი: „ამხსნა“... „ახსნა“... „ხსნა“... „სნააა“...

— იყოს ნება შენი, მაგრამ იცოდე მე კვლავ მოვალ, — წაიდუდუნა ლანდმა და ფეხზე წამოდგა.

— არა... რათა... ნუ შეწუხდები... თუ დამპირდი, შეგატყობინებ. უსათუოდ შეგატყობინებ!

— არ დაგავიწყდეს, შენ სათავე ხარ, მე კი ბოლო ამ სათავისა!

— დიდი ხნით ცდა არ დაგჭირდება, ნუ გეშინია. ლაჩართა რიცხვში არასოდეს, არა ვყოფილვარ, შენც კარგად იცი... მე მხოლოდ წუთით თვალს შევავლებ ჩემ უკვდავებას... რად აიმრიზე, არა გჯერა? ნუ დაიჯერებ!.. მე კი, აი, მოვინახულებ შვილებსა და ანდერძად ვეტყვი — იყვნენ ღირსნი ახალი ქვეყნის მშენებელი ადამიანის წოდებისა... შვილიშვილებს გულში ჩავიკრავ... იქნებ ამბავიც ვუამბო, ამბავი კეთილ ფერიებზე, დაჭრილ ვაჟკაცებს რომ უვლიდნენ კავკასიის მისადგომებთან, ან სტალინგრადის ტრამალებთან... იცი რა არის დაჭრილისთვის დედის ალერსი და დის სითბო?.. უებარი მალამოა წამალთა შორის!.. ჰოდა, კიდევ, მეგობარსაც ვეწვევი ალბათ. მეგობრობაც საუკეთესო წამალია ხეიბრისთვის... გარდა ამისა, შენა თქვი — შენი გეგმით აშენებული სასახლე დაანგრიესო. თუ მართალია, იმ უბანშიაც გავივლი. იქნებ სადმე, იმ გარემოში, ხავსმოდებული ლოდი გდია მივიწყებული. მივუალერსებ ჩემ ოცნებას, მოვეფერები...

— მერე? — შეირხა ლანდი.

— აღსასრულო, სიტყვის გატეხა არ მიყვარს!

— გახსოვდეს, ჩემთან ხუმრობა არა ღირს!

— ვიცი, ჯალათო!

ლანდი გაქრა.

ცხელოდა. სუნთქვა მიჭირდა. ოფლში ვიყავი გაწუწული. წამოვდექი, არა, კი არ წამოვდექი, წამოვიჭერი საწოლიდან. უმალ ფანჯარას მივაშურე. ფარდა გავწიე. გადარაზულ რაფას ვეცი მარჯვენა ხელით და გავაღე. დილის ჰაერი შემოიჭრა ღია ფანჯრიდან.

რა არი ჩემს თავს?.. სიზმარია თუ ცხადია?.. არა, ცხადია... ცხადია!.. მივაშურე ტანისამოსის კარადას, აქ შეინახა უჩუმრად მეგობარმა ჩემი კოსტიუმი... იმასაც ჰქონდა იმედი ჩემი სრული განკურნებისა.

ერთი სიტყვით, ეს ყველაფერი სიზმარს არ გავს. აბა, კარგად დაუკვირდი შენს მოძრაობას, შენ ქცევას!..

აი, მივედი კარადასთან. გამოვაღე კარადის კარი. დაუხმარებლად ჩავიცვი ჩემი ახალი კოსტიუმი. ამოვიკარ ყელსახვევის ლამაზი ყულფი. შევიკარი ფეხსაცმელები ზონარით და ფანჯრიდან გადავაბოტე აივანზე. აივნიდან კვიპაროსების დახმარებით ბაღში დავეშვი და ბაღიდან მთავარ გასასვლელს მივაშურე.

გასასვლელის საყარაულო ჯიხურიდან დარაჯმა გამოიხედა:

— თქვენ საით? — შემეკითხა დაეჭვებული დარაჯი.

— ავადმყოფს ღამე ვუთიე, — ავუხსენი ნირშეუცვლელად.

— ცუდად არი, ვინ არი შენი?

— ტყუპის ცალია... იქნებ ცოცხალი ველარც ვნახო...

დარაჯმა გასაღებების აკიდო აჩხრიალა. კარი გამიღო და თავისთვის წაიბუტბუტა, — ღმერთმა შეუნდოს...

— შეუნდოს... — უნებურად გავიმეორე მეცა და კარის ზღურბლს გადავაბიჯე.

მე, ქუჩა, მზე და ჰადრები. მივდიოდი თავაწეული. ამაყადა და თავისუფლად. მე ასეთი მუხლგამართული ნაბიჯი არასოდეს არა მქონია. ფეხის გადადგმა აუწერელ სიამოვნებას მანიჭებდა. ხარბადა ვწოვდი შემოდგომის ქარვისფერ ჰაერს და ვგრძნობდი, როგორ ლივლივებდა ძარღვებში სისხლი.

სიზმარიო... ვინ მოიგონა! განა სიზმარში შეიძლება წვრილმან დეტალებს ხედავდე და კაშკაშა მზეს შეჰხაროდე. საყვავილე ფარდულებიდან მონაქროლი სუნით თვრებოდე და უსმენდე ფრთოსნების ჟღურტულს. გასცქეროდე ხალხის ნაკადს და ყველა მათგანს უცინოდე.

მივდივარ და, არ ვიცი საით მივდივარ... მივდივარ და მუხლები არ მეკეცება, თითქო მივფრინავ უხილავი ფრთების წყალობით. ხალხი გზას მაძლევს და ვერ მამჩნევს. ნაცნობებს ვეძებ ხალხში და არავინ მხვდება. მხოლოდ ერთხელ პროფესორის ზურგს მოვკარ თვალი და სიხარულით შევძახე: — ელიზბარ!.. — არ მოიხედა, მხოლოდ ნაბიჯი ააჩქარა და მოსახვევში მიიმალა.

მივდივარ: გამზირები. ხეივნები. შადრევნები. სასახლეები, მოლაქოჩრილი კორდები. დაბურული ტყით შეფენილი მთაწმინდა. იქით მახათა. სადღაც ლისი. მეტრო „სამგორის“ მატარებლების მოძრაობის მაჩვენებლებზე განაპირა სადგურებია „რუსთავი“ და „სვეტიცხოველი“. აუჰ, სადამდე გაზრდილა ჩემი თბილისი. ნეტა რამდენი დრო გავიდა იმ საბედისწერო ღამის შემდეგ?..

ღამდება და დაღლ[illegible].

გულის ფანცქალით დავეძებ ჩემს აშენებულ სასახლეს. მინდა ვნახო. თვალი შევავლო ჩემს პირმშოს და ჩემს აღსარებას. ლანდმა უთუოდ მომატყუა! შრომის სასახლის დანგრევა არ შეიძლება, ცოდოა!

პროსპექტიდან დიდ მოედანზე გავედი. ჩემს პირდაპირ, სწორედ მოედნის ბოლოში, საახალწლოდ მორთული ნაძვის ხესავით ბრწყინავდა ცად აწვდილი უცხო შენობა. მარმარილოს თლილი სვეტები მოქარგული სვეტისთავებით, ჩამოღამებულ ტატნობზე თვალისმომჭრელად ელვარებდნენ. ჩუქურთმიანი თაღები, განათებულნი შიგნიდან უხილავი სანათურებით, თავის არშიებს ხატავდნენ დიდი მოედნის ზედაპირზე. სხივი და ჩრდილი ერთმანეთში იხლართებოდა და ცადაწვდილი სასახლე იწოდა თითქო და მაინც არ ინაცრებოდა. იდგა, როგორც უკვდავება ძლიერებისა.

გუმანით მივხვდი, რომ ჩემი პირმშოც აქ იდგა, ამ მოედანზე. მართალი უთქვამს ჩემი სიკვდილის მოციქულს... აუღიათ... დაუნგრევიათ...

ღამეა. ვდგავარ მოედანზე. მინდა მივიდე აელვარებულ ტაძართან და ვერა ვბედავ. მინდა ვემთხვიო მის სვეტებს და დავიჩოქო მათ წინაშე. თაყვანისცემა ზვარაკია მშვენიერების, და რადგანაც ზვარაკი ვარ, უნდა მივიდე... უნდა მივიდე და ვემთხვიო.

მძიმედ, ქურდულად მივუახლოვდი სასახლეს. ფეხის წვერებით ავირბინე საფეხურები კიბისა და პირველ სვეტთან დავიჩოქე. ხელი მოვხვიე მარმარილოს და ვეამბორე. უეცრივ ჩემი ყურადღება სვეტის საყრდენმა მიიპყრო, დიდი ლოდისგან თლილმა ზოდმა, ოთხივე მხრივ ამოტვიფრული თაიგულით. ეს ხომ ჩემმა ოსტატებმა ამომიქარგეს თლილ ქვაზე მინდვრის ლამაზი ყვავილები!..

თრთოლვით გავყევი სასახლის ოც-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დათოხ სვეტს და მოკრძალებით ვეამბორე ოთხმოცდათექვსმეტ თაიგულს. ყველა დავნამე ჩემი ცრემლით და გავათბე ჩემი ალერსით. სვეტებს შუა ფერადი ქვებით ეწერა:

„პატივი ეცით შრომას, გმირობას, სიყვარულს".

— დიახ, ეს სულ მცირედი წვლილია ჩემი შრომისა ამ უზარმაზარ ტაძარში, მაგრამ იცოდეთ, თოვლის ფიფქივით სუფთაა ეს შრომა და ლაღია როგორც ოცნება!

ჩამობნელდა. სასახლე დადნა. უხილავმა ოინბაზმა ფარდა დაუშვა...

* * *

სახეს თბილი, ნაცნობი სუნთქვა მოედო... ლოყაზე ნამი დამეცა... ვახელ თვალებს... სქელ, ბურუსში, ჩემსკენ დახრილი, მეგობრის სახე მიღიმის. ჩუმად რაღაცას მეკითხება. ვერ გავიგე. არ ვუპასუხებ. თვალს ვარიდებ.

ნუთუ, მხოლოდ სიზმარი იყო ყველაფერი?.. ასე ცხადი... ხელშესახები... სიკვდილის ლანდთან ვაჭრობა და ფარისევლობა... ხალხით სავსე ქუჩები და ჩემი გოგმანი ამ ხალხში... ქვაფენილებზე მზის ჩქერი და ჭადრების ჩრდილთა თამაში ამ ჩქერში... რაღაც ზღაპრული სასახლე მარმარილოს სვეტებით... ჩემი ნახაზით გამოთლილი ზოდებით და ამ ზოდებზე მოქარგული თაიგულები...

ნუთუ, მართლა, ისევ აქა ვარ, ამ მეცხრამეტე პალატის სივიწროვეში, სადაც სამყარო ნაბიჯებითღა იზომება და სადაც მე ამ ნაბიჯის გადადგმის ძალაც არ შემწევს... რა საშინელი დაცინვა იცი, ბედო, ავბედო!..

— ესე იგი, სიზმარი იყო ყველაფერი... — გულჩაწყვეტილი ვდუდუნებ.

— რა სიზმარი? — მეკითხება ნამტირალევი მეგობარი.

— ყური დამიგდე:

სიზმრად ვიყავ, ზღაპრად ვიყავ,
ჭალას ჩიტად ჩავმკვდარიყავ...

მეგობარს თვალები უფართოვდება და ცრემლებით ევსება. მე ერთ წერტილს გავყურებ და ჩემსას განვაგრძობ:

— საკვირველია სწორედ:

დიდ ქვაბში არ ვეტეოდი,
პატარაში არ ვკმარიყავ...

— რათ მაშინებ, არ გეცოდები?.. რომ იცოდე რა კოშმარული ღამე გვქონდა... — ცდილობს მეგობარი ჩემ დამშვიდებას.

— ჩემ სიზმარსაც კოშმარული ფინალი აქვს. ყური დაუგდე რარიგ განმარტავს განდიდების არარაობას:

ასი კაცის სუფრა მქონდა,
ერთი კაცის ლუკმა ვიყავ!..

შეცბუნებულმა მეგობარმა იღლიიდან სიცხის საზომი ამოიღო. დაჰხედა და თავისუფლად ამოისუნთქა:

— მადლობა გამჩენს, ოცდათექვსმეტი და ოთხი ხაზი!

— ნორმა, — დავუდასტურე მეგობარს.

— პროფესორმა ღამე გითია.

— რისთვის შეწუხდა მედიცინის ამომავალი ვარსკვლავი?

— უმადურო, იცი წუხელ რა დღეში იყავ!

— მაინც?

— ბორგავდი და მოუსვენრობდი, ბოდავდი და ვიღაცას ეჩხუბებოდი, საწოლიდან წამოდგომას ლამობდი და ვერა დგებოდი, იწვოდი და წამდაუწუმ საბანს იხდიდი. მორიგე ექიმს შეეშინდა და პროფესორს ტელეფონით დაუკავშირდა. ელიზბარი შეწუხებული მოვარდა, თავზე დაგადგა, რაღაც ნემსები გაგიკეთა, დაგაწყნარა და ეს არის ახლა წავიდა.

— როგორ გგონია, ადვილია აღსასრულთან პირისპირ შეყრა?

— ნერვებაშლილი ავადმყოფი, როგორც წესი, მრუდე სარკეში იცქირება და ყველაფერს აზორბადიდებს.

— ვინ რა იცის... იქნებ სწორედ მრუდეშია ჭეშმარიტება, ადამიანის ცხოვრებაც მრუდეებით მიედინება, როგორც ბილიკი დათოვლილი მწვერვალებისკენ, საკმარისია ციცაბოზე ფე-

ხი დაგისხლტეს და უფსკრულში გადაიჩეხო...

— მთავარია არ დაკარგოს ადამიანმა ქინი სიცოცხლის წყურვილისა, მაშინ ალბათ მწვერვალებიც დაიჩოქებენ.

ამ სიტყვების გაგონებაზე უნებურად ავფორიაქდი. გამახსენდა წუხანდელი სიზმარი და ჩემი ჰიდილი სიკვდილთან. ახლა ჩემს სიტყვებს მეგობარი გრძნეულივით იმეორებდა.

— ჰო, თუ გახსოვს ელიზბარიც მაგას მირჩევდა.

— წუხანდელი სიზმარიც კარგად აგიხდა. დღეს გაცილებით უკეთა ხარ.

— ბავშვობაში ძალიან მიყვარდა ზღაპრები ჩიტუნიებზე, ალბათ სიზმარმა გამახსენა ჩიტუნიას ბრძნული ზღაპარი...

— წავალ, ელიზბარს დავურეკავ, შევატყობინებ სიცხე აღარა აქვს-მეთქი. მთხოვა უთუოდ მაცნობეო.

— კარგი, წადი, მხოლოდ ფანჯარა გააღე, ჰაერი მინდა, ვიხუთები.

— მეშინია...

— ნუ გეშინია, გააღე!

მეგობარი მომიახლოვდა, საბნის კიდე ყოველმხრივ შემომიკეცა, შუბლი მანდილით შემიკრა, მერე ფანჯარა გამიღო და პალატიდან გავიდა.

ღია ფანჯრიდან დილის სიო შემოსისინდა. ამომავალმა მზის სხივმა შუქი მოჰფინა მთელ ოთახს. კელაპტრებივით აწვდილმა ნაძვნარის რხევამ საკმეველის სუნით დამათრო. ნაძვების წვერზე ცა ეკიდა, ბაცი ლურჯი და უსაზღვრო. ცის მოგუმბათო სიღრმეში პატარა ზოლად წვდებოდა სუფთა, თითთიკა ღრუბელი, როგორც სევდა, როგორც იმედი.

რა ცოტა უნდა ადამიანს!.. ერთი ყლუპი სევდანარევი იმედი... დამშეული კაცის სიხარბით ვეწაფებოდი დილის სიოს. სულგანაბული ვუსმენდი ჩიტების ჟღურტულს. ღია სარკმლიდან გავყურებდი ხის კენწეროზე წამომჯდარ უსასრულობას და მიჯაჭვული სარეცელს, ვგრძნობდი რარიგ ეუფლებოდა ჩემს არსებას იმედი და უძლევი ჟინი სიცოცხლისა...

— ჭეშმარიტად, სიცოცხლის სუნთქვას ის მისცემს ფასს, ვინც ერთხელ მაინც შეჰყრია სიკვდილის ლანდს!..

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბორის ანდრონიკაშვილი

# ორგული მეგობარი

მოთხრობა

ეს მოხდა შაბათს, დღესასწაულის წინა დღეს. ვფიქრობდი, რა გამეკეთებინა. ამ დროს დარეკა როსტომმა.

— ნახევარი საათით მჭირდები, გცალია? — მითხრა მან.

— მცალია.

— აბა, ჩაიცვი და ჩამოდი ქვემოთ.

— რას ნიშნავს ჩაიცვი? — მინდოდა დამეზუსტებინა, მაგრამ მან უკვე დაკიდა ყურმილი. შიშველი ქუჩაში არავინ დადის. ალბათ, ის გულისხმობდა, უფრო უკეთ ჩამეცვა, ვიდრე შინაურულად. ჰალსტუხი გამოვისკვენი, მოვიკაზმე, და, ასე ვთქვათ, სადღესასწაულო იერით გავემართე გასასვლელისაკენ, მეუღლემ კი მითხრა, ახალი ფარდების ჩამოკიდებისათვის დახმარებას სხვას ვთხოვ, ან ხელოსანს გამოვიძახებ, ან სხვა რაიმეს მოვიფიქრებო, რადგან სულ ერთია შენი იმედი, როგორც ჩანს, არ უნდა მქონდესო.

— ხომ გაიგონე, რომ ადამიანს სასწრაფო საქმე აქვს?

— ყოველთვის თავისუფალ დროს გამოგიჩნდება სასწრაფო საქმე, — მითხრა ჩემმა მეუღლემ, — ან ავადმყოფობას მოიმიზეზებ...

— ასე მითხრა, ძირს ჩამოდიო, — გავიმეორე და აჩქარებით ჩავირბინე კიბე. მეუღლე კი თავს აქნევდა, ასე იციან ქალებმა; ამ თავის ქნევით თითქოს ამბობენ: შენთვის ხომ ჩემთან ყოფნა უმჯობესია, რად მიდიხარ თავად იქ, სადაც უფრო ცუდიაო.

როსტომი ჩვეულებრივად იყო ჩაცმული. როდესაც დამინახა, გაეღიმა, მაგრამ უცბადვე მოიღუშა.

— ჩქარა, ჩქარა, — ეს სულ ახლოსაა, არც დიდ დროს წაგვართმევს, — მითხრა მან.

— სად მივდივართ? — შევეკითხე.

— მიშიკო' ტრაპაიძესთან.

ამ კაცის სახელი და გვარი, რომელსაც შემდგომში ძალზე დავუახლოვდი, იმ დროს არაფერს მეუბნებოდა.

— კი, მაგრამ, ვინაა მიშიკო ტრაპაიძე?

— ძალიან კარგი ბიჭია. ტროტუარზე დაეცა და ხერხემალი დაუზიანდა.

ამ განმარტებამ ვერ დამაკმაყოფილა და ამიტომ შევეკითხე:

— მერე, მე რა შუაში ვარ? ექიმი ხომ არა ვარ.

— ნუ ხარ ცინიკოსი, — შემევედრა როსტომი, — შენ ხომ ასეთი ადამიანი არა ხარ. პირიქით, მგრძნობიარე

ხარ, გაიზიარებ ხოლმე სხვის უბედურებას...

— მაინც მაინტერესებს, — ჩავაქინდი მე, აღარ დაგიდევდით მის მლიქვნელობას, — მე რა უნდა გავაკეთო იქ?.. თუ, რასაკვირველია, საიდუმლოებას არ წარმოადგენს, მითხარი.

— შენ იქ სულ სხვა რამისთვის ხარ საჭირო, — ბუნდოვნად მიპასუხა მან და ავუყევით კიბეს.

თუ რისთვის ვიყავი საჭირო, სულ მალე გამოირკვა. ხერხემალდაზიანებული მიშიკო სამზარეულოში იწვა და დღესასწაულებთან დაკავშირებით, საჭირო იყო მისი ოთახში გადაყვანა.

— სტუმრებს სამზარეულოში ხომ ვერ მიიღებს? ეს ბუნებრივია, რომ სურს ოთახში იწვეს და სტუმრებს ესაუბროს, როგორც უწინ.

— მერედა რატომ დაწვა საერთოდ სამზარეულოში?

— ძალიან ტკოდა ზურგი, მათი სამზარეულო კი შესასვლელის პირდაპირაა. ამიტომ დააწვინეს იქ, რომ შორს აღარ წაეყვანათ.

ცოტათი გაოცებული ვიყავი და, ამავე დროს, გულახდილად რომ ვთქვა, უხერხულად ვგრძნობდი თავს. ღირდა კი ამისთვის ასე გამოპრანჭვა, მაგრამ როსტომი მარწმუნებდა, ტრაპაიძე შესანიშნავი ადამიანიაო. ამასობაში ოთახში შევედით.

შესვლისთანავე შემომესმა გამყინავი თვითკმაყოფილი ხმა, რომელიც ტყვიამფრქვევის სისწრაფით კაკანებდა:

— მე მას ვუთხარი... მან მე წინააღმდეგობა გამიწია... მე მას ვუპასუხე... ამაზე ვერაფერი მიპასუხა, რადგან არაფერი ჰქონდა სათქმელი, ჰა-ჰა-ჰა! იგი უეცრად დადუმდა!..

გადაყვანას დიდი დრო არ დასჭირებია, მაგრამ ტრაპაიძე სულ ხმამაღლა ყვიროდა, ალბათ ტკივილის გამო. დერეფანი ვიწრო და მოხვეული იყო, ლოკოკინას ნიჟარასავით, კედლებზე თაროები და ათასი შვერილები ჰქონდა, რასაც ედებოდა, მაგრამ ბოლოს და ბოლოს გავძვერით და შევედით ვრცელ ოთახში. როგორც კი ლოგინზე დავაწვინეთ, დაწყნარდა და ისევ დაიწყო გაუთავებელი მონოლოგი. ხუმრობდა და თავად ეცინებოდა. გვითხრა, მოხერხებული სანიტრები არა ხართო, მაგრამ მაინც ეამაყებოდა ორმა ასეთმა ინტელიგენტმა რომ გადაიყვანა. მკითხა, რატომა ხარ ასე მორთული, სტუმრად ან პანაშვიდზე ხომ არ მიდიოდიო.

— არა, — ვუპასუხე საკმაოდ მკვახედ.

შემდეგ მოგვართვეს თითო ჭიქა მაგარი არაყი. როდესაც ჭიქები დავდგით, ტრაპაიძე მოულოდნელად გაჩუმდა. გვაგრძნობინა, რომ უკვე შეგვეძლო წასვლა.

— ამაზე საზიზღარ ადამიანს ჩემს ცხოვრებაში არ შევხვედრივარ, — ვთქვი მე, როგორც კი გამოვედით.

— ნუ ამბობ ასე, არა ხარ მართალი, ის ძალიან საყვარელი და ფაქიზი ადამიანია, პირდაპირ გასაოცარი.

— რაშია მაინც მისი გასაოცარი სიფაქიზე?

— მაგალითად, იგი არასოდეს არ ლაპარაკობს თავის სამუშაოზე.

ამ უცნაური წინადადების მნიშვნელობა მთელი სისრულით მხოლოდ შემდეგ შევაფასე.

გავიდა ეს დღესასწაულები და მოვიდა ახალი. გავაკეთე ხაში და დილით მეგობრები მოვიპატიჟე. ხაში ყველას მოეწონა, ყველა მეკითხებოდა, სად იშოვეო, რადგან აღარსად აღარ იშოვებაო; მე ვუთხარი, ჩემთვის შეუძლებელი არაფერია-მეთქი. როსტომიც მიქებდა ხაშს და ამ დილის საუზმეს.

ორი საათის შემდეგ ტელეფონით დამირეკა და მითხრა, შენთან დიდი სათხოვარი მაქვსო. თავად საქმეებზე მივდივარ და ჩქარა ვერ გავთავისუფლდებიო, ამ დროისათვის იშოვე ხაში, გააკეთე და მიშიკო ტრაპაიძეს წაუღეო.

— მიშიკომ თქვა, ხაში ძალიან სასარგებლოაო და ჩემს ჯანმრთელობას

ივე ყველა წამალზე უკეთ მოეხმარება.

ვერ დაგიმალავთ და დავიბენი.

— თავად წამოგყვებოდი ხაშის საშოვრად, — განაგრძო როსტომმა, — მაგრამ, სამწუხაროდ, ძალზე მოუცლელი ვარ. მიშიკო ტრაპაიძეს ძალიან გაეხარდება, შენ რომ მიუტან ხაშს.

ყველას გაეხარდება, ალბათ, ხაშის მიტანა, მათ შორის მეც-მეთქი, — გავიფიქრე, მაგრამ უარის თქმა შემრცხვა. მხოლოდ ეს ვუთხარი, ხაშს დიდხანს უნდა რეცხვა, შემდეგ კიდევ უფრო დიდხანს ხარშვა, და, რაც მთავარია, საკმაოდ ძნელია მისი შოვნა, მით უმეტეს დღესასწაულის დღეებში-მეთქი.

— მაშინ, ვეტყვი, რომ ხვალ მიუტან.

წაველი ბაზარში, თან ვაგინებდი გუნებაში მიშიკო ტრაპაიძეს და როსტომსაც, მაგრამ როსტომს არც ისე. როსტომმა იცოდა საოცარი შეყვარება ადამიანებისა და მაშინ მას ეჩვენებოდა, რომ ისინი მშვენიერნიც არიან, განსაკუთრებულებიც, არაჩვეულებრივნიც, და გულწრფელად იყო აღტაცებული. ამისთვის გაბრაზება არ შეიძლებოდა. სიყვარულისათვის არავის სჯიან, მაგრამ მე რა შუაში ვარ-მეთქი? — ნაღვლიანად ვფიქრობდი, როდესაც მორიგი ბაზრიდან გამოვდიოდი. ბოლოს და ბოლოს, ხაში ვიშოვე და შინ მოვიტანე. მაგრამ მიშიკოსთან წაღება, მით უმეტეს — დამზადება სასტიკად ვიუარე.

— ისიც ეყოფათ, რომ ინტელიგენტმა ადამიანმა ხაში უშოვა. აუხსენი ახლა მას, რომ ინტელიგენტი ადამიანი არ შეიძლება მზარეული გახდეს. სანიტრობა კიდევ შეიძლება, რადგან ეს გულმოწყალეობის სფეროს ეკუთვნის, მაგრამ პირადი მლიქვნელი—მზარეული — არასოდეს!

შემდეგ ახალი დღესასწაულები დადგა, თუ არ ვცდები, ახალი წელი იყო და რაღაც საიდუმლო და არასასიამოვნო წინათგრძნობა გამიჩნდა, რომ მიშიკო ტრაპაიძე ამჯერადაც არ ამივლიდა გვერდს. და მართლაც, შესვენებაზე დამირეკა როსტომმა და მითხრა, ძალიან მჭირდებიო.

— კარგად ჩავიცვა-მეთქი? — ვკითხე და უარი რომ მითხრა, ქვემოთ ჩავედი.

მავედრებელი სახით მითხრა, ახლავე აუცილებლად ნაწლავები უნდა ვიშოვოთო.

— რა ნაწლავები? რისთვის?

— კუპატისათვის.

გამახსენდა, რომ ათიოდე დღის წინ შინაური კუპატები გავაკეთე და როსტომიც იყო სტუმრად სხვებთან ერთად. ძალიან მიქებდა კუპატებს, მაგრამ არ გავამხილე, მთავარი სიძნელე კუპატის მომზადება კი არ არის, არამედ ნაწლავების შოვნა-მეთქი.

— რისთვის გინდა? — ვკითხე.

— ჩემთვის კი არ მინდა, — მითხრა მან — მიშიკო ტრაპაიძისთვის. კარგი ხორცი იყიდა და გადაწყვიტა შინ კუპატის დამზადება. ეს ისეთი არაჩვეულებრივი ადამიანია, რომ მინდა ამით ვასიამოვნო.

მივაფურთხებ და გავლანძღავ-მეთქი ამ ტრაპაიძეს, მაგრამ თავი შევიკავე. სულის სიღრმეში კი მიწასთან ვასწორებდი.

— როდის აქეთ გახდით ასეთი გულმხურვალე მეგობარი? — ვკითხე, — შენ თვითონ არ გვიმტკიცებდი, რომ ახალგაზრდები აღარ ვართ და ახალი მეგობრების შეძენა ძალიან ძნელიაო?

— არაა საჭირო ირონია. იგი ძალიან კარგი კაცია. ასეთი ადამიანები ცოტაა, მათ მოფრთხილება სჭირდებათ.

— ამისთვის მირეკავდი?

— ხომ იცი, რომ ტელეფონი არა მაქვს, ორკაპიკიანებად დახურდავება კი ძალიან ძნელია.

— მაგრამ ნაწლავების შოვნაც ძალზე ძნელია. ნაწლავები უფრო ნაკლებია, ვიდრე კუპატის მოყვარულები.

— მით უმეტეს, მე მინდა ამით ვასიამოვნო მას. ისეთი მშვენიერი ადამიანია.

— რამდენი მშვენიერი ადამიანია ქვეყანაზე, როსტომ! — ვუთხარი. — ნუთუ ყველას ჩვენ უნდა ვუშოვოთ ნაწლავები? რომ ვაჩუქოთ რომელიმე წიგნი? მაგალითად, მე მაქვს ანატოლ ფრანსის თხზულებათა კრებული, მართალია, ერთი ტომი აკლია, რომელიც სხვათა შორის, ერთმა მშვენიერმა ადამიანმა წაიღო.

— ნუ ლაპარაკობ ასე, ძალიან გთხოვ. მას ანატოლ ფრანსი კი არა, ნაწლავები უნდა.

მთელი დღის განმავლობაში შემოვიარეთ რესტორნები, სამწვადეები, საკუპატეები, საქაბაბეები, სახინკლეები და საღამოს, როგორც იქნა, ვიშოვეთ ნაწლავები. ბედნიერმა როსტომმა წაუღო ნაწლავები მიშიკოს, თან კოლოფით კამფეტი იყიდა მისი ცოლისათვის. მე ძლივსძლივობით მითხრა მადლობა.

ახლა მაისის დღესასწაულები ახლოვდება. გაიარა უკანასკნელმა კვირამ. დღეს როსტომი რეკავდა, მაგრამ მე ვუთხარი•მეუღლეს, თითქოს შინ არა ვარ-მეთქი. მას უთქვამს ძალიან მჭირდება, მეტი ორკაპიკიანი არა მაქვს, ამიტომ დილით ადრე მეზობლისაგან დავურეკავო. დასაძინებლად დავწექი, შეწუხებული და აღელვებული ვიყავი. დამესიზმრა, რომ შორეულ აღმოსავლეთის ტაიგაში ვარ. რამდენიმე დღეა ვჭრით ულრან ტყეს ნაჯახით. გვესევა ტაიგის კოლოები, ჯაგარივით წვერულვაშით შევიმოსეთ. მდინარეზე ვბანაობ, შევეჩეხე დათვს, და სასწაულებრივად გადვურჩი სიკვდილს. მაგრამ ჩვენ მონადირეები კი არა ვართ, ჩვენ ვეძებთ ჟენ-შენს. ჟენ-შენი მიშიკო ტრაპაიძეს სჭირდება. ცნობილი „სიცოცხლის ელექსირი“ ძალზე იშვიათად გვხვდება. მაძიებლები ხშირად თვეობით დაეძებენ ულრან ტაიგაში, ბრუნდებიან მხოლოდ ორი-სამი ბოლქვის ამარა. თვალები დაწითლებული გვაქვს დაძაბულობისაგან. გამოცდილი ტაიგელებიც უკვე სასოწარკვეთილები არიან. ვუცქერი მკრთალ მოწითალო სუსტ და ნაზ თავთავებს და ვფიქრობ, როგორ გაიხარებს მიშიკო ტრაპაიძე და, ბოლოს და ბოლოს, გამოჯანმრთელდება და ოი ბედნიერებავ! — ვპოულობ მთელ ბუჩქს. მივფრინავ ამ ძვირფასი და ფასდაუდებელი მონაპოვარით, გადავუფრენ მთელ ქვეყანას და გახარებულს და ბედნიერს მიმაქვს იგი მიშიკო ტრაპაიძისათვის. იგი კმაყოფილია ჩემით, და ამბობს: აი რა შეუძლია გააკეთოს ინტელიგენტმა ადამიანმა უბრალო ადამიანისათვის და მაწვდის ჭიქით არაყს.

— კოშმარად გადამექცა, — გავიფიქრე, როდესაც გამეღვიძა, — რა ნახა როსტომმა იმ კაცში? ისინი ხომ საოცრად სხვადასხვა ბუნებისანი არიან.

ამ უეცრად აფეთქებული მეგობრობის საიდუმლოება სრულიად უბრალოდ გაიხსნა. მეუღლეს ვუამბე ჩემი სიზმარი, მან კი მითხრა:

— თხოვე აპარატის გამოცვლა, რადგან მიშიკო ტრაპაიძის ასეთი კარგი ნაცნობები ხართ.

— რა აპარატის?

— ტელეფონის. ის ხომ სატელეფონო კვანძის უფროსია.

— მიშიკო ტრაპაიძე?

— როგორ, შენ არ იცოდი?

როსტომი, რაკილა დარწმუნებული არ იყო, რომ მე ტელეფონთან მივიდოდი, თავად გამოცხადდა. ამჯერად მიშიკო ტრაპაიძისათვის საჭირო იყო რაღაც განსაკუთრებული საოცარი ლათინური დასახელების კორსეტის შოვნა. მთელი კვირა მოვუნდით ამ კორსეტის შოვნას, უკვე აღარ ვედავებოდი და აღარც ვეწინააღმდეგებოდი. ბოლოს და ბოლოს, თავად ისურვა სიმწრის ფიალის შესმა და მეც ვერ ვხედავდი მიზეზს, რატომ არ უნდა გამოეცალა ბოლომდე ეს ფიალა. კორსეტის შემდეგ მიშიკო კოჯორსა და წყნეთში გვყავდა, „სუფთა ჰაერის სასუნთქად“, და როდესაც საბოლოოდ გამოჯანმრთელდა, მე ვუშოვე საცურაო აუზის აბონემენტი. ამას გარდა, რამდენჯერმე მომიხდა მისთვის კინოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახლსა და თეატრის პრემიერებზე ბილეთის შოვნა.

— მესმის, — ამბობდა როსტომი, — რომ ძალიან გაგსარჯე, მაგრამ შენ თავად ხომ იცი, როგორი მორიდებული და წყნარი ადამიანი ვარ, შენ კი გაქვს ადამიანებთან ურთიერთობის გამოცდილება. ჩვენ ხომ ამიტომა ვართ მეგობრები, რომ ერთმანეთს დავეხმაროთ.

ბოლოს და ბოლოს, ჩემი მოთმინება დაფასებული იქნა — დადგა მიშიკო ტრაპაიძის სამსახურში გასვლის დღეც. ეტყობოდა, როსტომიც ამ დღეს თავის რაღაც იმედებს უკავშირებდა. იგი საგულდაგულოდ გამოეწყო და გაეშურა მიშიკოს სამსახურისაკენ, როგორც ახალგაზრდა ლეიტენანტი პაემანზე.

ჩაეწერა რიგში და დაუწყო ლოდინი. როსტომი საკმაოდ ფარისეველი იყო და ამიტომაც იჯდა მოსაცდელში ხუთი საათი, ამ ტანჯვა-წვალების შემდეგ შევიდა კაბინეტში. ის მოელოდა გულთბილ შეხვედრას, რომ ერთმანეთს გადაეხვევიან, სიხარულით და ბედნიერი სიცილით; როდესაც ტრაპაიძე შეიტყობდა, როსტომი ამდენი საათი იჯდა მოსაცდელშიო, საოცრად შეწუხდებოდა, თანაგრძნობით და საყვედურით ეტყოდა მას:

— რატომ იჯექი ამდენხანს იქ? ძალიან მაწყენინე ამით.

მაგრამ უფროსის მაგიდას, მიშიკო ტრაპაიძის ნაცვლად, ვიღაც მელოტი, მსხვილულვაშა კაცი უჯდა.

— გისმენთ, ბატონო!

— ბოდიში, მაგრამ მე მიშიკო ტრაპაიძესთან ვარ ჩაწერილი.

— რაშია საქმე?

როსტომმა კიდევ გაიმეორა, თუ ვისთან იყო ჩაწერილი.

— ძალიან სასიამოვნოა, — თქვა მაგიდასთან მჯდომმა კაცმა. — ბრძანეთ ბოლოს და ბოლოს, რა გნებავთ.

— მე მისთვის მინდოდა მეთქვა...

— ვისთვის?

— მიშიკო ტრაპაიძისათვის.

მაგიდასთან მჯდომი კაცი დიდხანს დუმდა, ფურცლავდა კალენდარს, შემდეგ რაც შეიძლება რბილად უთხრა:

— იგი თქვენს წინაშე გახლავთ, ბატონო. მე ვარ მიშიკო ტრაპაიძე და ყურადღებითაც გისმენთ.

ამბობენ, როდესაც როსტომი კაბინეტიდან გამოვიდა, ერთსა და იმავე სიტყვებს იმეორებდა — „თვითმარქვია, ცრუმოსახელე!“ გაუგებარი იყო ვის ეხებოდა ეს სიტყვები.

ჩვენ აქამდე ისე გვიჭირავს თავი, თითქოს არ ვიცოდეთ როსტომის შეცბუნება. შეხვედრისას თავაზიანად ვეკითხები, როგორ არის შენი ახალი მეგობარი მიშიკო ტრაპაიძე-მეთქი, რაზედაც როსტომი ბრაზით მპასუხობს:

— ძალიან კარგად.

ახლახან ვიღაცამ, როსტომის თანდასწრებით, მოყვა ვინმე ბერიძის ამბავი, რომელსაც ხშირად იბარებენ სასამართლოში ალიმენტის გადაუხდელობის გამო; მას კი არასოდეს არ ჰყოლია ცოლი. ბერიძე უმტკიცებს, რომ მე ის ბერიძე არა ვარო და უშვებენ შემდეგ გამოძახებამდე. როსტომმა ამ შემთხვევის გამო თქვა:

— დავხოცავდი იმ ადამიანებს, რომლებიც ერთსა და იმავე სახელსა და გვარს ატარებენ.

მიშიკო ტრაპაიძე ჩემთან ახლოს ცხოვრობს და ამდენად ხშირად ვხვდებით ერთმანეთს ქუჩაში. მე ყოველთვის თავაზიანად ვეკითხები, ხომ არ გჭირდება კიდევ რამე, უსათუოდ გადავცემ თქვენს თხოვნას როსტომს-მეთქი. მიშიკომ კი შემომჩივლა, როსტომი აღარ მეკარება, თვალითაც აღარ მინახავსო.

— ასე ცვალებადია ხალხი, — ჩიოდა იგი, თან მოიგონა ნაწლავები და ხაში, მძიმედ ამოიხვნეშა და თქვა: რა ხშირად ეძებენ ზოგიერთები კაცთან

დაახლოებას მხოლოდ იმ მიზნით, რომ რამეს გამორჩენ მას.

— აბა, აბა, — თანავუგრძნობ მეც, ის კი გაოცებული მიყურებს და მეკითხება:

— ამბობენ, თქვენ იცოდით, იმას რომ სხვა ვეგონეო.

პასუხს თავს ვარიდებ, საღამოს კი როსტომს ვეკითხები:

— შენ რა, აღარ მეგობრობ მიშიკოსთან, აღარ დაეძებ მისთვის ჟენშენს?

— შენც კარგი ვინმე ხარ! — მეუბნება იგი.

# საუზმე ჩრდილში

მოთხრობა

 აი როგორ მოხდა ეს ამბავი: მეძინა ჩემთვის სასტუმროს ნომერში, ვხედავდი მშვენიერ სიზმრებს, ტელეფონის ზარს არ ვპასუხობდი. უეცრად ვიღაცას უხეშმა სიტყვებმა გამომაღვიძა:

— მარადიული ძილი, როგორც ცნობილია, ჩვენ სამარეში გველის.

საწოლთან თამაზი და რეზო იდგნენ. მივესალმეთ ერთმანეთს და გაოცებულმა შევეკითხე:

— საიდან გაიგეთ? მე ხომ არავისთვის არაფერი შემომითვლია.

— რას ნიშნავს ეს საიდუმლოდ ჩამოსვლა? — ამრეზით მითხრა თამაზმა, თან ხმაურით გამოაღო ფანჯარა და აივნის კარი, — თუ გინდოდა ხალხს გაქცეოდი, მაშინ ჯობდა უდაბნოში ან რომელიმე მთის წვერზე ასულიყავი; სხვათა შორის, ტელეფონი როცა რეკავს, უნდა უპასუხო. ხომ იცი, რისთვის არსებობს ტელეფონი? როდესაც რეკავს, უპასუხებენ.

გუშინ, შაბათ დღეს ჩამოვფრინდი. ორშაბათს მნიშვნელოვანი თათბირი იყო დანიშნული. და კვირა, ესე იგი დღევანდელი დღე, მინდოდა მარტო გამეტარებინა, არსად არ წავსულიყავი, ადრე დავწოლილიყავი და არაფერი არ გამეკეთებინა. მაგრამ ეს გეგმები ახლა უკვე ჩაფუშული იყო. თამაზმა გამომიწოდა პერანგი და მითხრა:

— აბრძანდი და ჩაიცვი!

— მაინც საიდან გაიგეთ ჩემი. ჩამოსვლა? — ვკითხე მე. — გასაოცარია!

— მთვარეულივით დაბორიალებდი ვესტიბულში... ახლა შენი ძმა ელდარი მოვა და კარგადაც გაგჯორავს.

— ხედავ, რა დღეში ვარ? — თვალი ჩავუკარი რეზოს, იმანაც ჩამიკრა თვალი. ამ დროს ელდარიც შემოვიდა და თქვა:

— ჩემი უმცროსი ძმა, როგორც ყოველთვის, თავის თავს არ ღალატობს, უსათუოდ ისეთ რაღაცას ჩაიდენს, რაც არაფერს არა ჰგავს... ჩემი ბინა ხომ ცარიელია, რა გინდოდა სასტუმროში?

— მშვენივრად კი დაიწყო დილა, — ვუპასუხე მე, — ჩამოვედი, არავინ შემიწუხებია. მძინავს ჩემთვის. გამაღვიძეს და თან ჭკუას მარიგებენ.

— შეწყვიტე ეს უაზრო ლაპარაკი, — მითხრა თამაზმა, — წავიდეთ, სადმე ჩრდილში ვისაუზმოთ.

რუსთაველის პროსპექტს მზე დაკაშკაშებდა, აუარება ხალხი ირეოდა ჭადრების ჩრდილით აჭრელებულ ფართო ქუჩაზე. წინათ კავშირგაბმულობის სახლის ფასადზე უნივერსალური საათი ეკიდა. ის აჩვენებდა მსოფლიოს ყველა დიდი ქალაქის დროს. სულ მაინტერესებდა, სადაა ახლა ის საათი-მეთქი. რომელი საათია ახლა რანგუნში, ანდა რიო-დე-

ჟანეიროში და კიდევ სხვა მრავალ ქალაქში, რომელიც საათზე იყო აღნიშნული?

პროსპექტზე მანქანების მჭიდრო ნაკადი მოქროდა. ისინი ჩერდებოდნენ ან უხვევდნენ იქ, სადაც შოფერს სურდა. მამაკაცებს ოდნავ სახელოაკეცილი თეთრი პერანგები ეცვათ, გოგონებს კი მოკლე კაბები.

— მთლად გადაირივნენ, — წარმოთქვა კაბების სიმოკლის გამო თამაზმა. — მალე, ალბათ, უკაბოდ ივლიან. ზიხარ, ესაუბრები ამხანაგის ცოლს, და უნებურად თვალები მაღლა, ზეცისკენ გაგირბის, თითქოს ვინმე ბერი ან მამა სერგი იყო. ახლა ველურებიც კი ატარებენ უფრო გრძელ ფეშტამალს.

იგი მიდიოდა წინ და ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს დაიღალა ამ ბრბოს სისულელეებით, იმის ახსნა-განმარტებით, რასაც ახსნა არ სჭირდება, მიაბიჯებდა როგორც რომის სენატორი და ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, თითქოს სასაუზმოდ კი არა, არამედ რომაელთათვის რაღაც მნიშვნელოვანი ამბის შესატყობინებლად მიეშურებოდა.

ელდარი და რეზო სამსახურებრივ საქმეებზე ლაპარაკობდნენ, მაგრამ გულისხმიერი რეზო, როგორც მომეჩვენა, დაბნეული უსმენდა.

— როდის მოათავებ შენს საქმეებს? — მკითხა ელდარმა, მაგრამ პასუხის გაცემა ვერ მოვასწარი, რადგან თამაზი გაჩერდა და გადმოგვძახა:

— არაა სავალდებულო ლოკოკინას დავემსგავსოთ. ჩვენ ხომ მეოცე საუკუნეში ვცხოვრობთ...

ამ სიტყვებით შეფუცხუნებულები რომელიღაც შენობასთან მივედით, სადაც თამაზი გაჩერდა და გვიბრძანა:

— თქვენ აქ ცოტას შეიცდით, მე და ელდარი რამდენიმე წუთში დავბრუნდებით.

— თუ შეიძლება მე გამიშვით. საქმე მაქვს, — ვთხოვე მათ.

— კვირაობით არავითარი საქმეები არ არსებობს, — მიპასუხა თამაზმა დამრიგებლური ტონით, — და თუ არსებობს, მეგობრების და ძმების გულისათვის შეიძლება გადასდო. იდექით აქ გაუნძრევლად, — კვლავ დაუმატა მან.

იგი ყოველთვის ბრძანებლური ტონით ლაპარაკობდა, ეს მისი ჩვეულება იყო, მასთან დავაც უშედეგო გახლდათ, თუმცა სულაც არ მეპიტნავებოდა საუზმობა არც ჩრდილში და არც მზეზე. ისინი აუყვნენ კიბეებს. მე და რეზო კი დავრჩით.

რეზო რაღაცაზე ჩაფიქრებულიყო და ჭადარს მიყრდნობოდა.

იგი კარგი ადამიანი იყო, მორცხვი და მოკრძალებული, უმეტესად ჩაფიქრებული. ხუმრობა კი უყვარდა, მაგრამ ხუმრობას სერიოზულ საუბარს ამჯობინებდა.

— რას ჩაფიქრებულხარ? — შევეკითხე და ხელი წავკარი.

— ისე, — შეკრთა და უხერხულად გაეღიმა. შემდეგ გამომცდელად მომაჩერდა და მკითხა:

— როგორაა მოსკოვი?

— ძალიან კარგად, — ვუპასუხე, ცოტათი გაოცებულმა მისი შეკითხვის კილოთი.

— ახალი არბატი როგორღა?

— იმასაც არა უშავს, — ვთქვი მე, — მგონი, არა უშავს.

ამოიოხრა და შებრუნდა. მინდოდა შევკითხოდი, რისი თქმა უნდოდა. უცბად შემომხედა და მითხრა:

— გავფრინდეთ მოსკოვში!

— როდის? ახლა? — დაბნეულად მივუგე.

— ჰო, ახლა.

კვლავად ვიმეორებ, რეზო სერიოზული ყმაწვილი გახლდათ, მისი ერთგულება საქმისა და მეგობრების მიმართ უმწიკვლო იყო. და, მით უმეტეს, რაკიღა მოსკოვში გაფრენას მთავაზობდა, მაშასადამე...

— გავფრინდეთ, — ვუთხარი მე, — მაგრამ რატომ, შეგიძლია ამიხსნა?

— იქ... ერთი ქალიშვილია.

— გიყვარს?

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიყვარსო, თქვა, მაგრამ როგორ თქვა! მეტი არაფერი მიკითხავს.

— მაშ გავფრინდეთ! — დავასკვენი მეც. ტაქსის გასაჩერებლად გავწიეთ, მაგრამ ელდარი და თამაზი გამახსენდა.

—იქნებ, არ ღირდეს ლოდინი! — თქვა რეზომ.

ჩავჯექით ტაქსში და აეროპორტისაკენ გავეშურეთ. მხოლოდ გუშინ მოვდიოდი ამ გზით, ახლა კი უკანვე მივქრი ისე, რომ არაფერი არ გამიკეთებია, რაც განზრახული მქონდა. კიდევ კარგი, რომ ეს იყო ჩემი პირადი საქმე. ჩვენ ვხუმრობდით, წარმოვიდგენდით თამაზი და ელდარი როგორ ტრიალებენ ქუჩაში, დაგვეძებენ. რეზო აღგზნებული და ბედნიერი იყო. ვთხზავდით სცენას, როგორ გამოვიდოდნენ და რას იტყოდნენ.

თამაზი დადგება რომაელი ორატორის პოზაში და იტყვის:

— ამ ადამიანებისა ვერაფერი გამიგია! მათ ხომ უთხრეს ადამიანურ ენაზე — აქ დადექით, ახლავე მოვალთო.

— შენ ისიც კი უთხარი — გაუნძრევლად იდექითო, — დაუმატებს ელდარი, — პირდაპირ გასაოცარია, როგორ ვერ გაიგონეს შენი სიტყვა.

— არ მესმის, რატომ ეკუთვნიან ისინი ინტელიგენციას, როდესაც ბუზებს ანდა თევზებს უფრო ჰგვანან.

— რატომ მაინცდამაინც ბუზებს და თევზებს? — ჰკითხავს ელდარი კეთილი ღიმილით.

— იმიტომ, რომ არც ერთს და არც მეორეს არ შეუძლია გაუნძრევლად იყოს წამითაც კი. ისინი სულ მოძრაობენ, მნიშვნელობა არა აქვს საით და რა მიზნით.

— ბუზები ხშირად საკმაოდ დიდხანს სხედან კედლებზე, — ეტყვის ელდარი.

— ხშირად და დიდხანს სხედან არაჯანსაღი, ავადმყოფი ანდა დაღლილი ბუზები, ნორმალური ბუზები კი ბზუიან და გულს აწყალებენ.

— საიდან იცი ასე კარგად ბუზების ხასიათი?

— უნდა იყო ელემენტარულად განათლებული ადამიანი და შენც გექნება ასეთი ცოდნა.

— შესაძლოა რაიმე შეემთხვათ? — იტყვის ელდარი.

— რა უნდა მომხდარიყო რამდენიმე წამში? მთვარეზე ხომ არ გაფრინდნენ? რატომ სხვას არ შეემთხვა რამე? ქუჩა თავისი ცხოვრებით ცხოვრობს. აი, გაზიანი წყლის გამყიდველი თავის ადგილზეა, ძაფების სავაჭრო ფარდულიც იქვე დგას. მხოლოდ ისინი არ ჩანან. რა უნდა მოსვლოდათ, სიგიჟის შეტევის მეტი?

— ეს ამბავი რეზოსგან წარმოუდგენელია.

— სამაგიეროდ შენი უმცროსი ძმისაგან ყველაფერია მოსალოდნელი. — და ასე შემდეგ...

შოფერი მართალია ხნიერი იყო, მაგრამ ძალზე მხიარული. ჩვენი საუბრის გამო იგი სიცილით კვდებოდა.

— ბუზლუნაა ხომ? — იკითხა თამაზზე.

— და მერე როგორი! — ვუპასუხეთ. და შოფერმა ისევ მხიარულად გაიცინა.

— მუცელი ემჩნევა? მსუქანია?

— კი, — ვუთხარით ჩვენ.

— ვის გავს?

— ციცერონს, — ვთქვი მე, რეზომ კი თქვა: — გავს უჯართ მხედართმთავარს.

— ვა, ჰა, ჰა, ჰა! — კვდებოდა სიცილით შოფერი, მაგრამ გზას თვალს არ აშორებდა. — ასე გითხრათ „მომიცადეთ, სადმე ჩრდილში ვისაუზმოთო“, თქვენ კი მოსკოვს მიემგზავრებით? ვა-ჰა-ჰა-ჰა!

ასე მხიარულად და ხუმრობით, თითქოს რაღაც გასართობ თავგადასავალში ვმონაწილეობდით, მივედით აეროპორტში. ვესტიბული, სალაროს წინა მოედანი, მოსაცდელი დარბაზი და ბაქანი ხალხით იყო სავსე. დაღლილი, გამოუძინებელი ხალხი დაბორიალ-

ლებდა ირგვლივ. ცნობათა ბიუროში გავიგე, რომ მოსკოვი გუშინს აქეთ თვითმფრინავებს არ ღებულობს უამინდობის გამო. თვითმფრინავის ოთხი რეისი არ გაფრენილა. ბილეთზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. პროგნოზი ისეთია, დღეს საეჭვოა ერთი თვითმფრინავის გაფრენაც.

— ერთიც რომ გაფრინდეს, ისიც კარგია, ხოლო ოთხი თვითმფრინავი გაჭედილია ხალხით.

რეზოს გუნება წაუხდა. სალაროსთან მივბრუნდი და ვიკითხე:

— მირჩიეთ, რა გზით შეგვიძლია მოსკოვს გაფრენა. ძალზე საშური საქმე გვაქვს.

— ხანძარია? — მკითხა მოლარე გოგონამ.

— სიყვარული.

— ფრენა შეიძლება, მხოლოდ კიევის გავლით. თვითმფრინავი ერთი საათის შემდეგ გავა. კიევიდან კი ღამის მატარებლით მოსკოვამდე. აი, რაც შემიძლია შემოგთავაზოთ.

— გმადლობთ.

რეზოსთან დავბრუნდი და ვუთხარი:

— ფრენა შეიძლება მხოლოდ კიევის გავლით.

— მერე რა, გავფრინდეთ კიევის გზით, რა უჭირს.

ბილეთები ავიღე. მოლარე გოგონა შემეკითხა:

— ესე იგი სიყვარულია?

— როგორც ჩანს, ისაა!

— გისურვებთ ბედნიერებას.

ჩვენ ვისაუზმეთ იმ ჩრდილში, რომელზედაც ასე ოცნებობდა თამაზი. რეზოს ვუთხარი, ნუ შეწუხდები, ბარგი რომ არა გვაქვს, სახლში ყველაფერი მაქვს-მეთქი. მხოლოდ ხელი ჩაიქნია, შემდეგ ფრთხილად შევეკითხე:

— როგორია ის გოგონა?

იგი ჩაფიქრდა, როგორ აეხსნა ჩემთვის, თუ როგორი იყო იგი, გულხელი დაიკრიფა, მაგრამ შემდეგ მთელი თავისი ფიქრი და გრძნობა ერთ სიტყვაში მოათავსა:

— კარგია.

რეპროდუქტორიდან, როგორც ყოველთვის, არაფრის გაგება არ შეიძლებოდა. დაბოლოს, გამოაცხადეს თვითმფრინავში ჩასხდომა. ტრაპის წინ კიდევ შევეკითხე რეზოს:

— გიყვარს?

გაეღიმა მშვენიერი, მორიდებული ღიმილით, რომელიც ამბობდა: „აბა რას მეკითხებიო“, და მიპასუხა:

— დიახ!

გავფრინდით. თურმე რეზო კიევში არ იყო ნამყოფი, მე მას ვუამბე ვლადიმირის ტაძარზე, რომელიც ვასნეცოვის და ვრუბელის მიერაა მოხატული, კრეშჩატიკის ახლოს ვიწრო ქუჩაზე მოთავსებულ შევჩენკოს მუზეუმზე. აქ პირველი სართული ჩინოვნიკის ოჯახს ეჭირა, მეორეზე კი, სადაც ადიოდა სუფთა შეღებილი კიბე, თვით დევნილი პოეტი ცხოვრობდა, ორი პატარა ოთახი ეჭირა, რომლის ფანჯრებსაც ხის ტოტები ელამუნებოდა. იგი აქ წერდა ლექსებს და ხატავდა. მინის ქვეშ ეწყო მისი ხელნაწერები და ნახატები, არ ჰქონია არც ტელევიზორი, არც მაგნიტოფონი, არც აგარაკი, არც მანქანა, არც დიქტოფონი, ჰქონდა მხოლოდ ორი პატარა ოთახი, რომელიც დაექირავებინა უნიჭო ჩინოვნიკისაგან. მაგრამ ეს არ უშლიდა ხელს, რომ ეწერა მშვენიერი, გულწრფელი მოქალაქეობრივი ლექსები.

შემდეგ, გამოველაპარაკეთ მეზობელ ქალს; გამოვთქვი აზრი, რომ გოგონები, რომლებიც იხატავენ წარბებს, ატარებენ თმის რთულ ვარცხნილობას, ასეთ გოგონებს ნამდვილი სიყვარული არ შეუძლიათ-მეთქი.

— რატომ? — განაწყენდა იგი.

— იმიტომ, რომ ხელოვნური ყველაფერი ცუდია.

და მე შევახსენე მას აღმოსავლური აფორიზმი:

— ყვავილის ბუნებრივი სიმშვენიერე უფრო ძვირფასია ჩვენთვის, ვიდრე განსაკუთრებული და მოფიქრებული სილამაზე ჩვენი ცოლებისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეზობელმა ქალმა ტუჩები მოწრუპა და იკითხა:

— როდესაც მამაკაცები ატარებენ ბაკენბარდებს და გრძელ თმებს, მათ თუ შეუძლიათ ნამდვილი სიყვარული?

— რასაკვირველია, არა. — ვთქვი მე.

— ასედაცაა, — თქვა მეზობელმა ქალმა. — საძაგლობაა მათი ყურება, ვინც ჩამოგრძელებული თმებით დადის.

ქალი კიდევ დიდხანს ლაპარაკობდა ამ თემაზე, მე მოხარული ვიყავი, რომ არ მქონდა გრძელი თმები, თორემ იგი, ალბათ, მებდღვნებოდა.

დავხუჭე თვალები და შევეცადე წარმომედგინა ის მოსკოველი გოგონა, როგორი იყო იგი და როგორ უნდა შევხვედროდით. რა უნდა გამეკეთებინა მე ამ დროს? ამასობაში თვითმფრინავი შემობრუნდა და დაჯდა კიევის აეროპორტ ბორისპოლზე.

აეროპორტის მეორე სართულზე ფართო, დაქანებული უსაფეხურო კიბე ადიოდა; ორივე მხარეს მგზავრები მიმოდიოდნენ. რეზო ცნობათა ბიუროსკენ წავიდა, მე კი ტელეფონისაკენ. მინდოდა ამეხსნა ელდარისათვის, რაც მოხდა, შემდეგ გადავიფიქრე და დავწერე:

„ვიმყოფებით კიევში. გთხოვთ არ შეწუხდეთ“.

მატარებელი ერთ საათში გადიოდა. ქვემოთ დავეშვით, ვესტიბულში ერთმა ჩვენმა თანამგზავრთაგანმა მკითხა:

— ნუ ჩქარობთ, ჯერ ბარგის ხსენებაც არაა.

მადლობა გადავუხადეთ მას ამ ცნობისათვის, დავსხედით მანქანაში და ვუთხარით შოფერს, რაც გვინდოდა და რამდენი დრო გვქონდა დარჩენილი.

— კი ბატონო, — თქვა მან დინჯად და მრიცხველი ჩართო.

— ჩვენ კიევში მიტომ ჩამოვფრინდით, რომ მოსკოვი თვითმფრინავებს არ ღებულობდა. თურმე არც კიევს ღებულობს. მატარებელზეც რომ დაგვაგვიანდეს, დავიღუპებით.

— გასაგებია, — სთქვა მან, — ნუ ღელავთ.

სადგურის მოედანზე მე გავიქეცი, საბილეთო სალაროსაკენ. აქლოშინებული რეზო რომ მოვიდა, ჯიბეში უკვე ორი ბილეთი მედო, მატარებლის გასვლას შვიდი წუთი აკლდა.

— ახლა შეგიძლია თქვა, რომ კიევში იყავი, — ვუთხარი რეზოს.

ვაგონის გამყოლები გაოცებული გვიყურებდნენ — ჩვეულებრივ, ადამიანები მოგზაურობის დროს ჩანთას მაინც ატარებენ. მალე მატარებელი დნეპრზე გადებულ ხიდზე არახრახდა, შემდეგ გავიარეთ დარნიცა, შემდეგ კი ჩამობნელდა და ფანჯრიდანაც აღარაფერი ჩანდა.

დილით ვაგონის გამყოლმა გვკითხა:

— ბილეთები გჭირდებათ?

— არა, — თქვა რეზომ. — თუმცა არა, შენ ხომ მივლინებაში ხარ?

უხმოდ გავხედე რეზოს. კიევის სადგურზე სასიამოვნო სითბო იყო. ფეხით გავწიეთ პლუშჩიხისკენ, ტანზე გამოვიცვალეთ, გავიპარსეთ, დავიბანეთ, ჩავსხედით ტაქსში და რეზომ თქვა:

— ახალ არბატზე!

რეზო ჩვეულებრივზე მეტად ფერმკრთალი იყო, ვდუმდით. გუშინ, სწორედ ამ დროს ჩემი სასტუმროს ნომრიდან გამოვედით სადმე „ჩრდილში სასაუზმოდ“. ორი საათის შემდეგ უნდა გადაწყვეტილიყო ის, რაც ჩემთვის ასე მნიშვნელოვანი იყო, მე კი ვზივარ ტაქსში, რომელიც სადოვოე კოლცოდან უხვევს ვოროვსკის ქუჩაზე, შემდეგ ტრუბნიკოვის ქუჩაზე და შემდეგ კი ახალ არბატზე. ყავისფერ სახლთან გადმოვედით და შევჩერდით სადარბაზოს წინ.

— ახლა რა უნდა ვქნათ? — ვკითხე მე.

— ავიდეთ.

მესამე და მეოთხე სართულის შუა რეზო შეჩერდა, რათა სული მოეთქვა და შემომხედა ნათელი, სასოწარკვეთილი მზერით, რომელშიაც იგრძნობოდა: „ჩვენ ხომ ცუდი არაფერი

გვინდა, ჩვენ მხოლოდ გვიყვარს“, შემდეგ ავედით მეოთხე სართულზე და დავრეკეთ. გული მიფანცქალებდა.

კარი გაგვიღო წინსაფრიანმა ჭაღარა ქალმა. აღტაცებისაგან ტაში შემოკრა და წამოიძახა: „ღმერთო ჩემო!“ და ოთახის სიღრმეში გასძახა: „ანია!“, რეზო ხელზე ეამბორა. სადღაციდან ანიაც გამოვიდა, შეჩერდა, შემდეგ გაექანა რეზოსკენ და მოეხვია. ისინი დიდხანს იდგნენ ასე ჩახვეულები. იმავე ოთახიდან გამოჩნდა ანიას ბიჭუნა მიშა, ავტომატით ხელში. მან მიირბინა რეზოსთან და ფეხზე შემოეხვია. რეზომ მიშა ხელში აიყვანა, ახლა სამივე ჩაეხვია ერთმანეთს. მე და გალინა ალექსანდრეს ასულსაც დიდხანს გვეჭირა ერთმანეთის ხელი, შემდეგ გავინთავისუფლე ხელი და კიბეზე დავეშვი. ძალიან კარგი ვქენით, რომ ჩამოვფრინდით. ისინი ბედნიერები არიან. დამთავრდა მათი მარტოობა, მათი მარტოხელა ცხოვრება, ახლა მათ აქვთ ოჯახი და ჰყავთ ვაჟი. ბედნიერი დასასრულია, როგორც ცუდ კინოფილმებში ხდება ხოლმე. მოსახვევამდე მივედი, ვიყიდე შამპანურები და უკან გამოვბრუნდი. რეზო სკამზე იჯდა, მიშა თმებს უჩეჩავდა და ეკითხებოდა:

— შენ ხომ აღარ წახვალ?

— ჩვენ ყველანი ერთად წავალთ, — უპასუხა მან.

ანია რეზოს გვერდით იჯდა, გალინა ალექსანდრეს ასული საოჯახო ალბომს მათვალიერებინებდა.

— როგორი მორიდებული და კარგი ყმაწვილია რეზო. მე ასეთი თავმდაბალი ადამიანი არ მინახავს, — მითხრა მან.

შემდეგ თბილისთან ლაპარაკი შევუკვეთეთ.

ელდარმა მკითხა:

— რა გიწოდო შენ ამის შემდეგ?

— რეზო ცოლს ირთავს, — ვუთხარი მე. — მათ უყვართ ერთმანეთი.

— კიდევ რას მეტყვი?

— არაფერს. იმიტომ გამოვფრინდით, რომ რეზო დაქორწინებულიყო.

— კიევში რატომ გაფრინდით?

— იმიტომ, რომ ყველა გზები კიევში მიდიოდა.

— ახლა საიდანღა რეკავთ, სიმფეროპოლიდან?

ავუხსენი დაწვრილებით, რაშიც იყო საქმე.

— კი, მაგრამ, რატომ ჩვენ არაფერი არ გვითხარით?

— იმიტომ, რომ თქვენ დაიჟინეთ ჩრდილში საუზმობა. გადაეცი თამაზს, რომ ჩვენ ჩრდილში ათასჯერ გვისაუზმია, სიყვარული კი ცხოვრებაში ერთხელ მოდის.

შემდეგ რა მოხდა — ეს ცალკეა მოსათხრობი. თამაზი და ელდარიც ჩვენი მარშრუტით ჩამოფრინდნენ — კიევის გზით — და სულ იმას გვაყვედრიდნენ „რა იყო, არ შეიძლებოდა გეთქვათ, ჩვენც თქვენთან ერთად გადმოვფრინდებითო“. — „თქვენ სულ ჭკუის დამრიგებლები ხართ, ამიტომ არ შეიძლებოდა თქვენთვის რამის თქმა“. ისინი უარზე იდგნენ — არავითარი ლაპარაკი არ გვქონია ბუზებისა და თევზების შესახებო, ჩვენ ვიცინოდით, ისინი ისე გვიყურებდნენ, როგორც არანორმალურ ადამიანებს, შემდეგ მიუბრუნდნენ გალინა ალექსანდრეს ასულს:

— ნება მოგვეცით, თქვენ გესაუბროთ, თქვენა ხართ ერთადერთი ნორმალური ადამიანი ამათ შორის.

შემდეგ იყო შესანიშნავი, მხიარული და გულისხმიერი ქორწილი. ვინც იმ ქორწილს ესწრებოდა, სამუდამოდ დაამახსოვრდათ. მაგრამ მე არ ვყოფილვარ ქორწილზე — ისევ თბილისში მომიხდა გადმოფრენა და ახლა შორიდან შევნატროდი მათ.

აი, როგორი გამოვიდა ჩვენი არაჩვეულებრივი საუზმე ჩრდილში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

*ნოდარ ნარსია*

## და საკუთარიც აშენოს ბუდე...

ფუტკარი, როცა საშოვრად მიფრენს,
მას ვერ აშინებს მანძილი შორი...
სიცივეს, სიცხეს —
ბევრ რამეს ითმენს
და ცხოვრობს თავის ალალი შრომით.
ასევე კაციც,
თუ კაცი არის,
არ უნდა გაცვდეს
უსაქმოდ გდებით.
უნდა აანთოს ღამეში კვარი
და თუნდაც სხვისი გასჭედოს ბედი.
უნდა იცოდეს:
რა არის წმინდა,
უნდა იცოდეს:
სწორი და მრუდე...
არ გადუხვიოს მართალი გზიდან
და საკუთარიც აშენოს ბუდე.
მიხედოს,
რასაც მიხედვა უნდა,
ამ მთებს,
ამ ველებს,
სამშობლოს ყოვლით
და მერე...
ძალზე ტკბილია, თუნდაც;
სიცივეც, სიცხეც...
ყინვაც და თოვლიც.

## მე უნდა შევძლო...

მე უნდა შევძლო
ჩაქრობა წყლულის,
ჩაქრობა ცამდე ავარდნილ ხანძრის...
ეს დააოკებს ალბათ ჩემს წყურვილს
და შეამოკლებს გულამდე მანძილს.
მე უნდა შევძლო:
მივართვა დაფნა,
კაცს, —
უამრავი ბრძოლებით დაღლილს...
მე უნდა ვიგრძნო,
ყველაზე მძაფრად,
თორემ სიცოცხლე არაფრად არ ღირს.
როდესაც გვერდით ჩავუვლი ყვავილს,
მე უნდა შევძლო ყვავილთან დგომა,
მერე გადმოვა სიცილით წყალი
და უსათუოდ ჩემს წყლულთან მოვა.
მე უნდა შევძლო:
ეს ატმის ტოტი,
ძველ მეგობართან დავხარო წუთით...
ზღვარი დავუდო უსაზღვრო ლოდინს
და გავარჩიო კარგისგან ცუდი.
მაშინ სიკეთე დაუვლის ყოველს,
გაბრდღვიალდება ამინდი ცივი...
ვიტყვი, რომ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

სულის სიმშვიდე ვპოვე
და გამახარებს ფოთლების სხივი
... მე უნდა
ფიქრი დავკიდო ცაში
ფიქრი,
რომელიც სინათლეს დაღვრის...
ოღონდ თუ შევძელ,
ეს მხოლოდ მაშინ,
— თორემ სიცოცხლე
არაფრად არ ღირს.

## იუდას ხე

თბილისის ბოტანიკურ პარკში ხარობს მცენარე, რომელზეც ჰკიდია ფირფიტა წარწერით: „არღავანი – იუდას ხე“.

ისე ანთიხარ,
იუდას ხეო,
მომგონებია ტოტი ძახველის,
ისე ბრდღვიალებ,
იუდას ხეო,
თითქოს პოეტის გერქვას სახელი.
ისე შრიალებ,
იუდას ხეო,
თითქოს არ გრძნობდე
დამღლელ არაკებს...
მოდი,
გამენდე,
იუდას ხეო,
შენი ვარამი მალაპარაკე.
ისე ყვავილობ,
იუდას ხეო,
თითქოს ყვავილში შენი სულია...
სახელი გქვია,
იუდას ხეო,
ვისი სახელიც შერისხულია.
ისე ქანაობ,
იუდას ხეო,
თითქოს მთვრალი ხარ,
ან თავს იმთვრალებ,
ანდა მხდალი ხარ,
იუდას ხეო,
და გაბარბაცებს შენი სიმხდალე.
წყევლა გარტყია,
იუდას ხეო,
ო, მოთმინება გქონდეს იობის...
იუდას ხეო,
შე ცოდვის ხეო,
შე ჭირის ხეო, კაცობრიობის.
ფესვები გტკივა,

იუდას ხეო,
ო, საბრალოა შენი ფესვები...
თენდება დილა,
იუდას ხეო,
თუ არ იტირე
არ დაგეხსნები.
გწყდება წვეთები,
იუდას ხეო,
იქნება ეს ის ცრემლის ღვარია...
ვინ დაგიჩრდილა,
იუდას ხეო,
ძველი სახელი — „არღავანია“.
რატომ არ დასწვი
შენი სხეული,
როცა შენს ტოტზე
ის თავს იხრჩობდა...
დგახარ,
ოცნება ჩამომსხვრეული,
ვერ გაქცევიხარ
ამ სახიჩრობას.

ალბათ დაგბრალდა
რაღაც მისნობა
და სატანჯველი
გაწევს ლოდივით...
იქნებ სჭირდება მარადისობას,
იქნებ სჭირდება,
შენი ლოდინი.

... ისე ანთიხარ,
იუდას ხეო,
თითქოს მიმწუხრის იყო სანთელი...
ისე გშორდები,
იუდას ხეო,
თითქოს მე მერქვას შენი სახელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

*აკაკი ვასაძე*

## გაზაფხულზე მთაში

გადაჰყვა სული ცის ხმოვანებას
და ღრუბლის წეროს დარად გაფრინდა,
შორით მიტაცებს აღფრთოვანება
აყვავებული მთის სიმაღლიდან.

ირგვლივ სიცოცხლის სუნთქვა ციალებს
და რთავს სამყაროს ნაირფერებად,
უგზო-უკვალოდ მოხეტიალე
იმედი მოდის, მომეფერება,

და მეც მივყვები სინათლის ტალღებს,
(თუმც სიხარული ისე უცხოა!)
უმალ ვივიწყებ — რა არის დაღლა,
და მადლს შევწირავ წმინდა მაცხოვარს.

## შენთან მოვდივარ, მთაო მაღალო

შენთან მოვდივარ, მთაო მაღალო,
მინდა ალერსი მწვანე ნაძვების,
ქალაქის ძლევამ სულ გადამღალა
და სადმე კლდეებს შორის გავწვები.
ვიცი, მიმიღებ როგორც მთის ბალახს,
შემომასხურებ ჩანჩქერის შხეფებს,
და ერთსაც გვედრებ, — ნუ დამიმალავ
ცაში არწივნი როგორა ჰყეფენ...
ხევის ნიავი ამომივსებს ფილტვებს,
სხეულს გამითბობს თაკარა სხივი,
სული გადიყრის აბეზარ იჭვებს,
გახდება ისევ მშვიდი, მარტივი,

და მერე, ალბათ, ცაც გამიმეტებს
ახალ ოცნებებს, ახალ იმედებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საიდან — სად?

საიდან — სად?
საიდან — სად?
როდიდან — როდემდე?
ეს კითხვები —
თვალმიუწვდენი გაფრენა ისრის,
ცის კაბადონზე უფრო ვრცელი
და მომხიბვლელი როგორც ქალის ფარული მზერა,
რა შემპარავად,
რა დაჟინებით,
შორით მოისმის,
ოდეს სარკმლიდან, შემოდგომის დღეს,
იდუმალ ფერად მოსილ სამყაროს
ფოთლით მოქარგულ ტოტებში ვხედავ...

საიდან — სად?
საიდან — სად?
როდიდან — როდემდე?
...მკრთალად თენდება, —
ფარული ხმები,
ვით გრილი სუნთქვა,
მტკვრის ხეობაში შემოცურდება,
გადაევლება სახლებს, ეზოებს,
გადისრიალებს ღამით ნაწვიმარ, გაკრიალებულ
ქვაფენილებზე,
შეიპარება მყუდრო ბინებში,
გამოაფხიზლებს დაღლილ მეზობლებს,
მილულულ თვალებს გულგრილობის ლიბრს გადააცლის
და,
მერე,
ცაზე,

ღრუბლის ფთილებად ნაზად გაწვება...
საიდან — სად?
საიდან — სად?
როდიდან — როდემდე?
...ფოთოლთცვენაა
და ხეთა ნაქარგს უმალ შესცვლის წვიმის წვეთები, —
თითქოს გოგონებს შიშველი ტოტი მოუკაზმავთ შუშის
მძივებით, —
წვიმის წვეთებს კი
ყინულის ბროლით შეჭირხლული მთელი ბუნება,
და ყველაფერი ეს ჩამჩურჩულებს,
სულში მიძვრება
და მეუბნება:
საიდან — სად?
საიდან — სად?
როდიდან — როდემდე?

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მაცდურების ყურედან გასვლაზე ოცნებისას

ნეტავ ვისია ეს თეთრი ნავი?
საიდან გაჩნდა მაცდურების ვიწრო ყურეში?
მსუბუქ ტალღებზე ასე მარტო რად მიქანაობს,
როგორც ობოლი და მთვლემარე დიდი თოლია?
ნეტავ ვისია ეს თეთრი ნავი?
იქნებ — არავის?
იქნებ ის ასე, უბრალოდ, არის,
თავისთვის — ნავი,
ხოლო სხვებისთვის,
(ვინც დაინახავს და გამოიცნობს),
როგორც იმედი,
როგორც საშველი
ამ უსაშველო ნაპირებიდან განსაშორებლად...

ნეტავ ვისია ეს თეთრი ნავი?
ან რატომ არის ასე უაფრო,
ასე უნიჩბო,
მიტოვებული თვის ანაბარად?
ან იქნებ ისიც არის მაცდური და ნავის სახით შემომეპარა?
ან იქნებ მართლა განმარიდოს
ეს ნაპირები სულშემხუთავი?
ასე უნიჩბოდ,
იქნებ დინებამ გადამიყვანოს ზღვის სილურჯეში,
სად მომესმება უსაზღვროება მოწმენდილი ცის,
სად ათრთოლდება თავისუფლების მძაფრი ძახილი,
როგორც ნუგეში,
როგორც ჩვენება გადამლახველი უმძაფრეს სივრცის,
სადაც ვიქნები შეუბორკავი,
მგრძნობიარე,
და უსხეულო.

## ნუთუ არ გესმის?

ცხოვრებით ჩათრეულს და ზრუნვით შებოჭილს, —
როდესაც საქმე მიდგა არა დაძლევაზე,
არამედ გაძლებაზე, —
ნუთუ არ გესმის,
რაზე ნაღვლობენ
წაგებულ დღეთა ნაპრალებში
გადაჩეხილი ყრმობის სიზმრები?

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ეპიტაფია მინდიას საფლავისათვის

მე ახლა ვკვდები,
მე ახლა აღარსად აღარ მივდივარ,
რადგან ძალიან მინდა წავიდე;
მე ახლა აღარაფერი აღარ მინდა,
რადგან უზომოა ჩემი სურვილი;
მე ახლა აღარავინ აღარ მიყვარს,
რადგან უსაზღვროა ჩემი სიყვარული;
მე შევეცადე ხორცი სულად გადამექცია —
და ვერ შევძელი
(წამით, — შევცდი და ავყევი მაცდურს),
ამიტომ არა ვარ ღირსი არვის შებრალების,
ამიტომ არ ველი არავის შენდობას
და,
        თუ ოდესმე ვიყავ სუსტი,
        ოდესმე ღონემ თუ მიმტყუნა
        და ოსტატობა ჩემი გახუნდა,—
მხოლოდ და მხოლოდ გთხოვ
                                        პატიებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

*ალი ისაევ-კვარსკი*

# შველი

ყვარლის მაღალ მთებს
მხურვალე მზე შემონთებია,
შუადღის ხვატში
გათანგული თვლემენ ველები.
მივყვები ბილიკს,
ქარაფებზე მივემართები,
ივსება სული
მწვერვალების საკვირველებით.

ამ მთების მიღმა
მეგულება ჩემი აული,
მისი სურნელით
გაჟღენთილი ქრიან ქარები,
მაგრილებს წყარო
ფერდობებზე ჩამომსხვრეული,
მუხლმაც გაიგო,
რომ მამულში მივეჩქარები.

გულში თავისით
იბადება ლაღი ჰანგები,
გახსნილა სმენა,
მზერა ხდება უფრო მახვილი.
აქ შეიძლება
დაიჯერო ყოფნა განგების,
ან გაიგონო
მთების გულის ჩუმი ძახილი.

მივყვები ბილიკს,
ფრინველების ჟრიამულს ვუსმენ,
რის გული ხარობს,
მუხლიც ვეღარ გებულობს დაღლას.
მივიწევ მაღლა,
კიდევ უფრო ზევით და მაღლა
და როგორც კვნესა
შემომესმის ძახილი უცებ.

გავვარდი სწრაფად,
ავირბინე ციცაბო ფერდი,
ჩახმახი ფეხზე შევაყენე,
ვიქეცი მზერად.
და უცებ ელდამ დამიარა,
უმალ შევჩერდი,
რასაცა ვხედავ
თითქოს მჯერა და არცა მჯერა.

მაგრამ ყოველი
გავარჩიე თანდათან ნათლად —
მცირე კორომში
გაუმართავთ მეფური ლხინი,
ნადირ-ფრინველით
ათასგვარით სავსეა ტაბლა,
ყელყელაობენ
გავსებული ყანწები ღვინით.

ლაღი სიმღერა
ჩაეფინა მდუმარ ხეობას.
მაგრამ ის კვნესა
კვლავ მეძახის, მომიხმობს წინა.
ვინ განერიდა
ამ დიდებულ ლხინს და ღრეობას,
ვინ უნდა იყოს,
ამ უღრანში ვისა აქვს ბინა?

მივყევი ძახილს,
ტყის სიღრმეში მშვიდად შეველი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეიმედება თანაც თოფი,
თამამად მივალ.
ვხედავ: ხის ძირას
წაქცეულა საბრალო შველი,
ვხედავ: თვალთაგან
ღაპა-ღუპით ცრემლები სცვივა.

ელდამ დამშალა.
ამ თვალებზე უფრო მწუხარი
და მოწყენილი
არ მინახავს არსად მშვენება.
ნეტა ვინ იყო,
ვინ აღმართა ხელი მუხთალი?
ის იმსახურებს
მწარე წყევლას და შეჩვენებას.

მივუახლოვდი,
შემომხედა ცრემლიან თვალით,
შემხმარი სისხლი
იარაზე მოვწმინდე ფრთხილად.
როგორ ვუშველო?
რა მალამო წავცხო იმგვარი,
რომ ამ საცოდავს,
დაუბრუნდეს სიცოცხლის დილა?

მოვგლიჯე იქვე
ნამიანი ლორთქო ბალახი.
შეიგრძნო სითბო
სამეგობროდ გაწვდილი ხელის.
თვალებში შუქი ჩაედვარა
მაგიერ ნაღვლის,
მოიცა ღონე,
მოიღერა ლამაზი ყელი.

საოცარია,
ნუთუ კვნესა საბრალო შველის,
არვის ესმოდა,
ვერ მიუგდო ყური ვერავინ?
სხვისი ტკივილი,
სხვისი ჭირი და სხვისი შველა
კაცთათვის ზოგჯერ
უცხოა და გაუგებარი.

აღმართული გვაქვს
ყველას ჩვენი პატარა ზღუდე,
გვეჩვენება, რომ
ამგვარ ციხეს მტკიცე აქვს ფუძე,
მაშინ როდესაც
უმტკიცესი სიმაგრე ყოვლად
ძმობაა კაცთა
და ამ ძმობას ჭირდება მოვლა.

წამიღო ფიქრმა.
ყვავილები ვკრიფე კონებად.
მინდა მივიდე,
გავუფინო ტყეთა ბინადარს;
დავბრუნდი, მაგრამ
დაკოდილ შველს ვეღარ მივაგენ,
ეტყობა შეძლო
და უღრანში გაუჩინარდა.

იმ დღიდან მუდამ
თვალწინ მიდგას დაჭრილი შველი.
ბევრი ტყე-ველი
გადავთელე და არსად არ ჩანს.
ვინ იცის, იქნებ
კვლავ მიხსენებს მხსნელსა და მშველელს
და მშვიდად წიწკნის
მწვანე მთების ხასხასა ფარჩას...

ავარიულიდან თარგმნა
**თედო ბექიშვილმა**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გურამ დოჩანაშვილი

# სამოსელი პირველი

## რომანი

საუბრის დაწყებას ხუთიოდე წუთი აკლდა. ნორჩ ჯანჯაკომოს უფრო დაბ-რაწოდა ლოყები, რადგან რაც ძალი და ღონე ჰქონდა, გაჰყვიროდა:—მხოლოდ ორი გროშიი! საუბარს ამაღელვებელ თემაზე—„ადამიანთა შორის უკეთესი ურთიერთობისათვიის“ [1] — წაიკითხავს სენიორ ალექსანდრო. შეკითხვის დასმა შეუძლია ყველელას, პასუხობს — მხოლოდ ალექსანდრო!“ ვიწრო, მაღალ შე-სასვლელში არტურო იდგა და საუბარ-ზე დასწრების მსურველთ ორ-ორ გროშს ართმევდა. დომენიკოს გაუღიმა და უთხრა: „მოდი, მოდი, შენ უფა-სოდ...“ მაგრამ დომენიკოს ტულიოს-თვის ხურდა არა ჰქონდა, ტულიოს კი არტურომ უეცრად გაუხეშებული სა-ხით გამოართვა ოთხი გროში.

გრძელი, დიდი ოთახი თითქმის სავსე იყო, არტურო დროდადრო დაფარული კმაყოფილებით თვალს შეავლებდა დარბაზს.

—გასასვლელთან დავჯდეთ, — უთხრა ტულიომ, — რახან არ დაიშალე, იმიტომ შემოგყევი, თორემ...

—რატომ?

—რა ვიცი... მაგის საუბრებს ხანდახან ჩხუბი მოჰყვება. იცოდე, ჩხუბი თუ ატყდა, მაშინვე გავიდეთ, კარგი?

—კარგი.

მთელი დარბაზი შეივსო, ზოგიერთები ფეხზე იდგნენ. ახლა უკვე თითო გროშად უშვებდა ხალხს არტურო. აქა-იქ ქალებიც ჩანდნენ, და ბიჭბუჭობას-თან ერთად რამდენიმე დარბაისელი მოქალაქეც მოსულიყო. ერთი ასეთი დარბაისლური წყვილი დომენიკოს გვერდით იჯდა; ისხდნენ, ბაასობდნენ:

—ჰოდა, იმას გეუბნებოდი,—გააგრძელა ქალმა,—ყველაფერს მოველოდი, მაგრამ მატილდა ასე უსინდისოდ თუ მოიქცეოდა, ნამდვილად არ მეგონა.

—მართლაც, მართლაც,—კვერი დაუკრა კაცმა,—საბრალო ჯაკომინა, ის ხომ ისეთი კარგი არსებაა...

—ისე, ლუიჯიც კარგი სულელი ყოფილა—ნუთუ თვალში სინათლე გამოელია?

—არა, რატომ, მატილდას სილამაზეს ვერ დავუკარგავთ.

—რად მინდა ეგეთი სილამაზე, აი, ჩვენი ფელიჩე, მაგალითად, ლამაზიცაა და სათნო ქალია...

—ფელიჩე რომელი—მატილდას ბიძაშვილი?

— არა, არა... ფელიჩეს მამა, ჩეზარე

[1] გაგრძელება, იხ. „მნათობი“, № 11.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მატილდას პაპა ჯილბერტო დეიდაშვილები იყვნენ.

—კი მაგრამ, პაოლო ხომ ჯილბერტოს ქვისლი იყო?

—კი, მაგრამ ფლორამ მაინც სასტიკად აუკრძალა მათთან შესვლა.

—ანტონელას ჩაწვეთებული იქნება.

—რა თქმა უნდა... ისე, ვიტორიო ამდენს არ უნდა უჯერებდეს.

—სხვათაშორის რენატომ ერთხელ ყველაფერი უთხრა, მაგრამ ვიტორიომ სთხოვა, დამიზუსტეო, — ორაზროვანი ღიმილით დასძინა კაცმა.

—არა, არა, მაგას ვერ დავიჯერებ, ანტონელა ბერრტტინი — და ღალატი?

—ეჰჰ, შენ როზალიაზეც ასე გეგონა, მაგრამ...

—არა, მაშინ შევცდი, ნამდვილად შევცდი... თუ შეიძლება,—უცებ დომენიკოს მიუბრუნდა კაცი,—ნურავის გადასცემთ ჩვენს საუბარს, კარგი?

—კარგი...—დაიბნა დომენიკო.

—ჰოდა, ფელიჩე თუ...

ვიღაც ყმაწვილი წამოხტა, ხელი ხელს შემოჰკრა და ყურადღება რომ მიაქციეს, თქვა:

—მოდით, ნუ გავაწყვეტინებთ ხოლმე... თავისით გაგიჟდება.

—სწორია, სწორი... — მოეწონა ხალხს.

ვიღაც მთვრალი წამდაუწუმ იძახდა: — სად არის, სადა, აღარ იწყებს? მაგის...

—ძალიან სულელური შეკითხვები არ მისცეთ, თორემ მიხვდება... აი, ისეთი რამეები ჰკითხეთ, რომ დაიბნეს...

—მაგას რა დააბნევს...

—დარდი ნუ გაქვს, დაიბნევა...

—მაინც რა უნდა ჰკითხო ეგეთი...

—ეგ მე ვიცი. კაცო, სუზანას ფეხი მოუტეხია.

—მართლა?

—კი. აბა ალექსანდროს კი არ დაემართება რამე...

—ჰე,—ჩაიცინა მაღალმა,—ამაზე მეტი რა უნდა დაემართოს...

—ეგ კი, ეგ კი...

წინა რიგში ვიღაცამ შუბლზე იტკიცა ხელი:—აუჰ! დღეს ხუთშაბათია, არა?

—ხუთშაბათია.

—უჰ!

—რა იყო?

—არა, არაფერი...

და უცებ ფარდა გაიხსნა და სცენაზე გაბედული, თამამი ნაბიჯით შემოვიდა თვით ალექსანდრო.

ატყდა ტაში, შეძახილები, აქა-იქ ღონივრად დაუსტვინეს. ალექსანდრო ავანსცენაზე დადგა, ხალხს ხელისგული აჩვენა და ყველა ეშმაკურად გაინაბა. ალექსანდროს ეტყობოდა, ლაპარაკის დაწყება რომ უჭირდა, მაგრამ ხალხს რომ მოავლო თვალი, ყველა იცნო და რიხიანად თქვა:

—გამარჯობათ, ადამიანებო!

—ოო, ალექსანდროს გაუმარჯოს,— ატყდა ჰხიარული შეძახილები,—როგორა ხარ, ხომ კარგად, როგორ ბრძანდებით, ალექსანდრო ბიძია... ახალს რას გვეტყვი!

—ადამიანთა შორის უკეთესი ურთიერთობისათვის!

—მიდი, მიდი! დასცხე შენებურად!

—სიჩუმეს ვითხოვ და ყურადღებას, —ისევ ხელისგული აჩვენა ხალხს ალექსანდრომ, პირველ რიგში ვიღაცამ ვერ მოითმინა, წამოდგა, ალექსანდროს ხელისგულზე დააკვირდა და უმკითხავა:

—ამ ერთ თვეში დაბრმავდები.

—აბა რა მომივა, თქვენს შემხედვარეს?!—ხელები გაშალა ალექსანდრომ და ჩაიცინა,—კმარა, დავიწყოთ, თქვენ ბოროტად იხუმრეთ, მე—კეთილად, ახლა კი გვეყოფა, ვიწყებთ!

ჩაფიქრებულმა გაიარ-გამოიარა.

—სიმართლე რომ გითხრათ, — ასე დაიწყო ალექსანდრომ,—ძალიან ბევრი ვიფიქრე, როგორ მელაპარაკა თქვენთან—ზოგადად, დაწვრილებით, უბრალოდ, მაღალფარდოვნად თუ როგორ... და მაინც მგონია, რომ შინაურული საუბარი აჯობებს—რაც არ უნდა იყოს, ერთმანეთს მშვენივრად ვიცნობთ!

—მიდი, მიდი!—შეუძახა მთვრალმა.

—ჩვენ, ადამიანები,—დაიწყო ალექსანდრომ,—თუმცა კი ვითომ კარგადა ვართ ერთმანეთთან, მაგრამ სრულიად ადვილი შესაძლებელია, უფრო უკეთესად ვიყოთ.

—სწორია! —დაიღრიალა მთვრალმა და მისკენ უნებურად შეტრიალებულ, შემკრთალ ქალს თვალი ჩაუკრა.

—ადამიანთა ურთიერთობა უკეთესობისაკენ მიდის, —დამაჯერებლად განაგრძო ალექსანდრომ,—ჩვენი უძველესი წინაპრები თურმე ერთმანეთს ჭამდნენ; ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით, ახლა კი, ამდაგვარი შემთხვევები აღმოიფხვრა. ხოლო ეს, — კარგია.

—ვაშაა!!—დასჭექა კუმეომ.

—ადამიანის გზა,—ჩუმად თქვა ალექსანდრომ,—ეს უნდა იყოს გზა უკეთესობისაკენ. ხოლო მე გეკითხებით,—ხალხისკენ გაიშვირა ხელები,—რა მიგვიყვანს უკეთესობისკენ?

—ჭეშმარიტება! — წამოიძახა ვიღაცამ და სიცილით კინაღამ გაიგუდა.

—უფრო ზუსტად!—მოითხოვა ალექსანდრომ.

—საპონი!—იოხუნჯა ვიღაცამ.

—პირველი ასო სწორია!—გაეხარდა ალექსანდროს.

—ს?... სკამი!

—არა!—თქვა ეშხში შესულმა ალექსანდრომ და უცებ ძალიან გაუკვირდა, —რა შუაშია სკამი?

—სათნოება?

—უფრო ზუსტად! — იმედი მიეცა ალექსანდროს.

—რაინდული კეთილშობილება!!!

—სად არის მანდ ს?

—აბა რა, რა, ალექსანდრო?

—რა და...—ალექსანდროს რაღაც რბილმა და ნაზმა დაუარა სხეულში, ისე უცნაურად მოეშვა, ისე ჩამოყარა მხრები; თვალები კი ზემოთ, დარბაზის ჭერისაკენ აღაპყრო, ცალი ხელი ნელა, ნელა ასწია მაღლა და თქვა: — სიყვარული...

დიდი მხიარულება ატყდა:—oო, ო, შეყვარებული ყოფილა!

მთვრალი წამოხტა, შუბლზე მიიდო თითი და ატინგილდა:—სიყვარული რას არ შვრება, რას არ შვრება, რას არ შვება!..

—არა, ყმაწვილო, ეს მხოლოდ ის სიყვარული არაა, შენ რომ გულისხმობ, — ნაღვლიანად შეაცქერდა ალექსანდრო,—მე უფრო დიდ, უფრო კარგ სიყვარულზე მოგახსენებთ.

—რა იცი შენ სიყვარული რაა!—გაბრაზდა უცებ ვიღაც დარბაისელი კაცი, — ცოლი შენ არ გყავს და შვილი!

—შენ თუ ცოლი გყავს, და ნამდვილი სიყვარულიც იცი, იმიტომაც არ დაძვრები როზალიასთან!! —არანაკლებ გაბრაზდა ალექსანდრო.

კაცი გაშრა. ყველამ მისკენ მიიხედა, აჭარხლებული კაცი ერთხანს თითქოს სკამში ჩაიმალა, მაგრამ მერე წამოხტა და ალექსანდროს ფერდაკარგულმა დაუღრიალა:—შტერი ხარ, შტერი, ყეყეჩი... რა უნდა გელაპარაკო!!!

—აი, სიძულვილი,— უთხრა ხალხს ალექსანდრომ,—განა ეს კარგია?

—მოვკლავ, მაგ... მაგ...—სიტყვა გაუწყდა კაცს,—მაგ ღორს, მაგ ვირზე უარესს, მაგას!

—იცი, ჯულიო, ახლა რას გეტყვი?—ღიმილით ჰკითხა ალექსანდრომ. სწორედ ის ჯულიო იყო, დარბაისელი, მამიდა არიადნას სიყრმის მეგობარი.

—რას მეტყვი! მითხარი, აბა, აბა, გაბედე რამე, მითხარი აბა!

—მე შენ მიყვარხარ, ჯულიო...

—გადი აქედან, შენ და შენი სიყვარული, შე ძროხა, შე...—შეათვალიერა ჯულიომ,—შე მჭლე ძროხა, შენ!

—როგორ მიყვარხარ, რომ იცოდე!

გაცოფებულმა ჯულიომ სხვა რომ ვერაფერი მოიხელთა, ფეხსაცმელი გაიძრო და ესროლა, მაგრამ ააცდინა. ალექსანდრო დაიხარა, თავისი ცხვირსახოცით გაწმინდა ფეხსაცმელი და პირველ რიგში მჯდარ ახალგაზრდას გაუწოდა:— აი, ესაა ნამდვილი სიყვარული, მიუტანე, გეთაყვა...

—მაგას როგორ ჩავიცვამ, მაგის ხე-

ლში გამოვლილს, მაგ მუდრეგის ხელში, მაგ...

—აი, ეგაა სიძულვილი, —ჯულიოსაკენ გაიშვირა ხელი ალექსანდრომ, მერე კი მკერდზე ჩამოისვა,—ხოლო ეს—სიყვარულია, ა, რომელი სჯობს? მაინც მიყვარხარ, ჯულიო...

—ამდენი ხალხი იმიტომ მოვედით, თქვენს არშიყობას რომ ვუყუროთ?—წამოიძახა ვიღაცამ და მთელი დარბაზი ახორხოცდა. ჯულიოსაც კი ჩაეცინა, ხელი ჩაიქნია, თქვა: „ეჰ, რა ველაპარაკო, შტერია...“—და დაჯდა.

—რაც გინდა ვიყო,—დანაღვლიანდა ალექსანდრო, — გინდა შტერი, გინდა, პირიქით, მე თქვენ მიყვარხართ...

მე გული მტკივა, თქვენ რომ შეგცქერით,ოო, ისე მწყინს თქვენი ყოველი უმსგავსობა, მაგრამ მაინც მიყვარხართ, ეჰ, რა კააარგი, რა შესანიშნავი გრძნობაა, რომ იცოდეთ... მეც თქვენსავით ვიყავი ერთხანს, მხოლოდ ჩემიანები მიყვარდა. და მერე, ჩემთვის მოულოდნელად, სულში გამეფურჩქნა უცნაური, სიყვარულის მცენარე—აბა, თუ მიხვდებით, რომელი?

—ყაყაჩო!

—არა—ჩქარა ჭკნება...

—ენძელა!

—ნაზია ძალზე...

—გეორგინი!

—გაფოფრილია...

—ვარდი!!

—შაბლონურია...

—აბა რა?!

—და უცებ სულში გამეფურჩქნა უცნაური მცენარე,—განაგრძო ალექსანდრომ, — სიყვარულის კაქტუსი—ეკლიანი და ეკლებიანი, ოღონდ საოცრად ტკბილი იყო მისი ყოველი ჩხვლეტა, და აი, ახლაც, თქვენ რომ გიყურებთ, ახლაც, ახლაც, მჩხვლეტს...

—ყურადღებას ნუ მიაქცევ, ალექსანდრო!

—როგორ არ მივაქციო,—გაიკვირვა ალექსანდრომ,—მჩხვლეტს...

—არ დაიჯერო ეგ!

—და რომ იცოდეთ, როგორ მიყვარხართ, როოოგორ—ვერ წარმოიდგენთ...

—და უცებ შეიცვალა,—ამეებს რომ ვიძახი, არ გეგონოთ, თითქოს მომწონდეთ, აჰ, არა, არა, მშვენივრად ვიცი, რაცა ხართ, რასაც წარმოადგენთ, მაგრამ მაინც... აი აქ, ამ დარბაზში, მეხუთე რიგის,—და გადათვალა,—ორი, ოთხი, ექვსი—მეცხრე სკამზე რომ ზის, ხომ ყველამ მშვენივრად ვიცით, რა კაციცაა, მაგრამ მე მაინც მიყვარს იგი...

ის კაცი გაიტრუნა და არ იცოდა, რაიმე ეთქვა, თუ გაჩუმება სჯობდა. უკანა რიგებიდან წამოდგნენ, იმ რიგსა და სკამს ეძებდნენ, მაგრამ ალექსანდრომ ახლა სხვაგან გადაუტანა ყველას მზერა:

—აიი, ხალხო, შეხედეთ, შეხეთ, აქ ერთად მოვიდა ორი კაცი, ორი ჭაბუკი—ვინსენტე და ანტონიო. დასამალავი არაფერია—ამ ორ ადამიანს ადრე ერთმანეთი ძალიან სძულდა. ვინსენტე დარწმუნებული იყო, რომ გაცილებით მაღლა იდგა ანტონიოზე, ანტონიო კი ვინსენტეს ქედმაღლობის გამო ვერ იტანდა. მოკლედ, ისე იყვნენ ერთმანეთთან, როგორც ცუდი ძაღლი და ცუდი კატა, მაგრამ ცხოვრებაში,—უცებ გაეხარდა ალექსანდროს,—რა არ ხდება და ახლა, ხომ ხედავთ, განუყრელნი შეიქმნენ—ვინსენტეს ანტონიოს და—მშვენიერი ჯულია შეუყვარდა და ცოლადაც შეირთო. ამრიგად, ისინი დანათესავდნენ, ვინსენტე შეიცვალა ანტონიოს მიმართ, უუუფრო თავაზიანი და მეგობრული გახდა, ბუნებით მოყვარული ანტონიო კი სულ დადნა მის ასეთ საქციელზე და ყველანი მოწმეები ვართ, რა მშვენივრად არიან ახლა ისინი, როგორ დაახლოვდნენ, ერთად სვამენ, ქეიფობენ, ქაღალდს მხოლოდ გასართობად თამაშობენ, გროშებზე კი არა... აი, რა შეუძლია უნებურ, მისჯილ ახლობლობასა და სიყვარულს, თუმცა ეს უნებური სიყვარული ვერ მივა, ვერა, საყოველთაო, გაბატონებულ სიყვარულთან, ვერ მივა, ჩემო ძვიიირფასო ადამიანებო. და მათ ერთმანეთს გაუ-

ღვივეს ყოველივე კარგი თვისება, სულ დათმობაზე მიდიან...—და ალექსანდრო ისევ შეიცვალა,—ეს ყველაფერი, დავუშვათ, ძლიერ კარგია, მაგრამ ახლა მე გეკითხებით—ამ ჩვენს ვინსენტეს თავისი ცხოვრების მუდმივ თანამგზავრად რომ არ ამოერჩია მშვენიერი ჯულია, ახლაც ხომ ისევ ძაღლი-კატასავით იქნებოდნენ? ხომ ვარ სწორი, ვინსენტე?

—კბილებს ამოგამტვრევ...

—დაწყნარდი, ვინსენტე, დაწყნარდი, ხომ იცი, გიჟია,—დაამშვიდა ანტონიომ.

—კბილებზე გამახსენდა, — გაახსენდა ალექსანდროს,—ნუ სჭამთ ერთმანეთს, ნუ, იყავით ისე, როგორც ახლა ეს ორი კაცია ერთმანეთის მიმართ... გუგულებივით... ხომ ხედავთ, როგორი სიყვარულით შეჰყურებს სათნო ანტონიო გულფიცხ ვინსენტეს? აი, მშვენიერი სანახაობა იქნებოდა, ვინსენტეც რომ ალერსით შესცქეროდეს კეთილ ანტონიოს, იგი კი ამის ნაცვლად მე მიბღვერს, მე კი—იგი მიყვარს, ისევე, როგორც ყოველი თქვენთაგანი. ნუ იჩხუბებთ, ნუ, ერთმა ბრძენმა თქვა, როცა ორი კაცი ჩხუბობს, ორივე დამნაშავეაო. ეს ჭეშმარიტებაა, ძვირფასებო, და ხანდახან უნდა აპატიოთ ხოლმე ერთმანეთს დანაშაული. თქვენ კი მაშინვე მუშტი-კრივზე გადადიხართ, განა ეს კარგია? მოდით, დამპირდით, რომ აპატიებთ ერთმანეთს, ხომ აღმითქვამთ, ადამიანებო?

—აღგითქვამთ, აღგითქვამთ, — იცინოდა ხალხი.

—აჰაა, იცინით?—დაფიქრდა ალექსანდრო, და უცებ ვიღაცას მიაბჯინა თითი:

—აი შენ, მიქელე, შენც ხომ აღმითქვამ?

—აბა რა,—გაიკრიჭა ახოვანი ჯეელი.

—შემომფიცე.

—სულითა და გულით გეფიცები.

—მე მჯერა შენი და ახლა ერთ პატარა საიდუმლოებას გაგიმჟღავნებ. ხომ აპატიებ დამნაშავეს?

— კი, კი, — დაინტერესდა მიქელე, — ხომ შემოგფიცე...

—კარგი, მიდი მაშინ ახლა კუმეოსთან და ხელი ჩამოართვი.

—რატომ?

—ჯერ ჩამოართვი ხელი და მერე გეტყვი.

კუმეოს ფერმა გადაჰკრა და შეშინებული უყურებდა ახოვან მიქელეს, რომელმაც ხელი ჩამოართვა და ადგილზე დაბრუნდა,—აჰა, მითხარი.

—რადგან შენ დიდსულოვნება გამოიჩინე, გეტყვი,—საზეიმოდ გამოაცხადა ალექსანდრომ, — ამ ორი დღის წინ, ქუჩაში მთვრალს რომ გეძინა, შენი ოქროს ძეწკვი სწორედ მაგ კოხტა კუმეომ ამოგაცალა.

—რას მეუბნები,—უცნაურად გაიღიმა მიქელემ და კუმეოს გახედა,—ახლა, ხომ ვიქნები ჩემი ფიცის ერთგული, რომ მივიდე და ვაკოცო?

—შენ ამით ამაღლდები, ძვირფასო ადამიანო, მიდი, მიდი, აკოცე...

—არ მინდა, არა, ნუ მაკოცებს!—შეშფოთდა კუმეო.

—უნდა გემთხვიო, საყვარელო... ხომაა კოცნის ღირსი?—ხალხს მიუბრუნდა მიქელე.

—რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა, აუცილებლად!—დაიძახა რამდენიმე ცნობისმოყვარემ.

—არა, არა! — იყვირა ვინსენტემ (კუმეოს ბიძაშვილი იყო).

—არა, არა და არა!—მიემხრო ანტონიო.

—აკოცოს, აკოცოს!—ყვიროდა უმრავლესობა და მიქელე კუმეოსთან მივიდა, ყურებზე ხელისგულები ჯერ ისე ნაზად მიადო, ყველა განცვიფრდა—ეგონათ, მართლა აკოცებდა, და რომ გაიკვირვეს, სწორედ მაშინ მიქელემ კუმეოს შიგ ცხვირ-პირში თავი სდრუზა. კუმეო რიგებს შუა ჩავარდა და მიქელემ ორი წიხლის მიყოლებაც მოასწრო, მესამეზეც არ იტყოდა უარს, მაგრამ ფიცხმა ვინსენტემ ვიღაც-ვიღაცეების თავ-მხარზე გადაირბინა და ზემო-

დან დაახტა. ორივენი კუმეოს დაეცნენ, იმ სივიწროვეში ხელს ვეღარ გაარტყამდნენ ერთმანეთს, ამიტომ ვინსენტემ ლოყა ჩამოათხაჭნა.

—ფიცი, ფიცი,—იძახდა ალექსანდრო.—მიქელე, სადაა შენი ფიცი, მიქელე!

ჯუზეპესაც სხვა რა უნდოდა—მოჩხუბრებთან მიიჭრა, პირველივეს დასწვდა, ასწია და ოთხი რიგის მიღმა ისროლა. ეს ვინსენტე იყო—ვიღაც ქალს შეენარცხა და სკამიანადააყირავა, იმ ქალის გამწარებულმა ქმარმა კი ფართო ქამარი შეიხსნა და ვინსენტეს სახეზე გადაუჭირა. გაცოფებულმა ვინსენტემ სულ სხვა ადამიანს წიხლი ამოარტყა და იმ ადამიანს ანტონიოც ერთგულად მივარდა. ამ დროს ვიღაც ტანმომცრო ბიჭმა გზა გაიკვლია ჯუზეპესაკენ და ყბაში ისე კოხტად ამოჰკრა, გონდაკარგული ჯუზეპე იქვე ჩაიკეცა. ეს სასწაულს უდრიდა, მაგრამ ვის ეცალა გასაკვირვად — არეულობით მშვენივრად ისარგებლა როზალიას ქმრის ძმამ —დარბაისელ სენიორ ჯულიოს მიეპარა და უკნიდან მუშტი ხეთქა, მთვრალი ადამიანიც წამოდგა, მიმოიხედა, იქვე მდგარი კაცის ქუდი არ მოეწონა და თავში ჩაათვარა. იმ კაცმა მეზობელს ყავარჯენი გამოსტაცა და მთვრალს მოუქნია, მაგრამ უცაბედად სხვას მოახვედრა, რომელმაც ჯერ გამწარებულმა დაიღრიალა, მერე კი ყბაში სილა სტკიცა. ქალები აკივლდნენ, შედარებით გონიერებმა გასასვლელს მიაშურეს, მთვრალმა ახლა სხვას ჩაათვარა თავში. „რატომ არ დავლიეთ დილით, რატომ არ დავურტყით პატარა,“—იყვირა უცებ დაბალმა და მაღალს მუცელში ატაკა თავი. მაღალმა ცალი ხელი ქეჩოში ჩასჭიდა, მეორე ხელი კი მოუქნია და ლოყაში ხეთქა. მერე ისევ დაარტყა და ამ დროს ვიღაც გამწარებული დაეძგერა—ეს უკვე არტურო იყო,—„ვის ურტყამ, ვის ურტყამ, შე...“ ჩხუბის ეშხში შესულმა მაღალმა არტუროსაც გაულაწუნა და მაშინვე საშინელი ყვირილით—„მამი, მარჩენალო, მაამი!“—ნორჩი ჯანჯაკომო გამოქანდა. [illegible]ბით ყველამ ისარგებლა და [illegible] ჯავრი ჰქონდა, ერთმანეთს დაერივნენ და დიდი, მასობრივი, გრანდიოზული ჩხუბი გაიმართა.

—ადამიანებო! —სცენიდან ყვიროდა ალექსანდრო, — ნუთუ ასე იმოქმედა თქვენზე ჩემმა დამყვავებელმა საუბარმა, ადამიანებო!

მერე ყველაფერი აირია, დიდი უცნაური ამბავი მოხდა—თითოეული მათგანი ყველა დანარჩენის წინააღმდეგ ჩხუბობდა. ვისზეც ხელი მიუწვდებოდათ, განურჩევლად ყველასა სცემდნენ, ასე განსაჯეთ, დასისხლიანებულ ვინსენტეს თვით ანტონიო მოეგდო ფეხქვეშ და გამოზოგილი სიამოვნებით, და გემოვნებით ურტყამდა.

—რამ გაგაგიჟათ, ადამიანებო,—ისევ ყვიროდა ალექსანდრო, — ბოლოსდაბოლოს, თქვენ ხომ გასართობად მოხვედით აქ, ადამიანებო!

—აქ, ამ ქალაქში...—დაიწყო დომენიკომ და აირია,—ბოდიში, სხვანაირად არ მიიღოთ, მაგრამ... ისე, მაინტერესებდა... ქურდობა თუა?

—სად, აქ? არა, რას ამბობ,—გაიკვირვა ტულიომ,—ათასში ერთხელ...

—და იმ კაცმა რომ თქვა, კუმეომ მოიპარა ოქროს ძეწკვიო?

— კუმეოსთანა რას არ იკადრებს,—აღშფოთდა ტულიო და იქვე დაწყნარდა,—მაგრამ ეგ გამონაკლისია. აბა, სად გაგიგონია, რომელიმე ქალაქს თითოოროლა ეგეთი რეგვენი რომ არ არცხვენდეს?... — და შეფიქრიანდა,—შენ რა, ფული გაქვს?

—არა, არც ისე...

—რამდენი გაქვს მაინც?

—სამოცი... დრაჰკანი.

—სამოცი? — გაუკვირდა ტულიოს, სად იშოვნე...

—ეგ რა... ბევრია?

—ჰე!—ხელი აიქნია ტულიომ,—ბევრიაო? ბევრიცაა და ცოტათი უფრო

მეტიც... თავიდან რამდენი გქონდა?

—თავიდან...ეე, სამოცდაათი.

—და ათი დრაჰკანი უკვე დახარჯე? რაში, დომენიკო...

—ორი ხელი ტანსაცმელი ვიყიდე...

—ეგ ერთი დრაჰკანი... კიდევ?

— ერთი რატომ...

— აბა?

— ოთხი...

— რვა ხელი იყიდე?

— არა, ორი.

— მერე, ეგ ერთ• დრაჰკანი ღირს.

— მართლა? — გაოცდა დომენიკო, — მართლა?

— აბა რა... შენ რა, რამდენი გადაიხადე.

— მე? მე ოთხი...

— ვინ გადაგახდევინა, არტურომ?

— ჰო.

— უ, მაგის... უხ, მაგისი, — და უცებ გაახსენდა, — დომენიკო, ტერეზამ თუ იცის, მაგდენი ფული რომ გაქვს...

— არა, არ იცის. საიდან უნდა იცოდეს?

— მართლა არ იცის? — დაფიქრდა ტულიო, — უცნაურია, რად მოეწონე... ისე, ტერეზა არაა მაინცდამაინც ფულის გიჟი, მაგრამ მაინც... არა, სხვანაირად კი არ გამიგო, გარეგნობით არა გიშავს რა, მაგრამ ისე უცებ მოეწონე, ისე უეცრად...

— აქ, ამ ქალაქში, — თქვა დომენიკომ, თვალებში უყურებდა, — ქურდობა, ესე იგი, არაა, არა?

— არა, რას ამბობ... ვინმე თუ მოგატყუებს, არტუროსავით, თორემ ჯიბიდან არავინ ამოგაცლის და ძალითაც არავინ წაგართმევს. და შენი ბედი, კამორაში რომ არ მოხვდი — იქ უკვე ყელგამოჭრილი ეგდებოდი სადმე.

— სად, კამორაში? რა ქალაქია...

— ჰეე, ასე უცებ როგორ აგიხსნა... ისე კი, ნამდვილად გამოგჭრიდნენ ყელს.

— რატომ... რისთვის... არაფერი დამიშავებია და...

— ჰეე, — პირი დაალო ტულიომ, — კამორელებისთვის რა მნიშვნელობა აქვს, დაუშავებ რამეს, თუ არა...

— ნამდვილად გასაძევებელია ეგ წყეული ალექსანდრო, — თქვა მამიდა არიადნამ, თევზებს აქვარიუმში საჭმელს უყრიდა, — ჯერ ეგ ერთი, ბატონ ჯულიოს როგორ დასწამა როზალიასთან იმნაირი ურთიერთობა, მე ხომ კარგად ვიცი, რომ ჯულიოს არავითარი იმნაირი დამოკიდებულება არა აქვს როზალიასთან — ჯერ ეს ერთი, მეზობლები არიან და როგორ შეიძლება სენიორ ჯულიო იყოს ისეთი ვერაგი, რომ მეზობელთან იმნაირი დამოკიდებულება და ურთიერთობა გააჩაღოს? მეორეც, მე ხშირად მინახავს ისინი ერთად, საზოგადოებაში, და მსგავსი არაფერი შემიმჩნევია, ხოლო რაიმე იმნაირი რომ მომხდარიყო მათ შორის, აუცილებლად შევამჩნევდი, რადგან ქალსა და კაცს, რომელთაც ერთმანეთში იმნაირი ურთიერთობა ჰქონიათ, ყოველთვის, პატარა, რაღაც, სადღაც, ყოველთვის ეტყობათ. ხომ არ მოგბეზრდათ ჩემი ლაპარაკი?

— არა, არა, რას ბრძანებთ, მე ძალზე მიყვარს ლაპარაკი, — მიუგო დუილიომ, — ოქროს იღებენ მიწის წიაღიდან, ხოლო ცოდნას — ლაპარაკიდან.

— რა შესანიშნავად თქვით, რა შესანიშნავად, — შესძახა მამიდა არიადნამ, ხელისგული მოისუფთავა და აქვარიუმს მოსცილდა, — ხომ მართალი ვარ, ბატონ ჯულიოს ინტერესებს რომ ვიცავ?

— რა თქმა უნდა, ოლონდაც. ოლონდაც, — თქვა დუილიომ, როგორიც იყო, — სენიორ ჯულიოს საჭიროების შემთხვევაში მრავალი დადებითი ღირსება ახასიათებს.

— ნამდვილად ღირსეული ადამიანია, უიშვიათესი.

— დიახ, დიახ, — ცოტათი ეწყინა დუილიოს, მაგრამ არ შეიმჩნია, — კარგი ადამიანია... მაგრამ მე თუ მკითხავთ, ბუნებაში იშვიათად მოიძებნება უნაკლო ადამიანი. ძალზედ იშვიათად!

— რა თქმა უნდა, — საჩქაროდ დაეთანხმა მამიდა არიადნა და იქვე შენიშნა, — ისე კი, ბატონო დუილიო, სენიორ ჯულიოს ცოტათი ამღვრეული გამოხედვა აქვს.

— ეგ კი, ეგ კი...

— ხანდახან ისე ამხედ-ჩამხედავს ხოლმე... ჩემისთანა ხნოვან ქალს, წარმოგიდგენიათ?

— რას ბრძანებთ, რას ბრძანებთ, თქვენ მარადიული ახალგაზრდობის ნიშნით ბრძანდებით გაჩენილი, ეგ აღარ ბრძანოთ, აღარა თქვათ, აჰ, აღარ გამაგონოთ, კარგი?

— კარგი, — აღფრთოვანდა მამიდა არიადნა და საკოცნელად უბოძა ხელი, — კონჩეტინა! სუნნელოვანი წყალი მოგვიტანე. აი ის, ყვითელი... ბატონო დუილიო, ბატონო დუილიო, ძალიან გთხოვთ, აღწეროთ ნამდვილად კარგი ადამიანი.

— ახლა? აქავე?

— დიახ, დიახ, ძალიან გთხოვთ...

— ეს ძნელი თემაა, — წამოდგა დუილიო, — მაგრამ მე მაინც შევეცდები... გმადლობ, კონჩეტინა... მშვენიერი წყალია, აჰაა... ესე იგი, ნამდვილად კარგი?

— დიახ, დიახ, უმორჩილესად გთხოვთ.

— მე ვიცნობდი ერთ ნამდვილად კარგ ადამიანს, — დაიწყო დუილიომ, როგორიც იყო, — ჩვენ ერთმანეთს გულთბილად და გულისხმიერად ვექცეოდით, ადამიანური თვალსაზრისით, რა თქმა უნდა. ჩვენ ჩვენი ადამიანობით ჩამოვიცილეთ ძირითადი მეტოქეები, რამაც საზოგადოებაში ფართო გამოხმაურება ჰპოვა. ჩვენ მუდამ ვიცავდით წინაპართა საუცხოო ტრადიციებს და დიდი ყურადღება დავუთმეთ აგრეთვე მრავალ დადებით ადამიანურ ღირსებას, რაც საწინდარი გახდა ჩვენი უზადო გამარჯვებებისა. მე მაშინ, — თვალები ჭერისაკენ აღაპყრო დუილიომ, — სიხარულითა და ბედნიერებით აღსავსე ჭაბუკი ვიყავი, ჩემი სულიერი ტკივილებითა და აგრეთვე ორივეს გვქონდა, ბოდიშს ვიხდი გამოთქმისათვის, კეთილშობილური ბუნება, აგრეთვე ჩვეული ოსტატობით შეგვეძლო გამოგვეძერწა ჩვენი სათქმელი, ხოლო ეს — კარგია. და თუ ადამიანში უცილობლად კარგ, სასარგებლო თვისებებს შევამჩნევდით, ჩვენ მხურვალედ მივესალმებოდით ამ წამოწყებას.

— აჰ, თქვენ ისეთი დადებითი ხართ, ისეთი დადებითი, — თვალზე ცრემლი მოადგა მამიდა არიადნას, — ხოლო ეგ, ხოლო ეგ — ისე კარგიააა...

— ოო, — ფიქრებში ჩაეფლო დუილიო, — დადებითი ადამიანის განსახიერება დიდ ოსტატობასა და ღრმა ფსიქოლოგიურ აზროვნებას მოითხოვს.

აქ კი როზინას, აი, სწორედ იმას, ჰალში რომ იყო, თმაგაპრიალებული ცოლით გაახსენდა და აფორიაქდა.

— ხშირად შემოიარეთ ხოლმე ჩვენთან, ხშირად, სენიორ დუილიო, — გადაჯვარედინებული ხელები მკერდზე მიიხუტა მამიდა არიადნამ, — თქვენი საუბარი მუდამ საუცხოო მოგონებებს აღმიძრავს.

— და თუ თქვენი გული მზადაა მშვენიერებისადმი შესახვედრად, — გაიბადრა დუილიო, — მაშინ მოდით და ვიმღეროთ კარგი და ლამაზი სიმღერები.

— ოღონდაც, ოღონდაც, ვიმღეროთ, აკი ვამბობდი, — შესძახა მამიდა არიადნამ და უცებ გაშრა, — რა იყო, რა დაგემართა, კონჩეტინა?

კონჩეტინა კი ცხარედ სტიროდა. „რა იყო, პატარავ", — იკითხა დუილიომ და მხარზე დაადო ხელი, „ნეტავ რომელმა ცუდმა ადამიანმა აწყენინა," — გაუკვირდა სილვიასაც და ნაზად აკოცა ლოყაზე. „მითხარი, მითხარ, — აღშფოთდა მამიდა არიადნა, — ვინ ამიტირა ხელგანთქმულ კარრასკოთა შთამომავალი, მიპასუხე, მითხარი,". კონჩეტინა კი სუსტად ამბობდა: „აჰ, არა, არა, არაფერია..." და რომ დამშვიდდა, მამიდა არიადნამ თვალები მოჰუტა და იკითხა: „რაღაცა კარგი უნდა გვექნა, რამ დამავიწყა, რაღაც მიხაროდა და..." „უნდა გვემღერა, ჩვენო კარგო, — მიუგო

დუილიომ, — უნდა გვემღერა კარგი და ლამაზი სიმღერები, რომლებიც...“ „სწორია, სწორი, უნდა გვემღერა, აკი ვამბობდი, — ტაში შემოჰკრა მამიდა არიადნამ, — მე ისე მიყვარდა ერთი უწყინარი სიმღერა...“ „ეგ რომელი — „გული თვალია ჩვენი?“ „აჰ, არა, არა, სიმღერა ბენზე...“ „გთხოვთ, გთხოვთ, ყველანი გთხოვთ...“ — მხურვალედ სთხოვეს დანარჩენებმა, ხოლო მამიდა არიადნამ თმა ფაქიზად შეისწორა, მალულად გახედა შორეულ სარკეს, და ათრთოლებული ხმით ასე დაამღერა:

ნეტავ, რა უნდა ბენს?
რა ადარდიანებს ბენს?
რა?
რაა?
რა და ლამაზი ენატრება ბენს,
კოშკში რომ ცხოვრ-ოოოობს...

* * *

შორიდან კუნძი მიწაზე გატრუნულ, ნახტომისათვის გამზადებულ კაცს ჰგავდა. მშვენივრად იცოდა, კუნძი რომ ეგდო, მაინც იქითკენ წავიდა და, ყოველი შემთხვევისათვის, შესამოწმებლად ფეხი წაჰკრა, მერე ზედ შედგა. რაღაცნაირად უხერხულად ჩამოხტა და ფეხი გადაუბრუნდა. წამით თითქოს დანა დაუსვეს წვივზე, გამწარებულმა, ნიკაპი მაღლა ასწია და მაშინვე გადაუარა. ღრუბელს ახედა, იმ ლაქას ჰგავდა. ფრთხილად გაემართა გადაჭრილი ხისკენ, მიმოიხედა. არავინ ჩანდა, ძეხორციელი, მაინც უნდო იყო ღამე... ცალ მუხლზე დაიჩოქა, მიწა რბილი იყო, ნაწვიმარი, მოკლე ჯოხით ადვილად იჩიჩქნებოდა. პირველმა დრაჰკანმა რომ გაიბზინა, მეორე მუხლზეც დაიჩოქა და, გადახრილი, იმ ციცქნა ორმოს მთელი ტანით გადაეფარა. ხურგმორკალული, ათივე თითს ოქროს ფუ კლში თვალდახუჭული ურევდა, მერე ორ-ორად ამოიღო, ბეჯითად ითვლიდა: „ორი, ოთხი, ექვსი...“ ოცი დრაჰკანი რომ შეაქუჩა, ისევ მიწა დააყარა დანარჩენს და ხელისგულებით სახელდახელოდ დატკეპნა, მაინც ოდნავ შემაღლებული ჩანდა ამოვსებული ორმო. ცალი პეშვი მიწით აივსო, მეორეში დრაჰკანებით — ჭკავა, ძლივს ეტეოდა ხელისგულზე, მუცელზე მიეხუტებინა. ის ზედმეტი მიწა ახლოს არ დაყარა — ყოველი შემთხვევისათვის, ვინმე რაიმეს არ მიმხვდარიყო... ათიოდ ნაბიჯი გადადგა და მერეღა მოიქნია ხელი. დრაჰკანები კი ფრთხილად ჩაიდო ჯიბეში და, რომ არ აეჟღარუნებინა, ხელისგული მიიკრა ბარძაყზე. ჩაბნელებულ ხის სახლს ჩაუარა, მოქეიფენი აღარ ჩანდნენ, გვიანი იყო.

ქალაქში რომ შევიდა, ქვაფენილიდან ყრუდ არეკლილი საკუთარი ფეხისხმა არ ესიამოვნა, მიმოიხედა. ვიღაც პატარა, მოკუნტული, კედელს აკვროდა და ისე შესცქეროდა. დაგლეჯილი ხალთიდან სინათლე ბჟუტავდა, ვინ იყო, რა იყო, ვერაფერს მიხვდა... მხოლოდ ის იგრძნო, გაქცევა რომ არ შეიძლებოდა და, უეცრად შიშით გათამამებული, პირდაპირ იმ კაცისაკენ გაემართა. კაცი ერთხანს უფრო მოიკუნტა, მაგრამ მერე ადგილს მოსწყდა და, ცალ ხელში ანთებული ფარნით, სადღაც გაიქცა, ფარნის წყალობით კედლებზე აფართხალებულ უზარმაზარ ჩრდილებს გაურბოდა თითქოს. დომენიკოც გაიქცა, ოღონდ არტუროს სახლისაკენ, ჯიბეზე ხელმიკრული, ქოშინით მიადგა ჭიშკარს, ცალი ხელი ჩასჭიდა, დაეყრდნო და, სანამ სულს მოითქვამდა, მძინარე ქალაქს შეშფოთებულმა დაუგდო ყური, და საბოლოოდ დამშვიდდა, როცა შორიდან მოესმა შეშინებული ძახილი: „ღა-ამის ორი საათია და ყველაფერი რიგზეაააა...“

## სეირნობის საათი

მთავარ მოედანზე, აუზის ირგვლივ, ლამაზ-ქალაქელები ისხდნენ და ძალიან ხმამაღლა ლაპარაკობდნენ — შადრევნებიდან ლონივრად სჩქეფდა წყალი. გვიანი შემოდგომა იდგა, დროებითი მადლი მომატებოდა მზეს. თხელი, მოხდენილი კონჩეტინა ახალთახალ, წითელ ტანსაცმელში გამოპრანჭულ ტულიოს ესაუბრებოდა და გვიან შენიშნა დომე-

ნიკო, რომელიც იქვე იცდიდა და მისალმების ნიშნად ძსუბუქად ჩაიმუხლა, დომენიკომ კი, თუმცა ნატკენი ფეხი აწუხებდა, ქუსლი მიირტყა ქუსლზე და თავი დახარა — ამჯერად მშვენივრად აღასრულა ლამაზ-ქალაქელთა წესი, არავის გაღიმებია. საყელოშებნეულ ვინსენტეს დინჯად, ამაყად მოჰყავდა ხელმკლავით ახლადშერთული ცოლი, მოხდენილი ღიმილით ესალმებოდა ნაცნობებს. სეირნობის საათი იყო, და მარტოხელა ედმონდოს ვერაფრით გადაეწყვიტა, ვის ასდევნებოდა — ხან რომელს მიაბჯენდა წებოვან მზერას და ხან რომელს, მაგრამ ყველანი თვალს არიდებდნენ. კოხტად, მოკლე ნაბიჯით მოსეირნე დუილიოს კი ყველა ალერსიან ღიმილს უძღვნიდა. დუილიომ კი, როგორიც იყო, თქვა: „წყაროდან ჰიქას... ნუ წამოიღებ!“ „აჰ, არა, არა, არ წამოვიღებთ,“ — ყველას სახელით მიუგო ვინსენტემ და დარბაისელ სენიორ ჯულიოს პატივისცემით დაუკრა თავი. აჰ, რა დღე იყო, და კიდევ უფრო უკეთესი იქნებოდა, რამდენიმე ლამაზქალაქელს ჩალურჯებული რომ არ ჰქონოდა სახე, „უჰ, ეგ წყეული ალექსანდრო, — თქვა მამიდა არიადნამ და გაიკვირვა, — აგერ არ პოდის?“

მთელი ქალაქი დასეირნობდა, ქოლგიანი, მარაოებიანი ქალები და დარბაისელი მამაკაცები ღირსეულად ესალმებოდნენ ერთმანეთს, გალიებში ჩიტები სტვენდნენ, ნიავს მოჰქონდა იმ საკრავის ხმა, სულად ფრინველი რომ ჰყავდა და უპატრონო, დაჩაჩანაკებული მოხუცის დანახვაზე კუმეოს თვალები ავად გაუბრწყინდა, მერე მიეპარა, ქუდი მოხადა და აუზში ჩაუგდო. მოხუცი გამწარდა, უღონოდ მოუქნია აცახცახებული ხელი, მაგრამ კუმეო ღრეჭაღრეჭით გახტა განზე და შეჰყვირა: „აბა, აბა, ტაშ-მაიმუნ, ტაშ-მაიმუნ...“ აქ კი ვინსენტემაც ველარ მოითმინა, საყელო გაიღელა და შესძახა: „ტაშ, ტუშ, მაიმუნ, ტაშ, ტუშ, მაიმუნ...“ მაგრამ მეუღლის საყვედურით ალსავსე მზერა იგრძნო, ისევ შეიბნია საკინძე და უნაკლოდ დაუკრა თავი რომელიღაც ღირსეულ მოქალაქეს. ალექსანდრომ მხრები აიჩეჩა და გაკვირვებულმა ჩაილაპარაკა: „უცნაურია, უცნაური; მე — გიჟი და ესენი — ჭკვიანი?“ მზიანი დღე იდგა, და სეირნობდნენ, სეირნობდნენ ლამაზ-ქალაქელები, თმაგაპრიალებული ცილიო, დიდი წითელი მიხაკით ხელში, ჰალღელ როზინას ესაუბრებოდა და ზურგით იდგა სილვიასთან, რომელიც დობილს უცდიდა. როზინა თავდახრილი იდგა და ხანდახან უარის ნიშნად ოდნავ გაიქნევდა თავს, და როცა ცილიომ მკლავზე წაავლო ხელი და ყურში მწველი სიტყვები ჩასჩურჩულა, როზინამ საკმაოდ უხეშად გამოსტაცა მკლავი, ცილიო ერთხანს დაიბნა, მაგრამ სწრაფად მოიკრიფა გამბედაობა და უცებ სილვიას მიუბრუნდა, რომლის წინაშეც აქამდე ზურგით იდგა და უთხრა: „ამასთან ლაპარაკში თქვენ შემიყვარდით, გნებავთ, გავისეირნოთ სადმე?“ „რა თქვით, ცილიო?“ — ვითომც ვერ გაიგო სილვიამ და თან ეტყობოდა, რაღაცას გამალებული რომ ფიქრობდა. სადღაც, შორიახლოს, გამხმარ ფოთლებს სწვავდნენ, კვამლის ტკბილ-მომწარო სუნი მოჰქონდა ნიავს, ფიქრებში ჩაფლულ ალექსანდროს მზისთვის მიეშვირა ლოყა და მთვლემარე მზერა გააყოლა ხელიხელგაყრილ, ჰალისაკენ მიმავალ ცილიოსა და სილვიას, მერე დაინტერესებულმა შეხედა ბრაზისაგან სახედალმეჭილ როზინას და მაშინვე მიხვდა, სამუდამოდ რომ ჩაიშალა ყოველნაირი სასიკეთო ურთიერთობა იმ ორი ახალგაზრდა ქალიშვილისა, რომელთა მეგობრობაც სამაგალითოდ ითვლებოდა ლამაზ-ქალაქში. ხოლო როცა გამოჩნდა უგო, ახალგაზრდა გიჟი, და როცა იმან ვიღაცას მუქარით ალსავსე სიტყვები უთხრა, აქ კი ალექსანდრო გამოცოცხლდა, მხნე, ჯანღონით ალსავსე კაცად წარსდგა უგოს წინაშე:

— აბა, დაფიქრდი, აბაა, ჩემო კარგო, ჩემო ბიჭუნავ, კარგად დაფიქრდი, რას ამბობ, — დაუყვავა ალექსანდრომ, — იცი თუ არა შენ, რომ ეს — ცუდია?

— დავკლავ, დავკლავ, კამორული დანით...

— ასე არ შეიძლება, უგო, როგორ შეიძლება ასე? — უსაყვედურა ალექსანდრომ, — აბა, დაფიქრდი, რაებს იძახი?

— წვრილი, წვრილი დანით, — თქვა უგომ და ხალხს მოავლო ამღვრეული მზერა, — წვრილი დანა უფრო ღრმად ჩადის...

— გამოფხიზლდი, გამოფხიზლდი, უგო, — შეკრთა ალექსანდრო, — შენ ისეთივე კარგი ხარ, როგორც ყველა, მაგრამ ისევე დაბინდული გაქვს გონება, როგორც ყველას, ოღონდ სულულ ცოტათი უფრო. მთავარია, რომ შეიგნო შენი შეცდომა და ყველაფერი რიგზე იქნება, დარწმუნებული ვარ. ცოტათი ჯიუტი კი ბრძანდები, მაგრამ არა უშავს, გიშველი — შენთან დაძაბული მეცადინეობა აუცილებლად გამოიღებს სასურველ ნაყოფს. ფუჰ, რა სულელური გამოთქმაა, მაგრამ ახლა ამის დრო არაა, აბაა, თანმიმდევრულად დავიწყოთ, ხომ გაგიგია, თანმიმდევრობა წარმატების საწინდარიაო. აღარ მახსოვს, მე ვთქვი პირველად ეს, თუ ვინმე სხვამ, ისე კი ორივე შემთხვევაში საკმაოდ ბრიყვული გამოთქმაა, მაგრამ ეს ჩვენ ხელს არ, შეგვიშლის, აბა, ჯერ იქიდან დავიწყოთ, რომ შენ ასე უნდა თქვა: მოგატ-ყუეთ, მოგატ-ყუეეთ, — გასჭიმა სიტყვები ალექსანდრომ და უცებ სხაპასხუპით დაუმატა: — არავისაც არ გამოვჭრი ყელს!

— ისეც ალესილს, ისედაც მბზინავს, უფრო ავლესავ...

— შეიძლება თამამად ითქვას, რომ შენ აშკარად ვერ გამიგე, უგო: აბა კარგად დამიგდე ყური, აი, ასე უნდა თქვა: — და ოდნავ წაუმღერა: — არ გამოვჭრიი ყელს.

— ღამით, გზააბნეული, მოსახვევში გადამაწყდება...

— უგო, უგო, ეგრე კი არა, არამედ, აი ასე: აბა მოდი, ერთად დავფიქრდეთ, ვიკითხოთ, — და ხმა დაიწვრილა, — ვის რა დაუშავებია ჩემთვის? — და ბოხი ხმით უპასუხა თავისივე შეკითხვას: — არავის, — მერე კვლავ წვრილი ხმით იკითხა: — ჰოდა, რატომ უნდა მოვკლა ვინმე? — არ უნდა მოვკლა, — ისევ დაიბოხა ხმა და მერე ჩვეულებრივად ალაპარაკდა: — ახლა ხომ გასაგებია, ჩემო ბიჭუნავ, ხომაა გასაგები? და, აბაა, გასაგები თუაა, გაიმეორე: არავისაცარგამოვჭრიყელს!

— შიგ ბეჭებში, შიგ ბეჭებში... — მუქარით თქვა უგომ და მწვანე თვალებში ნაცრისფერი თევზი გაეკლაკნა, — მერე კი გულში, შიგ გულში, გულში...

— შიგ გულში, არა? — იწყინა ალექსანდრომ, — აბა, რას ამბობ? რაებს იძახი? ეგ ხომ აშკარად ეწინააღმდეგება იმას, რაც მე დაგარიგე... — და მაინც თავი გაიმხნევა, — არა უშავს რა, ბოლოს მაინც გამოგასწორებ...

— თქვენისთანა ადამიანები ვერავის გამოასწორებენ, — ვეღარ მოითმინა დუილიომ, რომელიც იმათ საუბარს სხვებთან ერთად თავშესაქცევად უგდებდა ყურს, — თქვენისთანა ადამიანებმა მხოლოდ შეიძლება დააბნიონ და გზა აურიონ სხვა ადამიანებს, ეს ცხადია.

— ოჰ, შენც აქა ხარ? — აგდებულად შეათვალიერა ალექსანდრომ და გვერდზე გადახარა თავი, — როგორ ბრძანდებით, დუილიო, პატარავ, ხომ კარგად გეძინათ წუხელ?

— არაა შენი საქმე! — გაცხარდა დუილიო, — თუ შეიძლებოდეს, ზრდილობიანად ილაპარაკეთ.

— არაფერი მიკადრებია, ბატონო, ცუდი, — ვითომ შეეშინდა ალექსანდროს, — თუმცა, მართალი ბრძანდებით, მისალმება დამავიწყდა, მაგრამ არა უშავს რა, ახლავე გამოვასწორებ, — და მდაბლად დაუკრა თავი, — გამარ-ჯოობათ, გამარ-ჯოოობათ, პატივსაცემო დუილიო... ხომ კარგად გეძინათ წუხელ, თუ... — და ვითომც შეშფოთდა, — თუ... გაწუხებდათ შავბნელი სიზმრები?

— არაა შენი საქმე... გამარჯობა, —

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაინც დაიცვა წესი დუილიომ, — სისულელეებს ჩმახავ და კიდევ უფრო უმღვრევ გონებას საბრალო ჭაბუკს...

— ეგებ მირჩიოთ, როგორ მოვიქცე? თქვენთვის ხომ რჩევა არაფერია...

— როგორ და... როგორ და... — ფიქრებში ჩაეფლო დუილიო, — ჯერ ეგ ერთი, უპირველეს და უწინარეს ყოვლისა, მაგისთვის მთავარია დიეტა და რეჟიმი.

— ხომ ვერ დააზუსტებთ?

— სიამოვნებით, — ეშხში შევიდა დუილიო, — ჩვენ ყველამ ვიცით, რაოდენ სასარგებლოა კომბოსტო. უგოს ულუფაში კომბოსტოს თვალსაჩინო ადგილი უნდა ეკავოს.

— გიყვარს კომბოსტო, ჩემო კურდღელო? — ნაზი ღიმილით შეაცქერდა დუილიოს ალექსანდრო, — მაშ, კომბოსტო, კომბოსტო, კომბო-სტო, არა?

— კურდღლები და ოფოფები მაგ შენ თავქარიან თავში მოიკითხე! — გაბრაზდა დუილიო, — როგორ მიბედავ!!

— კარგი, კარგი, ნუ ხართ ასეთი ფიცხი, დუილიო, და ნუ მაშინებ, ძალიან მეშინია, — თავი მოისაწყლა ალექსანდრომ, — რაღაცაო, რეჟიმიო, რაღაცას კიდევ ამბობდი.

— დიახ, რეჟიმი! — ამაყად განაცხადა დუილიომ და ხალხს მოავლო მზერა, — წესიერმა ადამიანმა უნდა დაიძინოს გარკვეულ დროს, გაიღვიძოს აგრეთვე გარკვეულ დროს და...

— და თუ უწესივრო ადამიანი თავის დროზე ადრე გაიღვიძებს, თავი უნდა მოიმძინაროს? — დაინტერესდა ალექსანდრო.

— არაა შენი საქმე! და არ უნდა ილაპარაკოს შენსავით სულელურად — მისი სიტყვა უბრალო და ცხადი უნდა იყოს, როგორც ნაკადულის ფსკერზე დაგდებული კენჭი.

— როგორ?

— როგორ და ჩემი სიტყვები საჭიროების შემთხვევაში კიდევ უფრო მთამბეჭდავსა და მისაწვდომს ხდიან რთულ ფსიქოლოგიურ ამბავს.

— იფ, იფ, რა მარტივად თქვა?! — გაიოცა ალექსანდრომ.

ხალხი წრედ შეიკრა, წრის შუაგულში დუილიო, ალექსანდრო და უგო იდგნენ, ბიჭს არ ესმოდა, რას ლაპარაკობდნენ და, თავის ამღვრეულ ფიქრებში ჩაფლული, მოკლე ჯოხს თითებს უჭერდა და ჩურჩულებდა: „გულში, შიგ გულში, მუცელში, ყელში“...

— ეგებ ლაპარაკიც დამიწუნო, — აგდებულად შეათვალიერა დუილიომ, — ეგებ ამბის მოყოლაშიც გამეჯიბრო, თავხედო...

— რატომაც არა, — არ დაიხია ალექსანდრომ,—კი ბატონო, გავეჯიბროთ... არსებობს ერთი არც თუ ისე სულელური გამოთქმა — „ცდა ბედის მონახევრეაო“ — შევეცდები მეც...

— აი, თავხედი! — ხალხს მიუბრუნდა დუილიო, — ნუთუ ვერ ხვდება, რომ ყოველთვის დავამარცხებ, ყველგან, ყოველნაირ ამინდში...

— ყოველნაირ ამინდში?

— დიახ, დიახ!

— რომ წვიმდეს, მაშინაც?

— კი.

— რომ თოვდეს, მაშინაც?

— კი.

— და რომ ქუხდეს, მაშინ?

— კი, კი.

— და მზე რომ პირს იბანდეს?

— კი-მეთქი, კი.

— და... — ცას ახედა ალექსანდრომ, და თითით უხილავი თალი გადაივლო თავზე, — და ზუსტად ასეთნაირ ამინდშიც?

— დიახ, დიახ, კი!

— მაშინ, — ხელი ასწია ალექსანდრომ, — მოდი, დავიწყოთ.

წრის შუაგულში ორნილა იდგნენ — უგო ჯერ შეკრთა, მერე თავი ასწია და ღომენიკოს შეხედა: უეცრად შეშინებულმა, დაბნეულმა, თავი ჩაქინდრა და, მხრებაწურული, ფეხისწვერებზე ფრთხილად მიმავალი, შეუმჩნევლად გავიდა წრიდან.

— აჰ, ის გვიამბეთ, ის ამბავი, კე-

თილშობილ ქალზე, — შესძახა მამიდა არიადნამ, — მე ისე მიყვაარს...

— ეგ რომელი, წყალში რომ ჩავარდა?

— არა, არა, — მარაოიანი ხელი გაასავსავა მამიდა არიადნამ, — აი ის, ქმარს რომ სხვა შეუყვარდება და...

— აა, თქვენს ოჯახში რომ გიამბეთ? თქვენს ძვირფას ოჯახში... კონჩეტინაობა დღეს?!

— ოღონდაც, ოღონდაც, დიახ...

— მაშ, ყური მიგდეთ, — თქვა დუილიომ და გაიმართა, — ძალზე კარგია, რომ შემახსენეთ, მიბოძეთ ხელი... აი ეს კაცი სრულებითაც არაა ღირსი, მაგრამ მაინც ვუამბობ.

— ხელს არ შეგიშლი, დუილიო, ბოლომდე მოგისმენ, ბოლომდე ავიტან. ჩემი იმედი გქონდეს, იცი, რამდენი ვაჭირვება გადამიტანია? მიდი, წამოიწყე, დუილიო, პატარავ...

— ვინაა შენი პატარა! ვის უბედავ მაგას...

— სიყვარულით გეუბნები, დუილიო, ტკბილო...

— არ მინდა მე შენი სიყვარული...

— რა ვქნა, სხვაგვარად არ შემიძლია... შენც კი მიყვარხარ.

— ყურადღებას ნუ მიაქცევთ, სენიორ დუილიო...

— მიდი, დაცხე დუილიო, შენ ძველო, შენი... — დაიყვირა ვინსენტემ, მაგრამ შეცბა და სასწრაფოდ შეიბნია ღილი, — უმორჩილესად გთხოვთ.

— იყო ერთი ქალი და ერთი კაცი, — უგულოდ წამოიწყო დუილიომ, მუჭში ჩაახველა და უცებ ლაპარაკის იშტაზე დადგა, — მეგობრებო, მეგობრებო, ყური დამიგდეთ — ჰოი, რამდენი რამაა ხანდახან თითოეულ წინადადებაში — სიკეთე, ბოროტება, შუამავლობა — ყოველ წინადადებას ჩაკვირვება უნდა, — ამბობდა აღფრთოვანებული დუილიო, — რაოდენი რამ იმალება უბრალო სიტყვებს მიღმა, აი, თუნდაც, გამოთქმა: „ვერ იმღერებს ყვავ-ყორანი იადონის ხმაზე“ — აი, სწორედ ამ წინადადებაში ნებისმიერი სიტყვა უბრალოა, „ყვავ-ყორანის“ გარდა, მაგრამ რამდენ [illegible]იშნებს, ა? მაშ ასე, ვიწყებ, — [illegible]ლა შემართა დუილიომ, — ამ რამდენიმე ხნის წინათ, კეკლუც გაზაფხულზე, როცა ხეები თეთრად და ვარდისფრად საამურად აფეთქდნენ, ერთ ქალსა და ერთს კაცს ძალიან, ძალიან სამაგალითოდ შეუყვარდათ ერთმანეთი. გაცნობის შემდეგ ისინი დაახლოვდნენ, ჩამოჯდებოდნენ ხოლმე ღელის პირას, ქორფა და ხასხასა ალივლივებულ მდელოზე...

— როგორ მდელოზე? — დაინტერესდა ალექსანდრო...

— ქორფა და ხასხასა...

— არა, არა, მესამეც ხომ თქვი რაღაც...

— ალივლივებულ მდელოზე?

— ჰოო-ჰო. ბოდიშს ვიხდი, განაგრძეთ.

— ჩამოჯდებოდნენ მდელოზე, — განაგრძო დუილიომ, — და იმ ანკარა ნაკადულის ჩუხჩუხში...

— ნაკადული იყო თუ ღელე...

— არ მინდა! — გაბრაზდა დუილიო, — ყოველ წუთას რატომ მაწყვეტინებს! აღარ მოვყვები!

— ჯერ ღელე თქვა და იმიტომ გამიკვირდა.

— სულერთი არაა? — გაბრაზდა მამიდა არიადნაც, — ჩუხჩუხია აქ მთავარი და არა მდელო...

— ბოდიში, ბოდიში... კრინტიც აღარ დამცდება.

— გამიფუჭა ხასიათი...

— ჩვენი ხათრით, დუილიო... ჩვენი ხათრით, რაა... — შეევედრა მამიდა არიადნა და დუილიომ, როგორიც იყო, კოხტად განაგრძო:

— და ამ ანკარა წყალის ჩუხჩუხში კაცი ქალს სიყვარულს სასიამოვნო ხმით ეფიცებოდა, იგი კი... იმას კი, მეგობრებო, ნაზი ლაწვები შეუფაკლდებოდა...

ალექსანდრომ ჩაახველა.

— შეუფაკლდებოდა და ასე უსმენდა, მერე წამოდგებოდნენ და ქალაქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში ბრუნდებოდნენ, თუკი შეიძლება ასე გამოითქვას...

— როგორ არ შეიძლება, შეიძლება, თამამად შეიძლება, როგორ არა... — გამამხნევებლად შესძახა მამიდა არიადნამ.

— ნუ აწყვეტინებთ, ქალბატონო, თუ შეიძლებოდეს, — მიმართა ალექსანდრომ.

— ქალაქში თავ-თავიანთ სახლებში მიდიოდნენ და გულისფანცქალით ელოდნენ გათენებას, და გრძელი ღამე რომ გაივლიდა, დილით ხელ-პირს დაიბანდნენ და მერე ისევ ხვდებოდნენ ერთმანეთს. ბოდიშს ვიხდი გამოთქმისათვის, მაგრამ კაცი ისევ უამბობდა მას თავისი გრძნობების შესახებ და ქალიც უსმენდა, შემდეგ კი ისინი დაქორწინდნენ — ორივე კარგი ადამიანი იყო.

— შესანიშნავია, შესანიშნავი-მეთქი, — წამოიძახა მამიდა არიადნამ, — და მერე, მერე?

— და სწორედ ამ ქალს ძალიან უყვარდა და კიდევ უფრო შეუყვარდა თავისი კანონიერი მეუღლე. სიამტკბილობაში გავიდა რამდენიმე დრო... მეუღლე კარგი ჰყავდა და ქალი ძალიან ამაყობდა ამ გარემოებით, მაგრამ უეცრად ქალმა თანდათანობით შეატყო, რომ მის ქმარს სხვა უყვარდა. ყოველი შემთხვევისათვის, ქალმა დააზუსტა ეს მეტად სასოწარმკვეთი ამბავი და რომ დარწმუნდა, აღარც კი იცოდა, რა ექნა... მეუღლის თანდასწრებით იგი არაფერს იმჩნევდა, მაგრამ მარტოდ რომ დარჩებოდა, სულ ერთთავად სტიროდა, სახლის წინ კი, ბაღში, უნაკლო შადრევანი სჩქეფდა, ისინი ძლიერ კარგად ცხოვრობდნენ. სხვათაშორის, მშვენიერი ბაღი ჰქონდათ, ჩვიდმეტი ბროწეულის ხე და ოცდათხუთმეტი ნუშისა.

—რამდენი და რამდენი?

— ჩვიდმეტი და ოცდათხუთმეტი.

— აჰ, რა კარგი რიცხვებია, მერე, მერე? განაგრძეთ.

— და ქალი, საბრალო ქალი, ხშირად სტიროდა. ამას დაემთხვა თავის ტკივილები, უძილო ღამეები...

— საშინელებაა, საშინელება..., საბრალო ჩიტი...

— დიახ... არადა, იგი ხედავდა, რომ ქმარიც იტანჯებოდა — ქმარიც პატიოსანი ადამიანი იყო და დაუდგრომელი სინდისი ჰქენჯნიდა. და დაფიქრდა კეთილი ქალი: „ორივენი ვწვალობთ... რატომ უნდა ვიწვალოთ ორივემ... დაე, იწვალოს მხოლოდ ერთმა...“ და, იცით, როგორ მოიქცა?

— მე ვიცი, ვიცი, მაგრამ მაინც ჩქარა გვიამბეთ, დუილიო, ჩქარა გვიამბეთ...

— ეს ისტორია. — მწუხარედ წარმოსთქვა დუილიომ, — მე ტყუილად კი არ დავიწყე იმით, რომ ქალს ძალიან უყვარდა თავისი კანონიერი მეუღლე — და აი, რა ჰქმნა: მივიდა ქმართან და ეუბნება — აღარ მიყვარხარ, მე აღარ შემიძლია შენთან ცხოვრება, მე სხვა მიყვარს... და წავიდა, გაეცალა... სულ სხვა ქალაქში. წარმოგიდგენიათ? რა ბაღიც დატოვა...

— ეს გმირობაა, — ამაყად აღნიშნა მამიდა არიადნამ და თვალები ქარვისფერი ცხვირსახოცით შეიმშრალა, — მხოლოდ ქალს შეუძლია გაიღოს ამდაგვარი მსხვერპლი.

— ეს ადამიანობაა, — დააზუსტა დუილიომ, — ნამდვილი, რთული და მაინც უმაღლესი ადამიანობა — იგი სწორედ ისე მოიქცა, რომ საყვარელი ქმარი იმ ვერაგ ქალთან დასტოვა და თანაც სწორედ ისე მოიქცა, რომ ქმარი დაუდგრომელ სინდისსაც არ დაექენჯნა — სხვა მიყვარსო, ასე სთქვა მან.

— შესანიშნავია, დუილიო, აჰ — შესანიშნავი...

— რა თქმა უნდა, — დაეთანხმა მამიდა არიადნას დუილიო, — მეტად საგულისხმო ამბავია და განა ყოველი ქალი შესძლებს მსგავსი მსხვერპლის გაღებას? განა ყოველ ქალს მიუწვდება ეგზომი საქციელის ჩადენისათვის ჭკუა, გონება და ჯანმრთელობა? ამიტომ ამ ისტორიის დაწყებამდე ტყუილ-უბრალოდ კი არ გამახსენდა გამოთქმა: „ვერ

იმღერებს ყვავ-ყორანი იადონის ხმაზე“.

— შესანიშნავია, შესანიშნავია, — აღტაცებული მზერა მოავლო ლამაზ-ქალაქელებს მამიდა არიადნამ და ალექსანდროს გამომწვევად დაეკითხა: — ახლა რაღას იტყვით, რას იტყვით, ჰა?

ის ჩუმად იდგა, თვალმოჭუტული.

— რას იტყვით, ალექსანდრო? — გაამაყდა დუილიო, — თუ არ ვცდები, სწორედ თქვენ გეკითხებიან...

— რას?

— რას და ამბის ღირსებას, სხვა რას... კარგი იყო ეს ისტორია?

— აგაშენა ღმერთმა, — შეაქო ალექსანდრომ, გამარჯვებული ღიმილით სახეგაბადრულ დუილიოს მხარზედაც მოუტყაპუნა ხელი და უცებ დაამატა: — მაგრამ ტყუილია...

— ჰა... — დაიბნა დუილიო, — როგორ თუ ტყუილი...

— როგორ და, ჩვეულებრივად — ტყუილია, ტყუილიიი...

— ვის უბედავ! — გაბრაზდა დუილიო, — მე ხომ ისტორიის დასაწყისშივე ავღნიშნე, ნამდვილი ამბავი-მეთქი...

— ტყუილი კია და...

— როგორ, როგორ თუ... ხედავთ, რას ლაპარაკობს? არა, რას ლაპარაკობს, ხედავთ?

— და გინდაც ნამდვილი ამბავი იყოს, ვთქვათ, დავუშვათ, არა? — მაინც ტყუილია, — თქვა ალექსანდრომ, — ტყუილია და რა ვქნა, დუილიო, პატარავ... ხდება ხანდახან ისეთი ნამდვილი ამბებიც, რომლებიც ტყუილია...

— ხედავთ, ხედავთ, რაებს იძახის, — აღშფოთდა დუილიო, — როგორ შეიძლება, ნამდვილი ამბავი იყოს ტყუილი?

— მშვენივრად შეიძლება, მშვენივრად, პატარავ... და, შენ წარმოიდგინე, ისიც შეიძლება, ტყუილი რომ მართალი იყოს, ხომ არ დაგაბნიე, თუ იქნებ გამიგე, დუილიო, ხომ გამიგე, ტკბილო? — და თავზე გადაუსვა ხელი.

— ხელი აიღე! — გაწიწმატდა დუილიო, — ვის უბედავ, თუ იცი! არა, შენ თუ იცი, ვის უბედავ!

— შენ გიბედავ, შენ, დუილიო, პატარავ, ტკბილო... — ალერსიანად შეაცქერდა ალექსანდრო, — და თუ გაინტერესებს, გინდა, ისეთ ტყუილს გიამბობ, მართალი რომ იყოს, გინდა, დუილიო?

— როგორ არა, როგორ არა, დავიჯერე, კი... — დაემანჭა დუილიო.

— თუ არ გინდა, ნუ გინდა, — ზურგი შეაქცია ალექსანდრომ, — აბა, წავედი...

— დაიცა, დაიცა, — შეშფოთდა დუილიო, — გვიამბე, კარგი, შენი ტყუილი, დიახ...

— ჰოო; როგორ არა — დიახ, — გამოაჯავრა ალექსანდრომ, — მართლა გიჟი კი არა ვარ, ისეთი კარგი ზღაპარი ყველას ერთად რომ გიამბოთ — აგერ, კუმეოს შეხედე, ერთი სული აქვს, რაიმე უხამსობა დაიძახოს. ეს ჩვენი ვინსენტეც ჩემი ზღაპრის დაწყებისთანავე საყელოს გაიღელს და ისეთს იტყვის, ისეთს რომ — მტრისას, და ანტონიოც მაშინვე აჰყვება და ჩვენი მხიარული ტულიოც გადაბჟირდება სიცილით... ადამიანებო! ყველას გიამბობთ იმ ზღაპარს, „ზღაპარს ბალახისფერ კაცზე“, მაგრამ ნურას უკაცრავად, ბოოოდიში, ეს ის საუბარი კი არაა — „ადამიანთა შორის უკეთესი ურთიერთობისათვის“ — იოტისოდენადაც არ მინდა, ამ ზღაპრის გამო ერთმანეთს რომ დასცხოთ და ამიტომ ცალ-ცალკე, სათითაოდ ყველას გიამბობთ, სუუულ ყველას, ახლა კი, ახლა კი, დუილიო, შინ უნდა წაბრძანდეთ, ხომ ხედავთ, როგორ მოიღრუბლა, მგონი, კიდეც წვიმს, ჰოო, წვიმს, წვიმს, — და ხელისგული ცას შეუშვირა, — აჰაათ, წვიმს, ხო-ხო, როგორ დაუშვა?

აღარავინ უსმენდა, შინისკენ გარბოდნენ.

## ბურუსი

სანამ ბურუსი ჩამოწვებოდა, ლამაზქალაქში ნისლიანი დღეები იდგა. წვრილად, უგერგილოდ სცრიდა, მუქი ღრუბლები იწელებოდნენ ცაზე, გზები ატალახდა, ღრმა კვალს ტოვებდა მიწაში ლანდო. ქვაფენილები ერთხანს ბზინავდა, მაგრამ იქაც შეაღწია მოსიარულეთა ფეხზე აკრულმა ტალახმა, ყოველივე დანესტიანდა, შეფუთვნილი მამიდა არიადნა შინიდან აღარ გამოდიოდა, უმძრახად დაიარებოდა ქუჩებში ხალხი, აკრიალებდათ, წებოვან მიწას ძლივს აცილებდნენ ფეხს. ქალაქი ჩაკვდა, გაიყლინთა, აღარ ისმოდა შეძახილები, მეეტლეებიც კი არ უწყრებოდნენ ცხენს, ტოტები დაუმძიმდათ გალუმპულ ხეებს, ყივილს უმატეს მოწყენილმა მამლებმა. „ხოხოხო, ბიჭო, რა საქეიფო ამინდია?“ — აღფრთოვანდა ტულიო და ქალაქგარეთ, არტუროს შენობისაკენ გასწიეს. დომენიკოს მაღალი ჩექმები ეცვა, მუხლს ზემოთ მთელი მტკაველით ადიოდა მაღლა; წვრილ წელზე მჭიდროდ შემოეჭირა ფართო, ვერცხლისბალთიანი ქამარი, განიერფარფლებიანი ქუდი წარბებამდე ჩამოეფხატა და ლურჯი ხავერდის მძიმე, ლამაზი მოსასხამი მოეგდო ბეჭებზე, ჯიბეში ოცდახუთი დრაჰკანი ედო — „წამოდით, წამოდით, ნუ გეშინიათ, — ილიმებოდა ტულიო, — დომენიკო გვპატიჟებს...“ კიბეზე ფეხები აბაკუნეს, საფეხურებს შეახოცეს ტალახი. და სახეგაბადრული არტუროს დანახვაზე ტულიომ თავისი მწვანე მოსასხამი კოხტად მიაგდო შორს, ოთახის კუთხეში დადგმულ სკამზე და სანამ სახეს ცხვირსახოცით შეიმშრალებდა, თქვა: „აბა, ჩქარა, რაც კი კარგი გაქვს — საჭმელო...“ არტურომ კუთხეში მიძინებული ორი თანაშემწე სულ კინწისკვრით წამოაგდო, და დაფაცურდნენ... თავები დასჭრეს ქათმებს, ყელი გამოღადრეს აჭყვირებულ გოჭს, ერთიანად დამბალ, ხეზე მოკლე თოკით მიბმულ ცხვარს გულში ატაკეს დანა, ეზოში სისხლი დაჩნდა ატალახებულ მიწას და ნაფეხურებში წითლად ამღვრეული წყალი ჩადგა. ფაციფუცობდა სახელოებდაკაპიწებული, იდაყვამდე სისხლში მოთხვრილი თანაშემწე, მეორე ცეცხლთან ჯახირობდა, აივანზე გადმომდგარი არტურო კი, ქოლგით ხელში, ბრძანებას ბრძანებაზე იძლეოდა და დროდადრო ალერსიანად შეეხმიანებოდა სტუმრებს, რომლებსაც ნახევარ წრედ შემოეწყოთ სკამები და აგიზგიზებულ ბუხართან თბებოდნენ.

ოთახის შუაგულში კი სუფრა იშლებოდა — ჯერ თეფშები მოარბენინეს, მერე პური, მწვანილი; ყველიც მოიტანეს, ჭაშნიკად ორი ხელადა მიართვათ არტურომ, ტულიომ ორივედან მოსვა, რიგრიგობით, მოწრუპავდა და თავაწეული, თვალმოჭუტული, სასმელის გემოზე გულდასმით ფიქრობდა, მერე ერთ-ერთი აირჩია და მაშინვე მაგიდას შემოუსხდნენ. „ოჰოჰო, ჰოჰო, ნაღდია, ნაღდი“, — ხელისგულები სწრაფად გაუხახუნა ერთმანეთს ტულიომ და სქლად დახვეული მწვანილი მარილში ჩააწო, ანტონიომ შუაზე გადატეხა ახლად გამომცხვარი პური და აორთქლებული ნაჭერი თავის სიძეს, ვინსენტეს გაუწოდა. ცილიომ საათი იკითხა, მერე მწვანე წიწაკა მოითხოვა და აცრემლებულმა მიატანა პური, ჯამები შეავსეს, „ჯერ ამით დავურტყათ ერთი-ორი, — გაეხარდა ტულიოს, მერე კი ჭიქებით, პატარა ჭიქებით შევუყვეთ, დიდხანს ვსვათ, დიდხანს...“ პირველი, ნახევრად შემწვარი ქათამი რომ მოიტანეს, მართლაც მომცრო ჭიქებზე გადავიდნენ, მერე უმი ხორცი ეუგემურათ და კვამლისაგან აცრემლებულ თანაშემწეს უკანვე გაატანეს. პატარა ხანს უმძრახად ისხდნენ, ზიზღი აღბეჭდოდათ სახეზე, მაგრამ იქვე გამხიარულდნენ, კოხტად დაბრაწული ვარიკას დანახვაზე, რომელსაც ანტონიომ მაშინვე ბარკალი აახლიჩა და მზრუნველად გაუწოდა ვინსენტეს, „მჟავე მოიტანე, არტურო, მჟავე“, — გასძახა ტულიომ და მაშინვე ედმონდომაც შემოაბიჯა. „გილოცავ,

გილოცავ, მრავალს დაესწარი, — გადაიხარხარა ტულიომ და ცილიოს მუხლზე დაჰკრა ხელი, — ამხანაგი მოგივიდა, ხედავთ?“ ქეიფის გუნებაზე იყვნენ, ხუმრობას ცდილობდნენ; თუ მაინცდამაინც ვერაფერიშვილი ოხუნჯობა გამოუვიდოდათ, ნაძალადევად იცინოდნენ და გულიანი ხარხარი ატყდა, ცილიომ საათს რომ ახედა და წასვლა მოისურვა, ტულიომ კი ედმონდოს უთხრა: „აბა, შენ იცი, გადაიფარე ზეწარი და მისდიე კუდში...“ ცილიოსაც კი გაეღიმა, ხოლო დამორცხვებულმა ედმონდომ თეფშს დააბჯინა ისეთი მძიმე მზერა, არავის გაუკვირდებოდა, თეფში რომ გაბზარულიყო. ცილიო არაფრისდიდებით არ გაუშვეს, „რა გინდა, ბიჭო, ახლა ქალებში, ბრრ, ისე ცივა...“ „სიცივეშია კარგი...“ — შეფიქრიანდა ცილიო, მაგრამ ტულიომ ქვა ააგდო და თავი შეუშვირა: „იცოდე, ახლა თუ წახვალ, სამუდამოდ დამკარგავ, იცოდე... — და მაშინვე ეშმაკურად დაამატა: — მე კაი კაცო, ამხანაგს გვიტოვებ?“ ცილიოს გაეღიმა, ხელი ჩაიქნია, თქვა: „ეჰ...“ — და დარჩა. კმაყოფილმა ტულიომ ორი ჯამით შესვა წვიმის — საქეიფო ამინდის სადღეგრძელო, და ახლად შემოტანილი ღორის მწვადი დააყოლა; ალბათ, ძალიან ესიამოვნა, რადგან თვალმილულულმა თქვა: „აჰ, ღნება, ღნება...“ და ყველანი მადიანად მიაძღნენ ხორცს.

მერე შემოემატათ დინო, სწორედ ის, ჯუზეპეს რომ გაარტყა და სკამებშუა მიაწვინა, და თვით დინოსგან დიდის კმაყოფილებითა და გაკვირვებით შეიტყვეს ჯუზეპეს მეორედ გალახვის ამბავი, „კი მაგრამ, როგორ მოერიე?“ — აღფრთოვანებული დაეკითხა ტულიო. დინომ მხრები აიჩეჩა, პატარა ყმაწვილი იყო, მაგრამ საოცრად ყოჩაღი, მკვირცხლი. „მაგრად დათეთქვე?“ — ჰკითხა ვინსენტემ და ყბაზე შეშინებულმა მოისვა ხელი, „ოო, იცოცხლე...“ — ჩაიცინა დინომ. ვაჟკაცობისა შესვეს. ანტონიოს დიდი, მრგვალი თვალები გაუელამდა, ტუჩები მაგრად ბომუწა და ლონივრად ქშინავდა. [illegible] სხვები კი უფრო გამხიარულდნენ, [illegible] სად იყო სად არა, შემოტორლიალდა თვით ჯუზეპე, დინომ კი თვალი უყო ტულიოს და ატლასის ფარდას შეუმჩნევლად ამოეფარა. ყბაშესიებული ჯუზეპეს დანახვაზე შუბლზე ახლადჩამოწოლილი ღრუბელი მხიარული შეძახილებით გაიქარვეს: „ოო... ოოო,“ ჯუზეპემ კი მის პატივსაცემად ფეხზე წამომდგარ ცილიოს პერანგი ამოუჩაჩა, ხოლო მთვლემარე ანტონიოს კისერში ჩააფაოა; ანტონიომ გაკვირვებით შეხედა ვინსენტეს, ცილიო კი შებრუნდა, ფეხები განზე გადგა და ისევ კოხტად ჩაიტანა პერანგი შარვალში, ხოლო როცა ჯუზეპემ ლონივრად, უმიზეზოდ შეჰყვირა: „ჰუტ!!! — ფარდა გადაიწია და არხეინად გამოვიდა პაწია დინო, ღონიჯშემოყრილი მიუახლოვდა უეცრად შოკუნტულ გოლიათს და მკაცრად ჰკითხა: „რა იყო, რა გაყვირებს, კიდევ ხომ არ მოგინდა?...“ „აჰ, ეს თქვენა ხართ? — ნაზად დაეკითხა ჯუზეპე, — დაბრძანდით, ოღონდ დაბრძანდით, აღარ ვიყვირებ...“ „შენი ხმა არ გავიგო, თორემ... — პაწია თითით დაემუქრა დინო, — რაღაც უნდა გეთქვა, ტულიო.“

ჯუზეპეს, როგორც ახლად შემოსწრებულს, ორი ჯამით შეასვეს ღვინო; იმან უხმოდ, მხოლოდ თავის დაქნევით დაილოცა და ჯამები მიიყუდა პირზე. ყველანი დაძაბულნი ისხდნენ: ედმონდოს ცილიოსი ეშინოდა, ცილიოს — ჯუზეპესი, ვინსენტესაც ჯუზეპესი, თავად ჯუზეპეს — დინოსი, დინოს — ტულიოსი ერიდებოდა, სუფრაზე სიჩუმე რომ ჩამოწვა, და ტულიოს კი დომენიკოსი — დამპატიჟებლის. დომენიკოს კი ყველასი ერიდებოდა, გაკვირვებული იჯდა და რიგრიგობით ათვალიერებდა ყველას. ერთადერთი, ვინც ბუნებრივად იქცეოდა, ანტონიო იყო— თავი ჩამოედო მაგიდაზე და ეძინა. მაგრამ ყველაფერი გამოსწორდა: ვიღაცამ რაღაც თქვა, ტულიომ გაიხუმრა, აქაიქ გაიცინეს, ამასობაში კვლავ შესვეს, ჯუზეპეს ისევ ორი ჯამით ათქმევინეს

სადღეგრძელო, ისიც ცოტათი გათამამდა და მადიანად მიაძლა საჭმელს. ცილიომ კი ერთი თავშესაქცევი ამბავი მოჰყვა — ვიღაც ხელმოცარულ მეთევზეზე, ზომიერად იცინეს, ისევ შესვეს, მერე კი, პატარა ხნით სიჩუმე რომ ჩამოვარდა, ედმონდოსაც მოუნდა თავის გამოჩენა და თქვა:

— კამორაში... თურმე... ერთხელ ერთმა კაცმა ცოლი მოიყვანა და იგი კი ქალიშვილი არ აღმოჩნდა.

— მერე? — გამომწვევად იკითხა ტულიომ და ბოლოკი ჩაკბიჩა.

— მერე — არაფერი... ქალიშვილი არ აღმოჩნდა.

ოო, დიდი სიცილ-კისკისი ატყდა: „მერე რა, შე ბლუ, დიდი ამბავი," „მოჰყვა რა, ესეც, ამბავს..." „ხოხო, რა გვიამბო, ბიჭო?" ყველა ხორხოცებდა, ხმაურზე თავწამოყოფილი ანტონიოც ვაელამებული თვალებით იღიმებოდა, და, ხარხარი რომ მიწყდა, ისევ ჩამოდო მაგიდაზე თავი. ჯუზეპემ დოქით მიიყუდა ღვინო, ხარბად, დიდი ყლუპებით გამოსცალა, საჩქაროდ გააქანა ხაჭაში წიწილა და, შექეიფიანებულმა, მაჯა მოისვა გაქონილ ტუჩებზე და თვით დინოს პატარა ხნით გულადად გაუსწორა თვალი. ხოლო მეორე დოქი რომ გაანახევრა, დინო აგდებულად შეათვალიერა, და თქვა: „ამასაც. რა, კაცი უნდა ერქვას..." „რატომ, სენიორ ჯუზეპე, — თავი მოისაწყლა დინომ, — პატარა რომ ვარ, იმიტომ დამცინით?" „დაგცინი კი არა, მე შენ გიჩვენებ სეირს, — განრისხდა ჯუზეპე, — ვის მოუქნიე შენ ხელი, ა? შე ბრიყვო, შენ..." „მე... მე არ მინდოდა... მე არ მომიქნევია..." — მოიკუნტა დინო და გათამამებულმა ჯუზეპემ აიღო და ღვინიანი ჯამი ესროლა. დინოსაც ეს უნდოდა, ჯერ კოხტად აიცდინა ჯამი, მერე წამოხტა, ჯუზეპესთან მიიჭრა, მარტო ერთხელ მოუქნია და თავის სკამიან-დოქიანა ზედ ბუხრის წინ გაადენინა ბრაგვანი. ამ საზარელ ხმაურზე არტურო და მისი თანაშემწენი შემოვარდნენ, განცვიფრებულნი დააშტერდნენ ჯუზეპეს, „წყალი, წყალი, — ყვიროდა ცილიო, — არიქათ, წყალი..." „არა ხართ არცერთი შემოსაშვები! — თავში ხელი წაიშინა არტურომ, — კაცი მომიკლეს აქ, ჩემს შენობაში, მთელ ამ ჩემ დუქანს გამიუქმებენ..." თანაშემწეები კი გულმოდგინედ აპკურებდნენ გამხლართულს წყალს, მერე არტურომ ყურები დაუსრისა, ლოყაზე სილა გაუტყაპუნა, საფეთქლებზე შემოაჭდო თითები, მაგრამ ჯუზეპე — იწვა, იწვა, სდუმდა. „არიქათ, შეშა! — იყვირა არტურომ, — ახრჩოლებული შეშა მოიტანე, შე ვირო, ეგება კვამლმა გამოაფხიზლოს..." თანაშემწემ მაშინვე მოარბენინა აალებული ტოტი, ჩააქრო და ლაზათიანად ახრჩოლებული შეშა ზედ ცხვირწინ მიუტანა. ჯუზეპე, როგორც ჩანს, სუნთქავდა, რადგან ჯერ ნესტოები შეუთამაშდა, მერე შეიჭმუხნა და გახარებულმა არტურომ გამოსაფხიზლებლად ერთხელაც რომ გაულაწუნა სილა, წამოჯდა და არტუროს სტკიცა ყბაში. მაგრამ აგდებულად მომღიმარე დინოს რომ შეხედა, ყველაფერი გაახსენდა, თქვა: „მე წავალ, წავალ," — ფეხზე წამოდგა, და მხრებაწურული გაემართა კარისაკენ. „კიდევ დაჩაგრავ პატარას?" — ისევ მოსაწყლებული ხმით დაადევნა შეკითხვა დინომ, ჯუზეპემ კი უარის ნიშნად ზურგსუკან გაიქნია ხელი. „აბა, მიდი, მიდით, ბიჭებო, გააცილეთ, — ხალისიანად წარმოსთქვა ყბაზე ხელმიფარებულმა არტურომ, — რამე არ შეემთხვეს გზაში..." ჯუზეპემაც დიდი ტორები მხარზე გადახვია თანაშემწეებს და ფრთხილად ჩაუყვნენ კიბეს.

— რომელმა გაარტყით? — იკითხა არტურომ, — ან რა დაარტყით — მაგიდა? სკამი?

— არა, არტურო, — მიამიტად აჩვენა პაწია მუშტი დინომ, — აი, მხოლოდ ეს...

— რას ამბობ, კაცო?

— აბა რა მექნა, ჯამი მესროლა.

— მოგხვდა?

— აჰ, არა!...

— რაღად გაარტყი...

— არ უნდა ესროლა და იმიტომ.

— ხომ აიცდინე?

— აცდენაშია საქმე? — გაიკვირვა დინომ და მხრები აიჩეჩა, — და რომ არ ამეცდინა, მაშინ?

— მერედა, შე უსვინდისო, — ხმადაბლა ჩაილაპარაკა ეს ნახევრად სალანძღავი სიტყვა არტურომ და მერე ხმა აიმაღლა, — მაგის გულისთვის კაცი უნდა მოკლა? განა შეიძლება ადამიანის მოკვლა? ადამიანი რომ მოჰკლა, ხომ დამიხურავენ მაშინვე ამ დუქანს, ა, ხომ დამიხურავენ, — და ისევ ძალიან დაიდაბლა ხმა, — შე უსვინდისო?

და არტურო მხოლოდ მაშინ დამშვიდდა, როცა თანაშემწეებმა ჯუზეპეს შინ მშვიდობით მისვლა ამცნეს. ის კი არა, საჭმელიც მოუთხოვია. გახარებულმა არტურომ ხელი მოჰხვია დინოს, ტულიომაც მჭექარე ხმით შესვა ვაჟკაცობის სადღეგრძელო, სუყველამ შესვა, მძინარე ანტონიოსა და დომენიკოს გარდა, და დინო თუმცა შეიჭმუხნა — თითქოს არ სიამოვნებდა ქება — მაინც, სადღაც, ეტყობოდა რომ გულის კუნჭულში უნებურად სიამოვნებდა ყოველივე ეს. დიდი ლხინი და ცეკვა-თამაში გაჩაღდა — ვინსენტემ სკამზე ააპაგუნა ხელისგულები. ტულიო კი მაგიდაზე შეხტა და კოხტად იცეკვა, მაგრამ ბოლოს მაინც ვერ შეიკავა თავი და ზედ ანტონიოზე დაეცა, რომელმაც გაიღვიძა და, როგორც ჩანს, კარგად გამოიძინა, რადგან არ იყო მაინცდამაინც მთვრალი, კუთხეში მიდგმული დოქით წყალი შეისხა, მერე ერთი ჯამი გამოსცალა, გამხიარულდა და თქვა: „თქვენი ჭირიმე, თქვენი ჭირიმეთ, ეს რა კარგი ბიჭები შევიკრიბენით, თქვენი კი ჭირიმე, კიდევ კარგი, არცერთი ხეპრე და უზრდელი რომ არ შემოგვერია, თორემ კუმეოს, ანდა ჯუზეპეს აიტანდა კაცი?“ ამაზეც ერთობ დიდი სიცილი ატყდა, „სულ, სულ ეძინა? ამდენი ხანი?“ — გადაფიჩინდა ტულიო. ვინსენტემაც ხარხარით აღნიშნა: „არა, ძმაო, ეს მართლა ბრიყვია...“ ხოლო კმაყოფილმა ცილიომ, რომელიც სიფხიზლეში მუდამ მალავდა სატრფოს ვინაობას, წამოაყრანტალა: „მართლა რა კარგი ვქენი, სილვიასთან რომ არ წავედი...“ და ტულიოსაც სხვა რა უნდოდა, მომეტებულად ახარხარდა: „გაიგეთ, გაიგეთ? არ გაყიდა თხასავით?“ გაკვირვებული ანტონიო კი ისე საბრალობლად ახამხამებდა თვალებს, და ისე საწყლად გამოიყურებოდა, რომ ედმონდომ მდგომარეობით ისარგებლა, ის თავისი მძიმე მზერა ზედ გადაბმულ წარბებშუა მიაწება ანტონიოს და შესთავაზა: „გინდა, ვიამხანაგოთ?“ ამაზე ხომ სულ გადაირივნენ, „ვაიმე, ვაიმე, აღარ შემიძლია მეტი, — იძახდა დაოსებული ტულიო, — რაღაც ცუდი თქვით, თორემ დავიხრჩვი, დავიხრჩვი, აღარ შემიძლია მეტი...“

და დომენიკომ პირველად გაიღიმა.

ლურჯი ხალათი ეცვა, ლურჯივე შარვალი, მაღალყელიან ჩექმებში ჩატანილი, ჯიბეს დრაჰკანები უმძიმებდა. ფართო ქამარი შემოერტყა წელზე, სიამოვნებდა; დაგემოვნებით გამოსცალა ჯამი, ესიამოვნა ღვინო, გაიმართა... მერე წამოდგა, ოთახში ამაყად გაიარ-გამოიარა, მუხლი გაშალა. ეს მხიარული, უდარდელი ჭაბუკი, გაცინებისას ლამაზ კბილებს რომ აჩენდა, მისი ამხანაგი იყო, „დილამდე ვსვათ, დილამდე, — გაიძახოდა ტულიო, — ახლა კი ვიმღეროთ, ერთიც, აპა, ჰა, ჰათ... კარგია!“ ოო, მაგრად დათვრნენ — ცილიოს შუბლზე ჩამოეშალა კოხტად დავარცხნილი ქოჩორი, ჭიპამდე საყელოჩაღეღილი ვინსენტე კი ისეთ სიტყვებს იძახდა, აუუჰ — მტრისას, ანტონიომ კიდევ სამი პირი გამოიძინა, და დომენიკოსაც, აბარბაცებულს, თავდამძიმებულს, კისერი მოსწყდა... მერე, დილა იყო... ხახაგამშრალმა ძლივს გაახილა თვალები, და გაოცების თავი რომ ჰქონოდა, გაოცდებოდა — ყველაფერი ზმუოდა ირგვლივ, დოქები, ჭიქები, აყირავებული სკამი... ბუხართან ტულიო იდგა, ჭიქით ხელში, სვამდა... ანტონიო საკმაოდ ყოჩაღად გამოიყურებოდა, ცილიოს რაღაც ლაქა გულდას-

მით ამოჰყავდა ხალათიდან. ვინსენტეს იატაკზე ანტონიოს მოსასხამი გაეფინა, ზემოდან — თავისი გადაეხურა და ეძინა, ფშვინავდა; საყელო გაღეღილი ჰქონდა და სიზმარშიაც ალბათ უწმაწურად იქცეოდა — გამომეტყველება ჰქონდა რაღაცნაირი, ისეთი... ედმონდო ჯიქურ მიჩერებოდა ცილიოს, კუმეო კი, ვინ იცის, საიდან შემოტორღიალებულიყო და ახლა, კუთხეში მიმჯდარი, ქათმის ძვლებს ღრღნიდა — ყველა, ყველაფერი ზმუოდა თითქოს!

დარეტიანებულმა დომენიკომ ძლივს აითრია წელი, და მაშინვე მხიარული შეძახილებით მიეგებნენ — ოო, ოოო... და ყველამ ხელი ჩამოართვა. „აბა, შეუვსეთ, — თქვა ტულიომ, დომენიკოს კი ერთი სული ჰქონდა, ხელები მაგრად დაებანა — კუმეოს თითებიდან აყოლილი ქონი რომ მოეცილებინა. ამასობაში დიდი, აორთქლებული ქვაბით შემოვიდა არტურო და, სახედაბუქებულმა, ღამენათევმა, ჩაყამებულმა, მხიარულად თქვა: „აბაათ, ბიჭებო, დილის წვნიანი...“ მადისამშლელი კერძი იყო, ორთქლში მძიმედ გაყლენთილიყო ნივრის სუნი, „ოჰოჰო, ჰოჰო — ნეტარებისგან თვალები დახუჭა ტულიომ, — სულ მზრინავს, მზრინავს...“ დომენიკომაც, ორიოდ კოვზით რომ დაითუთქა პირი, ერთბაშად საოცარი შიმშილი იგრძნო და მადიანად მიაძლა იმ დილის წვნიანს. ერთადერთი, ვინც თავს იკავებდა, ცილიო იყო, და ტულიო მეორე მათლაფას რომ შეუდგა, მერეღა გაახსენდა და ჰკითხა: „ალბათ სილვიას სულაც არ უყვარს ნივრის სუნი, არა?“ ყველამ ეშმაკურად გაიღიმა, ცილიომ ერთხანს ალშფოთება დააპირა, მაგრამ გაახსენდა, თვითონვე რომ წამოროშა ეს საიდუმლო და მორცხვად ჩაქინდრა თავი. ვინსენტე კი წამოდგა და თქვა: „უნდა წავიდე. ცოლი მიცდის...“ „ცოლს ნუ გაითამამებ, — ხუმრობით უთხრა ტულიომ, — თუმცა, ახალი ცოლია, კარგი, წადი, მაგრამ ჯერ ორიოდ ჭიქა შესვი...“ „მხოლოდ ორი, — თქვა ვინსენტემ, საყელო შებნეული ჰქონდა, — შენც წამომყვები, ანტონიო?“ „მაშ როგორ...“ — თქვა ანტონიომ და მხარზე გადახვია ხელი, ვინსენტე კი წამოდგა, გაიარ-გამოიარა და დაჯდა. ორი ჭიქა რომ შესვეს, არტურომ წუხანდელი ღორის მწვადები შემოიტანა, აშიშხინებული, „ოჰ, ოჰ,“ დნებოდა, დნებოდა,“ — თქვა ტულიომ და ხორცის ნაჭრებს ამოსარჩევად დააშტერდა. სვამდნენ, მღეროდნენ, ვინსენტემ ისევ მოინდომა ცოლთან წასვლა, მაგრამ ერთის დალევაც სთხოვეს. იმანაც დალია და, შეეტყო, სმის იშტაზე რომ დადგა, რადგან გამოსათხოვებლად კიდევ ერთი ჭიქა ისურვა, მერე — კიდევ ერთი, და უცებ საყელო შეიხსნა და თქვა: „ცოლი არა, მოლი — ვრჩები“. დიდი მხიარულება ატყდა, გულიანად იცინოდნენ, ანტონიოს გარდა (ანტონიო ხომ ცოლისძმა იყო მისი), და ვინსენტემ წყენა რომ შეამჩნია, ხუმრობით შუბლზე წკიპურტი დაჰკრა და ანტონიოც ისეთ მშვენიერ გუნება-განწყობაზე დადგა, რომ კიდევ ორი ჭიქის შემდეგ მაგიდაზე შეხტა და ორიოდე ბრუნის შემდეგ დაბარბაცდა და შიგ მუხლებში ჩაუვარდა ედმონდოს, რომელმაც მყისვე დაბალის ხმით ამხანაგობა სთხოვა.

მერე იყო და, გაკვირვებულნი შეაცქეროდნენ ფანჯრებს — ბურუსი იდგა. ასეთი რამ ჯერ არ ენახათ, ცივად აორთქლებულ რძეში ჩაძირულიყო ლამაზ-ქალაქი, ალარაფერი ჩანდა. აივანზე მორიდებულად, ფეხაკრეფით გავიდნენ, ველარ ხედავდნენ ერთმანეთს, ერთმანეთს კი არა, საკუთარ სხეულსაც ველარ არჩევდნენ იმ უცნაურ სინათლეში. გაოცებულნი აკვირდებოდნენ ერთურთს, მკრთალ და ბუნდოვან ჩრდილებად ქცეულთ: და, შემცბარებმა, მხარსა და შუბლზე მოისვეს ხელი, და ასე იდგნენ, სანამ ტულიომ ნაძალადევად მხიარული ხმით ისევ ოთახში დაბრუნება არ მოისურვა. დომენიკომ კი, გაბრუებულმა, მძიმედ ჩაიარა უხილავი კიბე. ეზოში შედგა, ძლივს გაიხსენა, საით უნდა ყოფილიყო ჭიშკარი, და, ხელგაშვერილმა, იქით გასწია. ლამაზ-ქალაქში, უცხო ქა-

ლაქში მიაბიჯებდა, იმ სქელ ბურუსში ხელგაშვერილი და ხანდახან ვისიმე ხელგამოწვდილი აჩრდილიც მძიმედ ჩაცურდებოდა გვერდზე, ახლა სუყველას ერიდებოდა ერთმანეთისა და ისე უცნაურად, ისე საეჭვოდ გაისმა უცებ ლამის დარაჯის მხიარული შეძახილი: „დილის რვა საათზე მეტია და ყველაფერი რიგზეაა...“ მძიმე მოსასხამში გახვეული, თხელ, მაღალ, ჩამოსხმულ ფეხებს ისეთი რიდით დგამდა, თითქოს თეთრი ტბის ფსკერზე დაიარებოდა, გვერდით კი ისევ მძიმედ მიცურავდნენ ხელგაშვერილი, ცალფარფლიანი ადამიანები და, კიდევ კარგი, რომელიღაც ჩაძირული გემიდან იმ საკრავის ფრთხიალი აღწევდა, სულად ფრინველი რომ ჰყავდა და მიდიოდა, მიდიოდა, სად — არც იცოდა და ვიღაცის ლამაზ, მოხდენილ აჩრდილს თვალი რომ მოჰკრა, შედგა, გაირინდა. ის უცნაურად — თან მძიმედ და თან საოცარი სიმსუბუქითაც მიუახლოვდა, მის წინ შეჩერდა, ხელგაშვერილი, ასე იდგნენ და თითქოს მოჩანდა მწვანე, დიდრონი, წარბის ნაზი დაბოლოებისკენ ახლეჩილი ირიბი თვალები. იმან კი ერთადერთი ნაბიჯიც მსუბუქად გადმოდგა, მძიმე ბურუსი მოხდენილად გაარღვია, მხარზე ხელი დაადო და ჰკითხა:

— დომენიკო, შენ?

ტერეზა იყო.

— მე... — თქვა დომენიკომ, — მე, და...

— საით ყოფილხარ...

ცივი ბურუსი მაშინვე გაიქლინთა მისი დაბალი, სასიამოვნო ხმით, და ისე ახლოს მიუტანა სახე, დომენიკომ მართლაც გაარჩია მისი თვალები, მწვანე შუქით აბზინებული, და, ძალიან რომ დააკვირდა, შეცბა — დანაღვლიანებული იყო ქალი.

— მე არტუროსთან... მე არტუროსთან ვიყავი.

— მე კი, აი, წამალი მიმაქვს, — ხმადაბლა თქვა ტერეზამ, — მამა მყავს ავად.

ვერ უპასუხა, ანდა, რა ეთქვა... ლურჯები ეცვა, მაგრამ არ ჩანდა, ეჰ, ნისლი, ნისლი... და უცებ გაახსენდა, დილის წვნიანი რომ ჰქონდა მირთმეული და ნივრის სუნისა ძალიან შერცხვა, პირი აარიდა.

— შინ ვბრუნდები და..: ვერ გამაცილებ? — ჰკითხა ტერეზამ, — წინ გამიძეხი.

— გზა რომ არ ვიცი...

— მე გიკარნახებ. აბა, შებრუნდი, — და, შებრუნებულს, უეცრად მხარზე დაადო ხელი; მსუბუქ კლანჭებში მოექცა თითქოს, და იმ ნატიფი თითების სიგრძეს აალებული მხრით კარგად გრძნობდა... — პირდაპირ წადი...

ხელგაშვერილი, მძიმედ მიარღვევდა ბურუსს, მხარზე ტვირთი ედო, ოო, ისეთი, ო, იმისთანა... საჩქრ კი დაბალი, რბილი ხმა ჰქონდა: „ახლა, აქ — მარჯვნივ. ცოტაც, ცოტათი...“ დიდხანს იარეს. და ისედაც რბილი, ბურუსით გაქლენთილი გრძელი მოსასხამი უცნაური, ჯერ არნახული სიამითაც გაექლინთა. ერთხელ კი, როცა წაიბორძიკა, მართლა კლანჭების სუსხი იგრძნო მხარზე და კოხტა, მსუბუქი ჩაცინება...

— აი, მოვედით, — ხმადაბლა თქვა ქალმა, — ახლა სად წახვალ... შემოდი, გინდა?

— იქ მიცდიან და...

— გზას ვერ გაიგნებ. მიგიყვან, გინდა?

— არა, რას ბრძანებთ.

ისევ გაახსენდა დილის წვნიანი და განზე რომ გაიხედა, ქალმა მაშინვე ჩურჩულით ჰკითხა:

— გინდა, გაკოცო? ოღონდ ლოყაზე...

— კი.

და, თვალდახუჭულს, ტერეზა დინჯად მიუახლოვდა. ცალ ლოყაზე მშრალი, თბილი ხელისგული იგრძნო, წაწვეტებული თითები კი საფეთქლამდე აუყვა, იმაში... მეორე ლოყაზე კი უცნაური შანთი დაადეს — რბილი და ნაზი, თხელკანიანი, ცხელი... და უნებურად სულ მიავიწყდა ნივრის სუნი, თავი შეაბრუნა და ხელისგულზე მაგრად,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისევ თვალდახუჭულმა აკოცა; იმან კი, ქალმა, ორჯერ მსუბუქად მოუთათუნა ხელი ლოყაზე — ორი უნაზესი სილა — და უთხრა:

— კარგი ბიჭი ხარ. ახლა კი წადი.

რაც იმათ შესვეს... აღელვებული, აღფრთოვანებული დომენიკო ჭიქას ჭიქაზე იყუდებდა, ტულიოს მხიარულებასაც აღარ ჰქონდა საზღვარი, ცილიო, ვინსენტე, კუმეო, დინო, ყველანი სვამდნენ, სვამდა ედმონდოც, ამხანაგობაზე ხელჩაქნეული და ის ვიღაც კაციც. ერთი დრაჰკანის საფასურად დომენიკო არტუროს შენობაში გახარებულმა რომ მიიყვანა... სვამდნენ თასებით, გლუვე ჯამებით, დოქს იყუდებდნენ პირზე და ღვინით საკინძედასველებულნი, ახორხოცებულნი, დარწეულნი, ბოლოს ფეხზე იდგნენ და სვამდნენ და სვამდნენ... და როცა ფეხაკრეფით შემოსულმა არტურომ კისერი ბეჭებში ჩაიძვრინა და საწყლად, ცბიერად მოითხოვა ექვსი დრაჰკანი, დომენიკომ მაშინვე ჯიბეზე გაიკრა ხელი და რაც კი ამოჰყვა, ამაყად მისცა... და აბარბაცებული ანტონიოს დოქს აჩქაროდ შეუშვირა ფართო, ლამაზი, კრიალა თასი...

## პოეზიის საღამო და ზღაპარი გალახისფერ კაცზე

— მე მაინც მგონია, — განაგრძო ღარბაისელმა სინიორ ჯულიომ, — რომ ქმარი უფროსი უნდა იყოს ცოლზე.

— არა, რატომ... — თქვა მამიდა არიადნამ.

— იმიტომ, რომ ქალი უფრო ადრე ბერდება... აჰ, არა, არა, თქვენ ეს არ გეხებათ, — თქვენ მარადიული ახალგაზრდობის ნიშნითა ხართ გაჩენილი.

— ჯულიო, შე ცელქო... ისე კი, სადაც ნამდვილი და ამაღელვებელი სიყვარულია, ასაკი რა მოსახსენიებელია.

— მე, მაგალითად, — თქვა დუილიომ. — ვიცნობდი ერთ შესანიშნავ წყვილს, სადაც ქალი თორმეტი წლით უფროსი იყო მამაკაცზე. მამაკაცზე კი არა, ბიჭზე.

— და ხომ კარგად იყვნენ?

— მშვენივრად, — აღნიშნა დუილიომ, — ცოლი ყოველ დილით ადრიანად წამოდგებოდა, წინსაფარს უკეთებდა და ვერცხლის კოვზით აჭმევდა საუზმეს. დიდ ლანდოში როცა ჩასხდებოდნენ, ბიჭი ფანჯარასთან ჯდებოდა, რადგან ახალგაზრდა იყო და უხაროდა თვალწარმტაცი გარემოს თვალიერება.

— და განა შედარებით უფროსებს არ უხარიათ თვალწარმტაცი სანახების თვალიერება? — გაიბუტა მამიდა არიადნა.

— როგორ არა, როგორ არა, თქვენ მარადიული...

— მე კონჩეტინასაც ლანდოს ფანჯარასთან ვსვამ, და განა ეს იმას ნიშნავს, რომ იგი ქმარია ჩემი? აჰ, რა სისულელე გამოდის...

— რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა...

— ეს — ერთი. და, მეორეც, ვასკო რამდენადმე ახალგაზრდა იყო ჩემზე, და ეს სრულიადაც არ გამორიცხავს იმ გარემოებას, რომ იგი ჭეშმარიტი მამაკაცი იყო.

— მშვენიერებაა, მშვენიერება.

— და თუ თქვენი გული მზადაა მშვენიერებისადმი შესახვედრად, — აღფრთოვანდა მამიდა არიადნა, — მაშინ მოდით და ვიმღეროთ კარგი და ლამაზი სიმღერები.

— ნამდვილად, ნამდვილად, უდავოდ, — თქვა ვინსენტემ და საყელო შეიხსნა, — კარგი ხარ, არიადნა!

მამიდა არიადნა კი შეიჭმუხნა და თქვა:

— თუმცა, ჯერ პიტნის ნაყენი დავლიოთ. მიირთვი, ტულიო, და შენს მეგობარსაც შესთავაზე... მშვენიერი ჭაბუკი სჩანს, მორცხვი, რა ჰქვია? დამავიწყდა...

— დომენიკო.

— გთხოვთ, გთხოვთ, ყმაწვილო!

— მიდი, დაურტყი, — ჩუმად უთხრა ტულიომ, — ნამთვრალევზე კარგია... სამიოდ ჭიქა.

— აგერ, ზამთარიც მოვიდა, წელიწადის ყველაზე ცივი დრო, — აღნიშნა ფანჯარასთან მდგარმა ცილიომ და რომჩინას, აი, სწორედ იმას, ქალაში რომ იყო, გადახედა, — თოვს.

ლამაზ-ქალაქში წვრილად, უსუსურად თოვდა.

— ბიძია დუილიო, — ძალიან სერიოზულად მიმართა ანტონიომ, — აი, ახლა თოვს და ვერ დებს, და რომელი უფრო სწორი გამოთქმა იქნება — თოვლი დადო თუ თოვლმა დასდო?

— ეეე... თოვლი მოვიდა, — თქვა დუილიომ, როგორც იყო.

— აა... — თქვა ანტონიომ.

— ჩვენთან კი თბილა, მაინც თბილა ზამთრობით, — ფიქრებში წავიდა დუილიო, — ჩვენი ქალაქი მე ისე მიყვარს...

— მე მგონი იმ მდიდარ სულელსაც... ჰო, დომენიკოს... მგონი იმასაც ვუყვარვარ, სილვია, — წასჩურჩულა კონჩეტინამ მეგობარს, — და იცი, როგორ შევატყე?

— არა?

— დაბნეულია ხოლმე ჩვენს სახლში.

— დუილიო, დუილიო, — შეუძახა უცებ მამიდა არიადნამ, — იცით, რა ერთი აზრი მომივიდა?

— რა...

— მოდით, ამ კარგ საღამოს პოეზიის ენით ვილაპარაკოთ.

— აჰ, რა კარგია, — ტაში შემოჰკრა კონჩეტინამ, — მე ისე მიყვარს პოეტურობა...

— მამიდაშენის ძმისშვილი ხარ და იმიტომ, — მოეფერა სენიორ ჟულიო.

— რა თემაზე? — განემზადა დუილიო, — თემებს შერჩევა უნდა.

— მოდით, თოვლზე ილაპარაკეთ.

— თოვლზე? და ჯერ ხომ ვერ დადო...

— ციდან ხომ მოდის... ესეც კარგია!

— ჩვენი ქალაქი... — გამოაცხადა დუილიომ.

— თოვლზე რომ გვეთქვა...

— ორივე შედის.

— მაშ ჯერ პირი გაისველეთ, აგერ, დუილიო, აგერ, ვარდისფერი წყალი იგემეთ... აბა, გისმენთ!

და, მოისმინეს:

ჩვენთან, ლამაზ-ქალაქში, თოვლის ბაბუა
ქურქის გარეშე შემოდის,
მთებში კი შეუძლებელია უქურქოდ,
მაგრამ ყველგან ერთნაირად კარგია,
როგორც ჩვენს ლამაზ-ქალაქში, ასევე
სხვაგანაც,
შენ კი, ჩემო დედა, დედი,
ჩემზე ნუ დაიდარდებ,
ზოგიერთი ადამიანი კარგია.

— არ გაგიარა თავის ტკივილმა? — წასჩურჩულა ტულიომ, — ერთიც დალიე, დომენიკო...

— ცოტა მიშველა...

— მშვენიერი ლექსია, ურითმო, — აღნიშნა მამიდა არიადნამ, — განაგრძეთ, განაგრძეთ...

— აჰ, რა კარგი ფიფქები დატრიალებენ
ჰაერში,
და განა ცოდვა არ არის,
სილამაზის მუზეუმში რომ არ არიან ისინი?

— მართლაც, საცოდაობაა... — თქვა კონჩეტინამ და მხარზე დაიდო ლოყა.

— აფსუს, — თავი გაიქნია ვიხსენტემ და ტულიოს თვალი ჩაუკრა. მერე ღილი შეიბნია და დუილიოს მიმართა:

— გთხოვთ განაგრძოთ, უმორჩილესად გთხოვთ.

მე, ისევე როგორც ფიფქები,
მთელ დედამიწას სიყვარულით
შემოვეხვეოდი,
ლოყებს ავუწითლებდი ლამაზ
ქალიშვილებს,
და ვეტყოდი —
გისურვებთ ბედნიერებას, იხარეთ,
გენაცვალეთ, იბედნიერეთ,
გისურვებთ წარმატებებს პირად
ცხოვრებაში,
თქვენი სურვილების განხორციელებას...
და, ლოყებს ავუწითლებდი...

— შესანიშნავია, შესანიშნავი...

— ხომ გაგიარა?

— კი.

მაგრამ გათენებისას ისევ ტკიოდა. პაერი არა ჰყოფნიდა, ყელზე მოისვა ხელი. საწოლთან მდგარი დოქი ხელის ფათურით მოძებნა, პირზე მიიყუდა, ისევ ის ლაქა! წამოდგა, ლურჯ ხალათში თავი ამოჰყო, ჰერიდან კუშტად დასცქეროდა ვიღაც. საფეხურები ფრთხილად ჩაიარა, არტურომ მაინც გამოჰყო თავი, — მოდით, მობრძანდით, დომენიკო...

— არაფერი არ მინდა.

— გაწყენინეთ რამე? — შეიცხადა არტურომ.

— არა, საქმე მაქვს...

აღარა თოვდა. მიწა სველი იყო, ჯიუტად ჟინჟღლავდა. გადაჭრილ ხესთან მიმოიხედა, ჩაცუცქდა, ადვილად ითხრებოდა დამბალი მიწა, ხელებზე სციოდა მხოლოდ. ჯიბეები ამოივსო, ისევ დაფარა ტომარა მიწით, თითებზე შერჩენილი ტალახი მოზილა, დაგორგოლავა, მოიცილა. მშრალი თითები ჯიბეში ველარ ჩაიყო — სავსე ჰქონდა. მაგრამ შეიფუთნა მოსასხამში, ჰალას გაჰყვა — აღარავისი დანახვა სურდა, დიდხანს იარა, მოსასხამი დაუმძიმდა, სახეც დაუსველდა...

დიდი, უზარმაზარი ტბა მოჩანდა და დაბალ, ნაცრისფერ ღრუბლებში იკარგებოდა. ნაპირთან იდგა, მოსასხამში გახვეული, თვალებზე ქუდჩამოფხატული, მხრებაწურული, წვიმდა. ტერეზა გაახსენდა, თამამი ქალი. ლოყაზე მოისვა ხელი. და უცებ მოესმა:

— ეჰ, ეეს კი დაუნგრევიათ, მაგრამ არა უშავს.

ალექსანდრო იყო. ფიცარზე იჯდა, წყალს გასცქეროდა. დომენიკო შეკრთა — დანისლულ ტბასთან, მარტოდმარტოს, გიჟილა აკლდა.

— მართლა გიჟი კი არ ვარ, — თქვა ალექსანდრომ, წყალს გაჰყურებდა. — დომენიკო გქვია?

— ჰო.

— კარგი სახელია.

უნებურად ჯიბეზე მოისვა ხელი და გამხნევდა—ოქროებით პირთამდე იყო სავსე.

— ამ ფიცრებს ხედავ? — თქვა ალექსანდრომ და დომენიკომ ბევრგან დაკერებული მოსასხამი რომ შეუთვალიერა, უფრო გამხნევდა.

— ვხედავ, აბა რა.

— დაუნგრევიათ, მაგრამ არა უშავს, ალბათ, ვინმე მთვრალი თუ იზამდა; აბა, ფხიზელი კაცი რატომ გააფუჭებდა იმას, რაც შეიძლება დასჭირდეს — ხომალდს რომ უცდიან, წვიმაში ამ ფიცრულს აფარებენ თავს. ახლა კი, ხედავ, დაუნგრევიათ.

და შეფიქრიანებული დომენიკო რომ აათვალიერა, საჩქაროდ დაამატა, — დარდი ნუ გექნება, ახალს ავაშენებ. ისე, როგორ მოგწონს ჩვენი ქალაქი?

— რა ვიცი, კარგია, — უგულოდ უთხრა დომენიკომ — აწვიმდა.

— აპა, გამომართვი, — ქოლგა გაუწოდა ალექსანდრომ, — აქამდე როგორ ვერ მოვიფიქრე. მართლა, მეც გავმლი... დაჯექი... დაჯექი, კაცო!

სავსე ჯიბეები უშლიდა, ძლივს დაჯდა ფიცარზე და ფეხები გაშალა. კმაყოფილმა, ამაყად დაიჭირა ქოლგა, კარგა ხანს ჩუმად იყვნენ, მერე ალექსანდრომ ჰკითხა:

— ხომ არ მოგბეზრდა ჩემი ლაპარაკი?

— არა, რატომ.

— მე ძალიან მიყვარს ზღაპრები. — გამოაცხადა ალექსანდრომ, ქოლგა ზედ თავზე დაიდო და ხელები გაინთავისუფლა, — თუ გინდა, ერთ ზღაპარს გიამბობ.

— მიდი, — და თანხმობის მიზეზიც აუხსნა, — სხვა საქმე მაინც არაფერი გვაქვს და...

გვერდიგვერდ ისხდნენ, ნისლში არეულ ტბას გასცქეროდნენ.

— იცი რა, — თვალები მოჭუტა ალექსანდრომ, — ზღაპარში რაც ითქმევა, ყველაფერი ზუსტად ისე კი არ უნდა მიიღო, ყველაფერში რაღაც სხვა, უფრო დიდი რამ იგულისხმება, ზღაპ-

რის ყველაფერი, აი, როგორ ამბობენ... ჰო — გადატანითი მნიშვნელობისაა!... მაგრამ ეს სულ, სულ სხვაა, აქ ყველაფერი პირდაპირაა ნათქვამი, და, სხვათაშორის, უბრალოდ. მაშ ასე, ვიწყებ... სათაურია „ზღაპარი ბალახისფერ კაცზე...“ მოგწონს სათაური?

— კი.

აქ ალექსანდრომ ისე მოულოდნელად შემოჰკრა ტაში, დომენიკო შეხტა.

— ასე! იაფფასიანი ეფექტი ყურადღების დედაა... მე აღარც მახსოვს, ვინმე სხვამ თქვა ეს, წავიკითხე სადმე, თუ მე თვითონ მოვიგონე... შენ ხომ არ შეგხვედრია სადმე ეს გამოთქმა — „ეფექტი ყურადღების დედაა?“ სხვათაშორის, ძალიან ბრიყვული გამოთქმაა, მაგრამ მაინც ჭრის, ხომ არ შეგხვედრია სადმე?

— არა.

— ჰოდა, სანამ ბალახისფერი კაცი კარაველებთან მივიდოდა, ორი დღით ადრე ყველაზე კარგი მოქალაქე გააძევეს. ყველაზე პატიოსანი კაცი იყო და გაძევება მიუსაჯეს, წარმოგიდგენია? ასეთი რამეებიც ხდება... აღარ იკითხავ, რატომ აითვალისწუნეს? კარაველებმა ერთხელ დიდ თავშეყრაზე — ნადირობის დასაწყისში აღნიშნეს, რომ იმათი ქალაქი ყველასა სჯობს... იმ კაცმა კი თქვა, რომ ალუბლის ქალაქი უფრო კარგია. ჩვენს შორის დარჩეს, დომენიკო, და ეს მართლაც ასე იყო და მით უფრო აეწვათ კუჭი, მის საწინააღმდეგოდ ამხედრდნენ, ცილი დასწამეს, რომ მას არ უყვარდა თავისი ქალაქი და ამიტომ არც იყო მათთან ყოფნის ღირსი, და გაძევება მიუსაჯეს. დიდმა კარაველმა... კამორელში არ შეგეშალოს, დიდმა კარაველმა თოფი შეათამაშა და თქვა: „თუ შენ ახლავე არ დატოვებ ჩვენს საყვარელ ქალაქს, მაშინ მე გესვრი...“ კაცი შეაცქერდა, რამდენჯერმე ნელა, საყვედურით დაიქნია თავი და წავიდა. ეს, რა თქმა უნდა, საბაბი იყო, მიზეზი კი სულ სხვა რამ გახლდათ: კარაველებს არ მოწონდათ პატიოსანი კაცი. ბევრს კი არაფერს აშავებდა — ვინმე რაიმე ცუდ საქმეს რომ ჩაიდენდა, პაააატარა, მცირე საყვედურით შეაცქერდებოდა ხოლმე. ეს იყო და ეს, იმ დღეს კი ალბათ ველარ მოითმინა და იმიტომაც თქვა, აბა, ყურადღებით თუ მისმენდი, რომელი ქალაქი სჯობსო?

— ალუბლის ქალაქი.

— ოო, სწორედ ეგრე თქვა, ყოჩაღ.

...რაღა დარჩენოდა, — აიღო და წავიდა. მესამე დღეს კი, ზუსტად თერთმეტის ნახევარზე, ქალაქს მეორე მხრიდან სწორედ ის ჩვენი ზღაპრის გმირი — ბალახისფერი კაცი მიადგა. ქალაქში როგორ შემოვიდა, არავის დაუნახავს, რადგან კაცები სანადიროდ იყვნენ წასულნი, ქალები კი მორევთან შეკრებილიყვნენ და კამათობდნენ, დიდი კარაველის ცოლს მაღლა აწეული ვარცხნილობა უფრო უხდებოდა თუ მხრებზე დაყრილი თმა. ბალახისფერი კაცი კი აუზთან მივიდა და რამდენიმე პეშვა წყალი დალია. ეტყობოდა, რომ არ სწყუროდა, მაგრამ მაინც სიამოვნებდა ის წყალი. მერე ქალების ხმა მოესმა და იმათკენ გასწია. ფრთხილად მიაბიჯებდა, რომ არ შეენიშნათ, მაგრამ ნაცრისფერი კედლების გამო აშკარად გამოირჩეოდა. თავით-ფეხამდე ბალახისფერი იყო, მწვანე შარვლის გარდა არაფერი ეცვა და, ფეხშიშველი, ფრთხილად მიაბიჯებდა. მორევს რომ მიუახლოვდა, შვებით ამოისუნთქა და ბალახზე გაწვა — ასე ვერავინ შეამჩნევდა. მხოლოდ თვალის გუგები უელავდა, ქალების საუბარს ნაღვლიანად უსმენდა და თან სულ ცოტათი იღიმებოდა, თეთრი კბილები რომ არ გამოჩენოდა. და უცებ ისეთი რამ მოხდა, ყველა ქალმა გაკვირვებით მიმოიხედა — რაღაცნაირად ისე დაემთხვა, რომ ორიოდ წუთით სროლის ხმა შეწყდა. კარაველების ქალაქში ეს დიიიიიდი უცნაური შემთხვევა იყო — იქ ყოველთვის გაისმოდა სროლა — თუ არ ნადირობდნენ, ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ სროლაში, ანდა ისე, უმიზეზოდ ისროდნენ.

ღამითაც არ ჰკარგავდნენ დროს — რომელიმე კარაველი შუაღამისას თუ გაიღვიძებდა, იქვე, თავთით მიყუდებულ თოფს ასწევდა და ღია ფანჯარაში გაისროდა — ისე, ტყუილუბრალოდ, მეზობლების გასაგონად. სანამ სხვები გამოეპასუხებოდნენ, ოთხივე ლულას დატენიდა, თავს ბალიშზე დადებდა და მაშინვე იძინებდა და აი, სრულიად შემთხვევით, უცებ კარგახანს არ გაისმა სროლის ხმა, გაკვირვებულმა ქალებმა თავი ასწიეს და შველივით ყნოსავდნენ ჰაერს, „რატომ არ ისვრიან? — იკითხა დიდი კარაველის ცოლმა, — ნეტავი რაიმე უბედურება ხომ არ მოხდა, ჰა?..“ და რამდენიმე ნაბიჯი დაუფიქრებლად გადადგა. შეშფოთებული იყურებოდა irგვლივ და უცებ, ზეედ ცხვირწინ, ბალახისფერი კაცი არ წამოხტა?.. ქალმა იგი ჯერ მწოლიარე დაინახა, თვალებში შეაცქეროდა და მერე, ბუნდოვნად რომ გაარჩია ცხვირი, შუბლი, შიშისაგან უცებ თვალთ დაუბნელდა და ზუსტად ისევე სწრაფად ჩაიკეცა, როგორც ის კაცი წამოხტა. ამასაც კარგა მაგრა შეეშინდა — კლაკნილად გარბოდა, რადგან ქალებსაც დაჰქონდათ მსუბუქი იარაღი, მაგრამ არავის აზრადაც არ მოსვლია სროლა, ისეთი გაკვირვებულები იყვნენ — იმგვარი ცხოველი არსად ენახათ. ამასობაში სროლაც განახლდა, დიდი კარაველის ცოლმა თავი წამოსწია, მიმოიხედა და გაიღიმა — „გესმით, ისვრიან, — და უცებ გაახსენდა, — ვაი! ის რა იყო, რა?“

ნადირობიდან რომ დაბრუნდნენ და ახალი ამბავი შეიტყვეს, კაცებმა აგდებული ღიმილით შეათვალიერეს აფორიაქებული ცოლები, ცალი ყურით მოუსმინეს და მერე ალმაცერად გახედეს ერთმანეთს, რაც ნიშნავდა: „ყოველი ქალი სულელია.“ მაგრამ მეორე დღეს, ნადირობისას, როცა ბუჩქებში გატრუნული კურდღელი შენიშნა ერთმა კარაველმა, მეორეს იდაყვი გაჰკრა და ჩუმად უთხრა — აი, აქ არის... ჩქარა გატენე... — განზე კი იყურებოდა, მაგრამ უცებ, იქვე, მწვანე კაცი წამოხტა და გაიქცა. მონადირეებმა თოფის გატენაც ვერ მოასწრეს, რაც, უსათუოდ, დიდ გაკვირვებასთან იყო დაკავშირებული. ხომ არა გცივა?

— არა.

— სხვებმა რომ გაიგეს ეს ამბავი, ამაყად გადახედეს ერთმანეთს: „ზოგი მამაკაციც სულელია...“ იმ ორს სახელი გაუტყდა, რადგან მთელი ერთი კვირა არავის უნახავს ბალახისფერი კაცი... ერთ მშვენიერ დღეს კი, დიიდ დღესასწაულზე, როცა კარაველებმა ნაირფრად შეიღებეს სხეული და, შუაღამისას კოცონის პირას ცეკვა და ყვირილი ატეხეს, მათი ყურადღება მიიქცია ერთმა მწვანედ შეღებილმა კაცმა, რომელიც უცნაური აღგზნებით ცეკვავდა და თავდაუზოგავად იგრიხებოდა. ყველა შეჩერდა და გაკვირვებულნი შესცქეროდნენ — არც ერთს არ ეცნაურა. ყველა გახევდა, მხოლოდ ის კაცი ცეკვავდა თვალდახუჭული და, უზომოდ გატაცებულმა მედოლემაც რაღაც იგრძნო იმის დანახვაზე და დაკვრა შეწყვიტა. დოლი მიჩუმდა თუ არა, იმ კაცმა ერთი კი მოავლო ყველას თვალი და უცებ გაიქცა. ყველა მამაკაცი იქ იყო, კოცონთან, ასე რომ, ვერავინ გაბედავდა იმის თქმას, რომ „ყველა კარაველი სულელია...“ ბრაზისაგან ვერაფერი ამოღერღეს, დიდმა კარაველმა კი სიმწრით მხარზე იკბინა. იმ ღამით სროლა არ შეწყვეტილა, ისე იყვნენ განრისხებულნი, რომ ერთმა ჰაში ჩასცალა შვიდი ტყვია და, აცახცახებული, ყოველ გასროლაზე იძახდა — „ორშაბათი, სამშაბათი, ოთხშაბათი...“ მეორეს რაღაც ფაჩუნი მოესმა, იქითკენ გახოხდა ცალხელაწეული — თოფი მიჰქონდა — და, კიდევ კარგი, რომ არ ისროლა — ძმა მიხოხავდა მისკენ. ხომ არ გადაიღლე? — ხელისგული შეუშვირა წვიმას ალექსანდრომ.

— არა.

— მეორე დღეს კი დიდი კრება მოიწვიეს. რაც კი დოლი იყო, ყველა ერთად აგუგუნდა, ხალხი მაშინვე შეიკრიბა, დოლები მაინც კარგახანს გუგუნებ-

დნენ, დიდი კარაველი ხალხის წინ, კასრზე იდგა, განრისხებულს, ჩანაცრისფრებული ძარღვი მოუჩანდა ყელსა და შუბლზე და მძიმედ სუნთქავდა. ყველანი გაცოფებულნი იყვნენ, თოფს მაგრად უჭერდნენ თითებს, მეორე ხელს კი მკერდზე იბაგუნებდნენ. მერე ორმა შიკრიკმა მოიყვანა ბრძენი კარაველი, რომელიც ჭკუითა და საზრიანობით იყო განთქმული და ხალხის წინ დააყენა.

ბრძენი კარაველი ხალხის წინაშე წარსდგა და ისეთი რამ სიტყვა თქვა, თითქოს ყოველი მათგანისათვის სილა გაეწნას:

— ერთმა ბალახისფერმა კაცმა ასეთ დღეში ჩაგაგდოთ. ნეტავ რა გეშველებოდით, რომ მოსულიყო ორი ბალახისფერი კაცი?

დიდმა კარაველმა კბილები გაახრჭიალა და თქვა:

— სანამ არ მოვკლავ, ცოლს არ გავეკარები.

სუსულყველამ დაიჯერა მისი აღთქმა, მაგრამ დიდმა კარაველმა მაინც ბრძანა კოშკის აგება, შიგ დაამწყვდიეს ქალი. ის ბალახისფერი კაცი კი ამ დროს ნაყოფს აგროვებდა ტყეში. კაკალი დაბერტყა და საიმედო ადგილას გადამალა. კარგად იცოდა, რაც მოელოდა, თუკი შენიშნავდნენ. ისიც იცოდა, ადრე თუ გვიან ნაღდად რომ მოჰკლავდნენ და მაინც არ მიდიოდა. ყველაფერზე მეტად წვიმისა ეშინოდა — დიდ ფუღუროში შეძვრებოდა ხოლმე და გახევდებოდა, წყვილად უელავდა თვალი. დარი თუ იყო, მთაზე ადიოდა და იქიდან დასცქეროდა ქალაქს. იგი უყურებდა კარაველთა ფუსფუსს დღესასწაულების დროს, აინტერესებდა, პირველი ვინ გამოვიდოდა სახლიდან გამთენიისას, საღამოობით ფანჯრებში მკრთალად მოციაგე სინათლეებს შესცქეროდა და ასე იწვა, გახევებული. მერე მთაზედაც ველარ ადიოდა: ერთმა მონადირემ შენიშნა და მყისვე დიდ კარაველთან გაიქცა — იმას ძალიან ეწყინებოდა, სხვას რომ მოეკლა ბალახისფერი კაცი. დიდი კარაველი შინ არ დახვდა, ამ დროს იგი ერთ ლამაზ ქვრივთან იჯდა და ბეწვის ქუდი თვალებზე ჰქონდა ჩამოფხატული, რომ არ ეცნოთ. ნელა წრუპავდა ფიალიდან ბადაგს, ქალი კი დაბალის ხმით უმღეროდა საყვარელ სიმღერას... მეორე დღეს კი, ნაშუადღევს, დიდი კარაველის მეთაურობით ყველა მონადირე ავიდა მთაზე და იმ ადგილს, სადაც წინადღით ბალახისფერი კაცი იწვა, ბრაზიანად დაახალეს უამრავი ტყვია. ის უცნაური კაცი კი იქვე, მაღალი ხის ტოტზე იდგა, მწვანე ფოთლებში შეყუჟული. კარაველებს იმედი მოეცათ, რომ შენიშნავდნენ მას, დღედაღამ ტყეში დადიოდნენ და ეძებდნენ. დიდ კარაველს ის ბრძენი ლაჰყვებოდა და განზრახ იძახდა: ოი, ხედავ, სადა ყოფილა?

— სად! — თოფიანი ხელი მაღლა აუხტებოდა ხოლმე დიდ კარაველს. —

— არა, ისე ვიძახი... თუ ახლო-მახლოს იმალება, მაშინვე წამოხტება.

— აა.

და რამდენიმე დღის შემდეგ, როცა მოწყენილმა ბრძენმა გულგრილად თქვა: „აჰაა, ხედავ, სადა ყოფილა?" — უცებ ხიდან ბალახისფერი კაცი ჩამოხტა. მუხლამდე დაფენილ ყვითელ ფოთლებში გარბოდა და მიზანში მშვენიერი ამოსაღები იყო. როგორ გგონია, დომენიკო, მოარტყამდნენ?

— რა ვიცი... მოარტყეს?

— კი, დიდმა კარაველმა კარგად იცოდა თავისი საქმე.

მერე ალექსანდრო დაფიქრდა, გაყუჩდა, მოიწყინა და უცებ ჰკითხა:

— აბა, თუ მიხვდები — ვინ იყო ის ბალახისფერი კაცი?

— რა ვიცი, — გაიკვირვა დომენიკომ, — საიდან უნდა ვიცოდე...

— როგორ თუ საიდან... — იწყინა ალექსანდრომ, — მაგას ვერ უნდა მიხვდე?

— არა, მაინც როგორ უნდა მივხვდე! — იწყინა დომენიკომაც და შეაცქერდა. ალექსანდრო ბრაზნარევი მუდარით უყურებდა, დომენიკოს კი ახლაღა მოესმა, როგორ ხმაურობდა ქო-

ლებზე წვიმა. მერე ალექსანდრომ გადაწყვიტა, აეხსნა:

— რაც გიამბე, მართალია, ზღაპარია, მაგრამ კარგად დაფიქრდი, განა შეიძლება არსებობდეს ნამდვილად ბალახისფერი კაცი... ა? ა?.. სხეული უნდა შეე... შეეღე... შეეღება, არა? აბა ახლა კარგად დაუკვირდი, ვის დასჭირდებოდა ქალაქში ასე მალულად შემოსვლა... ა? ჰა?.. — ერთხანს შეიცადა, — აბა, პირველ ასოს გეტყვი და მაშინაც თუ ვერ მიხვდები, სუულ დამეკარგება შენზე წარმოდგენა, — და საზეიმოდ გამოაცხადა — „პ!"

— პ? — დაფიქრდა დომენიკო, — პ...

— ჰო, — შეაცქერდა დაინტერესებული ალექსანდრო, — ეჰ, რაც არის, არის — „პა?"

— პა?.. პატარა?

— ფიი, შენ რა გითხარი... პატიოსანი კაცი იყო, ყმაწვილო, პატიოსანი, აიი, რომ გააგდეს, ის... ალუბლის ქალაქს ისევ თავისი ოხერი ქალაქი ერჩივნა...

— მართლა? მერე, როგორ უნდა მივმხვდარიყავი? — მხრები აიჩეჩა დომენიკომ და უცებ გაახსენდა, — თქვენ არა თქვით, ქალაქს სუუულ სხვა მხრიდან მიადგაო?

— ეს იმიტომ ვთქვი, ცოტათი რომ გაგძნელებოდა გამოცნობა, მაგრამ საერთოდ თუ ვერ გამოიცნობდი, არ მეგონა. ჰეე, რა კაი ბიჭი ხარ, — გამხიარულდა ალექსანდრო, — აბა, რომ მეთქვა, ის კაცი საიდანაც გავიდა, იქიდან შემოვიდა-მეთქი, ხომ მაშინვე მიხვდებოდი?

— მერე რა...

— რა და, ზღაპარს ინტერესი დაეკარგებოდა.

— ეე, — ხელი აიქნია დომენიკომ. — ვითომ ეგეთი კარგი ზღაპარია?

— ეეჰ, — ეწყინა ალექსანდროს. — რას იზამ... მე მაინც დარწმუნებული ვარ, რომ პატარა, სუულ პატარა სარგებლობა მაინც მოგიტანა ამ ზღაპარმა. გაიხსენებ როდესმე. ისე კი, სხვა ჩემს ადგილას გაბრაზდებოდა და თავს გაგანებებდა. მაგრამ მე მაინც მოკლედ მოვამთავრებ — წვიმამ რომ წამოუშინა, იმ კაცს სულ ჩამოეცალა მწვანე საღებავი და ყველამ იცნო, საღამოს კი, დოლების გუგუნში, დიდ კარაველს თავისი ცოლი მიჰგვარეს — კოშკიდან გამოიყვანეს, ტახტრევანზე დასვეს და ციმციმ მოჰყავდათ. ყველას საზეიმო იერი დაჰკრავდა, ქმარს მონატრებული, თმაჩამოშლილი ქალი კი ლამაზად იჯდა ტახტრევანზე, ფეხებმოკეცილი, ხელები ქმრისაკენ გაეშვირა, დიდი კარაველი კი ამაყად ათვალიერებდა ყოველივეს და სიამოვნებისგან ყვრიმალებს ათამაშებდა.

— გათავდა? — უგულოდ იკითხა დომენიკომ.

— ეეჰ, მართლა არა ხარ ღირსი, მაგრამ მაინც დავაბოლოვებ — იმ ადგილას, სადაც მწვანე კაცი მოკვდა, ფიჭვი ამოვიდა.

ალექსანდრო წამოდგა, შარვლის ტოტებიდან წყალი ჩამოიფერთხა და წასვლისას უთხრა:

— შენ ალბათ ისიც არ გაგახსენდა, ფიჭვი რომ მარადმწვანეა.

## ᲖᲐᲛᲗᲠᲘᲡ ᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘ

ლამაზ-ქალაქში დაკეტილი ფანჯრებიდანაც ხშირად მოისმოდა სიცილი, მაგრამ სწორედ იმ ღრუბლებჩამოწოლილ საღამოს რატომღაც ყველა გაღიზიანდა. თავ-თავიანთ სახლებში ისხდნენ, არავინ წასულა სტუმრად. ვახშამსაც აღარ ჰქონდა გემო, წრიალებდნენ. იმ საღამოთი ვინსენტე პირველად შეუწყრა ცოლს, და ანტონიოს ცრემლნარევი მზერა რომ იგრძნო, მაგიდაზე ცერით უხილავი ჭიანჭველა მიასრისა თითქოს. მეზობელ სახლში კი დიდი ხნის ცოლ-ქმარი უფრო თამამად ჯაჯღანებდა — კაცმა განჯინა გამოაღო და რაღაც რომ გადმოვარდა, მაშინვე ცოლს დაეტაკა: „რაა, ქალო, ამ ოხერ სახლში ყველაფერი უნდა ცვიოდეს?.."

„საჭიროა ალბათ...“ — განრისხებული ზელდა ცომს ქალი. „რაა საჭირო...“ „რაც მანდ აწყვია. მშვენივრად ხედავ...“ „რომ არ ეტევა! ათასი ნაგავი...“ „მეორე იყიდე, არავინ გიშლის...“ „რითი ვიყიდო!! რითი ვიყიდო, მე თქვენი...“ ტულიოსაც კი აღარ უნდოდა სმა, ცოლ-შვილს უბღვერდა იქით არტურო: „ჰმ, ერთი გროშიც არ გიშოვნიათ... რა გენაღვლებათ რა — დაგიღიათ პირი...“ კონჩეტინამ ფიალა მიიტანა პირთან და მამიდა არიადნამ მაშინვე დააყვედრა: „არ გამიგია ასე მოწყურება...“ სხვაგან კი კაცი ასე ცხარობდა: „რამდენს ტირის ეს ბავშვი, რა ხდება ბოლოსდაბოლოს!“ „ყველა ასეა...“ „სულ ასე ღნავილი მაინც არ გამიგია...“ „ყველა ასეა. შენც ასე იყავი...“ „რა იცი შენ! რა იცი-მეთქი, მიცნობდი თუ რა! მაშინ მიცნობდი? — და დააყოლა, — შენი გაცნობის დღე და საათი...“ დარბაისელი მარტოხელა სენიორ ჯულიო თითებს ნერვიულად იკაკუნებდა მკერდზე და დუილიოს, როგორიც იყო, ეროხელაც არ გახსენებია თავისი საყვარელი „წყაროდან ჰიქას ნუ წამოიღებ...“ და, გინდაც გახსენებოდა, მერე პირიქით, ასე გაიფიქრებდა: „მივამტვრევ, დაკფშენი...“ ცილიო როზინას (აი, სწორედ იმას, ჭალაში რომ იყო) გინდაც შეხვედროდა, ალბათ თვალს აარიდებდა და ედმონდოსაც კი შედარებით სწრაფად გადაჰქონდა მზერა კედლიდან კედელზე. ფარნების სუსტი შუქიც აღიზიანებდათ, იმ საღამოთი ყველანი აღრე დაწვნენ, პატარა ხანს ვერ დაიძინეს, მხარი იცვალეს, წრიალებდნენ, და მერე, რომ გაყუჩდნენ, ვინმეს რომ შეეჭყიტა ლამაზ-ქალაქის გახევებულ სახლებში, განცვიფრდებოდა — ყოველ მოსახლეს პირქვე ეძინა!

ღამის დარაჯი კი, ლეპოლდინო, პირველ თოვლზე მიაბიჯებდა. და, როგორც იქნა, ნაშუაღამევს, ნამღვილი თოვლიც მოვიდა, ქვაფენილთა სითბოს მომრევი, რბილად ბრჭყვიალებდა ფარნის შუქზე, ჯანსაღი ჰაერით სუნთქავდა მხრებაწურული, მოკუნტული ღამის დარაჯი. თოვლი, ისეთი თეთრი, აბზინდებულ[illegible]ქვე, მის ფერხთით; თოვლი, მ[illegible]ებით განაცრისფრებული, თოვლი, სიბნელეში ლურჯი, ლურჯი და იქაც, ძალიან შორს, თითქოს მუქი და სპეტაკნარევი, მაინც სპეტაკი, და ირგვლივ — ბარდნა... აჰ, როგორ თოვდა ლამაზ-ქალაქში, მსუბუქად იდო სახურავებზე, თეთრად აჩენდა აქა-იქ ხეებს, პეშვზე ლოყა დაედოთ ლამაზ-ქალაქელებს, ეძინათ. ერთადერთი ლეპოლდინო დაიძურწებოდა მიმოხვეულ ქუჩებში, ჰაერი იყო, ისეთი ლაღი, ისე კრიალა, ველარ იძახდა იმ თავის სიტყვებს: „ღა-ამის...“ იმ კაცის სახლიდანაც კი არ ისმოდა საკრავის ხმა, სულად ფრინველი რომ ჰყავდა, სადღაც შეძურწულიყვნენ თოვაში ჩიტები, მძიმედ, მსუბუქად, უხვად ბარდნიდა. სიჩუმე იდგა პირველი თოვლის და მხოლოდ ერთგან, მკრთალად განათებული ფანჯრიდან გამოსულ შუქზე თითქოს ოდნავ შრიალებდნენ ნათელი, გადიდებული ფიფქები... თოვდა! თოვდა, პირმოკუმული დაიარებოდა ლეპოლდინო, უცხო სიმართლე ფარფატებდა ირგვლივ, პირველი თოვლის თეთრი სიმართლე და ლეპოლდინომ, ღამის მატყუარამ, საათს დროულად დახედა და მაინც კრინტი არ დასცდენია. ეჰ, კარგი იყო, და მაინც ჰქონდა თოვლს მისი სევდა, ფიფქებით შეკოწიწებული, თეთრი, უთქმელი... მარტოკა იყო ლეპოლდინო მორთულ ქალაქში და ფარანი დაუშვა, თავის ნაფეხურს, იმ ფაფუკ თოვლში ღონივრად ჩაჭედილს, ოდნავ ნაცრისფერს, დააცქერდა და რომ გაიმართა, მხრებიც გაშალა, ეულად დააბიჯებდა სილამაზეში, და, გაამაყდა. თავი გადასწია, სახეზე ათოვდა. მხნედ, თამამად დაიარებოდა გათენებამდე, ყოველივე თეთრად გამქრალავნდა, და თითქოს ალაგალაგ დაგუბებული, თოვლით ათასგან რბილად დაბზარული ბინდის გასაფანტად, ლეპოლდინომ ფარანი მოისროლა, ხელები გაშალა, ღრმად შეისუნთქა ლაღი ჰაერი და თვალდახუჭულმა, უცებ

იყვირა: „ააგერ, გათენდა და... თოვლი მოვიდაა!“

უცნაურ შვებას გრძნობდნენ ბუნდოვანი, თეთრი სიზმრებიდან თავდაღწეული ლამაზ-ქალაქელები: თვალს ახელდნენ და მაშინვე ფანჯრებისკენ გაურბოდათ მზერა — უცხო სინათლე იდგა ოთახში, ფეხშიშველნი მიდიოდნენ ფანჯრასთან პერანგისამარა ქალები და თოვლის დანახვაზე თითქოს უმკვრივდებოდათ გამჭვირვალე პერანგებიდან თამამად გამომზირალი მადლიანი ნაკვთები — თოვლი მოსულა! უცებ, ერთბაშად იღვიძებდნენ და ლამაზ-ქალაქში ათასგან თეთრად ფეთქდებოდა გაოცებულ თვალებში თოვლი, მაგრამ შეფუთვნილი, თითო ბავშვებიც მიჰყავდათ დედებს ფანჯარასთან და ისინიც თვალდაჭყეტილნი შესცქეროდნენ უცნობ სითეთრეს და გაოცებისგან პატარა თითებს აღარ ლოლნიდნენ — ზოგი ახლა და ხედავდა პირველ თოვლს, ზოგიც, ვინ იცის, მერამდენედ და ყველას უხაროდა... აჩქარებულნი, საუზმობდნენ და ქუჩაში გარბოდნენ, ბევრს ლუკმაც არ ჩასვლია პირში, ისე გამოვიდა ლამაზ-ქალაქში, ვიღაცას მოხვდა ვინსენტეს ხელით ნასროლი გუნდა, მამიდა არიადნამაც კი ვადაზე ადრე გაიღვიძა — გაკვირვებულმა, ვადაზე ადრე დააფახულა სქლად შეღებილი წამწამები და ნეტარებით თქვა: „აჰ, ბრრ...“ ისევ, კვლავ თოვდა! დღის სინათლეზე ხალისიანად ეშვებოდნენ დიდი, დაჩვრეტილი, მსუბუქი ფიფქები და ისეთი ლაღი, ისე თამამი გუნდაობა გაიმართა! ღარბაისელ სენიორ ჯულიოსაც ზედ კინკრიხოში მოხვდა გუნდა და წოწოლა ქუდი გადაუვარდა. მაგრამ ჯულიოს არა სწყენია, ცილით მოხდენილად სტყორცნიდა პაწია გუნდებს მხოლოდ ლამაზებს, ანტონიოსთვის ერთი იყო ყველა და ჯუზეპემაც, გახარებულმა, მთელი პეშვი თოვლი იტუცა პირში. ციგებით მოსრიალებდნენ ლოყებაწითლებული ბავშვები, და საეჭვო დაღმართთან მდგარმა მამიდა არიადნამ ნაზად ითხოვა: „გეთაყვათ, დუილიო, მომაშველეთ რაა, მკლავი...“ მაგრამ დუილიო თავად წაიქცა, თოვაში გაწკრიალდა კონჩეტინის ლაღი სიცილი, ილიმებოდა ედმონდიც, [illegible] თავად ჩაფიქრებული და შეწუხებული, „გამიკეთეთ, რა, გუნდა, ხელები გამეყინა“, იხვეწებოდა ვიღაც ქალი და ალექსანდრო გახარებული შესცქეროდა ბედნიერ, სახეგაბრწყინებულ ლამაზ-ქალაქელებს, და მხოლოდ კუმეომ, ბრიყვმა, მოუშხამა გუნება — იმან ქვა ჩადო გუნდაში და მთელის ძალ-ღონით ესროლა როზინას, და, კიდევ კარგი, ააცდინა და გაბრაზებულმა დინომაც მაშინვე ისე აუწია ყური, კუმეოს სახე მოეღრიცა და წვრილი ხმით პატიება ითხოვა.

გორაკებისკენ გაემართნენ, მაღალ ფიჭვებზე სქლად იდო თოვლი, დიდიან-პატარიანად, ციგებით ეშვებოდნენ, და ისე ბედნიერად, ისე ძალუმად გაისმოდა აყირავებულთა სიცილი... დინო მოჰქროდა თვალმოჭუტული, ერთიანად აწურული, ყველაფრისადმი მზადმყოფი, გზადაგზა მოხერხებულად იცდენდა გუნდებს, თოკგამობმული ციგებით დაასეირნებდნენ ჯერ ფეხაუდგმელ ბავშვებს, მომცრო ხეებს აჯანჯღარებდნენ და თოვლს აყრიდნენ ერთმანეთს თავზე, იმ თეთრი ბედნიერებით პირთამდე ბედნიერნი, და მხოლოდ სასეირნოდ გამოყვანილი უგო, თხუთმეტი წლის გიჟი, სიძულვილით შესცქეროდა ყველას და ხმადაბლა ბუტბუტებდა: „წითელი სისხლი... წითელი, თოვლზე...“ მაგრამ მისი ხმა არც გაუგიათ, ერიამულობდნენ... და დომენიკოს დანახვაზე უგო მაშინვე აიძურწა და ფეხაკრეფით გაიპარა შინ, დომენიკო კი მოდიოდა, გაბრუებული იმ წმინდა ჰაერით, მის სოფელში რომ იცოდა და, ლურჯ მოსასხამში გახვეული, თხელი, მაღალი, უცხო ქალაქში პირველ თოვლზე მიაბიჯებდა. „შეხეთ, შეხედეთ, რა ლამაზად ეშვებიან ფიფქები, — იძახდა დუილიო, — განა საცოდაობა არ არის, სილამაზის მუზეუმში რომ არ იმყოფებიან ისინი? — და დააყოლა, — წყაროდან ჭიქას ნუ წამოიღებ!“ „ამან რომ არ ჩაგვამწა-

როს...“ — აიმრიზა ალექსანდრო, ნორჩი ჯანჯაკომო კი, აწითლებული, სადღაც მღელვარედ იყურებოდა და იქითკენვე იყურებოდა ცილიო, მსუნაგი, აკრეფილი. ტერეზა მოდიოდა.

ის მოდიოდა ლაღი, თამამი, და რაღაც სიცელქე აშკარად ჩაეხვია გულში — მწვანე თვალები ისე უბზინავდა. დათოვლილ გორაკზე ადიოდა ტერეზა, ოდნავ წინგადახრილი, ცალი ხელით დოინჯი შემოეყარა, მეორეს კი ლამაზად არწევდა ყოველი მოხდენილი ნაბიჯისთანავე. გრძელი ქურქი ეცვა, დიდი, მამისეული ტლანქი ჩექმები და მაინც ისე მოხდენილად, ისეთი რწევით ამოდიოდა... სქელი თავსაფარი მაგრად გაენასკვა ყელზე, ტუჩებმოკუმული, ღიმილს ძლივსძლიობით იკავებდა და პაწია ფოსო ჯიუტად აჩნდა მხოლოდ ცალ, სუსხით ნაზად შეფერილ ლოყაზე, თხელი, ფაქიზი ნესტოები სიცივეში თითქოს უთრთოდა.

ტერეზა ამოდიოდა გორაკზე, ტერეზა, თავით-ფეხამდე ქალი, ლაღი, ჰავნება და ქალურობით მაინც ტანსაცმლიანა გაჟღენთილი, უცნაური, ახირებული მოძრაობები თითქოს აშიშვლებდნენ გაოგნებული მამაკაცების თვალში და უჰ, როგორ სძულდათ სულყველაფერი, რაც კი ტერეზას იმ სუსხიან დილით ეცვა. ქალი ამოდიოდა თოვლში, ახალგაზრდა, ბედნიერი ქვრივი, და არაფრისა დარდი არა ჰქონდა — მოაბიჯებდა. ის გორაკი რომ ამოიარა, შედგა, უნებურად წრე შემოარტყეს, ტერეზამ კი თავსაფარი შეიხსნა, ქურქი მოიღეღა, ჩექმიანი ფეხი ლონივრად დაჰკრა თოვლზე და ხელი შემართა. გაოცებულნი უმზერდნენ. ტერეზამ კი ფეხები აათამაშა თოვლზე, შეჩერდა და... თეძოზე დაირტყა ხელი. მერე შებრუნდა, მხარი ლოყამდე აზიდა, ხელები განზე გაშალა, ფეხისწვერებზე აიწია და, უეცრად მკერდზე ხელებმიხუტებული, ადგილზე გაქვავდა. და სანამ გაოცებული ლამაზ-ქალაქელები დაჭყეტილ თვალებს დაახამხამებდნენ, ტერეზა ოდნავ, მსუბუქად შეხტა და ყველანი ერთად მიხვდნენ — ცეკვავდა ქალი, ტერეზა ცეკვავდა პირველ თოვლზე, მხოლოდ მისთვის გასაგები ბედნიერებით ბედნიერი, ტერეზა ცეკვავდა რომელიღაც უცნობ, სახელდახელოდ გამოგონილ ცეკვას, გრძელი თმა უფრიალებდა, უცახცახებდა მხრები, ერთიანადაც ცახცახებდა და გამწარებული იღიმებოდა ცეკვისას თვალდახუჭული ქალი და ირგვლივ — თოვდა... დიდი ჩექმებით ტკეპნიდა თოვლს აცეკვებული ქალი — ტერეზა და ის არნახული ხელების ქნევა სხვას თუ სასაცილოს გახდიდა, ტერეზას უცნაური, ყოვლისმომრევი სისასტიკით ამშვენებდა. ქალი ცეკვავდა მათ თვალწინ, წრეში, გამაღიზიანებელი, ჩასაქოლი და მაინც თითს ვინ დააკარებდა — ყველას უყვარდა, და სძულდათ კიდეც — ცეკვისას ისე უცნაურად ამაღლებული და მიუწვდომელი, ის კი შეჩერდა, ოდნავ უკან გადაიხარა, მოქანცულმა, მარცხენა ხელი თითქოს ძლივას ასწია, გრძელი, მოქნილი, წვეტიანი თითები დომენიკოსკენ გაიშვირა და იმისთვის ზედაც არ შეუხედავს, სიჩუმეში ხალხს იმ თავისი ლამაზი, დაბალი ხმით ასე უთხრა:

ეს ბიჭი მომწონს...

ნაშუადღევს კი, ქალაქის განაპირას, დიდი შეჯიბრი გაიმართა.

ჯერ იყო და, თოკის გადაზიდვა მოაგონდათ, მშვენიერიაო, შესძახეს, მაგრამ თოკი ჯიბეზე არავის ჰქონდა. ხათრიანმა ანტონიომ მაშინვე ითავა თოკის მოტანა; სიძის გამამხნევებელი ღიმილიც გულს მოეფონა და თავქუდმოგლეჯილი დაეშვა სახლისაკენ. ისე იყო მონდომებული, დალმართში ორჯერ ჩაკოტრიალდა; ვინსენტეს ხათრით შეუმჩნევლად, საყელოში ჩაიცინეს. მანამ მობრუნდებოდა, განაწილდნენ — ყოველ გუნდში სამ-სამი კაცი შედიოდა. იყო ერთკაციანი გუნდიც — ეს ჯუზეპე გახლდათ, ვეება. ღონიერი. სანამ თოკს მოიტანდნენ, ერთი სული ჰქონდათ, აღარ იცოდნენ, რითი გაერთოთ თავი, ცილიო ფრთხილად მისრიალებდა ცი-

გით და ქალიშვილების დასანახად აქაო და ქარი მაწუხებსო, ეშხიან თვალებს აუჟუჟუნებდა. კუმეომ თავის საყვარელ გასართობს მიმართა — ვიღაცას წვივზე ხელი სტაცა და ძალლივით შეჰყეფა, შემხტარი ქალის დანახვაზე ძალიან გამოუკეთდა გუნება, მაგრამ დინომ ამისათვის პანღური რომ ამოარტყა, დიდად არ ესიამოვნა — ადამიანი იყო ისიც. წამდაუწუმ იცინოდა ტულიო, თავს უკან გადააგდებდა და გემრიელად ხარხარებდა, დაფიქრებული ედმონდო კი თოვლს ვეღარ აცილებდა თვალს, „იცი რა, სილვია?! — წასჩურჩულა კონჩეტინამ დობილს, — მე ერთი ბიჭი მიყვარს...“ „რას ამბობ, მართლა? — შეიცხადა სილვიამ და ერთმანეთს საჩქაროდ აკოცეს, ლაპარაკი მაშინვე რომ გაეგრძელებინათ, — ვინა, ტულიო? მხიარულია, ლაღი...“ „არა, არა, ტულიო არა...“

ამასობაში მხიარული შეძახილები გაისმა, რადგან გორაკზე ქშენით ამომავალი, გახვითქული ანტონიო დაინახეს, მაგრამ იმან ჩაქუჩი და ლურსმნები მოიტანა, თოკის ნაცვლად — შეშლოდა ყმაწვილს. ფუუიო, თქვეს, გამწარებული ვინსენტე მზად იყო, შუაზე გაეგლიჯა ცოლისძმა, რომელიც იქვე, ორიოდ ნაბიჯზე, საცოდავად იდგა. ტულიომ კისკისი ატეხა, მტრისას — ერთიანად გადაფიჩინდა, ედმონდო კი თანაგრძნობით შეჰყურებდა გაწითლებულ, დარცხვენილ ანტონიოს, ვისთანაც მეგობრობა ახლაც კი, ახლა, გულით უნდოდა. „ააა, მივხვდი, — თითი დაუქნია სილვიამ დობილს — სერვილიო, არა? საზრიანია, მოხერხებული...“ „აჰ, არა, არა, იმას რა შემაყვარებს, — ხელი გაასავსავა კონჩეტინამ, — იმას ხომ კამორელებთანა აქვს საქმე...“ „ააბა... — დაფიქრდა სილვია და აფორიაქდა, — ცილიო ხომ არ?“ „აარა, არა... შენ შეგეცილები?“ და ერთმანეთს ისევ აკოცეს, ანტონიომ კი ისევ ჩაიარა აღმართი, თავჩაქინდრული მიაბიჯებდა და ახლა აღარავის ეპარებოდა ეჭვი, თოკს რომ მოიტანდა და, მართლაც, ანტონიომ ბოლოსდაბოლოს, შეასრულა დავალება, ოღონდ მეორე ცდით — თოკი მოიტანა და ერთ ბოლოს ტულიო, აღელვებული დომენიკო და ცილიო დაეჯაჯგურნენ, მეორეს კი — მხოლოდ ჯუზეპე და მაინც სამივე გადმოიზიდა. ტაში ატყდა, მტრედები აუშვეს თოვაში, „ეს ბიჭი ხომ არა, ჩამოსული, დომენიკო?“ „არა, ეგ არა, ცოტათი გლეხია...“ „ფერმკრთალი რომა?“ „დიდი ამბავი...“ მერე ვინსენტემ აიღო თოკი, იმას წელზე მოეხვია მოყვარული ცოლისძმა — ანტონიო და ანტონიოს კი ამხანაგთმაძიებელი — ედმონდო მაგრად ჩაეხუტა, ხოლო ჯუზეპემ დაიქშინა, ერთი' კი მოქაჩა და სამივენი მის ფეხებთან გაგორდნენ. ახლა შედარებით მცირე ტაში გაისმა, რადგან ჯუზეპეს ძალ-ღონისა შეშურდათ, ხოლო როცა ჯუზეპემ ოთხი კაცი — მიქელე, დინო, დარბაისელი სენიორ ჯულიო და დუილიო, როგორიც იყო, — გადმოიზიდა, კრინტი არავის დასცდენია და ჯიბიდანაც არ ამოუღიათ ხელები. ახლად წაქცეულები სწრაფად წამოდგნენ, თოვლზე კი დარჩნენ მანამდე წაქცეული ანტონიო და იმას ჩახუტებული ედმონდო, მაგრად მიკვროდა უწყინარ მღებავს ამხანაგთმაძიებელი, წამოდგომას არ ანებებდა და ხან ერთ, ხან მეორე ყურში მწველად ჩასჩურჩულებდა: „ვიამხანაგოთ, რა, ვიამხანაგოთ, რაა...“ ყველას დაეკარგა თოკის გადაზიდვის ხალისი, ჯუზეპე კი, დიდთავა, მკერდგანიერი, მხარბეჭიანი, ძალუმად ისუნთქავდა ჰაერს. „ჯუზეპე ხომ არა? მძლავრია, წარმოსადეგი...“ „გაგიჟდი, სილვია? — შეიცხადა კონჩეტინამ, — მაგ კამბეჩს რა შემაყვარებდა... მართლა მკითხე, თუ?“ „არა, რას ამბობ... და დინო ხომ არა? მოხერხებულია, ცქვიტი...“ „აბა რას ამბობ, სილვია, — უსაყვედურა კონჩეტინამ, — ჩემზე დაბალი მამაკაცი როგორ შემიყვარდებოდა?“

მერე იყო და, დიდი ციგაობა გამართეს. შარვლიანი ქალიშვილებიც უშიშრად მისრიალებდნენ ქვევით, მაგრამ წონა არა ჰყოფნიდათ და მათი ციგა ნე-

ლინელ ეშვებოდა დაღმართში, იქაც ჯუზეპემ აჯობა ყველას — მძიმე იყო და თორმეტ დათვლაში ჩასრიალდა, სხვები კი თხუთმეტ, ოც დათვლასაც კი უნდებოდნენ. დამთვლელს კი, აბა, ვინ არ დაუჯერებდა — დუილიო გახლდათ. ვინსენტემ და ედმონდოსაგან თავდაღწეულმა ანტონიომ საერთოდ ვერ ჩააღწიეს დაბლა, რადგან იმ გრძელ ციგას დაეჯახნენ, სამი მხიარული ქალიშვილი რომ იჯდა — იმათ ციგის მართვა არ იცოდნენ და ვერ ჩამოეცალნენ, ციგები აყირავდა, ერთმანეთში გადაიხლართნენ გოგო-ბიჭები, კისერზე, თავდაყირა მდგარ ვინსენტეს ღილი აწყდა, თბილი ყელსაბურიც მოეღეღა და ამ არეულობაში ვინსენტემ ისარგებლა და ვისაც მისწვდა, გარკვეულ ადგილას ძალიან უბწკინა, მაგრამ, ბედი არ გინდა? — ყველანი რომ წამოდგნენ, მხიარული ქალიშვილები არხეინად იბერტყავდნენ თოვლს, და მაინცდამაინც ანტონიო გამწარებული ისვამდა ხელისგულს ერთ ადგილას, და — მხიარულ ქალიშვილებს ეჭვით შესცქეროდა.

„არ გამაგიჟო, კონჩეტინა, — შიშით შეაცქერდა სილვია, — ვინსენტე? ის ხომ ცოლშვილიანია...“ „აჰ, არა, არა, რას ამბობ, ცოლშვილიანია.“ „ჰო, მეც არ გამიკვირდა?! — გაუკვირდა სილვიას, — ის ხომ ცოლშვილიანია... და ანტონიო?“ „გაგიჟდა, სილვია? ეს როგორ იფიქრე, მე და... ის ბოთე? ასე მიყურებ?..“ „არა, არა, რას ამბობ, არა...“ — წამოიძახა სილვიამ და ერთმანეთს აკოცეს.

მერე იყო და, ლამაზ-ქალაქელი ჭაბუკები სირბილში გაეჯიბრნენ ერთმანეთს, პირველობა აქაც ჯუზეპეს დარჩა — უზარმაზარი, მძლავრი ნახტომებით მიიჭრა დათქმულ ხესთან, სამგზის გამარჯვებული, გაამაყებული, ზემოდან დასცქეროდა ყველას და, დინო რომ მოხვდა თვალში, გახსენებამ ყბა აუხურა — როგორ გაუბედა! მთვრალი იყო მაშინ, თორემ, ეს ცეროდენა... დაფეხვილი!.. განრისხებული. სულ თვალებით სჭამდა, აუარა, ჩაუარა, გაცეცხლებულმა, ის თავისი რკინის იდაყვიც გაჰკრა, დააზანზარა, ჯერ მედიდურად შეაცქერდა, მერე — დაცინვით, ხითხილით, დინომ კი არხეინად უთხრა:

— რა იყო, ძიაჯან, რას იბღვირები...

— არაა შენი საქმე, შენს თავს მიხედე შენ... — მიუგო ჯუზეპემ და დააყოლა, — ლაწირაკი.

— ბოდიში მოიხადეთ, სენიორ, — თავაზიანად ურჩია დინომ, — დრო კიდევა გაქვთ.

— რაო? ბოდიშს მოგცემ მე შენ...

და მოუქნია, მაგრამ დინომ აიცდინა და...

ჯერ შუბლზე დაადეს თოვლი, მერე კი, გაშხლართულს, მრავლად დააყარეს თავსა და ყელზე. ძლივს წამოსვეს და, უგონოს, თავჩაქინდრულს, კისერშიაც კი ჩაუგდეს ორიოდე მოზრდილი გუნდა, მაგრამ აჰ, არა, არა, აპაპაპაპა — ჯუზეპეს სიცოცხლის ნასახიც არ ეტყობოდა. შუბლი რომ გაუგრილეს, მერე მაგრად დაუზილეს საფეთქლები... ვერაფერმა უშველა, და ბოლოს არტურო მოვიდა, შეშინებულმა წრე გაარღვია, თქვა: „ეს გამოაფხიზლებს,“ და სილა რომ გაულაწუნა, ჯუზეპემ მართლაც გაახილა თვალი და არტუროს საპასუხო სილა მკვირცხლად ხეთქა, რის შემდგომადაც მომსულიერებლები არტუროზე გადავიდნენ, ხოლო შორიდან ნორჩი ჯანჯაკომო შეძახილით „მამილო, მარჩენალო, მაამი,“ გამოქანდა და ხალხის გარღვევას ლამობდა, მამიდა არიადნა კი ოდნავადაც არ შეწუხებულა არტუროს ბედით, და თუ სასურველი ლამაზ-ქალაქელის მზერას დაიჭერდა, ანიშნებდა — შენ — თითს მიაშვერდა, ჩემთან — იგივე თითს მკერდზე მსუბუქად იკაკუნებდა, ორ საათზე მოდი — ორ თითს აჩვენებდა, მიუხედავად იმისა, უკვე სამი საათი რომ იყო. მამიდა არიადნამ მშვენივრად იცოდა დრო და ისიც, რაღა თქმა უნდა, იცოდა, ლამაზ-ქალაქში უზრდელობად რომ ითვლებოდა მასპინძლის ოჯახში დაუგვიანებლად მისვლა. ასე, ოთხიდან ხუთამდე მოვიდოდნენ

ალბათ სტუმრები, და მამიდა არიადნაც მანამდე მშვიდად, არხეინად გაშლიდა სუფრას. ხოლო არტუროს ისევ საკუთარმა მეუღლემ უშველა, ეულალიამ — არავითარი თოვლი და დაზელა, — არტუროს ჯიბეში ქურდივით ჩაუცურა თითები, იმანაც წამსვე თვალები დააჭყიტა და ჯიბეზე იტაცა ხელი —

გადარჩა კაცი.

* * *

ქალი, ტერეზა... საწოლზე პირქვე იწვა დომენიკო. საბანი მაგრად ჩაებღუჯა, ბალიშს ჩაჰკვროდა. ქალი, ტერეზა — როგორი რხევით დადიოდა, როგორ დაჰქონდა მაღალი მკერდი... ოდნავ გვერდზე გადახრილი თავი, მაღალი ქალის რალაცნაირად საოცრად მშრალი, ძალიან მშრალი თმა, ქარში რომ ფრიალებდა... ყელი, მაღალი, ყელი, ქათქათა, ყელი — დაჭიმული და გამოძერწილი ყვრიმალის ძვალი, ისეთი ნაზი, ისე მკაფიო... და, ეშმაკურად დონჯშემოყრილს, გაღიმებისას — პაწია ფოსო, მხოლოდ ცალ ლოყაზე... დიდი, ლამაზი, ფართო კბილები, გაღიმებისას — ჭიშკარი თეთრი... მისი ტუჩები, დასკდომამდე სავსე, დაბერილი, მისი ტუჩები — მზაკვარი და მომლოდინე, მისი ქვედა ტუჩი, გამობურცული და თამამი, გამომწვევი, წებოწასმული თითქოს — ტერეზას ბაგე... და ნაზი, ნაზი ლავიწის ძვალი, ოდნავ, სულ ოდნავ გამოხაზული და ზევით, იქვე, განივი ორმო — წყარო დასაწაფებელი, ტერეზა, ქალი... და ხელი, ხელი, მოქნილი ხელი, გველივით მკლავი, და გრძელი, წვრილი, მუქარითა და სინაზით სავსე მისი თითები — ხუთი განსხვავებულად მოშიებული, ლამაზი მახრჩობელა, და თხელი ქალის დატენილი მუქარით მკერდი — მისკენ უნდობლად დამიზნებული... ქალის ხმა — ნაზი, დაბალი, ლბილი, ალუბლის გემო, თაფლის სურნელი ტერეზას ხმაში, ეჰ, ფიჭა, ფიჭა... მისი თვალები, ხან მთალერსე, თბილი და ამო, ხანაც — უნდობლად აკვესებული, ქალი, ტერეზა...

მისი სახლისკენ მიდიოდა დომენიკო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ზუსტად, დროულად ნათქვამი ჭკვიანი სიტყვა შემდგომი ამაღლების საფუძველია,—განაგრძო დუილიომ, — ჩემი უბრალო-ქმედით სიტყვები და აგრეთვე... დიდი მადლობა ქალბატონო არიადნა, სიამოვნებით გიახლებით, რადგან კომბოსტო მრავალი წლით შეგვინარჩუნებს გონებრივ სიმხნევესა და ფიზიკურ სრულყოფილებას, იმას ვამბობდი, უბრალო — ქმედით სიტყვებს ძალუძთ დიდებითი როლი გაითამაშონ ყოველდღიურ ცხოვრებაში.

— ვასკოსაც ძლიერ მოსწონდა კომბოსტო, — მოიწყინა მამიდა არიადნამ, — თქვენც გადაიღეთ, სენიორ ჯულიო.

— კარგია, კარგი.

„წიწაკა არ სჯობს?“ - - გაიფიქრა ცილიომ და ფანჯარასთან მდგარ როზინას (აი იმას, ჭალაში რომ იდო), მრავალმნიშვნელოვნად გადახედა.

— მართლა კარგი კი მართლა ისაა, როცა ადგილი აქვს მაღალი დისციპლინისა და ურთიერთმომთხოვნელობის წრფელ ატმოსფეროს, — განაგრძო იმან, — აი, მაგალითად, დღეს ჩვენს წრეშია ალექსანდრო, კაცი, რომელიც თავშეუკავებლობითა და დაუფიქრებლობითაა სახელგავარდნილი, მაგრამ რომელსაც მაინც ფაქიზი გული ჰქონია ხანდახან — სწორედ ამას და სხვას რას უნდა ნიშნავდეს ის მშვენიერი სათამაშო-საჩუქარი, რომელიც მან დღეს ჩვენს მარადუბერებელ ქალბატონ არიადნას მოუტანა საკუთარი ხელით და ხელიდან ხელში გადასცა? რა მშვენივრად რეკს...

— თუ რეკავს? — იკითხა ალექსანდრომ.

— მაგას არა აქვს მნიშვნელობა, ისედაც ხომ მიხვდით. რა საჭიროა ზედმეტი ხმოვანი, თუკი ისედაც მივხვდებით, არა? ჰა, ალექსანდრო?

— სწორიხრ, — დაეთანხმა ის.

— რათ...

— სწორი ხართ-მეთქი.

— ო, რა თქმა უნდა... ყოველთვის შეიძლება სიმართლის მყარად დადგენა, სიმართლე — საზღვარივითაა.

— ყოველთვის? მუდამ?

— რაღა თქმა უნდა.

— რაღაც რომ გითხრათ, უკან არ დაიხევთ?

— არასგზით, არა.

— აი, ვთქვათ... როდესაც ორი ადამიანი ჩხუბობს, ერთი ქერა, მეორე კი შავგვრემანი, რომელია დამნაშავე? — და უცებ ალექსანდრომ ისე დაიყვირა: „ჰოპ!!!“ — შემკრთალ სენიორ ჯულიოს სასმისიც კი გაუვარდა ხელიდან, გალიაში შეიფრთხიალა მამიდა არიადნას ხუთივე იადონმა, და ალექსანდრომ თავაზიანად დააყოლა, — ბოდიში, მაგრამ, იაფფასიანი ეფექტი ყურადღების დედაა, მაშ, რომელია დამნაშავე?

— ორივე კაცია? მამაკაცი... მოჩხუბარი? — თქვა დუილიომ, ძლიერ შეშინებული იყო.

— დია-ახ!

— ის შავგვრემანი... ძალიან შავია?

— შავტუხა, კუპრი...

— მაშ, შავგვრემანი რაღა თქმა უნდა.

— რატომ?

ტერეზას სახლთან არავინ იყო. მაღალ აივანს, დახშულ ფანჯარას, მწვანე ფარდას აჰყურებდა დომენიკო. სახლს ფეხაკრეფით შემოუარა — მარტივი ქურდი...

— იმიტომ.

— იმიტომ — რატომ? რატომ იმიტომ?

— იმიტომ რომ შავი — შავია, ქერა კი — თეთრი.

— აჰ, რა კარგად თქვით, — ტაში შემოჰკრა კონჩეტინამ და სილვიას გადაულაპარაკა, — ის მე ვინც მომწონს, ქერაა, თეთრი...

— ქერაა, ქერა?

— მთლად კი არა, მაგრამ მოყავისფრო თმა აქვს, ისეთი კარგი, ისე ჯაგარა...

— ქერა რა — აუცილებლად კარგია? — გაოცდა ალექსანდრო.

— შავთან — რა თქმა უნდა... და თანაც, ყველაფერსა და ყოველივეში არის რამ კარგი, თუკი გულისყური ფხიზლად იქნება და ჩემი უბრალო სიტყვები კიდევ უფრო შთამბეჭდავსა და ადვილმისაწვდომს ხდიან რთულ ფსიქოლოგიურ ამბავს.

— იფ, იფ, რა მარტივად თქვა? — თავი გაიქნია ალექსანდრომ, — ისე კი, რომ იცოდე, ორივე დამნაშავეა. ოჰ, შე პატარა, აჰ, შე პატარა, ჩემო ყურცქვიტა...

ქალი არ ჩანდა. ნამდვილი ქალი... გრძელ, ვიწრო სარკმელს მიჩერებოდა დომენიკო, ურჩად, ჯიუტი ჩურჩულით იხვეწებოდა: „გაალე, მოდი...“ ხანდახან ისეც ეჩვენებოდა, თითქოს განზე იწეოდა მძიმე მწვანე ფარდა, მაგრამ არა, არა, ეჩვენებოდა... კვლავ ჩურჩულებდა, „გაალე, მოდი...“ გამწარებულმა, ძირს დაიხედა — თოვლზე იდგა... პირველ თოვლზე იდგა და დაიხარა, გაოფლილი თითებით დასწვდა, ესიამოვნა, შუბლზე მიიდო... ისევ აიღო პეშვით თოვლი, დააგუნდავა... თოვლს დააცქერდა, გუნდის წაგრძელება სცადა, ჩაეფშვნა ხელში... მერე შეასწორ-შემოასწორა, ცერით ავლებდა კვალს და პაწია გუნდა დაადო, გვერდებზედაც შეასწორა რაღაც — აჰ, არა, არა, არად ვარგოდა ეს თოვლის ოლროჩოლრო ქალი... ცივი იყო და ერთნაირად თეთრი, უშუქო, სითბო არ ჰქონდა... რაღაც გაახსენდა, დაიხარა ისევ...

— მე ყურცქვიტა არა ვარ, თუ შეიძლებოდეს! — განრისხდა დუილიო, — განა მარტო საქციელს, არამედ სიტყვებსაც შერჩევა უნდა!

— კარგით, კა-არგით, დუილიო, მოფერებით გითხარ, კარგო, კარგი, ტკბილო, საყვარელო, მშობლიურო, კეთილო, ყურუმსალო, გონიერო, მოყვარულ-დადებითო...

— ვინაა შენი ყურუმსალიც! ამას ვერ ხედავთ! — წამოხტა დუილიო, — მე!...

მე... წყაროდან ჭიქას ნუ წამოიღებთ, სადაა ჩემი მოსასხამი!

— კარგი რა, დუილიო, ცხრა სიტყვაში რვა მოსაფერებელი გითხარი და ერთი ყურუმსალი უცაბედად გამომერია, რაღა იმ სიტყვას ჩააცივდი...

— დამშვიდდით, დუილიო, ყურადღებას ნუ მიაქცევთ... ხომ იცით, და...

— ვინაა მაგის ყურუმსალიც!

— კარგით რა, დუილიო, დამშვიდდით, დამშვიდდით, ძალიან გთხოვთ, — სთხოვა ალექსანდრომ, — რვა ქერა სიტყვაში ერთი შავგვრემანი უცაბედად გამომერია, შევცდი, რა მოხდა...

— შეცდა, რა იყო, აპატიეთ, სენიორ დუილიო, მაგან ისეთი კარგი საჩუქარი მომიტანა, აპატიეთ, აპატიეთ, კეთილო, — დაუყვავა მამიდა არიადნამ და ფიქრებში წავიდა, — ეჰ, ეგ კი არა, ვასკოც ცდებოდა ხანდახან... საღამოობით...

— ჩემი ოცნების ჭაბუკი კი არასდროს არ სცდება, — წასჩურჩულა კონჩეტინამ სილვიას, დობილს, — რადგან ის — უშუალოა.

თოვლი გაქექა დომენიკომ, ჩაცუცქული, შემცივნებული თითებით რაღაცას ეძებდა... მაჯამდე ჩაჰყო თოვლში ხელი, მაინც ვერ ჩასწვდა, სახელო დაიკაპიწა და მერე, როგორც იქნა, რაღაც ცივსა და მაგარს მიაგნო — ღრმად იყო თოვლში .. თითებით მოფხოჰნა, თითები იტკინა... ქამარი შეიხსნა და ვერცხლის დიდი ბალთით ამოჰრა ცოტაოდენი მიწა, ისევ მოჩიჩქნა, კიდევ და კიდევ... ნელა წამოდგა, გაიმართა, მიწა ჰქონდა ხელთ... მაგრამ მაგარი იყო და ის თოვლის უსწორმასწორო პატარა ქალი ხელისგულებში მიწასთან ერთად მოიმწყვდია, დაადნო, იმით დაასველა მიწა... რუხი წვეთები დაეცა თოვლზე, მიწა კი დალბა, ატალახდა, და, მის პეშვებში გამომწყვდეული, თითქოს შეთბა კიდეც...

— მაპატიეთ, სენიორ დუილიო, მაგრამ ის უნდა მეთქვა, რომ... აიი, სწორედ ის, რომ... დიახ, აი თქვენ, მაგალითად, ყოველთვის იმას ამბობთ, თუ როგორი უნდა იყოს კარგი მამაკაცი, ხოლო რაც შეეხება კარგ ქალს, ქალი როგორი უნდა იყოს, ამას არ ამბობთ...

— ხედავთ, ეს რა თქვა? — თქვა დუილიომ და მიმოიხედა, — არა, თქვენ ხედავთ, ეს რა თქვა? და განა მე არ გიამბეთ იმ შესანიშნავად უმწიკვლო ქალის ნაღვლიანი ისტორია, რომელიც ქმრის კეთილდღეობისა გამო იგივე ქმარს დიდსულოვნად გაეყარა?

— აჰ მახსოვს, მახსოვს, როგორ არ მახსოვს, — ხელები მკერდზე მიიკრა მამიდა არიადნამ, — მხოლოდ ქალს შეუძლია გაიღოს ამდაგვარი რამ მსხვერპლი...

— ის ხომ ტყუილი იყო, ნუ გეწყინებათ, მაგრამ, სენიორ დუილიო..

— როგორ თუ ტყუილი! — განრისხდა დუილიო, — ვინაა შენი მატყუარა! სადაა ჩემი...

— კარგი, კარგი, დამშვიდდი, — სთხოვა ალექსანდრომ, — დამშვიდდი და გვიამბე, რა უნდა ჰქონდეს ქალს კარგი.

— ქალს? — ოდნავ ჩაფიქრდა დუილიო და მაშინვე წარმოსთქვა: — ქალს სამი რამ უნდა ჰქონდეს კარგი — ხასიათი, ტან-ფეხი და სახე.

— რაღა ახლა მოგინდა სიმარტივე, — ეწყინა ალექსანდროს, — თუმცაღა, სწორი კია...

ერთი პეშვი ტალახი ეპყრა ხელთ, თოვლით გაჟღენთილი, დარბილებული, თბილი... ხელში მოსრისა, ტალახიანი თითებით დააგუნდავა, ჯერ სხეული გამოძერწა, სასაცილო და ამაზრზენი, სქელი ფეხები გამოუკვეთა, მხრები გადაუგლისა, ორი პაწია ბორცვი ამოუზნიქა, მიწის ქალს ძერწავდა დომენიკო... სავსე თეძოები დაუმრგვალა, ფრთხილად მიაბა ორი მახინჯი ხელი, პაწია თავი დაადო, შეასწორა, როგორც შეეძლო, შეალამაზა და სამი თითით — ცერით, საჩვენებლითა და შუათითით, ფრთხილად აიყვანა პეშვიდან, ფრთხილად ასწია, შეაცქერდა... ეს მცირე მიწის უსწორ-მასწორო ქალიც კი რაღაც

სანუკვარი იყო და, ქალი ნამდვილი, ქალი, ტერეზა...

— ეგრე თუა, უფრო მარტივად უნდა გეთქვათ.

—როგორ მაინც?

— როგორ და: ხასიათი და გარეგნობა. თუმცა „ტან-ფეხი“ გარეგნობაზე მოკლე სიტყვაა... ასოების მხრივ... — აღიარა ალექსანდრომ, — მაინც არ ვარგა... უი, ჰო, სახე რომ დამავიწყდა?

— მაშინ, თქვენ სცადეთ... აი, ხედავთ, თქვენობით რომ ველაპარაკები?

— მე ვცადო? — გაეხარდა ალექსანდროს, — ვცადო, როგორი უნდა იყოს ქალი?

— სცადეთ, ჩვენ გისმენთ...

— ნამდვილ ქალს... — დაფიქრებული იღიმებოდა ალექსანდრო, — ნამდვილ ქალს... მისი გამოჩენიდან დავიწყებ, კარგი?.. ნამდვილი ქალი ფეხაკრეფით უნდა დაიარებოდეს... ოღონდ უნებურად.

— ფეხაკრეფით?

— კი. როგორც დევნილი... ან, მლევარი.

მიწის ქალით ხელში, ისევ იმ სარკმელს აჰყურებდა და იხვეწებოდა, „გაალე, მოდი...“ თვალს არ აცილებდა მწვანე ფარდას, ისევ ჩურჩულით იხვეწებოდა, მაგრამ აქ მხარზე მსუბუქად დაუკაკუნეს. შეტრიალდა და, ელდანაცემმა, მუჭში დამალა ის მიწის ქალი, ისე ლონივრად ჩაბღუჯა, ტალახმა თითებშუა იპოვნა გზა და წვრილად გამოიბურცა — ტერეზა იდგა მის წინ, ტერეზა, ქალი. ოღონდ ამჯერად არ იღიმებოდა, თავი ოდნავ გადაეხარა, და დაკვირვებით, თვალმოჭუტული შესცქეროდა.

საღამოვდებოდა.

— და როცა მოვა, — ძაან ხმადაბლა თქვა ალექსანდრომ, — როდესაც მოვა, და შემოგხედავს, რაღაცას მაშინვე უნდა მიგახვედროს — ღუმილის დროსაც, მუდამ რაღაცას უნდა ამბობდეს ნამდვილი ქალი...

— ეს როგორ... — გაუკვირდა დუილიოს.

— ზურგიდანაც რომ უთვალთვალო, მაინც უნდა მიხვდე — მხარი, კისერი, ნამდვილი ქალის წელი, ხელები, მუდამ ამბობენ...

— რას ამბობენ...

— არ იცი ის შენ... და თუ პირისპირ დგას და გიყურებს, მაშინ... ო, მაშინ...

საღამოვდებოდა და მუქი მწვანე თვალებით მშვიდად შეჰყურებდა. წამალი ეკავა ხელთ — ისიც მუქი მწვანე, თვალებისფერი... და უცებ აუჩქარებლად, მსუბუქად და ფეხაკრეფით, გაქვავებულ დომენიკოს ირგვლივ შემოუარა, თვალს არ აცილებდა. ისევ პირისპირ დაუდგა, ჩაფიქრებული და გამართული, მერე კი ღრმად, ძალიან ღრმად ჩახედა თვალებში და, ოდნავ შემკრთალი, სახლისკენ გაემართა. სამი პატარა საფეხური აიარა, სახელურს ჩასჭიდა ხელი და სანამ კარს შეაღებდა, ერთიც მოხედა... მაგრამ სხვაგვარად, სულ სხვანაირად... შეშინებული, მაინც შეყოლას სთხოვდა... შეშინებული — ეს წუთიც დადგა.

— თვალებით ყველაფრის თქმა უნდა შეეძლოს, დუილიო, კეთილმოუბარო სენიორ... ყველაფერს მიგანიშნებს, და, რაც მთავარია, უნდიხარ შენ, თუ არა...

და სულ, სულმთლად ღია დატოვა კარი. იქითაც კიბე იყო, ოღონდ მაღალი, ვიწრო, ბნელოდა... ხელი აიშვირა, ანთებული ფარანი ჩამოიღო, მაღლა ასწია, მეორე ხელით კი, წამლიანი ხელის ნეკით, გრძელი კაბა მუხლთან ჩაბღუჯა და ცოტათი ასწია — მაღალ საფეხურებზე ოდნავ გვერდულად, დაძაბული ადიოდა ქალი, ტერეზა, მაღლა ადიოდა ხელფარნიანი ქალი და შავ, მუქ ტალღად მისდევდა ყოველ საფეხურზე რბილად დატეხილი გრძელი მოსასხამი, მკრთალ სინათლეზე. კედელზედაც ყველაფერი იდუმალებით მეორდებოდა, და მისი ჩრდილიც მოხდენილი იყო, დარწეული და აცახცახებული. ქალის შეშინებული ღიმილი გაახსენდა უცებ

დომენიკოს და სამ საფეხურზე ერთბაშად ახტა. კიბეს ახედა — მობრუნებული ქალი, ტერეზა, უყურებდა კი, მაგრამ სახე არ უჩანდა. გაოგნებული შედგა დომენიკო, აღარ იცოდა, აეარა ეს მძიმე, ძნელი საფეხურები, თუ გაბრუნებულიყო, და მაღლა მდგარი ქალიც წამსვე მიუხვდა, ფარანი სახესთან მიიტანა, გაინათა და დომენიკომ მაშინვე დაინახა მისი ღიმილი, სულ გამოცვლილი, ახლებური, ავაზაკური... ტერეზამ სწრაფად აიარა დარჩენილი ორი საფეხური და ფარანი კიბის თავში დადგა. რბილ საფეხურებს აუყვა დომენიკო, იმ სიბნელეში ჩაყურყუმალავებული, განათებული. ზედაპირისკენ ამოტივტივდა. ცალი ხელი დაავლო ფარანს, მეორეში კი ისევ ის გასრესილი მიწის ქალი ეჭირა, და ოთახი მოათვალიერა, ნესტოებდაბერილი ყნოსავდა ჰაერს. გრძელი, დაბალი ოთახის შორეულ კუთხეში შავად მოჩანდა ქალი, ტერეზა...

—სახის ჩრდილები, — თქვა ალექსანდრომ, — ყველაფერსა აქვს თავისი ჩრდილი, — შუბლს, თმას, ცხვირს, ტუჩებს...

და თუმცა გამართული იდგა, თვალები ძირს დაეხარა. წამწამთა ჩრდილი გადაჰკვროდა მწვანე თვალებზე. ფარანი ქალის სახესთან მიეტანა დომენიკოს, და, მზერადახრილს, გაფაციცებული შესცქეროდა... მაგრამ ტერეზამ თვალებში შეხედა და მერე მის მიღმა გადაიტანა თამამი მზერა... დომენიკომაც მიიხედა და უცნობი ნივთები დაინახა — სკამი, მაგიდა, სკივრი, საწოლი... რაღაც თოჯინა, მაღალ თაროზე... ჭიქა და თუნგი, ტაფა, კოკურა... ნაცნობი ნივთები დაინახა და გათამამდა უცებ ტერეზა. დომენიკო კი, უცხო, სტუმარი, დაბნეული იდგა... მაგრამ ხელთ მიწის ქალი ეპყრა, უკვე გამთბარი, გაოფლილ თითებში ისევ ტალახად აზელილი და რომ მოიცილა, იატაკზე ყრუდ რომ დააგდო, მაშინვე თამამად მიუბრუნდა ქალს, თითქოს რაღაც კუთვნილ სანაცვლოს მოითხოვდა მიწის ქალის ნაცვლად და ეს ნამდვილი ქალიც მაშინვე თვალნათლივ გატყდა — მოიბუზა და თვალები დახუჭა, და მერე მაინც გაიმართა, თვალდახუჭული, გამართული იდგა და ელოდა... დომენიკომაც საჩვენებელი თითი და ცერი მწარედ გაუხახუნა ერთმანეთს, ამ ორად-ორი თითის წვერიდან ტალახი საჩქაროდ მოიცილა და თავიდან გადახადა შავი თავსაბური... მერე მოსასხამს დასწვდა იმ ორი თითით და სკივრზე მიაგდო... კაბაში იდგა ქალი, ტერეზა... ახლა რაღა ექნა, აღარ იცოდა, თვალდახუჭული უცდიდა ქალი... და მერე თავი მკვეთრად შეარხია და მაღლა აწოწილი ვარცხნილობა რაღაცნაირად ნელა, ძალიან მძიმედ ჩამოეშალა — კუპრი დაცურდა თითქოს თეთრ ყელზე, და თითქოს შვიდივე ნაზ სიმს დინჯად ჩამოაყოლეს ცერი — ისე თანდათან ჩამოიშალა... კაბაში იდგა. რა, რაღა ექნა, აღარ იცოდა, ფარანი ისევ მაღლა ასწია, და გაპობილი ოდნავ ტუჩები, კი, მომლოდინე, რომ დაინახა, ყველაფერს მიხვდა... ქალმაც ოდნავ გადახარა თავი, თვალდახუჭული, იდგა, იცდიდა და წყალს დაეწაფა ყმაწვილი მგზავრი, უცხო, დომენიკო... ხელფარნიანი, სვამდა და სვამდა, და სიბრძნეს ჰგავდა ქალის ტუჩები, რაც უფრო სვამდა, უფრო იცოდა, უფრო ხვდებოდა, წამით მოსცილდა და იქვე, ლურსმანზე ჩამოკიდა აკვიატებული ფარანი, მერე ხელების მოხვევა მოუნდა, მაგრამ გაახსენდა, ტალახი რომ ეცხო და გაზნექილი მაჯები მიადო მხრებზე, მიიზიდა და სვამდა, კვლავ სვამდა... უძრავად იდგა თვალდახუჭული ქალი, ოღონდ თავი გადაეგდო უკან და დომენიკომ ის წყაროც დაინახა, ლავიწის ზემოთ, ოდნავ ჩაღრმავებული, ამოუშრობი, დასაწაფებელი... იმასაც სვამდა და ტალახიანი თითებით ტერეზას ზურგზე ფრთხილად ეძებდა ღილებს, საკინძეს, ისევ თვალდახუჭულმა ქალმა კი მწარე სიამით გაიღიმა, ნაზად, მსუბუქად მოიცილა, ზურგსუკან — ლამაზად ისე! — წაიღო ხელები, რაღაცას მისწვდა, რაღაცა გახსნა, მერე მკლავები სახელოებიდან

სხეულისკენ ჩაიძვრინა, მოღეღილ საყელოში გაჭირვებით ამოჰყო, მაღლა ასწია თეთრი, შიშველი ხელები, სახე აღარ უჩანდა, კაბა ჰქონდა თავზე, ხელებაწეული, ცოტა ხანს ასე იდგა, იდგა, ფიქრობდა და საბოლოოდ რომ გადასწყვიტა, ერთი კი ლაღად, ჯიუტად შეიფრთხიალა და იქვე, მის ფერხთით მკრთალ წრედ დაეცა ლამაზი კაბა. ახლაღა გაახილა თვალები და სწორი, მაღალი, ქათქათა ფეხი წრიდან გადმოდგა, თავი უკან გადააგდო და, ხელებგაშლილი, დომენიკოსკენ წამოვიდა...

— ქალი საჭიროების შემთხვევაში უნდა იყოს თავაზიანად მოსაუბრე და საინტერესო მსმენელი, — აღნიშნა დუილიომ, — და, რა თქმა უნდა, სასარგებლო კერძებსაც ამაღლებული შექების ღირსად უნდა ამზადებდეს.

— არა, ეს მაინც რა უბედური გამოთქმა იყო, — თქვა ალექსანდრომ, — ტან-ფეხი...

საწოლზე იჯდა ტერეზა, ქალი, წელამდე ზეწარაფარებული, წელსქვემოთ კი მოქნილი თითებით ჯერ თეძოებიდან მოიცილა რაღაც თხელი ზღუდე, ზურგმორკალულმა, სიავემდე ნაზი ხახუნით მკვრივ გზას გააყოლა თლილ ტერფებამდე, ორიოდ ტალღა დაეტყო ზეწარს, მერე გაიმართა, ხელები ზურგსუკან წაიღო, ფარნის სუსტ შუქზე გლუვად უბზინავდა მხრები და მკერდიდანაც უცებ შემოიხსნა ერთმანეთს მოკლედ გადაბმული ორი თბილი ბუდე...

— თქვენ ბრძანეთ უკეთ, თუ შეგიძლიათ... ჩვენ მოსმენაც კი შეგვიძლია მოთმენით, დიახ, უკიდურესი აუცილებლობის გამონაკლის შემთხვევებში.

— ეს ერთადერთია, როცა ვიბნევი, — თქვა ალექსანდრომ, — არ შემიძლია...

— რატომ? — დაინტერესდა მამიდა არიადნა.

— რატომ და, — ალექსანდროს ნაცვლად უპასუხა დუილიომ, — მას არ ძალუძს სიტყვით მოიაროს ქალის კარგი სხეულის ღირსშესანიშნავი ადგილები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არა, არა, მაგიტომ არა...

— აბა, რატომ?

— რატომ და ვიბნევი, — თავიდან რომელს მივადგე, რომელი ერთი...

და მართლაც, მართლაც, რომელი ერთი... ვილას ახსოვდა ტალახიანი თითები — იმათი იყო მხრები, ხელები, წელი და ზურგი, და მკერდი, მკერდი... მაგრამ ორად-ორი ხელი ჰქონდა, მხოლოდ ორი და აღარ იცოდა, რას მოფერებოდა — რომელი ერთი... და, კიდევ კარგი, ტუჩებიც ჰქონდა, და მკერდზე კოცნამ ის საიდუმლოც მყისვე ასწავლა — ყველაზე დიდი, ყველაზე მარტივი და მთელმა სხეულმა ბედნიერ თითებს აყოლა ისურვა — შორს მოისროლა თავისი დიდბალთიანი, ფართო ქამარი, ლურჯი მოსასხამი... ახლა ყოველივე ერთმანეთს გრძნობდა, და მაინც, მაინც, რომელი ერთი... რბილი მუცელი და დაჭიმული ყელი, ტუჩები — მუდამ მომლოდინე, წელზე მორკალული ტალახიანი ხელი და ამოზნექილი ქალი, ტერეზა, ნამდვილი ქალი, და მისი ოდნავ შორეული ნეკნების თითებში ყოფნა, ყმაწვილი მგზავრის, დომენიკოს შიშველი სხეულის ყველაზე ბედნიერი ნაწილი — თითები და მერე უცებ მთელი სხეული, ყოველი ნამცეცი, თითებზე საზარლად უფრო ბედნიერი გახდა — მიწა კი არა, თავად სხეული, სხეული იძრა და თანაც სადღაც დაკარგვას ჰგავდა... რომ მიიკარგა, ერთი მსუბუქად ამოიოხრა, შვების ოხვრასა ჰგავდა და მომჩვარულმა, უცხო ღრუბელში პირქვე გაწოლილმა, სახე მოუთვალიერა და, ბედნიერმა, მადლობის ნიშნად ლოყაზე აკოცა, რა უცნაურად უმზერდა ქალი... ისევ უყვარდა! ისევ და ისევ სვამდა და სვამდა, რა გამოლევდა ამ ქალის წყაროთ — რომელი ერთი...

— აი, ვთქვათ, — თქვა ალექსანდრომ, — თუნდაც... აი, ვთქვათ...

დაწაფებული, მკერდზე კოცნიდა. და რაღაც გემო, ისე ნაცნობი... თავი აიღო,

დააცქერდა — ეს მიწა იყო, ქალის სხეულზე ტალახად მიკრული, და მიწის გემომ ერთხანს რომ შეაკრთო, მერე, რაღაც უცნაურს ბუნდოვნად მიმხვდარი, ქალის სხეულზე მიწას ლოკავდა დი თვალდახუჭული ტერეზაც თითქოს მიუხვდა, რომ ეს ყველაფერი, სუყველაფერი — „რომელი ერთი“ — სულ მიწა იყო, მიწა და მიწა, დროებით მკერდად, თეძოდ ქცეული — რომელი ერთი... დროებით სხეულს, მაგრამ რა სხეულს — ამჟამად ლამაზს, ახლა — გაფურჩქვნილს, მიწიანი გემოთი ტუჩზე, დახარბებული ჰკოცნიდა მგზავრი...

— აი, თუნდაც, ხელისგული, — თქვა ალექსანდრომ.

— რაო? — გაიკვირვა მამიდა არიადნამ და მალულად დაიხედა.

— თქვით, ჩვენ მოგისმენთ, — თქვა დუილიომ, — ოღონდ არა თქვათ მტკნარი სიცრუე.

— ჰო. ხელისგული, — დაფიქრებულმა გაიმეორა ალექსანდრომ, — ნამდვილი ქალის ხელი აიღეთ, ვიწრო ხელისგულს დახედეთ და ნაზ, მშრალ ხაზებს დიდხანს უცქირეთ... მერე ფრთხილად ჩამოაყოლეთ სამი თითი და თვალებში შეხედეთ — მაშინვე მიხვდებით, ნამდვილი ქალი თუა... ანდა, საკუთარი ხელისგული დაადეთ და მაშინვე რაღაცას იგრძნობთ — რაღაც შორეულს, რაღაც ბუნდოვანს, ყოველთვის გეტყვით ქალის ხელისგული... და თუ უყვარხართ, თუ უყვარხართ, მაშინ მხარზედაც, ჩაცმულსაც კი რომ დაგვედოს [illegible] ნაზი ხელი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

—დიდი ამბავი... — თქვა დუილიომ.

გულაღმა იწვა დაპურებული, დაღლილი მგზავრი. და ბედნიერი ისევ სხეული მთელ სიგრძეზე გრძნობდა მხართეძოზე გაწოლილ, მჭიდროდ მიტმასნილ ნამდვილ ქალს, ხელისგულით რომ ეფერებოდა შუბლზე, თვალებზე და ყურში გაფაციცებული ეჩურჩულებოდა: „არ დაიძინო, ჯერ არ დაიძინო, მოგწონვარ, არა? არ დაიძინო, კარგი ვყოფილვარ? მარტო აღარ ხარ ლამაზქალაქში... საბრალო ბიჭი, სულ მარტო იყო, ხომ, ხომ მოგწონვარ...“

—ხელისგული, ხელისგული, — გაბრაზდა დუილიო, — დიდი ამბავი...

— ეჰ... — ხელი ჩაიქნია ალექსანდრომ.

—ვასკომ სრულებითაც არ იცოდა ხელისგული-ბრელისგული, მაგრამ ჭეშმარიტი მამაკაცი იყო, — განაცხადა მამიდა არიადნამ.

აქ კი ალექსანდრომ ველარ მოითმინა და თქვა:

— მაინც რა იყო ეს ვასკო, თქვენისთანა მრავლისმნახველი დედაკაცი რომ გადარია.

ხოლო აქ მამიდა არიადნამ თქვა:

— წყალი.

მგზავრს, დომენიკოს, მკლავზე ეძინა. რა მკლავზე მერე...

□ გაგრძელება იქნება □

ეროვნული
ბიბლიოთეკა

*სულხან ქეთელაური*

# მფრინავი ცისარტყელები

## რომანი

### ნაწილი მეორე

1.

დიდმა ილიამ თქვა: „ჩვენი ისტორია მეფეების და ომების ისტორიააო. ჭეშმარიტად ასეა. მაგრამ მარტო ჩვენ კი არა, — ისტორია ყველგან და ყოველთვის მეფეების ამბებითა და ომებით ყოფილა გართული და გუნდრუკი მხოლოდ ამა სოფლის ძლიერთათვის უკმევია. ხალხი კი — ეს ერთადერთი ჭეშმარიტი შემოქმედი ცხოვრებისა — ან ავიწყდებოდათ, ან საერთოდ არ ახსოვდათ, მაგრამ ყველაფერს ისტორიას ნუ დავაბრალებთ, დიადი, თვით სათნოებაც კი, თვითონვე მოითხოვს სისხლიან მსხვერპლს და ხალხის ხსოვნა და გულისყურიც ძალაუნებურად აქეთკენ მიილტვის.

ასეა თუ ისე, სანამ თელავში ეს სამეფო ციხე-დარბაზი არ აშენდა, მანამდე ჩვენს მატიანეებში მისი ხსენებაც არ არის. თუ რამ ვიცით, ისევ უცხო სწავლულთა და მოგზაურთა მონათხრობებიდან ვიცით, — ისიც ნაწყვეტ-ნაწყვეტად და, ვინ იცის, იქნებ შეცდომითაც, რადგან უცხო თვალსა და ყურს ყოველთვის რაღაც გამორჩება ხოლმე. მაგრამ ჩვენ ამ გახსენებისთვისაც უსაზღვროდ მადლობელნი ვართ, იმიტომ რომ, უიმათოდ, როგორც არაერთი დაბისა, ქალაქისა და ნაქალაქარისა, შეიძლება თელავის არსებობის წელთაღრიცხვის წელსაკიც რამდენიმე საუკუნით დაგვკარგოდა, ან სულაც ველარ გვეპოვნა. ახლა კი, მადლობა ღმერთს, ხელთ უტყუარი საბუთი გვიპყრავს, რომ თელავი — თელება, თელაივა, თელედა — ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეში ხალხმრავალი ქალაქი იყო. *

მაგრამ ეს იყო პირველ და მეორე საუკუნეებში. ამის შემდეგ შვიდი-რვა საუკუნე ისე გავიდა, როგორც შვიდი-რვა წუთი — ჩუმად, უხსენებლად, უხმაუროდ და უჩინრად. აღარც სახელი, აღარც ხსენება, თითქოს იყო და აღარც იყო! ჩვენს მემატიანეთ მხოლოდ მაშინღა მოაგონდათ, როცა კახეთის მართველი ეპისკოპოსები — კვირიკე-ალსართანები ბოჭორმიდან აიყარნენ და სამკვიდრო ტახტი აქ დაიდგეს. „ხოლო გულგულას ქვეით, თურდოს ხევის სამხრით, არის თელავი, რომელიც ჰყო კვირიკემ, პირველ გამეფებულმა კახეთს და ჰერეთს, სასახლე დიდი, ვითარცა ქალაქი, ხოლო მისცვალა მცირედ მეფემან არჩილ და განაახლა“, — წერს ვახუშტი ბაგრატიონი და „ქართლის ცხოვრებაც“ ამასვე იმეორებს. ხოლო ციხე-გალავნის ჩრდილო მხარეს, ნიჟარებივით ერთმანეთზე ახორხლილი, ქართული აგურით ნაშენი სახლები და ვიწრო შუკა-დერეფნები კი არც ერთმა ახსენა, არც მეორემ, მიუხედავად იმისა, რომ იმთავითვე საკმაოდ მჭიდროდ დასახლებული უბანი იყო და სიძველითა და ხნოვანებით სამეფო ქალაქს ბევრით სჭარბობდა, თვით ქალაქის გაჩენა-დაბადებაც უფრო აქ იყო საგულვებელი. სიძველესა და სიმჭიდროვესთან ერთად უბანი, ეტყობა, ოდითგანვე ხალხმრავალიც უნდა ყოფილიყო, რადგან ქალაქის უძველესი აბანო, რომელიც მერე თეიმურაზ მეორემ, —, პატარა კახის მამამ — გაადიდებინა, ამ უბანს დღევანდლამდე შემორჩა. ეს პაწაწინა უბანი ქალაქის ტიპის დასახლების ერთ-ერთი უძველესი ნიმუშია, მაგრამ როდის გაჩნდა იგი პირველად, ვინ იყო მისი პირველი

* დასასრული. იხ. „მნათობი“, № 10, 11.

მოსახლე, რა ცვლილება განიცადა დროთა განმავლობაში დასახლებულმა ადგილმა, რა წაიმატა, რა დაიკლო, როდის ეწოდა ესა თუ ის ქუჩა, შესახვევი, გზაბაწარი თუ გზაჯვარედინი, რა საჭიროებითა და მოსაზრებათ — დღეს ამისი არაფერი ვიცით და, ალბათ, ვერც ვერასოდეს გავიგებთ. ამ მხრივ მომდევნო თაობა და ჩვენი დროის აღმშენებლობის შორეული მკვლევარი მთლიანად უზრუნველყოფილი არიან, — ქალაქების პერსპექტიული გეგმებისა და კომუნალური დადგენილებების შემოღებამ მათ საძებნი და თავსამტვრევი აღარაფერი დაუტოვა.

უბანს სასახლის გალავნისაგან ვიწრო შუკები ყოფდა. ერთი აღმოსავლეთის კარიბჭიდან იწყებოდა, მეორე — დასავლეთისა, ორივე შუკა-ბილიკი კუთხის ბურჯებთან თავქვე უხვევდა და სამკუთხედის ფორმით გვირაბის წყაროსთან ერთდებოდა, ხოლო აქედან ლეღვისა და თუთის ხეივნებით დაჩრდილული, შედარებით ფართო ქუჩით ქალაქის აბანოსაკენ მიემართებოდა.

ამ ქუჩებით უმეტესად ჭადრისა, ფიქრისგორას უბნისა და გალავნის მარჯვენა მხარის მცხოვრებნი სარგებლობდნენ; მარცხენა, დასავლეთის მხარის მცხოვრებთ კი აბანოში ჩასავლელი სხვა გზაც ჰქონდათ — ჯინუას ხევის კიდურზე სწორი, დაქანებული ბილიკი ჩაუდიოდათ და, სიმოკლის გამო, სიარულსაც უფრო აქედან ამჯობინებდნენ. თავის მხრივ ეს სწორი გზა-ბაწარი აბანოს გვერდით, ხევის ვიწრო ყელზე გადებულ, მუხის ძელების საქვეითო ხიდს უერთდებოდა, რომლითაც ყორჩიბაშიანთ უბნის მცხოვრებლები აბანოში გამოდიოდნენ, ხოლო თვითონ სამშილიან წყაროზე — კაკლის წყაროზე გადიოდნენ.

გასული საუკუნის დამდეგს ციხის დასავლეთ კარიბჭის წინ, ფართო ფორზე, პირველი საყოველდღეო ბაზარი გაჩნდა, ბაზრის ირგვლივ ვაჭარ-ხელოსანთა საცხოვრებელი სახლები და დუქან-სახელოსნოები აშენდა, ხოლო შუა ადგილას ბერკეტიანი საბაზრო სასწორი — ყანთარი აღიმართა და მოედანსაც ეს სახელი დაერქვა.

ბაზარიცა და სავაჭრო-სახელოსნოებიც ციხისუბნელთა თვალწინ ამოიზარდა, თითქმის მათი სახლების ზღურბლებსა და ეზო-კარმიდამოებს წაება, მაგრამ უბანს ბაზრის გაჩენით არც რამე მომატებია და არც დაჰკლებია. ახალმა მცხოვრებლებმა — ვაჭარ-ხელოსნებმა მხოლოდ ჯინუას ხევის კიდურზე ჩამდინარი ვიწრო გზაბაწარი გააფართოვეს, რიყის მუშტაქვით მოფინეს და აქამდე უსახელო ბილიკს „აბანოს ქუჩა“ დაარქვეს. ეს იყო და ეს. ამის მეტი უბანში არაფერი შეცვლილა და სიახლე არც ცხოვრების წირს დასტყობია. ძველუბნელები ისევ ძველქართული სიდარბაისლით ცხოვრობდნენ: სადღაც ხნავდნენ, თესავდნენ, მკიდნენ, სადღაც ყურძენს წურავდნენ და წლის სარჩო პურ-ღვინო გამოულეველი ჰქონდათ. ბაზარში ათასში ერთხელ თვალის ხეირისათვის თუ შეიხედავდნენ და მაშინაც ძალიან-ძალიან. ქართველ კაცს ოდითგანვე ჭირივით სძულდა ბაზარი და, არა თუ რამის ყიდვა-გაყიდვა, უბრალო შესვლაც კი სათაკილოდ მიაჩნდა. თვით ხელოსნებიც კი ვერ ეგუებოდნენ ბაზარს და თავისი ნახელავის იქ მიტანას და „ბაზარში მათხოვრის ჯოხივით“ ჩამოყუდებას, ისევ სახლის მუშტარს ამჯობინებდნენ. ახლა ამბობენ, მაშინდელმა ქართველებმა ბაზრის ყადრი არ იცოდნენო, მაგრამ ვინ იცის, იქნებ უფრო უკეთ იცოდნენ და სწორედ ამიტომაც ერიდებოდნენ. განა ახლა კი ასე არ არის? ბაზრის ყაყანი, ჯღვლეთა, ვაჭრულ-სპეკულანტური ცბიერება, სიყალბე და მსუბუქი სიტყვა-პასუხი, პატიოსან და თავმოყვარე კაცის გულში განა ახლაც შეურაცხმყოფელ, ზიზღნარევ გრძნობას არ იწვევს?

ნათქვამია, კაცი ჯოჯოხეთსაც ეჩვევაო, და ციხის უბანმაც დროთა მსვლელობაში, ესე იგი, ცხოვრების წირის ცვალებადობის კვალობაზე, ბევრი ახალი რაღაც ისწავლა და ძველი დაივიწყა, მაგრამ გარეგნული სახე კი დღემდე უცვლელად შეინარჩუნა. დღეს, ქალაქის განახლებული უბნების ფონზე იგი ისე გამოიყურება, როგორც მზესმიფიცხებული, უსინათლო დედაბერი და მნახველის გულში რაღაც სევდანარევ სიბრალულს აღძრავს, — თითქოს რაღაცას გთხოვს, გემუდარება და რომ ვერაფერს გაგებინებს, გულდაწყვეტილი უხმოდ, უთქმელად კვნესის, ოხრავს, ქვითინებს...

შუქიას აქ არასოდეს გაევლო, და გასცდა თუ არა ძველ სახლებს და აბანოს ქუჩის დასაწყისთან დრო-ჟამისაგან გაუფერულებულ, ერთმანეთზე უსწორმასწოროდ მიყრდნობილ კედლებს შეხედა, გულში იმავ წამს ეს კაეშნიანი გრძნობა გაუჩნდა. დაუსრულებელი ნგრევა-შენების კვალი ყველა კედელს, თაღს, კუთხეს ეჩნეოდა და მთელს უბანს ერთ, შეუხორცებელ ჭრილობასავით შემორჩენოდა. შუქია, — თვითონაც არ იცოდა, რატომ — ფეხს ფრთხილად adგამდა, ნელა, აუჩქარებლად მიაბიჯებდა და თვითეულ ნიშს, კამარას, ნახევრად დანგრეულ თაღებსა და მიწაში ჩაფლული საძირკვლების დაღუღაბებულ ნაშთებს ზედმეტი ყურადღებით აკვირდებოდა. ასე ჩაათავა დაღმართი — შეუმჩნევლად, და მხოლოდ მაშინღა გამოერკვა, როცა ფაბრიკის შავი ჭიშკარი და ჭიშკრის თავზე გვირგვინივით ჩადგმული წითელი ფერის ადლიანი წარწერა დაინახა:

„თელავის აბრეშუმის ძაფსახვევი ფაბრიკა“.

დაინახა და შედგა. უცხოსი და უცნობის უცაბედმა, მოულოდნელმა სიახლოვემ ანაზდად შეაკრთო. „აბრეშუმის ძაფსახვევი ფაბ-

რიკა!" — აქამდე წესიერად არც ეს სახელი გაეგონა და არც მისი ადგილ-სამყოფელი იცოდა, აქამდე მარტო იმის ცადაწვდილ საკვამლე მილს ხედავდა შორიდან და საყვირის ხმა ესმოდა. ახლა კი აი, პირისპირ დადგა და საცაა შიგაც უნდა შესულიყო, მაგრამ შესვლა არც ისეთი ადვილი გამოდგა, როგორც წელან ეგონა და მოელოდა. ის რამდენიმე ნაბიჯი, რაც ჭიშკრამდი დარჩა, უსასრულოდ გრძელი და გადაულახავი მოეჩვენა. სწორედ ეს შავად შეღებილი, რიკულებიანი ჭიშკარი იყო ის ჯადოსნური ზღვარი, რომლის იქით სულ სხვა რაღაცას უნდა შეხვედროდა და სრულიად ახალი ცხოვრება დაეწყო, ვინ იცის, იქნებ კარგიც, უკეთესი, მაგრამ ჯერ მაინც უცხო, უცნობი, უნახავი და ამის გამო, რა თქმა უნდა, საშინელიც.

წელანდელი თავისი უცაბედი გადაწყვეტილება ახლა ძალიან ნაადრევი ეჩვენა. თავბრუდახვეულივით იდგა აბანოს წინ, ცაცხვების ქვეშ, და ხელში თითბრის ბალთებიან, თეთრ ჩანთას აწვალებდა.

შუადღის ნელი სიო თმას ოდნავ ურხევდა. წინ, რუსთაველის ფართო ქუჩაზე ჩვეულებრივ მიმოქროდნენ ავტომობილები, მიმოდიოდნენ ადამიანები, ცაცხვის ტოტებში ბელურები ჩვეულებრივ ყლურტულებდნენ, ჩვეულებრივ მიმობზუოდნენ ფუტკრებიც, აბანოდან ხალხის ნაწყვეტ-ნაწყვეტი საუბარი და წყლის ყრუ შხაპუნი ისმოდა. შუქია ახლაც ყველა წვრილმანს ხედავდა, გრძნობდა, ესმოდა, მაგრამ ნათლად და გარკვევით ახლა მხოლოდ რკინის შავ ჭიშკარსა და ჭიშკრის ირგვლივ მდებარე ადგილებს და საგნებს ხედავდა — ნაჩუქურთმევ, ლავგარდანიან გალავანს, გალავანს შიგნით თუთის ქოჩორა ხეებს, გალავანზე გადმოკიდებულ ველური სუროსა და ვარდის ყვავილოვან ლერწებს და გალავნის ძირობაზე სწორ კვადრატებად დაყოფილ ჯუჯა ყვავილების გაზონებს.

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც აქ ეს ყვავილნარით მოხატული მოედანი გაჩნდა. ამ ათიოდე წლის წინათ ამ ადგილზე ჯინჯუას ხევის სიბინძურით სავსე ღრმა ხრამი გადიოდა და ზამთარ-ზაფხულ სიმყრალის ოხშივარს აფრქვევდა. ხრამის ქვედა კიდურზე სამადაშვილების კოდის წისქვილი ღრიჭინებდა, წისქვილს გარს ხრილით შეფიფქული ეკალ-ბარდი ეხვია და ფარღალალა სახურავის მხოლოდ ერთი კუთხელა მოუჩანდა. ხრამს გვერდით ნინოშვილის სახელობის ვიწრო ქუჩა ჩაუდიოდა, ხოლო მაღლიდან საფაბრიკო კლუბისა და გალავნის გაშიშვლებული ქვითკირის კედლები დაჰყურებდა.

რუსთაველის რვაასი წლის საიუბილეო დღეებში ქუჩა გააფართოვეს და შოთას სახელიც მაშინ უწოდეს. ფართო ქუჩამ ბოლომდე თავისი კუთვნილი საზომი მოითხოვა და ჯინჯუას ხევსაც ეშველა — ბეტონით გადახურეს და ზედ პაწია სკვერი გააშენეს. როგორც ხშირად ხდება ხოლმე, საქმე საქმეს წაება, განახლებულმა ქუჩა-მოედანმა [illegible] გვერდით უბათქაშო კედლები [illegible] და კლუბისა და გალავნის შელესვაც ზედ მიაყოლეს, ხოლო საბოლოოდ ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ ფაბრიკის მთავარ შესასვლელს ფიცრის მომპალ-მორყეული ალაყაფი ჩამოხსნეს და ეს რკინის ჭიშკარი დაჰკიდეს, რომელსაც შუქია კვლავ თვალმოუშორებლივ შეჰყურებდა და კიდევ ვერ გადაეწყვიტა, შესულიყო თუ უკანვე გაბრუნებულიყო.

რიკულებიანი შავი ჭიშკარი გაუჩერებლად მოძრაობდა — იღებოდა და იხურებოდა. განუწყვეტლივ შედიოდნენ ბრეზენტის დიდი ტომრებით — ბარდანებით დაზვინული ქუთათური ავტომობილები, ტომრის ზვინებს სადღაც იხსნიდნენ და ცარიელები უკანვე ბრუნდებოდნენ. ჭიშკრის ყოველი გაღება-დახურვა შუქიას ზღაპრად გაგონილი გოლიათი ფრინველის ფრთების ნელ ქნევას აგონებდა. უძრავად მარტო აღლნახევრიანი წარწერა იყო. ორ სვეტზე დაბჯენილი და მორკალული, იგი გვირგვინივით ედგა თავზე ჭიშკარს და მნახველს საზეიმო შთაბეჭდილებას უქმნიდა. ჭიშკრის გასწვრივ ნაცნობი საკვამლე მილები, ერთმანეთს ატოლებული კვიპაროსები და თუნუქის შავი, გაზინთული სახურავები მოჩანდა. უფრო ქვევით, საქსოვი ფაბრიკის გასწვრივ სწორ, ოდნავ დაქანებულ მინდორზე ნორჩი თუთების მწვანე ხეივანი გაშლილიყო, რომლის ბოლო შორს, ალაზნის ველის მოცახცახე ალმურში იკარგებოდა.

ჭიშკართან შუქიას ტოლი გოგოები მივიდნენ, ოთხნი იყვნენ და ოთხივეს სიფრიფანა ჩითის კაბები და სატინის ლურჯი ხალათები ეცვათ. ერთმანეთში რაღაცას საუბრობდნენ, მხრებზე ხელებს უტყაპუნებდნენ და ხმამაღლა ხარხარებდნენ. მეკარეს წესიერად საშვების გასინჯვაც არ აცალეს, და ეზოშიც — თუთებით დაჩრდილულ სწორ ხეივანში სიცილკისკისით შეცვივდნენ.

თანატოლების დანახვამ და უფრო კი მათმა ასეთმა სითამამემ შუქიაც გაამხნევა, შიში და გაუბედაობა დასძლია და ჭიშკრისაკენ გაემართა. მეკარემ — ხაკის შარვალ-ხალათიანმა, შუახნის კაცმა — დანახვისთანავე შეატყო, რომ ეს „თავისიანი" არ იყო და, სანამ შუქია რამეს ეტყოდა, თვითონვე ჰკითხა:

— შენ ვინ გინდა, გოგონა?

— დირექტორის ნახვა მინდოდა... თუ შეიძლება.

მეკარემ მეტი არაფერი ჰკითხა. ასეთები, საშუალო სკოლადამთავრებულები, ამ ბოლო დროს ფაბრიკაში ძალიან ბევრნი მოდიოდნენ და ეს თხოვნაც ხშირად ესმოდა. მბრუნავი კარის მექანიკურ საკეტს ფეხი დააჭირა და შუქიას პირდაპირ ერთსართულიანი თეთრად შე-

დებილი კორპუსის ღია სადარბაზო დაანახვა.

— დერეფანში მარცხნივ შებრუნდები და მეორე კარია.

* * *

როგორც მეკარემ მიასწავლა, შუქია შესვლისთანავე ხელმარცხნივ შებრუნდა და ქარვისფრად შეღებილ კედელში დატანებული, მეშვადაკრული აბრიანი კარი დაინახა. მაგრამ დირექტორთან მაშინვე არ შესულა. უნდოდა ამდენი ღელვის შემდეგ სული მოეთქვა, დამშვიდებულიყო და დირექტორს მთლად უსუსური არ სჩვენებოდა.

ფართო, ჰერმალალი წინკარი ვიწრო, გრძელ და ნახევრად ჩაბნელებულ დერეფანს უერთდებოდა. დერეფანი მიწისქვეშა გვირაბს ჰგავდა, მზის სიცხე ვერ ატანდა, დაზგა-დანადგარების გრუხუნიც ნაკლებად შემოდიოდა და საამო სიგრილე და სიმყუდროვე იდგა.

ვესტიბულის კედლები, სადარბაზო შესასვლელიდანვე, როგორც ყველგან, აქაც ლოზუნგებით, რეკლამებითა და ცხრილ-დიაგრამებით იყო აჭრელებული: ვინ ჩამორჩა, ვინ დაწინაურდა, ვის როდის მიენიჭა კომუნისტური შრომის ბრიგადის, რგოლის სახელწოდება და რატომ. კარების გვერდით, უფრო თვალსაჩინო ადგილზე, ღერბითა და ფოჩიანი დროშებით შემკული საპატიო დაფა იდგა. მოწინავეთა სურათები წითელ მაუდზე ნახევარრკალურად იყო განლაგებული და ქვეშ გვარები, პროფესია- საქმიანობა და გეგმის შესრულების პროცენტები ჰქონდა მიწერილი. შუახნისა და ხანდაზმულ ქალებს კინაღამ სჭარბობდა შუქიას ტოლი გოგონების სურათები. კარების მეორე მხარეს, მოპირდაპირე კედელზე, უვითელჩარჩოიანი კედლის გაზეთი „საბჭოთა მეაბრეშუმე" ეკიდა, გაზეთშიც, თვალსაჩინო ადგილას, შუქიას ტოლი გოგონას სურათი იყო ჩაკრული და სურათს ქვეშ მისივე წერილი ჰქონდა მიწერილი:

„რომელ გოგონას არ ხიბლავს თვალწარმტაცი ფერებით მოხატული ქსოვილები. ჩემი ბავშვობის ოცნება იყო, ერთხელ მაინც მენახა ის ადამიანები, ვინც ასეთ ლამაზ საკაბეებს ამზადებენ. და აი, მივიღე თუ არა სიმწიფის ატესტატი, იმავ დღეს თელავის აბრეშუმის ფაბრიკაში წამოვედი. მოკლე ხანში დავეუფლე ძაფის შეწყვილება-შეორფერების ხელობას, და პირველი წარმატებებისაგან მინიჭებული სიხარული ვიგემე".

და ასე, ბოლომდე. შუქიას უფრო მოეწონა მეორე, იუმორისტული გაზეთი „წიწმატი", სადაც წესრიგის დამრღვევთა და წუნის მკეთებელთა კარიკატურები იყო მოთავსებული და ქვეშ ორ-სამტაეპიანი, საკმაოდ მახვილგონივრული ლექსები ჰქონდა მიწერილი.

„ჩანს, აქ პოეტებიც ჰყოლიათ", — გაიფიქრა შუქიამ და დირექტორის კაბინეტისაკენ შებრუნდა. ამ დროს დერეფნის სიღრმეში ორი ქალი გამოჩნდა. ისინი რომელიღაც კარიდან გამოვიდნენ და ბნელ დერეფანს სწრაფად გამოჰყვნენ. ორივეს თეთრი ხალათები ეცვათ და ხნითა და სიმაღლით თანატოლები ჩანდნენ. შუქიას ცერად და, როგორც თვითონ მოეჩვენა, ცოტა აგდებულად შემოხედეს.

— ეტყობა ჩაჭრილა საცოდავი, გოგო, — თქვა ერთმა და შუქიას გულგრილად ასედდახედა.

— ჰო, ეტყობა... პირდაპირ ჩვენთან მოსულს არა ჰგავს.

— კიდევ კარგი, რომ ეს ფაბრიკა მაინც არის, თორემ რა ეშველებოდათ ამდენ ხელმოცარულ გოგოებს, — შენიშნა პირველმა მოჩვენებითი გულისტკივილით და მეორემაც ამავე კილოზე დაუდასტურა: — აბა, აბა, შენ ეგა თქვა და... — შუქია ერთხელ კიდევ აათვალიერ-ჩაათვალიერეს თავით ფეხებამდე და გვერდით ჩაუარეს.

შუქიას ეს ისე არ სწყენია, როგორც დირექტორის შეხვედრა. ასეთ გულგრილ და ულიმღამო შეხვედრას არაფრით არ მოელოდა. გაზეთებიდან და რადიოგადაცემებიდან კარგად იცოდა, როგორი ალფრთოვანებითა და ზარზეიმით ხვდებიან საწარმოთა ხელმძღვანელები ახალგაზრდებს, რომლებიც თავისი სურვილით შეაღებენ ხოლმე ფაბრიკა-ქარხნების კარებს და ცხოვრებას პირდაპირ შრომითი საქმიანობით იწყებენ. ეს კი რანაირი დირექტორი ყოფილა? ალფრთოვანებას ვინ იტყვის, უბრალო ცნობისმოყვარეობაც არ გამოამჟღავნა. გვარსახელი და სადაურობაც კი არ იკითხა და არც იმის გაგება მოინდომა, თუ რატომ, რა მიზნით მოვიდა შუქია ფაბრიკაში, თითქოს წინასწარვე იცოდა, რომ შუქია უსათუოდ აქ უნდა მოსულიყო და ამ მოსვლას ახლა იოტისოდენა მნიშვნელობას აღარ ანიჭებდა. ფართო კაბინეტის ბოლოში, უზარმაზარ, მწვანემაუდგადაკრულ მაგიდასთან იჯდა, წინ ლურჯი საქაღალდე ედო და სიფრიფანა ქაღალდებს ყურადღებით ჩაჰკირკიტებდა. წაკითხულ ფურცლებს წითელი ფანქრით რაღაც შენიშვნებს უკეთებდა და მაგიდის კუთხეში ერთმანეთზე ალაგებდა. შუქიას მხოლოდ ერთხელ შემოხედა, როცა მან ენის ბორძიკით ფაბრიკაში მიღება სთხოვა, და წამიერი მზერით თავით ფეხებამდე აათვალიერ-ჩაათვალიერა, — ამ მორთულობით აპირებ ფაბრიკაში მუშაობას? — ჰკითხა რაღაც ეჭვნარევი, უნდობი ხმით და ფხევ ქაღალდების თვალიერება განაგრძო.

დირექტორმა გადაკითხულ ფურცლებს კუთხეში ქინძისთავი გაუყარა, ზურგსუკან ელექტროღილაკს თითი დააჭირა და მდივანი გოგო გამოიძახა. აკინძული ფურცლები გადასცა, თინას დამიძახეო, უთხრა, წინ ახლა სხვა საქაღალდე დაიდო და ჭაღარა, ნახევრად გამელოტებული თავი კვლავ საქმეში ჩარგო.

„— ამას სტაჟის მაძიებელი უქნარა ხომ არ ვგონივარ? — ფიქრობდა შუქია და დირექტორს თანდათან მწყრალად აშტერდებოდა, — ვნახოთ, დრო გამოაჩენს!“

ფიქრი ტელეფონის გაბმულმა ზარმა შეაწყვეტინა. შიშველ, მომცრო მაგიდაზე ორი ტელეფონი იდგა, დირექტორი, ეტყობოდა, თავის ტელეფონებს ხმაზე სცნობდა, რადგან იქით არცკი გაუხედია, ხელის ცეცებით მისწვდა ყურმილს და წყნარად, გამოკვეთილად თქვა:

— დირექტორი გისმენთ!

და დიდხანს, მოთმინებით უსმინა. თვალებით ისევ ქაღალდებს ჩაჰყურებდა, მაგრამ ეტყობოდა, საუბარსაც ყურადღებით ისმენდა, რადგან სახე წამით-წამს ეცვლებოდა — მსხვილი ნაკვთები დაძაბულად ეკუმშებოდა, მაღალ. ოთხკუთხედ შუბლზე ნაოჭები ეკეცებოდა, ქალარაშერეული წარბები გაუჩერებლად უტოკავდა და ყურმილსაც სულ უფრო ძლიერად ბლუჯავდა. ბოლოს ტანითაც შეტოკდა, თავი სწრაფად ასწია და ყურმილში ხმამაღლა და გაჯავრებით ჩასძახა:

— ამხანაგო, გაიგეთ ერთხელ და სამუდამოდ, რომ ეს ფაბრიკაა, სახელმწიფო საწარმოა და არა ხოფლის კლუბი! ჰოდა... — ცოტა ხანს იყუჩა და ისევ იმავე ხმით განაგრძო, — ამხანაგო, წარმოებამ მოცდა არ იცის-მეთქი, გეუბნებით, რას ჰქვია ხვალ და ზეგ? დღესვე გააკეთეთ, რაც საჭიროა და მოეახსენეთ. თორემ... იძულებულს ნუ გამხდით!.. — ერთხანს ისევ გაჩუმდა და ჩამარცვლით დაასრულა, — დღესვე, დიახ, დღესვე! ახლავე, ამ წუთას! — ყურმილი კვლავ ხელუკულმა ჩამოდო და გაჯავრებით ჩაილაპარაკა, — უყურე ახლა შენ, როდის გაიღვიძებს პავლე, როდის გამოფხიზლდება იორდანე და ასე! — ტუჩები უკმაყოფილოდ დამანჭა და მაგიდას იდაყვით ჩამოეყრდნო.

შუქია ჯერ ისედაც კრთებოდა და ამ ყვირილ-ჯავრობამ მთლად გული გაუხეთქა, და დირექტორისათვის რომ არ შეეხედა, მზერა კაბინეტის მორთულობაზე გადაიტანა. დირექტორის ზურგსუკან, ყრუ კედლის მთელ სიგრძეზე ჩამწკრივებული მუხისა და კაკლის კარადები გამოჭედილი იყო ოქროსვარაყიანი წიგნებით — სასოფლო-სამეურნეო ენციკლოპედიების ძველი გამოცემებით.

„იქნებ ამათ სულაც არა ვჭირდები, არ ვუნდივარ? — გაიფიქრა შუქიამ და თავი შეურაცხყოფილად იგრძნო, — თუ ასეა, მე ძალად არ შევეჩხირები... საქმეს სხვაგანაც ვიშოვი“, — და ის იყო, დააპირა კაბინეტიდან გასვლა, რომ შავმეშგადაკრული კარი ძირისძირობამდე გაიღო. კარის ჭრილში ცოცხალი სურათივით ჩამოდგა ლურჯ-ხალათიანი, მოკლედ თმაშეკრეჭილი, მოხდენილი გარეგნობის შავგრემანი გოგო და წვრილი ხმით თამამად იკითხა:

— შეიძლება?

— ო, თინიკო, შენა? — დირექტორმა თავი ასწია, სათვალე მოიხსნა და ქალიშვილს დაღლილი მზერა მიაპყრო, — შემოდი, შემოდი.

ქალიშვილმა დაგვიანებისათვის დირექტორს ბოდიში მოუხადა და კაბინეტში ნიავივით მსუბუქად შემოვიდა, თითქოს შემოცურდა. ხალათზე კომკავშირელთა სამკერდე ნიშანი ეკეთა და შიშველ ფეხებზე სპორტული ჩუსტები ეცვა. როგორც შუქიამ ივარაუდა, მასზე ბევრით უფროსი არ უნდა ყოფილიყო, ასე, ოცი, ოცდაერთი წლისა თუ იქნებოდა, მაგრამ შესახედავად უფრო პატარას ჰგავდა. მაყვალივით შავი თვალები ჰქონდა, გრძელი წამწამები, აზიდული წვრილი წარბები და ძალიან წითელი, მსხვილი ტუჩები. პირმრგვალი იყო და სახის სწორი, ზომიერი ნაკვთები ხელით ნაქანდაკევს მიუგავდა. შუქიას მხოლოდ ერთხელ შემოხედა, ოდნავ გაიღიმა და დირექტორის წინ ჩამოდგა.

— გისმენთ, პატივცემულო, შალვა.

— საამქროებში იყავი? — ჰკითხა დირექტორმა და მელოტ თხემზე ხელი გადაისვა.

— დიახ, სალბობ და საგრეხ საამქროებში ვიყავი.

— რა იყო, ხომ არაფერი მოხდა?

— არა. უბრალოდ შევიარე. იქ ხომ უმეტესობა კომკავშირლები მუშაობენ. ჰოდა...

„ა, კომკავშირის ორგანიზაციის მდივანი ყოფილა“, — გაიფიქრა შუქიამ.

— დახედე? — გაუღიმა დირექტორმა.

— ჰო, — გოგოსაც გაეღიმა.

— აი, ქალიშვილი ჩვენთან მოსვლას თხოულობს, — უთხრა დირექტორმა უკვე საქმიან კილოზე და შუქიას გახედა, — წაიყვანე, საქმე გააცანი, საამქროები დაათვალიერებინე და ოსტატებსაც აჩვენე. განცხადებაც შენვე დააწერინე და მერე შემომიტანე. შენი მრევლია და... — ისევ გაიღიმა, მოდური ყელსახვევის ცალფა ნასკვი მოიფინა, სკამის საზურგეზე გადაწვა და კვლავ საქმიანად დაუმატა, — ჰო, თუ... რა ვიცი, მართლა გადაწყვეტს.

— კი ბატონო, — ქალიშვილმა დირექტორს თავი დაუკრა და შუქიას ანიშნა, გამომყევით.

შუქია გაჰყვა, მაგრამ წელანდელი წყენა ჯერ კიდევ არ განელებოდა. გასვლისას ერთხელ კიდევ წამიერად გახედა დირექტორის დაღლილ, მობერებულ სახეს, ნაოჭიან შუბლს, ბუჩქა წარბებს, წამოზრდილ ყვრიმალებსა და ყვრიმალებს მიღმა ცისფრად მოკიაფე თვალებს. უცბად რატომღაც დერეფანში ჩავლილი, თეთრხალათიანი ქალების ქილიკი შემოხედვაც თვალწინ დაუდგა და გულში ყველას ერთიანად დაემუქრა:

— ვნახოთ!

* * *

თინამ საფაბრიკო კომიტეტის ოთახიდან შუქიასაც ისეთივე ლურჯი სატინის ხალათი გამოუტანა, როგორც თვითონ ეცვა და ფაბრიკის ეზო-კარმიდამოსა და საამქრო-სათავსოების დასათვალიერებლად წაიყვანა.

ფაბრიკის დიდი ეზო უფრო დეკორაციულ ბაღსა ჰგავს — დასერილია საამქროებში მისასვლელი მოასფალტებული საქაპანო გზებითა და აგურის ფხვნილმოყრილი საქვეითო შუკაბილიკებით. გზა-ბილიკების ნაპირებზე ჩარიგებული ხშირი ყვავილნარი, საგულდაგულოდ მოვლილი, მორწყული და შესხლულ-შეყელილი, მთელ ეზოს სადღესასწაულო იერს აძლევს. კარლია საამქროებიდან მონადენი დაზგების უწყვეტი გუგუნ-გრიალი და აბრეშუმის პარკის თავისებური სუნი რომ არა, ყველა უცხოდ შესულს დასასვენებელი პარკი ეგონება — არსად, არცერთი ზედმეტი კენჭი, ასანთის ღერი, პაპიროსის ნამწვი ან მზესუმზირას ნაჩეჩი. შუქიასაც თვალში ეცა ეზო-კარმიდამოს ასეთი მოვლილობა, და ყვავილნარის სიუხვე, უთხრა კიდეც ეს თავის თანამგზავრს.

— უყვარს ძია გიგოს სიფაქიზე, — მიუგო თინამ, — ყვავილები ხომ თავის თავს ურჩევნია.

— ვინ არის ძია გიგო? — იკითხა შუქიამ.

— ჩვენი მებაღეა, აგე, ისიც, — თინამ შუქია ქვევით გაახედა და გაზონებშორის დაღუნული, მელოტი კაცი დაანახვა, — დიდი ხანი არ არის, რაც ჩვენთან დაიწყო მუშაობა და აი, ეზო უკვე სამოთხეს დაამსგავსა.

კაცმა წყლის ონკანი დაკეტა, წელში აიხარა და მტვრით დასვრილი რეზინის სარწყავი მილის აკეცვა დაიწყო.

— ა, მაგ კაცს ხომ მეც ვიცნობ! — წამოიძახა შუქიამ.

— იცნობ? საიდან? — გაუკვირდა თინას.

— გუშინ გავიცანი. მთელი ქალაქი შემოგვატარა, დაგვათვალიერებინა, აგვიხსნა.

— ჰო, მშობლიური ქალაქი და მისი ისტორია ძია გიგოს მეორე გატაცებაა. ოღონდ კი მოწადინებული ვინმე ნახოს და...

— ძალიან კეთილი და გულისხმიერი მოხუცი ჩანს.

— კი, კარგი ადამიანია.

— და როგორი მცოდნე.

— მცოდნეც არის... მაგრამ, — აქ თინამ ხმას დაუწია, — ზოგიერთებს არ უყვარს.

— რატომ?

— სიმართლის მთქმელი კაცია და იმიტომ.

შენობებს შორის მოქცეული ფართობი მთლიანად სპორტულ მოედანს ეჭირა. მოედანზე წითელ-მაისურიანი გოგო-ბიჭები გამოშლილიყვნენ და ფეხბურთსა და კალათბურთში ვარჯიშობდნენ.

შუქიას ყურადღება ყველაზე მეტად ახალგაზრდობის სიმრავლემ მიიპყრო, აქამდე მას ეგონა, მუშა — ეს შუახნის ან ხანდაზმული კაცი უნდა ყოფილიყო, დარბაისელი, დაბრძნილი და დინჯი. აქ კი იმდენი თავქარიკა გოგო-ბიჭები მოგროვილან, რომ... ვინ არიან? რას აკეთებენ? და თინას ჰკითხა:

— აგე ისინი, ახალგაზრდები, სულ მუშები არიან?

თინას გაეცინა.

— აბა, რა, აქ ყველა მუშაა.

— ბევრნი ყოფილან.

— თითქმის ნახევარი, — მოკლედ შეაგება თინამ და ნაბიჯი შეანელა, — ჩვენი ფაბრიკა ყველაზე მსხვილი საწარმოა რაიონში და ახალგაზრდობაც, რა თქმა უნდა, აქ ყველაზე მეტია. თანაც სულ რჩეული ახალგაზრდობა გვყავს.

ახალგაზრდობაზე საუბარი თინასთვის, როგორც კომკავშირის ორგანიზაციის მდივნისათვის, საკმაოდ მაცდუნებელი თემა იყო, თავის კომკავშირლებზე, ორგანიზაციაზე და, საერთოდ, ფაბრიკაზე დიდი გატაცებით, თავმოწონებით და ერთგვარი სიამაყითაც კი ლაპარაკობდა.

გოგონებს შორის გაცნობა-დამეგობრება შედარებით ადვილია. სულ რაღაც ათ-თხუთმეტ წუთში თინა და შუქია იმდენად დაუახლოვდნენ ერთმანეთს, გაეცნენ, გაუშინაურდნენ, რომ შუქიამ იმდღევანდელი მარცხიც კი გაუმხილა.

— მერე რა, ხდება, — არ შეიცხადა თინამ.

— კი, რა თქმა უნდა, მაგრამ მე იმაზე მწყდება გული, რომ... იქ ყველა ერთნაირად ვწერდით... „შპარგალკებიდან" და... რაღა ერთი და მეორე აღარ?

— აკი გეუბნები, ხდება-მეთქი, — კვლავ მშვიდად უთხრა თინამ, — ყველას ვერ დასჯიან, ჯოხი მუდამ ვიღაცის კისერზე უნდა გადატყდეს. რას იზამ, ასეა... მაგრამ მარცხმა არ უნდა შეგაშინოს, წელს თუ ვერა, გაისად მოხვდები. მონდომება იყოს, თორემ...

ტვიის ბუჩქებშორის გამავალ ვიწრო ბილიკით ორივენი დამხმარე საამქროებისაკენ გაემართნენ. სახარისხო საამქროებში გრძელ მაგიდებს თავსაფრიანი ხნიერი დედაკაცები შემოსხდომოდნენ და აბრეშუმის პარკებს არჩევდნენ. თინას დანახვაზე ერთი ალიაქოთი ატეხეს:

— სად ხარ, გოგო, სად დაიკარგე?

— ეგრე უნდა?

— განა რაკი ბებრები ვართ...

ერთმა სახედანაოჭებულმა, პირხმელმა დედაკაცმა შუქიას სათვალის ზემოდან გამოხედა და თინას ჰკითხა:

— ე ლამაზი გოგო ვინღა მოგიყვანია?

— ახალია, დეიდა თეკლე, ახალი!

— აგროვებ და აგროვებ ამ ლამაზ გო-

გოებს. რა გინდა, ე ჩვენი ფაბრიკა ედემად ხომ არ უნდა აქციო?

— მერე რა, ცუდია?

— ცუდი არა, მაგრამ ამდენ გოგოებს დათხოვებაც ხომ უნდა?

— მაგასაც მოვახერხებთ, მეაბრეშუმე გოგოს ვინ დაიწუნებს!

აქედან დახურული დერეფნით პირდაპირ მექანიკურ სახელოსნოზე უნდა გავვლოთ. დაზგებთან მაისურიანი, დაკუნთული და მხარმკლავებგამურული ბიჭები იდგნენ და ათასნაირ წვრილ-წვრილ ნაწილებს ამზადებდნენ. ერთი თითის სისქე მავთულს თეგით თანაბარ ზომაზე ჭრიდა, მეორე ამ დაჭრილ ძელაკებს მექანიკურ ქურაში აცხელებდა, მესამე თავბოლოს უღუნავდა და გასაქლიბად მეოთხეს აწვდიდა... იდგა ერთი გაბმული ზრიალი — ჩაქუჩების დაგა-დუგი, ცეცხლის ტკრციალი, საბურველების ქშენა, ჩარხების თანაბარი ზუზუნი, საჭრისების ხრჭიალი და ქლიბების ღირღიტი.

შუქიას გამოჩენამ — საამქროში უცნობი, ლამაზი გოგოს შემოსვლამ — საქმეზე ყველას ხელი აალებინა და ყველა კარებისაკენ შემოაბრუნა, მაგრამ ეს იყო ერთი წამით.

უცხოობის ძლიერი შიში, შუქიას ფაბრიკის ჭიშკარში შესვლისას რომ დაეუფლა, თინასთან საუბარში, მის გვერდით, მთლიანად გაუქრა. საამქროებისა და ეზო-კარმიდამოს დათვალიერებამ, აგრეთვე მუშებთან შეხვედრამ, ფაბრიკაზე სასიკეთო შთაბეჭდილება შეუქმნა. ყველაფერი, რაც ნახა და მოისმინა, მეტისმეტად უბრალო, მარტივი, ადვილსათვისებელი და მიმზიდველიც კი მოეჩვენა, თითქოს აქ პირველად არ იყო და დაზგა-დანადგარებსაც პირველად არ ხედავდა, მაგრამ ძაფსახვევი საამქროს ნახვამ ყველაფერი ისევ თავდაყირა დაუყენა და გულში კვლავ შიშის გაურკვეველი გრძნობა აღუძრა.

ძაფსახვევი საამქრო ორ ყრუკედელშუა მოქცეულ, კილომეტრიან გვირაბს უფრო ჰგავს, ვიდრე შენობას. ახლა ამ თავდახურულ გვირაბში ერთმანეთზე აკინძული და ერთნაირად ამოძრავებული დაზგა-დანადგარები თქვით, მაღლიდან ზღაპრული ურჩხულებივით რომ გადასწოლია ადლნახევრიანი სიგანის, მქშინავი სავენტილაციო ტურბინები, ცხელი და ცივი წყლის გამურული თუჯის მილები და წვრილი, ერთმანეთს, ჩახლართული სორთქლე მილაკები. მილებს შუა და შუა უთვალავი, მეტ-ნაკლები სიჩქარით ამოძრავებული სხვადასხვა ზომის ბორბლები და მათი შემაერთებელ-გადამცემი ღვედ-ქამრები, რომელთა უმეტესობა — უფრო წვრილები, თვალის უსწრაფესად ბზრიალებდნენ, წივიან, სისინებენ, ხტიან, თითქოს აწყვეტასა და ჰაერში გაფრენას ლამობენო, ხოლო მოზრდილები. უფრო ბრტყელები, ფართოები, ზანტი ხარებივით ქშინავენ და გვერდიდან გვერდზე ნელი ზლაზვნით გადადიან.

მართალია, მანქანა-იარაღები შუქიას სოფელშიც ენახა, მოსავლის აღების დროს სკოლიდან ხშირად ეხმარებოდნენ კოლმეურნეობას, მაგრამ იქ ყველა ცალცალკე მუშაობდა — ტრაქტორიც, კომბაინიც, სალეწიც და ხორბლის დამხარისხებელიც, და არც რთული რამე იყო, — თითო ღვედი, თითო ბორბალი და თითო კბილანა ყველას ჰყოფნიდა. აქ კი... რამდენი ჯარა-ღარადელა გადაბმია ერთმანეთს, ჩახლართულა და ერთად, ერთბაშად ამოძრავებულა! ყველგან შიშხინი, შხივილი, გუგუნ-გრიალი და ყველგან ორთქლი, ბურუსი, ბუღი და არც ყურთასმენა, არც თვალსაწიერი...

რძისფერ ნისლში გახვეულ, ამ ერთობლივ გუგუნ-გრიალში გამოკვეთილად მხოლოდ ცვლის უფროსის — ტანსრული, ოდნავ ჭორფლიანი, ცხვირპაჭუა უკრაინელი ქალის, მატრონა ჩმონას ნელი, ხავერდოვანი ხმა ისმოდა. შუქია ხელმკლავით მიჰყავდა და ყველაფერს დაწვრილებით უხსნიდა: საიდან მოდის ორთქლი და რისთვის არის იგი საჭირო, სად ცხელდება წყალი და რომელი მილებით ჩადის პარკის გამოსახარშ ქვაბებში. რამდენად უნდა მოიხარშოს პარკი და როგორ გადმოდის მერე ამოსაწვერ აუზში, როგორ უნდა მოინახოს წვერი, როგორ მივაწოდოთ თვითწამღებ ფირფიტებს და რამდენი წვერისაგან შემდგარი ძაფი ითვლება სრულად და ზომიერად. ხანდახან ხელს გაუშვებდა, რომელიმე დაზგასთან გააჩერებდა და ნათქვამს დაანახვებდა, მაგრამ შუქიას არც რამე ესმოდა და ვერც თვალით რასმეს ხედავდა, აცა-ბაცა მიაბიჯებდა მატრონას გვერდით და რაც უფრო ღრმად შედიოდა საამქროში, გული მით უფრო ძლიერად და აჩქარებით უთრთოდა. „შევძლებ კი? შევძლებ?“ — გაუელვებდა თავში მალ-მალე და იმავ წამს მეორე კითხვაც აეკვიატებოდა: „რა მომივა აქ, რა დამემართება?“ — დაბნეული და გაშტერებული ხან აქეთ-იქით იყურებოდა, ხან მატრონას შეხედავდა, მაგრამ საშიშს ვერსად ვერაფერს ხედავდა — მისი ტოლი გოგონები ორთქლის ბურუსში კალმახებივით თავისუფლად დაცურავდნენ და მატრონას ცისფერი, შუქიანი თვალებიც მშვიდად და უბრალოდ უღიმოდნენ. და შუქიამ აღარ იცოდა რა აკრთობდა ასე ძლიერ, მართლა შიში იყო ეს, თუ უძლურების მტანჯველი, გამანადგურებელი გრძნობა, თავისი თავისადმი უნდობლობასა და რწმენის დაკარგვას რომ ახლავს ნიადაგ.

მატრონა, ანუ დეიდა მატო, როგორც მას ფაბრიკაში ეძახდნენ, ფაბრიკის იმ მუშა ქალთა რიცხვს ეკუთვნოდა, რომელთაც ომამდე და ომის პირველ წელს დაიწყეს მუშაობა. საქართველოში ჯარისკაც ქმარს ჩამოჰყვა. ომის დაწყებისთანავე ქმარი — უფროსი ლეიტენანტი — ფრონტზე გაიწვიეს. მატრონამ კი წა-

სასჯელი ალარსად ჰქონდა — მათი ოლქი და სოფლები უკვე მტერს ეჭირა და თავისიანებისაც ალარაფერი იცოდა, თანაც ხელთ ორი მცირეწლოვანი ბავშვი — ქალ-ვაჟი ჰყავდა, არც რაიმე სპეციალობა გააჩნდა, გლეხის ქალი იყო და წერა-კითხვაც გაჭირვებით იცოდა. რა უნდა ექნა? ადგა და, რაკი სხვა ალარაფერი შეეძლო, ქმრის ფრონტზე წასვლის მეორე დღესვე ფაბრიკაში მოვიდა. ჯერ სარბანდზე იმუშავა, მერე სახარისხოში გადავიდა, საბოლოოდ ამომხვევის პროფესია შეისწავლა და ძაფსაღებ საამქროში დამკვიდრდა. საცხოვრებლადაც ფაბრიკის მუშათა საერთო ბინებში გადმოვიდა და იმ დღიდან ოჯახი და ფაბრიკა მის შეგნებაში ერთ განუყოფელ ცნებად იქცა. შინ ფაბრიკის საქმეს აკეთებდა, ფაბრიკაში — სახლისას და ერთიცა და მეორეც წალმართი გზით მიჰყავდა: შვილები დაზარდა, საშუალო სკოლა დაამთავრებინა და დაოჯახა, თვითონ, როგორც თავდადებული მუშა, ფაბრიკაში მუშაობის ოცდახუთი წლის თავზე, საამქროს ცვლის უფროსად დააწინაურეს.

ლამაზი ქალი იყო და თავის დროზე მთხოვნელიც ბევრი ჰყავდა, მაგრამ არავის არ გაჰყვა.

შრომითი სტაჟს საპენსიო ასაკიც ზედ წაება, მაგრამ მატრონამ ფაბრიკიდან წასვლა არ ინდომა, უფრო სწორად რომ ვთქვათ, ვერ შეძლო.

— სადლა წავიდე; ან რისთვის. თუ რამე გამაჩნია, აქა მაქვს, აქა მყავს.

— შვილები? შვილიშვილები? — შეახსენა ქალებმა.

— ვიცი, მესმის, მაგრამ მე ალარც ისეთი ახალგაზრდა ვარ, რომ ცხოვრება ახლიდან დავიწყო და არც ისეთი ბებერი, რომ მარტო შვილიშვილები გავართო. ასე რომ, ჩემი სახლი მაინც ეს არის, ჯანი აქ ჩამოვლიე და სიცოცხლეც აქ უნდა დავასრულო.

ფაბრიკის სიყვარული განსაკუთრებით შვილების გაყრის შემდეგ დასჩემდა. საამქრო ხომ თითქმის საკუთარ სახლს ერჩივნა, და როცა კი საშუალება მიეცემოდა, მის ავ-კარგზე მუდამ ალერსიანი მღელვარებით ლაპარაკობდა. შუქიასაც ასეთივე მონდომებით უხსნიდა და აჩვენებდა ყველაფერს, მაგრამ შუქია ახლა უკვე ალარ უსმენდა, მონუსხულივით გაჰყურებდა საამქროს ღია კარს, საიდანაც ცის ოთხკუთხედი, ლურჯი მონაკვეთი და ნაძვების დახრილი ტოტები მოჩანდა და მხოლოდ იმაზედა ფიქრობდა, აქედან თავი როგორ დაეღწია.

ლურჯი ცის ნაჭერი თანდათან ფართოვდებოდა, შესაბამისად ეზოს ხედიც იზრდებოდა და შუქიას იმედი ემატებოდა: აი, სულ ცოტა მანძილიღა დარჩა, სულ რამდენიმე ნაბიჯი, დაზგების რიგი უკვე მოთავდა და საცაა ზღურბლსაც გადააბიჯებს. კარში კი არც დაზგა-დანადგარებია და არც ორთქლის ბურუსი, იქ მზე ანათებს, ნიავი მიმოქრის და ხეთა რტოებში ჩიტები ჟღურტულებენ... მაგრამ მატრონამ ზღურბლამდე ალარ მიუშვა. უცბად ხელი მხარზე მოხვია, უკანვე შემოაბრუნა და თვალებში გამომცდელად ჩააშტერდა:

— ახლა მითხარი, მოგეწონა თუ არა ჩვენი საამქრო? სწორად მითხარი.

შუქიამ კინაღამ ხმამაღლა იყვირა, არაფერიც არ მომეწონა, გამიშვით, მაგრამ მატრონას მოალერსე მზერას რომ გადააწყდა, თავდახრილმა დარცხვენით ჩაილუღლუღა:

— რა ვიცი... კარგია, მომეწონა.

მატრონამ მეტი ალარაფერი ჰკითხა. ფაბრიკაში ხანგრძლივმა მუშაობამ და ახალბედებთან ხშირმა ურთიერთობამ მას უტყუარი ალლო და გამოცდილება შესძინა, — შიში და გაუბედაობა შუქიას თავიდანვე შეატყო, მაგრამ, გამოცდილებით ისიც კარგად იცოდა, რომ ასეთები — ჭერყევები, თავის თავში დაეჭვებულები — უფრო ჩქარა ეგუებიან ფაბრიკას და საქმესაც მედარებით მოკლე დროში ითვისებენ, ოღონდ, პირველ ხანებში, დახაწყისში მათ თავისებური მოპყრობა სჭირდებათ, გამხნევება, წახალისება. შუქიას ხელი უფრო მჭიდროდ მოხვია და ისევ მოფერებით უთხრა:

— ნუ გეშინია, საყვარელო, განა მართლა ასეთია, პირველ ნახვისას გეჩვენება ასე, თორემ ძნელი სულაც არ არის... საქმეს შეისწავლი, ხალხს გაიცნობ და... მალე, სულ მალე.

მატრონას ნათქვამი შუქიას სჯეროდა კიდეც და ალარც სჯეროდა. მართალია, კარგსა და მოსაწონს აქ თვითონ ვერაფერს ხედავდა, მაგრამ მატრონას მოალერსე ხმა, დამაჯერებელი კილო და ნდობით სავსე, ღიმმორეული თვალები აფორიაქებულ გულს უმშვიდებდა, შიშს უკარგავდა და აქ დარჩენის სურვილთან ერთად ერთგვარ ცნობისმოყვარეობასაც აღუძრავდა:

„— მართლაც და, რა უნდა იყოს ისეთი? თუკი ესენი არიან... აგე, ჩემი ტოლებიც არიან, დიდებიც, მოხუცებიც... მე რაღა ღმერთი გამიწყრება?“

მატრონა თითქოს ამ ფიქრსაც მიუხვდა, უცბად გააჩერა და პირდაპირ ჰკითხა:

— აბა, რა გადაწყვიტე, დარჩები თუ?...

კითხვა პირდაპირი იყო და პასუხსაც ასეთს მოითხოვდა: ან ჰო, ან არა! შუქიამ ეს იგრძნო და თვითონაც იმავე კილოზე, მტკიცე ხმით უპასუხა:

— დავრჩები!

— მჯერა! და ასეც უნდა. — მოწონებით თქვა მატრონამ, ახალგაზრდას არაფრისა არ უნდა ეშინოდეს!

ამ სიტყვებით შუქია ერთერთ დაზგასთან მიიყვანა და ჭოჭონაქზე გაჭიმულ, მთრთოლავ ძაფებს იქით, შავგვრემან, პატარა ტანის, თავის კბილა ქალს გასძახა:

— გაიანე!

გაიანე მკვირცხლად მობრუნდა, ოფლი ხალათის სახელოთი მოიწმინდა და თავით ანიშნა, რა გინდაო?

— არ გინდა, ეს ახალი მერცხალი შენ ჩაგაბარო?

გაიანემ ამომხვევ ქალს რაღაც უთხრა, დაზგებს ბოლოდან შემოუარა, მატრონას გვერდით ამოუდგა და მოძრავი, მუქი ფერის თვალებით შუქია ყურადღებით შეათვალიერა. შუქიას მღელვარება ჯერ კიდევ არ განელებოდა და შემკრთალ მზერას ხან მატრონას მიაპყრობდა, ხან — გაიანეს. ღია ფერის ჭრელ კაბაზე წამოცმული ლურჯი ხალათი მეტისმეტად უხდებოდა და იმ წუთში მართლაც ჰგავდა უცხო გარემოში შემოფრენილ მერცხალს.

— მოგწონს?! — ჰკითხა მატრონამ გაიანეს.

— მომწონს!

— ჰოდა, აიყვანე!

— მე კი ავიყვან, თუ თვითონაც უნდა, ჯერ ჰკითხე, იქნებ მე არ მოვწონვარ და სხვასთან ურჩევნია?

— არა, ამას ჯერ არავინ არ მოუწონვართ, — სიცილით თქვა მატრონამ და ცოტა ხნის შემდეგ დაუმატა, — მაგრამ მოვეწონებით, მალე მოვეწონებით... ვიცი, ვატყობ... და თვითონაც სასახელო მეაბრეშუმე იქნება.

— ვნახოთ, — თქვა გაიანემ და შუქიას ერთხელ კიდევ ყურადღებით შეხედა, — თუ იყოჩაღებს, ერთ თვეში ოსტატად ვაქცევ.

— აბა, მაშ ჩამიბარებია და შენ იცი, — უთხრა საბოლოოდ მატრონამ და საამქროს სიღრმისაკენ წავიდა, ბევრის სასაუბროდ არც გაიანეს ეცალა — დაზგებისათვის უნდა მიეხედა, შუქია სახვალიოდ, მეორე ცვლის დასაწყისისათვის დაიბარა და თავის სამუშაო ადგილს დაუბრუნდა.

შუქია და თინა საამქროდან ისევ ერთად გამოვიდნენ. თინამ ჭიშკრამდე მიაცილა და უკან შებრუნდა. შუქია ნელა შეუყვა აბანოს აღმართს. ყურებში ისევ ძაფსახვევი საამქროს ერთობლივი გუგუნ-დგანდგარი ედგა და თავი უბრუოდა. „მაშ ასე, — ჩურჩულებდა თავისთვის, — ხვალიდან იმ საამქროში უნდა დავმკვიდრდე... ის ტანსუსტი ქალი — დეიდა გაიანე, შემასწავლის აბრეშუმის ხამი ძაფის გამოყვანას... და მეც ფაბრიკის მუშა მერქმევა“.

აღმართის თავში შედგა და ფაბრიკის კორპუსებს ზევიდან გადმოხედა. ეზოში ელნათურები ბდღვრიალებდა, ძაფსახვევი საამქროს სახურავზე დაყოლებულ სავენტილაციო სარკმლებში ოროთქლის პატარ-პატარა, მოძრავი ბოლქვები მოჩანდა, უზომოდ დიდ სიმაღლეზე აზიდული აგურის საკვამლე მილი გამურული ყელიდან მქვარტლიან კვამლს აფრქვევდა და ბინდდაკრულ ზეცას ნაადრევად აბნელებდა.

— ინსტიტუტის მაგიერ — ფაბრიკა, აუდიტორიის მაგიერ საამქრო! — თქვა ხმადაბლა, ნელა ჩაიცინა და გზა განაგრძო.

მაინც რა უცბად და უცნაურად შეიცვალა ყველაფერი? თვით ზაფხულის ეს მშვიდი, ჩვეულებრივი საღამოც აღარ არის ისეთი, როგორც გუშინ და გუშინწინ იყო. არა, შუქია ასეთ უეცარ და უცნაურ ცვლილებას არაფრით არ მოელოდა. წინანდელი აღარაფერი აღარ შერჩა, არც აზრი, არც მიზანი, არც ფიქრი და არც სურვილი, და ყველაფერი ეს ერთ დღეში მოხდა. გრძნობდა, რომ გადადგა მეტად გაბედული, ძალიან დიდი, გრძელი ნაბიჯი და ფეხი სრულიად უცნობ, გაუვალ გზაზე შედგა; მაგრამ როგორია ეს გზა, საით მიდის იგი, რა მოელის წინ, სად მიიყვანს და რას მოუტანს საბოლოოდ? — ამისი ჯერ არაფერი გაეგებოდა და წინასწარ, რა თქმა უნდა, არც გარკვევა და გათვალისწინება შეეძლო.

2.

მართალია, შუქიამ დირექტორსაც მისცა პირობა ფაბრიკაში დავრჩებიო და მერე მატრონასაც ხომ ასევე უთხრა — მომწონსო, მაგრამ როცა შინ დაბრუნდა, დაისვენა, დაწყნარდა, გონება მოიკრიბა და თავისი გადაწყვეტილება ხელახლა აწონ-დაწონა, გულში ისევ ეჭვი და ყოყმანი შეუდგა.

იმავე საღამოს დედას წერილი მისწერა — ასე და ასეა ჩემი საქმე, და რას მირჩევთ, დავიწყო ფაბრიკაში მუშაობა, თუ სოფელში დავბრუნდე, ამოდი და მნახე, და თუ ვერ ამოხვალ, საჩქაროდ წერილით მაინც შემატყობინეო. მართალია, დედამ წასვლისას თვითონვე ურჩია მუშაობა და ფაბრიკაში მისვლაც ხომ უმთავრესად ამან უფრო გააბედვინა, მაგრამ ის სიტყვები მაინც სასხვათაშორისოდ იყო ნათქვამი და საბოლოო დასტურად არ ჩაითვლებოდა. ახლა კი სწორედ მყარი, გადაწყვეტილი პასუხი იყო საჭირო, რადგან შუქია სრულიად ახალ, დამოუკიდებელ ცხოვრებას იწყებდა და ამ დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯის თვითნებურად გადადგა უჭირდა. უფრო საყურადღებო და ანგარიშგასაწევი იყო მამის აზრი, რომელიც, შუქიამ კარგად იცოდა, ასეთ საქციელს არ მოუწონებდა. ყოველივე ამას ზედ ისიც ერთვოდა, რომ ფაბრიკა დიდად არ მოსწონებია და იქ მუშაობას მაინცდამაინც, არც გული უთქვამდა.

იმ საღამოს ერთი წერილი ორბის სახელზეც გაგზავნა. გუმანით გრძნობდა, რომ მის დღევანდელ მარცხში ორბისაც საკმაო წილი ედო და გული მოსდიოდა. თანაც მისი არმოსვლა და ამდენი ხნის დუმილი რაღაც ცუდ წინათგრძნობას ულვიძებდა, მაგრამ არ იმჩნევდა — იდუმალ შიშს საკუთარი ეჭვიანობით ხსნიდა, ხოლო ორბის საქციელს ათას გამამართლებელ მიზეზს უძებნიდა: ვინ იცის, რა მოხდა, ადამიანს ზოგჯერ სულ მცირე მიზე-

ზი, სულ უმნიშვნელო რაღაც დააბრკოლებს და განზრახვასა და სურვილს სამერმისოდ გადაადებინებს. იქნებ მეცადინეობს და ამის გამო ვერ მოიცალა? რა თქმა უნდა, ასე იქნება, — მეცადინეობს, საქმე აქვს, და საქმემ კი უეჭველად დაგვიანება და შეფერხებაც იცის. სულელი ვარ და ეგ არის, ნამდვილი სულელი ვარ!..

ასე იმშვიდებდა თავს, მაგრამ შელახული თავმოყვარეობა მაინც გულს უწიწკნიდა, ამიტომ ბევრი არაფერი მისწერა, მხოლოდ მდგომარეობა აუწერა მოკლედ და მოუსვლელობისა და ამბის შეუტყობინებლობაზეც ასევე მოკლედ და გადაკრულად უსაყვედურა.

დედის საპასუხო წერილი — კვირის თავზე, შაბათს, სწორედ სამუშაოზე წასვლის წინ მიიღო — აივანზე გამოსულს ქალარა ფოსტალიონმა პირდაპირ ხელში მიაწოდა; ამ წერილიდან შუქიამ გაიგო, რომ მამა უზომოდ აღშფოთებული იყო. „განა არ იცი, როგორი არის მამაშენი, — სწერდა დედა, — მაგრამ შენ არ შეწუხდე, გენაცვალოს დედა, დრო ყველაფრის მკურნალია. მე მიხარია კიდეც, რომ ფაბრიკაში მისულხარ — ქალისათვის მეაბრეშუმეობას რა ჯობია, და თუ შემდეგაც კარგად იქნები, კარგად მოიქცევი, მამასაც გული მოუბრუნდება. ჯერჯერობით კი... რა ბედენაა, სოფელში იქნები თუ სხვაგან, შრომა ყველგან შრომაა, მაგრამ მანდ, ფაბრიკაში იმით არის კარგი, რომ უფრო მეტი შესაძლებლობაა შრომისაც და სწავლისაც. საქმე და მუშაობაც უფრო თვალნათლივ ჩანს და თუ იბეჯითებ, გულს დაუდებ, ცხოვრებაში არაფერი გაგიჭირდება.

ამ კვირას ჩამოსასვლელად ვერ მოვიცლი და ნუ დამემდურები. ამ კვირას მხოლოდ ფულს გამოგიგზავნი, ვისმეს გამოვატან. სწავლას ნუ აუჩქარდები, ფულს ყოველთვის მოგაწვდი, საქმეს ყურადღებით მოეკიდე, შეისწავლე და აღარც მუშაობა გაგიჭირდება.

იქნებ ვერც მეორე კვირას წამოვიდე, რა ვიცი, მაგრამ აი, ქიას რომ ცახზე გადავსხამ, მაშინ კი უსათუოდ გნახავ. მეც მოვიცლი და მამაც ცოტათი ალბათ დამშვიდდება. კიდევ გიმეორებ: არ შეწუხდე, არ იდარდო, არ ინაღვლო და ინერვიულო“.

შუქიამ წერილის კითხვა ისევ თავიდან დაიწყო, მაგრამ ამჯერად ბოლომდე აღარ ჩასულა. — მზერა დაუმთავრებელ სტრიქონებზე შეაჩერა: „ჯერჯერობით კი...“ რა, ჯერჯერობით კი? რას ნიშნავს ეს გაწყვეტილი აზრი? ჯერჯერობით კი მამა იმ ზომამდე გაჯავრებულია, რომ შენი მასთან გამოჩენა ყოვლად შეუძლებელიაო? დიახ, ეს ასე იყო და შუქიას თვალწინ ცხადად წარმოუდგა მამის ნაწყენი სახე. თვალებში სინანულისა და სიბრალულის შეკავებული ცრემლი გაუბრწყინდა. ერთხანს თავბრუდახვეულივით იდგა და დედის ნაცნობ ხელნაწერს ცრემლმომდგარი თვალებით დაჰყურებდა, მერე ხელის გულებით წამწამები მოიწმინდა, ხელჩანთა აიღო, ოთახის კარი ხულა გაიხურა და ფაბრიკაში წავიდა.

* * *

შუქიამ, რა თქმა უნდა, თავიდანვე იცოდა, რომ მამა ფაბრიკაში წასვლას არ მოუწონებდა, მაგრამ თუ ამდენად განაწყენდებოდა — ეს კი არ ეგონა. გულჩათხრობილობის გამო, მამა ყოველთვის ებრალებოდა, რაც წამოიზარდა, სულ იმის ცდაში იყო, რომ მამის საწყენი არაფერი ჩაედინა; ახლა კი სწორედ ასე გამოუვიდა და ეს უნებური „დანაშაული“ სინდისზე მძიმე ლოდივით დააწვა.

იმ დღეს, ფაბრიკაში ერთთავად აფორიაქებული და შეშფოთებული იყო. მიმოდიოდა დაზგებს შორის, გამკინძველი და ამომხვევი ქალების ხელის სიმარჯვე-უგერგილობას აკვირდებოდა, თუ დეიდა გაიანეს ახსნა-განმარტებებს ისმენდა, გონებაში სულ თავისი საფიქრალი უტრიალებდა და თვალწინ კვლავ მამის გამწყრალი, საყვედურიანი სახე ედგა. იყო წუთები, როცა ფაბრიკის მიტოვებას და შინ დაბრუნებას საბოლოოდ გადაწყვეტდა, იცოდა, რომ მამას უსაზღვროდ უყვარდა და, თუ დაბრუნდებოდა, მოინანიებდა, მამა უსათუოდ აპატიებდა და შეურიგდებოდა, მაგრამ იმავ წამს მეორე კითხვა წამოეჭრებოდა: მართლაც და რა ეკეთებინა სოფელში? დედის თქმისა არ იყოს, სად სოფლის შესაძლებლობა და სად რაიონისა? ჯანდაბას, მამის ხათრითა და სიბრალულით თუნდ ამასაც იზამდა, და შინიდან კარში ფეხს არ გამოსდგამდა, მაგრამ რისთვის? რას მოუტანდა უქმად შინ ჯდომა და ამით ან მამას რას არგებდა? არაფერს, სრულიად არაფერს და თვითონ კი საკმაოდ ბევრს დაკარგავდა, — ხელიდან უნდა წასვლოდა საქმეც, მომავალიც და ხალხს, საზოგადოებას სამუდამოდ თუ არა, დიდი ხნით მაინც უნდა მოსწყვეტოდა.

ბოლოს, ბევრი ფიქრისა და ჯახირის შემდეგ, ასე გადაწყვიტა: წავალ სოფელში, მამას ვნახავ, დავამშვიდებ. მერე ყველაფერს ვეტყვი, ავუხსნი და, თუ გამომიშვა, ხომ კარგი, თუ არა და, მერე როგორც ემჯობინება, ისე მოვიქცევი.

ამ გადაწყვეტილებამ გულში კვლავ იმედი ჩაუსახა. მართლაც ასე ჯობდა: მამასაც შემოირიგებდა და ორბის ამბავსაც გაიგებდა. ბედად, მეორე დღეს ფაბრიკა ისვენებდა და ერთ დღეში ჩასვლასაც მოასწრებდა და, თუ მამა უკანვე გამოუშვებდა, ამოსვლასაც.

ფაბრიკიდან, ცვლა რომ დამთავრდა, უკვე სრულიად გულდამშვიდებული გამოვიდა და ვიწრო ქუჩას მსუბუქი ნაბიჯით შეუყვა. შუქიას თვალწინ უკვე მამასთან შერიგების სა-

ხურველი სურათი ედგა და მხოლოდ იმასღა ფიქრობდა, როგორ შეხვედროდა პირველად მამას, როგორ სჩვენებოდა, რა ეთქვა, როგორ ემართლებინა თავი და გული უფრო ადვილად მოელბო, ხოლო მამა რომ უსათუოდ შეურიგდებოდა, ამაში ოდნავი ეჭვიც აღარ ეპარებოდა... მამას გვერდით მიუჯდება, აკოცებს, ხშირ, მოთელილ თმაზე ხელს გადაუსვამს, მოეხვევა, მოეფერება... მამას ალერსი ბავშვივით უხარია, უსათუოდ მოუბრუნდება გული და, ალბათ ფაბრიკაში მუშაობაზეც დათანხმდება. ბოლოს და ბოლოს ისეთი ხომ არაფერი ჩაუდენია, რომ... ერთი სიტყვით, ხვალ ყველაფერი გაირკვევა, რაც აწუხებს, აღონებს, მამასაც ნახავს, ორბისაც და ერთ რომელიმე გარკვეულ გზას დაადგება.

მაგრამ შინ მისულს ერთი ისეთი უცნაური წერილი დახვდა, რომ ეს ყოველმხრივ სწორი, საიმედო განზრახვა უმალ შეაცვლევინა და სოფელში წასვლაც გარკვეულ დრომდე ისევ გადაადებინა.

შუქიას ასეთი წერილი არასოდეს მიეღო და არც ვისმესგან მოელოდა. მართალია, ჩვეულებრივი მოცისფრო კონვერტი იყო, მაგრამ ხადარბაზო კარზე დაკიდულ საფოსტო ყუთში არ იდო, — ოთახის კარის ღრიჭოში იყო გაჩრილი, ზედ არც ფოსტის ბეჭედი ესვა და მისამართიც რემინგტონის მანქანით ჰქონდა მიბეჭდილი.

წერილმა ხელში აღებისთანავე შეაკრთო და რაღაც შიშნარევი ცნობისმოყვარეობა აღუძრა. კარი შეაღო, სინათლე ჩართო, ჩანთა საწოლზე მიაგდო და კონვერტი ხელის კანკალით გადახია, საიდანაც რამდენიმე ცალი ფოტოსურათი და ისევ რემინგტონით ნაბეჭდი, პატარა, ოთხკუთხედი ბარათი გადმოვარდა. ეს სწორედ ის ფოტოსურათები იყო, თადეოზმა ირასა და ორბის გრემის ციხეზე და ალაზნის მორევთან ერთმანეთს ჩახვეულებს რომ გადაუღო და, რა თქმა უნდა, უსახელო ბარათიც მისივე ნახელავი იყო.

წერილიცა და სურათებიც თადეოზს ადრევე ჰქონდა დამზადებული, მაგრამ მოტანას აგვიანებდა — ხელსაყრელ დროს უცდიდა, როცა შუქიას ლოდინი მეტისმეტად დაღლიდა და ეჭვიც გაუძლიერდებოდა, რომ გულზე უფრო მწვავედ, მტკივნეულად მოხვედროდა და იმედი უცბად და მთლიანად გადასწყვეტოდა. ორბისადმი შუქიას ამასწინანდელ, ბოლო წერილში თადეოზმა სწორედ ეს უკიდურესი ეჭვი და ნაღოდინევი ფარული წყენა შეამჩნია და მაშინვე აქეთ გამოეშურა. წერილი თავისი ხელით გაუყარა კარის ღრიჭოში და, თუ როგორ იმოქმედებდა შუქიაზე, რა შთაბეჭდილებას მოახდენდა, ამისი თვალთვალი და გაგება ისევ იამზეს დაავალა.

შუქია კარგა ხანს თავბრუდახვეულივით იდგა მაგიდასთან და თვალი ერთი სურათიდან მეორეზე გადაჰქონდა. ბოლოს ბარათი აიღო და უხმოდ, თვალებით ჩაიკითხა: „შეიძლება ვცდებოდე, ამ სურათებს რომ გიგზავნით, — სხვათა საიდუმლოს გამხელა კარგი როდია, მაგრამ არ შემიძლია, გავჩუმდე, — სინდისი ნებას არ მაძლევს — როცა სიყალბესა და უზნეობას მოთაფლული, მაღალფარდოვანი სიტყვებით სიყვარულად ასაღებენ. სწორედ ასეთი აღმოჩნდა იგი, ვისაც თქვენ უსმენდით და გჯეროდათ. თქვენი წასვლის მეორე დღიდანვე სხვა იშოვა და, აი, როგორც ხედავთ, უკვე გულშიც იხუტებს. ახლა მალე ხელსაც მოაწერს — უკვე გადაწყვეტილია და აღარც მალავენ — დღე და ღამე ერთად, ერთმანეთის გვერდით არიან. სოფელში დღისით, მზისით ხელმოხვეული დაჰყავს, სწორედ ისე, როგორც ამ სურათებშია და თქვენ ამბის-ამბადაც აღარ ახსოვხართ. მაშასადამე, თქვენ არასოდეს არ ჰყვარებიხართ, და თუ გეფიცებოდათ, ჩანს, მხოლოდ იმიტომ, რომ მართლაც, რომ გველი გარედან ყოფილა ჭრელი და ადამიანი შიგნიდან! მაგრამ კარგია, რომ დროზე გამომჟღავნდა და გადარჩით. ამიერიდან თქვენც დაივიწყეთ თქვენი ბავშვური გატაცება. ესეც იცოდეთ: არის ადამიანი — ჭეშმარიტი, ღირსეული, რომელიც დღე და ღამე, ყოველ წამს, ყოველ წუთს თქვენზე ფიქრობს, ლოცულობს, ოცნებობს და იგი მოგანიჭებთ თქვენ უსაზღვრო სიყვარულსა და უსაზღვრო ბედნიერებას. თქვენი კეთილისმყოფელი“.

არც რიცხვი, არც თარიღი, არც ვინაობა.

„უცნაურია! ვინ არის ეს „კეთილისმყოფელი“? ვინ მოიტანა და დატოვა? იქნებ დეიდა იამზემ იცოდეს რამე?“

ფარჩის ხალათწამოსხმული იამზე აივანზე გამოსულიყო და რატომღაც ზედ შუქიას ოთახის პირდაპირ. ჩამომდგარიყო. ხელში ანთებული სიგარეტი ეჭირა, მხრით აივნის სვეტს მიყრდნობოდა და თავაწეული შეჰყურებდა ვარსკვლავიან ცას.

— დეიდა იამზე, დღეს ჩემთან ვინ იყო?

— მე არავინ დამინახავს, — გულგრილად უპასუხა იამზემ, — ვინ უნდა ყოფილიყო?

— რა ვიცი, ვიღაც ყოფილა და... კარებში წერილი დაუტოვებია.

— წერილი?! — შეიცხადა იამზემ. შუქი აანთო და შუქიას ყურადღებით დააცქერდა, — რა არის. ცუდი ხომ არაფერი წერია?

— არა, ცუდი არაფერი... ისე... — ენა დაება შუქიას და, იმის შიშით, გამოკითხვა არ დამიწყოსო, საუბრის თემა უცებ შეცვალა, — დეიდა იამზე, ხომ არ იცით, დილის მატარებელი რომელ საათზე გადის?

— პირველი შვიდზე გადის, მეორე — ცხრის ნახევარზე. სოფელში წასვლას აპირებ?

— ჰო, მინდოდა. თუმცა... რა ვიცი, ვნახოთ.

— წადი, შვილო, რატომაც არა, მშობლები

ნახე, — ურჩია იამზემ. მან პირველი შეხედვისთანავე შეატყო შუქიას უზომო შეშფოთება და კმაყოფილმა თავისთვის გაიფიქრა: „კარგია. სოფელში უფრო მეტს გაიგებს. ყველაფერს გაიგებს... იქნებ ნახოს კიდეც, ერთადაც ნახოს...“ — წადი, ნახე, გაუხარდებათ, უსათუოდ წადი, — დაუმატა უფრო ბეჯითად, ნაძალადევი მზრუნველობით და, თავისი ოთახისაკენ წავიდა.

შუქიაც შინ შებრუნდა, კარი ხელუკუღმა მიხურა და ისევ მაგიდასთან ჩამოდგა. სურათები ერთხელ კიდევ სათითაოდ გადაათვალიერა. სახეზე ჯერ ისევ შეშფოთებული გაოცება ეხატა, ყველაფერი ეს იმდენად მოულოდნელი, უცნაური და შეუსაბამო რაღაც იყო, რომ სინამდვილედ არც კი მიაჩნდა. ხანდახან ეგონა, რომ ეს სულაც არ იყო ორბი და ხელში ვიღაც უცნობი ბიჭის სურათი ეჭირა, მაგრამ ფაქტი თვალწინ იყო. აი, გრემის ციხის ფონზე გადაღებული სურათი: გოგო თითქმის იღლიაში შესძრომია, ლოყით მკერდზე მიჰკვრია, კისერზე ორბის მკლავი მოუხვევია და ბიჭის ხელს თვითონაც გულში იხუტებს. არც სირცხვილი, არც მორიდება! აი, მდინარეზე გადაღებული სურათებიც, — უფრო უარესი: მორევში ხელი-ხელმოხვეულები დაცურავენ, ნაპირზეც გვერდი-გვერდ სხედან და ერთმანეთს ჩაკრულნი, თითქოს ერთარსებად ქცეულან. ერთ სურათში ორბი გულაღმა გაწოლილა, თავი ქალის შიშველ მუხლზე დაუდვია, ხელებით მკლავებზე ეპოტინება და დაბლიდან მელიასავით შესციცინებს.

მეზობელ სახლებში შუქები ჩაქრა, იამზეს ოთახშიც შეწყდა მუსიკალური რადიოგადაცემა, უბანმა დაიძინა. შუქია კი ისევ გამტკნარებული სახით იდგა მაგიდასთან და კვლავ წერილს და სურათებს ათვალიერებდა. წერილიც და სურათებიც ერთ თარგზე გამოჭრილს ჰგავდა, ზუსტი ასლი იყო ერთიმეორისა და თავისთავზე თვითონვე მეტყველებდა, დაფარული და ამოსაცნობი აღარაფერი დარჩენილიყო, პირიქით, ყველაფერი ზომაზე მეტად ცხადი და თითქმის ხელშესახებიც კი იყო. შუქიას გულს უზომო აღშფოთება, ზიზღი და შეურაცხყოფა დაეუფლა.

— ღმერთო, ნუთუ ეს მართალია?! ნუთუ ასეთი რამ მართლა შეიძლება?

ოთახი თითქოს შეიკუმშა, — დაპატარავდა, დავიწროვდა და ყელშიც წაუჭირა. სუნთქვა აუჩქარდა; მკვრივი, ზომიერი მკერდი განზე გამოებერა და ხელ-ფეხი ციებიანივით აუთრთოლდა. თრთოლვა თანდათან გაუძლიერდა, გაუხშირდა, მთელ ტანზე მოედო და კანკალად გადაექცა. უცბად უცნაური სურვილი დაებადა, — რომ დაელეწა ყველაფერი, დაემტვრია, დაეფშვნა. შემოეფხრიწა ტანსაცმელი, დედიშობილა გავარდნილიყო კარში, ერბინა ქუჩაში და ხმამაღლა ეყვირა, ეღრიალა. ან წასულიყო სოფელში, წასულიყო ახლავე, ამ წუთსავე, მივარდნოდა ორბის, შეელეწა კარები და სახეში მიეფურთხებინა.

ხელში ნაჭერი ბარათი თავისდაუნებლად მუჭში მოჰმუჭნა და მიხურულ კარს ეცა. საბედნიეროდ, მალვე მოეგო გონს — ხელი კარის სახელურზე ჩამოდო და დაფიქრდა: „რა ვქნა? ხომ არ აჯობებს, რომ ჯერ ქეთინოს მივწერო და სიმართლე გავიგო?“ — კარს ნელა შეუშვა ხელი, ნელადვე შემობრუნდა უკან და წერილი ისევ მაგიდაზე, სურათების გვერდით დაადო.

მართლაც და, როგორ წავიდეს ამ შუაღამისას? ვთქვათ, წასვლაც მოახერხა — საღამოს მატარებელს ჯერ კიდევ მიუსწრებს, და ეგეც არ იყოს, გზაზე ავტომანქანას რა გამოლევს, მაგრამ სად მივიდეს, ვისთან? რა მოჰყვება შუაღამისას, მარტო ქალისათვის შეუფერებელ, უდროო დროს სოფელში მისვლას? ან რა აზრი აქვს? თუ მართლა ასეა, წამხდარ საქმეს ამით ვეღარაფერს უშველის, ხოლო ჩასვლის მიზეზი ხალხს შეუმჩნეველი და გაუგებარი არ დარჩება — სოფლის თვალსა და ყურს ასეთ საცდურ ამბავს ვერ გამოაპარებ, და ატყდება ერთი განგაში — მითქმა-მოთქმა, გაკილვა, ქილიკი და ქირქილი. ეს ჭორი, რა თქმა უნდა, მამის ყურამდეც მიაღწევს და მამა კი ამას ვერ გაუძლებს, ვერ გადაიტანს — ან თავს მოიკლავს, გაგიჟდება, ან არა და, ისე შემოწყრება — სამუდამოდ, რომ სიკვდილამდე გულს ვეღარაფრით მოაბრუნებინებს.

რა თქმა უნდა, ასე ჯობია. ქეთინოსათვის მიწერა ჯობია, არც თავს შეირცხვენს და ამბავსაც სიმართლით გაიგებს. ეგეც არ იყოს, იქნებ საამისო სულაც არაფერია? იქნებ ისე არ წვიმს, როგორც ქუხს? იქნებ სულ ერთი დღის, ერთი წუთის ამბავია და ვიღაც მოქიშპემ, მოჯიბრემ, „გარეწარმა და ხასიკვდილემ“ საგანგაშოდ აქცია? და რას ემსგავსება, რომ პირდაპირ ბრმასავით მიადგეს, — გაურკვევლად, გაუგებლად და ლანძღვა-წყევლით აიკლოს? არა, აქ აჩქარება არ გამოდგება, აჩქარებამ შეიძლება სამუდამოდ შეგარცხვინოს.

საბოლოოდ ამ აზრს დაადგა და ძამის სანახავად სოფელში წასვლაც ქეთინოს წერილის მიღებამდე გადადო. მაშინვე მაგიდას მიუჯდა და წერილის წერას შეუდგა. ხელები ისევ ძლიერად უთრთოდა, მაგრამ თავს ძალას ატანდა და აჩქარებით წერდა, ოღონდ, რას, ამაზე არ ფიქრობდა, არც სჭირდებოდა, წყენა და აღშფოთება სათქმელს თვითონ ამბობდა.

წერა დაასრულა, ორთავ გვერდზე დაწერილი რვეულის ფურცელი იმ რემინგტონზე ნაბეჭდ წერილსა და მიღებულ ფოტოსურათებთან ერთად ჩადო კონვერტში და მისამართი დააწერა, დიასახლისის ყურადღება რომ არ მიეპყრო, გრძელი აივანი ფეხაკრეფით გაიარა და კონვერტი სადარბაზოს პირდაპირ, სა-

ფოსტო ყუთში ჩაუშვა. უკანაც ასევე ფრთხილი, ქურდული ნაბიჯებით გამობრუნდა და შინ რომ შევიდა, მხოლოდ მაშინღა გაახსენდა, რომ წერილი ერთხელაც არ წაეკითხა. დაფიქრდა, მაგრამ ბოლო სტრიქონების მეტი ვერაფერი გაიხსენა: „აი მანდედან მიღებული წერილიც და სურათებიც. ამ წერილთან ერთად გიგზავნი და ნახე, ვინ არის, იქნებ იცნობ კიდეც. ან ამ წერილს ვინ მიგზავნის? ვინ არის „ჩემი კეთილისმყოფელი?“ ვის რა უნდა ჩემგან? მე, შენის მეტი, არც კეთილისმყოფელი ვინმე გამაჩნია მანდ და არც ახლობელი. და, შენი ჭირიმე. გთხოვ, გემუდარები, არაფერი დამიმალო, მომწერე ყველაფერი დაწვრილებით, რაც იცი, გინახავს, გაგიგია, ყველაფერი — ავიც და კარგიც, ყველა წვრილმანი. რაც არ იცი, სხვებს გამოკითხე, გაიგე და მომწერე, არ მომერიდო, ერთხელ გაგება და გარკვევა ჯობია. მომწერე საჩქაროდ, დაუყოვნებლივ, წერილის მიღებისთანავე. იმავე წამს, იმავე წუთს, და ყველაფერი, ყველაფერი, უკლებლივ, მოურიდებლად და შეულამაზებლად. ასე, შენი იმედი მაქვს და აბა, შენ იცი, გელოდები“.

იდუმალ შიშსა და მოლოდინში ერთმა კვირამ სიზმარივით გაიქროლა და კვირის ბოლოს ნალოდინევი წერილიც მოვიდა. სოფელში საქალვაჟო ჭორი ჯერ ისედაც არ იმალება, ხოლო ორბისა და ირას ურთიერთობის ამბავი მით უფრო ვერ დაიმალებოდა, რადგან თადეოზი საგანგებოდ ავრცელებდა, ასე რომ ქეთინომ საჭიროზე მეტიც იცოდა და შუქიასაც ასევე მისწერა. ორბიზე თვითონაც გულმოსული იყო და რაც ენახა ან სხვათაგან გაეგონა, არაფერი არ დაუმალა. წერილში ყოველ ხსენებაზე ორბის უსინდისოს, თაღლითს, გაიძვერას უწოდებდა და, როგორც ასეთ დროს ხდება ხოლმე, წერილს თანაგრძნობით, ნუგეშითა და რჩევა-დარიგებით ამთავრებდა:

„შენ ამაზე არ იდარდო, გენაცვალე. ქალის ცხოვრებაში ღალატი და იმედის გაცრუება ჩვეულებრივი მოვლენაა, მით უფრო ჩვენს დროში. ამბადაც აღარ გაიხსენო, ვითომ არაფერიც არ ყოფილა. შენ დილის ნამივით წმინდა ხარ და მომავალიც ასეთივე გელის. მაინც არ იყო შენი ღირსი და აკი ვერც შეიმჩნია. მეხი კი დავაყარე იმ უტვინო თავზე! ნეტა ის გოგო გაჩვენა რასა ჰგავს, სათრთხობელა გეგონება, — ერთი აწოწილი, აულარწული, წამწამებშელებილი. ჯოჯოხეთის მაშხალა, ტარტაროზი! ახლა ფერს არ იკითხავ, რა ფერი ადევს, აღარც მკვდრისაა, აღარც ცოცხლისა. მთელი სოფელი საოცარს არის, — ეს ეშმაკის ნაშიერი რამ მოაწონაო. მაგრამ, რა გინდა, ბედი ახლა სწორედ ასეთებსა აქვთ. ახლანდელ ბიჭებსაც მეტი არაფერი უნდათ, ოღონდ შიშველი ქალი ნახონ და... ზოგიც მერე იკითხოს, როცა ეს აქ გაუჩერდეს, დიდი დაიკვეხოს. ისე დიდი ჭირი და სატკივარი ეცეთ ორივეს, რაც ქმარ-ბაღ-ბოსტანს არ მიუხედოს და ქათამ-წიწილას არ დაუპუროს...“

წერილი ბოლომდე ამ ტონით იყო დაწერილი, მაგრამ შუქიამ ბოლომდე ჩაკითხვა ვეღარ შესძლო — თანდათან თავბრუ დაესხა და თვალები აუჭრელდა. — მაშ, ხელს მოაწერენო, მართალი ყოფილა. — წამოსცდა ხმამაღლა, თავისდაუნებურად და საწოლზე მუხლმოკვეთილივით დუნედ დაეშვა.

უნდა ითქვას, რომ ეს ამბავი შუქიასთვის მთლად მოულოდნელი არ ყოფილა, გულში სწორედ ამის შიში ჰქონდა და, როგორც თვითონ ეგონა, შეგუებულიც იყო, მაგრამ ამბის დაბეჯითებით გაგებამ მაინც ცუდად იმოქმედა: გაუნძრევლად იჯდა საწოლზე გაცრეცილი, გაფერმკრთალებული, არ ტიროდა, არც ჩხრავდა, მაგრამ არც რაიმე ესმოდა და თავის ირგვლივ ვეღარაფერს ხედავდა. ყველაფერი ის, რითაც დღევანდელი სულდგმულობდა, რითაც წუხდა, ხარობდა, რაც მოსწონდა ან სძულდა, რასაც უარყოფდა ან შენატროდა, ახლა უკვე უცნაურად, უცხოდ, შორეულად და არარაობად ეჩვენებოდა. აღარც ვინმე ჰყავდა და არც რაიმე გააჩნდა, და თვით საკუთარი თავი და არსებობაც ეუცხოვებოდა, უკვირდა. ეჩვენებოდა, თითქოს მარტოდმარტო იყო სადღაც შორს, უცხო, უდაბურ, უკაცრიელ უდაბნოში — გაძარცული, შიშველი, მიგდებული და აღარც წასასვლელი საითმე ჰქონდა და აღარც თავშესაფარი.

იჯდა და მხოლოდ სუნთქავდა. მერე მიხვდა, რომ ქეთინოს წერილი ისევ ხელში ეჭირა. წერილი გაშალა, მუხლებზე გაიფინა და თვალებით ჩააკვდა. ბოლომდე ჩაიკითხა და ისევ თავიდან დაიწყო. კითხულობდა დაუსრულებლად, თავისდაუნებურად...

რამდენ ხანს იჯდა საწოლზე უძრავად, როდის გადადო წერილი, როდის გაიხადა ტანსაცმელი, როდის გამორთო შუქი და ჩაწვა ლოგინში, ამისი არაფერი გაუგია. ვერც ის გაიგო, იმ ღამეს ეძინა თუ ეღვიძა. რამდენჯერაც კი გამოერკვა და თავისი თავი შეიგრძნო, თვალები ყოველთვის ფართოდ გახელილი ჰქონდა და მოპირდაპირე კედელზე ქალაქის მოედნიდან შემოჭრილი სინათლის ფერმკრთალ შუქჩრდილებს ხედავდა.

მთელი ღამე ამ წამებასა და ძილ-ღვიძილში გაატარა. გაუთავებელმა დარდმა და ფიქრმა შუქიას გულში თითქოს რაღაც ამოწვა, ამოდაღა, ამოძირკვა და წყლულსა და სატკივარს პირი შეუკრა. თითქოს ჯანითა და სხეულითაც გადაახალისა, სრულიად სხვა ადამიანად აქცია და რწმენა და სულიც თითქოს ახალი შთაბერა. ფაბრიკის პირველი საყვირის ხმაზე ლოგინიდან ჩვეულებრივ წამოდგა, ჩვეულებრივ დაიბანა პირი და თმაც სარკის წინ ჩვეული

გულმოდგინებით დაივარცხნა. სარკეში თავისი თავისათვის არავითარი ისეთი ცვლილება არ შეუმჩნევია, როგორსაც მოელოდა, ოღონდ ეს იყო, რომ ლაწვები გაფერმკრთალებოდა ოდნავ და თვალები ჩამუქებოდა. ყველაფერი ისე გააკეთა, როგორც ფაბრიკაში მისვლის პირველი დღიდან დასჩემდა: ხელჩანთაში საუზმე და ლურჯი სატინის სამუშაო ხალათი ჩაილაგა და სამუშაოზეც წავიდა. მართალია, ტანში რაღაც სისუსტესა და სიმსუბუქეს გრძნობდა და გულიც დროდადრო წუხანდელივით მტკივნეულად უთრთოდა, მაგრამ, სამაგიეროდ ისევ შეეძლო მომავალზე ფიქრი, შეეძლო ოცნება, ღიმილი, რაღაც იყო წინ, რისთვისაც ღირდა სიცოცხლე, არსებობა და ამ რაღაცისაკენ სრულიად ახალი ხალისითა და მოლოდინით მიისწრაფვოდა. ყველა წუხანდელი ნაფიქრი და განაზრახი ახლა უკვე შორეულ, ძალიან დიდი ხნის წინანდელ ამბად ეჩვენებოდა. მაინც რა იყო წუხელ? რა მოხდა? რატომ წუხდა ასე ძლიერ და რატომ ეჩვენება ის საწუხარი ახლა ასე უბრალოდ და უმნიშვნელოდ? — ამისი ვერაფერი გაეგო და ეს უცნაური და უეცარი გარდაქმნა უზომოდაც აოცებდა. ამას კი ხედავდა, რომ მარცხმა ნებისყოფა გაუკაჟა და ყოყმანი და სოფელში დაბრუნებაზე ფიქრი საბოლოოდ ამოიგდო გულიდან. მართალია, მამა კვლავ უზომოდ ებრალებოდა და მისი მდგომარეობაც — ნაწყენობა ისევ აწუხებდა. მაგრამ რაც მოხდა, იმის შემდეგ სოფელში გამოჩენა და ნაცნობი ადგილების ხილვა, არაფრით აღარ შეეძლო. უკან დასაბრუნებელი გზა აღარ ჰქონდა, მხოლოდ წინ უნდა ევლო და შუქიამაც მთელი გულისყური, ნებისყოფა, გულმოდგინება, უნარი, ხსოვნა, მონდომება საქმეზე გადაიტანა. საქმესთან უფრო ახლოს მივიდა, სიახლოვემ საქმეც სხვაგვარად დაანახვა, ბევრი რამ ისეთი აღმოაჩინა — ახალი, საჭირო, აუცილებელი და კარგი, რასაც აქამდე ვერ ამჩნევდა, ვერ ხედავდა, და ამ ახლის შესწავლა-ათვისებას მწყურვალივით დაეწაფა.

3.

ძაფსახვევი საამქრო — ეს ნამდვილი გული მთელი ფაბრიკისა, განუწყვეტლივ ბობოქრობს, მთელი ეს შავად გაზინთული, ახმაურებული ჯარა-ღარადელა — ბორბლები, ღვედები, ჰოჰონაქები, წვრილ-მსხვილი მილები და ძელაკები ერთმანეთს მჭიდროდ შეზრდია, შეხმატკბილებულა და მთელი საამქრო ერთ განუყოფელ სხეულად ქცეულა — ჯიუტი და ურჩი, იგი დაბმული ურჩხულივით ღრიალებს, იბრძვის და ყველას და ყველაფერს საკუთარ ორომტრიალში ჩათრევას უქადის. არც დაღლა იცის, არც — დათმობა და თავის ირგვლივ თითქოს ყველაფერს აკნინებს, — დაზგებთან მოფუსფუსე, ორთქლში გახვეული ადამიანები ერთი შეხედვით ძალიან უმწეონი და უსუსურნი ჩანან, მაგრამ დარწმუნებულნი, რომ ეს დევური ძალის მქონე მანქანა-დანადგარები მათი ხელისა და ნებასურვილის მორჩილია, ისინი მხნედ და მამაცად გამოიყურებიან.

ერთ-ერთ ასეთ დაზგასთან ზის შუქიაც. მის წინ, ძაფის ამოსაყვან აუზში — მუქი ფერის წყალი ორთქლავს, წყლის ზედაპირზე პაწაწინა გედებივით დაცურავენ თეთრი ბურთულები — აბრეშუმის პარკები, ჰყუმპალაობენ, ყვინთავენ, ლივლივებენ და ტივტივ-ტივტივით აქეთიქით იფანტებიან. აუზში პარკებთან ერთად დაცურავენ შუქიას ჩამოქნილი, თეთრი თითებიც, გაფანტულ პარკებს იჭერენ, ერთად უყრიან თავს და თვითწამღებ ფირფიტებზე ანაწილებენ. ყოველ აუზს ათი ასეთი ფირფიტა ემსახურება და პარკები მათზე ისე უნდა განაწილდეს, — თანაბრად, რომ ძაფის სისქეში მეტ-ნაკლებობა არ მოხდეს. საამისოდ, რა თქმა უნდა, დადგენილი სტანდარტი არსებობს, მაგრამ თვალის ვარაუდსა და ხელის გაწვრთვნასაც საკმაო წილი უდევს.

მაინც, რა ადვილად, მარჯვედ და ძალდაუტანებლად კეთდება ახლა ყველაფერი? თითქოს ამ პაწია ბურთულებმა თვითონვე იციან თავიანთი ადგილი, დანიშნულება და თვითწამღებ ფირფიტებზეც თავისით ნაწილდებიან, დასაწყისში კი ასე როდი იყო.

შუქიას ახლაც თვალწინ უდგას თავისი თავი, როგორ იჯდა დაწყებისას ამოსახვევ აუზთან და მაშინდელ უგერგილობაზე გულიანად ეცინება: მარცხენა ხელი თითქმის ყოველთვის უძრავად ედო მუხლებზე და პარკებს მხოლოდ მარჯვენა ხელით ანაწილებდა. დეიდა გაიანე კი დაუინებით ჩასძახოდა:

— არა, არა, ასე არ შეიძლება. უნდა მიაჩვიო, მარცხენაც უნდა მიაჩვიო.

შუქიამ ერთხელ გაბედა და უთხრა:

— მაინც რა აუცილებელია? მარჯვენა ხელით ხომ ვასწრებ და... რაღა საჭიროა?

— საჭიროა, გენაცვალე, საჭირო. ადამიანს ორი ხელი იმიტომ აქვს, რომ ორივე მოიხმაროს. უნდა მიეჩვიო. აი, სულ მალე გამკვანძველად გადაგიყვან და... იქ დაგჭირდება, ძალიან გაგიჭირდება.

შუქიას შერცხვა, და თავდახრილმა გაუბედავად ჩაილაპარაკა:

— რა ვქნა, დეიდა გაია, ვერ ვეჩვევი და რავქნა!

— აბა, რას აპირებ, გოგო? — გაიანემ დოინჯი შემოიყარა და ხმასა და კილოში უკვე ოსტატის სიმკაცრე დაეტყო, — ჰა, რას აპირებ?

— არც მე ვიცი, დეიდა გაია, — მორჩილად თქვა შუქიამ და ცრემლმორეული თვალებით ქვეშ-ქვეშ გამოხედა, — ალბათ დავეჩვევი.

— როდისღა? ჰა, როდისღა?

შუქია თავდახრილი იდგა და ოსტატის ტუქსვას კვლავ მორჩილად ისმენდა. მერე ისევ ძლივს გასაგონად ჩაილაპარაკა:

— თანდათანობით... დროით, ხნით, ნელნელა.

— დროით, თანდათანობით! — გამოაჯავრა გაიანემ, — ასე შეიძლება თხაც გაწვრთნა, მაგრამ ადამიანს ცოტა მეტი მოეთხოვება, იგი უნდა სწავლობდეს... პირუტყვი ეჩვევა, ადამიანი სწავლობს!.. ხოლო სწავლას ყურადღება უნდა, ცდა, მონდომება, მოწადინება, ჰო! — მარჯვენა ხელი, როგორც ყოველთვის, ისევ უბეში ჩაადებინა და უკვე დარიგებით უთხრა, — სცადე, შვილო, სცადე, მხოლოდ მარცხენა ხელი ამუშავე. მე ლაბორატორიაში შევირბენ და ახლავე დავბრუნდები. — ოფლით დანამულ მაღალ შუბლზე პატარა, გამხდარი ხელი გადაისვა, მოშვებული თმის სარქები დაიმაგრა და სამქროს ღია კარში გაუჩინარდა.

გაიანემ ეს ისე, საცდუნებლად უთხრა, თორემ ლაბორატორიაში სულაც არ შესულა, მხოლოდ ზღურბლს გადააბიჯა, რამდენსამე წამს კარებს ამოეფარა, უკანვე შემობრუნდა და შეგირდს შორიახლო დაუდარაჯდა.

შუქია ერთხანს მართლაც შეუფერხებლად ანაწილებდა პარკებს თვითწამღებ ფირფიტებზე. თითქოს მარცხენა ხელის თითები საბოლოოდ მოთვინიერდნენ და თითების მოძრაობას გაუჩერებლად მოლივლივე პარკებიც დამორჩილდნენ. შუქია სულ უფრო მარჯვედ ამუშავებდა ცაციას — სალოკ თითზე ამოხსნილ წვერს იხვევდა და მბრუნავ ფირფიტებს მსუბუქად და ძალდაუტანებლად აწოდებდა: „არა, არც ისეთი ძნელი ყოფილა ,ნამდვილად არ ყოფილა ძნელი... პირიქით, თითქოს უფრო იოლიც არის!“ — ფიქრობდა გულში და წარმატებით გახალისებული მუქი წყლის ზედაპირზე მოლივლივე პარკებს თითებით ეთამაშებოდა.

—, იხტუნავეთ, იცეკვეთ, იჭყუმპალავეთ...

საქმის გაიოლებამ თანდათან გაართო, და ოსტატის შეგონება მთლიანად გადაავიწყა. საბოლოოდ კი მოხდა ის, რაც არაერთხელ მომხდარა: მარჯვენა ხელა, შეუმჩნევლად გამოცურდა უბიდან და თავისი ადგილი დაიჭირა, ხოლო ცაციამ ისევ მუხლზე გადაინაცვლა. შუქიამ, როგორც ყოველთვის, ხელების ეს თვითნებური შენაცვლება ვერც ახლა შეამჩნია, იგი მხოლოდ ბზრიალა გორგოლაჭებს, მბრუნავ ფირფიტებსა და წყალში მოცურავე ბურთულებს ხედავდა და სახე კვლავ ბავშვური ხიბლით ულიმოდა:

— აბა, ჰა, იხტუნავეთ, იჭყუმპალავეთ!

— არა, არა, ასე არ შეიძლება, ასე არაფერი გამოვა! — გაისმა უცებ ნაცნობი ხმა და შუქიაც გამოერკვა. დეიდა გაიას შეუმჩნევლად გამოევლო დაზგებშორის და ზურგიდან ამოსდგომოდა. შუქია იმავ წამს ფეხზე წამოხტა და მარჯვენა ხელი უბეში იტაკა. ოსტატის ასე მალე დაბრუნებას არ მოელოდა და სახეალეწილი და დარცხვენილი უხერხულად იშმუშნებოდა.

— არ შეიძლება-მეთქი, არა! — იმეორებდა გაიანე და ნესტოებდაბერილი აჩქარებით სუნთქავდა. — და რაკი თვითონ ვერ მორევიხარ თავის თავს... მე შენისთანების მორჯულებაც ვიცი!.. — ამ სიტყვებით ხალათის ქამარი შემოხსნა და მარჯვენა ხელი გამოაშლევინა, — ჰო, დიახ, ვიცი... და მოგიხდება კიდეც!

შუქიამ, რა თქმა უნდა, არ იცოდა, რას უპირებდა მასწავლებელი. მაგრამ შეკითხვას ვერ უბედავდა, უსიტყვოდ ნებდებოდა და ხელს მორჩილად უწვდიდა. გაიანე შუქიას ზედ არ უყურებდა, ქამრის ბოლოებს ერთმანეთს ატოლებდა და წარბშეკრული ისევ წელანდელ კილოზე ჯავრობდა:

— რა გახდი, მთელი თვეა გეჩიჩინები და... ბოლოს და ბოლოს, როდემდე?

ქამარი შუაში გამოყულფა, ყულფი მარჯვენა მაჯაზე გადააცვა და ბოლოები ცალცალკე დაჭიმა. მერე ხელები მარცხენა იღლიის ქვეშ გაუტარა, და ქამრის ბოლოები წელზე შემოახვია, იქ ერთმანეთზე გადააჯვარედინა, ორჯერ გამოკვანძა და მარჯვენა ხელი თეძოზე მიუბა.

— აი, ასე გინდა შენ!

მომიჯნე დაზგებზე მომუშავე ქალები და გოგოები შუქიასა და იმის მასწავლებელს შეფარული ღიმილით უთვალთვალებდნენ. ისინი კარგად იცნობდნენ ოსტატის ამ მოქმედებას და შუქიას თვალებით ამხნევებდნენ, ხოლო მატრონამ, რომელიც სწორედ ამ დროს დაუპირდაპირდა, მთრთოლავ ძაფებს იქიდან სიცილით გადმოსძახა:

— რაო, ოსტატო, ისევ ძველებურ ხერხს მიმართე?

გაიანემ ხელები გაშალა.

— ასეთ უგერგილოსთან რომ გექნება საქმე!..

— აბა რომ აქებდი, ასეთია, ისეთიაო?

— ვაქებდი, თორემ ამისმა მზემ, დიდი საქებარი მყავს.

შუქიამ დაბმულ მარჯვენაზე დაიხედა, თავი ველარ შეიკავა და ხმამაღლა გაიცინა.

— გაიცინე, სასაცილოდ გაქვს საქმე, — კვლავ ტუქსვით უთხრა გაიანემ, და სკამი ზედა, მარცხენა კუთხისაკენ გაუწია, — აქ დაჯექი და ამ სამ ფირფიტაზე უყურე. ჯერჯერობით მეტს აღარ განდობ... ჰა, კარგია ასე? მოგწონს? არაფერია, მოუხდება შენისთანა ჯიუტს!

გაიანეს შეგირდების გაწვრთნა-სწავლების მრავალგვარი ხერხი და მეთოდი ჰქონდა. ერთი მათგანი „მარჯვენა ხელის დაბმა“ იყო.

ამ ხერხს უკიდურეს შემთხვევაში ხმარობდა და სახელის უმაღლეს ზომას ეძახდა. შეგირდები მის მოხდას მეტ-ნაკლებ დროს ანდომებდნენ, ხანდახან თვემდეც გასტანდა, მაგრამ რაგინდ დიდხანსაც არ უნდა გაგრძელებულიყო, სანამ სრულყოფილ შედეგს არ მიაღწევდა, დეიდა გაია „ყადაღას არ ახსნიდა“ და ხელს არ გაანთავისუფლებდა.

შუქიამ აქაც იმარჯვა და ცაცია ხელი საქმეს შედარებით მოკლე დროში მიაჩვია, მაგრამ გაიანეს აჩქარებისა და ფართიფურთისა არაფერი სწამდა და შუქიასთანაც ისეთივე ულმობელი იყო. ხელის გაწაფულობას ყოველ დილით ჩვეული გულმოდგინებით შეამოწმებდა და სულ მცირე ნაკლსაც არ აპატიებდა, ხელს უიმედოდ ჩაიქნევდა, — არ ვარგა, აკლია, ჯერ კიდევ აკლია, — იტყოდა მოჭრით და მარჯვენა მაჯაზე ისევ ყულფს გადააცვამდა.

ხანდახან შუქია გაუბედავდა:

— როდის გავა სახელის ვადა, დეიდა გაია?

— ეგ მე ვიცი! — იყო მოკლე პასუხი.

— განა ამდენი დაშავა?

— დაშავა.

— ახლა მარცხენა არ გაგვიხდეს დასაბმელი.

— თუ საჭირო იქნა, მაგასაც ვიზამთ.

— ეყოფა, დეიდა გაია, ეყოფა, აგე უკვე მიეჩვია და სახელის დროც ხომ გავიდა. — გამოსძახებდნენ დროდადრო დაზგებიდან, მაგრამ გაიანე ან ყურადღებას არ მიაქცევდა ან, მათაც ჩვეულებრივ კუშტი პასუხებით იცილებდა:

— საქმეს მიხედეთ, საქმეს! ეყოფა თუ არა, თქვენზე უკეთესად ვიცი...

დღე დღეს მისდევდა და ურჩი ცაცია თანდათან თვინიერდებოდა, კარგავდა მოუხეშაობას, იწვრთნებოდა, იხვეწებოდა და სულ უფრო ძალდაუტანებლად მოძრაობდა. ხოლო როცა იმდენად გაიწაფა, რომ საკუთარ მარჯვენა-მარცხენას შუქია თვითონაც ველარ გრძნობდა, დეიდა გაიამაც გამოუცხადა „ამნისტია“ და მარჯვენა მაჯას ყულფი საბოლოოდ შემოხსნა.

— აი, ახლა კი შეიძლება გაკვანძვაც ვცადოთ, ნამდვილად შეიძლება, — და შუქია სახიფე ჯარებთან გაიყვანა. როგორც ყოველთვის, შუადღისას ათრთოლებულ ძაფებსა და ზუფგადახდილ შულოებს ახლა ქერში დატანებული ოთხკუთხედი სარკმლებიდან ჩამოსული სხივთა სვეტები დაყრდნობოდა და ორთქლიანი აუზები, ჯარათა კოლოფები და მთელი საამქრო ცისარტყელების გარდამავალ ფერებში გახვეულიყო. დეიდა გაიამ შუქია გვერდით ამოიყენა და ერთ-ერთ შულოსა და ჭოჭონაქს შორის გაჭიმული ძაფი გაწყვიტა. მერე ამძრავი კბილანა გამორთო, ჯარა გააჩერა და შულოზე თითებით გაწყვეტილი ძაფის წვერი მონახა. ბოლოები ერთად შეყარა, ცერითა და სალოკი თითით დაიჭირა, ერთ-ერთ წვერში მარცხენა ხელის თითი გამოსდო და ყულფი გააკეთა. წვერები იმ ყულფში გაუყარა, ყულფი ნელა გადმოიცურა თითებზე და ზომიერად დაჭიმა. — აი, ასე უნდა, ხომ ხედავ? — ნასკვს ბოლოები შეაწყვიტა, თითებში მოსრისა და ძაფის საერთო სისქეს გაუთანაბრა, — არამც და არამც ნასკვს ფირჩვილი არ უნდა შერჩეს — ხარისხს დაკარგავს... ზოგან, ზოგიერთ ფაბრიკაში სპეციალურ ნემსებს ხმარობენ, მაგალითად, ჩვენი მოძმე აზერბაიჯანელი მეაბრეშუმეები, დერიბაშოვის ნემსი ჰქვია... მაგრამ ნასკვი ხელისა ჯობია, — ადვილიც არის, სასწრაფოც და ხარისხიანიც გამოდის, სტანდარტს არ არღვევს.

გაიანემ ეს პროცესი რამდენჯერმე გაიმეორა, რამდენჯერმე გაწყვიტა ძაფი, გაკვანძა და შუქიასაც ამდენჯერვე გაამეორებინა, მერე უთხრა, — შინ რომ მიხვალ, ორწვერი ძაფი აიღე და დამოუკიდებლად ივარჯიშე, — ვარჯიშის მეტი ამას არაფერი არ უნდა, — ჯარებს თავი მიანება და შუქიაც ჭოჭონაქებისაკენ შეაბრუნა.

— ძაფი აგრეთვე ჭოჭონაქებზეც წყდება, მაგრამ აქ კვანძის მაგიერ, გრეხილი კეთდება. ჯერ პირდაპირ თვითწამღები ფირფიტიდან წამოსული წვერი უნდა მონახო, ხელახლა უნდა გადაახვიო ჭოჭონაქზე და ახალი გრეხილი გააკეთო. გრეხილი სიგრძითაც და სისქითაც ზომიერი უნდა იყოს, ესე იგი, სტანდარტული, თანაც სუფთა, რომ სინესტე არ შერჩეს, და ხარისხი არ დაარღვიოს. ხარისხი კი, როგორც იცი, ერთერთი უპირველესი რამ არის, — გაიანემ აქაც გაწყვიტა ძაფი და რაც სიტყვით უთხრა, საქმითაც დაანახვა.

გრეხილი და კვანძიც შუქიამ შედარებით იოლად გააკეთა და ამით გათამამებულმა გულუბრყვილოდ იკითხა:

— აქ ხომ ძნელი არაფერია, დეიდა გაია, და რა საჭირო იყო მარცხენა ხელის ასეთი გაწვრთნა-გავარჯიშება?

— რაო? — უცბად შემობრუნდა გაიანე და მუქი, ნუშისფერი თვალები ნაძალადევი წყრომით მიაშტერა, — ისევ დაიწყე?

შუქიამ ენაზე იკბინა.

— მაპატიეთ, დეიდა გაია, მაპატიეთ, ამის შემდეგ ხმას აღარ ამოვიღებ, — უთხრა დამორცხვებით და პირზე მომდგარი ღიმილი ხელის გულით დაიფარა.

ოსტატი ახლა ამაზე უფრო გაუწყრა:

— ჰო, ხმა არ ამოიღო, არაფერი მკითხო და ასე ბევრს ისწავლი!

გაიანე თავის შეგირდებს დაოსტატებამდე სულ ასე ტუქსვით და პირქუშად ელაპარაკებოდა, ესეც სწავლების ერთ-ერთი მისეული მეთოდი იყო და შედეგსაც სასურველს აღწევ-

და: იგი უფრო ზრდიდა, ვიდრე ასწავლიდა. თანაც ამ გარეგნულად მკაცრ დამოკიდებულებაში იმდენ სითბოსა და გულისხმიერებას აქსოვდა, რომ შეგირდებს ოდნავადაც არ შეურაცხყოფდა. პირიქით, თავს მასთან ისე გრძნობდნენ, როგორც საკუთარ დედასთან ან უფროს დასთან. დეიდა გაია, — ეს სუსტი ტანის, შავგვრემანი, ნახევრად ჭაღარა, კაფანდარა ქალი შუქიასაც პირველი დღიდანვე დედასავით შეუყვარდა. აგერ, თავი ვერც ახლა შეიკავა, ხმამაღლა გადაიკისკისა და ლოყით მკერდზე მიეხუტა.

— რა კარგი ხარ, დეიდა გაია, რა ძალიან კარგი ხარ!

მასწავლებელმა არც ეს მოფერება დაუმადლა, თუმცა გულში ეამა, მაგრამ არ შეამჩნევინა, ხელის მსუბუქი გაკვრით მოიცილა და ჩვეულებრივ დატუქსა:

— კარგი ვარ თუ ცუდი. შენ არავინ გეკითხება. რასაც გეუბნები, გასწავლი, ის დაიხსომე და გააკეთე, გაიგე? ექვს დაზგას და ოცდაოთხ ჯარას უნდა ემსახურო და იცი, როგორი საქმეა ეს? იქნებ სწორედ მაშინ გაწყდა ძაფი, როცა მარცხენა მხარეს უდგეხარ, რა უნდა ჰქნა მაშინ? მეორე მხრიდან შემოუვლი? მერე დრო? რამდენი დრო გავა მანამდე და ჯარა კი სულ ცოტა ათ ბრუნს მაინც გააკეთებს. დააკლდება თუ არა ეს საერთო რაოდენობას — ფაბრიკას, საამქროს, რგოლს... და შენ, შენც.

— რა თქმა უნდა, დააკლდება.

— რა თქმა უნდა! — კვლავ გამოაჯავრა, — სიტყვით კი არა, საქმით უნდა გახსოვდეს, ძილშიაც უნდა გახსოვდეს. გაიგე?

— გავიგე, დეიდა გაია, გავიგე, ყველაფერი გავიგე!

და მართლაც, მასწავლებლის ასეთი ყურადღებით, გულმოდგინებით, საკუთარი მცდელობით, გულისყურიანობით, დღითიდღე, თანდათანობით შუქიამ ყველაფერი გაიგო, — მიხვედრს მიხვდა, დასასწავლი დაისწავლა, ამოსაცნობი ამოიცნო და ხარისხიანი აბრეშუმის ხამი ძაფის გამოყვანის ყველა საიდუმლოს ჩასწვდა. ახლა ყველა ამ გაგებულისა და დასწავლილის შეთვისებაღა იყო საჭირო, — თვალის, ვარაუდისა და ხელის გაწაფვა-გაჩვევა, და ამაზე უკეთ დამოუკიდებლად წვრთნიდა თავს, ყურადღებით აკვირდებოდა გამოცდილი, ხელმარჯვე მუშების მოქმედებას — მათს დაზგებთან დგომას, ნაბიჯს, მიხრა-მოხრას და საკუთარს უდარებდა. თუ რამე გაუჭირდებოდა ან ვერ გაიგებდა, რჩევას ისევ მასწავლებელს ჰკითხავდა და საქმეს მისი დახმარებით იადვილებდა. სწავლასთან ერთად უფრო ღრმად სწვდებოდა, ეცნობოდა მუშათა საერთო ხასიათს, სულს და ამ დაძაბულ შრომაში, სწავლაში, მეცადინეობაში დროც სწრაფად და შეუმჩნევლად გადიოდა.

ორიათასკაციან კოლექტივს — ერთ ყალიბში ვერ ჩატევ, ერთ ქუდს ვერ დაახურავ. ხასიათთა სხვადასხვაობა — ოჯახური პირობები, გარემო, საზრუნავი, ან ერთი რომელიმე გაუთვალისწინებელი შემთხვევა, რასაც უმეტესად ხასიათთა ეს სხვადასხვაობა იწვევს ხოლმე, საკმაო მიზეზია იმისაც, რომ კაცი ზოგჯერ კალაპოტიდან ამოვარდეს, თავისი განწყობა სხვასაც გადასდოს, გამოიწვიოს და საქმე საბოლოოდ უსიამოვნებამდე, დანაშაულამდე მიიყვანოს.

ფაბრიკაში იმ დღეს სწორედ ორი ასეთი შემთხვევა მოხდა: ჯერ იყო და, ზეინკალი გოგია — კუპრივით შავი, ჩოფურა და ფეხკოტიტა, შუახნის კაცი, დილიდანვე უზომოდ მთვრალი მოვიდა და ყველაფერი აურ-დაურია. ტექნიკოსმა ბიჭებმა ძალისძალად, ხვეწნით, მუდარითა და ერთი ვაივაგლახით გაიყვანეს საამქროდან და მექანიკური სახელოსნოს გასახდელში ფიცრის ძელსკამებზე დააწვინეს. მერე კიდევ, შესვენებაზე, ბრიგადის სულ ბოლო დაზგებზე მომუშავე ქალები წაეკიდნენ და ერთმანეთი თმებით დაითრიეს. ორივე ეს ამბავი დირექციის ყურამდე მივიდა და საფაბრიკო კომიტეტის მდივანმა სამუშაო დღის ბოლოსათვის ცვლის საერთო კრება დანიშნა.

კრებაზე მთელი ცვლა უკლებლივ მოვიდა, მოვიდნენ აგრეთვე საგრეხი და ავტომატური საამქროების მოწინავე მუშები, კომკავშირელები, ოსტატები, ქვეოსტატები და ბრიგადირ-მერგოლეურები; ხელმძღვანელებიდან ხომ, რაღა თქმა უნდა, არავინ დამკლებია. ამიტომ კრება დირექტორის კაბინეტში გადაიტანეს, სკამებიც ყველა ოთახიდან იქ გაზიდეს, მაგრამ დასაჯდომი ადგილები ყველას მაინც არ ეყო და ხალხის ერთი ნაწილი კარ-ფანჯრებისა და კედლების გასწვრივ ჩამოდგა.

გოგიას დათრობა პირველი შემთხვევა არ იყო, ხალხსაც და ხელმძღვანელებსაც თვალყური შეჩვეული ჰქონდათ და ეს ამბავი დიდად აღარავის აწუხებდა, არ აღელვებდა. მაგრამ აი, ქალების ჩხუბი კი — ერთმანეთის ლანძღვა-გინება სამუშაო ადგილზე — ფაბრიკისათვის არცთუ ჩვეულებრივი ამბავი იყო და ეს ამდენი ხალხიც სწორედ ამის გამო უფრო შეიკრიბა. მოჩხუბართა საქმის განსჯა-განხილვას უკლებლივ ყველა დაძაბული გულისყურითა და ცნობისწადილით მოელოდა. გარდა ამისა, — შუქია ამასაც ხედავდა — ეს უჩვეულო ამბავი ხალხში და, უფრო კი მუშა ქალებში, დიდ უკმაყოფილებას იწვევდა — სახეზე ყველას წყენა და სინანული ეხატა.

ხელმძღვანელების უმეტესობა, როგორც წესი, დირექტორის მაგიდასთან ისხდნენ. შუქია ამ დროისათვის სახით უკვე ყველას იც-

ნობდა. დირექტორი თავის ადგილას იჯდა და თავდახრილი ისევე იქექებოდა ქაღალდებში, როგორც მაშინ, შუქია პირველად რომ შემოვიდა ამ კაბინეტში. სახეც ისეთივე კუშტი ჰქონდა. დირექტორის მარცხნივ საფაბრიკო კომიტეტის მდივანი გოგო — ეთერი იჯდა. წინ მასაც გადაშლილი საქაღალდე ედო, მაგრამ შიგ არ იყურებოდა, ხალხს ათვალიერებდა და ოდნავ ფერმკრთალ, ხორბლისფერ, მოგრძო სახეზე დაბნეულობა და შინაგანი შეშფოთება ემჩნეოდა. მხარმარჯვნივ მთავარი ინჟინერი მიხეილი — გამხდარი, მაღალი ტანის, შავგვრემანი, მსხვილწარბებიანი შუახნის კაცი და მისი მოადგილე ალექსანდრე ისხდნენ. ალექსანდრეს ფაბრიკაში უფრო „საშა სქელის" სახელით იცნობდნენ. დაბალი იყო, კოტიტა, უზომოდ სქელი, ღიპიანი, ლოყებღაჟღაჟა და გემრიელი სმა-ჭამის დიდი ტრფიალი.

ალექსანდრეს შემდეგ იჯდა პარტიული კომიტეტის მდივანი, ნინო; შუქიასავით, ისიც ახალი მოსული იყო ფაბრიკაში, სტუდენტობის წლებში რაიკომში ემუშავნა და პარტიაშიც იქვე შესულიყო. როგორც უნარიანი, კეთილსინდისიერი მუშაკი რაიკომიდან პირდაპირ ფაბრიკის პარტიული კომიტეტის მდივნად დაეწინაურებინათ. მაგრამ თანამდებობას ჯერ კარგად შეგუებული არ იყო და თვალ-წარბზე, გამოხედვასა და საუბარშიც, ხმაშიც, ისევ ხელქვეითის მორჩილება და გაუბედაობა ემჩნეოდა.

კომკავშირის ორგანიზაციის მდივანი თინა, შუქიამ ფაბრიკაში მოსვლისთანავე რომ გაიცნო და დაუმეგობრდა, უფრო თამამი გოგო იყო. თავისთავისა სჯეროდა და დიდებთანაც და პატარებთანაც ერთნაირად ძალდაუტანებლად იქცეოდა. თუმცა ახლა ხელმძღვანელთა შორის არ იყო — ზედა კუთხეში, ტელევიზორის გვერდით იჯდა და ავტომატური საამქროს გოგოებს ელაპარაკებოდა. მათთანვე იყო კლუბის გამგე გივიც — უზომოდ უბედი და ენაკვიმატი. თავისას არც ახლა იშლიდა, წარამარა ჩაეჩრებოდა გოგოების ჩურჩულში და აცინებდა. გოგოები მუჯლუგუნებით იცილებდნენ, პირზე ხელებს იფარებდნენ და დარცხვენილები დირექტორის მაგიდისაკენ იყურებოდნენ.

კრება საფაბრიკო კომიტეტის მდივანმა ეთერმა გახსნა. როგორც წესი, ხალხს მოკლედ გააცნო შეკრების მიზეზი და სიტყვა დირექტორს მისცა. დირექტორმა საქაღალდე დაკეცა, სათვალე მოიხსნა, ხელები წინ, მაგიდაზე დააწყო და სანამ თვითონ რამეს იტყოდა, ჯერ დამნაშავეებს მიუბრუნდა, ახსნა-განმარტება მოსთხოვა:

— მოახსენონ კრებას, რატომ ჩაიდინეს ქალისა და, მით უფრო, მუშა-ქალისათვის ეს ყოვლად შეუფერებელი, სამარცხვინო საქციელი? რა მიზეზით? ადგნენ, თქვან.

მოჩხუბრები ერთიმეორესთან საკმაოდ დაშორებით ისხდნენ, ერთი მარჯვენა კედელთან იჯდა ,მეორე — მარცხენასთან, მაგრამ ისე კი, რომ ერთიმეორისათვის პირდაპირ ეცქირათ. თითქოს განგებ დამსხდარიყვნენ ასე, საზვერავ ადგილებზე, პირდაპირ, რომ ყოველ წუთსა და ყოველ წამს ერთმანეთი მხედველობის არეში ჰყოლოდათ; მარცხენა კედელთან მჯდომ შავგვრემან, პირმრგვალ და თმაშეკრეჭილ ქალს ქეთუნა ერქვა და გვარად მუმლაური იყო. მას გაჯავრება ჯერ კიდევ არ განელებოდა, მაგრამ დაკვირვებული თვალი მის სახეზე უთქმელ სირცხვილსა და სინანულსაც ამოიკითხავდა. მეორეს, მარჯვენა კედელთან რომ იჯდა, ყოვლად უმეტყველო, გამოფიტული სახე ჰქონდა. იგი ხნითაც დიდი ჩანდა, ორმოცდაათ წლისაზე ნაკლები არ იქნებოდა. გრძელი თმა წაბლისფრად ჰქონდა შეღებილი და ისე იყურებოდა, — მშვიდად, აუღელვებლად, თითქოს ეს ამდენი ხალხი მისი ცუდი საქციელის გამო არ იყო აქ შეკრებილი. დირექტორის ნათქვამიც, რომ ჯერ თვითონ დამნაშავეებს მოეხსენებინათ თავიანთი ჩხუბის მიზეზი, ასევე მშვიდად, გულგრილად მოისმინა. თუ პირველს, ქეთუნა მუმლაურს სახეზე სიწითლემ გადაჰკრა და ადგილზე დამდუღრულივით აწრიალდა, — აღარ იცოდა, დარბაზში მყოფთა თვალებს სად დამალვოდა, იმას სახეზე ერთი პაწია ნაკვთიც არ შერხევია, მხოლოდ ეგ იყო, თავი ოდნავ გვერდზე გადახარა და გამტკნარებული, ცივი მზერა ერთ წერტილს გაუშტერა.

ხალხში უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა და გრძელთმიანს ყველამ უკმაყოფილოდ შეხედა. დირექტორსაც გაჯავრება დაემჩნია — ქაღარაშერთული წარბები წინ წამოყარა და ნაწყენი მზერა ხან ერთს მიაპყრო, ხან — მეორეს, ბოლოს ისევ გრძელთმიანზე შეაჩერა. და, როგორც ნიადაგ სჩვეოდა, მოკლედ მკაფიოდ უთხრა:

— ფეტვიაშვილი, აბა გვითხარი, — რა იყო, როგორ იყო, ან რომელი ტყუოდით, — შენ თუ მუმლაური?

ორივენი დიდი ხნის მუშები იყვნენ და დირექტორი ორივეს უკვე გვარებითა და სახელებით იცნობდა. მართა ფეტვიაშვილი უწადინოდ, ზლაზვნით წამოდგა და თავის მოქიშპეს ტუჩაბზუებით გახედა.

— მე რა მაქვს სათქმელი? ადგეს და თვითონ თქვას, რად მომვარდა, რა უნდოდა? მე ჩემს დაზგასთან ვიდექი და ჩემს საქმეს ვაკეთებდი, — ისევ ყელშეღერებით დაჯდა და გამტკნარებული მზერა ისევ ერთ წერტილს გაუშტერა.

ხალხი უფრო დაიძაბა, გაყუჩდა, გაისუსა და აქა-იქ უკმაყოფილო ჩურჩულიც გაისმა. მარცხენა კედელთან მჯდომ ქალს სახე უფრო წამოუჭარხლდა და ფეტვიაშვილს ზიზღნარევ კილოზე გახძახა:

— მაშ არ იცი, რაც იყო და როგორ მოხდა? არ იცი, როგორ იქცეოდი მთელი ორი თვე, რას აკეთებდი? რატომ არ ამბობ, ჰა, რატომ?

— არ ვიცი, დიახ! — კვლავ აუჩქარებლად, აუღელვებლად გაეპასუხა ფეტვიაშვილი, იგი არ განძრეულა და არც ამოჩემებული წერტილისათვის მოუცილებია მზერა, — მე მხოლოდ ის ვიცი, რომ სამუშაო ადგილზე მომივარდი, მლანძღე, მაგინე და... ცემა დამიწყე. ჰო, აი ეს ვიცი!

— ჰო-და, რაზე მოგივარდი? რატომ?

— აბა, რა ვიცი, — მხრები აიჩეჩა ფეტვიაშვილმა, წარბები აზიდა და მოწინააღმდეგე აგდებულად აათვალ-ჩაათვალიერა — არაფრისათვის, ტყუილ-უბრალოდ. ალბათ, რაღაც მოგეჩვენა და მე როგორ გავიგო, კიდელი ნინო ხომ არა ვარ, ან ვარდუა მკითხავი? — გვერდზე გაიხედა და ირონიულად ჩაიცინა, — ჰმ, გიჟს ვინ რას გაუგებს!

მუმლაურმა ხალხი გამომწვევად მოათვალიერა, თითქოსდა, არ უყურებთ, როგორ თავხედობსო, და კბილებდახრჭენილმა ყელში გახირული ხმით გამოსცრა:

— უსინდისო ხარ... უსინდისო და მეტი არაფერი!

ახლა კი ფეტვიაშვილიც აიფოფრა, ნაძალადევი სიმშვიდე დაივიწყა და ნამდვილი სახე გამოაჩინა. — უსინდისო თავი გაბია... კიდევ უარესი, ჰო! — მიაძახა ადგილიდანვე, მაგრამ ამ ნათქვამმა ვერ დააკმაყოფილა, იმავ წამს ფეხზე წამოვარდა და სხაპასხუპით და ნიშნის მოგებით მიაყარა, — უსინდისოცა ხარ და უსირცხვილოც, სალახანა!.. ქუჩის ქალი... ჰო, აი ესა ხარ!

ვინ იცის, კიდევ რა ჭორს არ მოიგონებდნენ და ერთმანეთს რარიგად არ შეამკობდნენ, რომ დირექტორს არ დაეტუქსა და არ ჩაეჩუმებინა. უკანასკნელად ერთმანეთს ჯავრით შეხედეს და გაბუტულები თავთავიანთ ადგილებზე ჩამოსხდნენ. დირექტორმა თავის ქნევითა და ნელი ტკეპნით თქვა:

— აღარც სირცხვილი... აღარც მორიდება...

დირექტორს ხალხმაც მხარი აუბა:

— ბაზარი ხომ არ არის!

— რა წესია!

მოჩხუბარნი თვითონაც მიხვდნენ, რომ გადააჭარბეს, თავები ჩაღუნეს.

— არავინ არის ისეთი, რომ იცოდეს, რა მოხდა და რიგიანად გაგვაგებინოს? — იკითხა დირექტორმა, — ხომ ხედავთ, ამათთან ლაპარაკი არ შეიძლება...

— მართლაც და, რომელი ტყუის, ღეიდა გაია? — ჰკითხა შუქიამ გაიანეს ჩურჩულით. შუქია და გაიანე, როგორც ყველგან და ყოველთვის, აქაც გვერდ-გვერდ ისხდნენ, მაგიდის გასწვრივ, ფანჯრის ძირას, და ორივე მოჩხუბარს პირდაპირ სახეში უყურებდნენ.

— ორივენი თანაბრად ტყუიან, — ჩვეული, პირდაპირი უშუალობით თქვა გაიანემ.

დირექტორმა რამდენსამე წუთს იუცადა, — აცალა და რაკი არავინ გამოეპასუხა, მატრონა მოიკითხა:

— რატომ არა ჩანს? არ არის აქა?

— აქა ვარ, ბატონო შალვა, — გაისმა მატრონას ხორხისმიერი, ოდნავ უხეში ხმა და კარებთან ჩამომდგარ მუშებში თვითონაც გამოჩნდა. იგი გარეთ მდგარიყო, ხალხში გვერდულად გამოძვრა, სკამებს შუა გამოიარა და მაგიდის პირდაპირ ჩამოდგა, — აი, აქა ვარ!

— მერე, რას იმალები? — უთხრა დირექტორმა, — რატომ შიგნით არ შემოდიხარ?

— მრცხვენია, ბატონო შალვა, და იმიტომ, — გულწრფელად აღიარა მატრონამ, — ჩემს ცვლაში, საამქროში, ფაბრიკაში... ისეთი რაღაც მოხდა, რომ... ღმერთო ჩემო...

— მაინც რატომ მოხდა? — ხმა შეარბილა დირექტორმა.

მატრონამ ხელები გაშალა.

— აი, მეც არ ვიცი, ბატონო შალვა... შესვენებაზე, ხომ იცით, საამქროში როგორი ხმაურია. მე საამქროს მეორე თავში ვიყავი, ხოლო როცა შემთხვევის ადგილზე მივედი, ყველაფერი უკვე დამთავრებული იყო... და აი, ჩემდასამარცხვინოდ, მეც ახლა უნდა გავიგო.

— ბრიგადირი მაინც არ იყო იქა? — იკითხა დირექტორმა.

— იქ ვიყავი, როგორ არა, — შუა რიგებიდან ხნიერი, ტანდაბალი, შეშუპებულსახიანი მანდილოსანი წამოდგა, კრებას დამნაშავესავით გადახედა, მერე თავი დახარა და თავისთვის ჩაილაპარაკა, — იქ კი ვიყავი, მაგრამ რა ვუშველე... ცუდი და სამრცხვინო მაინც მოხდა.

— ჰოდა, რატომ მოხდა-მეთქი? — ხმადაბლა, თავშეკავებით ჰკითხა დირექტორმა, სკამზე შესწორდა, ცალ იდაყვზე დაეყრდნო და პირდაპირ მიაშტერდა.

— აბა რა ვიცი, რას გაიგებ... — ქალმა მხრები აიჩეჩა, ისევ დახარა თავი და ენის ბორძიკით განაგრძო, — ჰო... როგორ არა, ვამჩნევდი, რომ ეს ერთი ხანია, რაღაცაზე კინკლაობდნენ. კარგად არც მე ვიცი, რაღაც... განა არ იცით, ქალების ჭორი, მითხარ-გითხარ... ერთი იმას იტყვის, მეორე — ამას და... მე ვუშლიდი, ვაფრთხილებდი, ვარიგებდი, არ მინდოდა, უფროსების ყურამდე... თქვენამდე მოსულიყო... ჰოდა, დადექით-მეთქი, სირცხვილია-მეთქი...

დირექტორს მოთმინება გაუწყდა და სკამზე ნერვიულად შეიშმუშნა, მაგრამ სანამ რამეს იტყოდა, მუმლაური თვითონვე წამოდგა:

— მე გეტყვით, ბატონო შალვა, თუ ნებას დამრთავთ, რაკი თვითონ არ უნდა, რომ თქვას, რატომ მიმიყვანა ამ ზომამდე, მე ვიტყვი, ყველაფერს ვიტყვი, რაც მოხდა და... თქვენ თვითონ განსაჯეთ. — ღრმად ამოისუნთქა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრებას მონანიე თვალით გადახედა, — არ მინდოდა ყველაფრის ასე საჯაროდ, სახალხოდ თქმა, მაგრამ... — ისევ ფეტვიაშვილს გადახედა, — ამისი გოგოს გულისათვისვე არ მინდოდა, ანგელოზივით ბავშვი ჰყავს, თვითონ არ ვარგა, თორემ... ჰო, ეს ამბავი დაახლოებით ამ ორიოდე თვის წინ დაიწყო, უფრო სწორედ, მიზეზი ჩვენი ჩხუბისა მაშინ დასრულდა, მერე ამან აღარ გაათავა, თორემ...

— აი, საიდანაც ის მიზეზი დაიწყო, შენც იქიდან დაიწყე, — შეაწყვეტინა მთავარმა ინჟინერმა და დირექტორს შეეკითხა, — ასე, არა, ბატონო შალვა?

დირექტორმა თავი დაუქნია.

მუმლაურმა დაიწყო და აი რა გამოირკვა:

მექანიკურ სახელოსნოში ერთ ახლად მიღებულ, საშუალო სკოლადამთავრებულ ბიჭს ფეტვიაშვილის გოგოსთან სამიჯნურო ურთიერთობა გაუბამს.

— ეგ რომელი იყო, — ჰკითხა ალექსანდრემ, — რომ გავაგდეთ, ისა?

— ჰო, სწორედ ის... — ჰოდა... ასე ყოფილა ერთხანს, — საქმე კინაღამ ნიშნობამდე მისულა, მაგრამ ბიჭს უცბად გული აუყრია. მიზეზი გულაცრუებისა კი ისა ყოფილა, რომ ჩემი გამკვანძველი გოგო გაუცვნია და ახლა ის მოსწონებია. მე მაშინვე მივხვდი, რა თქმა უნდა, წარამარა შემოვარდებოდა და აეტუზებოდა, ეჩურჩულებოდა... თუ ვისთან რა საქმე ჰქონდა წინათ, ამის შესახებ არც მე და არც ჩემმა მკვანძველმა არაფერი არ ვიცოდით. ღმერთმა ხომ იცის, რომ არ ვიცოდით...

— ისე შენ იხარე, რაც ახლა მართალს ამბობ, — ჩაურთო ფეტვიაშვილმა.

— ჩემი გამკვანძველი საკმაოდ ჭკვიანი გოგოა, — განაგრძო მუმლაურმა, — თორემ აი, იციან, იცნობენ, — გადახედა თავის გვერდით მდგომ მუშა ქალებს, — მეორე დღიდანვე მოიწყვიტა თავიდან, ღლაბუცი შეატყო და არ აჰყვა... აი, ეს იყო სულ.

— კი, მაგრამ, მუმლაურო, — ალექსანდრემ თვალები მოჭუტა და ცერად გახედა, — თუ მართლა ეგრე იყო, როგორც შენ ამბობ და ასეთი მამა აბრამის ბატკანი ხარ, მაშინ, ფეტვიაშვილს რაღა უნდოდა, რას გერჩოდა?

— აბა რა ვიცი... ვითომ ყველაფერი ეს ჩემი მიზეზით მოხდა... რატომ ასჯერ არ ვუთხარი, ქალო, მე არაფერ შუაში ვარ და ჩამომეხსენი-მეთქი, მაგრამ ეს სულ უარესს და უარესს შვრებოდა. მეც რა მექნა? ერთხელ, ორჯერ, სამჯერ, ათჯერ და... ველარც მე მოვითმინე.

— კმარა! — თქვა დირექტორმა გაჯავრებით და წამოდგა, მელოტ თავზე ხელი გადაისვა, ხალხს გახედა და თავშეკავებით ჩაილაპარაკა, — მე მგონი, ამხანაგებო, ყველაფერი გასაგებია...

— კი, კი, გასაგებია... ნათელია, ცხადია!

— ოღონდაც!

— რა თქმა უნდა!

— რასაკვირველია! — გაისმა აქეთ-იქიდან მოუთმენელი წამოძახილები.

— მაშასადამე, გასაგებია, — გაიმეორა დირექტორმა მოჭრით და განაგრძო, — ერთმა გამოიწვია, მეორე მიუვარდა, გალანძღეს ერთმანეთი, გათათხეს და... ერთი სიტყვით, საქმე გვაქვს ხულიგნობასთან... — ეს სიტყვა დირექტორმა ხაზგასმით წარმოსთქვა და აუდიტორიას უფრო დაძაბულად დააშტერდა. — დიახ, ამხანაგებო, — განაგრძო წამიერი დუმილის შემდეგ, — ეს შემთხვევა სრულიად საგანგებოა ჩვენი ფაბრიკისათვის, უცხო და შეუფერებელი რაღაც არის. და ეს ძალიან ცუდია, საწყენია, სათაკილოა.

შუქიამ შეამჩნია: დირექტორს ხმაში თანდათან გულისტკივილი დაეტყო; მან ღრმად ამოისუნთქა, ორივე ხელით მაგიდას დაეყრდნო, თავი უკან გადაიგდო და სამდურავიანი მზერა ერთ წერტილს გაუშტერა. დიდხანს იდგა ასე მაგიდაზე ხელებდაყრდნობილი და ჩაფიქრებული, სახე ახლაც, როგორც მაშინ, პირველნახვისას, წამით-წამს ეცვლებოდა და მოღუშულ თვალ-წარბზე დროდადრო, წყენისა და უკმაყოფილების მსუბუქი ჩრდილი გადაჰკრავდა.

— როდიდან გაჩნდა ჩვენს ფაბრიკაში ეს სიმახინჯე — შური, ეჭვი, უნდობლობა, საიდან მოვიდა, რამ გააჩინა ან როგორ შემოგვეპარა? — იკითხა ბოლოს დირექტორმა და ვრცლად ალაპარაკა ფაბრიკის წარსულზე, მუშათა ურთიერთობაზე, ურთიერთისადმი ყურადღებაზე, მზრუნველობაზე, გულისხმიერებაზე, გაიხსენა ომის მძიმე წლები — როგორ ედგნენ ერთმანეთს მხარში მაშინ მუშები, როგორ იყოფდნენ ერთიმეორის გასაჭირს, რამდენი დარდი, ცრემლი, წუხილი, გლოვა გადაატანინეს ერთმანეთს, და გულისტკივილით აღნიშნა, რომ ეს საყოველთაო, ქვეყნის მასშტაბის მუშური ჩვეულება დღეს, დღევანდელ მუშებში, ფაბრიკაში, აღარ ჩანს, ველარ ვხედავთ...

— რაშია საქმე, ამხანაგებო, — ხმას აუწია დირექტორმა, — რატომ დავკარგეთ ეს კარგი, ლამაზი, მდიდარი ტრადიცია? რატომ ავიღეთ ხელი ყველაფერზე? იქნებ იმან იქონია გავლენა, რომ რესპუბლიკაში დღემდე ბევრი უწესობა ხდებოდა? ვინ იცის, ნათქვამია, თევზი თავიდან ყროლდებაო, ხოლო სიმართლეს — სინდისს, პატიოსნებას ისე არაფერი ანადგურებს, როგორც დაუნახაობა და დაუფასებლობა.. მაგრამ მადლობა ღმერთს, დღეს ის აღარ არის, რაც გუშინ იყო. საზოგადოებრივ დისციპლინის ყოველგვარი დარღვევა, უმცირესიც კი, დღეს მკაცრად ისჯება და ეს ძალიან კარგია, სწორია, სამართლიანია. რა თქმა უნდა, ასევე უნდა მოვიქცეთ ჩვენც, მაგრამ ჩვენ

მარტო ამით ვერ დავკმაყოფილდებით. ეს შემთხვევა კანონისათვის შიშველი დანაშაულია და სასჯელიც შეფარდებული აქვს, ჩვენთვის კი, ფაბრიკისათვის, იგი უფრო მეტი რაღაც არის... სამარცხვინოა, სათაკილოა, თავლაფდასხმაა. დიახ, ამხანაგებო, ეს ასეა, მაგრამ სანამ რამეს გადავწყვეტდეთ, მე მინდა, ჯერ თვითონ მუშებს მოვუსმინოთ. — რას იტყვიან, რა აზრისანი არიან?

მუშებში უცნაური დუმილი ჩამოვარდა, თავი ყველამ ისე დაიჭირა, თითქოს ეს შეკითხვა მათ სულაც არ ეხებოდათ. გულგრილ, გამტკნარებულ სახეზე არცერთს არავითარი ცვლილება არ დაჩნევია.

— რატომ დუმხართ, ამხანაგებო, დავიჯერო, არავის არაფერი გაქვთ სათქმელი? — გამამხნევებლად მიმართა დირექტორმა, — ეს ხომ უფრო თქვენი საქმეა, ვინემ ჩვენი! ადექით, თქვით, ნურც ჩვენ მოგვერიდებით, ნურც ერთმანეთს. სიმართლე უფროს-უმცროსობას კი არ უშლის, პირიქით, საქმიანი კეთილდამოკიდებულების ერთადერთი საწინდარია — სიმართლე უანგარო, პირდაპირი, პირუთვნელი, გულიდან მომდინარი... მაშ, ვთქვათ, ამხანაგებო, სიმართლე, ვთქვათ მოურიდებლად, უანგაროდ, რომ საქმესთანაც და ერთმანეთთანაც პირნათელნი ვიყოთ!

ხალხი შეტოკდა, შეირხა, შეიშმუშნა, ბევრმა ერთმანეთს გადახედა და აქა-იქ ჩურჩულიც გაისმა. აშკარად დაეტყო, დირექტორის ნათქვამი ყველას მოეწონა და თქმის სურვილიც გაუჩნდათ.

— მაინც ვერ ბედავთ თქმას განა?.. ჰეჰე, — დირექტორმა მელოტი, ქალარა თავი სინანულით ჩაიქნია, — ხედავთ, ამხანაგებო, სადამდე მივედით: პაწია სიმართლეც ველარ გვითქვამს ერთმანეთისათვის... ცუდია, ძალიან ცუდია. — და მთავარ ინჟინერს გადახედა, — რას იტყვით.

მიხეილი სათქმელად მოემზადა — სკამი უკან გასწია და წამოდგომა დააპირა, მაგრამ სანამ ადგებოდა, სიტყვა ხანში შესულმა მუშა ქალმა ითხოვა.

იგი ნელა, აუჩქარებლად წამოდგა, წელში გასწორდა, თავი მაღლა ასწია, ხელები ძირს ჩამოუშვა და შეკრებილნი მშვიდი, მეტყველი მზერით ჩამოათვალიერა. ტანმაღალი, გამხდარი, მხრებგამართული დედაკაცი იყო. შუქია სახით ამ ქალსაც კარგად იცნობდა, მართალია, მომიჯნედ არ იდგნენ, — იგი სადღაც საამქროს ბოლო სექციაში ამომხვევად მუშაობდა, მაგრამ შესვენებებზე ან სამუშაოს დაწყებადამთავრებისას საამქროში გავლილს თითქმის ყოველდღე ხედავდა. მიუხედავად ხანდაზმულობისა, შესვენებებზე დაზგებშორის მუდამ წელგამართული, ზომიერი, მტკიცე ნაბიჯით გაივლიდა, და ეს შუქიას ძალიან მოსწონდა, მოსწონდა აგრეთვე, მისი სიტყვაძვირობა და გაუცინარობა. უბრალოდაც რომ გამოელაპარაკებოდა ვინმე, უსათუოდ შეჩერდებოდა, ყურადღებით მოუსმენდა და პასუხსაც ასეთივე დინჯად, მოკლედ და აუჩქარებლად გასცემდა.

მანდილოსანს, ეტყობოდა, ლაპარაკი უჭირდა, მით უფრო, რომ საქმე მის თანამოსაქმეებს, მასავით მუშებს, მუშა-ქალებს შეეხებოდა და კარგსა და გასახაროს კი ვერაფერს იტყოდა. ამიტომ პირველ სიტყვაზევე ენა დაება და ხმა გაუწყდა.

— ძნელია, რა თქმა უნდა... — თქვა ბოლოს და ღრმად ამოისუნთქა, — მეტად ძნელია, როცა... სულერთია, რომელ თითს მოიჭრი, ყველა ერთნაირად გეტკინება, მაგრამ... მოსაჭრელი მაინც უნდა მოიჭრასო, ნათქვამია.

ისევ გაუწყდა სიტყვა და რამდენსამე წამს გაჩუმებული იდგა, თითქოს იმას ფიქრობდა, ვთქვა ბოლომდე, რაც გულში მაქვს, თუ არაო, და თავდახრილი ძირს იყურებოდა. ბოლოს მღელვარება დაიცხრო, გამბედაობა მოიკრიბა და თავი ასწია, თუმცა ლაპარაკი კვლავ ბორძიკ-ბორძიკით განაგრძო:

— აქ არ დავბადებულვართ, ფაბრიკაში, თორემ გაზრდით აქ გავიზარდენით, ვიცხოვრეთ, დავბერდით... აი, ბატონო შალვა, უწვერულვაში ბიჭი მოვიდა, თვითონ მეც გოგონა ვიყავი, ასეთები სხვებიც ბევრი გვყავს... ჰოდა, გვახსოვს, ყველაფერი გვახსოვს, ავიც და კარგიც... ომამდე გვქონდა ასეთი შემთხვევები, და ის არც გასაკვირი იყო, იმიტომ რომ, მაშინ ჯერ ახლად ვიწყებდით და ბევრი რამ ჩვენ თვითონაც არ გვესმოდა, არ ვიცოდით. ომის შემდეგ კი, მგონი აღარ მომხდარა, — ჩაფიქრდა და მტკიცედ გაიმეორა, — არა, აღარ მომხდარა! და აი ახლა მოხდა.... ჰო, ცუდია, რასაკვირველია, ძალიან ცუდია... მართას და ეუფუნას ყველა ვიცნობთ, ცოტა დრო ხომ არ არის, ალბათ, ოცი წელი მაინც იქნება, რაც აქ, ჩვენთან, ფაბრიკაში არიან, ჩვენთან მუშაობენ და არც ცუდი მუშები არიან... ოცი წელი! ამ ხნის მანძილზე ხელში ნაჭერი უბრალო ნივთიც კი დაგენანება გადასაგდებად და ადამიანი ხომ — რაღა თქმა უნდა, შენს გვერდით მდგომი, თანამოსაქმე, ვისთანაც ჭირიც გინახავს და ლხინიც გაგიყვია, გაგიზიარებია... ოლონდაც, კარგია პატიება, შებრალება, შეწყნარება, — გულს გიამებს, მაგრამ უბედურება ის არის, რომ ცუდი, უხამსი, მახინჯი, სულერთია, საქციელი იქნება იგი, თუ სიტყვა, მოარულ სახადსა ჰგავს და თუ დასაწყისშივე არ განკურნე, არ ამოკვეთე, ამოძირკვე სულ მალე სხვასაც გადაედება. თუ ერთს აპატიებ, მეორეს და მეხუთეს რაღა დააშავა? და რა მოჰყვება საბოლოოდ? ჰო, ეს არის უბედურება. და ეს რომ არ მოხდეს — პირდაპირ ვიტყვი! — უნდა დაისაჯნენ... ორივენი უნდა დაისაჯნენ!

— ხწორია!

— მართალია!

— ორივენი უნდა დავსაჯოთ!

გაისმა კვლავ ხალხში თანხმობისა და მოწონების წამოძახილები, ხოლო დედაკაცს ამის თქმისას სახეზე უზომო მწუხარება აღებეჯდა — წარბები უსიამოდ მოექმუხნა, ხელები უხერხულად აამოძრავა — ხან თალხი თავსაფარი გაისწორა, ხან კაბის კალთები ჩამოიქაჩა, ბოლოს ათრთოლებული თითები ერთმანეთს ლონივრად ჩააწნა და მხრებჩამოყრილმა თვალებიც ისევ ძირს დახარა.

— შენ თვითონ რას გვირჩევდი? — მოგვიანებით ჰკითხა დირექტორმა.

დედაკაცი ამ კითხვას არ მოელოდა და უცბად, მთელი ტანით შეტოკდა, მაგრამ მალევე სძლია თავს, დირექტორის მომლოდინე მზერას თვალი გაუსწორა და წელანდელი მტკიცე ხმით წარმოთქვა:

— ომამდე ასეთი საქციელის გამო პასუხისგებაში ვაძლევდით. ახლა ასეთი სიმკაცრე საჭირო აღარ არის. განთავისუფლება ვაკმაროთ.

ხალხში ხმა აღარავის ამოუღია — ეს თანხმობის ნიშანი იყო, — მაგრამ დირექტორმა მაინც იკითხა:

— სხვა წინადადება ხომ არავისა გაქვთ?

— არა!

— მაშ, ყველა ეთანხმებით?

— ყველა!

დირექტორმა გვერდით მსხდომებს გადახედა:

— მე მგონი, საკმარისია, ამხანაგებო?

მიხეილმა, ეთერმა და ყველამ თავები დაუქნიეს.

— მაშ, დავამთავროთ, ამხანაგებო, და შევიტანოთ ოქმში, რომ საფაბრიკო კომიტეტმა გამოიტანოს დადგენილება, მუმლაურისა და ფეტვიაშვილის სამუშაოდან განთავისუფლების თაობაზე და ამის საფუძველზე დაიწეროს ბრძანება. დირექციის ბრძანება გაეცნოს ყველა საამქროს, სახელოსნოს, ლაბორატორიებს, ხოლო ასლები გამოიკრას თვალსაჩინო ადგილებში.

დირექტორის ამ ბოლო წინადადებაზე ხალხი ისევ გაყუჩდა, დაიძაბა, გაილურსა, მუმლაურისა და ფეტვიაშვილისაგან ყველა უჩვეულო რაღაცას მოელოდა, ან, უფრო სწორედ, სრულიად ჩვეულებრივ — ყვირილს, ლანძღვაგინებას, თავის მართლებას, მუდარას, ტირილს და ასე შემდეგ, მაგრამ მოლოდინის საწინააღმდეგოდ, არაფერი ამის მსგავსი არ მომხდარა. მუმლაური და ფეტვიაშვილი უხმოდ წამოდგნენ და კარებშიც ასევე უხმოდ და მორჩილად გავიდნენ. ვერავინ გაიგო, სასჯელის სამართლიანობა ირწმუნეს, თუ ხანშიშესულ მუშა ქალსა და დირექტორს ვერაფერი შეჰკადრეს; ეს კი იყო, თუ ერთი წუთის წინ თვითონვე მოითხოვდნენ დასჯას, ახლა ყველამ რაღაც უხერხულობა იგრძნო, ხალხი თითქოს საკუთარმა მსჯავრმა შეაკრთო, შეაშინა; თავიანთი მოკვეთილი ამხანაგები მონანიე მზერით გააცილეს.

ის იყო, მორიგ საკითხზე უნდა გადასულიყვნენ, რომ ამ დროს პარტიული კომიტეტის მდივანი — ნინო წამოდგა და სახეშეფაკლულმა მორცხვი ხმით სიტყვის უფლება ითხოვა.

— იცით, რა? — წამოიძახა ხმამაღლა და გაჩუმდა, — მიხვდა, რომ ისე არ დაიწყო, როგორც საჭირო იყო და უფრო დაიმორცხვა: რამდენსამე წამს დაბნეული იდგა. მერე ძალა მოიკრიბა და განაგრძო:

— დამნაშავენი დავსაჯეთ, გავანთავისუფლეთ, — ეს სწორია. სამართლიანია... ჰო... მაგრამ ამ ამბავს ერთი სხვა მხარეცა აქვს. ახლა კაკითხოთ, რა ვუყოთ იმ ორ მუშას, რომლებიც სამუდამოდ მოვწყვიტეთ, ჩამოვაშორეთ ფაბრიკას, საქმეს, შეჩვეულ წრეს, გარემოს და, მაშასადამე, მოვწყვიტეთ ცხოვრების სახსარს. დიახ, დიახ, ცხოვრების სახსარს, ლუკმა პურს!.. აი, რა არის ყველაზე მძიმე. ეს თქვენ ყველამ იგრძენით. გამოგიტყდებით და, თვითონ მეც გული დამეთუთქა, დამეთანაღრა, რატომ? არ ვიცი. მათს დანაშაულში იქნება ჩვენც რაღაც წილი გვიდევს? იქნებ ჩვენც დამნაშავენი ვართ? აი, თუნდაც მე, მართალია, ახალი მოსული ვარ, მაგრამ იმდენი დრო კია, რაც აქ, ფაბრიკაში ვტრიალებ, თქვენ შორის ვიმყოფები, რომ ასეთი უცხო, საგანგებო შემთხვევა გამეგო, შემენიშნა, დამენახა... არა, ამხანაგებო, მარტო დამნაშავეთა დასჯა ჩვენ ვერ გაგვამართლებს. ჩანს, ჩვენც რაღაც გვაკლია, ისე კარგა ვართ, როგორც უნდა ვიყოთ...

რუსთაველის ქუჩაზე ტრაქტორების საზიდარმა გაიარა და კაბინეტის ფანჯრებს ზრიალი დააწყებინა. ნინომ ამით ისარგებლა, სული მოითქვა და როცა ხმაური მიწყნარდა, ისევ თავის ირგვლივ მსხდომებს გადახედა.

— მართალი ბრძანა წელან ბატონმა შალვამ: — რაკი ზემოთ ზოგ-ზოგმა ყველაფერზე ხელი ჩაიქნია, ჩვენც პასუხისმგებლობის გრძნობა დავკარგეთ, გულგრილნი გავხდით, დაგვავიწყდა, რომ ადამიანს აქვს ლხენა, წუხილი, სურვილი, წადილი, ოცნება, მოკლედ, აქვს გული. ჩვენ კი, ჩვენდა სამწუხაროდ, სწორედ ეს დავივიწყეთ. გული დავივიწყეთ, დავშორდით, დავცილდით, გადავეჩვიეთ...

ისევ მოითქვა სული და განაგრძო:

— რაოდენ მართალი იყო ჩვენი დიდი ბელადი ლენინი, ხელმძღვანელის უპირველეს ღირსებად და მოვალეობად გულისხმიერებასა და ყურადღებიანობას რომ მიიჩნევდა. და განა პარტია კი ახლაც სულ იმას არ გვასწავლის, გვირჩევს, გვავალებს, რომ ადამიანებთან, უბრალო, მშრომელ ადამიანებთან უფრო ახლოს ვიდგეთ, უფრო ყურადღებიანნი ვიყოთ, შემბრალენი, შემწყნარებელნი, რომ დროზე გავუ-

გოთ გულის ყველა საწუხარი, მარცხი, შეცდომა, გასაჭირი, მივუხვდეთ, გავიზიაროთ, ნუგეში ვცეთ, რათა მათი შრომა მარტოოდენ მოვალეობა არ იყოს... კომუნიზმი, პირველ ყოვლისა, ადამიანზე, მის სიკეთეზე ზრუნვა არ არის? დიახ, ამხანაგებო, სწორედ ეს არის ყველაზე მთავარი... ჩვენი დიდი მიზანიც ხომ ეს არის?

საუბარში თანდათან გაიმართა, გაიწაფა, სიმორცხვე, უხერხულობა საბოლოოდ დასძლია და სათქმელი და თქმის კილო ერთმანეთს შეუხამა. მუშებიც დაძაბვითა და გულისყურით უსმენდნენ. მის ნათქვამში ბევრი ისეთი რაღაც მოისმინეს — სათავისო, საჭირო, გამამხნევებელი და კარგი, რაც დიდი ხანი იყო, აღარ გაეგონათ. ასევე მოეწონათ მისი პირდაპირობა, გულწრფელობა და გულახდილობა. აშკარად ჩანდა, მხოლოდ იმას ამბობდა, რასაც გულით გრძნობდა, გული კარნახობდა და ნათქვამსაც მათთან ერთად განიცდიდა.

— აი, ქალი და სიტყვა, მართალი სიტყვა! — ისმოდა ჩურჩული.

— და აი, მე მინდა, ამხანაგებო, რომ ჩვენი ფაბრიკა, კოლექტივი, სწორედ ასეთი იყოს, — დაამთავრა ტკბილი, მოალერსე ხმით. — ასეთი მზრუნველი, გულმიცემული, როგორც ერთი წმინდა, მოსიყვარულე ოჯახი... ამას თვითონ ჩვენი ცხოვრება თხოულობს, ჩვენი სოციალისტური ყოფა, და ცხოვრება კი ისეთი უჭიათი რამ არის, რომ ოთარაანთ ქვრივისა არ იყოს, თუ თვალი მოუხუჭე, ჩამორჩი, ისე გაგთელავს, როგორც დიდოელი ლეკი ნაბადსა... და როცა ყველაფერ ამას მივაღწევთ, როცა ყველა უძველეს თუ უახლეს გადმონაშთს და სიმახინჯეს დავძლევთ, როცა ერთმანეთს გავუგებთ, გავენდობით, მაშინ, დამიჯერეთ, ჩვენს ფაბრიკაში ასეთი სათაკილო შემთხვევა აღარ მოხდება და გულსატკენი და დასანანებელი აღარც თქვენ რამე გექნებათ.

დარბაზში ტაშმა იგრიალა. ნინო შეცბა და ღარცხვენილმა მიმოიხედა. დირექტორმა ხელი ასწია, ტაში ჩააჩუმა და გაჯავრებით ჩაილაპარაკა:

— რა საჭიროა... ყველაფერზე ტაშის დაკვრამ, ხომ ხედავთ, ტაშდასაკრავი ბევრი არაფერი დაგვიტოვა, — და კრების თავმჯდომარეს მორიგი საკითხი შეახსენა.

მორიგი საკითხი — გოგია ზეინკლის საქმე იყო. ამ საკითხის გატანა მთავარ ინჟინერს ჰქონდა დავალებული, მაგრამ მიხეილმა თავის მოადგილეს ალექსანდრეს სთხოვა, ჯერ ერთი იმიტომ, რომ გოგიაზე ლაპარაკი მობეზრებული ჰქონდა და მეორეც, ტექნიკური უსაფრთხოების დაცვა, როგორც საამქროს უფროსს, წესით ალექსანდრეს ევალებოდა. და, მაშასადამე, საკითხიც უფრო მას შეეხებოდა.

— აბა რაღა ვთქვა, — ალექსანდრე წამოდგა და სკამსა და მაგიდას შუა გაჭირვებით გაიმართა, მხრები უიმედოდ აიჩეჩა, — რაღა დარჩა სათქმელი, მაგრამ რა გამოვიდა? საშველი არა და არ დაადგა...

— თვითონ სად არის, თვითონ? — იკითხა გაჯავრებით დირექტორმა და სათვალე მოიხსნა.

— აქ არის, აქა! დაიძახეს ზედა კუთხიდან, გაიწ-გამოიწიეს და ხალხის ზურგს ამოფარებული, ფანჯრის ძირას კუთხეში ჩაცუცქული გოგია გამოაჩინეს. გაჭირვებით წამოდგა და გამხდარი მხრები და მკლავები წინ წამოყარა, შეშუპებული სახის კანი მჭვარტლისაგან ისე გაშავებოდა, რომ ვერ გამოიცნობდი, თავდაპირველად როგორი სახე ჰქონდა — შავგვრემანი, მწითური, ქერა, თუ ხორბლისფერი. აშკარად ეტყობოდა, სასმელი ჯერ მთლიანად არ გამონელებოდა, — თვალის ძირები ჩამუქებული ჰქონდა, დაბერილი, წამოსიებული და სწორი, გამართული დგომაც უჭირდა; ამას თვითონაც გრძნობდა და ბევრსაც ცდილობდა, რომ არ დამჩნეოდა, მაგრამ ვერ ახერხებდა და წინ და უკან ირხეოდა.

გოგიას გასაჭირზე ხალხი ჩუმჩუმად იღიმებოდა. თვითონ ალექსანდრესაც მოერია ღიმილი, მაგრამ არ დაიმჩნია, რადგან იგი, გოგია, უფრო შესაბრალისი იყო, ვიდრე სასაცილო. თავი ღრმა სინანულით გადაიქნია და შეწყვეტილ სიტყვას დაუბრუნდა:

— ჰო, ასე... რაღა არ ვრდონეთ და ვცადეთ, სამუშაოც ბევრჯერ შევუცვალეთ, ერთხელ მესარბანდედაც კი ჩამოვაქვეითეთ, დავტუქსეთ კიდეც, გავკიცხეთ, დავემუქრეთ, არც დარიგება, თხოვნა და ტკბილი სიტყვა დაგვიკლია: ბიჭო, აქ ნუ დალევ, და ისე, თავისუფალ დროს, თუ გინდა, მუცელი ჩაიხეთქემეთქი. მაგრამ აი, როგორც ხედავთ, კვლავ იგივე გამეორდა.

— გამეორდა კი არა, გამეასდა! — დაიძახა გივიმ ზედა კუთხიდან და ხალხმაც უმალ მხარი აუბა:

— განმეორებას რა უჭირდა!

— ჰო, ვინ დაემდურებოდა!

„საშა სქელმა“ ხალხს აცალა და განაგრძო:

— სასმელს ვინ არ სვამს, მეცა ვსვამ, სხვებიც მინახავს, მაგრამ ასეთი სულწასულობა, სიწუწკე... არ ვიცი, არ გამიგია...

— გავანთავისუფლოთ, — ჩაურთო დირექტორმა, — რაკი არაფერი სჭრის, მეტი რა გზა გვაქვს, — უნდა გავანთავისუფლოთ.

— ესეც ხომ ვცადეთ, ბატონო შალვა, — მოაგონა ალექსანდრემ, — ორჯერ ვცადეთ, აი ამხანაგმა მიხეილმა იცის, მაგრამ...

— მაგრამ რა, რაღად დააბრუნეთ? — იკითხა დირექტორმა.

— შეგვეცოდა, ბატონო შალვა, — არა, თვითონ ეს კი არა, უფრო სწორედ, ამისი მეუღლე შეგვეცოდა, ორჯერვე ტირილით მოვიდა... მართლაცდა, რა უნდა ქნას საბრალო

ქალმა? ოთხი ბავშვი ჰყავს და სული ამისი ხელფასით უდგას. აქედანაც რომ გავაგდოთ, ამას სამუშაოზე არავინ მიიღებს და რა ეშველება ამის ოჯახს, ცოლს, ბავშვებს? გარდა ამისა, თვითონაც უარესად გაუბედურდება, მთლად გალოთდება... ჰოდა, აღარ ვიცით, რა ვქნათ, რა მოვუხერხოთ... აი, ხალხი ხართ, უველა აქა ვართ, ვიმსჯელოთ, განვსაჯოთ და... რასაც გადაწყვეტთ...

ამ დროს კარებთან ჩამომდგარ მუშებში რაღაც ჩოჩქოლი ატუდა. კარებში ფეტვიაშვილი გამოჩნდა და შემოსვლის ნებართვა ითხოვა. ქალებმა გზა უტიეს. ფეტვიაშვილს მუმლაურიც უკან მოჰყვა და როცა დირექტორმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია, ორივენი შემოვიდნენ. მორიდებით გამოიარეს მუშებს შორის და თავდახრილები, მაგიდის პირდაპირ, გვერდი-გვერდ ჩამოდგნენ.

მათს შემოსვლას აღარავინ მოელოდა და ხალხი გაკვირვებითა და ერთნაირად დაძაბული ცნობისმოყვარეობით მიაშტერდა: რისთვის შემოვიდნენ? რაღა უნდათ? რა უნდა თქვან? ხოლო რაღაცის თქმას რომ აპირებდნენ, ამას უველა ხედავდა — აჩქარებით სუნთქავდნენ, თვალებს დარცხვენით და მოუსვენრად აცეცებდნენ, ხელებს იმტვრევდნენ და ქარდაკრული ჯოურებივით ირხეოდნენ, მაგრამ სირცხვილისა და ძლიერი შინაგანი მღელვარების გამო სიტყვის თქმას ვერცერთი ვერ ახერხებდა. დირექტორმა ეს შეატყო და რბილად, შემწყნარებლად უთხრა:

— თქვით, რა გინდათ, პირდაპირ ვთქვით, ნუ გრცხვენიათ.

ხალხი მოლოდინად იქცა, უფრო დაიძაბა, გაილურსა.

— თქვით, გისმენთ, — კვლავ წყნარად, დაუვავებით უთხრა დირექტორმა.

— გეტუვით, ბატონო შალვა, — თქვა მუმლაურმა და წინ წამოიწია, მაგრამ ფეტვიაშვილმა არ აცალა, თვითონ გადაუდგა წინ და, თითქოს იმის შიშით, კიდევ არ დამასწროსო, აჩქარებით დაიწყო:

— არა, ბატონო შალვა, მე გეტუვით, ამას რა აქვს სათქმელი, დამნაშავე მე ვარ და თქმითაც მე უნდა ვთქვა... ჰო, დიახ, მე ვარ... მაგრამ არ იფიქროთ, პატიებას ვითხოვდე, ან თავს ვიმართლებდე, არა, დამნაშავე უნდა დაისაჯოს, — ეს სწორია; მაგრამ უდანაშაულო რაღად უნდა მიჰყვეს?.. უველაფერი ჩემი ბრალია, მე დავიწყე, მე ავტეხე. მართალია თავდაპირველად ისე მეგონა, მეგონა, რომ... მაგრამ მერე მივხვდი, რომ ეს აღარაფერ შუაში იყო, არც ეს და არც ამის გამკვანძველი: მაგრამ მე მაინც... რაღაც ეშმაკი შემიჩნდა, ჯიბრი წამეკიდა და... გული ვერა და ვეღარ დავიოკე, ვერ დავიმორჩილე... ამანაც ითმინა, ითმინა და...

— ახლა რა გინდა? — გააწყვეტინა დირექტორმა.

— ის მინდა, რომ... ჰოდა, გთხოვთ, თქვენც და უველას, მე დამსაჯეთ, მე, დამნაშავე! მომხსენით, გამაგდეთ, გამკიცხეთ... თუნდ პასუხისგებაში მიმეცით, უველაფერი, რაც გნებავთ... ოღონდ სხვას ნუ, ჩემი გულისთვის, ჩემი ცუდი საქციელისათვის სხვას ნუ დასჯით. მე ჩემი შეცდომაც მეყოფა და ამ გულის ქენჯნას ნულა გამაყოლებთ...

წელანდელი ამბის შემდეგ ფეტვიაშვილისაგან ამას აღარავინ მოელოდა და მისმა ნათქვამმა კრების უველა მონაწილე გააოცა. თვითონ მუმლაურსაც დაბნეულობა ემჩნეოდა, ჩანდა, მეტოქის ეს უეცარი შემობრუნება მისთვისაც სრულიად მოულოდნელი იყო და თვალებგაფართოებული გაკვირვებით შეჰყურებდა.

ფეტვიაშვილი გაჩუმდა, ხალხმა მზერა მუმლაურზე გადაიტანა და უთქმელი კითხვით მიაჩერდა, — შენ რაღას იტუვიო? ხალხის შეხედვამ მუმლაური გამოაფხიზლა, გაახსენდა აქ რისთვისაც იყო შემოსული და ერთი ნაბიჯით წინ წამოდგა.

— არა, ბატონო შალვა, მარტო ეს არ ტუუის, — თქვა აღელვებით და ფეტვიაშვილზე ანიშნა, — ჩემი ბრალიც არის... მე რომ გავჩუმებულიყავი, არ ავყოლოდი, დამეთმო, მომეთმინა...

— აკი ვუთმენდიო? — გაახსენა მიხეილმა.

— კი, მართალია, მაგრამ კიდევ უნდა მომეთმინა, ბოლომდე უნდა მომეთმინა... ახლა ერთი ხათხოვარი მაქვს.. მართალია, როგორც დამნაშავეს, დასჯილს, მე აქ აღარავითარი უფლება აღარ მაქვს, მაგრამ... ჩვიდმეტი წელი ვიმუშავე ფაბრიკაში, სრული ჩვიდმეტი წელი და არც ცუდი მუშა ვყოფილვარ, ცუდი გული არ მქონია... ჰოდა, აი გთხოვთ, საბოლოოდ, უკანასკნელად... მე არა მიშავს, უმუშევრადაც რომ დავრჩე, არ გამიჭირდება, ქმარი მადგას თავზე და ასე თუ ისე... ეს კი მარტოხელა ქალია, სამი შვილის დედაა და... განა არ იცით... ჰოდა აი, გთხოვთ, ბატონო შალვა, ძალიან გთხოვთ, აპატიეთ, რაღაცნაირად აპატიეთ და აღადგინეთ. თქვენ იცით, თქვენ უველაფერი იცით, უველაფერი შეგიძლიათ...

ამის გამგონეს ახლა ფეტვიაშვილს გაუფართოვდა თვალები და თავის მოქიშპეს დაბნევითა და გაოცებით მიაშტერდა. ერთი შეხედვით ეს შეთქმულებას ჰგავდა და ხალხის თვალებში აქა-იქ ეჭვიც გამოკრთა. მაგრამ აქ ერთი ისეთი რაღაც მოხდა, რამაც ხალხი, კრება საბოლოოდ და მთლიანად დაარწმუნა, რომ ეს ეჭვი უსაფუძვლო იყო, დაარწმუნა, რომ არცერთმა, არც მუმლაურმა და არც ფეტვიაშვილმა აქ შემოსვლამდე ერთიმეორის განზრახვისა არაფერი იცოდნენ და ერთსაც და მეორესაც მხოლოდ სინდისის ქენჯნა და ერთი-მეორის სიბრალული ალაპარაკებდა: ფეტ-

ვიაშვილი მუმლაურს ერთხანს კვლავ დაბნევითა და გაოცებით შეჰყურებდა, მერე ტანითაც ნელ-ნელა მისკენ შებრუნდა და ხნოვანებაშეპარულ, ნაოჭიან სახეზე მონანიებისა და სირცხვილის მტანჯველი განცდა აღებეჭდა.

— შენ... შენ ამას ამბობ?..

— დიახ, ვამბობ, — კუშტად შეაგება მუმლაურმა, — დედა ვარ და... ვიცი.

ფეტვიაშვილმა უმწეოდ მიმოიხედა, — ღმერთო... სად წავიდე, სად მიწაში წავიდე, — წამოიძახა, თვალებზე ხელები აიფარა, და ჟრუდ და გაგრძელებულად აქვითინდა.

კრებას თითქოს უხილავი ნათელი მოეფინა. უკმაყოფილების კუშტი, უსიამო გრძნობა, ერთი წუთის წინ თითქოს ფიზიკურადაც რომ ბოჭავდა ადამიანებს, ახლა მთლიანად გაიფანტა, უეცრად განქარდა და საზეიმო განწყობით შეიცვალა, სახე ყველას გულხალვათი ღიმილით გაებადრა, თითქოს გულებიდან რაღაც უთქმელი, გაუმხელელი და დიდიხნის ნაგუბარი ერთბაშად მოსკდა და ეს ორასკაციანი თავყრილობა ერთ განუყოფელ სხეულად შეკრა, თითქოს ერთარსებად გადაიქცა, ერთი ფიქრით, ერთი განზრახვით განიმსჭვალა. მაგრამ გადამწყვეტი სიტყვა აქ დირექტორს ეკუთვნოდა და მომლოდინე მზერა ჯერ ყველამ მისკენ მიმართა.

დირექტორი სიტყვის თქმას არ ჩქარობდა, სხივჩამდგარი ცისფერი თვალებით ხალხის თავსზემოთ სივრცეში იყურებოდა, ბოლოს მზერა ხალხზე გადაიტანა, კმაყოფილებით ჩამოათვალიერა ყველანი და მოგვიანებით იკითხა:

— რას იტყვით, ხალხნო, რა ვქნათ?

— ვაპატიოთ, ბატონო შალვა, ვაპატიოთ! ცოდონი არიან... აგე, უკვე მოინანიეს, შეიგნეს და... ორივეს ვაპატიოთ, ორივეს!

დირექტორმა პასუხი კვლავ დააგვიანა, თუმცა აშკარად ჩანდა, რომ კრების სურვილს სავსებით ეთანხმებოდა. მზრუნველ, მოალერსე მზერას ხან ისევ ხალხს მიაპყრობდა, ხან მუმლაურსა და ფეტვიაშვილს შეხედავდა. ფეტვიაშვილი ისევ ჟრუდ ქვითინებდა, მხრები უთრთოდა და ტანითაც ცახცახებდა. მუმლაური თავზე ხელს უსვამდა და, როგორც უსამართლოდ დასჯილ ბავშვს, მოფერებით ტუქსავდა:

— მიწა კი დაგაყარე! აბა რისთვის ჰა, რატომ? ან ჩემგან რა გინდოდა, ან შენი თავისგან? მართლა ეგეთი მაინც იყო, შე სასიკვდილევ!

დირექტორმა აცალა, სანამ ფეტვიაშვილი ოდნავ მაინც დამშვიდდებოდა და ნელა, მსუბუქად წამოდგა. წელანდელივით ისევ ხალხის თავს ზემოთ, სივრცეში გაიხედა და კარგა ხნის დუმილის შემდეგ ნელი ხმით დაიწყო:

— აპატიებთ თუ არა, არ ვიცი, — ეგ თქვენი საქმეა და თვითონ განსაჯეთ, გადაწყვიტეთ... მე მხოლოდ ერთი რამ მიხარია: რომ მუშის გულში მუშური სიმართლე არ დაკარგულა, მუშური სინდისი, სიყვარული არ გაწყვეტილა, არ გამქრალა, რომ ყველაფერი ეს წამიერი ჩრდილი და ზედაპირული ქაფია და სიღრმეში კვლავ წმინდაა, ანკარა და გამჭვირვალეა, რომ სული, მუშის ჭეშმარიტი, ცხოველი სული კვლავ ცოცხალია, კვლავ მთელია, გაუბზარავი, რომ შეგვიძლია ერთმანეთს ძველებურადვე ვენდოთ და მომავალს, ჩვენი ფაბრიკის კოლექტივის ხვალინდელ დღეს კვლავ სრული იმედითა და მოლოდინით შევხედოთ...

— ჰოდა, ვაპატიოთ, ბატონო შალვა, ვაპატიოთ!

ფეტვიაშვილმა გული მოიოხა, ქვითინი შეწყვიტა, თუმცა ცრემლი კვლავ სდიოდა და წამწამებზე მსხვილ კურცხალებად მოგორავდა. თვალებს თავსაფრის ტოტით იმშრალებდა, ეტყობოდა, ხალხის შეხედვისა ერცხვინებოდა — თავდახრილი იდგა, ერთ ადგილზე წრიალებდა და გაოგნებული თავისთვის ბუტბუტებდა:

— ღმერთო, ღმერთო... ნეტა მოვკვდე!.. ნეტა მიწა გამისკდეს და თან ჩამიტანოს!..

საქმის ასე სასიკეთო დაბოლოებამ ყველა უზომოდ გაახარა, გაამხიარულა, ზოგს ზედმეტი სიხარულის გამო თვალებიც კი მოუწყლიანდა. როგორც წელან პარტიული კომიტეტის მდივანმა, ნინომ თქვა, კრება სწორედ ისეთი გახდა — ერთ მოსიყვარულე ოჯახს დაემსგავსა, სადაც ხანგრძლივი წყენა და გაჯავრება არ არსებობს, სადაც თავისით, სხვათა ჩაურევლად შერიგდებიან ხოლმე, ერთმანეთს წინანდელი გულწრფელობით შესცინებენ და თავიანთ გაჯავრებაზე თვითონვე გულიანად ახარხარდებიან.

— მე რაღას მიპირებთ, ბატონო შალვა, მე? — გაისმა უცებ სიცილ-ჟრიამულში გოგია ზეინკლის ხმა, რომელიც წყალწაღებულის განწირულ ამოძახილს უფრო ჰგავდა, და ხალხიც უმალ მისკენ შებრუნდა. გოგია ყველას დავიწყებოდა და მხოლოდ ახლაღა გაახსენდათ. მუშები კვლავ მიდგ-მოდგნენ, გაიწ-გამოიწიეს და გზა უტიეს, ზოგმა ხელითაც წაუბიძგა და მიდი, სთხოვე, შეეხვეწე — ჩასჩურჩულა, მაგრამ გოგია ადგილიდან არ დაძრულა, ისევ მხრებ ჩამოყრილი იდგა, მაგრამ უფრო გატეხილი და დაბეჩავებული ჩანდა; ბოლოს საწყალობელი ხმით იკითხა:

— ჰა, ბატონო შალვა, მე რა ვქნა?

— შენ ასი გრამის მეტი არაფერი გიშველის, გოგი! — გამოსძახა გივიმ და ხალხიც ისევ წელანდელივით ახარხარდა:

— ნამდვილად მოუხდება!

— გააცოცხლებს!

— მონათლავს!

დირექტორმა ხალხი გააჩუმა, გივის თითის უწყინარი დაქნევით დაემუქრა და გოგიასაკენ შებრუნდა.

— აბა რა გითხრა, გოგი, მართლაც აღარ

ვიცი, რა გიყო! როგორც ხალხი ამბობს, შენზე არც ავი სჭრის, არც კარგი. ფაბრიკაში კი, ხომ ხედავ, რა ამბები ხდება... ყველა ·რაღაც ახალ ვალდებულებას იღებს, ახალ მიზანს ისახავს და მუშაობასაც ახლებურად აპირებს. ახლა მალე ფაბრიკის გაერთიანებულ კრებას მოვიწვევთ, შევაჯამებთ მიღწევებს, გავითვალისწინებთ და... შენ კი რა? საკუთარ საქმესაც ღალატობ და სხვასაც ხელს უშლი. ჰოდა, აი, აღარც მე ვიცი, რა ვქნა, რა გიყო, რა მოგიხერხო?

— არა, ბატონო შალვა, ამის შემდეგ აღარც მე... აღარასოდეს!

— ვითომ გამოსწორდები? — დირექტორმა თვალები ეჭვით მოჭუტა.

— კი! — თამამად მიუგო გოგიამ.

— მაინც, როგორ, რანაირად? რას აპირებ? — მოგვიანებით ჰკითხა დირექტორმა.

— როგორ და... გეტყვით, ბატონო შალვა, აი გეტყვით! — გოგიამ ჩაახველა, მხრები ოდნავ აიწია და ნაძალადევი სითამამით განაგრძო: ხომ ცუდი მუშა არა ვარ, საქმე ვიცი... ვაკეთებ... ერთი ეს ოხერი მიშლის თორემ... ჰოდა, აღარ ვიზამ!

— რას აღარ იზამ?

— აღარ დავლევ! — მოკლედ შეაგება გოგიამ, — აღარ დავლევ და ეგ იქნება... სამუშაო დღეებში მაინც.

ჭარმაგი კაცის ამ გულუბრყვილო, ბავშვურმა თავისმართლებამ დირექტორსაც ღიმილი მოჰგვარა, მაგრამ თავი შეიკავა და გოგიას კვლავ უნდობლად გახედა.

— მაგას რა ჯობია, გოგი, მაგრამ... მეეჭვება.

— არა, ბატონო შალვა, დამიჯერეთ, — უკვე სრული რიხით გაიმეორა გოგიამ და მხრებშიც მთლიანად გაიმართა, — დამიჯერეთ... აი, ვამბობ, ყველას გასაგონად ვამბობ... თუკი ასე წავა საქმე, ყველა რაღაცას... ბოლოს და ბოლოს, მეც კაცი ვარ, ქუდი მხურავს და ნამუსი მაქვს...

— ახლა თუ სიმღერაც დაიწყო, გავგიჟდები, — ჩაურთო გივიმ.

გოგიამ ერთხელ გახედა ბღვერით და ისევ დირექტორს მიმართა:

— ჰოდა, აი, გეუბნებით... დღეიდან ჩემი მიზეზით საამქრო, წამი რა არის, წამითაც აღარ შეფერხდება... აღარასოდეს აღარ შეფერხდება. — გულიდან თითქოს ლოდი ჩამოიხსნა, შვებით ამოისუნთქა და ხალხს გამომწვევად გადახედა — აჰა, აგე, ამაზე მეტი რაღა გინდათ?

გოგიას ბოლოს სიტყვების საყვედურიანმა კილომ ხალხი ერთხელ კიდევ გულიანად გააცინა.

კრება დამთავრდა, მაგრამ ისე კი არა, როგორც შუქია თავიდანვე მოელოდა — დამთავრდა სრულიად სხვაგვარად და ამ სასიკეთო დასასრულმა ადამიანები თითქოს გარდაქმნა, გაახალისა, თუ წელან, დასაწყისში, მუშებიც და ფაბრიკის ხელმძღვანელებიც თვალ-წარბმოღუშვით, დაღვრემილები, სახეგამტკნარებულები, თითო-თითოდ შემოდიოდნენ კაბინეტში და ადგილებს უსიტყვოდ, ხმაამოუღებლად იკავებდნენ, ახლა კარებს ყველანი ერთად მიაწყდნენ: მუშები, ინჟინერ-ტექნიკოსები, მერგოლურები, ბრიგადირები, მოკლედ, ყველანი ერთმანეთს მხრებზე ხელებს ალერსით ურტყამდნენ, ხმამაღლა ოხუნჯობდნენ და დერეფანში სიცილ-ხარხარით გამოდიოდნენ. მუშებმა გულიდან თითქოს რაღაც მძიმე ტვირთი ჩამოიხსნეს, თითქოს დაკარგული რაღაც იპოვეს და დიდი ხნის ნანატრი, ნალოდინევი და ნალოლიავები—კარგი, სანუკვარი, კვლავ დაიბრუნეს. ასე გაიარეს გრძელი დერეფანი ეზოში გასასვლელ სამსაფეხურიან კიბეზე მჩატედ, ძალდაუტანებლად შეაბიჯეს და თუთის ხეებითა და ნაძვნარებით დაბურულ ეზოში გაიკრიფნენ.

მზე უკვე ჩასულიყო და საცაა ქუჩის ფარნებსაც აანთებდნენ. ქალებში ბევრი მარტოხელა ერია, ბევრს მცირეწლოვანი ბავშვები ჰყავდათ მისახედი და აჩქარება მართებდათ, მაგრამ შინ წასვლას წინანდებურად აღარავინ ეშურებოდა, თითქოს პირადი, საკუთარი ყველას დავიწყებოდა, ან ერთმანეთი აღარ ეთმობოდათ და სახეგაღიმებულები რკინის შავი ჭიშკრისაკენ გულღია საუბრით, ოხუნჯობითა და ლაღობით მიემართებოდნენ.

შუქია და გაიანე ერთმანეთს ჭიშკარში გასვლისას გამოემშვიდობნენ, რადგან გაიანემ ჩვეულებრივ, „ნავთის აღმართით" წასვლა აღარ ინდომა, და ხელმარჯვნივ, სანაპიროსაკენ გაუხვია; აქეთ მხარეს მას თავისი უბნისაკენ უმოკლესი გზა ედო და როცა კი ფაბრიკაში რამეზე შეაგვიანდებოდა, შინწასვლას უმეტესად ამ ქუჩით აჩქარებდა.

შუქია მარტო შეუყვა თავის ვიწრო, ქვაფენილიან ქუჩას; ძველი სახლების აივნები ჯერ არ გაენათებინათ და აღარც სალაყბოდ გადმომდგარი, მკერდგაღეღილი ქალები ჩანდნენ — საღამოობით უკვე საგრძნობლად ციოდა, მაგრამ ოთახებიდან მუსიკის ნაწყვეტ-ნაწყვეტი ხმები ჩვეულებრივ ისმოდა. შუქია საამო დათენთილობას გრძნობდა და ქვებზე ფეხს ნელა, გამოზომილად ადგამდა. ხანდახან შედგებოდა და მომიჯნე ქუჩებიდან ჯგუფ-ჯგუფად მიმავალი მუშა-ქალების სიცილ-საუბარს ისმენდა, სახეზე ღიმილი დაეფინებოდა და დაფიქრებული ისევ ნელა შეაბიჯებდა. აგერ, რამდენი ხანია, რაც ფაბრიკაში დაიარება, ტრიალებს საამქროში, საუბრობს მუშებთან და თავს მათი საქმიანობის სრულ მონაწილედ თვლის, მაგრამ დღევანდლამდე თურმე ბევრი რამ არ სცოდნია. დღევანდელმა დღემ მის გულში წარუშლელი კვალი დატოვა. ამ დღიდან საამქრო თითქოს საკუთარ სახლად გადა-

ექცა და თვით დაზგების დანდგარ-დგრიალშიც კი უცნაურ სიმყუდროვეს გრძნობდა. ამიერიდან მარტო ოჯახის ამბავი-ღა აშფოთებდა. პარკებს ანაწილებდა თვითწამლებ ფირფიტებზე, ახალი წვერი ამოჰყავდა აუზიდან, წვერს სარბანდს აცლიდა თუ დაზგებშორის მიმოდიოდა, მამის სახე განუშორებლად თვალწინ ედგა „ნეტა რას შვრება, როგორ არის, დამშვიდდა თუ არა?“ ასევე თვალწინ ედგა დედაც და მისი მოუსვლელობა, დაგვიანება, ძალიანაც აწუხებდა. მათი გახსენებით, მათზე ფიქრით თავს ერთგვარად იმშვიდებდა. ახ, დედა და მამაც რომ გვერდით ჰყოლოდნენ და სიხარულის მათთვის გაზიარება შეეძლებოდა! მაგრამ მათს გახსენებისთანავე მეხსიერებაში უნებურად ორბის სახეც ამოტივტივდებოდა და გული კვლავ ძველებურად — მტკივნეულად, მწარე შეურაცხყოფით ევსებოდა, მთელ ტანში უსიამო, ცივი ჟრუანტელი დაუვლიდა. ასეთ წუთებში ხელები უთრთოდა, თითები აღარ ემორჩილებოდა და ყურადღებაც ეფანტებოდა. მაგრამ, საბედნიეროდ, მალევე სძლევდა გულს, თავს ძლიერად გაიქნევდა — მოგონებებს უკუჰყრიდა და სამუშაოს მიეძალებოდა. მიეძალებოდა მთელი ენერგიით, ყურადღებით მონდომებით და გულის საწუხარს ისევ საქმე იქარვებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯანსუღ ღვინჯილია

# სამი ახალი მოთხრობის გამო

ჟურნალ „მნათობის“ ფურცლებზე შარშან გამოქვეყნებულ პროზაულ ნაწარმოებთაგან ყურადღება მიიქცია სამმა მოთხრობამ: გურამ დოჩანაშვილის „საქმე“ (№ 12), თამაზ გოდერძიშვილის „ხელში გამომწყვდეულ ბეღურასავით“ (№ 11) და გივი მაღულარიას „მითი“ (№ 9, 10, 11). ჩემთვის ამ მოთხრობებს, ავტორთა სტილისა და არჩეული თემების თვალსაზრისით სავსებით განსხვავებულთ, აერთიანებს ერთგვარი სიახლის გრძნობა. თამაზ გოდერძიშვილის მოთხრობაში ეს სიახლის გრძნობა თემის არსში ძევს, გურამ დოჩანაშვილისა და გივი მაღულარიას მოთხრობებში კი სიახლის გრძნობა ივარაუდება თვით ამ მწერალთა დამოკიდებულებაში ნაწარმოების თემასთან. ეს დამოკიდებულება საკუთარ კონცეფციად კრისტალდება. აღნიშნული ნაწარმოებები შესრულების ხარისხითაც თვალსაჩინონი არიან და მათზე საგანგებოდ შეჩერება აუცილებელია.

## „გცემეს, პატარა ხულიგანო?“

გურამ დოჩანაშვილს არ უყვარს ეფექტური წიაღსვლები. „საქმის“ დასაწყისი გულისხმობს ერთგვარ ეფექტს, მაგრამ იგი სიღრმისეულია, გმირის ხასიათის გახსნას ექვემდებარება. მოთხრობის დასაწყისშივე ერთბაშად ვლინდება გმირის ხასიათის ძირითადი ნიშნები:

„— ბოდიში, თქვენ შემთხვევით სულელი ხომ არ ბრძანდებით?

ლუკას ჰკითხეს.

კაცი, რომელიც მოთმინებიდან გამოიყვანა ლუკას უცნაურმა ღიმილმა, ოდნავ გადაიხარა მისკენ და შიშნარევი მუქარით ასე ჰკითხა: „ბოდიში, თქვენ შემთხვევით სულელი ხომ არ ბრძანდებით?“

ადამიანის საქმეს, რა სფეროსაც არ უნდა განეკუთვნებოდეს ის, სიყვარული და დაფასება სჭირდება. ერთხელ გამოთქმული ეს აზრი გაიცვითა, მიუხედავად იმისა, რომ ყველა სხვადასხვაგვარად ცდილობს მის გამოთქმას. ნარკვევების, მოთხრობების თუ თვით რომანების ტალღამ, რომლებიც ადამიანების საქმიანობას მიეძღვნა ქართული ლიტერატურის სინამდვილეში, მცირე გამონაკლისის გარდა, თავისი ზედაპირულობით გამორიცხეს საქმის ღრმა შინაარსი და ერთგვარად გაალიზიანეს კიდეც შიშველი აგიტაციით საქმისადმი მშრომელი ადამიანის ცნობიერი დამოკიდებულება. იქნებ ახლა სწორედ ამის გამო პარადოქსადაც კი გაისმას აზრი, რომ საქმე თავისი არსით პოეტურია. საქმეს, რომელიც ადამიანის გონების წყალობით გულისხმობს შექმნას, თან უნდა ახლდეს შექმნის ღრმა სიხარული. ეს სიხარული კი მუდამ პოეტურია. ამ პოეტურ არსს უკარგავს საქმეს უგემური ნაწარმოებების რიცხვმრავლობა.

საქმისადმი პოეტური დამოკიდებულებით გურამ დოჩანაშვილს ყამირი არ გაუტეხავს. ქართული ლიტერატურის ისტორია მდიდარია ამ თემაზე დაწერილი შესანიშნავი ნაწარმოებებით; ბოლო ხანს საქმის პოეტური არსი ყველაზე სრულად და ამაღლებულად რევაზ ინანიშვილის მოთხრობებში აისახა. მისი გმირების დამოკიდებულება ყოველდღიურ „წვრილმან“ საქმეებთან უღრმეს სიყვარულსაც გულისხმობს. რევაზ ინანიშვილი გამონაკლისი არ არის, მაგრამ კარგი ნაწარმოებები საქმის პოე-

ტურ არსზე თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში მაინც გამონაკლისებია. ამ გამონაკლისთა რიცხვს გურამ დოჩანაშვილის მოთხრობაც მიემატა. საქმის პოეტურ არსზე საუბარმა არ მინდა ისეთი შთაბეჭდილება შექმნას, თითქოს გურამ დოჩანაშვილის ნაწარმოებში საგანგებოდ არის მინიშნებული ამ საკითხზე. პირიქით, პირველი წაკითხვით ისეთი შთაბეჭდილებაც კი იქმნება, თითქოს სათაურს ნაწარმოების დედააზრთან არაფერი • ჰქონდეს საერთო. მაგრამ სწორედ ეს ღრმა შრეებში გადატანილი პირობა არეგულირებს ნაწარმოების გმირთა სულიერ წყობას, წარმართავს მას შინაგანი ჰარმონიის გზით, ან გვევლინება წონასწორობის დაკარგვის მთავარ მიზეზად. დროის იმ ლოკალურ საზღვრებში, რომელშიც მოთხრობის მოქმედება მიმდინარეობს, ლუკა არაფერს აკეთებს ისეთს, რაც უშუალოდ საქმეს შეეხებოდა, მაგრამ საქმე და შინაგანი მოწოდება — ხშირ შემთხვევაში ერთმანეთთან გაიგივებული — წარმართავს მის ყველა ფიქრსა და ოცნებას, მის განუსაზღვრელ სითბოს ადამიანებისადმი.

საქმეს არ უყვარს იოლი გზით მოსიარულე ხალხი. პიროვნების ზერელობიდან გამომდინარე, ისიც ზერელე და ფუჭი ხდება. ლუკას ხასიათი მოთხრობის დასაწყისშივე ცნაურდება მკითხველის წინაშე ბევრისმეტყველი შტრიხებით: მეოცნებე და კეთილშობილი, ღრმა შინაგან განცდებში ჩაძირული, განცდებში, საიდანაც არ შეიძლება მორალურად განწმენდილი არ გამოხვიდე, ზედაპირზე. მისი დამოკიდებულება იმ სიძნელეებთან, ჭეშმარიტი გზით სიარულს რომ ახლავს, იმთავითვე აქანდაკებს ნაწარმოების გმირის ხასიათს: „...კიდევ უფრო კარგია გატეხილი ძილი და ღამის მიუგნებელი ხმების ყურისგდება, ბნელ, უკაცრიელ ადგილას თავს დატეხილი შიში, ყინულოვან ხელებს უცებ ნეკნებში რომ გტაცებს". ან: „...მერე გამოჩნდა ორი გზა, ერთი — განიერი, კეთილმოწყობილი, გაჩირაღდნებული, ოღონდ დაღმართში შეუმჩნევლად მიმავალი, მეორე კი ბნელი, დაკლაკნილი, ვიწრო, ადვილად გადასაჩეხი და უზომო ტანჯვის და ბედნიერების მომტანი; ლუკამ ვერც გაიგო, ისე დაადგა ამ მეორეს, მარადმიუღწეველი მწვერვალისკენ მიმავალ აღმართს".

გ. დოჩანაშვილი მოთხრობის სიუჟეტისათვის თითქმის მოურგებელ ეპიზოდს შემოგვთავაზებს ზოგჯერ. ვგულისხმობ ბაღში მოციგურავე ბავშვებთან მისვლას და ტიბაანისაკენ მიმავალი მანქანის შოფერთან დიალოგს. ნაწარმოების არსებითი სიუჟეტური ხაზისათვის ეს ეპიზოდები ფაქტიურად დანამატია. მაგრამ მოთხრობის აზრი სწორედ შთაბეჭდილების ზედაპირულობას უპირისპირდება. „საქმის" სიუჟეტური ხაზი გმირის ფსიქიკურ წყობაში გადის და ორივე ეპიზოდი ამიტომაც მნიშვნელოვანია. ამ ეპიზოდების შუქზე მწერალმა თავისი მოწოდების ერთგული ადამიანის დიდი სულიერი სიმდიდრე დაგვანახვა. ეპიზოდი მოციგურავე ბავშვებთან — კიდევ ერთ წყაროს აღმოგვიჩენს ადამიანის სიყვარულისას. ეპიზოდი შოფერთან საუბრისა — საქმიანი ადამიანების პატივისცემას აძლიერებს; და ამის შემდეგ, სწორედ შინაგანად გამდიდრებული და ჩამოყალიბებული პიროვნება შეიძლებს კალაპოტიდან ამოვარდნილ პატარა ხულიგანში ადამიანებისადმი ღრმა, შედედებული სიძულვილი გააქარწყლოს და მათდამი ნდობა აღადგინოს.

მწერლის მიზანდასახულება შიშველ დიდაქტიკად რომ არ მოგვეჩვენოს, მოთხრობის ერთ-ერთი გმირის — პატარა ხულიგნის შესახებ აქ მეტს არაფერს ვიტყვი. მანამდე ე. წ. შესამზადებელი წინაპირობაა საინტერესო — ზემოთ აღნიშნულ ორ ეპიზოდს ვგულისხმობ. თვით ეს ეპიზოდები დამოუკიდებლივ წარმოგვიდგებიან ბევრისმთქმელ ნაწარმოებად.

ოცნებებითა და კეთილი ფიქრებით ავსილი ლუკა თოვლით გადაბარდნილ ბაღში შევიდა, ციგაობა მოუნდა, მაგრამ პირველსავე თხოვნაზე უარი მიიღო — ციგა არ ათხოვეს: „ლუკა რაღაცნაირად დაჩიავდა, მოტყდა, ხელებჩამოყრილი გორაკის თავზე იდგა, მოიბუზა, აღარ იცოდა რა ექნა, რა ჯანდაბა უნდოდა ან ბაღში, ანდა საერთოდ ამ ქალაქში რა უნდოდა". სულ რამდენიმე სტრიქონით მწერალმა ჩვენს თვალწინ დააყენა პიროვნების სათუთი ხასიათი, რომელსაც უბრალოდ ნათქვამი უარიც კი „დააჩიავებს", სიცივით ჰირხლავს მის სულს ასეთი წინააღმდეგობა. „... და უცებ იგრძნო, ზურგსუკან პალტოზე ვიღაცამ რომ დაქაჩა. შებრუნდა და ჯერ ვერავინ დაინახა, მერე ძირს დაიხედა და განცვიფრდა — ერთი ციდა ბავშვი იყო, ისე შეფუთვნილი, მხოლოდ თვალები უჩანდა, მაინც ეტყობოდა, რომ უღიმოდა, ცალი ხელით ლუკას პალტოს ებღაუჭებოდა, მეორეთი კი თავისი ციგის ღვედს აწვდიდა"...

გმირის სულში ნიაღვარივით მოაწყდა სიხარულის ტალღა ნაპირს, გადმოლახა იგი და მთელი არსება აიტაცა. გაუზვიადებლად გვიყვება მწერალი მეტად ამაღლებულ სურათზე, გვიყვება, როგორ ჩასცქეროდა ლუკა ბავშვის გაშმუქებულ თვალებს, როგორ დაჰყურებდა ზემოდან, როგორ არ აცილებდა ბავშვი ღიმილიან მზერას. ციგა ძალიან პატარაა, მასზე ლუკა რომ დაჯდეს, დაილეწება, მაგრამ ლუკამ ისეთი კეთილშობილური ვედრება ამოიკითხა ბავშვის მზერაში — ჩემი ციგით ითამაშეო, რომ ამოუხსნელი გრძნობის კარნახით ბავშვი აიყვანა და „ყურებიან ქუდზე აკოცა, სადაც ლოყა უნდა ჰქონოდა". ბავშვიც კოცნით პასუხობს. ერთი შეხედვით სრულიად უბრალო ცხოვრებისეულ სურათის ჩარჩო მწერლის ფანტაზიამ აურწყავი ფერებით აავსო. ამ

ფერებით ხორცშესხმული განცდა ებრძვის იაფფასიან სენტიმენტალიზმს და გაუხუნებელ მხატვრულ სინამდვილედ მკვიდრდება. ეპიზოდს ლოგიკური გამიზნულობა აქვს. შთაბეჭდაობით იგი ლუკას ხასიათში სამუდამოდ ტოვებს კვალს. ეს კვალი თვით კრიზისულ მომენტშიც შველის ლუკას — ლამაზი სულიერი წყობის პიროვნებას, რომელიც დიდი სიხარულისადმი თავის გრძნობიერ დამოკიდებულებას იმით ამჟღავნებს, რომ ქალაქს ტოვებს დროებით: „ასე სჩვეოდა — თუკი რაიმე ძალიან გაუხარდებოდა, თუკი ნამდვილ ბედნიერებას იგრძნობდა, იქაურობას სასწრაფოდ უნდა გასცლოდა — ეშინოდა, რაიმე რომ არ შეცვლილიყო... ის კი არა, ქალაქიც იმავე დღეს დატოვა, პირველივე მატარებლით, და დიდი ხნის შემდეგაც, რამდენიმე წლის შემდეგ, როდესაც ათასნაირი ჭურის ხალხი ხვდებოდა და თუ უსამართლოდ აწყენინებდა ვინმე, გულდაწყვეტილს და გაგულისებულს, როცა დიდი მხარდაჭერა მოუნდებოდა, ლუკა ყოველთვის გრძნობდა, რომ ვიღაც პალტოზე ექაჩებოდა და მაშინვე თვალის უპესაც ახსენდებოდა სქელი კაშნედან გამოყონილი კოცნა“...

ცხოვრებისეული უბრალო ეპიზოდი ლუკას სულიერმა წყობამ ახალ ენერგიად გაითავისა, ამ ენერგიით იგი ისეკ ცხოვრებისეულ სიძნელეებს უპირისპირდება ხოლმე.

ტიბაანისაკენ ლუკა ერთ სატვირთო მანქანას გაჰყვა. ლუკას უცნაურ დაჟინებაზე, ტიბაანი აქეთ არ არისო, ტიბაანის გზის „მტკეპნავი“ მძღოლი ჯერ გაკვირვებით შეხედავს, შემდეგ კი ერთბაშად მოზღვავდება უბრალო მშრომელი კაცის კეთილშობილება დიალოგში, რომელიც ტიბაანის გზის „გარკვევას“ ეწირება. მძღოლი იმაზეც კი თანხმდება, მანქანა გააჩეროს და ტიბაანის გზა იკითხონ. „დამყვა შოფერიო“, გვეუბნება მწერალი და ამ ორ სიტყვაში მოექცა მთლიანად კეთილშობილი ადამიანის ხასიათი. ამ „დაყოლამ“ თანამგზავრისადმი ღრმა შინაგან პატივისცემას რომ გულისხმობს, განაპირობა დიდი ზეიმი ლუკას სულში.

ამდენად ორივე ეპიზოდს არსებითი მნიშვნელობა აქვს. ლუკას პიროვნება მისსავე მოწოდებაშია გათქვეფილი, ისინი ურთმანეთოდ არ არსებობენ. მისი მოწოდება კი გულისხმობს საქმეს, ურომლისოდაც ადამიანი წონასწორობა დაკარგული საგანივით ქანაობს უფსკრულის პირზე.

ნაწარმოების დედააზრი ლუკასა და პატარა ხულიგანის ურთიერთობაში გამოიკვეთება. კალაპოტიდან ამოვარდნილი ადამიანისადმი ჰუმანური დამოკიდებულება ახალი თემა არ არის ლიტერატურისათვის. მაგრამ გურამ დოჩანაშვილის გმირი, როგორც ხასიათი და ლუკას დამოკიდებულება, მისთვის ამდენი ნედლი საღებავით არის შეზავებული, რომ ნაცნობი ასოციაციები ამ სინედლეს ოდნავაც ვერ ჩრდილავს.

პატარა ხულიგანი დოჩანაშვილმა დახატა ყოველმხრივ: როგორც გარეგნული პორტრეტით, ასევე შინაგანი სულიერი ცხოვრებით. შტრიხები, რომლებიც პატარა ხულიგანის ზედაპირულ მოძრაობებს ახასიათებენ და შტრიხები, რომლებიც მის ფსიქოლოგიას დაგვანახვებენ, საშური ზომიერების გრძნობით ერწყმიან ერთმანეთს. როგორი სრულყოფილებითაც არ უნდა იყოს დაწერილი ნაწარმოები თავიდან ბოლომდე, მასში მაინც გამოირჩევა მუდამ უფრო სრულყოფილი ადგილები. ასეთი გახლავთ მოთხრობაში პატარა ხულიგნისა და ლუკას პირველი შეხვედრის ეპიზოდი.

გაჩერებული ავტობუსიდან ლუკამ პატარა ხულიგანი დაინახა. იგი ვიღაც გაფითრებულ ბიჭს უსმენდა, რომელიც დიდი გატაცებით ჰყვებოდა ახალ „თავგადასავალს“. მთხრობელის იმპროვიზაციამ და პატარა ხულიგნის ხელოვნურმა სიამაყემ ლუკას გულიანი სიცილი გამოიწვია. აქ კი ავტორს მივცეთ სიტყვა, რადგან ეპიზოდის დასკვნით ნაწილში მთელი სისრულით გამოიკვეთა პატარა ხულიგნის პორტრეტი:

„... ამაყად მიმოიხედა ირგვლივ და უცებ გაშრა — ავტობუსიდან, ფანჯრის მიღმა, ლუკა იყურებოდა და იცინოდა, იცინოდა, კვდებოდა სიცილით. პატარა ხულიგანი ისე დაიბნა, პირიც კი დააღო და მერე უკან მიიხედა, მაგრამ იქ არავინ იდგა და დარწმუნდა, სწორედ მასზე რომ იცინოდა ასე გულიანად ლუკა. ნირწამხდარმა, უეცრად გამწარებულმა, უკვე დაძრულ ავტობუსს გააყოლა მზერა და ლუკა რომ თვალს მიეფარა, გაფითრებული ბიჭისკენ შებრუნდა, ისევ მოერგო საკუთარ თავს, ბიჭს მრისხანე მზერა სტყორცნა და, სანამ ის თავისი დანაშაულის გამოცნობას აწრიალებული ცდილობდა, პატარა ხულიგანმა ხელზე ცხვირსახოცი მრისხანედ შემოიხვია და ასფალტზე ორჯერ ნერვიულად დააბაკუნა ფეხი“.

ლუკა მწერალია — დედამიწის ზურგზე უკეთილშობილესი საქმე ქცეულა მის მოწოდებად. მოთხრობის ქსოვილში ორგანულად იჭრება გმირის სულიერი სამყაროსათვის ნიშანდობლივი წიაღსვლები, ლიტერატურაზე ფიქრი, ნამდვილ მწერლობასთან პირველი შეხვედრის შთაბეჭდილებები. გმირის შინაგანი ცხოვრება ამ დიდი საქმით არის დაპყრობილი. ყოველთვის ღრმა და ქვეცნობიერია ფიქრი ლიტერატურაზე. ცხოვრება კი ლუკასათვის, გამოუსწორებელი უბედურების გარდა, გულუხვი წიაღია, საიდანაც მისმა სულმა არსობის პური უნდა აიღოს, ყოველი განსაცდელი ლუკას საქმის კეთილად გასრულებას უწყობს ხელს. ლუკა ამიტომ ელტვის ცხოვრებას, ფიქრი დიდ მწერლობაზე, ოცნება დაუპყრობელ

ხელოვნების მწვერვალზე, ჩაღრმავებანი საკუთარ განცდებში განავრცობს ჩვენს წარმოდგენებს ლუკას პიროვნებაზე. ისინი მიანიშნებენ სულიერი კეთილშობილების იმ მარაგზე, რასაც ფიქრები, ოცნებები და ცხოვრებისეული შინაარსიანი ეპიზოდები აგუბებენ პიროვნებაში.

მდიდარი შინაგანი ბუნების პიროვნება სულ მალე შეეჩეხება მასზე გაბრაზებულ პატარა ხულიგანს, რომელსაც არც შეეძლო ამოეხსნა იმდღევანდელი სიცილისა თუ დაცინვის არსი. სიცილის სილამაზეს ის ვერ ხედავს, მარტო დაცინვის სიმწარეს განიცდის. პატარა ხულიგნის გამომწვევ დაძახილზე: „მიყვარს ეშხიანი ხალხი", გაისმის ლუკას პასუხი: „— ოქრო პატარაა, მაგრამ კარგია". ხდება უცნაური რამ. პატარა ხულიგანის არსებაში მერყეობა იწყება. მის საჩხუბრად შემართულ ბუნებას რაღაც დამამშვიდებელი სითბო ჩაეღვარა, მან თავისი მისამართით პირველად მოისმინა სიტყვები, რომლებიც დაფასებას და პატივისცემას გულისხმობდა. ფსიქოლოგიური გარდატეხა დოჩანაშვილის მოთხრობაში იშვიათი სიზუსტით და დამაჯერებლობით არის შესრულებული. მაგრამ მთავარი მარტო მწერლის ოსტატობა არ არის, მთავარია მწერლისაგან „მიგნებული" ლუკას დამოკიდებულება პატარა ხულიგანთან, ამ დამოკიდებულების ცხოველმყოფელი მოქნილობა, მისი უნარი ისე ფაქიზად შეეხოს სხვა ადამიანების სულის სიმებს, რომ დიამეტრალურად სხვა მიმართულებით წარმართოს განწყობილება. პატარა ხულიგანში ლუკასთან პირველმა შეხვედრამ გაკვირვება გამოიწვია. გაკვირვებამ შეაფხიზლა მისი სწორხაზოვანი, გაუცნობიერებული სიბრაზე ყველასა და ყველაფერზე. მის ხასიათში გაბატონებული წყვდიადი სხივმა გაბზარა.

ამ წერილის სტრუქტურიდან გამომდინარე, საჭირო ხდება არსებითი და ლოგიკური მნიშვნელობის ადგილების გაანალიზება, მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ გ. დოჩანაშვილის მოთხრობა ასეთი წინასწარშედგენილი სქემით ვითარდებოდეს. მწერალი ლუკას სულიერი ცხოვრების ქსოვილს უამრავი დეტალით ამდიდრებს. გავიხსენოთ თუნდაც კაფეში შეხვედრა „ძნელი წარსულის" მქონე ქალიშვილთან. ეს „ძნელი წარსული" თავისი უხეში პროზაიზმით სადღაც იკარგება, როდესაც ლუკასთან დიალოგში ქალიშვილის აქამდე დამარხული წმინდა ოცნებები გაცოცხლდებიან. ამაღლებულია მათი სასიყვარულო განმარტოება კაფედან გამოსვლის შემდეგ.

მწერალი ბუნებრივი სიტუაციებით გვიჩვენებს როგორ ირღვევა გულგრილობის ბარიერი პატარა ხულიგანის სულში. ამ გულგრილობამ პატარა ხულიგანი გააბრაზა ყველაფერზე და საქმეს მოწყვეტილი, შინაგანი მოწოდებისაგან დაცლილი, იგი კარგავს წონასწორობას. ლუკას მწერლური მოწოდებისაგან განუყოფელია პატარა ხულიგანის ინტერესთა სფერო. ამიტომ მისი „თავხედური" საქციელი და დაჟინებული ცქერა პატარა ხულიგანის თვალებში სავსებით მოტივირებულია. მას მოჩვენებითი წონასწორობიდან გამოყავს პატარა ხულიგანი, რათა ნამდვილი წონასწორობის წყაროს მიაგნოს მის სულში:

„და მერე ლუკას მაინც აღტაცებამ სძლია — ეს იყო ადამიანის თვალი, უამრავი ფერის და საგნის გამომრჩევი, აღმომჩენი. ყველაფერი სწორედ ამ უბრალო, წყვილი სასწაულიდან იწყებოდა და ლუკა შავ პატარა თვალისჩინში ხედავდა საკუთარ თავსაც, ოღონდ უმნოსა და წაგრძელებულს. ერთადერთი, რაც იმ დიდებულ სილამაზეში უსიამოდ ჩანდა, მისი სახე იყო..."

ლუკასთვის ამ უსიამოვნო ინციდენტს (პატარა ხულიგანმა, რომელმაც დაცინვად მიიღო ეს დაჟინებული ცქერა, საჩხუბრად გაიწვია ის) არავითარი მნიშვნელობა არ აქვს. მისთვის მთავარია ამ ინციდენტის მიღმა დანახული ადამიანური ღირსებები.

იუმორი გასდევს მოთხრობას დასასრულამდე. იუმორით არის გაჟღენთილი ლუკას ყოველი შეხვედრა პატარა ხულიგანთან, მაგრამ ამ იუმორის ფუნქციაა გაძლიერებული, იგი კეთილშობილების გამომჟღავნების საშუალებად აქცია მწერალმა. იუმორით არის აღბეჭდილი ტიბაანში პოეტების ჩამოსვლა და ადგილობრივ მშრომელებთან ერთად ზეიმის ყოველი დეტალი. ერთგვარად ნატურალიზმით გაუმდიდრებია ავტორს ეს ეპიზოდი. საქმე ზეიმობს მინიშნებულ ეპიზოდში, მხოლოდ მწერალი ერთხელაც არ ახსენებს ამ სიტყვას. ვგრძნობთ, რომ მხოლოდ საქმის ხალხს შეუძლია ასე გულწრფელი შეხვედრა პოეტებთან: „და ლუკამ უცებ იგრძნო, რომ აღარ შეუძლია მეტის ატანა, შენობას გაუყვა, შეუხვია და მიმოიხედა. რაკი არავინ უყურებდა, სქელ, უხეშ კედელს თავი მიადო და აცრემლდა. აცრემლდა იმიტომ, რომ „სინამდვილე", ისე ძნელად მოსაძებნი, ისე იშვიათი, ახლა აცეკვებული ხალხის შემხედვარეს, ასე ვრცლად და თვალნათლივ გადაეშალა..."

ნასვამი ლუკა თბილისში ბრუნდება, ღამით ქუჩაში იგი გადამთვრალ, მასზე „გადამტერებულ" პატარა ხულიგანს ხვდება. მაგრამ მანამდე არის მოთხრობაში ერთი „უმნიშვნელო" დეტალი, რომელიც ადამიანურ კეთილშობილებას განსაკუთრებულად უსვამს ხაზს. უცნობი მძღოლი, რომელსაც თბილისში ჩამოჰყავს კახეთიდან, ყურძნის ორ კალათს აჩუქებს ლუკას. ასეთ სიტუაციაში გადაეყრება იგი პატარა ხულიგანს, რომელმაც იცნო ლუკა და მუშტმოღერებული გამოეშურა მისკენ. პატარა ხულიგანი ნაცემია. ეს კიდევ უფრო აძლიერებს შურისძიების გრძნობას მასში. პატარა ხული-

განის მრისხანების წინაშე მეტი სიცხადით გამოჩნდა ლუკას პიროვნული ბუნების სიმდიდრე, რომელიც თანაგრძნობის საოცარი მიმზიდველობით შეიმოსა და ასეთ სიტუაციაშიც კი ჩაუქრო ჩხუბის სურვილი წონასწორობიდან გამოსულ ქუჩის ბიჭს. ამ თანაგრძნობის გამოძახილი ჟონავს ლუკას შეკითხვაში: „გცემეს, პატარა ხულიგანო?“ გაქრა მრისხანების ყოველგვარი კვალი. ჩაიშალა გულგრილობის კედელი და პატარა ხულიგანი მორჩილი სახით ასრულებს ლუკას რჩევას: შედის ეზოში, ისუფთავებს ონკანთან ტანსაცმელს, მორჩილადვე გამოართმევს ცხვირსახოცს ლუკას, ასველებს და იფენს ნაცემ, ჩალურჯებულ ადგილებზე. შემდეგ მორჩილადვე მიაქვს მიწოდებული ყურძნის აკიდო სახლში.

„პატარა ხულიგანი ნაცემი ბრუნდებოდა შინ, მაგრამ ხელთ დიდი აკიდო ეჭირა“, — გვეუბნება მწერალი. ვისაც მოთხრობა გულისყურით წაუკითხავს, დამეთანხმება, რომ ეს ადგილი არის ერთ-ერთი ულამაზესი სურათი. ადამიანური დამოკიდებულების სითბოს რომ გადმოსცემს. იგი გვაუწყებს ჰუმანიზმის დიდ ძალას.

საქმის პოეტური არსი ამ ეპიზოდში თავის ზენიტზეა. მისგან მოზღვავდა ლუკას არსებაში დიდსულოვნება:

„და ლუკას უცებ ისე მოუნდა შინ, თავის მაგიდასთან. და ისე იგრძნო რაღაც საოცარი, წარმოუდგენელი, დაუდუღებელი ძალა, რომ ისევ გაიღიმა და კაცმა, რომელიც მოთმინებიდან გამოიყვანა მისმა უმიზეზო ღიმილმა. ლუკასკენ გადაიხარა და შიშნარევი, მკრთალი მუქარით ჰკითხა:

— ბოდიში, თქვენ შემთხვევით სულელი ხომ არ ბრძანდებით?

ლუკას ჰკითხეს.

— არა, არა, — თავი გაიქნია და იმავე ღიმილით ახლა ტრამვაის ჭერს ახედა, სულ სხვას ფიქრობდა...

„ჩქარა, ჩქარა, — გაიფიქრა ლუკამ, — ვეღარ მივედი, როდემდე ვივლით...“.

„ლუკას საქმე ჰქონდა“. — იმეორებს მწერალი მოთხრობის დასასრულს იგივეს, რითაც ნაწარმოები დაიწყო. ეს განმეორება საგანგებოდ უსვამს ხაზს აქამდე იშვიათად ნახსენებ საქმის პოეტურ არსს, როგორც ადამიანის არსებობის გამართლებას და ურთიერთობის წარმმართველ პირობას.

## ცხოვრების რიტმი და სევდა

თამაზ გოდერძიშვილის მოთხრობა „ხელში გამომწყვდეულ ბელურასავით“ მოქმედების ვნებათაღელვით არის გაჟღენთილი, მოქმედება, საქმის დაუცხრომელი პათოსი და სულმოუთქმელი რიტმი თითქოს ადგილს არ უნდა უტოვებდეს ნაწარმოების ქსოვილში სევდას და მე მაინც შეგნებულად გავიტანე წერილის სათაურში ეს სიტყვა. მოთხრობის წაკითხვის შემდეგ მკითხველის სულში ღრმა სევდა ბატონდება.

არა თავისი ემპირიული ფაქტებით, არამედ ამ ფაქტების მამოძრავებელი რიტმით „ხელში გამომწყვდეული ბელურასავით“ ძალზე თანამედროვე მოთხრობაა. ჩვენს სინამდვილეში ცოტა იწერება ნაწარმოები, რომელიც ეპოქის გახშირებულ სუნთქვას გადმოსცემდეს. თ. გოდერძიშვილს მიზნად არ დაუსახავს ჩვენი დროის დინამიზმის სრულად გამოხატვა, მაგრამ სფერო, რომელიც ამ მოთხრობაში აიხახა, საშუალებას აძლევს მწერალს დროის რიტმი განგვაცდევინოს. ნაწარმოების ერთ-ერთი პერსონაჟი საყვედურს გამოთქვამს კომპოზიტორების მისამართით — მათ ვერ შექმნეს ნამდვილი მელოდია, სიმღერა, გეოლოგთა ცხოვრების არსს რომ შეესაბამებოდეს და მათ სულიერ მოძრაობებს პასუხობდესო; მათ სიმღერებში ჩანს სწორედ გეოლოგთა ცხოვრების უცოდინარობა და ზერელობაო. ეს საყვედური რამდენადმე ლიტერატურასაც ეხება. ყოველ შემთხვევაში, თ. გოდერძიშვილის კარგად დაწერილმა მოთხრობამ (გეოლოგებზე) ერთგვარი სინედლის განწყობილება შექმნა ჩემში. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ მოქმედება უმეტეს წილად ტაიგაში ხდება.

რა თქმა უნდა, გულუბრყვილობაა გმირთა პროფესიების მიხედვით ნაწარმოების შეფასება (ეს იმას ნიშნავს, რომ ზედაპირულობას მივცეთ გასაქანი მხატვრულ ნაწარმოებშიც და კრიტიკაშიც), მაგრამ როდესაც ნაწარმოები თავისთავად კარგად არის „შესრულებული“, სასიამოვნო ხდება თვით ახახული ამბების მრავალფეროვნებაც. მთავარი პირობის — მხატვრულობის — შემდეგ პროფესიული მრავალფეროვნების ფაქტორი ლიტერატურას ამდიდრებს თემებით, ცხოვრებაც მეტი სახალვათით აღიქმება მკითხველის მიერ. თანაც, ცნობილია, რომ განსხვავებული პროფესიის ადამიანებს განსხვავებული სულიერი წყობაც აქვთ. თ. გოდერძიშვილის მოთხრობაში ზომიერად არის წარმოდგენილი გეოლოგთა სულიერი ცხოვრებაც და ყოველდღიური საქმიანობის არსებითი მხარეებიც. მოთხრობის რიტმი მოტივირებულია, ამ გზით ფუნქციას იძენს ყოველი დეტალი, რომელთა გარკვეული ნაწილი დასაწყისში ერთგვარი ზედაპირულობით გვეჩრება თვალში. კულმინაციურ ნაწილში (თ. გოდერძიშვილი ერთგულად მისდევს ტრადიციული სიუჟეტური არქიტექტონიკის პრინციპს) კვლავ აღვიქვამთ ამ „ზედაპირულ“ ეპიზოდებს და ვგრძნობთ — ღრმა სულიერი მოვლენების გამომხატველნი ყოფილან ისინი: ნატაშასთან მისვლა, პაემანი ინკა მდივანთან, ქეიფი „ვოლგაში „ქერათმიან“

ტრიოსთან“ (ასე უწოდებს გურამ ოთარაშვილი თავის მოსკოველ მეგობრებს), მაგრამ გურამ ოთარაშვილის ცხოვრების ფურცლები დიდი მნიშვნელობის ამბებთან ერთად ამ ცოცხალი, ყოველდღიური სურათებითაც ივსება. მოთხრობას „დართული“ პირადი მიმოწერა მთელი სიღრმით გვაგრძნობინებს, რომ ზედაპირული მოჩვენებითობა მხოლოდ იმ მაგიურ რიტმს ამოჰქონდა მაღლა. ნიშანდობლივია, რომ ნაწარმოების გმირი სადღაც ამოკითხულ მეცნიერთა მნიშვნელოვან დაკვირვებას იხსენებს და თავის დასკვნასაც უმატებს: „როცა ცხოვრების სტილს ვიცვლით, ვიძენთ, — ან ვწყვეტთ დამოკიდებულებას ნივთებთან, გარემოსთან, ადამიანებთან, ვითავისებთ ახალ ინფორმაციებს და ახალ იდეებს, ჩვენ ვეგუებით, ესე იგი ვცხოვრობთ, ორიენტაციის ყოველი შეცვლისაგან, შეგუების ყოველი რეაქციისაგან ჩვენი ფიზიკური და სულიერი მექანიზმი ცვდება. ჩვენი თვისება კი ფიზიკური და სულიერი ძალების აღდგენისა უსასრულო როდია! — მართლაც არ არის უსასრულო ეს თვისება. ჩემი მაგალითიც საკმარისია ამის დასადასტურებლად. ეტყობა, უკვე მიცვდება სხეულისა და სულის ბორბლები, გული კი ფართხალებს ხელში გამომწყვდეულ ბეღურასავით, მაგრამ ფარ-ხმალს არ ვყრი. მალე მიხილავ დედაქალაქში, ისეთი ცეცხლი დავანთო, რომ არავის დაუნთია“. ამ სიტყვებში მოქცეულია ნაწარმოების დედააზრი, უფრო სწორედ იგი ერთგვარი შეჯამებაა გმირის გონებაში გავლილი ცხოვრების პერიპეტიებისა. იმავე რიტმის, როგორც ზემოქმედი ფაქტორის, გააზრებაც ივარაუდება ციტირებულ ნაწყვეტში. იგი ჩვენი თანამედროვე ცხოვრების რიტმია, ასე ნაცნობი და მახლობელი, თავბრუდამხვევი და მოუცილებელი, მას ემორჩილება ჩვენი ყოველდღიურობა, ყველა საათი, წუთი. კოლეგათა ცხოვრება მოთხრობაში კონკრეტული გარემოა, მაგრამ გეოლოგების ცხოვრებისათვის ნიშანდობლივი რიტმი საერთოდ გულისხმობს დღევანდელობის სტილსაც, რომელიც განაპირობებს ადამიანთა ხასიათებსა და მათ ურთიერთდამოკიდებულებასაც. არაფერს არ ტოვებს უკვალოდ ეს სტილი, — აქვს თავისი ღირსებებიც და გადაულახავი სირთულეც. იგი შლის სიმყარის საფუძველს ადამიანში, აძლიერებს ცვალებადობის განწყობილებას, აჩქარებს წარმავლობის ბორბლებს ფიქრში, განცდაში, მოქმედებაში. იგი თითქოს ყველაფერზე ღრმა კვალს ავლებს, იმდენად ინტენსიურია განცდა ადამიანში, მაგრამ საბოლოოდ სწორედ ღრმა კვალი არ რჩება არც ერთი ფიქრისა და გრძნობისა.

და მხოლოდ დასასრულს, როდესაც გონება განვლილ გზას აანალიზებს, სულს სინანული ეწვევა. აქედან იღებს სათავეს ღრმა სევდა, რაც ასე საგრძნობია გოდერძიშვილის მოთხრობაში. სევდა არ გამსჭვალავს ნაწარმოების ქსოვილს, არ იგულისხმება ნაწარმოების საერთო განწყობილებად, მაგრამ ამოტივტივდება ბოლოს, როგორც, ერთ-ერთი ძლიერი ტალღა. ბევრი რამ დააკლდებოდა მახლობელი სევდის გარეშე თ. გოდერძიშვილის მოთხრობას, იგი წყალწყალა ოპტიმისტური ნაწარმოებების რიგს მიემატებოდა.

მოთხრობაში საგრძნობია ორგვარი რიტმი — ზედაპირული და სიღრმისეული. გმირის სწრაფი გადანაცვლება ერთი ადგილიდან მეორეზე, დროის ზუსტი დანაწილება და ფუნქცირება, ენერგიული დიალოგები და ვნებათაღელვა — ყველაფერი სწორედ სიღრმიდან არის განსაზღვრული. სიღრმისეული ფაქტორი ყოველდღიურობის ჩვეულებრივ სურათებში იკითხება. იგი შიგნიდან ვაანათებს ხოლმე პერსონაჟების ხასიათს, და თვითგანსჯის მიუხედავად, თავის კანონებს ახვევს თავზე ყოველ მათგანს. მის ბიძგს ძირითადად ანგარიშმიუღებლად ემორჩილება გმირი (მომავალი საცოლის ოთახში საყვარელიც კი შეჰყავს).

ადამიანებისადმი სიყვარული მოთხრობაში წარმმართავი გრძნობაა. ზემოთ არაერთხელ აღნიშნული რიტმის შესაბამისად საოცარი ძალით მიესწრაფვიან ერთმანეთს მეგობართა სურვილები: შეხვედრა ინსტიტუტის ეზოში, ქეიფი „ვოლგაში“, ურთიერთდამოკიდებულება გეოლოგთა ჯგუფში... თანაც ამ სწრაფვის არსებითი ნიშანი უშუალობაა. იგი აწონასწორებს ყველაფერს და ადამიანის გრძნობების სიღრმეს ამეტყველებს. მწერალი არაფერს ამბობს იმაზე, გურამ ოთარაშვილის გარდა, სხვა ეროვნების წარმომადგენელიც თუ ურევია რუს გეოლოგთა ჯგუფს, მაგრამ მეგობრობის გრძნობის დიდი მასშტაბი ამ ერთი პერსონაჟის სულიერი ცხოვრების წიაღშიც კარგად ვლინდება. უშუალობა, მეგობრულ გარემოს რომ ახასიათებს, მშობლიურ წიაღად აღაქმევინებს ტაიგას გურამ ოთარაშვილს. იგი იქცევა ძალად, ენერგიად, რომელიც მის არსებას უკანასკნელ წუთამდე ვაჟკაცურ შემართებას შეაძლებინებს. ამ უშუალობის ძალა და სილამაზე მოთხრობის დასაწყისშივე გვაგრძნობინა მწერალმა:

„ალაყაფის კარი ჭრიალით იღება. მე ალიბაბაზე მდიდარი ვარ. ეს არც დარაჯმა იცის და არც ძია მიშამ. რაც აქ, ამ საკვლევი ინსტიტუტის შენობაში ახლა შევიტანე, მათთვის მიწაა და მეტი არაფერი.

სამტონიანისკენ თეთრხალათიანი, საკმაოდ ლამაზი ვაჟკაცი მორბის, კარს აღებს და ხელში მიტაცებს პატარა ბავშვივით. ეს ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი იგორ ოზეროვია. ვიცი, ახლა რასაც ჩაიდენს. იგორი ინსტიტუტის ეზოს შუაგულში დადგა. ეზო პატარაა და რვასართულიანი შენობებით გარშემორტყმული, საკმაოდ ღრმა, სუფთა და მშრალ ჭას

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰგავს. იგორმა ცერი და საჩვენებელი თითები პირში ჩაიდო და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, დაუსტვინა, პიკებმა არ დააყოვნეს, სამი ფანჯარა გაიღო და სამი ქერათმიანი თავი გამოჩნდა.

— გურამი ჩამოვიდა! — შეჰყვირა ოზერომა.

მალე თეთრხალათიანების ალყაში აღმოვჩნდი".

სენტ ეკზიუპერი ყველაზე დიდ ფუფუნებად ადამიანთა ურთიერთობას თვლიდა. ამ თვალსაზრისით ნაწარმოების გმირები უბედნიერესი ადამიანები არიან. მოთხრობაში დამაჯერებელია მეგობრული კეთილგანწყობის ატმოსფერო, რომლის წიაღშიც ფრთები გაუშლია საქმისადმი პატიოსნურ დამოკიდებულებას და თავდადებას. ეს უპირველესად გეოლოგთა ყოველდღიურ შრომასა და ცხოვრებაზე ითქმის: „ჩემს კარავში შევედი და სანთელი ავანთე, იქაურობა წკრიალებდა. ეტყობა ვიღაცამ იზრუნა და დაალაგა. რას გაიგებ, ვინ იყო?! ამის გამკეთებელი ალექსანდროვიც არის, პელმენიოვიც და სხვებიც. მეც დამილაგებია სხვისი კარავი. გეოლოგიურ პარტიაში ყველაზე დიდი ბოროტება მხოლოდ საკუთარი ვალდებულებებით შემოფარგვლაა. კარვის დალაგება რას მიქვია?! ხანდახან მუშა აკეთებს ჩემს საქმეს, უფრო ხშირად კი მე დავასწრებ ხოლმე, ხელს შევაშველებ, ასეა დანარჩენებიც".

მწერლის ყურადღება თითქმის მთლიანად გადატანილია გურამ ოთარაშვილის სრული პორტრეტის შექმნაზე, მაგრამ მის გვერდით ძალდაუტანებელი ბუნებრივობით ცოცხლდებიან სხვა პერსონაჟებიც.

მოთხრობის ქსოვილში ჩართულია ადიხანჯალას ზღაპარი. გურამ ოთარაშვილი ტელეპატიით არის შეპყრობილი, დამაჯერებელია მისი ავადმყოფობისათვის თანამდევი უცნაურობანიც. თანამიმდევრობის პრინციპით მწერალი წინასწარ შეამზადებს მკითხველს ყოველი მოულოდნელი, უჩვეულო ამბისათვის. ტაიგაში გურამის ავადგახდომა ორგანულად არის დაკავშირებული გეოლოგთა მეცნიერულ ძიებასთან. ტელეპატია და მეცნიერული სიზუსტე ერწყმის ერთმანეთს. მწერალი საგანგებოდ ამახვილებს ამ მოვლენაზე ყურადღებას. არ შეიძლება დიდი ინტუიციის გარეშე სიზუსტემ მიზანს მიაღწიოს, ან საერთოდ არსებობდეს მეცნიერული სიზუსტე. ადამიანის ბუნებისათვის უცხო არ არის წინათგრძნობა. „იაპონიის ღმერთიც" ამდენად სისხლხორცეული ნაწილია გეოლოგთა ცხოვრების.

და აი, სულ სხვა გარემოში, თითქოს სავსებით მოულოდნელად ცნობილი ქართული ზღაპრის მოტივი ჩაერთო. ავადმყოფობისაგან ცნობაწართმეულ გურამ ოთარაშვილს კუდიანი დედაბერი მოელანდა:

„— ადიხანჯალავ, ხიდს გახველ? — მკითხა დედაკაცმა.

— გაველ და თვალები კი არ დაგთხარემეთქი! — მივუგე.

— რა ჰქენ, როდის ჩაძაღლდებიო! — ისევ მკითხა.

— ვერ მოესწრები-მეთქი, — ვუპასუხე, — კიდევ დაგჭირდება მოცდა.

— ვითომ რატომაო?

— საქმეები მაქვს-მეთქი.

— კიდევ რატომაო?

— ახლა უკვე ყველაფერი დავაზუსტე და რა დროს სიკვდილია-მეთქი?

— კიდევ, კიდევ რატომაო?

— დედაჩემს ვეჯიბრები, მეტი სიმწარე აღარ უნდა ნახოს-მეთქი.

ეს რომ ვუთხარი, გაფრინდა, ის ხეც გაქრა, ის ბორცვიც და ისევ გაყინულ წყალში მოვადინე ზღართანი".

მოთხრობის დასასრულს მწერალი პირადი ბარათებით ავითარებს სიუჟეტს. ყოველი სტრიქონი იშვიათი ოპტიმიზმით ფეთქავს. ენერგიულია ფრაზა, ბატონობს რწმენა, დაძლეულია დროისა და სივრცის სევდანარევი განცდა. თითქოს წარმოუდგენელიც კი არის შავი ფერის გამოჩენა. მაგრამ ოპტიმიზმის ფარულ შრეებში ის მაინც გამოანათებს ხოლმე. ვგრძნობთ, რომ იმავე ენერგიულობის საზღვრებში ივარაუდება — იგი მოუცილებელი, თანამდევი ნიშანია ამ ენერგიულობის. მხოლოდ გაზეთიდან ამონაწერში (რომელიც მოთხრობას ერთვის), ირკვევა რა ახლოს ყოფილა გმირის აღსასრული. ამონაწერმა ამიტომაც შეიძინა ემოციური პლანი, იქცა მხატვრული ნაწარმოების ორგანულ ნაწილად. გაზეთიდან ამონაწერი ცნობის „ნიმშრალე" ერთბაშად, განმეორებით აღგვაქმევინებს მოთხრობას და ცხადყოფს, რომ სიცოცხლისეული მძაფრი რიტმისა და ენერგიული ხასიათების წიაღში თურმე გამუდმებით ფეთქავდა წუხილის ფერი.

## მითიური სუნთქვა

„განთავისუფლების შემდეგ შეკუმშული დრო ერთბაშად დაგრძელდა და როცა დაწყვა სცადა, მიხვდა, რომ ეს თითქმის შეუძლებელი იყო, წარსული უკან ექაჩებოდა, ცხოვრების ახალ აბიბინებულ ველ-მინდვრებს აცოცხლებდა, მაგრამ ხელშესახებად არაფერს იძლეოდა. შეიძლება ამაში თვით მას მიუძღოდა ბრალი, შეიძლება ცოტათი ეშინოდა კიდევ პირისპირ შეჩეხებოდა იმას, რასაც აწყობილი ცხოვრება და ცივილიზაცია უწოდეს".

ლიტერატურამ დიდი ხანია მითოლოგიას მიაშურა; მწერლობა მასში არა მარტო თვითგანახლების უშრეტ წყაროს ხედავს, არამედ დროთა უწყვეტ, ურღვევ კავშირსაც წარმოა-

ჩენს. მასშივე იგრძნობა სიდიადე და გამძლეობა ადამიანის ცნობიერების ფესვებისა. თანაც, უმეტესწილად მითოლოგია ჯადოსნურ სარკედ გვევლინება, რომელშიც წარსულთან ერთად აწმყოც სრულყოფილად ირეკლება. მითოლოგიის ქვეტექსტში უსაზღვრო სივრცე ივარაუდება, რომელზეც შეიძლება ყოველი დროის ცხოვრების წესი „მოთავსდეს". როდესაც ვაჟა-ფშაველამ ქართული მითები და ლეგენდები ახალ ესთეტიკურ სინამდვილედ აქცია, ერთბაშად და კიდევ ერთხელ საცნაური გახადა ჩვენს სინამდვილეში მითოლოგიის ცხოველმყოფელი ძალმოსილება. ერის სულიერი ცხოვრების ულრმესი შრეები განათდა ვაჟა-ფშაველას შემოქმედებით ჩვენს წინაშე. ამის შემდეგ თავისთავად შევიგრძენით „გადანახული" სიმდიდრე და სულიერი ენერგიის აურწყავი მარაგი. ვაჟა-ფშაველა საგანგებოდ მოვიშველიე, როგორც მაგალითი, რადგან მის შემოქმედებაში მეტი სისავსით ამჟღავნდა მითოლოგიის ფარული სიუხვე.

ბოლო ხანს ლიტერატურის შემობრუნება მითოლოგიისაკენ კიდევ უფრო ცხადია. მიზეზი, რაც ვაჟას დიდ ინტერესს ამოძრავებდა და მითოლოგიისაკენ მიაბრუნებდა, დღეს უფრო გაღრმავებულია. ათიოდე წლის წინათ ლიტერატურული სამყარო აალაპარაკა ჯონ აპდაიკის რომანმა „კენტავრი", რომელშიც არაჩვეულებრივი მხატვრული სრულყოფილებით და დამაჯერებლობით არის წარმოდგენილი ერთმანეთში შექრილი აწმყო და მითოლოგიური წარსული. აპდაიკის რომანი ლიტერატურის ისტორიის თანამედროვე ეტაპზე შემავსები აუზივით გამოჩნდა, რომელშიც თავი მოიყარა თანამედროვეობისა და წარსულის შეგრძნების საუკეთესო ნიშნებმა.

და მთავარი მაინც სხვა არის, მთავარი სწორედ გაღრმავებული მიზეზია, რომელიც მითოლოგიისაკენ ლიტერატურის შემობრუნების პროცესს წარმართავს.

რაც უფრო მეტი დაჟინებით მიიწევს ადამიანის გონება სამყაროს შეუცნობელი სიღრმეებისაკენ და რაც უფრო ართულებს ტექნიკური რევოლუციის პროცესს, მით უფრო მეტია შიშის გრძნობა და მისგანვე გაახკეცებული შეგნება კაცობრიობის ფესვების გაფრთხილებისა. ადამიანის არსში, რომელმაც მითი წარმოშვა და რომელიც პირუკუ მითმა ჩამოაყალიბა, ხომ არ მოხდარა ისეთი თვისობრივი ცვლილება, რამაც ხვალ შეიძლება წონასწორობა დაგვაკარგვინოს? ამიტომ ტექნიკური რევოლუციების ცხოველმყოფელ პროცესში გართულებული სულიერი ცხოვრების მითოლოგიასთან დამოკიდებულება მარადიული მნიშვნელობის თემად რჩება ლიტერატურისათვის. ამ თემას ლიტერატურა ათასგვარი ასპექტით წარმოაჩენს და თითქმის არასდროს არ ნელდება ინტერესი.

ქართული მწერლობის გზები გადაქსოვილია მითოლოგიის ფესვებით.

დღეს ქართული ლიტერატურის დაინტერესება მითოლოგიით მის დიდ სიცოცხლისუნარიანობაზე და სწორ ორიენტაციაზე მეტყველებს. ლიტერატურის განვითარებისათვის ახალი ფორმების ძიების პრინციპი არ გულისხმობს „არქაული ფანტაზიის" გვერდის ავლას. თუმცა ახალი ფორმების ძიება შეიძლება მითოლოგიისათვის გვერდის ავლითაც. და მაინც მითოლოგიასთან მიმართება განუსაზღვრელად მძლავრი თანამედროვეობის სუნთქვით გამსჭვალავს ეროვნულ მწერლობას. კონკრეტულად აღებულ ნაწარმოებში ამ თანადროულობის ხარისხი და დონე რამდენად ანგარიშგასაწევია, ეს მეორე მხარეა მსჯელობისათვის; მთავარი აქ ეროვნული ლიტერატურის მოწინავე პოზიციებზე დგომაა.

ორმა ნაწარმოებმა მიიქცია ყურადღება ამ თვალსაზრისით ბოლო წლებში: ოთარ ჭილაძის რომანმა „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა" და გივი მაღულარიას ვრცელმა მოთხრობამ „მითი". პირველში მითოლოგია თითქმის მთლიანად ეროვნული ასპექტით წარმოჩნდა, მეორეში — ზოგად ადამიანური წახნაგებით.

სტრიქონები, რომლებიც გივი მაღულარიას მოთხრობიდან ზემოთ მოვიტანე, თავისთავად ცხადყოფს ნაწარმოების თემასაც და სათქმელსაც. მწერალს თანამედროვე ცივილიზაციის გადასახედიდან აღქმული მითოლოგია აინტერესებს, მაგრამ არა როგორც ეგზოტიკა. ხაზგასმა იმაზე, რომ პრომეთეს „ცოტათი ეშინოდა კიდეც პირისპირ შეჩეხებოდა იმას, რაც დაღუპვისაგან იხსნა, რასაც აწყობილი ცხოვრება და ცივილიზაცია უწოდეს", მეტყველებს მითოლოგიური ამბის დიდ ფუნქციაზე სადღეისო ტკივილების გასამჟღავნებლად; ნაწარმოების სტრუქტურაზე მსჯელობა (რაც სრულებითაც არ გულისხმობს მისი თანმიმდევრობის გათვალისწინების აუცილებლობას), ნათელს გახდის მითოლოგიასთან მწერლის დამოკიდებულებასაც და ამ დამოკიდებულებით შექმნილ ესთეტიკურ ფასეულობასაც.

მკითხველს არ ჭირდება პრომეთეს მითის შეხსენება, აქედან გამომდინარე, არც იმის ახსნაა აუცილებელი, რისი სიმბოლოა პრომეთე კაცობრიობისათვის. გივი მაღულარია ითვალისწინებს ყველაფერ ამას და იმდენად მიმართავს მითიურ ამბავს, რამდენადაც სათქმელის ხორცშესასხმელად ჭირდება ის. მოთხრობის მთლიანობაში გააზრების შემდეგ გასაგები ხდება, რატომ იშველიებს მწერალი მითის ამბავს, რომელიც სიძველისა და გავრცელებულობის გამო ბანალურ სიუჟეტადაც კი აღიქმება თანამედროვე მკითხველის თვალში. ნაწარმოების დასასრულს მოტივირებულია მითის სიუჟეტის შეხსენება, თუმც მოტივირებული არ არის ზოგიერთი გაქიანურებული ადგი-

ლის ფუნქცია, რადგან ისინი ვერაფერს მატებენ მოთხრობის არსს. ამ მომენტზე წერილის დასასრულს საგანგებოდ შევჩერდები, რადგან იმ მასშტაბის ნაწარმოებისათვის, როგორიც „მითია", შინაგანი სრულყოფილება აუცილებელი პირობაა. „მითი" არ არის ამ ნიჭიერი მწერლის რიგითი ნაწარმოები, რომ ასატანად მივიჩნიოთ ზედმეტობანი, რაც მას აზასიათებს. მოთხრობა, ჩემი აზრით, (თუ მას მწერლის აზრიც დაემთხვევა) უნდა განიტვირთოს ამ ზედმეტობისაგან.

მანამ კი ვეცდები ის ფარული სიმდიდრე წარმოვაჩინო, რაც „მითის" სახეს განაპირობებს. იმ შიშსა, რომელიც ცივილიზებული კაცობრიობის შემყურე — განთავისუფლებულ პრომეთეს დაუფლებია ნაწარმოების დასასრულს და იმ ლიდ სურვილს შორის, რომელიც დაბეჩავებულ ადამიანთა მოდგმის შემყურე პრომეთეს განმსჭვალავს მოთხრობის დასაწყისში, უწყვეტი კავშირია:

„დედამიწაზე უკეთ გრძნობდა თავს, საინტერესოსაც მეტს პოულობდა. მხოლოდ ერთი რამ უკლავდა გულს. ბუნება უყვარდა, ათასფრად ილებებოდა. ცხოველები ლაღად დანავარდობდნენ. მრავლდებოდნენ, ადამიანები კი — ვერას ეს მკვიდრი და ნაბოლარა შვილები — ჩამომხმარ აჩრდილებივით დაბორიალობდნენ. პირზე მომდგარ დუეს გაძვალტყავებული ხელით იწმენდდნენ და ღამეს ნესტიან გამოქვაბულში ათევდნენ. მათთან გამოლაპარაკებას აზრი არ ჰქონდა, რადგან არც სიტყვის მნიშვნელობა იცოდნენ და არც ამ ქვეყნისა გაეგებოდათ რამე. ცხოვრობდნენ ჯოგად, უმოქმედოდ, უმომავლოდ. თუ რამეს იშოვიდნენ, უაზროდ ჭამდნენ. დამუწუკებულებსა და დაგლახაკავებულებს წარმოდგენა არ ჰქონდათ, რა საუნჯეს ატარებდნენ თან, რა საოცრებას მალავდა მათი თავის ქალა".

ადამიანების მიმართ პრომეთეს სიბრალულში უკვე თვლემს იმედის ნაპერწკალი — თვლემს გარკვეულ დრომდე. მაგრამ ადამიანის დაჩლუნგებული გონების წიაღში ფესვს იკიდებს სწრაფვისა და შემართების ნიშატი. იგი უკუნი სიბნელიდან სინათლეში გასახედად გამოჭრილი სარკმელია, რომელიც წყვდიადს ოდნავღა თუ აბაცებს ჭერჭერობით. „ღმერთებმა დაუფიქრებლად წაართვეს ადამიანებს ის ერთადერთი იარაღი, რომელიც საარსებოდ ჭირდებოდათ, წაართვეს გონება, აზროვნების უნარი და მთელ დედამიწაზე ყველაზე უბადრუკ არსებად აქციეს".

სიბრალულის გრძნობა პროტესტის ნაკადს შეუერთდა პრომეთეს სულში და ამ შერწყმამ ერთბაშად გაანათა მისი ფიქრების ხვეულები. სინათლემ საკუთარი მოწოდების შეცნობისაკენ უბიძგა უკვდავ ღმერთს. რაკი შეცნობამ წარმართა პრომეთეს ფიქრების მდინარება, ოლიმპოს კანონები და წესები დისჰარმონიულად აირეკლა და სულ უფრო ცხადად გამოიკვეთა სამოქმედო ასპარეზიც.

ანალიტური მხატვრული აზროვნების უნარი საშუალებას აძლევს მწერალს ორმხრივ წარმართოს თხრობა: არა მარტო ხატოს, არამედ მისგან წაკითხული მითოლოგიის არსიც გააშიშვლოს.

არჩეული თემის სიღრმე მწერლური ფვალთახედვის მაქსიმალურად დაძაბვას მოითხოვდა. ამ თემის დამუშავებისას თუ ყველა მონაკვეთს ფანტაზიის სიცხოველე არ წარმართავს, მითოლოგიის ვარირების მეტი არაფერი შეგვრჩება ხელთ. ეს ფაქტორი გათვალისწინებული აქვს გივი მაღულარიას. . ამით არის გამოწვეული ასოციაციების ის მოზღვავება, რაც ყოველი აბზაცის კითხვისას იგრძნობა. ასოციაციები უმეტეს წილად შინაგანად აღრმავებენ მითოლოგიასა და სინამდვილეს შორის მდებარე სივრცეებს, ზოგჯერაც აბლაბუდასავით ეკვრის მითსაც და სინამდვილესაც.

წინააღმდეგობა, რომელსაც პრომეთეს ხულისკვეთება აწყდებოდა თავის გზაზე, მწერლის მიერ გააზრებულია კაცობრიობის მრავალსაუკუნოვანი მსვლელობის წინააღმდეგობათა სიმბოლოდ, ხოლო პრომეთეს მოქმედების აზრი ამავე კაცობრიობის ცხოვრების აზრად. პრომეთეს მიზანი ერთდროულად გულისხმობდა ადამის მოდგომის გამოყვანას უძრავი არსებობის წრიდან და თვალისდამთხრელი ალმართის წინაშე დაყენებასაც. მაგრამ გონებრივი უძრაობის წრიდან ადამიანთა გამოყვანა გონიერი არსებობის დასაწყისსაც ნიშნავდა, რაც ვერაფრით ვერ დამაგრდებოდა ერთ ადგილზე (ციდევაც რომ განეჭვრიტა არასახარბიელო მომავალი). პრომეთე იტაცა უძრაობის წრიდან ,ადამიანის გამოყვანის ვნებათაღელვამ და ღმერთების ეჭვიანი მზერით გარემოსილმა მისმა გონებამახვილობამ შეძლო ცეცხლით გაენათებინა ადამიანის გონება.

მწერლის ჰორიზონტის სიფართოვე მჟღავნდება არამარტო მხატვრულ ქსოვილში, არამედ, უპირველეს ყოვლისა, თხრობის ლოგიკაში, რაც აწესრიგებს ნაწარმოების დედააზრის სიუჟეტს. დედააზრის სიუჟეტი ხშირად იკარგება ხოლმე არაერთი მწერლის შემოქმედებაში. გივი მაღულარიას მოთხრობასთან დაკავშირებით ამ საკითხზე იმიტომ ვამახვილებ ყურადღებას, რომ მწერლის არც ერთ ნაწარმოებში დედააზრის სიუჟეტი თითქმის არ იქსაქსება. ნაწარმოების რგოლები გარკვეული თანმიმდევრობით და ლოგიკური აუცილებლობით გადადიან ერთმანეთში.

ზევსის ნება, მისი წარმმართველი კანონები „მითში" გააზრებულია ალეგორიად. ხალხის განვითარების თავისუფლება, რომელსაც უკეთილშობილესი მიზანი — შინაგანი ჰარმონიისაკენ სწრაფვა განსაზღვრავს, არაერთხელ შეუბორკავს ტირანიას, ამ ტირანიის თავ-

დაპირველ ფესვად მითოლოგიური ზევსის ხანა ივარაუდება. „მითში“ კონკრეტული ისტორიული სიტუაციების გახსენება მეორე პლანია. საერთო ხაზი ნაწარმოებისა ვარაუდობს ორგანულ კავშირს ცივილიზებულ კაცობრიობასა და ზევსის ეპოქას შორის.

„მითის“ მიხედვით ზევსი კარგად გრძნობს ადამიანთა სულისკვეთების მიმართულებას (თუ გონება გაუნათდებათ და წყვდიადიდან გამოვლენ). ზევსმა იცის კაცობრიობის მიერ გასავლელი ყველა სტადია. მის წინასწარმეტყველებაში ყოველი აზრი მკაცრი ლოგიკით არის ჩამოსხმული: „... ყველა ჩვენთვის ცნობილ საიდუმლოებას ეზიარებიან და ჩვენსა და მათ შორის გავლებულ ზღვარს წაშლიან. დაიწყებენ ხელისუფლებისათვის ბრძოლას, რაიმე ნიშნების მიხედვით დაჯგუფებას, მიწების დატაცებას. დააარსებენ სოფლებს, ქალაქებს, სახელმწიფოებს. გამოიგონებენ ტვინის საღრძობ ანბანს, გულისამრევ მუსიკას, ქვის გამოჩორკნას, არაფრად ღირებულ ფულს. ერთმანეთის მოტყუებას პოლიტიკას დაარქმევენ, ერთმანეთის ძარცვას კი — ვაჭრობას. როცა ცოტა მოღონიერდებიან, ცისკენ დაიწყებენ ყურებას, გაღმერთებას მოინდომებენ, მაგრამ ვერც მიწას მოსწყდებიან და ვერც ცხოველურ მდგომარეობას დააღწევენ თავს... რა წარმატებასაც არ უნდა მიაღწიოს კაცობრიობამ, გონიერი მაინც ვერასოდეს გახდება. ერთხანს დიდი ვაი-ვაგლახით იბოგინებს ამ ქვეყნად, მიწას, წყალსა და ჰაერს დაიპყრობს, მაგრამ შემდეგ თავისივე უგუნურებით მოუღებს საკუთარ თავს ბოლოს“...

რა თქმა უნდა, ზევსის პრინციპები თანამედროვე აზროვნების დონიდან არის წაკითხული: ადამიანის ფანტაზიის მიერ შედგენილ სამყაროს მითოლოგიურ მოდელში ეს მომენტი აღძრავს უდიდეს ინტერესს. ამ ასპექტიდან იგივე ფანტაზია სხვა ტრაექტორიას იღებს, ახალ სივრცეებს აწყდება. გივი მაღულარიას კარგად აქვს შეცნობილი მითოლოგიური მოდელის ეს უღელტეხილი, ამიტომ თითქოს განსაკუთრებული ყურადღებითაც არის გარემოსილი ნაგულისხმევი ადგილი მოთხრობაში. ოლიმპოზე, სადაც ზემოთ მოტანილ სიტყვებს წარმოთქვამს ზევსი, შიშისაგან გაბზარული ღმერთების ფიქრი ლოდივით გდია, მათ არავითარი ძალა არ შერჩენიათ ზევსთან დასაპირისპირებლად: „დუმილი ისე დამძიმდა, რომ წელის გამართვა, თავის მაღლა აწევა ჭირდა. უმცროსი ღმერთებისათვის ზევსის წინაშე ხმის ამოღება ქვეყნის დაქცევას ნიშნავდა, მაგრამ უკეთეს დღეში არც სავარძელში ჩასვენებულნი იყვნენ. გაქვავებულ დუმილში ბედისწერა და გარდუვალობა იგრძნობოდა. მართალი აქ მხოლოდ ერთი შეიძლებოდა ყოფილიყო, დანარჩენები კი ან მტყუანი ან მოღალატე. სამყარო უზარმაზარ ქსელს დაემსგავსა, რომლის ყოველ უჯრედში შეშინებული არსება იყო გაბმული და საკუთარ ჩრდილს ეფარებოდა“.

ზევსის სიტყვაში უზუსტო, ულოგიკო თითქოს არაფერი იყო, მაგრამ დუმილი, რომელიც მის სიტყვებს მოჰყვა, იმასაც მოწმობდა, რომ ზევსის სიტყვების ლოგიკა წყვდიადის ლოგიკაა. იგივე დუმილი იმასაც ნიშნავდა, რომ წყვდიადისა და სიკვდილის გარდა კიდევ არსებობდა სიცოცხლის ლოგიკა, რომლის კარნახითაც ვიღაცას უნდა გაეცა პასუხი ზევსისათვის .ეს ვიღაც პრომეთეა. პრომეთე უკუაგდებს ზევსის აზრს, იგი ამტკიცებს, რომ ოლიმპოს ღმერთები სიცოცხლის მოწოდებას უნდა ემსახურებოდნენ.

„ამიტომ ადამიანები კი არ უნდა მოვსპოთ, არამედ გავამხნეოთ, ფეხზე წამოვაყენოთ, დავუბრუნოთ რწმენა, თავისუფლება, მივცეთ იმის საშუალება, რომ გაარჩიონ ავი და კარგი, შექმნან თავიანთი კერა, ისწავლონ შრომა და ბრძოლა, შეიცნონ გარე სამყარო და საკუთარი თავი... ამასობაში ადამიანები სოფლებსა და ქალაქებს ააშენებენ, შექმნიან ჰიმნებს, სამლოცველოებს, საკურთხევლებს. მიწის დამატკბობელი სურნელება ჩვენამდეც მოაღწევს და ნეტარებით აგვავსებს“.

პრომეთეს გზა კაცობრიობის ჰარმონიულ განვითარებას გულისხმობს, ზევსის აზროვნების ლოგიკა კი ადამის მოდგმას თვითმკვლელობას უწინასწარმეტყველებს. მაგრამ „სიცოცხლის მოწოდებამ“ ფარ-ხმალი დააყრევინა ზევსს. იგი დაეთანხმა პრომეთეს იმ ვარაუდით, რომ მის უკვდავებას ადამიანების თავისუფლება ვერაფერს ავნებდა.

ცნობილი მითოლოგიური ამბავი, რომლის მიხედვითაც პრომეთემ ზევსი მოატყუა — მოზვრის მოჭრილი თავი და ხორცისაგან გაცლილი ძვლები შეაპარა, — მწერალს გააზრებული აქვს როგორც ადამიანის პირველი ალზევების ფაქტი. ადამიანში მკვიდრდება საკუთარი თავისადმი რწმენა და ფერმკრთალდება შიში ზებუნებრივი ძალებისადმი.

ზევსის სიტყვებია (პრომეთეს მიმართავს):

„მე ამ ძვლებს არ ვწუწნობ, მაგრამ შენი მუხანათობა უბედურების მეტს არაფერს მოუტანს კაცობრიობას. როცა უაზრო შრომისა და ბრძოლისაგან დაიღლებიან, როცა ამ ცხოვრებას ვერც თავს მოაბამენ, და ვერც შეელევიან, შენც დაგწყევლიან და თავის თავსაც“.

პრომეთე, ესოდენ მკაცრი გაფრთხილების მიუხედავად, თავისი მიზნის ერთგული რჩება. სიცოცხლის ვნებათაღელვა ადამიანის გონების გასანათებლად უბიძგებს. მან მოიტაცა ცეცხლი ოლიმპოდან და ადამიანებს მისცა. დაიწყო წყვდიადიდან ადამიანის გამოსვლის ხანგრძლივი და რთული პროცესი, რაც „მითის“ ავტორს კონკრეტულად ნაკლებ აინტერესებს. მისი ყურადღების ცენტრში პრომეთეს სულის

მოძრაობაა. „—ის, რისთვისაც შენ იბრძვი, ქაოსის წუთიერი ღიმილია და მეტი არაფერი“, — უთხრეს ერთხელ პრომეთეს. პრომეთესთვის აზრი აქვს „ქაოსის წუთიერი ღიმილისათვის“ საუკუნო ტანჯვის ატანას. ამ ღიმილს, მისი აზრით, ვერაფერი შეედრება. სამყაროს გაუვალი წყვდიადი პრომეთეს რწმენით ამ ერთ ღიმილს ესწრაფვის, ამდენად პრომეთეს გაცნობიერებული აქვს თავისი მოქმედების ყველა პერიპეტია. მწერალი გმირის სულიერი ცხოვრების ურთულეს ხვეულებს ანათებს, ხოლო ნაწარმოების დედააზრს ქვეტექსტები კიდევ უფრო ამძაფრებენ. თანაც პრომეთე ესწრაფვის ეს წუთიერი ღიმილი აქციოს მარადიულ სინათლედ, რომელიც წყვდიადს დაუპირისპირდება. აქ იბადება მისი ტრაგედიის ფესვები, რომელიც კაცობრიობის ცხოვრების გზებთან არის გადაწნული და მისი მდინარების სიღრმეშია ჩატანილი.

მითის გააზრებას თავისი მიზანდასახულობა აქვს მუდამ. მაგრამ თვით მითიური ამბების მხატვრულ ხორცშესხმას მოთხრობაში თავისი სიმაღლე და ხარისხი თუ ამართლებს. „მითში“ არის ადგილები, სადაც მწერლისეული წარმოსახვის ძალა შესაძლებლობის მაქსიმუმს ავლენს, პრომეთეს მიჯაჭვის სურათი იშვიათი ოსტატობით არის გაცოცხლებული. ასევე ითქმის მოთხრობის რამდენიმე ადგილზე. ხშირად მთელი სისრულით განათდება მითიური სინამდვილე და მისთვის ნიშანდობლივ სურნელებას შემოგვაფრქვევს.

ნაწარმოების მაგისტრალური ხაზი იტოტება, იკრებს პარალელურ ამბებს.

„მითის“ ესთეტიკური ღირებულება განთავისუფლებული პრომეთეს ხასიათში იძირება. როგორ შეიგრძნობს განთავისუფლებული პრომეთე მისგანვე გზაგახსნილი კაცობრიობის ცხოვრების წესს? პრომეთეს მიმართება ცივილიზებული მსოფლიოს ცხოვრების წესთან განუსაზღვრელი სიღრმის სევდად გვაგრძნობინა მწერალმა. პირობითობა ისე აქტიურად აკავშირებს ერთმანეთთან მითსა და სინამდვილეს, რომ პოლუსების სიშორე ერთი წუთითაც ვერ ანელებს სევდას. განთავისუფლებული პრომეთე თანამედროვე ადამიანია, მგრძნობიარე მიწიერი, ოღონდ არქაული წარსულის სიმძიმით დასჯილი: „ზემოდან დედამიწა კუნძულებით მოფენილ ოკეანეს ჰგავდა. უსასრულო სივრცის ფსკერზე დალექილი ცხოვრება გადარეცხილივით დუმდა და ერთი წუთით დაღლილობა იგრძნო“.

განთავისუფლებული პრომეთე დედამიწას უბრუნდება. მის ცნობიერებაში, როგორც ყველაზე ნათელ ასპექტში, უნდა გადატყდეს კაცობრიული ცხოვრების ავან-ჩავანი. მწერლის ფანტაზიის მობილიზება მოითხოვა ამ ამოცანამ. მწერალს სურდა ეგრძნობინებინა მითისა და სინამდვილის შეხვედრა პრომეთეს ხასიათში. შეხვედრა იმისა, რაც არსებობას პრომეთეს უნდა უმადლოდეს და პრომეთესი, რომელიც თავისი არსებობის აზრად ადამიანთა ცხოვრების მოწესრიგებას თვლიდა. პრომეთემ საშინელი მარტოობა იგრძნო ამ შეხვედრით: „უწყლობა ახლა ისე არ აწუხებდა, როგორც ადამიანებთან შეხვედრა. რა უნდა ეთქვა, რა პასუხი გაეცა კითხვაზე, როგორ გაემხილა საკუთარი ვინაობა, ვინ დაუჯერებდა, რომ ტყვეობას თავი დაეღწია და საბერძნეთში დაბრუნდა, ვინ შესძლებდა გაწყვეტილი, კვალგადარეცხილი დროის აღდგენას და გადაბმას, გამოხუნებული საუკუნეების ერთმანეთთან დაკავშირებას“. ჩემგან ხაზგასმული სტრიქონები ნათლად მიანიშნებენ მწერლისეული სტილის ტევადობაზეც და წვდომის ძალაზეც.

შესანიშნავი ოსტატობით არის წარმოჩენილი ოლიმპოზე ასული პრომეთეს ფსიქოლოგია. ყველაფერი აქამდე თითქოს მკითხველის შესამზადებლად დაიწერა, რომ მან მთელი სისრულით აღიქვას ის სევდა, რაც ოლიმპოზე მოხვედრილ პრომეთეს სულს დაუფლებია.

განთავისუფლებული პრომეთე უთვალავი საუკუნის შემდეგ უბრუნდება მიტოვებულ, გავერანებულ ოლიმპოს. აკროპოლის ყოველი დეტალი, სიჩუმის ყოველი მოძრაობა ალმასის სიმკვრივეს ანიჭებს პრომეთეს სევდას, აუტანელი წონა შეიძინა მან. ადამიანურია ამ სევდის ასპექტი, ოლიმპოს ღმერთების ნიშანდობლივი ხასიათი ჩამოშორდა. უშორესი წარსულის ფენებში გამოიარა ამ კაცობრიულმა სევდამ. სწორედ პრომეთეს მიერ შეგრძნობილი ოლიმპოს მდუმარება, გავერანებული ღმერთების სასახლის დანახვა არის ნაწარმოების შინაგანი ენერგიაც და ესთეტიკური ღირებულებაც. ვრცლად აღწერს მწერალი ოლიმპოს მდუმარებას, ღმერთებისა და ღვთაებების გაქვავებულ გამოსახულებებს. იბადება მოლოდინის გრძნობა, რაც საშინელი მდუმარების დიდი ოსტატობით აღწერამ აღძრა ჩვენში და ამ მოლოდინის გრძნობას განასრულებს პრომეთესაგან გაქვავებული ზევსის დანახვა. აქ კი პრომეთეს სევდა ტკივილად იქცევა: „იგი ჯერ კიდევ კედელს ათვალიერებდა, როცა ზურგს უკან შეშფოთებული, ჟრუანტელის მომგვრელი გრძნობა იშვა და მთელ მის არსებას დაეუფლა. იმ ადგილიდან, სადაც უწინ ტახტი იდგა, სიცივე მოედინებოდა, გარს ერტყმოდა, აზრის მოკრების საშუალებას არ იძლეოდა. თავისუფლად მოძრაობა მხოლოდ მაშინ შესძლო, როცა შუა დარბაზში გავიდა. საკუთარი ფეხის ხმით გამხნევებული დინჯად უახლოვდებოდა იმ ადგილს, სადაც უწინ კოცონი გიზგიზებდა და უეცრად ელდანაკრავივით შეჩერდა. ტახტზე ვიღაც იჯდა. დაღლილსა და გაწამებულს რა არ მოსჩვენებია აქამდე, მაგრამ ასე არც მოჩვენებას შეუზღუდავს

და არც ზმანებას. შუბლი, ცხვირი, ღიად დარჩენილი თვალები, ყოველი ლაქა, ყოველი ნაოჭი იმდენად ნაცნობი იყო, რომ გაკვირვებისაგან უყვირილიც კი აღმოხდა. მის წინ ზევსი იჯდა. გაქვავებული, კისრამდე საკუთარ ბალანში ჩაფლული ზევსი, რომელსაც ბაგეებზე მწარე, ბედს დამორჩილებული მბრძანებლის ღიმილი შერჩენოდა".

ჩამქრალი მითოლოგიური სამყარო მთელი არსებით აქვს განცდილი მწერალს და ჩვენც განვგვაცდევინებს. ამ ადგილებში განსაკუთრებით სათუთია ყოველი სიტყვა, სულის ყოველგვარი მოძრაობა. არსების სიღრმიდან თითქოს სენტიმენტალიზმის ვულკანი აპირებს ამოხეთქვას, მაგრამ რაციონალიზმით გაულენთილი ფანტაზია აწესრიგებს გადაჭარბებულ შეგრძნებას.

ოლიმპოდან უკუქცეული, სევდით გულგასენილი პრომეთე სანაჰ არქაული წარსულის კიდევ ერთ მოჰიკანს — ქირონს მიადგებოდეს, ადამიანთა ცივილიზაციას ალიქვამს მალულად. განჭვრეტს ადამიანთა ცხოვრების ავსაც და კარგსაც და, რაც მთავარია, გრძნობს, რომ მისი გაგება და მიღება არავის არ შეუძლია. აქედან: ადამიანებმა მიატოვეს არამარტო ღმერთების კერა, არამედ მათთვის გზის გამკაფავ ღმერთზეც ფიქრი. „ყველას იმდენი საქმე და საზრუნავი ჰქონდა, რომ მისთვის არავის ეცალა". და მხოლოდღა პრომეთეს დააწვა სწრაფვის დიდი ტვირთი ბეჭებზე, სწრაფვისა, კაცობრიობის ამაღლებას რომ ისახავდა მიზნად. აქ მწერალს სიმბოლური მნიშვნელობის ეპიზოდი აქვს ჩართული: პრომეთეს მშვენიერ იდეას უსათუოდ უნდა მოეხიბლა ხალხი და ამიტომ ლოდი, რომელიც პრომეთეს ეკიდა ზურგზე, ხალხმა გაინაწილა. ისინი პრომეთესთან ერთად მიეშურებოდნენ წინ. „სიცარიელე ამოივსო, აზრი მოსულიერებული თევზივით ფართხალებდა, მაგრამ მიწა ოფლითა და სისხლით ირწყვებოდა, იხუთებოდა, ხეივანს კი ბოლო არ უჩანდა, ხალხი უსასრულობის შიშმა შეიპყრო". და შემდეგ ყველაფერი უკუღმა დატრიალდა — უსასრულობის შიშმა ადამიანებს ხელი აალებინა ლამაზ იდეალებზე და დაქუცმაცებული ლოდის ნაწილები ისევ პრომეთეს ზურგს დაუშინეს. „ქვა ქვას ეწებებოდა და ერთ მთლიან ლოდად იკვრებოდა". ტვირთი ისევ პრომეთეს დარჩა. მისთვის ამით დასრულდა არსებობის აზრი.

პრომეთემ პირდაპირ ქირონის გამოქვაბულს მიაშურა. შემდეგ ორივენი ტრიალ მინდორზე გავიდნენ. ქირონს აქ ქვესკნელის ძალი უნდა გამოეხმო და არყოფნაში გადახულიყო. უკვდავთა გაქრობა მითოლოგიის პირობითობით დაგვიხატა მწერალმა. პირობითობამ საშუალება მისცა გაემძაფრებინა ქირონისა და პრომეთეს გარდავლენის სურათი. მიწიერი ცხოვრების სიტკბოებამ სინანულის ტალღა გააყოლა თითქოს საუკუნეების შემცნობ და შემსრუტავ, აწ უსასრულობაში გათქვეფილ პრომეთეს პიროვნებას.

„უეცრად მიწა აგუგუნდა, მინდორი გაიპო და უზარმაზარმა შავმა ხახამ ქირონი შთანთქა. უფრო სრულყოფილი სიბნელე არასოდეს ენახა. უძირო უფსკრული მის ფეხებთან იწყებოდა, მთელ ამქვეყნიურ სინათლეს ისაკუთრებდა და არავითარ სხვა უსაზღვროებას არ სცნობდა. შეშფოთებულმა ხელები უკან წაიღო, ხმელ ბალახს ჩაეჭიდა, მაგრამ სწორედ ხმელი ბალახის სიხეშეშემ აგრძნობინა, რომ დრომ ყველაფერი თავისთვის მიითვალა, არავის არაფერი შეარჩინა. რაც უფრო ვიწროვდებოდა უფსკრული, მით უფრო სწრაფად ირღვეოდა მისი სხეული, იშლებოდა ნაკვთებად, უჯრედებად, უმცირეს ნაწილაკებად; იბინდებოდა, ითიშებოდა გონება. იხუთებოდა სული და როცა ცნობიერება წყალში ჩავარდნილ ნაპერწკალივით ჩაქრა, ვერავინ გაიგო რა მოხდა — მიწამ ჩაყლაპა, ჰაერში გაიბნა თუ ცამ აიტაცა".

ნაწარმოების მაგისტრალური ხაზი — თანამედროვე ცივილიზაციის გადასახედიდან აღქმული მითოლოგია — შეიწოვს პრომეთეს შესახებ ცნობილ ყველა არსებით ამბავს და აგუებს მხოლოდ იმ ამბავს, რომელიც დედააზრის სიუჟეტს ჰირდება განსავითარებლად. ნაწარმოების გამიზნულება მის მკაცრ სტრუქტურასაც გულისხმობს. „მითის" მომთხოვნელობა სიუჟეტისადმი მართლაც რომ მკაცრია, ზევსისა და პრომეთეს ლოგიკის დაპირისპირება მოთხრობის დაკრისტალებული ლეიტმოტივია. ამიტომ ნაწარმოების შინაგან მთლიანობას არღვევს ზოგი ადგილი. არ არის მოტივირებული, თუ რისთვის აღადგენს პრომეთე მეხსიერებაში კრონოსის დამხობას და ზევსის ტახტზე ასვლას. ის ფაქტი, რომ კრონოსის დროს კაცობრიობა შედარებით უკეთესად ცხოვრობდა და ზევსმა ადამიანების თავისუფლება აღაგმა, არაფერს მატებს ნაწარმოებს (თავისთავად კრონოსის ბორიალი ტყეში, თაფლის ჭამა, ძილი და ზევსისაგან მისი გათოკვა მშვენივრად არის აღწერილი. იქნებ ამიტომაც ვერ „გაწირა" მწერალმა ეს ადგილი, მაგრამ არსებობს ნაწარმოების ლოგიკა, რომელიც ყველაფერზე მაღლა დგას. იგი ვერ ითმენს ლოგიკურად გამართული ნაწარმოების ქსოვილში ზედმეტი სურათების ჩართვას, თუნდაც ეს სურათები მომხიბვლავი იყოს). ასევე ზედმეტად მეჩვენება იოს ეპიზოდი. არც ოლიმპოზე პრომეთეს ასვლის ეპიზოდია მოტივირებული (ცეცხლის მოსაპარავად). მკითხველისთვის ის კი არ არის არსებითი, თუ რა დეტალებით შეავსო მწერლის ფანტაზიამ ცეცხლის მოტაცების ამბავი, არამედ ამის შემდგომ დატრიალებული ამბებია საინტერესო, რადგან ნაწარმოები პრომეთეს მისიის შედეგზეა დაწერილი, და იმ ადგილებში, რომლებიც მო-

თხრობისეულ ლოგიკას არ ექვემდებარება, ნატურალისტური აღწერა ჭარბობს.

უფრო ღრმა უკმარობის გრძნობებს აღვიძებს მოთხრობის პირველ ნაწილში გაჭიანურებული თხრობა. იგი ბალებს მითის გადამლერების ილუზიას. ნაწარმოების მეორე ნაწილში, სადაც მწერალი გვიხატავს პრომეთეს შეხვედრას ადამიანთა ქვეყანასთან და ჩამქრალ ოლიმპოსთან, აგრეთვე ქირონთან, სიახლეს და მხოლოდ სიახლეს ვგრძნობთ, რადგან არსებითია სწორედ განთავისუფლებული პრომეთეს ცნობიერებაში არეკლილი აწმყო და არა მხატვრული ვარიაცია მითოლოგიური ეპიზოდებისა. როდესაც გივი მაღულარია მითიურ სიუჟეტს საყრდენად იყენებს და მასზე დანდობით გმირის სულიერი ცხოვრების მდინარებას გვანახვებს, იქ ეს სიუჟეტი საჭიროც არის და აუცილებელიც. იგი მოთხრობის რიტმს აძლიერებს ამავე დროს. მაგალითად, მიჯაჭვული პრომეთეს განცდა თავისი არსით მოარულია ლიტერატურაში, მაგრამ ამით მისი მნიშვნელობა არ იცვლება. იმავე მიჯაჭვულ პრომეთეს შინაგან ხილვებს „მითში" ახალ ესთეტიკურ რეალობად აღვიქვამთ:

„იმ ღამეს კლდეზე მიბმული ქალის ცხარე კრემლები ბურუსში გახვეულ მარგალიტებივით ბრწყინავდნენ, ხოლო გაშლილი თმის ჩრდილი თანავარსკვლავედის ცალკუთხეს ალაქიანებდა. სამაგიეროდ, მარმარილოს ზედაპირზე უწესრიგოდ მიმობნეულ ოქროს ზოლებივით ბრწყინავდნენ კასიოპიას თანავარსკვლავედის მირიადი მნათობები" — ეს ხილვა მეტ სიცოცხლეს აძლევს სიუჟეტის არქაულ ღერძს! საერთოდ მოთხრობაში იშვიათი გამონაკლისია ღარიბი ფრაზა, ან ზედაპირული აღქმები.

მაგრამ მოთხრობის დედააზრს ზედმეტი ყლორტების გაცლა მაინც ჭირდება, რათა ესოდენ მასშტაბური ნაწარმოების ცოცხალი ქსოვილი, ადგილ-ადგილ არ გაუფერულდეს და ის რიტმი არ შესუსტდეს, რომელიც „მითის" ცხოველმყოფელობას განსაზღვრავს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

*სიმონ ყაუხჩიშვილი*

# ეტიმოლოგიური ძიებანი

„ეტიმოლოგია“ ეწოდება მოძღვრებას სიტყვების წარმომავლობისა და მათი მნიშვნელობების ჩამოყალიბების შესახებ. მართალია, ის ცალკე სამეცნიერო დარგს არ წარმოადგენს, მაგრამ დიდ ხამსახურს უწევს ტექსტუალურ კრიტიკას. ამიტომაც იყო, რომ პლატონიც და არისტოტელეც ამბობდნენ, სიტყვის ჭეშმარიტობის ან არაჭეშმარიტობის დადგენას წინ უნდა უძღოდეს სიტყვათა შორის კავშირისა და ურთიერთობის გარკვევა. ჩვენი ქართველი წინაპარი მწიგნობრებიც თავიანთ მუშაობაში დიდ ადგილს უთმობდნენ სიტყვათა ეტიმოლოგიებს. ასე, მაგალითად, ვახუშტის კომენტატორმა კარგად იცის, რომ:

1. ლოქო არს სომხური, ხოლო ქართულად ეწოდების ღლავი (ვახუშტი, ახ. გამოც 43,2).

2. მაგისტრო ჰრომაულია, მოძღვარი გინა ოსტატი (ვახუშტი, 196,1).

3. სევასტოსი ბერძნული, ხოლო ქართულად თაყვანისსაცემელი, ესრეთ ითქმის (ვახუშტი, 152,3) და ბევრი სხვაც.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს უბადლო მეცნიერს ვახუშტის, ნათელი წარმოდგენა აქვს სიტყვათა წარმომავლობაზე, მაინც მის „ისტორიაში“ მთელი რიგი შემთხვევაა გულუბრყვილო მსჯელობისა, სიტყვათა პრიმიტიული მიდგომით ახსნისა. მრავალ შემთხვევაში გაბატონებული იყო სასაუბრო ენაში ხალხურ-ეტიმოლოგიური მსჯელობა ამათუიმ სიტყვის წარმომავლობაზე და ვახუშტიც უნებლიედ იმეორებს ამ ეტიმოლოგიებს:

1. მდინარე მაშავერი... იწოდა ქციის რთვისათჳს: „მა, შავერიე ქციასა (314, 7-9).

2. ამას ეწოდა პირველ კამბეჩოვანი, კამბეჩთა სიმრავლისათჳს (543,4).

3. რაჭა ჰქვია იმიტომ, რომ შიგნით ჩაღრმავებული ადგილია და გარშემო მაღალი მთებით არის მოცული. და რომ ამ მთებიდან ქვეშ ჩახედავ, იტყვი: რა ჭაა ეს ადგილიო“ (770,22).

მაგრამ, უმეტეს შემთხვევაში, ვახუშტის ეტიმოლოგიური მსჯელობა მკაცრ რეალურ მასალას ემყარება და მკვლევარი დღესაც ვერ უგულებელყოფს ვახუშტის მიერ მოწოდებულ ახსნას ამათუიმ გეოგრაფიულ პუნქტის რაობის შესახებ. და სრულიად გამართლებულია ჩვენი ამხანაგების, მეცნიერ-მუშაკთა მიერ აღებული გეზი: როდესაც რომელსამე მხარეს ეხებიან, პირველ რიგში ამბობენ: რა უწერია ვახუშტის ამ მხარის მდებარეობაზე, მცხოვრებლებზე, საქმიანობაზე, კულტურაზე.

ჩვენ გვსურს მკითხველს გავუზიაროთ ჩვენი ცდა ზოგიერთი ქართული სიტყვის ეტიმოლოგიის შესახებ.

## 1. „მასპინძელი“ და მისი ეტიმოლოგია

სანამ „მასპინძელის“ ეტიმოლოგიას შევეხებოდეთ, საჭიროა გავსინჯოთ რა ფორმით გვხვდება ეს სიტყვა ქართულ მწერლობაში:

მასპინძელი
მასპინძლობა
უმასპინძლა
უმასპინძლებდეს
მასპინძლობდა
მასპინძლობს

ამ სახით გვხვდება ეს სიტყვა სხვადასხვა ძეგლებში (ვეფხისტყაოსანი, ცხოვრება კახეთისა, მარხვანი). კერძოდ, 1566 წელს გადაწერილ „მარხვანში“ მოხსენებულია „ყოველთა ნათესავთა ჩუენთა მასპინძლისა ქართ-

ველთა გრიგოლ სევასტოსისა ბაკურიანის ძისა და ყოვლისა დასავლისა დიდისა დემესტიკოხისა მართლმადიდებელისა საუკუნოიმცა“ (Д. Бакрадзе, Арх. Пут. გვ. 218; ა. შანიძე, ქართველთა მონასტერი ბულგარეთში, თბ., 1971, გვ. 275).

„ვეფხისტყაოსანში“ ეს სიტყვა გვხვდება ხშირად (სტრ. 729, 1071, 1380, 1386 და სხვაგანაც), გვხვდება როგორც სახელის, ისე ზმნური („უმასპინძლა“) ფორმით.

არ უნდა წარმოადგენდეს სიძნელეს იმის გარკვევა, თუ როგორ არის ნაწარმოები სიტყვა „მასპინძელი“. გავითვალისწინოთ შემდეგი, ძველ ქართულში ჩვეულებრივი წესი ქართული სადაურობის აღმნიშვნელი სიტყვების წარმოებისა:

არგვეთი — მარგველი
აროდეთი — მაროდელი
აწყური — მაწყვერელი
ეგრისი — მეგრელი (მეგრნი)
ეგვიპტე — მეგვიპტელი
რუისი — მრუველი (მროველი) და ბევრი სხვაც.

თუ ამ ძველი ქართულისათვის ჩვეულებრივ წესს გავითვალისწინებთ, ძნელი არ იქნება ვივარაუდოთ, რომ სიტყვა „მასპინძელი“ მომდინარეობს სიტყვისაგან „ა ს პ ი ნ ძ ა“: როგორც აროდეთის შესაფარდია „მოროდელი“, ისე „მასპინძელი“ არის შესაფარდი სიტყვისა „ა ს პ ი ნ ძ ა“.

„ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“, სამწუხაროდ, არაფერია ნათქვამი ამ სიტყვის წარმომავლობაზე, აღნიშნულია მხოლოდ: „მასპინძელი — ოჯახში სტუმრის დამხვედრი“. მიუხედავად ამისა, მაინც ვბედავ და ვამბობ, რომ სიტყვისაგან „ასპინძა“ ბუნებრივია წარმოება სიტყვისა „მასპინძელი“. ჩემთვის ხელმისაწვდომ მასალებში ვერ დავადასტურე ასეთი ფორმა, მაგრამ იმავე სიტყვისაგან „ასპინძა“ შემხვდა ადამიანის გვარი „ასპინძელაშვილი“ (ალ. ღლონტი, ქართული ლექსიკოლოგია, 1964 წ., გვ. 94); მაშასადამე, სიტყვისაგან „ასპინძა“ ნაწარმოებია სადაურობის აღმნიშვნელი „ასპინძელი“, ხოლო აქედან „ასპინძელაშვილი“.

ამ უკანასკნელი მასალიდან ჩანს, რომ სიტყვისაგან „ასპინძა“ ქართულს უწარმოებია „ა ს პ ი ნ ძ ე ლ ი“ და აქედან „ასპინძელაშვილი“. ესე იგი: თანახმად ახალი ქართულის ნორმებისა „ასპინძელი“ სრულიად კანონზომიერი ფორმაა (შედარებით ძველ ფორმასთან მას აკლია თავკიდური „მ“).

ახლა, რომ გადავხედოთ ზემოთ მოყვანილ „მ“ პრეფიქსიან მასალას (მარადელი, მაწყურელი, მეგვიპტელი და სხვ.), ახალ ქართულში ხომ უდრის ამ სიტყვებს: აროდელი, აწყურელი, ეგვიპტელი და სხვა! მაშასადამე, ახალ ქართულში დადასტურებული „ასპინძელი“ (ასპინძელაშვილი) ხომ შეიფარდებს ძველი ქართულის წესით წარმოებულ სიტყვას „მ-ასპინძელი“.

აქედან ცხადია, რომ ენობრივად არაფერი უშლის ხელს, რომ „მასპინძელი“ მივიჩნიოთ სიტყვისაგან „ასპინძა“ წარმოებულ წარმომავლობის აღმნიშვნელ ტერმინად.

## 2. „ჭირნახულის“ ეტიმოლოგიისათვის

თანამედროვე ქართულში „ჭირნახულით“ აღინიშნება მიწათმოქმედის ნამუშავარის შედეგი ანუ მოსავალი (урожай) და იგი გაგებულია როგორც ორი სიტყვისაგან შედგენილი კომპოზიტი: „ჭ ი რ ი“ და „ნ ა ხ უ ლ ი“. მაშასადამე, ამ გაგებით, სიტყვით „ჭირნახული“ გამოთქმულია ის აზრი, რომ ქართველმა თავისი სამიწათმოქმედო მუშაობის შედეგს ანუ მოსავალს უწოდა ისეთი სიტყვა, რომლითაც აღნიშნა მოსავალის მოყვანაზე დახარჯული „შრომა“ და გამოვლილი „ჭირი“.

მართლაც, ასე ესმის ეს სიტყვა ლექსიკოგრაფ დ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ს. იგი წერს: „ჭირნახული, ს. ნაშრომი, ნამუშავარი, ნაღვაწი; გამოვლილი ჭირთა და შრომათა; მსოფლიონი უხმობენ ნახნავსა და მისსა მოსავალსა; благоприобретенное трудами; попечение старание; перенесенный труд; труд земледельца: пахание, уборка, урожай.

ასევე აქვს ახსნილი ეს სიტყვა „ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკონის შემდგენელს პროფ. იუსტ. ა ბ უ ლ ა ძ ე ს ა ც. „ჭ ი რ ნ ა ხ უ ლ ი, ნაშრომ-ნაღვაწი და ნაოფლი, ნასიმწარევი“. შოთას პოემაში ეს სიტყვა იხმარება სტროფებში: 1210, 1319, 1471, 1421, 1552.

„მეფეთა სალაროში“ (XVII ს. ძეგლია) წერია:

„როდეს სალვთოს (ე. ი. ტაძრის) აღმაშენებელი მიიცვალოს და შვილი დაჯდეს მის მაგიერად ტახტზედა, არ დააქციოს მათი ჭ ი რ ნ ა ხ უ ლ ი, რაც არ მოუმატოს, არა დააკლოსრა“ (ს. ყუბანეიშვილი, ქრესტომათია, ტ. II, გვ. 265).

შემდეგ, ამ სიტყვას დაუმკვიდრდა მნიშვნელობა „პურის, სიმინდის, ღობიოს და მისთ. მოსავალი“ (იხ. განმარტებითი ლექსიკონი, ტ. 8).

ჩვენი ყურადღება ამ სიტყვამ მიიპყრო მის შემდეგ, რაც ჩვენ ქართლში დავადასტურეთ მისი ფორმა „ჭ ი ნ ა ხ უ ლ ი“. შიდა ქართლის სოფლებში, ახლანდელ ქარელის რაიონში, მე სხვა ფორმით (გარდა „ჭინახული“) ეს სიტყვა არ გამიგონია. „განმარტებით ლექსიკონშაც“ ამოვიკითხე, რომ ი. გოგებაშვილს ჰქონია: „თაგვი ფესვებს უფუჭებს... ღომსა და სხვა ჭ ი ნ ა ხ უ ლ ს ა“

ამის შემდეგ ჩვენ ასეთი სურათი წარმოგვიდგა:

1. თავდაპირველად ეს სიტყვა იყო ნახმარი აღსანიშნავად პურეულის ან მისთანათა მოსავლისა (урожай).

2. რამდენადაც მოსავლის მოყვანა დაკავშირებული იყო შრომასთან, გაჭირების გამოვლასთან, ამიტომ ადამიანმა ივარაუდა, რომ ამ მოსავლის მოყვანა იყო „ჭირი“ (ე. ი. „გაჭირება“), და ის ადამიანი, ვინც ამ „ჭირს“ იტანდა, და ის საქმეც, რომელსაც ადამიანი გაჭირებით ასრულებდა, იყო „ჭირ-ნახული“.

3. ასე, „ჭინახული“ გ ხდა „ჭირნახული“.

ახლა გავსინჯოთ, რა არის „ჭინახული“.

ჩემი აზრით, „ჭინახული“ არის მიმღეობა სიტყვისა „ჭინახ“.

ქართული წ ნ ე ხ-ის მეგრული შესატყვისი ჭ ი ნ ა ხ, და ქართულ სა-წნახ-ელ-ს მეგრულ ო-ჭენახ-უ უდრის.

ი. ყიფშიძის გრამატიკით კი ეს ДАВИЛЬНЯ, ТОЧИЛО-ს უდრის (გვ. 389) ქართული წ ნ ე ხ-ის შესატყვისად ა. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა ს, მართალია, კითხვითი ნიშნით ქვეშ, მოჰყავს მეგრ.-ჭან. წ ი ლ ო ხ- (წ ი ლ ა ხ) ВЫЖИМАТЬ „გამოწურვა“. იგი წერს: „ეს ფუძე წ ი ლ-ა ხ//წ ი ლ-ო ხ, წ ი ლ-ი ხ ძალიან ახლოს დგას ქართულ წნეხა-სთან: წ ნ-ე ხ-//წ ნ-ი ხ ამ ფუძის ნ-იანი ვარიანტი ჩანს“.[1] მაგრამ შემდეგ თვითონვე, იქვე, ეჭვს გამოსთქვამს ასეთი შესატყვისობის გამო: „მაგრამ ასეთ გაგებას ერთგვარად ხელს უშლის ის გარემოება, რომ წ ნ ე ხ-ის შესაბამისი ჭ ი ნ ა ხ- მოეპოვება მეგრულს. შდრ. სა-წნახ-ელი, მეგრ. ო-ჭინახ-ე „ყურძენს წნეხს“ — „ყურძენს ჭ ა ხ უ ნ ს“.

---

[1] ა. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, გვ. 396.

ზემორე მოტანილი მასალა საბუთს გვაძლევს დავასკვნათ, რომ ქართული „ჭინახული“ არის მიმღეობა იმ სიტყვისა, რომელიც ნიშნავს „დაწნეხას“, „დაწურვას“ და, მაშასადამე, მიემართება „დაწურვის“ შედეგად მიღებულ მოსავალს („ყურძნისაგან გამოწურულ სითხეს“).

მაშასადამე, თავდაპირველად სიტყვით „ჭინახული“ აღინიშნებოდა „ყურძნისაგან მიღებული მოსავალი“ (урожай), რითაც მომდევნო ხანებში ქართულმა ენამ აღნიშნა „ყოველგვარი მოსავალი“.

დაგვრჩა ვუპასუხოთ კიდევ ერთ კითხვას: რით უნდა ავხსნათ, რომ „ყურძნისაგან მიღებული მოსავალი“ გახდა „ყოველგვარი მოსავალის“ აღმნიშვნელი? ე. ი. რომ „ჭინახული“ („დაწნეხილი“, „დაწურული ყურძენი“), რომელიც „ყურძნის მოსავალს“ ნიშნავდა, გადაიქცა „ყოველგვარი (პურის, სიმინდის და მისთან.) მოსავლის“ აღმნიშვნელად? მე ამ კითხვაზე ასეთი პასუხი მომეპოვება: ეს ტერმინი მომდინარეობს უხსოვარი დროიდან, როდესაც კულტურათა შორის ვენახის და ღვინის კულტურას ქვეყნის ეკონომიკაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. რომ იტყოდნენ „მოსავალიო“ (урожай) ეს ნიშნავდა „ყურძნის მოსავალს“, ამით განიზომებოდა ხალხის ავლადიდება. შემდეგ, თუმცა „ყურძნის მოსავალის“ გვერდით ფასი დაედო პურის, სიმინდის და მისთანათა კულტურებს, მაგრამ ცნებისათვის „მოსავალი“ დარჩა იგივე ძველი სიტყვა, რომელიც ოდესღაც მხოლოდ „ყურძნის მოსავალს“ აღნიშნავდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჰანს ზედლმაირი

# აღმოსავლური რომანული სტილი

(ზედლმაირის წერილისათვის)

ზალცბურგის უნივერსიტეტის პროფესორი ჰანს ზედლმაირი მსოფლიო სახელის მქონე ხელოვნების ისტორიკოსია. მისი მეცნიერული ინტერესები მრავალმხრივია. მას აქვს შრომები ძველი რომაული ხელოვნების, შუა საუკუნეების, აღორძინებისა და ბაროკოს ხანათა დასავლური ხელოვნების შესახებ, განმაზოგადებელი და თეორიული ხასიათის ნარკვევებიც, კერძოდ, საყურადღებო ნარკვევი „შუა საუკუნეების პირველი ხუროთმოძღვრული სისტემა", რომელიც იუსტინიანეს დროინდელ ბიზანტიურ ძეგლებს ეხება. იგი დაინტერესდა ძველი ქართული ხუროთმოძღვრებითაც, კერძოდ, მისი ურთიერთობით, შუა საუკუნეების დასავლურ (რომანულ) არქიტექტურასთან. ამ ბოლო დროს დასავლეთის მეცნიერთა შორის მომწიფდა ის აზრი, რომ ძველი ქართული ხელოვნების, უპირველეს ყოვლისა, სწორედ ხუროთმოძღვრების, სერიოზული შესწავლის გარეშე შეუძლებელია მახლობელი აღმოსავლეთისა და ევროპის ძველი ხელოვნების მრავალი კარდინალური პრობლემის ამოხსნა, რადგანაც საქართველომ არსებითი წვლილი შეიტანა შუა საუკუნეების ხელოვნების განვითარებაში მის ადრეულ საფეხურზევე. ამ შეგნების ერთი მაჩვენებელთაგანია ქვემოთ დაბეჭდილი წერილი, რომელიც ქართველი მკითხველისთვის უეჭველად საინტერესოა.

ვახტანგ ბერიძე

## ანტიციპაციათა პრობლემა ამიერკავკასიის ხუროთმოძღვრებაში

### ნაწილი პირველი: ფაქტები

### 1. ქართული ეკლესიები მე-5-6 საუკუნეებისა და რომანული სტილი

დასავლური არქიტექტორის ისტორიის მცოდნე, რომელიც შალვა ამირანაშვილის წიგნში[1] მე-12-13 სურათებზე გამოსახულ ბოლნისის (საქართველო) სიონის ეკლესიის სისტემას პირველად ნახავს და შემდგომ გაიგებს, რომ ეს ეკლესია მე-5 საუკუნის ბოლოს იქნა აგებული, ძალზე გაოცდება, რადგანაც აქ გამოკვეთილია ისეთი სისტემის სახე, რომელიც დასავლეთში მხოლოდ ხუთი საუკუნით გვიან გვხვდება კატალონურ ეკლესიათა ერთ ჯგუფში და რომელზედაც პუიგი გადაფალხმა მიაქცია ყურადღება. ადრინდელი დათარიღება ბოლნისის სიონისა, რომელიც ჩუბინაშვილმა კაპიტელის ფორმის მიხედვით მე-5 საუკუნის დასასრულითა და მე-6 საუკუნის დასაწყისით განსაზღვრა, 1936 წელს ნაპოვნი, საფუძვლის ჩაყრისადმი მიძღვნილი წარწერით კარების არქიტრავზე, ეკლესიის აღმოსავლეთის ჩრდილო შესასვლელზე, დადასტურდა და სახელდობრ ეს წელია 478 (79-493)4.[2]

ორი რამ გამოჩნდა აქ პირველად ქრისტიანული ეკლესიის არქიტექტურაში: პირველ რიგში, ეს არის სამნავიანი ეკლესია, რომლის მთავარი ნავი ისეთი ცილინდრული კამარის მქონეა, რომელიც ნახევარ ცილინდრული ფორმის კამარით გვერდით ნავებზე მაგრდება

---

*საიუბილეო წერილი, მიძღვნილი გამოჩენილი გერმანელი ხუროთმოძღვარის კარლ ოეტინგერისადმი.

ქვესაბჯენების მეშვეობით, ისე, რომ ერთი საერთო, ფართო და ბრტყელი ორფერდა სახურავის ქვეშ წარმოიქმნება „დარბაზი" — უადრესი საერთოდ ცნობილი ეკლესიის დარბაზთაგან.

მეორე, აქ გამოჩნდა ყველა ნავის დაყოფა განივი თაღებით, კამარებისა და ნახევარკამარების საბჯენი თაღებით, რის გამოც გვერდის ნავებში მიახლოებით კვადრატული, შუა ნავში კი განივი სწორკუთხა კამარები გამოდის. ჰორნის[3] მიხედვით კი კამარული სისტემა წარმოადგენს შუა საუკუნეთა არქიტექტურის უპირატეს განმასხვავებელ ნიშანს (ადრინდელი ხანის) და შესაძლოა ერთადერთ ყველაზე ძლიერ განმასხვავებელ ნიშანს საერთოდ. ეს ორი ურთიერთ დაკავშირებული ელემენტი, როგორიც ბოლნისის სიონის ეკლესიას აქვს, მოეპოვებათ კატალონიის ეკლესიებს — პალაუ კა ვერდერას, საგარს, არლეს, ელნას და სხვებს, მაგრამ მხოლოდ დაახლოებით 1010 და 1050 წლებს შორის.[4]

ბოლნისის სისტემა გამოყენებულია დაახლოებით მის თანამედროვე ურბნისის ეკლესიაზე (ამ. 14-16); შენობაზე ბაზილიკური განივი ჭრილით, შუა ნავით, იგი ლებულობს (ამ.15) სან ფილიბერტ დე ტურნუსის პორტიკის ფორმას, ოღონდ ხუთი საუკუნით უფრო ადრე.

უკვე აქ მთელი სიმკვეთრით აღიძვრის საკითხი, თუ რით აიხსნება არსებობა ეკლესიათა ასეთი მსგავსი ფორმებისა, რომელნიც ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, ქრისტიანული სამყაროს სივრცითა და დროით ასე დაშორებულ სფეროებში აღმოცენდნენ. რადგან ამის ახსნა მოხეტიალე ოსტატებით ანდა გეგმებით, რითაც სტრჟიგოვსკი ხსნიდა მსგავს ანტიციპაციებს მე-7 და მე-10 საუკუნეების სომხურ ხუროთმოძღვრებაში, თავიდანვე გამორიცხულია. რატომ უნდა დაბრუნებოდნენ მე-11 საუკუნის დასაწყისში კატალონიაში გარიყული ქართველი ოსტატები მე-5 საუკუნის ქართული შენობის ტიპს, როგორ უნდა მოხვედრილიყო მე-11 საუკუნის დასაწყისში დიდი ხნის მოძველებული ქართული შენობათა გეგმები უკიდურეს დასავლეთში?

სხვა შესაძლო ახსნაც — ერთნაირი ეთნიკური სუბსტანციით, მსგავსი სოციალური პირობებით, ანდა პარალელურ რელიგიური განსაკუთრებული განვითარებით, — ყოველ შემთხვევაში აქ, ამ ვითარებისათვის, თავიდანვე გამორიცხულია.

აქ შესაძლებელია მხოლოდ იმის თქმა, რომ ცილინდრებით და ნახევარცილინდრებით, კამაროვანი მალებით დაყოფილი ეს დარბაზოვანი ქართული ეკლესიები მე-5 საუკუნისა საქართველოში, მე-10 საუკუნის კატალონიაში ორ რამეს გულისხმობს: მთავარ ნავში ცილინდრზე გადასვლას და კამარებით დაყოფაზე გადასვლას, როგორც კატალონიაში, ისე საქართველოში. კატალონიისათვის განვითარების ეს წინა საფეხურები პუიგი გადაფალხმა დაამუშავა.[5] საქართველოსათვის ისინი საგულვებელია, ერთი მხრივ მცირე აზიაში, მეორე მხრივ, კი მესოპოტამურ ეკლესიურ მშენებლობაში მე-5 საუკუნის პერიოდის ადრექრისტიანულ საფეხურზე.

სიახლენი, როგორც საქართველოში, ისე კატალონიაში „მუტაციური" ხასიათისა არიან. ამ მხარეებში კამარული დაყოფის აღმოცენების ახსნა ჰორნის მიერ ნავარაუდევი პრეისტორიული „სწორ კუთხოვანი" კამარული სისტემის მქონე ხის „უნივერსალური შენობებით", მე ძალზე საეჭვოდ მამაჩნია.

## 2. ქართული ეკლესიები მე-9 და მე-10 საუკუნეებისა და „გოთური" პროპორციები

ქართული ხუროთმოძღვრება მეორე აყვავების ხანისა გვაწვდის სრულყოფილ მაგალითებს ანტიკური კანონიდან დაშორებული უთანაზომო პროპორციებისას, რომელთაც მე „მერყევ" („მოსრიალეს") ღავარქმევდი. იგი გვაწვდის მაგალითებს აგრეთვე სიმაღლეთა იმ ჰიპერტროფირებისას, რომელთაც სიმაღლისადმი სწრაფვა შეიძლება ეწოდოს. ორივე დამახასიათებელი ნიშანი გვევლინება ერთმანეთის გვერდით და ერთმანეთთან დაკავშირებული და შეიმჩნევა როგორც გარეთ, კედლის ფართობის დეკორატიულ დანაყოფებზე, ისევე შიგნით, თაღებზე, რომელნიც ნავებს ერთმანეთთან აკავშირებენ და, აგრეთვე, კლდესავით ატყორცნილ შენობის სივრცით პროპორციებში. სტრჟიგოვსკიმ ეს პროპორციები განიხილა როგორც „გოთური" და მე ვინარჩუნებ ამ გამოთქმას. მაგრამ მხოლოდ „ბრჭყალებში", რადგან დიდი ხანია რაც ცნობილია, რომ შენობის სივრცის ციცაბო პროპორციები უკვე რომანულში გვევლინება. საკმარისია, მაგალითად დავასახელოთ არლის ტაძრის განივი კვეთი, სადაც სიგანისა და სიმაღლის შეფარდებაა 1-დან 3,5-მდე შუა ნავში და 1-დან თითქმის 5-მდე გვერდის ნავებში. მაგრამ აზიდული შენობის სივრცისა და ფართობთა პროპორციები, რომელნიც მე-9 და მე-10 საუკუნეების ზოგიერთ ქართულ ეკლესიას მოეპოვება, რასაკვირველია, დასავლეთში მხოლოდ გვიანდელ შუა საუკუნეებში, 1050 წლის შემდგომ ჩნდება.

ბაგრატიდების ხანის სომხური ხელოვნება თუმცა ამგვარსავე ტენდენციებს ამჟღავნებს, მაგრამ საგრძნობლად ზომიერ ფორმებში, და თუ არ ვცდები — უფრო გვიანაც, ვიდრე ქართული მაგალითები. რასაკვირველია, კუთხის ნიშები (რიფსიმეს ტიპის შენობებში) უკვე ადრევე აღწევს მოხდენილ პროპორციებს. (სტრ. სურ. 261).

ამ ახალ პროპორციათა კანონის დიდებულ

ნიმუშებს წარმოადგენს ოთხთა (თურქულად დჲორთ ქილისე) და პარხალის ეკლესიები საქართველოში, ორივე მე-9 საუკუნის ბოლოს, ან მე-10 საუკუნის დასაწყისშია აშენებული (ამ. სურ. 23-28),

ამ ეკლესიათა სწორკუთხოვანი გვერდის ფასადები და ბაზილიკური წინა ფასადები, რომელნიც კომპაქტურად ჩაკეტილი სწორკუთხოვანი ფორმის გეგმაზე დგანან, მთლიანად წრიულთაღიანი დეკორატიული თაღებით არიან გაფორმებული.

თაღედთა მალის სიგრძე ყველგან ერთნაირია და მათი მზიდავი კედლის სვეტები — ლერონსნაირად თხელი, როგორც ანისის ტაძარზე — ყველა ერთნაირი სიმძლავრისაა, ანუ უფრო სწორად — თხელია. მაგრამ სულ სხვაგვარია ამ სვეტების სიგრძე და მათმიერ მოჩარჩოებული თაღედთა მალის სიმაღლე. აქ „მერყევ" პროპორციათა სისტემა არაჩვეულებრივად თვალსაჩინოა. ბაზილიკური შუა ნავის ზონაში სიგრძივ კედლებზე თაღედთა მზიდავი სვეტები ანტიკურ პროპორციებს უახლოვდება, ან მცირეოდენად განსხვავდება მისგან. გვერდის ნავთა გარე კედლებზე თაღედის არეები ორჯერ უფრო მაღალია, ვიდრე მათი სიგანე და მათი მზიდავი სვეტები, იმავე სისქისა, როგორც შუა ნავის ზონაში, შესაბამისად გაგრძელებულნი არიან,

ცალკეულ თაღედთა არეების სიგანე-სიმაღლის შეფარდება წინა ფასადებზე ნაპირებიდან ცენტრისაკენ საფეხურისებურად მატულობს: ოთხთა ეკლესიაში არა სავსებით 1:5, გვერდითა თაღებში 1-ზე მეტთან, 5-ზე მეტთან, შემდგომ 1:7, 1:8, შუა ველში პარხალის ეკლესიაში 1:4,5; 1-ზე მეტი 5-ზე მეტთან, 1:9, 1:10 (1) შუა ველში.

ეს ისეთი პროპორციებია, რომელსაც მხოლოდ გოთური მაღალი სარკმლები აღწევენ და თვით გვიანდელ გოთიკაშიც კი მხოლოდ იშვიათად გადასცდებიან მას. ხელოვნების ისტორიკოსი, რომელიც მხოლოდ დასავლურ გვიან შუა საუკუნეების ხუროთმოძღვრებას იცნობს, ვერასდროს ვერ მოიფიქრებს პარხალისა და ოთხთა ეკლესიის წინა ფასადების 900 წლით დათარიღებას.

ამ ბაზილიკათა (შენობის) სივრცითი პროპორციები აზიდულობით მხარს ვერ უბამს გვერდის კედელთა არეებს. ოთხთა ეკლესიაში შუა ნავის სიგანე ისეთ მიმართებაშია თავის სიმაღლესთან, როგორც მხოლოდ 1:1,75, პარხალში — 1:2,25-საც ვერ აღწევს. მხოლოდ ასი წლის მოგვიანებით, სამ მთავარ ტაძართა ჯგუფში —ქუთაისის (1003), ალავერდის (1018-სათვის) და მცხეთის (1010-1029), ეს პროპორციები შიგნითაც მატულობს. ალავერდის ტაძრის (ამ. სურ, 39-40) გუმბათქვეშა სივრცის სიგანისა და სიმაღლის ურთიერთმიმართება ოთხ დიდ თალში უკვე 1:2,8-მდე გაიზარდა,მცხეთის ტაძარში (ამ. სურ. 42-43)—1:3,2-მდე. ეს ისეთი პროპორციებია, რომელთაც დასავლეთში მხოლოდ გვიანდელი შუა საუკუნეების, 1050 წლის შემდეგდროინდელმა ნაგებობებმა მიაღწიეს. მაგრამ ქართულ ტაძრებში ამ გუმბათქვეშა კვადრატზე ძევს კიდევ მაღალი გუმბათის ყელი — ტამბური, რომელიც ამ ეკლესიათა შუა სივრცეს, შახტისებურ შთაბეჭდილებას ანიჭებს. ალავერდის გუმბათის სივრცის სიგანე ისე შეეფარდება თავის სიმაღლეს, როგორც 1:6-ს; ეს ისეთი სივრცითი პროპორციებია, რომლისთვისაც დასავლეთის, არც ერთ გუმბათქვეშა სივრცეს არ მიუღწევია. კიდევ უფრო უკიდურესი პროპორციები აქვს ხვრელივით თხელ მაღალ სარკმლებს ალავერდის გუმბათის ყელში — 1:10, (გუმბათის ყელი სარკმელითურთ თუმცა მე-15 საუკუნეში აღადგინეს, მაგრამ პარალელების მიხედვით სიმაღლეში დიდად არ განსხვავდება თავდაპირველისაგან).

ალავერდში და მცხეთის ტაძარში გუმბათქვეშა კამარების მზიდავი ბოძები მძლავრი, მასიური, ნახევრად მრგვალი ბურჯებია, ისეთი შეფარდებით, როგორც 1: დაახ. 20-თან. მათ აქვთ მრავალი ფესტონებიანი კაპიტელები და აფრებს შორის მსუბუქად წამახვილებული თაღები, მსგავსი ანისის ტაძრისა.

სამაგიეროდ, მთავარ ნავსა და დასავლეთ კუთხის განყოფილებას შორის მდებარე ნახევრადწრიული პილასტრები, რომელნიც კედლის თაღის აფრებს ზიდავენ, მსხვილი და მოკლეა, ანტიკურ სვეტთა კანონის მიხედვით არიან აღმართული და სავსებით „რომანულ" შთაბეჭდილებას ახდენენ. (ამასთანავე, მაინც მხედველობაშია მისაღები, რომ ბაზისები ამოწეული იატაკით დაფარულია). ყოველი მრგვალი პილასტრი ატარებს ორ ქვემოთ შეწეულ საფეხურისებურ წრიულ ბაფთისებრ დანაყოფს და აქვს ისეთი მრავალ ფესტონებიანი კაპიტელები, როგორც ბურჯები გუმბათქვეშა სივრცეში. თუ ამირანაშვილის რეკონსტრუქციას დავენდობით (ამ, სურ. 44 და 48), რომანული „ვოკაბულაა" აგრეთვე წყვილი სარკმელი ჯვრის მკლავებში და აფსიდის წინა კოჭში.

აქა-იქ თავს იჩენს ხოლმე კედლის საფეხურისებური (დანაწევრების) ტენდენცია, მაგალითად, ალავერდის ტაძრის დასავლეთ პატრონიკეს (Emporen — хоры) ჭერილებში (ამ. სურ. 45 მარცხნივ, იქ შეცდომით მცხეთითაა აღნიშნული), მაგრამ არსად იგი ისე ენერგიულად არაა გამოხატული, როგორც სომხური სამყაროს თრდატის ადრეულ ნაგებობებში.

გვიანი შუა საუკუნეების კედლის არის ღიადების და (შენობის) სივრცითი პროპორციების არსებობა ქართული ხუროთმოძღვრების უფრო ადრეულ საფეხურზე, რომელიც დროის მიხე-

დვით ოტონურ საფეხურს შეესაბამება, წარმოადგენს ფენომენს, რომელიც კვლევა-ძიებას დიდი პრობლემის წინაშე აყენებს.

ნაწილი მეორე: პრობლემა

„ხელოვნების ისტორია ხალისით ჩერდება თავისი სამუშაოს აღწერილობით ნაწილზე. მკვლევარი კი საკუთრივ აქედან იწყებს პრობლემის გადაწყვეტას“ (სტრ. 329).

პრობლემის გადაწყვეტა ამ სხვადასხვაგვარი, მრავალ ცვლაში აღმოცენებული „რომანული“ ფორმებისა და პროპორციების ანტიციპაციისა ამიერკავკასიის ხუროთმოძღვრებაში, — მე არ ძალმიძს. მე მსურდა მხოლოდ მისი უფრო მეტად დაზუსტება, ვიდრე ეს სტრჟიგოვსკიმ შესძლო და ამით მომემზადებინა მისი გადაწყვეტა.

ცალკეული ფორმების გამოვლინება შორს ვერ წაგვიყვანს. აუცილებელია მათი საერთო ტენდენციებზე დაყვანა და ამ ტენდენციების ისტორიული გამოვლენა, სანამ რაიმე ახსნას დავიწყებდეთ. ამ გამოვლინების დროს ვრჩებით ხელოვნების სფეროში, ხელოვნების შემოქმედებით სფეროში. „ახსნაზე“ მხოლოდ მაშინ შეიძლება ლაპარაკი, როდესაც ხელოვნების ფენომენები ტრანსესთეტურ ფაქტორებზე — ეთნიკურზე, სოციალურზე, რელიგიურზე დაიყვანება.

თუ ჩვენ მე-5 საუკუნის ადრეული ქართული ცილინდრულად გადახურული დარბაზების თაღოვან სისტემას არ მივიღებთ მხედველობაში, რომლებიც მე ზემოთ გამოვავლინე, მაშინ რომანული ფორმებისა და პროპორციების აღმოცენება ორ ტენდენციაზე დაიყვანება: პირველი ტენდენცია ბლოკირებას უკავშირდება, ხოლო მეორე — მაღალ ანდა ჭუჭა სიდიდეებს. ნეგატიურია პირველი ტენდენცია, როგორც უარის თქმა ანტიკურ ნატურალიზმზე, ანტიკურ სიცხოველეზე, მისი მიმართება მასიურისაკენ, კომპაქტურისაკენ; მეორე — როგორც უარის თქმა ანტიკურ ანთროპომორფულ ზომათა კანონზე.

ბლოკირების ტენდენცია და როგორც მისი ერთ-ერთი შედეგი, ორსაფეხურიანი კედელი, სვეტური თაღებით კედლის წინა ფენაში პირველად თავს იჩენს დიოკლეტიანეს ეპოქაში, როგორც „სტილის მონახაზი“ (ტერმინი შემოღებულია ვლადიმერ ვაიდლეს მიერ) პროტორომანული ხასიათისაა, რომელიც ჩვენთვის უკეთ შესამჩნევია ფიგურალურ პლასტიკაში, ვიდრე იმ არქიტექტურაში, რომლის დიდი ნაწილი უკვე გამქრალია. ტიპიური დიოკლეტიანური სკულპტურა — გავიხსენოთ ტეტრარქთა ფიგურები ვენეციაში და რომში, ანდა კონსტანტინასი და ელენეს სარკოფაგები — გვიჩვენებს ყველა ნიშანს პანოფსკის მიერ განსაზღვრული რომანული სტილის მასიური ფორმისას. ტიპიური დიოკლეტიანური პლასტიკა ისევე მიმართებაშია თავის წინა ფორმებთან, როგორც კუთხური გუნდა ორგანულ კუთხურ ფურცელთან. მათი გამავრცელებელი ცენტრები შესაძლოა მცირე აზიასა და ჩრდილო სირიაში მოვიძიოთ — ნიკომედიაში და ანტიოქიაში, სპალატოს დიოკლეტიანისეულ სასახლეში პორტა აურეა გვიჩვენებს კედლის „რომანულ“ ლეიტმოტივს, ორ საფეხურიანობას, თუმცა განსაკუთრებული ფორმით: დეკორატიული თაღედები ზემოდან, ასე ვთქვათ, ჩამოკიდებულია. შესაძლოა ნორმალური ფორმის ორსაფეხურიანი კედელიც აგრეთვე დიოკლეტიანეს დროინდელი წარმოშობისა იყოს, როგორც ამას ჯერ კიდევ მე-6 საუკუნის რუსაფას ჩრდილოეთის მხრის ქალაქის კარიბჭე გვიჩვენებს. ასეთ ნაგებობებს შეეძლოთ პრინციპი ორსაფეხურიანი დეკორატიულ თაღოვანი კედლისა სვეტებითურთ (განვითარების) პირველ საფეხურზე სომხეთ-საქართველოსათვის გადაეცათ. ამ ჰიპოთეზის თანახმად, ფესტონებიანი კაპიტელი (კამათელისებური კაპიტელი) საკუთრივ დიოკლეტიანეს დროინდელ გამოგონებად იქცევა.

ეს შეიძლება შევნიშნოთ უფრო დიდ ურთიერთკავშირში. „თავიდანვე“ ყველაზე მოსალოდნელი მხარე ანტიკური სვეტის დაკავშირებისათვის აღმოსავლურ თაღედთან და ორივესი უძველესი დროიდან მესოპოტამიაში არსებულ ორსაფეხურებიან კედელთან არის ხმელთაშუა ზღვასა და შუამდინარეთს შორის მოქცეული წინა აღმოსავლეთის მხარე, სადაც ერთმანეთს ხვდება ორგანული დანაწევრებული ნაგებობა და მასობრივი ნაგებობა.

მაგრამ ამით ჯერ არავითარ შემთხვევაში არაა ახსნილი, თუ საიდან მომდინარეობს შემდგომ დასავლეთში ანტიკურის „რომანულად“ გარდაქმნა და რომანულის ძველ აღმოსავლურთან დაახლოება, რომელიც უკვე ხშირად იქნა შემჩნეული და რომელიც ზოგიერთ ერთობლიობაში გამოიხატება,

მეორე ტენდენცია — შენობის ნაწილთა დაგრძელება და შენობათა სივრცის ამაღლება მისი გენეალოგიის მხრივ ჯერ კიდევ თითქმის არაა გამოკვლეული. იგი გვევლინება ერთდროულად, ან ცოტათი უფრო ადრე საკუთრივ ბიზანტიურ საეკლესიო ხელოვნებაში, მაგრამ არა ბლოკირების ტენდენციასთან ერთად. უკვე ლიპსის თეოტოკოსის ეკლესია გვიჩვენებს სარკმელთა ღიადების, განსაკუთრებით ფრონტონებიანი ფასადების — ასევე გუმბათის სივრცის განივი კვეთის დაგრძელებასა და მოხდენილობას. ჰაგია თეოდოსიაც გვიჩვენებს თავის მთავარ აღსიდზე ისეთი სივიწროვის და სიმაღლის დეკორატიულ არეებს, რომელნიც ქართულ მაგალითებს აღემატებიან და შესრულებულია სვეტურ თაღედთა მოტივის გარეშე.

ამიტომ დიდ ისტორიულ ურთიერთკავშირ-

ში დანახული გენეალოგია გაგრძელებულ სვეტთა — ღეროსნარ სვეტთა — ინტენსიურად უნდა იქნას გამოკვლეული, უნდა გამოირკვეს ის მოტივიც, რამაც ანტიკურ სამყაროში თავისი ყველაზე უფრო მეტად ცნობილი მაგალითები მესამე და მეოთხე სტილის პომპეური არქიტექტურის სახით დაგვიტოვა. ათანასე ნაუკრატელის აღწერის მიხედვით სარეკონსტრუქციო ხიმპოზიუმი (დიდებული — კარავი) პტოლემეოს II-ისა (სურათი 474 პროპილეთა ხელოვნების ისტორია ტომი — II, გ. როვენდალტი, ანტიკური ხელოვნება, 1927 წ, რეკონსტრუირებულია შტუნიცკას მიხედვით) გვაკავშირებს ძველ ეგვიპტურ წინა ფორმებთან. მაგრამ მთელი ანტიკურობა ამ გაგრძელებას მხოლოდ სხეულის ფორმით იყენებს და არა ჭრილებზე, ანდა სივრცეებში, რომელთა ტრანსფორმაცია ჯერ კიდევ გასარკვევია.

დიდი ხანია, რაც რომანული ხელოვნების ანალოგიური ღერძისებრი ფორმები მიაჩნდათ ჩრდილოეთის ღერძისებრ და ბოძურ ნაგებობათაგან წარმოქმნილად. მაგრამ უკვე სპეიერ I-ის მაღალი ნავის კედლის დანაწევრებას უნდა ეჩვენებინა, რომ ამ ფენომენისათვის კიდევ სხვა საწყისებიც მოიპოვება.

შემთხვევით აღმოცენებული ისრისებური თაღები ალბათ ნამდვილად ისლამური წარმოშობისაა.

ამ მცირეოდენმა მინიშნებებმა მხოლოდ ის შეხედულება უნდა გაამაგროს, რომლის მიხედვითაც „რომანული ანტიციპაციათა" პრობლემა პირველ რიგში ორ საკითხს აყენებს: სიმაღლეთა ზრდის ჩამომავლობა აღმოსავლეთსა და დასავლეთში და მეორე შეხედულება, რომლის მიხედვითაც ეს საკითხები მხოლოდ მსოფლიო ისტორიულ ურთიერთკავშირებში უნდა დაისვას და მხოლოდ ამის შემდგომ შესაძლოა მათი გადაჭრა.

კარლ ოეტინგერის არაჩვეულებრივ ალღოს აქ ადეკვატური ამოცანა დაუპირისპირდებოდა,

ექსკურსი ლიტერატურისათვის[6, 7, 8]

ჩვენთვის საფუძველს წარმოადგენს სტრჟიგოვსკის ორტომიანი თხზულება (ვენა, 1918).[9]

ნაწარმოები ღირსია ალტაცებისა და ამავე დროს, ძალზე არეული (Konfus) მასალა ისტორიულად რომ ყოფილიყო დალაგებული, მაშინ ამ ქმნილების ზემოქმედება უფრო დიდი იქნებოდა და დიდ ხანსაც გაგრძელდებოდა. მისი აუცილებელი კრიტიკა მოგვცა 1922 წელს გიორგი ჩუბინაშვილმა.[10] მან ჩაუყარა აგრეთვე საფუძველი ქრონოლოგიურად კორექტულ ტიპოლოგიას. მისი დამუშავება „ჯვარის" ტიპისა (გვიანი მე-6 საუკუნე),[11] „წრომის" ტიპისა (ადრეული მე-7 საუკუნე)[12] და სომხურ გუმბათოვან დარბაზთა[13, 14]. აყენებს სვეტებს ახალ, გასწორებულ და მყარ ქრონოლოგიაში.

სულ სხვა მხრიდან, კერძოდ ფუნქციონალური მორფოლოგიის მიხედვით შეეცადა გრაბარი თავის დიდებულ „წმინდათა თხზულებაში" სომხური და ქართული არქიტექტურის თავისებურებების გაგებას.[15]

პირველი მონოგრაფია სომხურ ეკლესიაზე როგორც ხელოვნების ქმნილებაზე და სინათლის გათვალისწინებით მოგვცა იფსიროღლუმ.[16] (ამისათვის იხ. წიგნი სირარპი დ. ნერსესიანი: ახტამარი, წმ. ჯვრის ეკლესია, ჰარვარდის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1965 წ.)

ყველა ეს დაწყებული კვლევა-ძიება უნდა გაგრძელდეს და ერთმანეთში კომბინირებული უნდა გახდეს.

კვლევის არსებული მდგომარეობის მიმოხილვას, ისევე როგორც ლიტერატურას ვიპოვით ხელოვნების მსოფლიო ენციკლოპედიაში[17] „სომხეთსა" და „საქართველო"-ზე განკუთვნილ წერილებში. ისტორიული ფონის შესახებ ჩინებულ ინფორმაციას იძლევა ნერსესიანი.[18]

დასასრულ, კიდევ ერთხელ დიდი მადლობა მინდა მოვახსენო ბატონ პროფესორ გიორგი ჩუბინაშვილს. მან დიდსულოვნად წაიკითხა ტექსტი და ბევრ ადგილას გაუმჯობესებანი შეიტანა, რომელიც მე კვადრატულ ფრჩხილებში ჩავსვი.

## შენიშვნები

1. რადგან შეუძლებელი იყო ამ მოხსენების უხვად დასურათება, მივუთითებ სურათებს სტრჟიგოვსკის ორტომიან თხზულებაში სომხური არქიტექტურის შესახებ და ამირანაშვილის „ქართული ხელოვნების ისტორიაში". (მოსკოვი, 1950 წ.). შემდგომში ციტირებას მოვახდენ პირველი თხზულებისას როგორც „სტრ", ხოლო მეორისას როგორც „ამ".

12. „მნათობი", № 12.

2. ამას მიდასტურებს აგრეთვე ერთი წერილი პროფესორ გიორგი ჩუბინაშვილისა, რომელიც აზუსტებს ამ მონაცემებს თავის მონოგრაფიაში „ბოლნისის ტაძარი" (მარის სახ. ენისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის ბიულეტენის IX ტომი, თბილისი, 1940. რუსულ ენაზე, გერმანული რეზიუმეთი). საერთოდ მე დავალებული ვარ პროფესორ ჩუბი-

ნაშვილისაგან მის მიერ მოწოდებული ძვირფასი ცნობებისა და დიდსულოვანი დახმარების გამო.

3. ვალტერ ჰორნი, შუასაუკუნეობრივი საამშენებლო სისტემის წარმოშობისათვის. არქიტექტურის ისტორიკოსთა საზოგადოების ჟურნალი XVII, (1958) 1-23. (ინგლ. ენაზე).

4. პუიგი გადაფალხი, პირველადი რომანული ხელოვნება, პარიზი, 1928, გვ. 60 და შემდეგ განსაკუთრებით ტაბულები გვ. 77 და 100-ზე. (ფრ. ენაზე).

5. პუიგი გადაფალხი (იხ. შენიშვნა 4), თავი „ერთნავიანი ბაზილიკის ტრანსფორმაციისათვის“ (ფრ. ენაზე).

6. ი. უ. კროუფუტ, ბოსრისა და სამარიასებესტეს ეკლესიები, იხ. ბრიტანული სკოლა არქეოლოგიისა იერუსალიმში, საინფორმაციო ბიულეტენი 4, 1937 (ინგლ. ენაზე).

7. ქართული ხუროთმოძღვრება, ტომი II, 1934 წ.

8. გიორგი ჩუბინაშვილი, სომხეთის გუმბათოვანი დარბაზების საკითხისათვის. „ბიზანტიურ ჟურნალში“ 28 (1928) 73-97 (გერმ. ენაზე).

9. სომეხთა ხუროთმოძღვრება და ევროპა, ვენა, 1918 წ.

10. ქრისტიანული ხელოვნება კავკასიაში და მისი დამოკიდებულება საყოველთაო ხელოვნების ისტორიასთან. იხ. ხელოვნების ყოველთვიური ჟურნალი 15 (1922), 217-236. (გერმ. ენაზე).

11. ქართული ხუროთმოძღვრება, პირველი ტომი ფილზერის გამომცემლობაში 1928 წელს უკვე აწყობილი და დაკაბადონებული იყო, მაგრამ გამოცემა მაინც არ გამოსულა. თხზულება გამოიცა 1948 წელს, ორ ტომად. დასურათებული, რუსული ტექსტით და ფრანგული რეზიუმეთი.

12. ქართული ხუროთმოძღვრება, ტომი მეორე: წრომის ეკლესია და მისი მოზაიკა, თბილისი, 1934 წ.

13. სომხეთის გუმბათოვანი დარბაზების საკითხისათვის იხ. „ბიზანტიური ჟურნალი“ 28 (1928) 73-97, (გერმ. ენაზე).

14. თალინის დიდი ეკლესია სომხეთში. იხ. „ბიზანტიური ჟურნალი“ 29 (1929) 260-270, (გერმ. ენაზე).

15. გამოკვლევები ძველ ქრისტიანულ რელიგიურ კულტზე და ხელოვნებაზე, ტომი 2, პარიზი, 1946 (ფრ. ენაზე).

16. ახტამარის ეკლესია, ბერლინი და მაინცი, 1963 წ.

17. ინგლისური გამოცემა: მსოფლიო ხელოვნების ენციკლოპედია ტომი I (1959) ნაკვეთი 716-728. ტომი VI (1962). ნაკვეთი 137, 152. ორივე წერილი გიორგი ჩუბინაშვილისაა, (ინგლ. ენაზე).

18. ს. დ. ნერსენიანი, სომხეთი და ბიზანტიის იმპერია, კემბრიჯი, ჰარვარდის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1947 წ. (ინგლ. ენაზე).

გერმანულიდან თარგმნა
**ვიქტორ რცხილაძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერემია ქარელიშვილი

# დაუვიწყარი შტრიხები

## პირველი ქართველი კინოვარსკვლავი

ბავშვობიდან მიზიდავდა მხატვრული ლიტერატურა და თეატრალური სანახაობა. ჩვენს სოფელში (ქარელი) საკმაოდ ძლიერი დრამატული დასი არსებობდა. ამასთან ერთად, ხშირად ჩამოდიოდნენ გასტროლებზე ცნობილი მსახიობები თბილისიდან და გორიდან. მათს წარმოდგენებს იშვიათად გამოვტოვებდი. უბნის ამხანაგები „კოლექტიურად" მივდიოდით და ბილეთებიც რომ ვერ გვეშოვა, სპექტაკლზე დასწრებას მაინც ვახერხებდით.

ერთხელ, როცა წარმოდგენიდან შინ ვბრუნდებოდით, აზრი დაგვებადა, ჩვენს უბანში „სცენისმოყვარეთა წრე" ჩამოგვეყალიბებინა. სცენა ჯინის (სასიმინდე) ქვეშ მოვაწყეთ. წნელით მოწნული სასიმინდე ოთხ მაღალ ფეხზე ედგა. სამ მხარეს ტომრები ჩამოვაფარეთ და შემოსასვლელი კარი დავაყოლეთ. ფარდების მიღმა კულისები იყო, საიდანაც მოქმედების დროს სცენაზე „მსახიობები" უნდა გამოსულიყვნენ. სცენის წინა მხარე, ეზო დარბაზის როლს ასრულებდა. საქმეს რომ შევუდექით, მთავარი გამოგვრჩენოდა, პიესა არ გვქონდა. მე და ერთმა ამხანაგმა — ჟორა (გიორგი) ვარცელაშვილმა გადავწყვიტეთ პიესა თვითონ დაგვეწერა. მაშინ ბავშვებში ყაჩაღობანას თამაში ძალიან გავრცელებული იყო, ალბათ იმის გავლენით, რომ ქარელის მთელი მოსაზღვრე მთიანეთი სავსე იყო ტყეში გასულებით და ისე დღე არ გავიდოდა, რომ რაიმე ხიფათიანი ამბავი არ მომხდარიყო. ტყეში გასულთა წინააღმდეგ გვარდიელთა და პოლიციელთა მთელი რაზმები მიდიოდნენ ხოლმე და უკან დაზარალებული, „დაბეგვილ-დაჟეჟილი" ბრუნდებოდნენ. ტყეში გასულები ჩვენ გმირებად გვესახებოდნენ და თამაშის დროს რომანტიკული ფერებით ვმოსავდით. და აი, ერთ-ერთი სათამაშოს მიხედვით „დრამატული ნაწარმოები" შევქმენით. ხუმრობა ხომ არ იყო. მთელი ორი რვეული გავავსეთ! შევუდექით წარმოდგენის მომზადებას. ქადრის ტოტები ძლივტანეთ და ტყე გავმართეთ. თხელი ფიცრებისაგან „თოფ-იარაღი" დავამზადეთ, წვერულვაშის გასაკეთებლად ფეხსაცმლის ლაკი ვიშოვეთ და ყველაფერი უკვე მზად გვქონდა. „რეპეტიციები" გავიარეთ, წარმოდგენის დღე დავნიშნეთ... მაგრამ რას ვიფიქრებდით, თუ უფროსები სიურპრიზს გვიმზადებდნენ. წარმოდგენის დღეს, ადგილზე რომ მივედით, სახტად დავრჩით. ჯინის ქვეშ არაფერი დაგვხვდა,—აღარც ფარდები, აღარც ტყე და აღარც „თოფ-იარაღი". უფროსებს ყველაფერი მოეშალათ, „თოფ-იარაღი" გადაემალათ, იმის შიშით, რომ ამ ცელქობით რაღაცას აიტეხენო.

რას ვიზამდით! ბევრი ცრემლი დაიღვარა, მაგრამ არაფერი გამოვიდა. ჩვენ მაინც ჩვენი არ მოვიშალეთ, შევარჩიეთ უფრო საიმედო ადგილი, უბნის ერთ-ერთი დიდი შენობის ფართო აივანი და პირველი წარმოდგენაც იქ გავმართეთ. ამჯერად თვითონ უფროსებმა გვიშოვეს ტანისამოსიც და „თოფ-იარაღიც"... „დარბაზი" ხალხით გაივსო, ტოლ-ამხანაგებთან ერთად ყველას ბაბუა და ბებია, მამიდა და დეიდა იქ იყო. ჩვენს ცელქობაზე გულში ეცინებოდათ და თან ტაშს გვიკრავდნენ.

ეს გატაცება აღარ განელებულა. შემდეგ წლებში, როცა კი აქეთ-იქით წასული ახალგაზრდები არდადეგების დროს სოფელში მოვიყრიდით თავს, ნამდვილი „თეატრალური ზაფ-

ხული“ იმართებოდა. განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა იოლად შესასრულებელი ჰაჯიბეკოვის ოპერეტები, გ. ერისთავის ა. ცაგარლის, ა. სუმბათაშვილის, ვ. გუნიას შ. დადიანის და სხვათა პიესები.

აი, ერთ ზაფხულს აქ პირველად გავიგე ნატო ვაჩნაძის სახელი. ერთმა მსახიობმა გოგონა, რომელიც თავისი სილამაზით სოფლის თვალად მიგვაჩნდა, ნატო ვაჩნაძეს შეადარა... ეს შედარება გულში ჩამრჩა. მალე ის კინოსურათიც ვნახე, რომელშიც ნატო მონაწილეობდა, ვნახე და შედარება უმწეო აღმოჩნდა. ნატოს ხილვამ ეკრანზე სილამაზეზე წარმოდგენა შემიცვალა. რომ ვთქვა, მოვიხიბლე-მეთქი აშით ოდნავადაც ვერ გამოვხატავ იმ შთაბეჭდილებას, რომელიც მაშინ მივიღე... იმხანად ნატო ვაჩნაძე ყველას პირზე ეკერა, იცნობდნენ თუ არ იცნობდნენ, ენახათ თუ არ ენახათ, უსაზღვრო ქებას ასხამდნენ, კინოვარსკვლავს უწოდებდნენ.

ჩვენი თაობის წარმოდგენაში ნატო ვაჩნაძე ადამიანური სილამაზისა და ხელოვნების მშვენიერების სინთეზად იქცა. მისი ყოველი ჟესტი, მიმიკა, მოძრაობა, მთელი შინაგანი განცდა-ტირილი თუ სიცილი მიწიერის საზღვრებს სცილდებოდა და რაღაც საოცრებაში გადადიოდა. რაც უფრო მეტად მიილტვოდა სისადავისაკენ, კეთილშობილი, უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, ამაღლებული უბრალოებისაკენ, მით უფრო მეტ მომხიბლაობას იძენდა. ერთი წუთით რომ დავივიწყოთ მისი ფიზიკური მშვენიერება და სცენური (ამ შემთხვევაში ეკრანს ვგულისხმობ) მიმზიდველობა, თავისი მეტყველი თვალებითა და საოცრად შთამბეჭდავი ნაზი ღიმილით, მაყურებელში რომ სიცოცხლისა და სიყვარულის წმინდა ნექტარს ღვრიდა. ხელოვნების იშვიათ ქმნილებად გვესახებოდა.

და, როდესაც სოფლის კაცი დედაქალაქის მცხოვრები შევიქენი, ჩემი ოცნება იყო შორიდან მაინც მენახა იგი... ეს პირველი ხილვა ცოტა მოგვიანებით და სულ უბრალოდ მოხდა. მისი მეუღლე ნიკოლოზ (კოლია) შენგელაია, გამოჩენილი კინორეჟისორი, მწერალთა კავშირში, და გაზეთების რედაქციებში ხშირად დაიარებოდა. მას მეგობრების ფართო წრე ჰყავდა როგორც ლიტერატორთა, ისე ხელოვნებისა და კულტურის მოღვაწეთა შორის. მე იგი ცოტა ადრე სწორად ამ წრეში გავიცანი. კოლია მშვენიერი გარეგნობის, იშვიათად ცოცხალი, ტემპერამენტიანი, ხალისიანი კაცი იყო, ერთი შეხედვით შექსპირის მავრს მოგაგონებდათ და შეიძლება თავის დროზე ამიტომაც შეუყვარდა იგი „დეზდემონას“. გულიც მავრისვით კეთილი და მიმნდობი ჰქონდა. ერთ დილით, რუსთაველის პროსპექტზე, ოპერის თეატრის მოპირდაპირე მხარეს, წიგნის მაღაზიის წინ მოვკარი თვალი, იდგა და „ვიღაცას“ ელოდა. ის იყო გამოველაპარაკე, რომ მაღაზიიდან ნატო გამოვიდა, კოლიას მკლავზე ხელი მოჰკიდა და წასასვლელად მოემზადა, ორივეს უხერხულად მივაჩერდი. ჩემს უღიმღამო მისალმებაზე კოლია მიხვდა, რომ ნატოს პირველად ვხვდებოდი და გამაცნო... მორიდებით ჩამოვართვი ხელი და ჩემი ოცნების შესრულებით თავი ბედნიერად ჩავთვალე. ამიერიდან კინოვარსკვლავისადმი უფრო მეტი მოკრძალებით გავიმსჭვალე.

ამის შემდეგ ნატოს ხშირად შევხვედრივარ საზოგადოებაშიც, მახლობელთა შორისაც და რაც უფრო ახლო ვეცნობოდი, მით უფრო მეტად მომწონდა მისი ადამიანური მრავალმხრივობა, სასიამოვნო უბრალოება.

მე აქ არ ვაპირებ ნატოს აქტიორულ მოღვაწეობაზე საუბარს. მისი ცხოვრების ეს მხარე საყოველთაოდ ცნობილი და აღიარებულია. არც არსებობს ეპითეტი, რომელსაც შეეძლოს ქართული კინოხელოვნებისათვის მისი მნიშვნელობის სრულყოფილად გადმოცემა. იგი მუნჯი კინოს ნამდვილი ჯადოქარი იყო, უტყვს ენა ჩაუდგა, „აალაპარაკა“, დიახ, აალაპარაკა — უყურებდით ეკრანზე და არა მარტო ხედავდით მის მოძრაობას, განიცდიდით მის ტანჯვასა და სიხარულს, არამედ უსმენდით კიდეც, ნამდვილად უსმენდით, რადგან ეკრანიდან მისი სხეულის ყოველი ნაკვთი „ხმამაღლა“ გელაპარაკებოდათ, მისი თითოეული „ბგერა“ ყურში ცოცხლად ჩაგესმოდათ.

აქ მინდა გავიხსენო მასთან შეხვედრებით მიღებული შთაბეჭდილებებიდან ორიოდე შტრიხი, რომლებიც ნაწილობრივ მაინც გვიხატავენ ნატოს პიროვნებას.

რაც მე ახლა უნდა გიამბოთ, ეს მოხდა გურჯაანში.

1934 თუ 1935 წლის ზაფხულის შაბათი დღე იყო. სამასწავლებლოდან (მაშინ იქ საშუალო სკოლის დირექტორი ვიყავი) გამოვედი, შინისაკენ გავსწიე, რათა თბილისში წასასვლელად მოვმზადებულიყავი. ამ დროს ერთი მოწაფე მომიახლოვდა და მითხრა:

— მასწავლებელო, ვიღაც უცხო ქალი და კაცია ბეზარაანთ უბანში. ახლა სკოლაში შევიდნენ.

მაშინვე იქით გავემართე. უბნის დედაკაცებსა და ბავშვებში შორიდანვე შევიცანი ნატო ვაჩნაძე და კოლია შენგელაია. თელავში ყოფილიყვნენ, გზად ნატოს ეთხოვა მამაპაპეული ადგილი და ის სახლი ენახოთ, სადაც დავიბადე და ბავშვობა გავატარე. ნატო ჯირკვზე ჩამომჯდარიყო, კოლია ფეხზე იდგა და გულიანად იცინოდა, ნატოს ნიშნის მოგებით აღიზიანებდა:

— ეს რა სახახლე მაჩვენე, აქ დაბადებით თავადის ქალი თავს როგორ იწონებ!

შენობას მართლაც პეწი დაკარგული ჰქონდა და ძველი ეშხისა აღარაფერი შერჩენოდა. ეჟოს კვალიც წაშლილიყო.

ნატო იხტიბარს არ იტეხდა:

— მე რომ დავიბადე, მაშინ ამ კარ-მიდამოს სილამაზით აქ არც ერთი ადგილი არ შეედრებოდა.

მართალიაო, აქეთ-იქიდან უდასტურებდნენ მოხუცი ქალები.

— თქვენ რომ გენახათ, პატარა ნატოს როგორი ნათლობა გადაუხადეს, მაგას აღარ იტყოდით. მაშინ ეს სახლი ბაღნარში იდგა და ღამით მთელი კარ-მიდამო ფარნებით იყო გაჩაღებული, — მიუგო კოლიას მოხუცმა ბეზარაშვილის ქალმა, — ნატო რომ წამოიჩიტა, მთელი სოფლის თვალი შეიქნა, ეგ რაც აქედან წავიდა, ჩვენს გოგო-ბიჭებს ცეკვა-თამაში გადაავიწყდათ.

ნატო ილიმებოდა. მუხლებში მოქცეულ ბავშვს ეფერებოდა, თან მოხუც დედაკაცებს თავთავიანთი სახელით თავაზიანად მიმართავდა, წარსულ ამბებს იგონებდა, მოხუცებს უკვირდათ ყველაფერი ასე კარგად რომ ახსოვდა.

ძველმა მეზობლებმა პურმარილზე შეიპატიჟეს, მაგრამ წნორის მატარებლის გასვლის დრო ახლოვდებოდა და დიდხანს აღარ გაჩერდნენ.

თბილისამდე მეც მათთან ერთად ვიმგზავრე. ერთ კუპეში მოვთავსდით. როგორც კი მატარებელი დაიძრა, მოგონებათა გორგალი აიშალა. ნატო ხალისით ყვებოდა გურჯაანში გატარებული ბავშვობის ამბებს და ზოგ რამეს გულისტკივილით იხსენებდა. მეზობელი კუპედან გურჯაანელი ლევან მულალაშვილი, ცნობილი სახალხო მომღერალი გამოვიდა, მე თავი დამიკრა, ნატოს გულითადად მიესალმა, კოლიას ხელი ჩამოართვა და თავისი კეთილი ღიმილი შეაფრქვია. როგორც კი მგზავრებმა შეიტყეს, ვაგონში ნატო ვაჩნაძეაო, ყველამ ჩვენს კუპესთან მოიყარა თავი. თვალებში გამოუთქმელი სიამოვნება ჩასდგომოდათ. მისჩერებოდნენ ნატოს და ხმას ვერ იღებდნენ. ეს დუმილი ნატომ დაარღვია, ლევანს ირიბად გადახედა და დამსწრეთ მიმართა: კახელებს მდუმარე მგზავრობა არ გიხდებათო, და სიმღერა წამოიწყო. ამ მოულოდნელმა გაშინაურებამ ყველა გამოაცოცხლა. პირველად სიმღერა ლევან მულალაშვილმა აიტაცა. იგი უკვე მოხუცი იყო, მაგრამ მაინც ტკბილი და სასიამოვნო ხმა ჰქონდა, მისი გუნდი მონაწილეობას იღებდა რესპუბლიკურ ოლიმპიადებში და არაერთხელ მოუპოვებია გამარჯვება. ლევანს ყველა აჰყვა, ვაგონში გალობასავით ტკბილი და ხამთ ჰანგები დაიღვარა.

ამ დროს მშვენიერი გარეგნობის შუახნის ვაჟკაცმა გვერდზე ხელი გაიშვირა და ქვემობარს გასძახა:

— სოსო, აბა შენი ტიკი და ჩემი ხურჯინი გადმოიღე, ამაზე უკეთეს ადგილას სად დაგვეხარჯება! — ამ შეძახილზე სიმღერაც ჩათავდა.

სოსოს არავინ დაუცადა. თვალის დახამხამებაში დიდებული სუფრა გაიშალა, ცივად მოხარშული ქათმები, ხელდახელ დახლიჩეს, ყველი და შოთი პურები ამოალაგეს, ყანწებიც აპრიალდა და სადღეგრძელოები გაჩაღდა. რასაკვირველია, პირველი სადღეგრძელო კახეთის ფერიისა დაილია. ასეც უნდა ყოფილიყო, მაგრამ მოულოდნელად ეს სადღეგრძელო სხვანაირად შებრუნდა. ნატომ რომ ყანწი ასწია და სამადლობელის თქმა დააპირა, კოლიამ მაჯაზე ხელი წაავლო და შეაჩერა,— დაიცა, ნატო, ჯერ მე ხომ არ დამილევიაო, — და დაიწყო:

— კახელებო, თქვენი სიძე ისე გავხდი, ჩვენთვის ქორწილი არ გადაგიხდიათ, ახალ ცოლს ცალად მიდღეგრძელებ? ეს როგორღაც ქართულ ადათს არ ჰგავს!

— ეგ რა დაგემართა, შაქრო, — გადასძახა სოსომ ნიშნის მოგებით თვითმარქვია თამადას, — სუფრის თავობა რომ დაიჩემე, ლევანა ძიას მაინც რატომ არ დაეკითხე? ეგ ჩვენი ნატოს მეუღლე ყოფილა.

შაქრო არ დაიბნა, უხერხულობიდან მოხერხებულად დააღწია თავი. მოზრდილი ყანწი შეავსო და კოლიას მიუბრუნდა:

— შენ, ჩემო ძმაო, ქალის თხოვა როდის გვკითხე, რომ ქორწილს გვედავები, რამ შეგაშინა, არწივივით ვაჟკაცს ქალს დაგიჭერდით? კარგები ყოფილხართ, თქვენი ჭირიმე, ხუმრობაც შეგძლებიათ და ქეიფიც. — ნატო და კოლია ეშხიანად დალოცა და დამსწრეთ მიუბრუნდა:

— ვინც ეს ყანწი არ დაცალოს, ულვაში გასცვინდეს!

ყანწები დაიცალა. ლევანმა კახური მრავალჟამიერი წამოიწყო. სიმღერა რომ ჩათავდა, ნატომ და კოლიამ მადლობა გადაიხადეს...

ასეთი მხიარულებით, შეუმჩნევლად შემოვედით ნავთლუღის სადგურში.

ეს მგზავრობა არასოდეს დამავიწყდება. აქ პირველად ვნახე ნატო თავისი ადამიანური უშუალობით. მან გულს სარქველი ახადა და შიგ ჩაგვახედა, მთელი შინაგანი სიკეთე დაგვანახა. ამის შემდეგ ნატო ხელოვანი და ადამიანი ერთობლივად მესახებოდა. ეს ჰარმონიული ერთიანობა მის პიროვნებას კიდევ უფრო დიდებულს ხდიდა.

შინაგანი წვდომის, აღმოჩენისა და განცვიფრების სხვა ბედნიერი შემთხვევაც მქონდა.

ერთ დღეს, არც წელი მახსოვს და არც თვე,

ჩვენი უსაყვარლესი მწერალი სერგო კლდიაშვილი „ლიტერატურული გაზეთის" რედაქციაში მოვიდა და გიორგი ნატროშვილსა და მე გვითხრა, სადილად ნატო ვაჩნაძესთან ხართ მიწვეული, გამოგივლით და აუცილებლად უნდა წავიდეთო. ცოტა შეგვაგვიანდა. რომ მივედით, სადარბაზო ოთახში სუფრა უკვე გაეშალათ. აქ დაგვხვდნენ ნატოსა და მისი ოჯახის უახლოესი ადამიანები: ლევან ასათიანი, ირაკლი მიქელაძე, თავისი მეუღლით, ნატოს მული ელენე შენგელაია და სხვები. ბავშვები უკვე საკმაოდ წამოჩიტულები იყვნენ, ცალკე პატარა ოთახში ერთობოდნენ. ნატო სტუმრებს განუწყვეტლივ თავს დასტრიალებდა, ყოველგვარი მხიარულების წამომწყები თვითონ იყო და ბავშვებსაც ოდნავ არ აკლებდა ყურადღებას.

— აი, ეს მიირთვით, ჩემი გაკეთებულია, იმედია არ დამიწუნებთ.

— ესეც მე გავაკეთე, აუცილებლად უნდა გასინჯოთ.. ესეც... აი ესეც... ამბობდა და ხან ერთ კერძს შემოგვთავაზებდა, ხან მეორეს.

— სუფრამ ცოტა მოიწყინა, — იტყოდა და სერგოსა და ლევანს გადახედავდა. სერგო, ყველა მხიარულების წამომწყები და მოთავე, უმალ მიუხვდებოდა, რას არ გამოიგონებდა, რომ სუფრაზე სიცოცხლე და ხალისი შემოეტანა. აი, სერგო უცებ წამოდგა და მეორე ოთახში გავიდა, არ გასულა ათი წუთიც და მის ნაცვლად დარბაზში ნელი რხევით და რონინით შემოცურდა ჰაეროვანი თეთრი გედი. ეს იყო „მომაკვდავი გედი". ნაზად ფარფატებდნენ მისი ფრთები ჰაერში და ჩვენს თვალწინ ნელნელა ეშვებოდა იგი მიწისკენ. ბოლოს ხალიჩაზე დაეშვა და სამუდამოდ დაკეცა თავისი დაღლილი ფრთები. დარბაზში ჰომერული ხარხარი იდგა, ზოგი სკამიდანაც კი გადავარდა... ყველამ ტაშით დააჯილდოვა ეს შესანიშნავი „ბალერინა". ლევანმა მაშინვე აუბა სერგოს მხარი, თვითონაც დაიწყო ხუმრობა და ამით სუფრას ეშხი და ხალისი შემატა.

ნატო მთელი არსებით მონაწილეობდა ამ მხიარულებაში, იგი სულ ფეხზე ტრიალებდა, მის ბაგეს წუთით ღიმილი არ სცილდებოდა, სტუმრებს თვალს არ აშორებდა — მიირთმევენ თუ არა რამესო. ასეთ ატმოსფეროში, რაც გინდა უცხოდ ყოფილიყავით, არ შეიძლებოდა შინაურულად არ გეგრძნოთ თავი...

სუფრას ლევანი თამადობდა. კოლია და ლევანი ძმებივით იყვნენ. გულითადი მეგობრობა ჰქონდათ. ამიტომ არც მიკვირდა, რომ ნატოს ოჯახში ასე შინაურულად გრძნობდა თავს. საერთოდ კი, ეს ფართო ერუდიციისა და ფაქიზი გემოვნების კრიტიკოსი სუფრის მშვენებაც იყო, სამწერლო საზოგადოებაში ერთ-ერთ „წაფიც თამადად" ითვლებოდა, აზრიან და სხარტ სადღეგრძელოებს უწყინარი იუმორით აზავებდა, ხუმრობით გაკილვაც ეხერხებოდა, მაგრამ მისი ხუმრობა არავის სწყინდა, რადგან თვითონაც მშვენივრად იტანდა ასეთსავე ხუმრობა-გაკილვას. მოგზაურობაში ხომ ლევანს ძნელად თუ ვინმე შეედრებოდა, დიდპატარის, უფროს-უმცროსის გაგება შეეძლო, ყველასთან უცბად გამონახავდა საერთო ენას და რაგინდ კუშტი და უხასიათო ვინმე ყოფილიყო, თავისი მხიარულების ორბიტაში მოაქცევდა, ბოლომდე აიყოლიებდა.

ირაკლი, როგორც მახსოვს, თავის სტიქიას უფრო სადღეგრძელოებში ამჟღავნებდა.

ქალებს თანდათან ზედმეტი სიმშვიდე დაეტყოთ. სუფრაზე პათოსი ნელდებოდა. გამოცდილი დიასახლისი მიხვდა მიზეზს და სუფრას დროზე ჩართვა შემოაშველა.

• • •

ნატოს ადამიანური თავისებურება რომ შედარებით სრულად შეგეცნო, იგი მწუხარების ჟამსაც უნდა გენახა. ეკრანზე გვინახავს თავს დატეხილი დიდი უბედურების ჟამს, მაგრამ ეკრანი ერთია და ცხოვრება მეორე. პირველ შემთხვევაში აქტიორული გარდასახვის ოსტატობით განცდებს ემოციურად მუხტავდა, თავის მოქმედებაში გვაჯერებდა. საკუთარი უბედურების განცდის დროს კი უშუალოდ ვიხედებით მის სულში და ნამდვილად ვხედავთ იმას, რაც არის. კოლია უაღრესად პოეტური პიროვნება იყო ცხოვრებაშიც და შემოქმედებაშიც. შეიძლება ამიტომაც მისი სიკვდილიც, მეტად ნაადრევი და მოულოდნელი. რაღაც თავისებური იყო. მან სარეცელზე კი არა, მიწაზე დალია ვაჟკაცური სული, მიწაზე, რომელსაც ეთაყვანებოდა და თავზე ევლებოდა.

კოლიას ამ მოულოდნელმა, უდროო სიკვდილმა ყველას თავზარი დასცა, მაგრამ ნატოს— ერთიათად. მე ვნახე იგი უდიდესი მწუხარებისაგან ენა დაბმული. ეს იყო ქართველი ქალის მწუხარება. ნატო ამ დროს ეთხოვებოდა უსაყვარლეს მეგობარს, თავისი ორი შვილის მამას. მე ვგრძნობდი, რომ ტიროდა მხარმოტეხილი მეუღლე და ობლების დედა, რომელსაც ამიერიდან შვილებისათვის მამობაც უნდა გაეწია. აქ გამოჩნდა კარგი მეუღლე-მეგობარი და კარგი დედა, რომელსაც ესმოდა თავისი პასუხისმგებლობა მომავლის წინაშე.

ორი დიდი ხელოვანის ერთობაც პოეტური იყო და დაშორებაც. კოლია თავის სათაყვანებელ მიწას ვედრებით შეუერთდა, ნატო ჰაერიდან ფერფლად დაეშვა და იმავე მიწაზე რჩეულთა შორის მონახა მარადიული ბინა.

ნუგზარ მიმინა...

...ბიბლიოთეკა

# ნოდარ ჯალაღონიას ლექსების ახალი კრებულის გამო

ნოდარ ჯალაღონიას პირველ კრებულში („გაზაფხულის სიმღერა“, 1959 წ.) კონტურების სახით გამოჩნდა პოეტის ინტერესების სფერო. თუმცა იმდენად მკვეთრი და ნათელი იყო ეს კონტურები, გარკვევით ჩანდა, ამ გზაზე უნდა ჩამოყალიბებულიყო მისი პოეტური სახე. ეს ასეც მოხდა. ნ. ჯალაღონიას ახალი კრებული — „ხმა“ ნათლად ადასტურებს ამ ფაქტს.

რა წარმოადგენს პოეტის ინტერესების სფეროს, რა იზიდავს ავტორს, რისკენაა მისი ყურადღება გამახვილებული? პირველ ყოვლისა, ეს გახლავთ პოეტის მოქალაქეობრივი პათოსი, რომელიც უცილობლად გულისხმობს ავტორის პუბლიცისტურ დაკვირვებას საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, მისი შუქ-ჩრდილების მხატვრულ აღქმას, მოვლენებისადმი პოეტის აქტიურ დამოკიდებულებას, ასახული მოვლენის მკაცრი მსჯელობის საგნად ქცევას, ავტორის სალ, ნათელ პოზიციას. ეს ხაზი ძირითადი იყო ნოდარ ჯალაღონიას პირველ კრებულში და იგივე ხაზი, რა თქმა უნდა, მეტი სიმძაფრით და პუბლიცისტური სიმახვილით, გრძელდება მის ახალ კრებულშიც.

კრებულის საუკეთესო ლექსები „გული“, „მსახიობი“, „მეურმე“, „ხმა“, ციკლი „ლაპარაკობენ დაღუპული გმირები“, ლირიკული პოემა „ღია ფანჯარა“ მკაფიოდ გადმოსცემენ ნ. ჯალაღონიას შინაგან მრწამსს. ძირითადად ამ ნაწარმოებებში გამჟღავნდა პოეტის მოქალაქეობრივი პათოსი, დროსთან მისი აქტიური დამოკიდებულების უნარი, ვაჟკაცური შემართება, საგნებთან და მოვლენებთან პირდაპირი მიდგომა; ნოდარ ჯალაღონია თავისებურად აფერებს საგნებს და თავისებურად განიცდის მათ, და ეს განცდა განზოგადებულ სახეს იღებს მის ლექსში. ამ განზოგადების ძალა შეუძლებელია არ იგრძნო, როცა მის ლექსს — „გულს“ კითხულობ. სიცოცხლე ერთხელ ეძლევა ადამიანს. ბევრის დამტევია მისი გული, ყველა სატკივარი მასში გუბდება. ცხოვრების რთულსა და ჭრელ გზაზე ბევრი სიავე ხვდება ადამიანს და ყოველივე ეს გულით განიცდება. ამიტომ მას სათუთი მოვლა სჭირდება, „გულის ყველა ტკივილს და გულის ყველა სიხარულს გულით უნდა მოსმენა, გულით უნდა გაგება“, ვინაიდან „ქვეყნად ყველა სიკეთე, ჩანს, გულიდან იწყება“. სწორედ ამ ძლიერმა და კეთილმა გულმა შემოინახა საქართველოს ძველი დიდება, იგივე „დიდი გული იბრძოდა დიდგორთან თუ მარუხთან“ და „ისევ გულმა კეთილმა თქვა ბალადა მოყმისა“. იყო დაეჭვება, იყო ღალატიც, იყო უმადურობაც, მაგრამ ყველაფერს ჩრდილავდა ნათელი გული, მისი სიკეთე. ცხოვრების ხანგრძლივმა გზამ ბევრს დავიწყების ჩრდილი მიაფარა, ბევრიც „დაღლილ-დაქანცულები წლებთან მძიმე ომითა, შერჩენიან არქივებს და დაცრეცილ ქაღალდებს“, მაგრამ ზოგი გაუხუნარად შემორჩა ისტორიას „თავის დიდი გულით და თავის დიდი ფიქრებით“. სწორედ ამიტომ სჭარბობს პოეტში ოპტიმისტური სული:

> გულო, როცა გაიგე, ახლა უფრო გაშინებს
> წუთისოფლის სიჭრელე — შენი სიპატარავე.
> მაინც უნდა აშენო, მაინც უნდა აშენო
> მხოლოდ პატიოსნების და სიკეთის კარავი.

პოეტს მხოლოდ საამისოდ მოუმართავს გულის ზრახვა და ამ გზაზე დგას მტკიცედ:

> თუმცა, ბევრი წუხილი და ტკივილი
> გარგუნეს,
> მაინც ასე მართალი მინდა შემრჩე ბოლომდე.
> გულო, ნუ დაღონდები,
> გულო, ჩადექ საგულეს,
> გულო, იყავ კეთილი —
> გულო, არ გაბოროტდე.

---

ნ. ჯალაღონია, „ხმა“. გამომცემლობა „მერანი“.

ლექსი საოცარი ექსპრესითაა დაწერილი, იდეა ნათელია და ხელშესახები, პოეტური ფრაზები გამჭვირვალეა. ამიტომ იკითხება ასე ერთი ამოსუნთქვით, არაჩვეულებრივი დინამიურობით. ამ დინამიურობას უთუოდ უწყობს ხელს ლექსის შინაგანი რიტმი; ეს ლექსი ერთი მშვენიერი სიმფონიაა გულზე, რომლის კეთილ საწყისს ძალუძს მთელი რადიუსით შემოაბრუნოს ბოროტების ძალა.

ბოროტება-კი, როგორც ჩანს, კეთილთან ერთად არსებობს. არსებობს, რათა საფრთხე შეუქმნას კაცობრიობას, ეშმაკივით ჩაუჯდეს ვილაცას სულში და უბედურება დაატრიალებინოს. არსებობს თუნდაც იმისათვის, უფრო ნათლად შევიგრძნოთ სიკეთის ძალა, მკვეთრად დავუპირისპიროთ ბოროტებას, რომელიც მხოლოდ შუღლსა და მტრობას ავრცელებს ქვეყნიერებაზე. ამ ბოროტების დათრგუნვისკენ მოუწოდებს პოეტი თავის მკითხველებს ლექსში „ხმა“.

და ბოროტებაც დაეძებს გულებს,
როგორც სხვის ბუდეს ეძებს გუგული,
როგორც ვულკანი ელის და უცდის
და მოლოდინში ჩუმად გუგუნებს.

ვისა აქვს ამ დროს დუმილის ნება,
სანამ დროა და არ არის გვიან,
ათი ათასჯერ უფრო და მეტად
ვიდრე რაკეტა, სანგარი, ტყვია —
ხმაა საჭირო, ხმაა საჭირო,
ხმაა საჭირო მიწის თუ ცისა,
მდინარის,
თოვლის,
ჩიტის
თუ ხისა,
ჩემი და შენი
ჩვენი და სხვისა,
ცრემლით და სისხლით,
წყევლით და რისხვით
ნათქვამი ხმა,
ხმა,
ხმაა
საჭირო.

მკითხველი თავად შენიშნავს როგორ უეცრად დაირღვა კლასიკური ლექსის მეტრული საზომი ფინალში. რატომ მოხდა ასე? ჩანაფიქრის მკვეთრმა ხაზგასმამ ლოგიკურად აიძულა პოეტი ლექსის ფინალი თავისებურად წარემართა. ფინალში შინაარსი გამძაფრდა. მძაფრი შინაარსი ახალ, განსხვავებულ ფორმას მოითხოვდა. მარცვალთა რაოდენობა (10) იგივე დარჩა. შეიცვალა რიტმი, პრიმატი შინაარსს მიანიჭა. ლექსის იდეური მიზანდასახულება კი ამ შინაარსის წინა პლანზე წამოწევას ითვალისწინებდა.

დიდი პოეტური ენერგიითაა დაწერილი ლირიკული პოემა „ღია ფანჯარა“. ვფიქრობთ, სამართლიანად დაიმსახურა ამ პოემამ — საკმაოდ მაღალი შეფასება ლიტერატურულ კრიტიკაში (რ. მიშველაძე). პოეტის მოქალაქეობრივი პათოსი, თანამედროვეობის მძაფრი შეგრძნება, რეალური სამყაროს ობიექტური ასახვა და მისი პოეტური განსჯა ყველაზე მეტი სიმკვეთრით „ღია ფანჯარაში“ გამოიკვეთა.

პოემის ძირითადი შინაარსი იმ „ათ წელს“ მოიცავს, რომელმაც გარკვეული ზიანი და ვნება მოუტანა ჩვენს ცხოვრებას:

გულებს ეწვია ეჭვი და ჯავრი,
ღლეები ჰგავდნენ გახსნილ იარებს
და, როგორც ქრისტე აღმართულ ჯვართან,
კვარცხლბეკზე დადგა სიცარიელე.

და დაემსგავსა ცხოვრება უცებ
ბედუინების დამშრალ აუზებს.
ახალგაზრდობა მოედო ქუჩებს,
კაფეს, სარდაფებს და სასაუზმეს.

გაჩნდა სურვილი, ლტოლვა და სწრაფვა
საქმის კი არა — ფულის კეთების
და ივსებოდა ძალიან სწრაფად
ეკლესიის და ციხის კედლები.

დაეპატრონა გულებს და სახლებს
ეჭვი, დუმილი და გაოცება
და დადიოდნენ შემცბარი სახით
რევოლუციის ჯარისკაცები.

აქ უთუოდ გამოირჩევა მხატვრული სახეები — „კვარცხლბეკზე დადგა სიცარიელე“ და „დაემსგავსა ცხოვრება უცებ ბედუინების დამშრალ აუზებს“. ისინი ხელშესახებად წარმოსახავენ სწორედ იმ წლების „სიცარიელეს, ეჭვს, დუმილს, გაოცებას“, გაოცებას რევოლუციის ჯარისკაცებისას, რომელთაც აურაცხელი მსხვერპლი გაიღეს ქვეყნად სიკეთის დამყარებისათვის, მშვიდობისა და ბედნიერების დამკვიდრებისათვის, კეთილი საწყისის გაბატონებისათვის. იმ წლებმა კი ბევრი ზიანი მოიტანეს, რადგან „გაჩნდა სურვილი, ლტოლვა და სწრაფვა საქმის კი არა — ფულის კეთების“. მართალია, ეს სტრიქონები მეტად გაშიშვლებული სახით წარმოგვიდგენს ცხოვრების იმ პერიოდს, ან, უფრო სწორად, მეტად გაშიშვლებულია აქ სახეები, რაც საგრძნობლად სცილდება მხატვრული სპეციფიკის სფეროს და უფრო საფელეტონო ჟანრის ნაწარმოებს შეეფერება, რის გამოც ეს ადგილი მკვეთრ დისონანსს ქმნის მთელ მხატვრულ კომპლექსში, მაგრამ პოეტის მიზანი იმდენად მძაფრი იყო თავისი ჩანაფიქრის განხორციელებისათვის, რომ ეს მცირეოდენი, თუმცა მხატვრული აზროვნების სპეციფიკისათვის სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კმაოდ მნიშვნელოვანი გადახვევა შეიძლება უწებლიე ხარვეზად მივიჩნიოთ.

პოეტი, როგორც სინამდვილის მხატვარი, მარტოოდენ ნეგატიურ მოვლენებს როდი ასახავს პოემაში. უმთავრესი, რისთვისაც ეს პოემა დაიწერა, არის რწმენის, იმედის, პატიოსნების ერთგულება, მისი დაცვა. მოგეხსენებათ მშვენიერი თავისთავად მშვენიერია, მაგრამ იგი ორჯერ უფრო მკვეთრად ჩანს სიმახინჯის ფონზე. პოეტმა იცის, ხალხის ერთგულ შვილებს არასოდეს უღალატიათ სამშობლოსათვის, ხალხისათვის, რევოლუციის მონაპოვრისათვის, რადგან „ბედნიერია ის, ვისაც შერჩა სიყვარულის და რწმენის უნარი, უსიხარულო დღეები შეჰამს, უსიყვარულოდ გული თუ არი"; მათ ასევე კარგად იცოდნენ, რომ „ღალატს, სილაჩრეს და სიბოროტეს დრო ყველას თავის სახელებს არქმევს", ამასთან „იმედისა და რწმენის დაკარგვას თავის დაკარგვა სჯობია ისევ. ძნელია, როცა ქვეყნის ავ-კარგი ტვირთად სულს აწევს — და არა კისერს". პოემაში გრძნობთ ავტორის გულის ტკივილს, ყველაფერი გულთან მიდის და ყველაფერი გულიდან იწყება. ესაა, უპირველეს ყოვლისა, შემოქმედებითი წვის საფუძველი, რის გარეშე საერთოდ არ არსებობს ჭეშმარიტი პოეზია.

დალურჯებული სულის ყივილი
ეფინებოდა ცას და ქვეყანას,
ჩემი დღეების ყველა ტკივილი
ნაკვერჩხლებივით ხელზე მეყარა.

სხვარიგად არც შეეძლო პოეტს, როგორც საზოგადოების ერთ-ერთ ყველაზე მგრძნობიარე წევრს. მაგრამ იგი, ამავე დროს, არა მარტო პოეტია, არამედ, და უპირველეს ყოვლისა, ამ საზოგადოების ერთ-ერთი მოწინავე წევრია, რომელსაც ისევე შეუძლია აღიმაღლოს ხმა ყოველგვარი უმსგავსოების წინააღმდეგ, როგორც თვით საზოგადოებას. ეს პროტესტანტული სული იგრძნობა შემდეგ სტრიქონებში: „ჩემი სიცოცხლით ნუ გაერთობა, თუ მოუნდება ვინმეს თამაში", რადგან „ცხოვრება არის დიდი მდინარე, ჩემი სიცოცხლე მისი ტოტია", ან — „ასე მგონია, მიწას უჩემოდ არ ექნებოდა ეს სილამაზე". ეს სიტყვები მარტოოდენ ლამაზად თქმული როდია, ისინი ლამაზ სათქმელს, ლამაზ შინაარსს გამოხატავენ. მიწას ადამიანი ალამაზებს, რა თქმა უნდა, ის ადამიანი, რომელიც გულწრფელად ცდილობს აკეთოს ის, რისი უნარიც გააჩნია, რისი ნიჭიც ღვთით მომადლებია. ამიტომ ადამიანი შემთხვევით არ მოსულა მიწაზე, იგი, უწინარესად, კეთილი საქმისათვის გაჩნდა. ამ კეთილ საქმეს ხელის შეწყობა უნდა, სწორად წარმართვა სჭირდება და არა ხელის შეშლა, სწორი გზიდან გადაცდომა. პოეტი ამჟღავნებს მკითხველს, რომ ის „საეჭვო დღეები" უკვე წარსულს ეკუთვნიან:

ისევ სავსე ვარ ქვეყნის წყალობით
საეჭვო დღეებს უკვე დავშორდი.
ბულბულებივით ისევ გალობენ
ლამაზი წლები ჩემი ბავშვობის.

სარკოფაგივით სულიც გაიღო
და მზით აივსო ყველა კუნჭული.
ჩემი მამულის წითელ თარიღებს
ახლა გავყვები თვალდახუჭულიც.

გადახედვას მოითხოვს პოემის ფინალი. აქ პოეტური ენერგია რამდენადმე დაბლა ეშვება (როცა პირუკუ უნდა ხდებოდეს). ფოლკლორული ხერხის გამოყენება ასეთი სიმძაფრით დაწერილ პოემაში ვერასგზით ვერ იძლევა სასურველ ეფექტს. ფინალი წყევლაა ყველა ბოროტი კაცისადმი მიმართული, მაგრამ ეს, როგორც ვიცით, მაღალ პოეტურ დონეზე მოახერხა ფოლკლორმა. პოეზიაში კი მისი შემოტანა იმავე სახით, უხერხულია. აქ საჭირო იყო უფრო ორიგინალური პოეტური გააზრება.

ნ. ჯალაღონიას პოეზიას არ ახასიათებს ზუსტი რითმები, ისინი ძალზე ხშირად თავისებურია. მაგალითად: მოკლე — მომკლავს, უკვირთ — უკვე, აპრილი — ნაპირებს, ეკვრის — ეკრანს, თხრიდნენ — ხიდან, დაკარგვა — ავკარგი, უარესს — თუ არის და სხვ. მაგრამ ლექსის კითხვისას ოდნავადაც ვერ გრძნობთ მათ უზუსტობას. ლექსი მუდამ ბუნებრივად იკითხება და საკმაოდ მაღალ მუსიკალურ ინტონაციასაც ქმნის. ეს, უწინარეს ყოვლისა, გაპირობებულია სალექსო ინტონაციის ბუნებრივი დინებით, შინაარსის სიმდიდრით, აზრის სიცხადით. როცა აზრი არ იქმნება რითმისთვის, ან აზრი არ ეწირება რითმას. ამიტომაც არის, რომ ნ. ჯალაღონიას პოეზიაში ამგვარი კონსონანსური რითმები ორგანულად ერწყმის ლექსის ბუნებრივ შინაარსს. მაგრამ მისი სისტემად ქცევა ვერსიფიკატორული ტექნიკის თვალსაზრისით საზიანო გახდება. ამიტომ იქნებ ამ მიმართებით მეტი ყურადღება დაუთმოს პოეტმა რითმის გამდიდრებას (ლექსის ამ ერთ-ერთ უძვირფასეს სამკაულს), რადგან კონსონანსური რითმების მოჭარბება თვითმიზნად იქცევა და თვითმიზანი კი არასოდეს ყოფილა ხალასი პოეზიის ღირსება.

„ხმა" უთუოდ წინ გადადგმული ნაბიჯია ნ. ჯალაღონიას პოეტური შემოქმედების გზაზე, მიუხედავად იმ ხარვეზებისა, რომლებიც ამ წიგნში შეიმჩნევა. პოეტი ერთ თავის ლექსში „ლითონის სიმფონია", რომელიც თავისთავად კარგად დაწერილი ლექსია თავისი არქიტექტონიკით, მხატვრული ჩანაფიქრით

იდეური გადაწყვეტით. ასეთ შედარებას იძლევა: „როგორც ცოდვა ძალად ნამუსახდილ ქალის, ყველას ადევს კისრად ხიროსიმას ვალი“. ესენი სრულიად სხვადასხვა მოვლენებია თავისი შინაარსით და მათი ერთ სიბრტყეზე მოთავსება, ერთმანეთთან შედარება, ჯერ ერთი, უხერხულია, მეორეც, სრულიად ვერ ჰქმნის იმ შთაბეჭდილებას, რისი განზრახვაც ჰქონდა პოეტს. მართალია, შედარების დროს ყოველთვის გამოიყენება ორი სრულიად სხვადასხვა მოვლენა, მაგრამ საფუძვლად უთუოდ უდევს ამ ორი მოვლენის რაიმე ნიშნით მსგავსება. ასეთი მსგავსება კი ზემოთ აღნიშნულ მოვლენებთან სრულიად არ არსებობს.

სუსტია ლექსის „ლოთის“ ფინალი: „დაედოს კისრად მას შენი ცოდვა, ეს გზა, ეს ჩვევა ვინც დაგიბედა“. ესეც უბრალო წყევლაა, რაც გარკვეულ პოეტურ დონემდე ვერ ადის.

უკვე გაცვეთილი სახეა „ნისლი, როგორც წაწალი, ხევში მიიპარება“.

ორჯერ ი. გრიშაშვილის პოეტური ფრაზებიც მომხვდა ყურში: „არც სევდიანი, არც ეჭვიანი“ („მეურმე“), „აგედევნება ქუჩაში ძაღლი“ („ლოთი“).

ნ. კალანდიას სარეცენზიო წიგნი ავტორის წინსვლაზე მეტყველებს.

რევაზ ჩხარტიშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ჟურნალ „მნათობის“ 1974 წლის ნომრების შინაარსი

### მოთხრობები, რომანები, ნარკვევები, პიესები

აბაშიძე გრიგოლი — ცოტნე ანუ ქართველთა დაცემა და ამაღლება. რომანი № 9, 10, 11, 12.
აბულაშვილი თემური — ქვა და მზე. მოთხრობა. № 9.
ადამია ალიო — დიდი და პატარა ეკატერინე. რომანი. ნაწილი მეორე. № 6, 7, 8.
ავალიანი ლადო — ასფალტი. ნოველა. № 7.
ალექსეევი სერგეი — მოთხრობები ლენინზე. თარგმ. გიორგი ნატროშვილისა. № 4.
ამისულაშვილი შალვა — მძინარე კვირტი. მოთხრობა. № 8.
ანდრონიკაშვილი ბორისი — ორი მოთხრობა. № 12.
ართილაყვა აკაკი — თოვლი და მწვანე კიტრები. მოთხრობა. № 9.
ბადალაშვილი არსენი — ცვარისა. მოთხრობა. № 7.
ბეჟანიშვილი როსტომი. მოთხრობები. № 5.
გოგიჩაიშვილი გივი — თბილისური ტანსაცმელი. ნარკვევი. № 5.
გოჩიტაშვილი გიორგი — ყველაზე ახალგაზრდა გმირები. ნარკვევი. № 3.
დადიანი შალვა — გმირები. ნაწყვეტი რომანიდან. № 11.
დოჩანაშვილი გურამი — სამოსელი პირველი. რომანი. № 9, 10, 11, 12.
ებანოიძე ალექსანდრე — ორი თვე სოფლად ანუ იმერული ქორწილი. რომანი. № 3, 4, 5, 6, 7, 8.
იოსელიანი ოტია — დაჩის ზღაპრები. № 2, 4.
კეცხოველი ნიკო — ჩვენებურები. მოთხრობა. № 5.
კლდიაშვილი სერგო — მოთხრობები. № 6.
კობერიძე კარლო — წინ ზარმაცებო. მოთხრობა. № 1, 2, 3; საჭე და გზა. ნარკვევი. № 5.
კობიძე რამაზი — გვიმრის ფოთლები. რომანი. № 6, 7, 8.
კოვანოვი პ. — თბილისში და უღელტეხილებზე. ნარკვევი. № 1.
მეხრიშვილი ჯემალი — ღამის მგზავრი. მოთხრობა. № 2; სოფელი და ბაზარი. ნარკვევი. № 8.
მრევლიშვილი მიხეილი — ქინი სიცოცხლისა. მოთხრობა. № 12.
მიშველაძე რევაზი — ნოველები. № 8.
მჭედლიძე ნანა — მხიარული მოთხრობები. № 3.
ნუცუბიძე ქეთევანი — ქართლის მძევალი. რომანი. № 1.
რურუა ილია — ვითარცა ერთი წამი. მოთხრობა. № 8.
სულაბერიძე ლადო — ბაღნარი პეტრეს ციხესთან. ნარკვევი. № 3; მომავალი ზღვის ფსკერზე. ნარკვევი. № 11.
სოფრონოვი ანატოლი — მეცხრა ტალღა. პიესა. თარგმ. ნ. გურეშიძისა. № 5.
ტიხონოვი ნიკოლოზი — ალ-ყადრის ღამე. მოთხრობა. თარგმ. გიორგი ნატროშვილისა. № 11.
ფანჯიკიძე გურამი — ბურუსი. მოთხრობა. № 3.
ფოცხვერაშვილი ბუხუტი — გამოძახილი. მოთხრობა. № 10.
ქეთელაური სულხანი — მფრინავი ცისარტყელები. რომანი. № 10, 11, 12.
ქვლივიძე მიხეილი — ფიქრები. № 1, 5.
შავლიაშვილი მედეა — დარო ბაბო. მოთხრობა. № 6.
შენგელია ალეკო — თავმჯდომარე და სოფელი. ნარკვევი. № 2.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ჩაჩანიძე როდამი** — „შოთა რუსთაველი“ რეიდზე. ნარკვევი. № 7.
**ჩირაძე შალვა** — ელმავალი № 428. დოკუმენტური მოთხრობა. № 8.
**ხერგიანი მირონი** — კლდის ვეფხვი. ბიოგრაფიული რომანი. № 1, 2, 3, 4.
**ხორგუაშვილი გიორგი** — სიტყვას არ წაუქცევენ. ნარკვევი. № 9.
**ხორნაული გიგი** — ვიწრო ბილიკი. მოთხრობა. № 4.

## ლექსები და პოემები

**აბაშიძე ირაკლი** — ლექსი. № 8; მონოლოგი აჩრდილებთან. ლექსი. № 9.
**არაბული შაბურა** — ლექსები. № 6.
**ასათიანი ლია** — ლექსები. № 3.
**აჯბა ტაიფ** — **მე დაგლოცავ.** ლექსი. თარგმ. მ. მირნელისა. № 10.
**ბაჟანი მიკოლა** — **წვიმის პრელუდია.** ნოველა ლექსად. თარგმ. ვ. ასანიძისა. № 10.
**ბართაია ევგენი** — ლექსები. № 7.
ბეგაშვილი ალექსანდრე — **ლექსები. № 4.**
ბერიაშვილი ბერდია — **ლექსები. № 6.**
ბერულავა ხუტა — თინა **თორტიზელი. პოემა. № 4.**
ბექიშვილი თედო — ლექსები. № 9.
ბედიანიძე დალილა — ლექსები. № 1.
**გაბრიჩიძე ნელი** — ლექსები. № 3.
**გამსახურდია ზვიადი** — ლექსები. № 5.
**გეგეჭკორი გივი** — ლექსები. № 7.
**გიგაური გიორგი** — ლექსები. № 7.
**გიორგობიანი გურამი** — ლექსები. № 4.
**გოეთე იოჰან ვოლფგანგი** — ფაუსტი. ტრაგედია. გაგრძელება. თარგმ. გ. ჯორჯანელისა. № 5.
**გორგანელი ვახტანგი** — შენი საძმო და სარუსთაველო. ლექსი. № 1; კაი ყმის მარჯვენა. ლექსი. № 6; ლექსები № 8.
**გოცაძე იზა** — ლექსები. № 3.
**გულია დიმიტრი** — ზღვა. ლექსი. თარგმ. მ. მირნელისა. № 10.
**დასავლეთის გერმანულენოვანი ლირიკა** — თარგმ. ნ. კაკაბაძისა. № 9.
**ერისთავი თამარი** — ლექსები. № 9.
**ვაკელი იონა** — ლექსები. № 2.
**ვასაძე აკაკი** — ლექსები. № 12.
**თარბა ივანე** — ლექსები. თარგმ. შ. ნიშნიანიძისა. № 1; ლექსები. თარგმ. მ. მირნელისა. № 10.
**თარბა ნელი** — ლექსები. თარგმ. შ. აკობისა და ხ. გაგუასი. № 3.
**ივარდავა დილარი** — ლექსები. № 6.
**ისაევ-ავარსკი ალი** — ლექსები. თარგმ. თ. ბექიშვილისა. № 12.
**კაკუშაძე თენგიზი** — ლექსები. № 12.
**კალანდაძე ანა** — ლექსები. № 2.
**კალანდაძე გიორგი** — ლექსები. № 11.
**კალაძე კარლო** — ლექსები. № 7.
**კახიძე მედეა** — ლექსები. № 8.
**კაჭახიძე გიორგი** — ლექსები. № 4; თბილისური ცათამბჯენები. ლექსი. № 11.
**კეშელავა ბონდო** — ლექსები. № 9.
**კვიტაიშვილი ემზარი** — ლექსები. № 2.
**კვიწინია ნიკოლოზი** — გზები. ლექსი. თარგმ. მ. მირნელისა. № 10.
**ლასურია მუშნი** — აფსნი. ლექსი. თარგმ. მ. მირნელისა. № 10.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ლომია კონსტანტინე** — თავისუფლება. ლექსი. თარგმ. მ. მ ი რ ნ ე ლ ი ს ა. № 10.
**მიდელაური მერი** — ლექსები. № 3.
**მინდაძე ბიძინა** — ლექსები. № 1.
მირნელი მირიანი — ლექსები. № 2.
მიქაია მუშნი — შავი მანდილი. ლექსი. თარგმ. მ. მ ი რ ნ ე ლ ი ს ა. № 10.
მეპურიშვილი ტავუ — ლექსები. № 7.
ნარსია ნოდარი — ლექსები. № 12.
ნადირაძე კოლაუ — ლექსები. № 11.
ნიშნიანიძე შოთა — ლექსები. № 2.
ნონეშვილი იოსები — ჩემი სოფლის სურათები. ლექსი. № 8.
პეტრიაშვილი გურამი — ლექსები. № 12
პუშკინი ალექსანდრე — ძეგლი. ლექსი. თარგმ პ ა ო ლ ო ი ა შ ვ ი ლ ი ს ა. № 6.
რიცოსი იანისი — გამოთხოვება. პოემა. თარგმ. ი. ო რ ჯ ო ნ ი კ ი ძ ი ს ა. № 1.
სულაბერიძე ლადო — ლექსები. № 10.
**ფხოველი ჯარჯი** — ლექსები. № 4.
**ქუთათელი ალექსანდრე** — ლექსები. № 8.
**შანშიაშვილი სანდრო** — სიკეთე თესე. ლექსი. № 3; ფიქრები ცხოვრებაზე. № 7; პოეტი. ლექსი. № 11.
შერაზადაშვილი ზაქარია — ლექსები. № 2.
შინკუბა ბაგრატი — ლექსები. თარგმ. მ. მ ი რ ნ ე ლ ი ს ა. № 10.
ჩაჩავა ნიკოლოზი — ლექსები. № 10.
ჩხიკვაძე ვანო — ლექსები. № 5.
ცეცხლაძე გრიგოლი — ლექსები. № 5.
წვიჯბა შალვა — ლექსები. თარგმ. მ. მ ი რ ნ ე ლ ი ს ა. № 10.
ჭანტურია ტარიელი — ლექსები. № 8.
ჭელიძე ოთარი — ლექსები. № 3.
ხალვაში ფრიდონი — ლექსები. № 12.
ხვედელიძე ნოდარი — ლექსები. № 7.
ჯგუბურია მურმანი — ლექსები. № 11.

### ჟურნალ „მნათობის“ 50 წლისთავი

**აბაშიძე გრიგოლი** — ჩვენი „მნათობი“. № 2.
**აბაშიძე ირაკლი** — ჩვენი საყვარელი ჟურნალი. № 2.
**ასათიანი გურამი** — უფრო მხნედ... № 2.
**ბარათაშვილი მარიკა** — მარადიული სიცოცხლე „მნათობს“. № 2.
**ბუაჩიძე თენგიზი** — მოწოდების სიმაღლეზე. № 2
**გამსახურდია კონსტანტინე** — ახალი წარმატებები ვუსურვოთ იუბილარს. № 2.
**გორგანელი ვახტანგი** — შენ წინსვლას ვაშა! ლექსი № 2.
**გუდიაშვილი ლადო** — ვუსურვოთ და მივულოცოთ. № 2.
**დოჩანაშვილი გურამი** — ქართული სიტყვის მსახური. № 2.
**დურმიშიძე სერგი** — ორიოდე სიტყვა „მნათობზე“. № 2.
**ილურიძე კონსტანტინე** — ვულოცავ გულით. № 2.
**იოსელიანი ოტია** — ორიოდე სიტყვა „მნათობის“ საიუბილეოდ. № 2.
**კალანდაძე ანა** — კვლავ სხივმრავლობა. № 2.
**კვიცარიძე დავითი** — მადლიერების გრძნობით. № 2.
**კლდიაშვილი სერგო** — გუშინ, დღეს და შორეულ მომავალში. № 2.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარგიანი რევაზი — მატიანე ჩვენი მწერლობისა. № 2.
მაღრაძე ელგუჯა — წინსვლა და წარმატება. № 2.
მაჭავარიანი ალექსი — გულწრფელად ვულოცავ „მნათობს“. № 2.
ნატროშვილი გიორგი — ტრადიცია და ხვალინდელი დღე. № 2.
ნონეშვილი იოსები — „რაც არ იწვის, არ ანათებს“. № 2.
სიმონოვი კონსტანტინე — ჟურნალ „მნათობის“ რედაქციას. № 2.
ტიხონოვი ნიკოლოზი — მივესალმები და ვულოცავ. № 2.
შანშიაშვილი სანდრო — დაე, იძლიეროს „მნათობმა“, მრავალჟამიერ! № 2.
შენგელაია დემნა — პირველი დღეები. № 2
ჩარკვიანი ჯანსული — ჩვენს მეგობრობას გაუმარჯოს! № 2.
ჭილაია სერგი — „მნათობი“ 50 წლისაა. № 2.
ჯაფარიძე რევაზი — ორმოცდამეათე ნიშანსვეტი. № 2.
ჯიბლაძე გიორგი — ქართული ლიტერატურის უქრობი მნათობი. № 2.

## ჩვენი იუბილარები

ასათიანი გურამი — შუადღე. № 8.
ნატროშვილი გიორგი — შემოქმედების დიდ გზაზე. № 8; აფხაზური ლიტერატურის პატრიარქი. № 10.
ურუშაძე ნათელა — როლი და მსახიობი. № 1.
ციციშვილი გიორგი — კრიტიკოსის გზა. № 3.
ხარანაული ბესიკი — ჩემს მაგივრადაც, სხვების მაგივრადაც. № 8.
ჯაფარიძე რევაზი — დაფასებული ღვაწლი. № 3.

## ფაქტები და მოგონებანი

ბარამიძე ალექსანდრე — მცირე მოგონებანი დიდ მეცნიერზე. № 7.
გოგოჭური დავითი — პოეტის ახლოს. № 7.
გუგუშვილი პაატა — დაუვიწყარი მასწავლებელი. № 1.
ლუსინიანი რუბენი — ვარპეტის დაბრუნება. № 1.
მეგრელიძე იოსები — ექვთიმე თაყაიშვილის წერილები. № 10.
საყვარელიძე ელენე — სამანიშვილები ევროპის გზებზე. № 9, 11.
ქარელიშვილი ერემია — დაუვიწყარი შტრიხები. № 12.
ჭავახიშვილი გიორგი — ფოლკლორული მასალები „იმედის“ ფურცლებზე. № 1.
ჭგუბურია მურმანი — მზე დედაა ჩემი... № 4.

## კრიტიკა, პუბლიცისტიკა, მეცნიერება

აბაშმაძე ვახტანგი — საბჭოთა სამართლის საკითხები. № 7.
აბრამიშვილი ელისო — ნიკო ლორთქიფანიძის პოეტური პროზა. № 6.
ავსაჯანიშვილი ეთერი — ალ. ყაზბეგის უცნობი ლექსები. № 11.
ბადრიძე შოთა — საქართველო და ბიზანტია. № 2.
ბაირამიანი ჰრაჩია — ილია ჭავჭავაძე და რევოლუციამდელი სომხური პრესა. № 4.
ბურჭულაძე როლანდი — ლიტერატურათმცოდნეობის ახალი პერსპექტივები. № 7.
გამსახურდია კონსტანტინე — შესანიშნავი მონოგრაფია. № 6.
გვერდწითელი გურამი — ვარიაციები მარტოობის თემაზე. № 2.
გოდერძიშვილი ქეთევანი — სახელი და ხასიათი. № 9.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრინბერგი იოსები — ოდიში დიად გარდაქმნათა ქრონიკა. № 1
დავითულიანი დავითი — გალაკტიონის ერთი ლექსის გამო. № 7
ჰ. ზედლმაირი — აღმოსავლური რომანული სტილი. № 12.
ითონიშვილი ვალერიანი — რ. ერისთავის ნაწარმოებების ეთნოგრაფიული წყაროები. № 10; ალ. ყაზბეგის ეთნოგრაფიული ნარკვევები. № 11.
კავთიაშვილი ვენერა — დაკარგული თაობის თემა. № 4.
კალანდაძე ლავროსი — ადრინდელი ჩანაწერებიდან. № 7.
კარბელაშვილი ა. — ხიდი კავკასიონზე. № 6.
კვესელავა მიხეილი — ეროვნული და მსოფლიო ლიტერატურის ურთიერთობის საკითხები. № 3.
კიკვაძე ნოდარი — დაუმორჩილებელი ინდოჩინეთი. № 4.
მარკოზაშვილი შ. — აკაკი და რაფიელ ერისთავი. № 10.
მაღრაძე ელგუჯა, ვადაჭკორია შოთა — შესწორებულ-შემოკლებული კლასიკოსი. № 3.
მაჭავარიანი ვლ. — ისტორიის მანჭვა-გრეხანი. № 11.
მერკვილაძე გიორგი — გალაკტიონის პოეტური სტილი. № 4.
მენაბდე ლევანი — რუსთაველი და უნგრეთის საზოგადოებრიობა. № 8.
მეტრეველი როინი — სიტყვის კონა ნუ ცოდნის სალარო. № 9.
მიშველაძე რევაზი — თანამედროვე პოემის შესახებ. № 1; სიკეთისა და სინანულის საწყაო. № 11.
ნუცუბიძე თამარი — სინამდვილისა და ოცნების ორთაბრძოლა. № 2.
რადიანი შალვა — ალექსანდრე ყაზბეგის უკვდავება. № 11.
რეხვიაშვილი სპარტაკი — რა არის კერძ-მოკეთეობა. № 2.
რუხაძე ნოდარი — ადამიანები და მათი ჰორიზონტი. № 5, ოლე ბინკოპის ქვეყანაში. № 10.
სიგუა ალექსანდრე — ერთი ლექსის ისტორია. № 3; პუშკინი და „ივერია“. № 6.
სიგუა სოსო — ეპოქა და ხასიათი. № 5.
სპარსიაშვილი არჩილი — რომანი და ფოლკლორული წყაროები. № 9.
ტრეტიაკოვი ვ. — ენციკლოპედიის თხუთმეტი სტრიქონი. № 1.
უბილავა ნელი — ლორენს სტერნი და კომიკურის პრობლემა. № 4.
ფანჩულიძე დავითი — აკაკი წერეთელი და საფრანგეთი. № 5.
ფირალიშვილი ოთარი — ჰუმანისტური იდეების ერთი ფრესკული ანარეკლის გამო. № 4.
ქირია ჯემალი — ნიკო ავალიშვილი და სერვანტესის „დონ კიხოტი“, № 7.
ღვინჯილია ჯანსუღი — მინიშნებანი თანამედროვე ქართული პოეზიის ტენდენციებზე. № 1; კრიტიკოსის ტვირთი და ვალი. № 8; სამი ახალი მოთხრობის გამო. № 12.
ყაუხჩიშვილი სიმონი — ეტიმოლოგიური ძიებანი. № 12.
ჩაკვეტაძე დავითი — პოეტი და ისტორია. № 7.
ძიძიგური კახა — ფურცლები ქართული ლიტერა[illegible]ტიკის ისტორიიდან. № 3.
წერეთელი თ., ქვანია გ., ფურცელაძე დ. — ცნებ[illegible] ტერმინები. № 2.
ჯიბუტი ვლადიმერი — დრო და პოეზია. № 9.
ჯორბენაძე სერგო — ივანე ჯავახიშვილის უცნობი სიტყვა. № 3.

## წიგნების მიმოხილვა

ამაშუკელი რეზო — შორეული გზები. № 8.
ბეგაშვილი ალ. — ლიტერატურულ-ენათმეცნიერული ნარკვევები. № 11.
ბოჯგუა გივი — პოეტური სიწრფელე და უშუალობა. № 3.
გოგოლური დავითი — ხმა ხალხის ცხოვრებიდან. № 2.
თოიძე ალექსანდრა — შემოქმედის მართალი სახე. № 6.
იმნაიშვილი გრ. — წიგნი ზემოიმერულ კილოკავზე. № 1.
კვიტაიშვილი ემზარი — გაცოცხლებული მატიანე. № 4.
კოპალიანი ვასილი — პირველწყაროების საფუძველზე. № 7.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**მაისურაძე ილია** — ნ. ბარათაშვილის სიტყვის საუნჯე. № 10.
**მალულარია გ.** — „ხეიბარი თოჯინა“. № 5.
**მჭედლიძე ბაბო** — კარგი წიგნი. № 11.
**ნათაძე ნოდარი** — განზოგადებული თემა, კონკრეტული მასალა. № 1
**ნატროშვილი გიორგი** — წიგნები აახლოებს ხალხებს. № 9.
**ონაშვილი ნათელა** — რევაზ ჯაფარიძის „აწონილი სიტყვა“. № 2.
**ცისკარიძე გ.** — დინასტიის აღსასრული. № 6.
**ხუციშვილი სოლომონი** — რუსული პრესა კავკასიაში. № 8.
**ჩხარტიშვილი რ.** — ნ. ჯალაღონიას ლექსების წიგნი. № 12.

ფასი 80 კაპ.

ИНДЕКС
76128

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## „МНАТОБИ"

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ